გახსენით ლინკი და მოიწონეთ გვერდი

https://www.facebook.com/eExistentialCrisisA1/

ალბერტო მორავია

რომაული მოთხრობები

ალბერტო მორავია 1
რომაული მოთხრობები 1
შტერი 3
ნახვამდის 9
მაისის წვიმა 16
მოეშვი, მიზეზს ნუ ეძებ 22
სიცხის ოინები 28
დუბლიორი 33
ტაკიმასხარა 39
ყალბი ასიგნაცია 44
საბარგო მანქანის შოფერი 50
ფიქრები ხმამაღლა 56
მაიმახი 62
შუამავალი 69
ბავშვი 77
არიფანა 85
ტყირპი 91
მფლანგველი 98
ძალად ხულიგანი 105
სამკაულები 111
ტაბუ 116
უარს არ გეუბნები, მაგრამ 123
უგუნური 129
საცდელი გადაღება 134
ჯირკი 141
ჩოჩარიელი გოგონა 147
რომაული მონეტა 153
დროს ტარება ფერაგოსტოს დღესასწაულზე 160
რომის რისხვა 166
მეგობრობა 178
ბეჩავი 184
სულელი ბებერი 190
კატერინა 196
სიტყვა „დედა“ 202

მარიო 208
მეგობარი შავ დღემდეო 214
ბუ-ბუ-ბუ 222
ქურდები საყდარში 228
ბედი შენც გაგიღიმებს 234
არამზადის სახე 240
ბედი არ მწყალობს 246
წილის ყრა 251
„ბულიონი მიირთვი“ 257
სოფლად ცხოვრება 265
რომული და რემი 271
თავის ჭკუაზე ვერ არის 277
მადა 285
მეძეხვე 293
მომვლელი ქალი 298
განძი 304
დარაჯი 313
ტყუილად ირჯებით 319
შიმპანზე 326
საქმრო 332
ნაკბენი ხელი 337
პაპარი 343

შტერი

ივლისის ერთ მშვენიერ დილას, მელოცო და ფორლის მოედანზე, დამშრალი შადრევნის მახლობლად ევკალიპტების ჩრდილში რომ ვთვლემდი, ორი კაცი და ერთი ქალიშვილი მომიახლოვდნენ და მთხოვეს, ლიდო და ლავინიოზე წაგვიყვანეო. სანამ ფასზე მოვურიგდებოდი, სამივე შევათვალიერე: ერთი ქერა იყო, მაღალი, უფერული სახის მამაკაცი, ღრმად ჩამჯდარი, უსიცოცხლო თვალები ჰქონდა, ასე, ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა. მეორე უფრო ახალგაზრდა ჩანდა, შავგვრემანი, თმაგაბურძგნული, გამხდარი და როგორღაც უნიათო. კუს ძვლის ჩარჩოიანი სათვალე ეკეთა, სტუდენტსა ჰგავდა. ქალიშვილი კი ჩხირივით გამხდარი იყო, მისი მოგრძო, წვიტი სახე თმის ორ ტალღას შუა თეთრად ანათებდა, ტანზე შემოტმასნილ მწვანე

კაბაში ისეთი წვრილი ჩანდა, გველს მოგაგონებდათ. მაგრამ ლამაზი, ნახშირივით შავი, ბრიალა თვალები და მარწყვივით წითელი ტუჩები ძალიან ამშვენებდა. ისე შემომხედა, რომ ფასზე ვაჭრობა ვეღარ დავუწყე, მგზავრები მანქანაში ჩასხდნენ: ქერა კაცი გვერდით მომიჯდა, ქალიშვილი და შავგვრემანი ვაჟი უკან მოთავსდნენ. მთელირომი გადავჭერი, რომ სანპაოლოს ტაძრის უკან მდებარე ქუჩაზე გავსულიყავი, რადგან ყველაზე მოკლე გზა ეს არის ანციოსკენ; იქ ბენზინი ავიღე და დიდი სისწრაფით წავიყვანე

მანქანა. ჩემი ვარაუდით, ორმოცდაათ კილომეტრამდე უნდა გამევლო. ათის ნახევარი იყო, თერთმეტი საათისთვის დანიშნულ ადგილზე მივიყვანდი მგზავრებს, საბანაოდ სწორედ ყველაზე კარგი დროა. ქალიშვილი თვალში მომივიდა, მინდოდა უფრო ახლო გამეცნო. ჩემს მგზავრებს ეტყობოდათ, დიდი ვინმეები არ უნდა ყოფილიყვნენ. კაცები, მათი კილოს მიხედვით, შეიძლებოდა უცხოელებად მიგვეღო, ან იქნებ ლტოლვილები იყვნენ, რომის გარეუბნებში რომ ცხოვრობენ. ქალიშვილი კი, პირიქით, ტიპიური იტალიელი, ნამდვილი რომაელი გახლდათ. დიდ ფუფუნებაში ალბათ არც ის ცხოვრობდა, უთუოდ ვიღაც დამლაგებელი ან მეუთოვე იყო. ვფიქრობდი ჩემს მგზავრებზე, თან ყური უკან მჯდომი წყვილისკენ მეჭირა. ისინი ლაყბობდნენ და დაუსრულებლად იცინოდნენ. განსაკუთრებით ხმამაღლა ქალიშვილი იცინოდა. აკი ადრეც გავიფიქრე, წმინდა წყლისა არ უნდა იყოს-მეთქი. ისე უტიფრად ეჭირა თავი, ისე იგრიხებოდა, რომ მთვრალ გველსა ჰგავდა. ჩემს გვერდით მჯდომი ქერა კაცი ქალიშვილის ყოველ გადაკისკისებაზე შუბლს იჭმუხნიდა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, ერთხელაც არ მიუხედავს უკან, თუმცა უკან მიხედვა რად უნდოდა, საკმარისი იყო თავი აეწია და ქარამრიდი მინის ზემოთ დაკიდებულ სარკეში ჩაეხედა, ყველაფერს საუცხოოდ დაინახავდა, რაც ჩვენს უკან ხდებოდა. ამ ყოფით გავიარეთ ტრაპისტი, ორმოცამდე ქარხნის კორპუსებს ჩავუქროლეთ და, ანციოს გზის მისაქციელთან რომ მივაგდე მანქანა, უცებ დავამუხრუჭე, ჩემს გვერდით მჯდომ კაცს მივუბრუნდი და ვკითხე, მაინც სად უნდა მიგიყვანოთ-მეთქი.

- სადმე, მყუდრო ადგილას, სადაც ადამიანის ჭაჭანება არ იქნება... მარტო გვინდა ყოფნა.

- აქ, მთელი ოცდაათი კილომეტრი სულ უკაცრიელი სანაპიროა, თქვენ თვითონ ამოარჩიეთ ადგილი.

- არა, თვითონ გადაწყვიტოს, თვითონ, - მანქანის სიღრმიდან დაიძახა ქალიშვილმა.

- რა ჩემი საქმეა, მე რატომ უნდა გადავწყვიტო - ვკითხე ქალიშვილს.

- თვითონ გადაწყვიტოს, თვითონ, - გაიმეორა ქალიშვილმა და ისე გაიცინა, თითქოს ამ სიტყვებში მართლაც ყოფილიყოს რაღაც სასაცილო.

- კარგი, რახან ასე გინდათ, ნება თქვენია. მართალია, ლიდო დი ლავინიო ხალხმრავალი ადგილია, მაგრამ მე იქ ერთი ისეთი მყუდრო კუთხე ვიცი, სადაც ძეხორციელი არ გაიჭაჭანებს, იქ წაგიყვანთ, - შევთავაზე მგზავრებს.

ჩემს სიტყვებზე ქალიშვილმა რატომღაც უფრო გულიანად გადაიკისკისა, წინ გადმოიხარა, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა:

- აი, ყოჩაღ... ჭკვიანი ბიჭი ხარ... კარგად მიხვდი, რაც გვინდა.

აღარ ვიცოდი რა მეფიქრა, ძალიან უცნაურად იქცეოდა ქალიშვილი. მისი ქცევა მაბრაზებდა კიდევაც, თან თითქოს რაღაც ბუნდოვან იმედს მაძლევდა. ქერა კაცი კოპებშეკრული იჯდა, ხმას არ იღებდა, ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა და ქალიშვილს მიუბრუნდა:

- პინა, მე აქ სასაცილოს ვერაფერს ვხედავ, პინამ ხმა არ გასცა და ჩვენ გზა განვაგრძეთ.

დახუთული დღე იყო, ჰაერი არ იძვროდა, თეთრი გზა თვალს მჭრიდა. ის ორნი, უკან რომ ისხდნენ, ისევ ლაქლაქებდნენ და იცინოდნენ. მაგრამ მერე უცებ შეწყვიტეს სიცილი. ამან უფრო ცუდად იმოქმედა ქერაზე, თვალი ვკიდე, როგორ ჩაიხედა სარკეში და ისე დაიჭყანა, თითქოს საშინელი რამ დაინახაო. ახლა გზას ერთი მხრიდან მოტიტვლებული მინდვრები მისდევდა, მეორე მხრიდან კი ხშირი ბუჩქნარი. მე სვლა შევანელე ერთ ბოძთან, რომელზეც აბრა იყო მიკრული: ამ ადგილებში ნადირობა აკრძალულიაო. შემდეგ ერთ დიდ შარას ავუქციე და მიხვეულ-მოხვეულ ვიწრო გზას გავყევი ტყისკენ. ზამთარში ამ ადგილებში ვნადირობდი, მართლა მიყრუებული ადგილია, გზა თუ არ იცი, ვერაფრით ვერ გაიგნებ. ბუჩქნარს იქით ტყე

იწყებოდა, ტყის იქით კი ზღვა იყო და სანაპირო. მოკავშირეები რომ გადმოსხდნენ ანციოში, ამერიკელებმა სწორედ ამ მიდამოებში გათხარეს სანგრები. ახლაც ეყარა აქაიქ კონსერვის ჟანგიანი ქილები და ცარიელი ვაზნები. აქ ყველა ერიდება გავლას, რადგან ნაღმისა ეშინიათ.

მზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა, წვრილ-წვრილი ფოთლებით დაფარული ბუჩქნარი ამ ზღვა სინათლეზე მოზურმუხტებულიყო. გზა ჯერ სწორად მიემართებოდა, მინდვრისკენ უხვევდა და იქიდან ტყეში შედიოდა. ჩვენ წინ მწვანე ქუდებით მორთული ნაძვები ისე ირხეოდნენ, თითქო ცისკენ მიილტვიანო. ხეებშუა აქა-იქ ლურჯი ზღვის ციალი ატანდა. მანქანა ნელა მიმყავდა, რადგან ბუჩქები და ხეების შტოები მიშლიდნენ, გზას ცუდად ვხედავდი, მეშინოდა საჭე არ გამიტყდესმეთქი, დაკვირვებით ვიყურებოდი წინ და მხოლოდ გზაზე ვფიქრობდი. უეცრად ქერამ საშინელი ძალით გამკრა გვერდში და მთელი ტანით ისე დამაწვა თავზე, რომ კინაღამ მანქანის სარკმელში გადავვარდი.

- რა ჯანდაბაა! - შევყვირე და მანქანა გავაჩერე.

იმ წუთში ზურგს უკან გაისმა ჭახანი, ქარამრიდ მინაზე გამოჩნდა მრგვალი ნახვრეტი, მის ირგვლივ კი სხივებად გაიშალა ბზარები. გაოცებით დავაღე პირი, შიშით სისხლი გამეყინა ძარღვებში.

- მიშველეთ, მკლავენ! - შევბღავლე ბოლოს და მანქანიდან გადახტომა დავაპირე, მაგრამ შავგვრემანმა ზურგზე რევოლვერის ლულა დამადო.

- ადგილიდან არ დაიძრა. ისევ ჩემს ადგილზე დავეშვი მოსხლეტით.

- რა გინდათ ჩემგან? - ვკითხე შავგვრემანს.

- ამ ყეყეჩს ხელი რომ არ ეკრა, შენთვის ამის ახსნა აღარ დაგვჭირდებოდა, - მიპასუხა შავგვრემანმა. - ჩვენ შენი მანქანა გვინდა.

- სულაც არ გახლავარ ყეყეჩი, - კბილებში გამოსცრა ქერამ.

- ყეყეჩიხარ, მა რა ეშმაკი ხარ! აკიშევთანხმდით, რომ მე ვესროდი. რისთვის ეცი, რა ხელი გექავებოდა?

- ჩვენ იმაზეც შევთანხმდით, რომ შენ პინას მოეშვებოდი და ბღლარძუნს არ დაუწყებდი.

- ვაი, ახლა კი დავიღუპეთ, - ჩაიცინა ქალიშვილმა.

- რატომ? - ჰკითხა შავგვრემანმა.

- იმიტომ, რომ ეს კაცი ჩავა თუ არა რომში, მაშინვე დაგვასმენს.

- ძალიანაც კარგს იზამს, - ნიშნის მოგებით წამოიძახა ქერამ.

მერე ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო და მოუკიდა. შავგვრემანმა გაუბედავად ჰკითხა ქალიშვილს:

- როგორ ფიქრობ, რა უნდა ვქნათ ახლა?

ამ დროს სარკეში ჩავიხედე და დავინახე, რომ მანქანის კუთხეში მიყუჟული ქალიშვილი დიდი და საჩვენებელი თითების ტკაცუნით ანიშნებდა ჩემზე, გაათავეთო. ისევ დამიარა შიშმა, მაგრამ უმალ შვებით ამოვისუნთქე, რადგან შავგვრემანმა დინჯად თქვა:

- არა, არ შემიძლია. არის ისეთი საქმე, რომლის გაკეთებასაც ადამიანი მხოლოდ ერთხელ გაბედავს... რახან წეღან ავაცდინე, ახლა ვეღარ გავიმეორებ.

- ნეტა რაში გამოიყენებთ ამ მანქანას - გამბედაობა მოვიკრიბე და შევეკითხე ჩემს მგზავრებს. - ერთი მითხარით, ვინ გაგიკეთებთ ყალბ პატენტს, ან ვინ შეგიღებავთ ისე ოსტატურად, რომ ვერავინ იცნოს?

ვგრძნობდი რომ ყოველი ჩემი სიტყვა საგონებელში აგდებდა მათ. აღარ იცოდნენ, რა ეთქვათ. ჩემი მოკვლა ვერ მოახერხეს, გასაძარცვად კი, როგორც ეტყობოდა, გამბედაობა არა ჰყოფნიდათ.

- შენ არხეინად იყავ, ამისათვის რაც საჭიროა, ყველაფერი გვაქვს, - იხტიბარი არ გაიტეხა შავგვრემანმა.

- არაფერიც არა გვაქვს, - გესლიანად მიახალა ქერამ. - მხოლოდ ოცი ათასი ლირი გვაქვს სამივეს და რევოლვერი, რომელიც არ ისვრის.

იმ წუთში ისევ ჩავიხედე სარკეში. ქალიშვილი კვლავ თითების ტკაცუნით ანიშნებდა, მოჰკალითო.

- სინიორინა, - მივმართე ქალიშვილს, მაგ თითების ტკაცუნისათვის რამდენიმე წლის პატიმრობას დაგიმატებენ, როგორც კი რომში ჩაგიყვანთ, - მერე შავგვრემანს მივუბრუნდი, ისევ

ჩემს ზურგზე რომ ჰქონდა რევოლვერი მობრჯენილი, და გაშმაგებით დავუყვირე: - მესროლე, ჰო, მესროლე, რაღას უყურებ გაათავე ბარემ, შე ლაჩარო! ჩემი ხმა მკვახედ გაისმა ირგვლივ გამეფებულ სიწყნარეში.

- იცითვინ არის თქვენში ყველაზე გულადი ვაჟკაცი - წამოიძახა ქალიშვილმა ამჯერად ჩემდამი აშკარა სიმპათიით, - აი, ეს! - და ჩემზე მოათითა.

გაცეცხლებულმა შავგვრემანმა შეიგინა, გადააფურთხა, მანქანიდან გადმოვიდა და კაბინის სარკმელთან შედგა.

- აბა, ჩქარა, შევთანხმდეთ, - მითხრა მან, - რასა გვთხოვ, თუ ისევ რომში ჩაგვიყვან და არ დაგვასმენ?

უცებ გულზე მომეშვა, მივხვდი, რომ საფრთხემ განვლო, ამიტომ დინჯად ვუთხარი:

- თქვენი არაფერი არ მინდა... წაგიყვანთ, ოღონდ სამივეს პირდაპირ რეჯინა ჩელის საპყრობილეში მიგაბრძანებთ.

რაც მართალია, მართალია, შავგვრემანმა წარბიც არ შეხარა, მეტისმეტად გაცეცხლებული იყო. მხოლოდ ეს მითხრა:

- მოგსპობ, იცოდე!

- აბა სცადე... - უკვე გავთამამდი, - იცი რას გეტყვი? ვერავისაც ვერ მოსპობ... საპყრობილეში ამოყოფთ თავს შენც, ეს კახპაც და შენი მეგობარიც...

- ოჰო, იმუქრები კიდეც... - ხმამაღლა ჩაილაპარაკა შავგვრემანმა.

მივხვდი, რომ მასთან ხუმრობა არ ივარგებდა. ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და რევოლვერი დამიმიზნა. ამ დროს, ჩემდა საბედნიეროდ ქალიშვილმა დაიყვირა:

- კარგია ერთი, გეყოთ მაიმუნობა... ხან ფულს სთავაზობთ, ხან რევოლვერით ემუქრებით... აი ნახეთ, თუ ახლავე არ წაგვიყვანოს უკან.

ამას რომ ამბობდა, წინ გადმოიხარა და ნაზად მომიღიტინა ყურის ძირში ისე, რომ იმ ორს არ დაენახა. თავგზა ამებნა, აკი ზემოთ მოგახსენეთ, რომ ეს გოგონა თვალში მომივიდა, თავადაც არ

ვიცი, რატომ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ იმასაც მოვეწონე. ჯერ შავგვრემანს გადავხედე, ის კვლავ რევოლვერს მიმიზნებდა, მერე ცერად გავხედე გოგონას, რომელმაც თავისი ნახშირივით შავი, მოღიმარი თვალები მომაშტერა, და მტკიცედ განვაცხადე:

- ფული რა საკადრისია... თქვენისთანა ყაჩაღი ხომ არა ვარ... რომში კი, ნურას უკაცრავად, ვერ წაგიყვანთ... იქნებ მარტო ეს წავიყვანო, ისიც იმიტომ, რომ ქალია.

მეგონა წინააღმდეგობას გამიწევდნენ, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ქერა უმალ გადახტა მანქანიდან და მშვიდობის მგზავრობა გვისურვა, შავგვრემანმა რევოლვერი დაუშვა, გოგონა კი ცქვიტად წამოხტა, კაბინაში გადმოვიდა და გვერდით მომისკუპდა.

- მშვიდობით ბრძანდებოდეთ. იმედია მალე ამოყოფთ თავს კატორღაში, - მივახალე კაცებს, თან საჭეს ერთი ხელი მოვკიდე, რადგან მეორე ხელში ქალიშვილი ჩამაფრინდა და მთელი ძალით მიჭერდა. კიდევაც მესიამოვნა ორივე რომ მიმიხვდა, რისთვის გავხდი ასეთი დამთმობი.

გავედიგზაზე. ხუთი კილომეტრიისე გავიარეთ, კრინტი არ დაგვიძრავს. ახლა უკვე მე ვეძებდი მიყრუებულ ადგილს, ოღონდ მიზანი, რა თქმა უნდა, სულ სხვა მქონდა, ვიდრე მანამდე ჩემს მგზავრებს. მაგრამ, როგორც კი გზიდან გადახვევა დავაპირე, ქალიშვილმა საჭეს ხელი დაადო:

- არა, არა. რას სჩადიხარ, რომში წავიდეთ.

- რომში საღამოს წავალთ, - ვუთხარი და მრავალმნიშვნელოვნად ჩავხედე თვალებში.

- აჰა, გასაგებია. შენც ისეთივე ხარ, როგორც სხვები, ისეთივე ხარ.

აზლუქუნდა ქალიშვილი. უცებ ისეთი ცივი, ისეთი ყალბი გახდა, რომ ერთი ვერსიდან შეატყობდა კაცი, როგორ თაღლითობდა და თვალთმაქცობდა. მოხვევნა რომ დავუპირე, გამისხლტა, ხან მარჯვნივ გადაქანდა, ხან მარცხნივ, ვერა და ვერ მოვახერხე კოცნა. სისხლი ამიდუღდა, გავცხარდი. მივხვდი, რომ ეს ქალბატონი ისე მეთამაშებოდა, როგორც კატა თაგვს. მე კი ამ წყეულ მგზავრობაზე ტყუილად დავხარჯე ბენზინი, დავკარგე დრო და, გარდა ამისა, დიდი შიშიც ვჭამე. თავგზა ამებნა, გაცოფებულმა ხელი ვკარი ქალიშვილს, მანქანის კუთხეში მივაგდე და დავიღრიალე:

- ჯანდაბას წასულხარ, ჯოჯოხეთში! სწორედ იქ არის შენი ადგილი.

განა თუ ეწყინა, არა, ხელად დამშვიდდა და მანქანის კუთხეში მიიყუჟა. ისევ ჩავავლე საჭეს ხელი. რომამდე ისე მივედით, რომ სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. როგორც კი შევედი ქალაქში, მანქანის კარი გავუღე და ქალიშვილს მოვახსენე:

- აბა ჩადი და ჩქარა მოუსვი აქედან.

- რაო? განა ჩემზე გაჯავრებული ხარ?! - თითქოს გაიოცა ქალიშვილმა. აქ კი თავი ვეღარ შევიკავე და ავყვირდი:

- ერთი ამას უყურეთ. მოკვლას მიპირებდით, მთელი დღე დამაკარგვინეთ, დავკარგე ფული, ბენზინი... და არც გავჯავრდე? ღმერთს უმადლოდე, რომ პოლიციაში არ მიგაბრძანე. იცით რა მიპასუხა? - შტერი ხარ, ვიღაცა ხარო!

ეს თქვა, მანქანიდან ჩავიდა და გველის ტანის კლაკვნა-გრეხით, ამაყი, გამომწვევი გამომეტყველებით გაჰყვა გზას. მანქანებს, ავტობუსებსა და ველოსიპედებს შუა,

რომლებიც სან-ჯიოვანის მოედანზე მოჰქროდნენ. მე კი მოჯადოებულივით შევყურებდი მიმავალს, სანამ თვალთაგან არ მიმეფარა. ამ დროს ვიღაც ჩამიჯდა ტაქსში და დამიყვირა:

- პოპოლოს მოედანზე!

ნახვამდის

ზღვაზე გადმოწოლილ კლდეზე აღმართულა უძველესი ციხე პარტოლონგონე. ნანატრი თავისუფლება რომ მეღირსა და ციხიდან გამოვდიოდი, იმ დღეს სამხრეთდასავლეთის ისეთი ძლიერი ქარი ქროდა, ადამიანს სულს უხუთავდა, მზე კი თვალისმომჭრელად კიაფობდა ლაჟვარდოვან, კრიალა ცაზე. არ ვიცი, რა იყო ამის მიზეზი, მზე, ქარი, თუ თავისუფლებით გამოწვეული სიხარული, ეს კია, რომ ნადვილად გადარეულს ვგავდი. ციხის ეზოში რომ ჩამოვედი, ჩვენი პარტოლონგონეს უფროსი დავინახე, ზედამხედველთან საუბრით გართული, მზიგულზე იჯდა. თავი ვეღარ შევიკავე და ციხის უფროსს დავუყვირე:

- ნახვამდის, სინიორ უფროსო!

მაგრამ უმალ მოვიკვნიტე ენა. მივხვდი, რომ ეს „ნახვამდის“ ძალიან უადგილო და შეუფერებელი იყო ჩემს დღეში მყოფი კაცისთვის. თითქოს უკან დაბრუნება მწადდა, ან დარწმუნებული ვიყავი რომ დავბრუნდებოდი. ჩვენი ციხის უფროსი ძალიან კეთილი კაცია, გულღიად გამიღიმა და გამისწორა:

- შენ გინდა მითხრა - „მშვიდობით“. - დიახ, სინიორ უფროსო, მშვიდობით.

გავიმეორე, მაგრამ გვიანღა იყო, სიტყვა ჩიტი როდია, ორ წყება კბილს რომ გასცდება, ვეღარ დაიჭერ.

„ნახვამდის, ნახვამდის“, მთელი გზა ჩამესმოდა ყურში. შინ რომ ჩავედი, რომში, იქაც ვერ მოვიშორე ეს აკვიატებული სიტყვა. შესაძლოა აქ ბრალი იმასაც მიუძღოდა, რომ მშობლებმა ცივად მიმიღეს. დედა, რასაკვირველია, სიხარულით შემეგება, მაგრამ სხვები ისე ცუდად შემხვდნენ, სწორი გითხრათ, არ მოველოდი, ჩემი ძმა, ის გამოტვინებული, ის ცინგლიანი, ისა, ფეხბურთზე მიიჩქაროდა და მხოლოდ ეს მითხრა:

- აა, როდოლფო, გამარჯობა!

ჩემი და ხომ, ნუღარ იკითხავთ, ნამდვილი პრანჭია მაიმუნია. კივილ-ჩხივილით გავარდა ოთახიდან, ეს თუ აქ დარჩა მე შინიდან წავალო. მამა საერთოდ სიტყვაძვირი კაცია, ამჯერადაც მოკლედ მითხრა, სადურგლო სახელოსნოში შენი ადგილი თავისუფალია, თუ გსურს, დღესვე შეგიძლია მუშაობას შეუდგეო. ბოლოს ყველა წავიდ-წამოვიდა, დავრჩით მარტო მე და დედა. დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა, ჭურჭელს რეცხავდა, ბაკანთან იდგა პატარა, თმაგაწეწილი.

გაცვეთილი კაბა ეცვა, შიშველი ფეხები კი ნაბდის დიდ ჩუსტებში შეეყო. თან ჭურჭელს რეცხავდა, თან მე მტუქსავდა და მარიგებდა. მართალია, კაი გულით მარიგებდა, მაგრამ ჩემთვის ეს უფრო მძიმე ასატანი იყო, ვიდრე დის კივილ-ჩხივილი, ან მამისა და ძმის გულგრილობა. რას მეუბნებოდა დედა? რა თქმა უნდა, იმას, რასაც ასეთ შემთხვევაში ყოველი მშობელი ეტყვის შვილს. მაგრამ დედას ავიწყდებოდა, რომ სიმართლე ჩემს მხარეზე იყო. მე თავდაცვის დროს დავჭერი კაცი, ამას სასამართლო პროცესზეც დავამტკიცებდი, გულელმოს რომ ყალბი ჩვენება არ მიეცა.

- აი, ხედავ, შვილო, სადამდე მიგიყვანა შენმა ქედმაღლობამ! კარგად დამიგდე ყური, ხომ იცი, დედის მეტს არავის უყვარხარ და ეცოდები. სანამ დამიბრუნდებოდი, იმდენს ვტიროდი, შვილო, თვალზე ცრემლი არ შემშრობია, ალბათ ღვთისმშობელსაც არ დაუღვრია ამდენი ცრემლი, როდესაც მისი შვილი ჯვარს აცვეს... დაუჯერე დედას. თავი მოიდრიკე და ნურასოდეს დაჩაგრავ სხვას. იცოდე, სჯობს, ასჯერ მოითმინო შეურაცხყოფა, ვიდრე თვითონ ერთხელ მაინც შეურაცხყო ადამიანი. არ გაგიგონია ანდაზა: ნუ უთხრი სხვას ორმოს, თორემ თვითონ ჩავარდები შიგო. ცამდე მართალიც რომ იყო, ქედმაღლობა ჩაგადენინებს დანაშაულს... აკი იესო ქრისტეზეც იხმარეს ძალა, აწამეს, ჯვარს აცვეს, მაგრამ ქრისტემ თავის მტრებს მიუტევა... იქნებ, შვილო, შენი თავი იესო ქრისტეზე ჭკვიანი გგონია?

ასე მტუქსავდა დედა. რას ვეტყოდი? მეთქვა, რომ დედა ცდება, რომ მე თვითონ გავხდი ძალმომრეობის მსხვერპლი, რომ ყველაფერში ის არამზადა გულელმოა დამნაშავე, რომ კატორღაში ჩემს მაგივრად სხვისთვის უნდა ეკრათ თავი მაგრამ ვერაფერი ვერ ვუთხარი. სჯობს, ავდგე და წავიდე-მეთქი, გადავწყვიტე გულში.

შემეძლო სადურგლო სახელოსნოში წასვლა, ვია სან-ტეოდოროს ქუჩაზე, სადაც მამამ და სხვა მუშები მიმელოდნენ, მაგრამ მართალი რომ ვთქვა, ციხიდან გამოსვლის პირველ დღესვე არაფრად მეპიტნავებოდა ჩემი ქურთუკი ლურსმანზე ჩამომეკიდა და ორი წლის წინ წებოთი და ზეთით დასვრილი კომბინეზონი ჩამეცვა. მინდოდა ცოტა ხნით მაინც დავმტკბარიყავი თავისუფლებით, მინდოდა ქალაქში გავლა და პირად საქმეებზე ფიქრი. ამიტომ გადავწყვიტე, დღეს ვისეირნებ, ხვალ კი დილიდანვე ჩემს საქმეს შევუდგები-მეთქი. ჩვენ ვია ჯულიას მახლობლად ვცხოვრობთ. შინიდან გამოვედი და გარიბალდის ხიდისკენ გავწიე.

ციხეში რომ ვიჯექი და თავისუფლებაზე ვოცნებობდი, ასე მეგონა, რომში დაბრუნებას თუ ვეღირსებოდი, პირველ დღეებში ყველაფერს სულ სხვა თვალით დავინახავდი. ვფიქრობდი, გული სიხარულით ამიჩქროლდებოდა და ირგვლივ ყველაფერი გაცილებით მომხიბლავი, მიმზიდველი, მშვენიერი და გაბრწყინებული მომეჩვენებოდა. მაგრამ ასე როდი მოხდა, ახლა ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ორი წელი კი არ გამეტარებინოს პარტოლონგონეს კედლებში,

არამედ მხოლოდ ორი - სამი დღით ვიყავი წასული ლადისპოლში. რომის ჩვეულებრივი მოქურუშებული დღე იყო, სიროკო ქროდა, ცა ჭუჭყიანი ჭინჭივით მძიმედ ეკიდა ქალაქზე, ჰაერში კი ისეთი ბუღი იდგა, რომ შენობების კედლებიც კი გავარვარებულს ჰგავდნენ. მივდევდი გზას და ვხედავდი, რომ ირგვლივ ყველაფერი ისეთივე იყო, როგორც ყოველთვის- არაფერი ახალი, არაფერი სასიხარულო: გზის

მისაქციელზე ნასუფრალიდან მიმსხდარი კატები, ფიცრული კედლის იქით კაცების საპირფარეშოები გარს შემორგული ჩამომხმარი ბუჩქებით, კედლებზე ჩვეულებრივი წარწერები - „ვაშა“ და „ძირს“, დუქნების კართან საჭორაოდ ჩამომსხდარი დედაკაცები, ეკლესიის კარიბჭესთან მოკალათებული ხეიბრები და უსინათლოები, ფორთოხლით დატვირთული ურიკები, მეგაზეთეები, რომლებიც დასურათებულ ჟურნალებსაც ყიდიან, სადაც ამერიკელი კინოვარსკვლავების სურათებია მოთავსებული. ირგვლივ ყველა და ყველაფერი უსიამოვნო და საზიზღარი მეჩვენებოდა: ერთი - გრძელცხვირა, მეორე - ყბაჩუა, მესამე - თევზისთვალება, მეოთხე - ბულდოგივით ყბებჩამოკიდებული. მოკლედ, ეს იყო ჩვეულებრივი რომი, ჩვეულებრივი რომაელებით, როგორიც დავტოვე, ისეთივე დამხვდა. გარიბალდის ხიდზე რომ

ავედი, მოაჯირს გადავეყუდე და ტიბრს ჩავაცქერდი: ისევ ის ტიბრი იყო, ადიდებული, ყვითელი, ნაპირზე ჩამწკრივებული პატარა ნავმისადგომებით, სადაც პალოზე მიბმულ ნავში, ტრუსების ამარა, ჩასუქებული კაცი ჩამდგარა და ნიჩბების მოსმაში ვარჯიშობს, იქვე თავი მოუყრია უსაქმო ცნობისმოყვარეებს. მინდოდა გავშორებოდი ყველაფერ ამას, ამიტომ ხიდი გადავიარე, ტრანსტევრეს გავყევი,

იქიდან ჩინკვეს შესახვევში გავედი და ნაცნობ ოსტერიისკენ გავწიე. ამ ოსტერიის პატრონი, ჯიჯი, ჩემი ერთადერთი მეგობარია. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მინდოდა ყველაფერს გავშორებოდი, რასაც ვხედავდი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, გულმა იქით კიდევ იმიტომ გამიწია, რომ ოსტერიის მახლობლად, გულელმოს სახარატო სახელოსნო ჰქონდა. შორიდან თვალი მოვკარი თუ არა გულელმოს სახელოსნოს, სისხლი თავში ამივარდა, უცებ ისეთმა ციებ-ცხელებამ დამიარა ტანში, რომ ვიფიქრე, ესაა სულს გავაფრთხობ-მეთქი.

შევედი ოსტერიაში, რომელიც იმ დროს ცარიელი იყო, დავჯექი კუთხეში და ხმადაბლა დავუძახე ჯიჯის. ის დახლში იდგა და გაზეთს კითხულობდა. ჯიჯი მოვიდა, მიცნო, გადამეხვია, და მითხრა, შენი ნახვა ძალიან გამიხარდაო. ამან, ცოტა არ იყოს, გამამხნევა, რადგან აქამდე დედაჩემის მეტი არავინ შემხვედრია ალერსიანად. მღელვარებისგან ხმა ჩამიწყდა, თვალში ცრემლი მომერია, ჯიჯიმ კი, რამდენიმე გამამხნევებელი სიტყვა რომ მითხრა, დაურთო:

- დამაცა, როდოლფო, ვინ იყო, რომ მეუბნებოდა შენზე, საცაა დაბრუნდებაო? ჰო, გამახსენდა, გულელმო. გულელმოს ხსენებაზე ტანში დამბურძგლა, ავკანკალდი, ჯიჯიმ კი განაგრძო:

- არ ვიცი, საიდან გაიგო, მაგრამ სწორედ გულელმო მოვიდა და მითხრა, როდოლფო ბრუნდებაო... ნეტა ერთი დაგანახა, რა სახე ჰქონდა, შიშით აღარ იყო კაცი.

- შიშით აღარ იყო? - ვთქვი თავდახრილმა, - რისი ეშინია? განა სიმართლე არა თქვა? განა თავისი წმინდა ვალი არ მოიხადა, როცა ჩვენებას აძლევდა? ანდა, ვითომ ჟანდარმები ცუდი დამცველები არიან?

- ისევ ისეთი ხარ, როდოლფო, - მხარზე ხელი დამკრა ჯიჯიმ, - ოდნავადაც არ გამოცვლილხარ. სწორედ ამიტომ ეშინია გულელმოს, შენი აზრისა ეშინია... ასე ამბობს, როდოლფოსთვის ცუდი გულშიც არ გამივლია, მაგრამ მიბრძანეს,

სიმართლე მეთქვა და მეც მეტი რა გზა მქონდაო. მდუმარედ ვუსმენდი ჯიჯის. მან კი ერთი წუთის შემდეგ ისევ გამიბა ლაპარაკი:

- იცი, როდოლფო, რა საწყენია, რომ ორ ისეთ კაცს, როგორიც შენ და გულელმო ხართ, გძულთ და გეშინიათ ერთმანეთისა! გულახდილად მითხარი, გინდა შეგარიგოთ? მე გულელმოს ვეტყვი, რომ აღარ უწყრები, რომ ყველაფერი აპატიე და მშვიდობით დავამთავროთ ეს საქმე! ახლაღა მივხვდი, საით უმიზნებდა ჩემი მეგობარი და ვუთხარი:

- თავს ნუ შეიწუხებ, ნურაფერს ეტყვი.

- რატომ? - ფრთხილად მკითხა ჯიჯიმ, - ნუთუ ისევ ჯავრობ გულელმოზე? კარგია ერთი, ამდენი დრო გავიდა და გულისწყრომა არ გაგინელდა?..

- რას ნიშნავს დრო? - ვკითხე ჯიჯის, - აი, მე დღეს დავბრუნდი რომში, მაგრამ ისე მეჩვენება, თითქოს ყველაფერი გუშინ მოხდა... გრძნობები დროზე როდია დამოკიდებული.

- დაივიწყე, რაც მოხდა, - არ მეშვებოდა ჯიჯი, - დაივიწყე, როდოლფო. ასეთი ფიქრები არ უნდა გიტრიალებდეს თავში... რა აზრი აქვს ამას? არ გახსოვს ეს სიმღერა:

რაც იყო, გაქრა ქრება ისევე, გულო, ნურაფერს ნუ
გაიხსენებ! დამიჯერე, ძმაო, დაივიწყე წარსული და
დავლიოთ.

- კარგი, დავლიოთ, მაგაზე უარს არ გეტყვი, მომიტანე ნახევარი ბოთლი. - საკმაოდ ცივად ვუთხარი ჯიჯის. ჯიჯი უხმოდ გატრიალდა ღვინის მოსატანად.

მაგრამ ღვინო რომ მომიტანა, მაშინვე კი არ დამისხა, ჭიქა ისე გადგა განზე, თითქოს ჯერ რაღაცაზე უნდა შემითანხმდესო.

- როდოლფო, - დინჯად დაიწყო ჯიჯიმ, - რამე სისულელის ჩადენას ხო არ აპირებ?

- შენი საქმე არ არის, დაასხი, - ვუთხარი მე.

- აბა, იფიქრე, ჩემო კარგო: გულელმო ხომ ღარიბი კაცია, ძალზე ღარიბი. დიდი ჯალაბი აწევს კისერზე, ცოლი და ოთხი შვილი... ამას ანგარიში არ უნდა გაუწიო?

- დაასხი, ჩემს საქმეში ნუ ერევი, - ცივად მოვუჭერი ჯიჯის. ჯიჯიმ ნელა დაასხა

ღვინო, თან თვალს არ მაშორებდა.

- აიღე ჭიქა, ჯიჯი, დავლიოთ. ჩემი ერთადერთი მეგობარი ხარ. შენს გარდა, ქვეყნად არავინ მყავს.

- აი, როდოლფო, - დაიწყო ჯიჯიმ, თან აჩქარებით დაისხა ღვინო და დაჯდა. - სწორედ ამიტომ უნდა გითხრა სრული სიმართლე, შენი მეგობარი რომ ვარ. იცი, როგორ მოვიქცეოდი შენს ადგილზე? ბევრს არ ვიფიქრებდი. წავიდოდი გულელმოსთან და ვეტყოდი: „რაც იყო, იყო. მოდი ძმურად გადავეხვიოთ ერთმანეთს და წარსულს

ნულარ გავიხსენებთ“. ჯიჯიმ ჭიქა ასწია, პირთან მიიტანა, მაგრამ არ მოსვა, დაჟინებით მომაჩერდა.

- არ გაგიგონია ანდაზა: თავი ვინ მოგჭრა და საკუთარმა ძმამო. კიდევაც იმიტომ, ძირში მოუჭრიაო, - მივუგე მე.

ამ დროს ოსტერიაში ორი კაცი შემოვიდა, ჯიჯიმ სულმოუთქმელად გადაჰკრა ღვინო და შემოსულებს მიეგება.

ნელ-ნელა ვწრუპავდი ღვინოს და ვფიქრობდი: ვითომ რა ნუგეშია, რომ გულელმოს ჩემი ეშინია. პირიქით, უფრო მეტად მომეკიდა ცეცხლი. „ეშინია არამზადას“, - ვამბობდი ჩემთვის და სქელ ჭიქას ისეთი ძალით ვუჭერდი ხელს, თითქოს გულელმოს ყელი ყოფილიყო. „არამზადაა, ნამდვილი არამზადა. ის არ იკმარა, ყალბი ჩვენებით რომ დამღუპა, ახლა ჯიჯის გადაბირებაც მოიწადინა, ალბათ იმედი აქვს, რომ ჯიჯი დამიყოლიებს და შემარიგებს მასთან“. ამ ფიქრებში გამოვცალე ნახევარი ბოთლი და ისევ მოვითხოვე ღვინო.

- აბა, როდოლფო, როგორ გუნებაზე ხარ ახლა? - მკითხა ჯიჯიმ, ღვინო რომ მომიტანა, - გაგეხსნა თუ არა გულის კარი. ჰა, რას იტყვი იმაზე, მე რომ გირჩიე?

- კი, უკეთეს გუნებაზე დავდექი, ყველაფერი მოვიფიქრე, - დავამშვიდე მეგობარი.

- ასეთ საქმეში, ძმაო, დაფიქრებაა საჭირო, - დაიწყო ჯიჯიმ, - ხელაღებით არ შეიძლება გადაწყვეტა... გრძნობას როდი უნდა აჰყვე... სიმართლე შენს მხარეზეა, აქ საკამათო არაფერია, მაგრამ საქმე სწორედ ესაა, ახლა უნდა გამოიჩინო სულგრძელობა და გულელმოს აპატიო.

- გეტყობა გულელმომ მოგისყიდა, არა? - წამოვიძახე გამწარებულმა.

ჯიჯის არ ეწყინა, გულწრფელად მითხრა:

- არა, როდოლფო, არავის არ მოვუსყიდივარ. უბრალოდ, ორივეს მეგობარი ვარ, შენიც და იმისიც. მინდა შეგარიგოთ, მორჩა და გათავდა.

ისევ ღვინოს დავეწაფე, არ ვიცი ღვინო მომეკიდა, თუ რა იყო მიზეზი, უცებ თვალწინ დამიდგა პარტოლონგონეს ციხე და იქ გატარებული ორი წელი. გამახსენდა იმ ორი წლის მანძილზე რა

ტანჯვა-წვალება გამოვიარე, როგორ მჩაგრავდნენ, მავიწროებდნენ და ისე შემეცოდა ჩემი თავი, ისე შემეცოდა, რომ თვალი ცრემლით ამევსო. დიახ, ჯერ საკუთარი თავი შემეცოდა, მერე ყველა სხვა. რა უბედური ვარ, რა უბედური, ვფიქრობდი ჩემთვის, უდანაშაულო დამნაშავე. მერედა ჩემისთანა უბედური რამდენია! გულელმოც უბედურია, ჯიჯიც, დედაჩემიც, მამაც, ჩემი დაც, ძმაც, ყველა, ყველანი უბედურები არიან. გულელმო ახლა სულ სხვა სახით, ახლებურად წარმომიდგა, უკვე სხვა თვალით შევხედე და ნელ-ნელა იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჯიჯი მართალი იყო: დიახ, სულგრძელობა უნდა გამოვიჩინო და გულელმოს უნდა ვაპატიო. ამ ფიქრით უფრო მეტად შემეცოდა ჩემი თავი, ამასთანავე გულს ესალბუნა ის ამბავიც, რომ სულგრძელობის გამოჩენა გადავწყვიტე. მართალია, უწინაც ვიცოდი, რომ ადამიანს

უნდა აპატიო, სამაგიერო არ უნდა გადაუხადო, მაგრამ, თუ გული არ გიკარნახებს, ვერავის ვერ აპატიებ დანაშაულს. ამიტომ უცებ შემეშინდა, ვაითუ ამ კეთილშობილურმა აღტაცებამ მალე გამიაროს-მეთქი და, ეს რომ არ მომხდარიყო, მეორე ბოთლი გამოვცალე თუ არა, ჯიჯის ვუხმე:

- ჯიჯი, ერთი წუთით მოდი აქ. ჯიჯიმ არ დააყოვნა.

- ყველაფერი ავწონ-დავწონე, ჯიჯი, და გადავწყვიტე, რომ მართალი ხარ. აი, ძმაო, მზადა ვარ, თუნდ ახლავე წავიდეთ გულელმოსთან.

- ხომ ხედავ, როდოლფო, - გაეხარდა ჯიჯის, - საკმარისია ადამიანმა ცოტა ტვინს ძალა დაატანოს და კარგი ღვინო გადაჰკრას- გული უმალ ალაპარაკდება.

ამაზე ვერაფერი ვუპასუხე ჯიჯის, უცებ გული ამომიჯდა, სახეზე ხელები ავიფარე და მწარედ ავტირდი. იმ წუთში ჩემი თავი ისევ პარტოლონგონეს ციხეში დავინახე. კატორღელის ტანსაცმელი მეცვა და გული სევდით შემეკუმშა. თვალწინ დამიდგა, როგორ ვაშალაშინებ ციხის სახელოსნოში კუბოს ფიცრებს. ციხეში ყველა მუშაობდა, დურგლებს კი ძალიან მძიმე საქმე გვხვდა წილად. ჩვენ ვაკეთებდით კუბოს, პარტოფერიასა და კუნძულ ელბის სხვა სოფლების მიცვალებულთათვის. მუშაობის დროს რამდენჯერ მიფიქრია, ერთ-ერთ ამ კუბოში მეც ჩავწვები-მეთქი. ვტიროდი ცხარე ცრემლით, ჯიჯი კი მხარზე ხელს მითათუნებდა და მამშვიდებდა:

- კარგია, გეყოფა, ნუღარ იხსენებ წარსულს. მთელი ის საშინელება ხომ უკან მოიტოვე. წამო, წავიდეთ გულელმოსთან. მეგობრულად გადაეხვიეთ ერთმანეთს, მერმე ისევ ოსტერიაში დავბრუნდეთ და თქვენი შერიგების აღსანიშნავად ერთი ბოთლი კიდევ გამოვცალოთ.

- კარგი, წავიდეთ, - ვუთხარი და ცრემლი შევიმშრალე.

გამოვედით ოსტერიიდან. ჯიჯი წინ მიდიოდა, მე უკან მივყვებოდი. დაახლოებით ორმოცდაათი მეტრი რომ გავიარეთ, საფუნთუშესა და მარმარილოს სახელოსნოს შუა გამოჩნდა გულელმოს სახელოსნო. გულელმო არ გამოცვლილიყო, ისეთივე დაბალი, ჩასუქებული და ფერმკრთალი იყო. მელოტი თავი და ისეთი დაშაქრული სახე ჰქონდა, რომ ერთ და იმავე დროს მნათესაც ჰგავდა და იუდასაც. სალესავთან იდგა, თითქოს თავისი სამუშაოთი იყო გართული. ისე გულმოდგინედ ლესავდა დანას, ხან სიბრტყით შეუშვერდა წყლის ნაკადს, ხან ყუით, რომ ვერც კი შენიშნა, როგორ შევედით სახელოსნოში. დავინახე თუ არა გულელმო, ვიგრძენი, როგორ ამიდუღდა სისხლი. ვაგლახ! ტყუილი ცდა იყო, ვერა, ვერ გადავეხვეოდი ამ კაცს მეგობრულად, როგორც ჯიჯის უნდოდა. თუ გადავეხვეოდი, უსათუოდ ჩემდა უნებურად მოვაკვნეტდი ყურს, ან სხვა ასეთ რამეს ჩავიდენდი. ამასობაში ჯიჯიმ სიხარულით აღსავსე, მხიარული ხმით წამოიძახა:

- გულელმო, შეხედე, როდოლფო მოვიდა, შენთან შერიგება უნდა... რაც იყო, იყო, დაივიწყეთ ყველაფერი...

გულელმო ჩემკენ მობრუნდა, სახე შიშით მოეღრიცა, მიტრიალ-მოტრიალდა, თითქოს

გაქცევას აპირებსო. ჯიჯი ჩვენს გასამხნევებლად იძახდა: - აბა ჰე... ძმურად გადაეხვიეთ ერთმანეთს და ნუღარ ვილაპარაკებთ წარსულზეო. - უცებ, თითქოს რაღაც ჩამწყდა გულში და თვალთ დამიბნელდა.

- ოჰ, შე არამზადავ, შე ლაჩარო! შენ დამღუპე! - დავიყვირე და გულელმოს ვეცი, მინდოდა ყელში ვწვდომოდი.

გულელმომ ლაჩარივით შებღავლა, მოსხლტა და სახელოსნოს მეორე კუთხისკენ გაიქცა. ეს ცუდად მოუვიდა გულელმოს, ძალიან ცუდად. იმიტომ, რომ სახელოსნოს მეორე კუთხეში თაროები დანებით იყო დაგრეხილი, ეს დანები კი თვით წმინდანსაც შეაცდენდა. მე ხომ ორი წელი, მთელი ორი წელი ველოდი ამ წუთს.

- როდოლფო, გონს მოდი, როდოლფო, გაჩერდი... დაიჭირეთ! - ყვიროდა ჯიჯი.

გულელმო დასაკლავი ღორივით ჭყიოდა, მე ალალბედზე გამოვაძრე დანების გროვას ერთი დანა, გულელმოს ზურში დავუმიზნე, მაგრამ ის თავის დაცვას ლამობდა, მოულოდნელად შემობრუნდა და მოქნეული დანა შინ გულში ჩავკარი. ხელახლა რომ უნდა ჩამეკრა, ვიღაცამ ხელი მტაცა. ერთ წუთში უკვე ქუჩაში ვიყავი, ყოველმხრივ ხალხით გარშემორტყმული. ხალხი ჩემს გარშემო გროვდებოდა, ფუსფუსებდა, ყვიროდა, ცდილობდნენ სახეში ჩაეცხოთ ჩემთვის, ზოგი ზურგში მირტყამდა.

„ნახვამდის“. ასე ვუთხარი პარტოლონგონეს უფროსს ციხიდან გამოსვლისას და მართლაც იმავე

საღამოს რეჯინა ჩელის საკანში ვიჯექი სხვა ტუსაღთან ერთად. მინდოდა გული მომეოხებინა, ამიტომ, დაწვრილებით მოვუყევი ტუსაღებს ჩემი ამბავი. ერთმა მათგანმა, ეტყობოდა სწავლული კაცი იყო, ასე მითხრა:

- ძვირფასო მეგობარო, როცა შენ თქვი „ნახვამდის“, მაშინ შენი ქვეცნობიერი „მე“ ლაპარაკობდა შენს მაგივრად, რადგან უკვე იცოდი, რომ უსათუოდ იზამდი იმას, რაც დღეს ჩაიდინე.

იქნებ ის კაცი მართალი იყო, ასე ბრძნულად რომ ლაპარაკობდა, უთუოდ კარგად იცოდა, რა ჯანდაბაა ეს „ქვეცნობიერი მე“. მაგრამ ასეა თუ ისე, მე კვლავ ციხეში ამოვყავი თავი და ამჯერად თავისუფლებას ვუთხარი „მშვიდობით!“

მაისის წვიმა

ამ დღეებში ისევ ვაპირებ წასვლას მონტე-მარიოს „სანადირო“ ოსტერიაში. მე და ჩემი ამფსონები ყოველ კვირას იქ ვიკრიბებით, ერთი ჩვენგანი აკორდეონს უკრავს, დანარჩენები ერთმანეთს ვეცეკვებით, რადგან გოგონები არ გვახლავან. მაგრამ მე ვერასოდეს ვეღარ გავბედავ მონტე-მარიოში მარტო გამოჩენას. ღამღამობით ხშირად მესიზმრება იქაურობა, მესიზმრება ხასხასა მდელოზე დადგმული ხის უბრალო მაგიდები, ვხედავ, როგორ წკაპუნებს ამ მაგიდებზე მაისის ჟუჟუნა წვიმა, როგორ ირხევიან მაგიდებს ზემოთ ასვეტილი, პირქუში ხეები და ფოთლებიდან როგორ იფერთხავენ წვიმის მსხვილ, კამკამა წვეთებს. ხეებს იქით კი, შორს, შორს, ცაზე თეთრი ღრუბლები მიცურავენ და იმ ღრუბლებქვეშ ვრცლად გადაშლილია რომის პანორამა. ვხედავ ყოველივე ამას და კვლავ ჩამესმის ანტონიო ტოკის ხმა, ის მჭახე ხმა, რომელიც იმ დილას გაისმა სარდაფიდან - „დირჩე, დირჩე!“. თვალწინ მეხატება დირჩეც, ისევე ჩამივლის გვერდით, როგორც იმ დილას ჩამიარა, და მესმის, როგორ ჭრიალებს მისი მტკიცე ნაბიჯებით მისადგმელი კიბე.

ტოკისთან შემთხვევით მოვხვდი. სოფლიდან რომ ჩამოვედი, ერთმა ნაცნობმა მირჩია ოფიციანტად მემუშავა ტოკის ოსტერიაში. გარიგების თანახმად, ჩემი შრომის გასამრჯელოდ

მხოლოდ კერძი უნდა მიმეღო. ბევრი ფიქრი არ დამიწყია, გადავწყვიტე, მართალია, აქ ფულს ვერ დავაგროვებ, მაგრამ ოჯახში რომ ვიცხოვრებ, ესეც რამედ ღირს-მეთქი, და დავყაბულდი. მაგრამ რა ოჯახი იყო! ნამდვილი ჯოჯოხეთი, ოსტერიის პატრონი ანტონიო ტოკი ყველივით დამრგვალებული, ჩასუქებული კაცი გახლდათ, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა სიანჩხლეში. ფართო, ჩაშავებული, გაბუშტული სახე ნაოჭებით დაღარვოდა, გველის თვალებით მჩხვლეტავი პატარა წვრილი თვალები ჰქონდა. პიჯაკს არასოდეს არ იცვამდა, მუდამ ჟილეტით დაბრძანდებოდა და თვალებზე დღენიადაგ ჩამოფხატული ჰქონდა ნაცრისფერი ქუდი. მისი ქალიშვილი დირჩი ხასიათით არაფრით ჩამოუვარდებოდა მამას, ისეთივე კერპი, ავი და გულფიცხი იყო, ოღონდ ლამაზი. ეს გახლდათ ერთი იმ პატარა, კარგად ჩამოსხმული ქალთაგანი, სიარულისას ტანს რომ არხევენ და ისე მტკიცედ ადგამენ ფეხს, თითქოს ამბობენ, ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალამნადო. პირმრგვალი იყო დირჩე, შავწარბა, შავი თმა უმშვენებდა ფერმკრთალ სახეს. მარტო დირჩეს დედა იყო მთელ ოჯახში კეთილი. საწყალი ქალი, ორმოც წელს დიდად არ იყო გადაცილებული, მაგრამ სამოცი წლის მოხუცს ჰგავდა. გამხდარი, გაძვალტყავებული, თმათხელი, ცხვირმოკაუჭებული. თანაც, ვგონებ, ცოტა მოისულელებდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემზე ასეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, როცა ვხედავდი, როგორ იდგა გახევებული სახით ქურასთან და პირზე სულელური ღიმილი უთამაშებდა.

ოსტერიას ფასადი ქუჩისკენ ჰქონდა. უშნოდ გამოჩორკნილი უბრალო სოფლური სახლი იყო,

ორი თუ სამი ჭუტალა ფანჯრით. კარზე ხარის სისხლისფერი აბრა იყო გაკრული და ზედ ყვითელი ასოებით ეწერა: „ანტონიო ტოკის ოსტერია „სანადირო“. როგორც მოგეხსენებათ, ვაჭრობისთვის, ყველაზე ხელსაყრელი დრო ზაფხულია, დილიდან

დაღამებამდე არ ილეოდა მუშტარი. მოდიოდნენ მთელი ჯალაბით, შინაურნათესავებით, მოდიოდნენ შეყვარებული წყვილები, მხიარული ამფსონები, მოუსხდებოდნენ სუფრას და გიყვარდეს, შეექცეოდნენ ტოკის ნამზად კერძსა და ღვინოს, თან ქალაქის ხედით ტკბებოდნენ.

ასეთ დღეებში წუთი რა არის, წუთით არ გვქონდა მოსვენება, მე და ტოკი ძლივს ვასწრებდით ჭურჭლის ალაგებას და კერძის მირთმევას. დირჩე და დედამისი მთელი დღე კერძის კეთებასა და ჭურჭლის რეცხვაში აღამებდნენ.

დასაძინებლად რომ დავიშლებოდით, ისე ვიყავით ქანცმილეულნი, რომ ერთმანეთის შეხედვის თავი აღარ გვქონდა. სამაგიეროდ ზამთარში, ან ავდრიან დღეებში, ოჯახში ნამდვილად ჯოჯოხეთი იწყებოდა. მამა-შვილი დანასისხლად იყვნენ ერთმანეთში. ტოკი დიდი ყეყეჩი, ბარბაროსი და ხარბი კაცი იყო. სულ პაწია საბაბი კმაროდა, რომ მოთმინება დაეკარგა და მუშტი დაეტრიალებია. არც შვილი იყო ნაკლები, გულჩახვეული, კლდესავით შეუვალი გახლდათ და ამიტომაც თავისი გაჰქონდა. სისხლ-ხორცით ერთნი რომ იყვნენ, იქნებ სწორედ ამიტომ სძულდათ ასე ერთმანეთი. აკი ამბობენ, ზოგჯერ სისხლ-ხორცით ერთნი ყველაზე ულმობელი

მტრები ხდებიანო. მაგრამ გარდა ამისა, მამა-შვილს შორის სიძულვილს ანგარებაც აღვივებდა. დირჩე მეტად პატივმოყვარე ბრძანდებოდა, თავისი ხვედრით უკმაყოფილო იყო და უკეთესისკენ ილტვოდა. რომის პანორამას წყალობით, ამ ჩვენი ოსტერიიდან რომ მოჩანს დიდი ფულის მოგება შეიძლება, - იტყოდა ხოლმე დირჩე, - მამაჩემი კი ყველაფერს წყალში ყრისო. დირჩეს უნდოდა, ოსტერიის ეზოში მოცემენტებული საცეკვავო მოედანი გაეკეთებინა, დაექირავებინა ორკესტრი, ვენეციური ფერადი ფანრებით მოერთო იქაურობა. ერთი სიტყვით, დირჩეს უნდოდა მათი ოსტერია - „სანადირო“ ახალი მოდის რესტორნად ექცია და ამ რესტორნისთვის „რომის პანორამა“ ეწოდებია.

მაგრამ ტოკი ამ განზრახვას უნდოდ უყურებდა, ნაწილობრივ იმის გამო, რომ დიდი წუწურაქი იყო, სძულდა ყოველივე ახალი და, გარდა ამისა, ეს წინადადება დირჩემ მისცა, ტოკი კი უწინ ყელს გამოიჭრიდა, ვიდრე დირჩეს დაუთმობდა რასმე.

მამა-შვილს შორის დავა მუდამ სუფრაზე ატყდებოდა ხოლმე. მუდამ დირჩე იყო დავის ამტეხი, საკინკლაო მიზეზი არ გამოელეოდა, უბრალო რამეზე აუხირდებოდა მამას და შეურაცხყოფას მიაყენებდა. ჩხუბის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ყოველ ნასადილევს ტოკის აბოყინებდა, დირჩე კი ვერ იტანდა ამას, ხელად აქოთქოთდებოდა. ტოკი ჯერ დასწყევლიდა დირჩეს, მაგრამ წყევლით რომ ვერ შეაწყვეტინებდა ქოთქოთს, ლაზათიან სილას გააწნავდა. ამ დროს

სიამოვნებით იკვნეტდა ქვედა ტუჩს და თვალებს წკურავდა. დირჩეზე ეს სილაქები ისე მაცოცხლებლად მოქმედებდა, როგორც ცვარი ყვავილზე, უფრო გაანჩხლდებოდა და იმ ზომამდე მიიყვანდა ტოკის, რომ კაცს აღარაფერი ესმოდა, ეცემოდა დირჩეს, თმაში სწვდებოდა და მუშტებს დაუშენდა. მათი ცემა-ტყეპის დროს ჭურჭელს ზრიალი გაუდიოდა, ძირს ცვიოდა და იმსხვრეოდა. საბრალო დედა შუაში ჩაუვარდებოდა მათ, აშველებდა, მაგრამ სულელური ღიმილი, ყურებამდე რომ უპობდა პირს, არც მაშინ შორდებოდა მის სახეს. მე კი, ამ საშინელი სურათით

გულმოწყლული, სახლიდან გავვარდებოდი და დიდხანს დავხეტიალობდი მარტოდმარტო მიმავალ გზაზე.

რასაკვირველია, ამ ოჯახში დამრჩენი არ ვიყავი, სადმე გადავიკარგებოდი უგზოუკვლოდ, დირჩე რომ არ შემყვარებოდა. საერთოდ, ისეთი დინჯი და სერიოზული კაცი ვარ, რომ აგრე ადვილად არავინ დამახვევს თავბრუს. ჩემზე არც ნაზი სიტყვები მოქმედებს, არც სიყვარულით სავსე მზერა, მაგრამ სულ სხვაა, როცა ქალი, ყოველგვარი ნაზი სიტყვებისა და თვალებით საუბრის გარეშე, მოვა შენთან, თანაც შენთვის სრულიად მოულოდნელად, და თავის სულსა და სხეულს ჩაგაბარებს. მაშინ კაცს ისე შეგეკვრება ხელ-ფეხი, როგორც მახეში გაბმულს. რაც უფრო მეტად ცდილობ თავი დააღწიო მახეს, მით უფრო ღრმად გესობა მისი მჭრელი კბილები. როგორც ჩანდა, დირჩემ ჩემს გაცნობამდე გადაწყვიტა ყველაფერი, მისთვის ნამდვილად სულ ერთი იყო, მე ვიქნებოდი თუ სხვა. მოვეწყვე თუ არა ტოკის ოსტერიაში, დირჩე იმ ღამესვე

შემოვიდა ჩემთან. ნახევრად ძილღვიძილში ვიყავი, არც კი მესმოდა ოცნება იყო ეს თუ სინამდვილე და ვეღარ გავიგე, ჩემი გულგრილობა და სიმშვიდე როგორ შეცვალა ვნებამ. აკი მოგახსენებთ, ჩვენ ერთმანეთისთვის არ გვითქვამს ნაზი სიტყვები, არც თვალებით მივფერებივართ ერთმანეთს, არც ხელზე ხელი მოგვიჭერია, როგორც ეს შეყვარებულებმა იციან. ყველაფერი ისე მოხდა, თითქოს დირჩე ქუჩის დედაკაცი ყოფილიყო. ოღონდ ქუჩის ქალი როდი გახლდათ, პირიქით, ამპარტავანი, უკარება ქალის სახელი ჰქონდა, ამიტომაც გავები მახეში.

წინდახედული და მომთმენი ვარ, მაგრამ სიფიცხე მაკლია, და თუ ვინმე გამახელებს, სისხლი თავში ამივარდება. ამ თვისებებს ადვილად შემამჩნევს ყველა: ქერა ვარ, ფერმკრთალი, სულ პაწია მიზეზი საკმარისია, რომ სახეზე წამოვენთო. რა თქმა უნდა, დირჩემ შემამჩნია ეს და გახელება დამიწყო. მალე მივუხვდი, რა უნდოდა ჩემგან. ტოკის წინააღმდეგ მაქეზებდა. ლაჩარი ხარ, ნამდვილი ლაჩარი! ჩამძახოდა დირჩე. აბა, როგორ ითმენ, შენ წინ რომ მცემს მამაჩემი, თმით მათრევს, წიხლით ზედ მდგება. ლაჩარი ხარ, მა რა ეშმაკი ხარ! დირჩე ტყუოდა-მეთქი, ვერ ვიტყვი. ჩვენ რომ ერთმანეთის საყვარლები ვიყავით და, ბუნებრივია, რომ დირჩე ჩემგან გამოსარჩლებას ელოდა. ოღონდ მე ისიც კარგად მესმოდა, გუნებაში რა ედო დირჩეს. მიუხედავად ამისა, მაინც ცეცხლი მეკიდებოდა, როცა ლაჩარს დამიძახებდა. სწორედ ის მიკიდებდა ცეცხლს, რომ განგებ სჩადიოდა ამას. ერთი სიტყვით, აუტანელ დღეში ვიყავი. არ

ვიცი, რას ვიზამდი, დირჩე მოულოდნელად რომ არ შეცვლილიყო. ბოლო ხანებში აღარ მაქეზებდა, ძალიან ალერსიანი გახდა. ერთ დღეს გვერდით მომიჯდა და საუბარი გამიბა: ჯვარს რომ დავიწერთ, აქ რესტორანი გავხსნათ, ჩვენ ვიქნებით ყველაფრის ბატონ-პატრონი, ჩვენს გემოზე მოვაწყოთ აქაურობა და რესტორანს „რომის პანორამა“ დავარქვათ. რა კარგი იყო ამ დროს, ნაზი, ალერსიანი. ეს იყო ჩვენი სიყვარულის საუკეთესო დღეები. მე უზომოდ ბედნიერი ვიყავი დირჩეს ცვლილებით, მაგრამ კარგად რომ ჩავუკვირდი ყველაფერს, გადავწყვიტე, რაღაც ცუდი პირი უჩანს ამ საქმეს-მეთქი. მართლაც, დიდ დროს არ გაუვლია, რომ ამინდი მესამედ შეიცვალა. ერთ დღეს ისევ გვერდით მომიჯდა დირჩე და მომავალზე საუბარი გამიბა: რა აზრი აქვს ჯვრისწერას, ვიდრე მამაჩემი ცოცხალია, სიკეთეს მაინც

ვერ ვეღირსებითო. ბოლოს აღარაფერს მოერიდა და პირდაპირ მომახალა: „უნდა მოვკლათ“. ისეთივე მტკიცე, შეუდრეკელი იყო იმ წუთებში დირჩე, როგორც იმ ღამეს, პირველად რომ შემოვიდა ჩემთან. არც თვალთმაქცობა, არც მერყეობის ნიშანწყალი არ ემჩნეოდა. პირდაპირ მომახალა ეს სიტყვები და დიდ ფიქრსა და წყვეტებაში ჩამაგდო.

მეორე დღეს დირჩეს მოვახსენე, ძალიან შემცდარხარ, თუ ასეთ საქმეში ჩემგან დახმარებას ელი-მეთქი. თუ ასეა, თვალით აღარ დამენახო, ჩემთვის შენ აღარ არსებობო, მომახალა და ზურგი შემაქცია. ის დღე იყო და ის, მას შემდეგ ზედაც არ მიყურებდა, თითქმის არც კი ველაპარაკებოდით ერთმანეთს. ახლა მეც შემძულდა ტოკი. ასე მეგონა, რომ ყველაფერში ის იყო

დამნაშავე. ტოკი კი, თითქოს ცდილობდა, უფრო მეტად შეეძულებია ჩვენთვის თავი, დღე ისე არ გავიდოდა, ოჯახში აყალმაყალი და აურზაური არ აეტეხა.

მაისი იყო, გაზაფხულის ყველაზე მშვენიერი თვე. ამ დროს ხალხი დიდი ხალისით სეირნობს, შედის ოსტერიაში, სვამს ღვინოს და ჭყინტ ლობიოს შეექცევა. მაგრამ ეს გაზაფხული ძალზე ავდრიანი დაიჭირა, სულ კოკისპირულად ასხამდა, ღვართქაფი ჩამოსდიოდა ხეებს, ხასხასა მდელოს, და ჩვენს ოსტერიაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ეს კი არაფრად ეპიტნავებოდა ტოკის, უამისოდაც გულღვარძლიანს ბოღმა ახრჩობდა. ერთ დღეს, სასაუზმოდ მაგიდას რომ მივუსხედით, ტოკიმ საუზმის თეფშს ხელი გაჰკრა და დირჩეს შეუღრინა:

- წვნიანის ნაცვლად განგებ შემომაჩეჩე ეს სალაფავი?

- განგებ რომ ვაკეთებდე, საწამლავს გავურევდი შიგ, - მოკლედ მოუჭრა დირჩემ.

ტოკიმ ერთი შეუბღვირა შვილს, მერე ხელი მოიქნია და ისეთი სილა სტკიცა, რომ საწყალ დირჩეს თმიდან სავარცხელი ამოუვარდა. კოკისპირული წვიმებისგან ისე იყო ჩამოღამებული, რომ ოთახში თითქმის ბნელოდა და იმ სიბნელეში დირჩეს სახე მარმარილოსავით ანათებდა. იმ მხარეს კი, საიდანაც სავარცხელი ამოუვარდა, დაშლილი თმა ნელა ეშვებოდა ძირს, თითქოს ახლად გაღვიძებული გველი მოცურავსო.

- ტოკი, მოეშვი დირჩეს! - შევყვირე უცებ.

- სხვის საქმეში ნუ ეჩრები!

შემიღრინა ტოკიმ, მაგრამ შევატყვე, ცოტა არ იყოს, შეცბა, მე ხომ პირველად ჩავერიე მათს ჩხუბში.

სუსტი არსება რომ დავიცავი (თუმცა არც მთლად ასე იყო საქმე), დიდი სიამაყე ვიგრძენი. „ახლა კი დამიბრუნდება ჩემი დირჩე. ეს ერთადერთი ხერხია მის მოსანადირებლად“, - გავიფიქრე და ისევ ტოკის მივუბრუნდი:

- იცოდე, მოეშვი დირჩეს, გესმის. ხელი აღარ ახლო, თორემ!..

თან ალმური მომედო სახეზე. სისხლი მომაწვა თვალებში. დირჩემ მაგიდის ქვეშ ხელზე ხელი მომიჭირა. საქმე მოგებული მაქვს, გადავწყვიტე გულში და შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლებოდა.

- რაო?

წამოიჭრა გაცეცხლებული ტოკი და ახლა მე გამაწნა სილა. მე კი ხელი წამომავლე ღვინით სავსე ჭიქას და ცხვირ-პირში შევასხი. ბოლო ხანებში ისე შემძულდა ტოკი, რომ მთელი თვე ვოცნებობდი, თუ როგორ შევასხამდი ღვინოს ცხვირ-პირში. ჰოდა, აი უკვე, ჩავიდინე, რაც გადაწყვეტილი მქონდა, ტოკის წუწრურით ჩამოსდიოდა ღვინო, მე კი ფხოჭა-გლეჯით ავირბინე კიბე, უკან ტოკის ღრიალი მომდევდა:

- მოგკლავ, გაგაქრობ, შე მაწანწალა, შენა!

შევვარდი ჩემს ოთახში, კარი გადავრაზე. ფანჯარასთან მივედი და შეუნელებელი წვიმის ფარდას მივაპყარ თვალი. მერე გაცეცხლებული მივბრუნდი, უჯრიდან დანა ამოვიღე და ფანჯრის რაფაში ისეთი ძალით ჩავარჭე, რომ ტარი ძირში გადატყდა.

დიახ, ჩვენ ზევით ვცხოვრობდით, იმ წყეულ მონტე-მარიოს ბორცვზე. ვინ იცის, რომის ცენტრში რომ მეცხოვრა, ეგებ არ დავთანხმებულიყავი ასეთ საქმეზე, მაგრამ აქ, იმ სიმაღლეზე, თითქოს ყველაფერი შესაძლებელი იყო და რაც ჯერ კიდევ გუშინ შეუძლებლად მიმაჩნდა, დღეს უკვე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი.

ასე და ამგვარად, მე და დირჩემ მოვითათბირეთ, შევარჩიეთ ხერხი, დღე და საათიც კი. ტოკი

დილდილაობით მისადგმელი კიბით სარდაფში ჩადიოდა ღვინის ამოსატანად. დირჩე მუდამ თან მიჰყავდა, დიდი ბოთლის ამოტანაში შველოდა. მე სარდაფში უნდა ჩავყოლოდი დირჩეს და, როცა ტოკი კასრთან ღვინის ჩამოსასხმელად დაიხრებოდა, რკინის მოკლე ქარცახს ჩავცხებდი თავში. მერე კიბეს განზე გადავაგდებდით და ვიტყოდით, ტოკი ჩამოვარდა და კისერი მოიტეხაო. თითქოს მინდოდა ასე მექნა, თან არც მინდოდა, ვღელავდი, ბოღმა მახრჩობდა.

- იცი რად ვშვრები ამას? - ვუთხარი დირჩეს, - უნდა დაგიმტკიცო, რომ ლაჩარი არა ვარ... მერე კი მშვიდობით, სამუდამოდ გადავიკარგები აქედან.

- კარგი, ნურაფერს ნუ იზამ, ისე წადი, - მიპასუხა დირჩემ, - ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, სულაც არ მინდა, ჩემი გულისთვის დაიღუპო.

თუ დასჭირდებოდა, კარგად იცოდა თავის მოკატუნება, თითქოს მეტისმეტად ვუყვარდი. ჰოდა, მეც შევპირდი, თხოვნას აგისრულებ, დავრჩები და შენთან ერთად გავხსნი აქ რესტორანს-მეთქი.

იმ დღეს, როცა ჩვენი გადაწყვეტილება სისრულეში უნდა მოგვეყვანა, ტოკიმ დირჩეს უთხრა,

ბოთლი წამოიღეო, და სარდაფში ჩავიდა. ისევ კოკისპირულად ასხამდა წვიმა, სახლში თითქმის ბნელოდა. დირჩემ აიღო ბოთლი, თვალი გამისწორა და მანიშნა, ჩამოდიო. ღუმელთან მდგარმა დირჩეს დედამ ყველაფერი დაინახა. გვერდით ჩავუარე მას, ღუმელთან მივედი, დავიხარე და რკინის ქარცახი ავიღე. დირჩეს დედა ერთ ადგილზე გაშეშდა პირდაღებული. ჯერ მე შემომხედა, მერე დირჩეს, თვალები თანდათან დაუმრგვალდა და გაუფართოვდა. მაგრამ აშკარა იყო, თუნდაც

მიმხვდარიყო, რას ვაპირებდით, მაინც არავის არაფერს ეტყოდა. ამ დროს სარდაფიდან ტოკის ღრიალი მოისმა:

- დირჩე, დირჩე!

- მოვდივარ! - ხმა მიაწვდინა დირჩემ.

მახსოვს სწორედ იმ უკანასკნელ წუთებში, როცა დირჩემ თეძოების რხევით ჩამიარა და თავისი მტკიცე ნაბიჯით ჩაჰყვა კიბეს, როგორ მომწყურდა მისი სიახლოვე.

ამ დროს ბაღში გასასვლელი კარი გაიღო, ოთახში ზურგზე ტომარაწამოხურული კაცი შემოვიდა, თავით ფეხამდე გალუმპული იყო, წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. ეს მეფორნე გახლდათ. ჩემთვის არც კი შემოუხედავს, ისე მთხოვა:

- მომეხმარე, ყმაწვილო!

ანგარიშმიუცემლად გავყევი, ქარცახი ისევ ხელში მეჭირა. იქვე ჩვენს მეზობლად, ვიღაცის მამულში ბოსელს აშენებდნენ და ქვით დატვირთული ფორანი გზაზე ტალახში ჩაფლულიყო. ცხენმა ვერაფრით ვერ დაძრა ფორანი, მეფორნე კი გადაირია, სახე მოექცა, მხეცს დაემსგავსა. ქარცახი იქვე მივაგდე ბალახში, ფორანს თვალებქვეშ ქვები შევუყენე და უკნიდან მივაწექი. მეფორნე სადავით ეწეოდა ცხენს. წვიმა არ ნელდებოდა, შხაპუნით იღვრებოდა დიდგულას ბუჩქებსა და აყვავებულ აკაციის ხეებზე, რომლებიც ირგვლივ ტკბილ, დამათრობელ სურნელს აფრქვევდნენ. ვერაფრით რომ ვერ დავძარით ფორანი, მეფორნე უშვერი გინებით მივარდა ცხენს და გამწარებულმა შოლტი დაუშინა, მერე ქარცახს დასწვდა. ის საბრალო, მარტო იმან როდი გადარია, რომ ფორანი ტალახში ჩაეფლო, არა, ალბათ ამის მიზეზი აუტანელი მძიმე ცხოვრება იყო და ახლა საკუთარი ცხენი მოსისხლე მტრად ეჩვენებოდა. „მორჩა, ახლა კი გაათავებს ცხენს“, - გავიფიქრე. მინდოდა დამეყვირა, გადააგდე ეგ ქარცახი, გონს მოდი-მეთქი, მაგრამ უცებ თავში გამიელვა, თუ ეს კაცი ცხენს მოკლავდა, მე ნამდვილად გადავრჩებოდი, ისე მომეჩვენა, თითქოს მთელმა ჩემმა რისხვამ მეფორნის სულში გადაინაცვლა. აი, ის მთელი ძალით დააწვა ხელნას, კიდევ ერთხელ სცადა, მაგრამ, ადგილიდან რომ ვერ დაძრა, გონდაკარგულმა თავში ჩაცხო ცხენს ქარცახი. თვალი დავხუჭე, ვერ ვხედავდი, მაგრამ მესმოდა, როგორ დაუშინა ქარცახი ცხენს თავში. უცებ სულში უცნაური სიცარიელე ვიგრძენი, თითქოს

გონს ვკარგავდი, თვალი რომ გავახილე, დავინახე როგორ მოხარა ცხენმა წინა ფეხები და მიწას განერთხო. მეფორნე კი ისევ ურტყამდა თავში ქარცახს, ახლა უკვე იმისათვის, რომ ცხენი მოეკლა. უცებ ცხენი გვერდზე გადაქანდა, ერთი ორჯერ გაიძაგრა, მოდუნებული ფეხებით ჰაერს წიხლი ჰკრა და თავი ტალახში ჩაფლო. სახემოქცეული მეფორნე შედგა, სულს ძლივს იბრუნებდა, ქარცახი გადააგდო, ერთი კიდევ ჩასცხო წიხლი ცხენს, მაგრამ უკვე აღარანაირი შიშით, რადგან გამოერკვა და იცოდა, რომ ცხენი მოკლა. ვცდილობდი არ მივკარებოდი, ფრთხილად ჩავუარე გვერდი და ნელა გავყევი გზას. ამ დროს ქალაქისკენ მიმავალი ტრამვაის წკარუნი შემომესმა, გაქანებულს შევახტი, უკან მოვიხედე და უკანასკნელად გამიელვა თვალწინ მაისის წვიმით განბანილმა, ხშირ ფოთლებში ნახევრადმიმალულმა აბრამ: ანტონიო ტოკის ოსტერია „სანადირო“.

მოეშვი, მიზეზს ნუ ეძებ

რატომ არ გამაფრთხილა ანეზემ? ისე როგორ წავიდა შინიდან, რომ გამოთხოვებისას ერთი-ორი სიტყვა მაინც არ მითხრა? მე ხომ ჩემი თავი უნაკლო კაცად არ მიმაჩნია. რომ აეხსნა რით იყო უკმაყოფილო, აუცილებლად დავფიქრდებოდი. მაგრამ, არა, ორი წლის მანძილზე სიტყვა არ დაუძრავს. ერთ მშვენიერ დღეს კი, როცა შინ არ ვიყავი, სახლიდან ისე გამეპარა, როგორც მოახლეებმა იციან ხოლმე, სხვაგან რომ უკეთეს ადგილს შეიგულებენ. უკვე ექვსი თვე გავიდა მას აქეთ და დღესაც არ ვიცი, რისთვის მიმატოვა ანეზემ.

იმ დილას, ჩვენი უბნის პატარა ბაზარში სანოვაგის საყიდლად გავედი. ძალიან მიყვარს ბაზარში სიარული, მიყვარს ვაჭრობა, დავა, საქონლის სინჯვა და შეფასება. ყველაფრის მაზანდა ვიცი. აბა ისე რა გემო აქვს, თუ ჩემი თვალით არა ვნახე, რა ხორციდან ამიჭრიან საბიფშტექსე ნაჭერს, რომელი კალათის ვაშლს ამიწონიან. ვიყიდე რაც მინდოდა, სანოვაგე შინ მივიტანე და ისევ ქალაქში გავედი, რომ სასადილო ოთახის ფარდისთვის მეტრ-ნახევარი ფოჩი მეყიდა. საამისოდ განსაზღვრული თანხა მქონდა გადადებული და მეტის დახარჯვას არ ვაპირებდი. რამდენიმე მაღაზია შემოვიარე, ვიდრე ვია დელ უმილტოს ქუჩაზე, პატარა დუქანში არ წავაწყდი სწორედ ისეთ ფოჩს, როგორიც მინდოდა! შინ რომ დავბრუნდი, თორმეტის ოცი წუთი იყო. პირდაპირ

სასადილო ოთახში შევედი ფარდის და ფოჩის ფერის შესადარებლად. შევადგი თუ არა ფეხი სასადილოში, უმალ თვალში მეცა მაგიდაზე დაწყობილი სამელნე. კალამი და ბარათი. მართალი გითხრათ, ჯერ მელნით დალაქავებულ სუფრას მივაქციე ყურადღება და გავიფიქრე: ოჰ, რა ბედოვლათია ეს ჩემი ცოლი, სუფრა მოუსვრიამეთქი.

გადავაწყვე სამელნე, კალამი და ბარათი, ავიღე სუფრა, სამზარეულოში გავედი და მელნის ლაქა ლიმონით ამოვიყვანე. სასადილოში დავბრუნდი, სუფრა ისევ გადავაფარე მაგიდას და მხოლოდ ამის შემდეგ გამახსენდა ბარათი. ბარათი ჩემს სახელზე იყო:

ბარათი გავხსენი და წავიკითხე: „ოთახები დავალაგე, სადილი შენ თვითონ გაიკეთე, ეს საქმე შენ უკეთ გემარჯვება. მშვიდობით, ჩემს ოჯახში ვბრუნდები, დედასთან. ანეზე“.

თავდაპირველად ვერაფერი გავიგე. შემდეგ ხელახლა გადავიკითხე წერილი და როგორც იყო მივხვდი: ანეზემ მიმატოვა, ორი წლის ცოლქმრობის შემდეგ სამუდამოდ მიმატოვა.

ნათქვამია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. ყველაფრის თავის ადგილზე შენახვა მიყვარს. ამიტომ ბარათი კარადის უჯრაში ჩავდე და ფანჯარასთან, პატარა სავარძელში ჩავჯექი. არ ვიცოდი, რა მეფიქრა. მოულოდნელი ამბავი დამატყდა თავს. ამ დროს იატაკს თვალი მოვავლე

და პატარა, თეთრი ფრთა დავინახე. ეს ფრთა უთუოდ მტვრის საწმენდს გამოძვრა, როცა ანეზე სახლს ალაგებდა. ავდექი, ფანჯარა გამოვაღე, ფრთა ქუჩაში გადავაგდე, ქუდი დავიხურე და შინიდან გავედი.

ქვაფენილზე რომ მივაბიჯებდი, იქაც ჩვეულების ძალით, ერთი ფილიდან უთუოდ მესამე ფილაზე ვადგამდი ფეხს, თან ვფიქრობდი: მაინც ისეთი რა დავუშავე ანეზეს, რისთვის მიმატოვა, რად მომიკლა გული? ოდესმე ეჭვიანობის საბაბი ხო არ მიმიცია? არა, სულ უმნიშვნელო ცოდვაც არ ჩამიდენია. ქალები არასოდეს მიტაცებდნენ, იმ დღიდან კი რაც ანეზე შევირთე, ისინი ჩემთვის აღარ არსებობდნენ. იმდენად გულგრილი ვიყავი, რომ ანეზე ხანდახან განგებ მკითხავდა ხოლმე:

- ახლა სხვა ქალი რომ შეგიყვარდეს, ნეტა როგორ მოიქცევი?

- ანეზე, ეს შეუძლებელია, - წამოვიძახებდი მაშინვე, - ეს არ მოხდება. მე მხოლოდ შენ მიყვარხარ და ჩემი სიყვარული სამარადისოა.

ეს ჩემი „სამარადისო სიყვარული“ თითქოს არაფრად ეპიტნავებოდა ანეზეს. როგორც კი სიყვარულზე ჩამოვუგდებდი სიტყვას, მაშინვე მოიღუშებოდა და გაჩუმდებოდა.

იქნებ ანეზეს გაქცევის მიზეზი ფულია, ან შესაძლოა ჩვენი ცხოვრების ნირი არ მოსწონდა? - გავყევი კვლავ ფიქრს.

მაგრამ ახლაც იმ დასკვნამდე მივედი, რომ სინდისი წმინდა მქონდა. მართალია, ფულს იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ვაძლევდი. აბა რაში სჭირდებოდა ანეზეს ფული? მე ხომ ყველგან თან დავყვებოდი, რაიმეს ყიდვას თუ მოისურვებდა, ფულს სიამოვნებით ვიხდიდი. არა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, რა დაეწუნება ასეთ ცხოვრებას: კვირაში ორჯერ - კინო, კვირაში ორჯერ - ყავახანა. მე ისეთი წვრილმანი კაცი არა ვარ, რომ სათვალავში ჩავაგდო ჩემი ცოლი რამდენ ნაყინს მოითხოვს ყავახანაში თუ მხოლოდ ყავას. თვეში ორი ილუსტრირებული ჟურნალი, გაზეთი ყოველდღე. ზამთარში ხანდახან ოპერაშიც დავდიოდით. ზაფხულს მამაჩემის აგარაკზე ვატარებდით - მარინოში. ასე ვერთობოდით. რაც შეეხება ტანსაცმელს, ანეზეს სასაყვედურო ამ მხრივაც არაფერი ჰქონდა რა, რაც კი დასჭირდებოდა, აზღუდი იყო, წინდა თუ ცხვირსახოცი, უარი არაფერზე მითქვამს. წავყვებოდი მაღაზიაში, ერთად შევარჩევდით საქონელს და უყოყმანოდ ვიხდიდი ფულს. ვერაფერს მეტყოდა მკერავზე ან მექუდეზე. საკმარისი იყო ეთქვა, ახალი ქუდი ან ახალი კაბა მინდაო. მუდამ მზად ვიყავი : წამო, გეთაყვა, ვიყიდოთ, რაც გინდა-მეთქი, ვეტყოდი. თუმცა გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ ანეზე სულაც არ იყო მომთხოვნი. ერთი წელიც არ გასულიყო ჩვენი შეუღლების დღიდან, რომ ჩაცმადახურვაზე მთლად აიყარა გული. ხანდახან მე თვითონ

შევახსენებდი: ანეზე, ესა და ეს უნდა იყიდო. არ მჭირდებაო, მიპასუხებდა, შარშანდელი მაქვს შემონახულიო. ხშირად მიფიქრია, ეს ჩემი ცოლი სხვა ქალებს არა ჰგავს, სულ არ ცდილობს კარგად ჩაცმას...

მაშ ანეზეს ჩემგან არც სიყვარული დაკლებია, არც ცხოვრების სახსარი. რჩება მხოლოდ ის, რასაც ვექილები „ხასიათის სხვაობას“ უწოდებენ. რაღა ხასიათის სხვაობაა, თუკი ორი წლის მანძილზე ერთმანეთს არაფერში შევდავებივართ? არც ერთხელ-მეთქი, არც

ერთხელ! თუ მართლა არსებობდა ეს ხასიათის სხვაობა, ორი წლის მანძილზე აუცილებლად იჩენდა თავს. არ მახსოვს როდისმე ანეზეს წინააღმდეგობა გაეწიოს ჩემთვის, თითქმის არც კი ლაპარაკობდა. ხანდახან მთელი საღამო ისე გაივლიდა, კრინტს არ დაძრავდა. მე კი ენას არ ვაჩერებდი. გამოგიტყდებით, მიყვარს ლაპარაკი და ჩემი საუბრით ვტკბები კიდეც. თუ ახლობელ ადამიანს ველაპარაკები, ხომ სულ ენად გავიკრიბები ხოლმე. ხმა მაქვს მშვიდი, სუფთა, არც ძლიერ მაღალი, არც ძლიერ დაბალი, ნარნარი, წყნარი და, რა თემაზეც უნდა ვილაპარაკო, საკითხს აუცილებლად ამომწურავად ვაშუქებ. ყველაზე მეტად საოჯახო საქმეებზე მიყვარს საუბარი. მომწონს მსჯელობა ბაზრის ფასებზე, ოთახში ავეჯის გაწყობაზე, საჭმელებზე, გათბობაზე, ერთი სიტყვით, ყველაფერზე. ამ საკითხებზე ლაპარაკი ძლიერ მსიამოვნებს. თვითონაც შემიმჩნევია, ზოგჯერ თავიდან ვიწყებ უკვე ერთხელ თქმულს. მაგრამ, გულახდილად რომ თქვას კაცმა, აბა სხვა რაზე უნდა ველაპარაკო ქალს, თუ არა ასეთ საკითხებზე?

ანეზე თითქოს გულისყურით მისმენდა ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენებოდა. მხოლოდ ერთხელ, როცა აბაზანის ელექტროგამხურებლის მოწყობილობას ვუხსნიდი, ანეზეს დაეძინა. მე გავაღვიძე და ვკითხე:

- რა იყო, ანეზე, მოგეწყინა?

- არა, არა, დაღლილი ვარ, წუხელ ცუდად მეძინა, - აჩქარებით მომიგო ანეზემ.

ჩვეულებრივად ქმრების უმეტესობა მსახურობს ან ვაჭრობს, ანდა, თუ საქმე არა აქვთ, მეგობრებთან სეირნობენ და მათთან სჯა-ბაასით ერთობიან. ჩემთვის კი ანეზე ცვლიდა ყველაფერს - სამსახურს, ვაჭრობას და მეგობრებსაც. ანეზეს ერთი წუთით არ ვტოვებდი მარტოს, გვერდიდან არ ვშორდებოდი, კერძს რომ აკეთებდა, იქნებ არც კი დაიჯეროთ, მაგრამ ასე იყო, აუცილებლად მის გვერდით დავერჭობოდი. ძალიან მიყვარს კერძის კეთება, ავიფარებდი წინსაფარს და ვეხმარებოდი. ცოტ-ცოტას ყველაფერს ვაკეთებინებდი: კარტოფილს ვფცქვნიდი, მუხუდოს ვხალავდი, ხორცს ვკეპავდი კატლეტისათვის, ქვაბებზეც მეჭირა თვალი. ერთი სიტყვით, ისე კარგად ვეხმარებოდი, რომ ანეზეს ხშირად უთქვამს:

- იცი რა... შენ თვითონ გააკეთე. მე თავი მტკივა... წავალ, ცოტახანს წამოვწვები.

ანეზე გავიდოდა, მე კი მარტო ვტრიალებდი სამზარეულოში. ხანდახან წიგნის დახმარებით ახალ კერძსაც ვაკეთებდი. ცუდი ის იყო, რომ ანეზეს მაინცდამაინც არ უყვარდა ჭამა. ბოლო ხანებში ხომ მთლად დაკარგა მადა და პირს არაფერს აკარებდა. ერთხელ ვითომ და ხუმრობით მითხრა ჩემმა ცოლმა:

- ალფრედო, შენ კაცად შეცდომით გაჩნდი... შენ ხომ ქალი ხარ, დიასახლისი...

მე ვფიქრობ, ამ სიტყვებში ცოტაოდენი სიმართლე ურევია: კერძის კეთების გარდა, სარეცხის რეცხვაც მიყვარს, უთოობაც, კერვა და სხვა ამგვარი საქმეები.

როგორც მოგახსენეთ, ანეზეს ერთი წუთითაც არ ვშორდებოდი. დედა ან ამხანაგი რომ ეწვეოდა, მეც გვერდით მოვუსკუპდებოდი. ერთხელ ანეზემ, არ ვიცი რა მოეჩვენა, ინგლისური ენის სწავლა გადაწყვიტა და მასწავლებელთან დაიწყო სიარული, რა

თქმა უნდა, მეც ავეტორღიალე და მხოლოდ იმისთვის, რომ ანეზესთან ვყოფილიყავი, ამ ძნელი ენის შესწავლაც კი დავიწყე. დიახ, ისე შევეთვისე ჩემს ანეზეს, რომ რამდენჯერმე ძალიან სასაცილო მდგომარეობაში ჩავვარდი. მაგალითად, ერთხელ ყავახანაში ვისხედით. ანეზემ რაღაც მითხრა ხმადაბლა და საპირფარეშოსკენ წავიდა. მე ვერ გავიგე რა მითხრა, უკან დავედევნე და ის იყო საპირფარეშოში

უნდა შევყოლოდი, რომ მსახურმა გამაჩერა და ამიხსნა : ეს ქალების საპირფარეშოა, თქვენი აქ შესვლა არ შეიძლებაო. დიახ, სანთლით რომ ეძებოთ, ისეთ ქმარს, როგორიც მე ვარ ვერსად იპოვით.

- აქა და აქ უნდა წავიდე, მავანს უნდა შევხვდე, შენთვის იქ საინტერესო არაფერია, შინ დარჩი, - მეტყოდა ხოლმე ანეზე.

- არა, მეც წამოვალ... საქმე მაინც არაფერი მაქვს.

- რა გაეწყობა, წამოდი, ოღონდ წინასწარ გეუბნები, რომ მოგწყინდება. არ ყოფილა

  შემთხვევა, რომ ანეზესთან სადმე მომწყენოდეს.

- ხომ ნახე, რომ არ მომწყინდა! - ვეუბნებოდი ანეზეს.

ასე, ყველაფერი გავიხსენე და ისევ ამაოდ შევეკითხე ჩემს თავს: მაინც რატომ მიმატოვა ანეზემ? ამ ფიქრებში მამაჩემის მაღაზიას მივაღწიე. ეს საეკლესიო ჭურჭლის მაღაზიაა, მინევრის მოედნის მახლობლად. მამაჩემი შუახნის კაცია, შავი თმა აქვს, შავი ულვაში, ულვაშს ქვემოთ

ყოველთვის, რაღაც იდუმალი, ჩემთვის გამოუცნობი ღიმილი უკრთის. მას მღვდლებთან და ღვთისმოსავ ხალხთან აქვს საქმე, ამიტომ მეტად თვინიერია, მშვიდი და ზრდილობიანი კაცია. თუმცა დედაჩემი, ყველაზე უკეთ იცნობს მამას, ხშირად იტყვის ხოლმე: კარგად იცის თავის მოკატუნებაო.

შევედი მაღაზიაში, ჩავუარე ვიტრინებს, სადაც საცეცხლურები და სანაწილეებია გამოდგმული, და უკანა ოთახში გავედი. იქ მამას კანტორა აქვს. მამაჩემი, ჩვეულებისამებრ, ანგარიშში ჩაფლული იჯდა და ულვაშს იკვნეტდა.

- მამა, იცი, ანეზემ მიმატოვა! - შევძახე აღელვებით. მამამ შემომხედა და თითქოს

  ულვაშში ჩაიღიმა, შეიძლება მომეჩვენა კიდევაც.

- სამწუხაროა, სამწუხარო, - მითხრა მამამ, - მომიყევი, როგორ მოხდა? ყველაფერი რომ

  ვუამბე, ბოლოს დავურთე:

- რასაკვირველია, ეს ამბავი სხვაზე მეტად ჩემთვის არის სამწუხარო, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს, რატომ მიმატოვა ანეზემ.

- ნუთუ ვერ ხვდები, რატომ მიგატოვა? - მორიდებით მკითხა მამამ.

- ვერა.

- ძალიან ვწუხვარ, ჩემო შვილო, - ამოიხვნეშა მამამ, - აღარ ვიცი, რა გითხრა... შვილი ხარ, გარჩენ, მიყვარხარ... მაგრამ ცოლზე... ცოლზე შენ თვითონ უნდა იფიქრო.

- კი მაგრამ, რატომ მიმატოვა, რატომ?

- მე შენს ადგილას ამის გამორკვევას არ შევუდგებოდი... მოეშვი, მიზეზს ნუ ეძებ.

- ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მამა.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ორი მღვდელი შემოვიდა, მამა მაშინვე წამოდგა, მოგვიანებით შემოიარე... მოვილაპარაკოთ... ახლა საქმე მაქვსო, მითხრა და შემოსულებს მიეგება. მამაჩემისგან მეტს არაფერს ველოდი და მაღაზიიდან გამოვედი.

ანეზეს დედაც იქვე მახლობლად ცხოვრობს ვიქტორ-ემანუელის პროსპექტზე. ერთადერთი

ადამიანი, ვინც ამ საიდუმლოს ამიხსნის, თვით ანეზეა, გავიფიქრე და მისკენ გავეშურე. ავირბინე კიბე, შევედი სასტუმრო ოთახში, მაგრამ ანეზეს ნაცვლად დედამისი შემომეგება, ამ ქალს კი ვერ ვიტან, ისიც ვაჭრობს, ძალზე ცბიერი და გულჩახვეულია, თმას შავად იღებავს, ლოყაწითელაა, სახე მუდამ უღიმის. ხალათი ეცვა, მკერდზე ვარდი ებნია. დამინახა თუ არა, ნაძალადევი თავაზიანობით მითხრა:

- ოო, ალფრედო, საიდან სადაო?

- დედა, ხომ იცით რისთვისაც მოვედი. ანეზემ მიმატოვა.

- ჰო შვილო, ანეზე აქ არის, რას იზამ, ხდება ხოლმე. - მშვიდად მითხრა სიდედრმა.

- ნუთუ ამის მეტს ვერაფერს მეტყვით? ჩაციებით მომაჩერდა და მერე მკითხა:

- თქვენებს თუ უთხარი?

- დიახ, მამას.

- რაო, მამამ რა გითხრა? ნეტა რაში ეკითხება რა მითხრა მამაჩემმა?

- ხომ იცით მამაჩემის ამბავი... ვკითხე, ნეტავ რა მიზეზით-მეთქი და - მიზეზს ნუ ეძებო.

- სწორად უთქვამს შვილო... მიზეზს ნუღარ ეძებ.

- კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, არ უნდა გავიგო რისთვის მიმატოვა ცოლმა? რა დავუშავე ასეთი?

გაგულისებული რომ ვამბობდი ამას, თვალი მოვავლე მაგიდას. ხავერდის სუფრა ეფარა, სუფრაზე თეთრი, მოქარგული ხელსახოცი იდო და ზედ ვაზა იდგა, ვაზაში ყაყაჩოები ჩაეწყოთ. მაგრამ ხელსახოცი მაგიდის შუაგულზე როდი იდო. არ მესმოდა, რას ვშვრებოდი, უნებურად ავწიე ვაზა, ხელსახოცი შუა მაგიდაზე დავდე და ვაზა ზედ დავადგი. ანეზეს დედა ღიმილით მიყურებდა.

- ყოჩაღ... ახლა ხელსახოცი სწორედ მაგიდის შუაგულშია, - დაიწყო დუმილის შემდეგ ანეზეს

დედამ, მე ვერ შევნიშნე ეს უწესრიგობა, შენ კი უმალ შეამჩნიე... ყოჩაღ... ახლა კი, შვილო, ჯობს, წახვიდე.

ანეზეს დედა ადგა, მეც ავდექი. მინდოდა მეკითხა, შეიძლება ანეზეს ნახვა, თუ არამეთქი, მაგრამ დროზე მივხვდი, რომ ამაო ცდა იქნებოდა. გარდა ამისა, შემეშინდა, ვიცოდი, ანეზეს დავინახავდი თუ არა, თავგზა ამებნეოდა და რამე სისულელეს ჩავიდენდი. ასე გაწბილებული წამოვედი სიდედრის სახლიდან. ისე დღე იყო და ის, მას აქეთ ჩემი ცოლისთვის თვალი აღარ მომიკრავს. იქნებ ოდესმე მიხვდეს ანეზე, რომ ჩემისთანა ქმარს ვეღარ შეხვდება, მაგრამ ანეზე ისე ვერ გადმოდგამს ფეხს ჩემი კარის ზღურბლზე, თუ არ მითხრა, რად მიმატოვა.

სიცხის ოინები

ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ და უთუოდ ამიტომ ვერ შევეგუე ქმრისა და ოჯახისთავის მოვალეობას. ვგონებ ამისივე ბრალია, რომ ზაფხულობით, საგრძნობლად ჩამოცხება თუ არა, სადმე გაპარვა მომინდება ხოლმე. რომში, შეძლებულ ოჯახებში, ზაფხულობით დილაადრიან ხურავენ დარაბებს და ვრცელ ოთახებში ღამის გრილი ჰაერი ტრიალებს. ასეთ ბინაში ყველაფერი თავის ადგილზეა, დაკრიალებული, სისუფთავით და მორთულობით კოხტაობს. ბინდბუნდში მკრთალად ბრწყინავენ სარკეები, მარმარილოთი მოგებული იატაკი, გაკრიალებული ავეჯი. იქ სიჩუმეც როგორღაც გრილი და დამამშვიდებელია, მოგწყურდება და ლანგარზე დადგმულ ბროლის ჭიქით მოგართმევენ ცივსა და გემრიელ სასმელს - ლიმონათს ან ფორთოხლის წყალს და ჭიქაში მხიარულად წკარუნებს ყინული. მარტო ეს წკარუნიც კმარა ადამიანის გასახალისებლად.

სულ სხვაა ღარიბთა სახლები. ჩამოცხება თუ არა, დახუთულ ოთახებში დილიდანვე დადგება ბუღი და მთელი ზაფხული არ ნელდება. წყალი მოგწყურდება, სამზარეულოში ონკანიდან ბულიონივით თბილი წყალი მოდის. ბინაში კუდს ვერ მოიქნევ. ისე გეჩვენება, თითქოს ავეჯი, ტანსაცმელი, ჭურჭელი გადიდდა, გაჯირჯვლდა და შენზე მოიწევს, სულს გიხუთავს. ყველა

პერანგის ამარაა, მაგრამ პერანგი სველია და ოფლის სუნი ასდის. ფანჯრებს თუ დახურავთ, სული შეგეხუთებათ, რადგან ღამის სიგრილე არ დგება თაგვის სოროსავით პატარა ოთახებში, სადაც ექვს სულს სძინავს. ფანჯარას გააღებთ და - ბინაში შემოიჭრება მზე, რომელსაც თან შემოაქვს გახურებული რკინის, ოფლისა და მტვრის სუნი. სიცხის ჩამოდგომასთან ერთად ნირიც ეცვლება ადამიანებს, უბრალოდ რამეზე აპილპილდებიან, ფხუკიანობენ, ჩხუბობენ. მდიდარ კაცს რა უჭირს, ასეთ შემთხვევაში თავს გაარიდებს, ერთი ოთახიდან მესამე ან მეოთხე ოთახში გავა, ღარიბები კი პირისპირ უნდა დარჩნენ ქონიან თეფშებთან და ჭუჭყიან ჭიქებთან, ანდა შინიდან უნდა გაიქცნენ.

ერთ ასეთ თაკარა დღეს მთელ ოჯახს წავეჩხუბე: ცოლს იმის გამო, რომ წვენი მეტისმეტი ქაფქაფა და მლაშე იყო. სიმამრს იმის გამო, რომ ჩემს ცოლს გამოექომაგა. ჩემი აზრით, სიმამრს ამის უფლება არ ჰქონდა, რადგან უმუშევარი იყო და მე მაწვა კისერზე. ცოლისდას იმისათვის, რომ ჩემი მხარე ეჭირა, ამანაც გამაბრაზა, ვუყვარვარ და მეკეკლუცება. დედაჩემს იმისათვის, რომ ჩემს დაშოშმინებას ლამობდა, მამას იმის გამო რომ მთხოვა, ლუკმა შემარგეთო, და ბოლოს ჩემს გოგონას იმიტომ, რომ ღრიალი მორთო. ხელი დავტაცე პიჯაკს და გაცეცხლებულმა მივახალე:

- იცით რას გეტყვით? თავი მომაბეზრეთ. მივდივარ. ოქტომბერში შევხვდებით ერთმანეთს, როცა აგრილდება.

საწყალი ჩემი ცოლი გარეთ გამოვარდა, მოაჯირზე გადმოიხარა და დამიყვირა:

- მოიცა, კიტრის სალათაც გვაქვს, შენ რომ გიყვარს.

- თვითონ მიირთვი, ავძახე ქვემოდან და ქუჩაში გავვარდი.

ჩვენ ვია ოსტიენზე ვცხოვრობდით. ქუჩა გადავჭერი, ანგარიშმიუცემლად გავწიე თუჯის ხიდისკენ. დღის ორ საათზე პაპანება აუტანელი ხდება, თან იმ დღეს სიროკოც ქროდა და ცას ტყვიის ფერი ედო, ვეებერთელა, ჩალურჯებულ თვალს ჰგავდა. ხიდთან რომ მივედი, რკინის მოაჯირს მივეყრდნე, გავარვარებული მოაჯირი ხელს მწვავდა, ორ კედელს შუა მომწყვდეული მღვრიე, ყვითელი ტიბრი არხს უფრო ჰგავდა, ვიდრე მდინარეს. თვალი მოვავლე მიდამოს. აგერ, გაზგოლდერი აღიმართა ჩემს წინ, შენობის გარუჯულ კარკასს რომ მოგაგონებს, გამოჩნდა გაზის ქარხნის ღუმელები, ბენზინცისტერნის მილსადენები, თბოელექტროცენტრალის მახვილკუთხოვანი სახურავი. ყველა ეს ისე შემოჯაროდა ჰორიზონტს, რომ უფრო ჩრდილოეთის რომელიმე საწარმოო ქალაქს ჰგავდა, ვიდრე რომს. ერთ ხანს ვიდექი იქ, ჩავცქეროდი ვიწრო კალაპოტში მოქცეულ ტიბრს, ნავმისადგომთან მდგარ, ცემენტის ტომრებით დატვირთულ კარჭაპს და გუნებაში მეცინებოდა, რომ ამ თხრილს ნავსადგური ჰქვია, ისევე, როგორც მაგალითად გენუის ან ნეაპოლის ნავმისადგომებს, სადაც უზარმაზარი

ხომალდები უშვებენ ღუზას. ნამდვილად რომ გადამეწყვიტა გაქცევა, აქედან ნეტა სად წავიდოდი! დიდი-დიდი ფუიმიჩინომდე მივსულიყავ, იქ ცოტა ხანს ზღვის მზერით დავტკბებოდი, შემწვარ თევზს მივირთმევდი და ამით დამთავრდებოდა ჩემი მოგზაურობა.

ბოლოს მაინც გზა განვაგრძე. გადავიარე ხიდი და ტიბრის მეორე ნაპირზე გადაჭიმული უშენი ადგილებისაკენ გავემართე. ვყოფილვარ და ხეირიანად არც კი ვიცოდი, საით მივდიოდი. ჯერ ჩვეულებრივ მოასფალტებულ გზაზე მივაბიჯებდი, გზის ორივე მხარეს ნაგვით უხვად მოფენილი ხრიოკი მინდორი მიჰყვებოდა. შემდეგ ეს გზა ბილიკმა შეცვალა, ნაგავი აქ უკვე ბორცვებად იდგა. ალბათ რომის მთელი ნაგავი აქ გამოაქვთ-მეთქი, გავიფიქრე უნებლიეთ. ბალახის ერთი ღეროც კი არსად ჩანდა. სამაგიეროდ მიდამო უხვად იყო მოფენილი ქაღალდის ნახევებით, კონსერვის დაჟანგული ქილებით და საჭმლის ნარჩენებით. მზის დამაბრამავებელი, კაშკაშა შუქი უხვად ეფინა იქაურობას და დამპლის მძაფრი სუნი ტრიალებდა. გაუბედავად შევდექი, ვეღარ გადამეწყვიტა რა მექნა, არც შინ მინდოდა დაბრუნება, არც წინ წასვლა, ამ დროს უცნაური ხმა შემომესმა, ვიღაც ისე აწკლატუნებდა პირს, თითქოს ძაღლს უძახისო.

მივბრუნდი, მაგრამ ძაღლი არსად ჩანდა. ძაღლი რომ ვერ დავინახე, გავიფიქრე, უთუოდ მე მეძახიან-მეთქი. იქით მივიხედე, საიდანაც ხმა მოდიოდა. ნაგვის დიდი გროვის უკან პაწია, რკინის სახურავიანი, დაფერდებული ქოხი დავინახე, ასე, რვა წლის ქერა გოგონა ქოხის კართან

იდგა და შემოდიო, მანიშნებდა. გაფითრებული იყო, ჭუჭყიანი, თვალები ამოშავებოდა, როგორც ქალს, ბუმბულით და თივით სავსე თმა ძერასავით აბურძგნოდა. კაბის ნაცვლად ოთხ ადგილად გახვრეტილი ტომარა ჩამოეცვა, ორი ნახვრეტი ფეხების გასაყრელად ჰქონდა, ორი კი ხელებისა. მისკენ რომ გავეშურე, გოგონამ მკითხა:

- შენ ექიმი ხარ?

- არა, რაო, ექიმი გჭირდება?

- თუ ექიმი ხარ, შემოდი, - განაგრძო გოგონამ, - დედა ცუდად არის.

აღარ დავუწყე მტკიცება, ექიმი არა ვარ-მეთქი, და ქოხში შევედი. პირველ წუთებში ისე მომეჩვენა, თითქოს კამპო დი ფიორის ბაზრის მეწვრილმანის დუქანში მოვხვდი. ჭერიდან ძირს ეშვებოდა ლურსმნებზე ჩამოკონწიალებული ხარახურა: წინდები, ფეხსაცმელი, ჭურჭელი და ყოველგვარი ჭინჭები. მაგრამ მალე მივხვდი, რომ ქოხის ბინადრებს, ავეჯის უქონლობის გამო, ლურსმნებზე ჩამოეკიდათ მთელი თავისი ავლადიდება. მიმერტყა და აქეთ-იქით მიმოვიხედე, გოგონას დედას ვეძებდი. გოგონამ კუთხეში ძონძების გროვაზე მიმითითა. კარგად რომ დავაკვირდი, დავინახე, რომ ძონძების გროვა დაჟინებით მომჩერებოდა ერთი მოელვარე

თვალით, მეორე თვალს ჩამოშლილი ჭაღარა თმა უფარავდა. ქალის სახემ შემზარა, მოხუცს ჰგავდა, თან აშკარად ეტყობოდა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. თვალი თვალში რომ გამიყარა, წამოიძახა:

- მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს ყოველთვის.

გოგონამ ისე გადაიკისკისა, თითქოს რაღაც თავშესაქცევარი და სასაცილო წარმოდგენა იწყებოდა, მერე ჩაცუცქდა და კონსერვის ცარიელი ქილებით თამაში დაიწყო.

- კი მაგრამ, მე რომ არ გიცნობ, - ვუთხარი ქალს, - ვინა ხარ? ეს გოგონა შენი შვილია?

- რა თქმა უნდა... ის შენი შვილიც არის, - მიპასუხა ქალმა. თავჩაქინდრულმა გოგონამ ისევ ჩაიკისკისა. მე ხუმრობაში ჩამოვართვი ეს სიტყვები.

- იქნებ მართლა ჩემი იყოს, მაგრამ ვაი თუ სხვისია!

- არა! - წამოიძახა ქალმა და მომათითა, - სწორედ შენი შვილია, მხოლოდ შენი... უსაქმურო, არამზადავ, ლაჩარო. აი, ვინა ხარ შენ! ეს შეურაცხმყოფელი სიტყვები რომ გაიგონა გოგონამ, ისევ გულიანად გადაიკისკისა.

- ენა გააჩერე!.. - შევძახე აღშფოთებით. - ხომ გითხარი არ გიცნობ-მეთქი, არც ვიცი, ვინა ხარ.

- მაშ არ მიცნობ, არა? არ მიცნობ და მაინც დაბრუნდი? თუ მართლა ასეა, როგორ მოაგენი ჩემს სახლს?

- ლაჩარო, არამზადავ, ლაჩარო, არამზადავ, - ხმადაბლა ღიღინებდა გოგონა. ისედაც აშლილი ვიყავი, ახლა კი სიმწრის ოფლმა დამასხა.

- მე აქ შემთხვევით მოვხვდი, გესმის?

- ჰო, საბრალო, შემთხვევით მოხვდა! - დაცინვით ჩაილაპარაკა ქალმა, მერე გოგონას მიუბრუნდა და უბრძანა:

- საფულე მომაწოდე.

გოგონამ ცქვიტად ჩამოხსნა ლურსმნიდან შავი ხავერდის დაფხრეწილი, გაზინთული საფულე და დედას მიაწოდა. დედამ საფულე გახსნა, ფურცელი ამოიღო და მითხრა:

- აი ქორწინების მოწმობა: ელვირა პროეტი, მეუღლე ერნესტო რაპელისა... ახლაც იუარებ, ერნესტო რაპელი? მეც ერნესტო მქვია, საშინლად გამაოცა ჩვენი სახელების დამთხვევამ.

- ჰო, მაგრამ, მე რაპელი რომ არ გახლავართ! - ძლივს ამოვიღე ხმა.

- აჰა, რაპელი არა ხარ?..

- ერნესტო, ერნესტო, - ღიღინებდა გოგონა.

ქალი წამოდგა. კარგად ვივარაუდე, მართალია, ჭაღარა იყო, უკბილო პირი და დანაოჭებული სახე ჰქონდა, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ ოცდაათ წელზე მეტი ხნისა არ იყო.

- მაშ შენ ბრძანებ, რაპელი არა ვარო? - დოინჯშემოყრილი მოიწევდა ჩემსკენ, თან დაჟინებით მიცქეროდა. - დიახ, რაპელი ხარ. ღვთისა და ხალხის წინაშე ვფიცავ, რომ სწორედ რაპელი ხარ.

- გასაგებია, გეტყობა გუნებაზე ვერა ხარ. ნება მიბოძე, დაგტოვო.

- არა, მოიცა, ჯერ ნუ წახვალ! აღტაცებით ჭკუადაკარგული გოგონა გარშემო დავლურს მივლიდა. ქალმა კვლავ დამცინავი ხმით წამოიწყო:

- ერნესტო, სინიორ ერნესტო... რომელმაც მიატოვა ცოლ-შვილი, შინიდან გაიქცა და მთელი წელიწადი არ გამოჩენილა... იცი თუ არა, როგორ ვცხოვრობდით მე და ჩემი გოგო ამ ხნის მანძილზე?

- არ ვიცი, - მკვახედ მივახალე. - არც მინდა რომ ვიცოდე. ჩამომეცალე, უნდა წავიდე.

- უთხარი, შვილო, - დაუყვირა ქალმა გოგონას, - უთხარი მამაშენს, რით ვცხოვრობდით.

- მოწყალებით, - ხალისიანად უპასუხა გოგონამ და თვითონაც მომიახლოვდა.

უნდა გამოგიტყდეთ, დავიბენი. რა საოცრად დაემთხვა ჩემი საკუთარი ამბავი მათს ამბავს:

სახელი ერნესტო, ის, რომ მეც სახლიდან გამოვიქეცი, რომ მეც მყავს ცოლ-შვილი. ყველა ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ უცებ მომეჩვენა, თითქოს მე - მე არა ვარ, არამედ ვიღაც სხვა, თან თითქოს მე ვიყავი, მაგრამ სულ სხვანაირი, საკუთარ თავს ვერა ვცნობდი. ქალმა შემატყო დაბნევა და პირში ჩამძახა:

- იცი, რა მოელის იმას, ვინც ოჯახს ტოვებს? კატორღა... გესმის, ბოროტმოქმედო? კატორღა.

შიშმა ამიტანა, კრინტი ვეღარ დავძარი, წასასვლელად რომ მოვბრუნდი, ზღურბლზე ვიღაც ქალი დავინახე. ღარიბულად, მაგრამ სუფთად ჩაცმული. ჩემი გაოცებული და დაბნეული სახის დანახვაზე, ქალმა მითხრა:

- ყურს ნუ უგდებთ... შეშლილია... ვისაც დაინახავს, ყველა თავისი ქმარი ჰგონია... ეს საზიზღარი გოგო კი განგებ უხმობს გამვლელებს. დედის ყვირილი და სისულელის როშვა ართობს... დამაცა ერთი, მე შენ გიჩვენებ, შე უკეთურო, შე კუდიანო, შენა!

და ხელი მოუქნია გოგონას, მაგრამ ის მარდად დაუსხლტდა, დარტყმა აიცდინა, ისევ დაუარა დავლური ჩემს გარშემო და მხიარულად აჭყლოპინდა:

- ხომ დაიჯერე, მართლა დაიჯერე და შეგეშინდა... იიი, შეგეშინდა, შეგეშინდა...

- ელვირა, - რბილად უთხრა ახალშემოსულმა, - ეს შენი ქმარი არ არის.

ელვირამ უმალ დაიჯერა, რომ მისი ქმარი არ ვიყავი, გაჩუმდა და ისევ თავის კუთხეში მიწვა. ქალი ქოხში შემოვიდა, ღუმელთან დაიხარა და ნაკვერცხალი გადაქექა.

- მე ვუმზადებ კერძს, - ამიხსნა ქალმა, - ეს საწყლები მართლა მოწყალებით ირჩენენ თავს, მაგრამ ის კი ტყუილია, თითქოს ელვირა ქმარმა მიატოვა. ის საბრალო გარდაიცვალა.

ასი ლირი ამოვიღე და გოგონას გავუწოდე. მან ისე ჩამომართვა ფული, რომ მადლობაც არ უთქვამს. ქოხიდან გამოვედი და სწორედ იმავე გზას დავადექი, რომელმაც აქ მომიყვანა. ჯერ ბილიკს გავყევი, მერე მოასფალტებულ გზას, გადავიარე ხიდიც და ვია ოსტიენზით შინისაკენ გავწიე.

ქოხის დახუთულ ჰაერთან შედარებით ჩემს ბინაში ისე გრილოდა, როგორც გამოქვაბულში. მართალია, უბრალო ავეჯი გვიდგას, მაგრამ მაინც სჯობს ლურსმნებს, იმ უბედურებს ზედ რომ ეკიდათ თავისი ჭინჭები. სამზარეულოში სუფრა უკვე აელაგებინათ, ცოლმა ჩემთვის შენახული კიტრის სალათა დამიდგა წინ. ვჭამდი პურსა და სალათას, თან თვალს ვერ ვაშორებდი ცოლს, რომელიც ბაკანთან იდგა და ჭურჭელს რეცხავდა. ბოლოს ავდექი, კისერში ვაკოცე და ასე შევრიგდით.

რამდენიმე დღის შემდეგ ქოხის ამბავი მოვუყევი ჩემს ცოლს და გადავწყვიტე, უსათუოდ წავალ, იმ ხალხს მოვინახულებ, ეგებ საცოდავი ბავშვისთვის რამე გავაკეთო-მეთქი. იმის შიში აღარ მქონდა, რომ იქ ერნესტო რაპელად მიმიღებდნენ. მაგრამ, დამიჯერებთ კია, ვეღარც ქოხი ვიპოვე, ვეღარც შეშლილი, ვერც ის გოგონა და ვერც მათი მომვლელი ქალი. თაკარა მზეში თითქმის ერთი საათი ვიბორიალე ნაგვის გროვებს შორის, მაგრამ მათ ასავალ-დასავალს ვერა და ვერ მივაგენი. ბოლოს პირში ჩალაგამოვლებული შინ დავბრუნდი. ჩემმა ცოლმა მითხრა, ჩვენი მიტოვება რომ დააპირე, სინდისმა შეგაწუხა და ეგ ამბავი იმიტომ შეთხზეო.

დუბლიორი

მე და აღათის მთელი წელიწადი გვიყვარდა ერთმანეთი. მერე აღათის გული ნელნელა გაუგრილდა და ისე ხშირად ვეღარ ვნახულობდი. ეს ცეცხლის ჩაქრობას ჰგავს: თავდაპირველად თითქოს ვერაფერს ამჩნევთ, მერე კი უცებ დაინახავთ, რომ ნაცარი და დანახშირებული მუგუზლებიღა დარჩენილა და სიცივე აგიტანთ. ჯერ ისეთი შემაშფოთებელი არაფერი მომხდარიყო, გულმა ავი რომ მიაზრა. ეს იყო მხოლოდ, რომ აღათი ბოლო დროს მეტისმეტი სიტყვაძვირი გახდა. რამდენჯერმე შევნიშნე, ცივად მიყურებდა. ბოლოს მომიზეზებაც დაიწყო: შეუძლოდ ვარ, ვერ მოვალ, დედას უნდა მივეხმარო, არა მცალია, კურსებზე მივდივარ. ნუ დამელოდებიო. ამას მოჰყვა პაემანზე დაგვიანება, თითქმის მთელი საათი მალოდინებდა, მერე რაღაც მიზეზს მოიდებდა და ხელად უკან გარბოდა. ფხუკიანობდა, ნერვიულობდა, ერთი ბეწო რამეზე აპილპილდებოდა და ისე გაგულისებული მიპასუხებდა, თითქოს ყველაფერი, რასაც ვეტყოდი, უადგილო იყო. რამდენჯერმე მომეჩვენა, ჩემი ალერსი და კოცნა კი არა, ხელის მიკარებაც ეზარებოდა. საშინლად ვიტანჯებოდი, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ აღათი ასე ცუდად მექცეოდა, ვერ იქნა და გულიდან ვერ ამოვიღე. დამშვიდობებისას კბილებში რომ გამოსცრიდა: „ნახვამდის, ჯინო“, ისევე ამიფართქალდებოდა გული სიხარულით, როგორც უწინ, როცა მეტყოდა ხოლმე: „ოო, როგორ მიყვარხარ“. უკანასკნელად, ფლამინოს მოედანზე შევხვდით ერთმანეთს. გამბედაობა მოვიკრიბე და მტკიცედ დავიწყე:

- აღათი, მოდი, გულახდილად მითხარი, აღარ გიყვარვარ, ხომ?

- უჰ, რა სქელკანიანი ხარ!.. - გადაიხარხარა აღათიმ. - ძალიან მაინტერესებდა, როდის მოხვიდოდი აზრზე... ძლივს არ მიხვდი.

ერთ ხანს გაშტერებული ვიდექი, მერე ცივად შევტრიალდი, ისე როგორც ტიკინა ტრიალებს ღერძის გარშემო, და წავედი. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადავდგი, უკან მოვიხედე, იქნებ აღათიმ დამიძახოს-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ! არხეინად წავიდა ტრამვაის გაჩერებისკენ და გულდამშვიდებით დაუწყო ლოდინი. მეტი რაღა დამრჩენოდა, ჩემი გზა განვაგრძე.

ახლა გულიანად მეცინება, იმ ტანჯვას რომ ვიხსენებ, მაშინ კი სიყვარულით დაბრმავებული გახლდით და მძიმე დღეები გამოვიარე. ვცდილობდი გული ამეყარა აღათიზე, მაგრამ ვერაფერს გავხდი, ისევ ძველებურად მიყვარდა ის შეჩვენებული. ხშირად გუნებაში ჩამოვთვლიდი მის ნაკლს : „ფეხმოღრეცილია, უშნოდ დაბაჯბაჯებს, კოტიტა ხელები აქვს, მუქი თმა, გაცრეცილია, ჩაყვითლებული. ცხვირი? ცხვირს ნუღარ იკითხავთ, ზემოთ ფართო, ქვემოთ აბზეკილი, სწორედ ყავადანის სახელურს მიუგავს“. - ვლაპარაკობდი ჩემთვის, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამაო იყო ყველაფერი. აღათის ფეხები, ხელები და ცხვირი სწორედ იმიტომ მომწონდა, რომ ულამაზო ჰქონდა. ახლა მისი ხასიათის გარჩევას მოვყვებოდი: „ტყუილის გუდაა, გაუნათლებელი, ჩიტის ჭკუა აქვს, პატივმოყვარეა, თავკერძა და პრანჭია“. ვაგლახ! არც ეს მშველოდა. აშკარა იყო, რომ აღათის ნაკლიც კი სისხლს მიდუღებდა. ერთი სიტყვით, აღათი მიყვარდა.

ერთი თვე მაინც არ მივაკითხავ, დაე, თვითონმომძებნოს! გადავწყვიტე, მაგრამ გულმა როდი მომითმინა. ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ფლამინოს მოედანზე, ლუდხანაში შევედი და ტელეფონით დავურეკე. მილი თვითონ აღათიმ აიღო, სიტყვის თქმა არც კი მაცალა, ხელად პაემანი დამინიშნა. სიხარულით გაბადრული გამოვედი ლუდხანიდან, მოედანი გადავჭერი, ყვავილების გამყიდველთან მივედი და იის თაიგული ვიყიდე. ცხრა საათი იყო. აღათი ათ საათზე უნდა მოსულიყო. მივედი ტრამვაის გაჩერებასთან და აქეთ-იქით სიარული დავიწყე, თან თავი ისე მეჭირა, თითქოს ტრამვაის ველოდი. გაჩერდებოდა ტრამვაი, ჩასხდებოდა ხალხი, ვაგონი დაიძვრებოდა, მე კი ისევ იქ ვრჩებოდი. რამდენიმე წუთის შემდეგ გაჩერებასთან კვლავ შეგროვდებოდა ხალხი, მეც კვლავ ისეთ სახეს ვიღებდი, ვითომ ტრამვაის ველოდები. რა თქმა უნდა, აზრად არავის მოუვიდოდა, რომ ქალს ველოდებოდი. ამ ყოფაში გავატარე მთელი საათი. უკვე ათი შესრულდა, აღათი კი არ ჩანდა. კიდევ ათი წუთი ვიცადე, გულმა კვნესა დამიწყო, ვიგრძენი, რომ აღათი არ მოვიდოდა. ათი წუთი, რა თქმა უნდა, დიდი დრო არ არის, ქალს უფრო მეტ ხანსაც დაუცდი, მაგრამ, როგორც მზიან დღეს ადამიანი ჭექა-ქუხილის მოახლოებას იგრძნობს, აი ისე ვიგრძენი, რომ აღათი არ მოვიდოდა. აკი გამიმართლდა წინათგრძნობა.

ნახევარი საათი კიდევ ვუცადე, მერე თხუთმეტი წუთი, მერე სამოცამდე დავითვალე და კიდევ ხუთი წუთი ვიდექი იქ, რომ საათი შესრულებულიყო. ბოლოს შადრევანთან მივიჭერი და გაგულისებულმა იის თაიგული ჭუჭყიან წყალში გადავისროლე. ყვავილების გამყიდველმა მადროვა, სანამ ჩავივლიდი, მერე აუზთან მიირბინა და თაიგული ამოიღო.

კარგად მოგეხსენებათ, როგორ იქცევა ჩემს დღეში მყოფი კაცი. თავგზას ჰკარგავს, ერთ სისულელეს მეორეს დაურთავს, არაფერი არ გამოსდის, ყველაფერი ხელიდან უვარდება. ნათქვამია, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ასე მომივიდა სწორედ, ვიმედოვნებდი, ეგებ აღათიმ კარგად ვერ გაიგო, სად უნდა შევხვედროდით-მეთქი და იმ დღეს ხელმეორედ დავურეკე:

- აღათი, რატომ არ მოხვედი? - ვკითხე მორიდებით. - იქნებ კარგად ვერ აგიხსენი, სად გელოდი...

- არა, ძალიანაც კარგად ამიხსენი ყველაფერი, - უკმეხად მომახალა.

- მაშ, რატომ არ მოხვედი? - არ მინდოდა და იმიტომ.

ხმა ვეღარ ამოვიღე, ნელა დავკიდე მილი და წავედი.

ჩემს ადგილზე სხვა ალბათ ბედს დაემორჩილებოდა, მაგრამ მე აღათი მიყვარდა. ოო, როგორ მწყუროდა მასაც ვყვარებოდი. დანა რომ დაერტყა ჩემთვის, უთუოდ იმედს არც მაშინ დავკარგავდი და ვიფიქრებდი, დანა სიძულვილით კი არა, სიყვარულით დამკრა-მეთქი. თუმცა, ამას რას ვამბობ, ეგრერიგად კი არ დამაბრმავა სიყვარულმა, არა, იმედის პატარა ნაპერწკალი მიღვიოდა გულში. ვფიქრობდი, თუ სხვადასხვანაირი სიყვარული არსებობს, იქნებ ისეთი სიყვარულიც არის, როცა ქალი გაგირბის, უხეშად გექცევა, ეზიზღები, არაფრად გაგდებს. ამიტომ მეორე დღეს, დილაადრიან ისევ ავიღე მილი და აღათის ტელეფონის ნომერი ავკრიფე. ამჯერად

აღათის დამ მიპასუხა, აღათი შინ არ არისო. ვიცოდი, რომ ტელეფონი სასადილო ოთახში ედგათ, გარკვევით გავიგონე აღათის ხმა, დას რომ არიგებდა, ასე და ასე უთხარიო. მთლად გადავირიე, სულ სხვადასხვა დროს ვრეკავდი: დილით, შუაღამისას, სადილობის დროს, გვიან ღამით. არაფერმა არ გასჭრა, მეუბნებოდნენ, აღათი შინ არ არისო. ტელეფონის ბუდრუგანაში რომ შევდიოდი, საკუთარი თავი მძულდა, მაგრამ ნებისყოფა არა მქონდა და იმ წყეულ ნომერს მაინც ავკრეფდი ხოლმე. ტელეფონით უშედეგო რეკვამ და აღათის ნახვის ნატვრამ ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქცია, თითქოს უძირო და უნაპირო ჭანჭრობში ჩავვარდი, ვგრძნობდი, რომ დღითი დღე უფრო ღრმად ვინთქმებოდი შიგ და გამოსავალს ვეღარ ვხედავდი. მთლად რომ გადამიწყდა ნახვის იმედი, გადავწყვიტე სახლთან დავლოდებოდი.

მეჩოთირებოდა ჭიშკართან დგომა, რადგან ეს ტრამვაის გაჩერება არ იყო, მაგრამ მაინც მთელი ორი საათი ვიყურყუტე. ბოლოს, მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, სადარბაზო შესასვლელში გამოჩნდა აღათი და, თვალი მომკრა თუ არა, უმალ უკან გაბრუნდა. ორი საათი კიდევ ვიდექი შტერივით. მერე ეჭვმა გამკრა, აქ საქმე სხვანაირადაა-მეთქი. დავზვერე იქაურობა, თურმე სახლს მეორე შესასვლელიც ჰქონდა. ის დღე იყო და ის; მაშ შემდეგ პირი აღარ მიქნია იქით.

ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო აღათის დაკარგვამ, რომ ქვეყნად აღარაფერი მახარებდა. დიდი ხნის უმუშევრობის შემდეგ ადგილი რომ ვიშოვნე, დახურული გული მაინც ვერ გამეხსნა. გულახდილად უნდა გითხრათ, რომ მე მსახიობად ვარ დაბადებული, ამას დაბეჯითებით ამბობს ყველა, მაგრამ მეტყველება არ მივარგა და ამიტომ სტატისტად ვმუშაობ. ახლა სტატისტის ადგილიც გაწყდა ჩემთვის, რის ვაივაგლახით დუბლიორად მოვეწყვე. ერთ სულელურ ფილმში ახალგაზრდა მსახიობს ვცვლიდი იმ სცენებში, როცა ის მაყურებელს ზურგს შეაქცევდა. ეს მსახიობი გაჭრილი ვაშლივით მგავს. ისეთივე ტანი, მხარ-ბეჭი და თმა აქვს, როგორიც მე. ოღონდ ის ყმაწვილი სიტყვებს არა ყლაპავს ჩემსავით, არც დორბლსა ყრის ლაპარაკის დროს, ამიტომ ამ ფილმში მონაწილეობისათვის მას მილიონი ლირი მისცეს, მე კი მხოლოდ რამდენიმე ათასი. ერთი სიტყვით, მე დუბლიორი ვარ, მანეკენი, ორეული, ტიკინა. რადგან საქმით დიდად დატვირთული არ გახლდით, ხშირად ვიჯექი კინოსტუდიის

ჩაბნელებულ კუთხეში, მწარე ფიქრებში ჩაფლული. ჰოდა, ერთხელ ასეთი ხრიკი მოვიგონე: კარგად ვიცოდი, რომ აღათი, ყველა სხვა ქალივით, ჭკუას კარგავდა კინოზე. ვერ გეტყვით, რისი იმედი ჰქონდა, მაგრამ ფიქრობდა, ოდესმე კინომსახიობი გავხდებიო. ჩემი აზრით, აღათი სტატისტადაც არ ვარგოდა. ეს რომ გამახსენდა, გავიფიქრე, აღათის მოსატყუებლად ყველაზე კარგი ხერხი კინოა, ანკესზე ადვილად წამოეგება-მეთქი. ჩვენი რეჟისორი ძალიან გულცივი კაცი იყო, ამქვეყნად, ფულის გარდა, არაფერი აინტერესებდა, ტყუილად გაირჯებოდი და სთხოვდი რამეს. ამიტომ ისევ რეჟისორის თანაშემწეს მივმართე. ამ ყმაწვილს კარგა ხანია ვიცნობ, ძალიან სიმპათიური ახალგაზრდაა. იქვე სტუდიის რესტორანში დავპატიჟე და ვთხოვე, ერთ საქმეში სამსახური გამიწიე-მეთქი. ჩემი განზრახვა რომ გავაცანი, გულიანად გადაიხარხარა, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: სიამოვნებით შეგისრულებ თხოვნასო.

აღათის, რასაკვირველია, ამ ფილმის პროდიუსერებისთვისაც გამოეგზავნა თავისი სურათები, მისამართი და ტელეფონის ნომერი. ერთ მშვენიერ დღეს, რეჟისორის თანაშემწემ აღათის დაურეკა და უთხრა, ორ საათში სტუდიაში გამოცხადდითო. აკი ზემოთ მოგახსენეთ, რომ ადამიანის გულს ისე არაფერი იზიდავს, როგორც კინო. დარწმუნებული ვარ, ხელმწიფეს რომ მიეწვიააღათი თავისსასახლეში, უცებ კიარ გაიქცეოდა, ჯერ დაფიქრდებოდა, მაგრამ საკმარისი იყო კინოფირმის კურიერს ეთქვა, სტუდიაში გიბარებენო, შუაღამეც რომ ყოფილიყო, არას დაგიდევდათ, თავქუდმოგლეჯილი გაჰქუსლავდა სტუდიისაკენ.

იმ დილას, ჩემი რიგის მოლოდინში, სტუდიის მოსაცდელ ოთახში ვიჯექი კინომუშაკებთან ერთად და სტატისტებთან ერთად. აღათი დანიშნულ საათზე გამოცხადდა. უკვე ორი თვე გავიდა, რაც არ მენახა, და უცებ ვერც კი ვიცანი. მხრებზე დაშვებული წაბლისფერი თმა ჟღალ-წითლად შეეღება და კეფაზე აეკრიფა. ყელი და ყურები მოშიშვლებული ჰქონდა, წარბები ისე გააფთრებით ამოეწიწკნა, რომ ქუთუთოები შეშუპებოდა. სახეზე იდუმალი ღიმილი უთამაშებდა, მაგრამ, ყავადანის სახელურისავით გაბუშტული ცხვირის გასწორება მაინც ვერ მოეხერხებინა. გამაოცა მისმა ჩაცმულობამ: ახალი, ღიაწითელი, საყელოაწეული ფართო ჟაკეტი და შავი სწორი კაბა ეცვა. ჟაკეტის გადანაკეცზე კლიპსი მიებნია - ყვითელი ფოლადის იალქნებაშვებული ხომალდი. იღლიაში საფულე ჰქონდა ამოჩრილი, ვგონებ გველის ტყავისა იყო. ვინ იცის, რა დიდი მსხვერპლის გაღება დასჭირდა აღათის ამ საფულის შესაძენად. ამაყად ყელმოღერებული შემოვიდა, დინჯად, ზიზღით მოავლო თვალი იქაურობას, თითქოს ეშინია ამ მოსაცდელში, სადაც ისეთივე ადამიანები ისხდნენ, როგორიც თვითონ იყო. არაფერი მომეცხოსო. მერე შვეიცართან მივიდა და ხმადაბლა რაღაც ჰკითხა:

შვეიცარი ნამდვილი ბრიყვი იყო, გაზეთს კითხულობდა, თავის აწევა არც კი იკადრა, ისე უპასუხა:

- დაბრძანდით, ცოტა მოითმინეთ... დაელოდეთ თქვენს რიგს.

აღათი მობრუნდა და დამინახა. მე აღტაცებით შევყურებდი, მან კი ისე დამიქნია თავი, თითქოს მხოლოდ შორეული ნაცნობები ვიყავით, და მოპირდაპირე კუთხეში დაჯდა.

ასეთი მორთულ-მოკაზმული რომ დავინახე, შემეცოდა. მას ხომ გულწრფელად სჯეროდა, კინოფირმამ მიმიწვიაო. ახლაღა მივხვდი, რაოდენ დიდი ბოროტება იყო ამ ხრიკით აღათის სტუდიაში შემოტყუება. მაგრამ მაინც მიხაროდა, ძლივს მეღირსა მისი ნახვა. კარგა ხანს ვისხედით მოსაცდელ ოთახში, სადაც კინემატოგრაფისტები ბოლთას სცემდნენ, თამბაქოს აბოლებდნენ და ლაყბობდნენ. აღათი წარამარა ხსნიდა საფულეს, სარკეში იყურებოდა, წარამარა იფიფქავდა პირს. ფეხი ფეხზე გადაედო, და ახლა მისი ფეხებიც ლამაზი მეჩვენებოდა. მე თვალს ვერ ვაშორებდი, იმ გულქვამ კი ერთხელაც არ მოიხედა ჩემკენ.

ბოლოს აღათის რიგმაც მოაღწია. რეჟისორის თანაშემწის ოთახში შევიდა და სულ რამდენიმე წუთი დაჰყო იქ.

- სენიორინა, ადვილი შესაძლებელია ამ მოკლე ხანში დაგვჭირდეთ... მზად იყავით, დღე-ხვალ უთუოდ გამოგიძახებთ.

მეტი არაფერი უთქვამთ მისთვის, მაგრამ ესეც დიდი რამ იყო. რეჟისორის თანაშემწის ოთახში

რომ შედიოდა, ის ღარიბი ქალიშვილი იყო, იქიდან რომ გამოვიდა, თავი ცნობილი კინომსახიობი ეგონა. ვინ იცის, იქნებ ოცნებით უკვე კინოვარსკვლავად წარმოედგინა თავი.

როგორც კი მოსაცდელი ოთახიდან გავიდა, წამოვხტი და უკან დავედევნე. აღათი თავისი კაჭა ფეხებით სწრაფად მიაბიჯებდა გრძელ, ცარიელ დერეფანში, ამაყი და ქედმაღალი გამომეტყველება ჰქონდა. ერთგან, სადაც რამდენიმე დერეფანი ერთდება, შეყოვნდა, არ იცოდა, საით წასულიყო, მერე ვესტიბიულისკენ გაუხვია და ქუჩაში გავიდა.

კინოსტუდიის პავილიონები, ქალაქგარეთ, შარაგზის გასწვრივაა ჩამწკრივებული. გზას ერთ მხარეს მზით უხვად გაშუქებული მინდვრები მისდევს, მეორე მხარეს კოშკივით აწოწილი მუშათა საცხოვრებელი სახლები, უამრავი ფანჯრებით. ფანჯრებში დღენიადაგ ფრიალებს თეთრეული. აღათი დინჯად მიჰყვებოდა გზას სახლების გასწვრივ. მალე დავეწიე.

- აღათი! - შევძახე გულამომჯდარმა. არც კი მობრუნდა, უგულოდ მესროლა:

- სალამი ჯინო! სულმოუთქმელად გადავუშალე ჩემი გულის ჯავრი.

- აღათი, მითხარი, რად გამირბი, რატომ არ გინდა ჩემთან შეხვედრა? რად მომიძულე ასე!.. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ. გთხოვ, გევედრები, შევხვდეთ ერთმანეთს. ოო, როგორ მინდა შენთან ყოფნა, შენი ნახვა!

- განა ახლა ვერა მხედავ? - მხრები აიჩეჩა აღათიმ.

- აღათი, წამომყვები ცოლად?

- არც გავიფიქრებ ასეთ სისულელეს!

- რატომ?

- რას აკეთებ ახლა?

- დუბლიორი ვარ, მაგრამ...

- რას აიჩემე მსახიობობა? - გესლიანად ჩაიცინა აღათიმ. - ნუთუ არ გესმის, რომ ეს საშენო საქმე არ არის? ჰმ, დუბლიორია და ჩემი შერთვა კი უნდა!.. სულელი ხომ არ გგონივარ!

- აღათი! - შევძახე სასოწარკვეთილმა და ხელი ვტაცე. მაგრამ უხეშად გამომტაცა ხელი. გული ჩამწყდა, თვალთ დამიბნელდა და, დუბლიორად მუშაობს სჯობს სულ უქმად ყოფნას-მეთქი, წამოვაყრანტალე უცებ. - იქნებ გგონია, დღეს მართლა რეჟისორმა

გამოგიძახა? მაშ იცოდე, ჩემო მშვენიერო, რომ მე ვთხოვე რეჟისორის თანაშემწეს და ამიტომ დაგიბარეს... შენი ნახვა მინდოდა...

ვთქვი და უმალ ენაზე ვიკბინე, მაგრამ უკვე გვიან იყო, რადგან აღათიმ დაიჯერა, რაც ვუთხარი, და ამით სამუდამოდ დავკარგე მისი დაბრუნების იმედი.

აღათიმ მოხვედრილი ისარი არ დაიმჩნია, ხმაარ გამცა, არცშედგა, არც შემომხედა. მშვიდად მიდიოდა იღლიაში საფულეამოჩრილი, მე გვერდით მივცუხცუხებდი და ვემუდარებოდი, მაპატიე-მეთქი. მაგრამ ის თითქოს არც მამჩნევდა, პირდაპირ იყურებოდა და დინჯად მიჰყვებოდა გზატკეცილის გასწვრივ ჩამწკრივებულ სახლებს. ბოლოს, რაკი დავრწმუნდი, რომ ჩემი ხმის გაგონებაც არ უნდოდა, შუა ტროტუარზე შევდექი და მიმავალს თვალი გავაყოლე. აქამდე ამაყი და მედიდური, ახლა როგორღაც სევდიანი, ოდნავ თავჩაქინდრული მიდიოდა, მიდიოდა და თან მიჰქონდა ჩემი გული. უცებ ვიგრძენი, რომ არასოდეს ასე ძლიერ არ

მყვარებია. პირი დავაღე, მინდოდა დამეყვირა: „აღათი!“, მაგრამ სწორედ იმ წუთს გზის მოსახვევში მიიმალა. მხოლოდ „ა“ წამოვიძახე, სიტყვა პირზე შემეყინა და უკაცრიელ ქუჩაზე კიკოსავით მარტო დავრჩი.

ტაკიმასხარა

ამ ზამთარს გადავწყვიტე კიდევ ერთ ხელობას ვცდი-მეთქი და ამხანაგთან ერთად რესტორნებში დავიწყე წანწალი. მე გიტარას ვუკრავდი, ის მღეროდა. მილონე ერქვა ჩემს ამხანაგს, მაგრამ ამ სახელით თითქმის არავინ იცნობდა, ყველა მასწავლებელს ეძახდა, ოდესღაც მილონე შვედურ ტანვარჯიშს ასწავლიდა თურმე. დაახლოებით ორმოცდაათი წლისა იქნებოდა, პირქუში, ტანად კი ისეთი მოსული და ზორზოხა იყო, რომ სკამი საცოდავად აჭრაჭუნდებოდა ხოლმე, მილონე რომ დაჯდებოდა. მე ჩვეულ სიდარბაისლეს ვერ ვუღალატებ, მუდამ დინჯად ვუკრავ, თვალდახრილი ვზივარ, არც კი ვინძრევი. იმიტომ, რომ ნამდვილი არტისტი ვარ და არა მასხარა. მილონე კი სულ სხვაა. დღენიადაგ პამპულობდა. შევდიოდით თუ არა რესტორანში, კედელს მიეყრდნობოდა, ცერა თითებს იღლიებში ამოიდებდა, ქუდს თვალებზე ჩამოიფხატავდა, ვეება ღიპი კი ქამარზე ჰქონდა გადმოწოლილი და დაიწყებდა, ჯერ თითქოს ანაზდად, მერე ეშხში შევიდოდა და სიმღერას კი არა, წარმოდგენას იწყებდა, უფრო სწორად, ტაკიმასხარაობას. ის ასრულებდა ცნობილ, შესანიშნავ სიმღერებს, გულზე რომ ხვდება ადამიანს, მაგრამ მილონეს შესრულებით ეს სიმღერები ყოველგვარ მომხიბლაობას ჰკარგავდა, სასაცილოდ ჟღერდა. ეს იმიტომ რომ, ამ კაცს სხვაგვარად არ შეეძლო, ყველაფერი უნდა გაემასხარავებია. ამასხარავებდა რაღაცნაირი ღვარძლით, მწარედ, ხშირად მიფიქრია, უთუოდ

სიჭაბუკეში რომელიმე ქალმა გული მოუკლა, ანდა, ვინ იცის, იქნებ დაბადებით არისმეთქი ასეთი უხეში და ღვარძლიანი. ეს კი იყო, რომ მილონეს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ყოველივე ნათელის და მომხიბლავის ტალახში ამოსვრა. თავის ტაკიმასხარულ რაღაც გამოუცნობ ვნებას და სიძულვილს აქსოვდა ეს კი ვიცი. არ ვიცი, იქნებ ჭამის დროს ხალხი ყეყეჩდება, აბა სხვა რით შეიძლება ახსნა, რომ მილონეს მაიმუნობა ზიზღს კი არ ჰგვრიდა მათ, არამედ გულიანად აცინებდა. განსაკუთრებით აჭარბებდა მილონე, როდესაც ქალს აჯავრებდა მოძრაობასა, გამოხედვასა და კეკლუცობაში. ის დასცინოდა ქალების სისუსტეს და ნაკლოვანებებს. ჩვეულებრივ რას შვრება ქალი? კეკლუცად იღიმება? ჰოდა, თვალებზე ქუდჩამოფხატული მილონე როსკიპივით იკრიჭება, თეძოებს არხევს, როგორც იაფასიანი კახპა, მუცელს ათამთამებს, უხამსად უკან გამოდგამს გატენილ ტომარასავით ვეება, სქელ გავას. ქალი ნაზი ხმით ტიტინებს? მილონე ტუჩებს დაიმრგვალებს და ისე საზიზღრად წრიპინებს, ისე საზიზღრად, რომ გული აგერევათ. რაღა ბევრი გავაგრძელო, მილონემ არ იცოდა ზომა და ყოველგვარ საზღვარს გადადიოდა. პირდაპირ ამაზრზენი იყო მისი უხამსობა. ხანდახან სირცხვილით ვიწვოდი ამის შემხედვარე. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ გიტარის დაკვრა კარგი მომღერლისთვის ერთი საქმეა, მასხარისათვის - მეორე. გარდა ამისა, გული მტკიოდა, როცა ვუსმენდი, თუ როგორ ამახინჯებდა საუცხოო სიმღერებს. ამ ცოტა ხნის წინათ, ერთი კარგი მომღერლისათვის ვუკრავდი და ეს რომ გამახსენდებოდა, უფრო მეტად მწვავდა სირცხვილი. ეს კაცი სწორედ ამ სიმღერებს ასრულებდა, რომელთაც მილონე. ერთხელ მე და მილონე ერთი რესტორნიდან მეორეში მივდიოდით, ვეღარ მოვითმინე და ვკითხე:

- ძალიან მაინტერესებს, მილონე, რა დაგიშავეს ქალებმა, ასე რად გძულს?

იმ ტაკიმასხარული წარმოდგენების შემდეგ მილონე უფროპირქუში და დაბნეული იყო. ვინ იცის, მაშინ მწარე ფიქრები უტრიალებდა თავში.

- არაფერი, - მიპასუხა მილონემ, - არაფერი არ დაუშავებიათ. - იმიტომ გეკითხები, ასე

  დაუნდობლად რომ დასცინი ქალებს. მილონემ ხმა აღარ გამცა და ჩვენი საუბარიც

  ამით დამთავრდა.

კარგი შემოსავალი გვქონდა, ამიტომ ვერ დავანებე თავი მილონეს. რა დაუჯერებელიც არ უნდა გეჩვენოთ, მაინც სრული ჭეშმარიტებაა, რომ მილონე თავისი უხამსი გამოსვლებით ნამდვილ მომღერლებზე მეტ ფულს შოულობდა. ჩვენ ნომრებს ძირითადად ღარიბ რესტორნებში ვასრულებდით, უფრო ხშირად ტრატორიებში შევდიოდით, სადაც ხალხი ლაზათიანი ჭამა-სმისთვის და დროს სატარებლად დაიარება. შევიდოდით თუ არა ტრატორიაში, მე ჩუმად ამოვიღებდი ჩემს გიტარას, სუფრებიდან კი იმავ წუთს დაუძახებდნენ მილონეს:

- აა, მასწავლებელი... - აი, მასწავლებელი... მოდით აქ, მასწავლებელო.

პირქუში, ბინძური, თავხედური იერის მქონე მოურიდებლად წარდგებოდა წინ, მზად ვარ გემსახუროთო, მიმართავდა ხალხს და ამ სიტყვებს - „მზად ვარ გემსახუროთ“ - ისეთი მანჭვა-გრეხით იტყოდა, რომ ხალხი სიცილით იფხრიწებოდა. და ვიდრე ტრაქტირის პატრონი სტუმრებს ყველიან მაკარონს ურიგებდა, მილონე ჩახლეჩილი ხმით გამოაცხადებდა:

- ახლა მე შევასრულებ შესანიშნავ სიმღერას: „როცა როზინა ქალაქს ჩამოდის...“ და

  განვასახიერებ როზინას.

დაიწყებდა თუ არა მილონე ჩვეული მანჭვა-გრეხვით როზინას განსახიერებას, ხალხი ერთ ადგილზე გაშეშდებოდა, პირისკენ წაღებული ჩანგალი, რომელზეც მაკარონი ეკიდა, ჰაერში რჩებოდათ. არ იფიქროთ, რომ ისინი ყასბები ან სხვა ამგვარი ხელობის ადამიანები იყვნენ, არა, რჩეული, ნატიფი ხალხი გახლდათ, ძვირფას კოსტუმებში გამოწყობილი მამაკაცები, ჰალსტუხზე რომ მარგალიტის ქინძისთავი გაერჭოთ, თმა პომადით უბზინავდათ, და ძვირფას ბეწვეულში გახვეული, ძვირფასი სამკაულებით მორთული ნაზი და ნატიფი ქალები. დიახ, ისინი უყურებდნენ მილონეს პამპულობას.

- გასაოცარია!.. პირდაპირ გასაოცარი!.. - ისმოდა აქეთ-იქიდან.

ან რომელიმე მათგანი შიშით წაიჩურჩულებდა:

- ოო, თუ ღმერთი გწამთ, ნურსად გაამხელთ, რომ ჩვენ აღმოვაჩინეთ ასეთი ტალანტი...

  თორემ ქებით გაანებივრებენ და გააფუჭებენ.

მილონეს რეპერტუარში სხვადასხვა უხამსობათა შორის ერთი სიმღერა ჰქონდა, იმ სიმღერის გმირი გაემასხარავებია, პირით ისეთ ხმას გამოსცემდა, რომლის აღწერას ვერ გაკადრებთ. სწორედ ამ სიმღერის გამეორებას სთხოვდნენ მილონეს მომხიბლავი ქალები.

ასეთი წარმატებისგან, რა თქმა უნდა, მილონეს თავბრუ დაეხვია. ვია ჩიმარეზე, ერთ მკერავ ქალთან ავეჯით გაწყობილი ბნელი და ნესტიანი ოთახი ჰქონდა ნაქირავები და ყოველ ცისმარე დღეს, ტრატორიაში წასვლის წინ იდგა, რომელიმე ახალ უხამს

ნომერს ამზადებდა და მანჭვა-გრეხაში ვარჯიშობდა. ისეთი უტეხი სიჯიუტით აკეთებდა ამას, გეგონებათ დიდი არტისტია და როლს ამზადებსო. ჩამოვჯდებოდი საწოლზე, ვუყურებდი როგორ ათამთამებდა კამოდზე მდგარი სარკის წინ მუცელს მილონე და ვფიქრობდი, ხო არ შეიშალა-მეთქი.

- მილონე, დროა რამე ამაღელვებელი, რამე მგრძნობიარე მოიგონო, - ვუთხარი ერთხელ.

- აი, აქედან ჩანს, რომ შენ არაფერი გესმის. - მიპასუხა მან, - ჭამის დროს ხალხს სიცილი უნდა და არა განცდა. მეც, - დასძინა პირქუშად, - ანგარიშს ვუწევ მათ და ვაცინებ.

მილონეს უნდოდა თავისი გამოსვლები უფრო სრულქმნილი გაეხადა, უნდოდა უფრო სასაცილო ყოფილიყო, ამიტომ ქალის ტანსაცმელის გამოყენება გადაწყვიტა. პატარა ჩემოდნით თან დაჰქონდა ქუდები, თავსაფრები, ქვედა კაები და იქვე, ადგილზე, გადაიცვამდა ხოლმე. ბოლო დროს ქალურად ჩაცმა შეუყვარდა. შეუძლებელია აღწერა, თუ რა სატანჯველი იყო ჩემთვის მისი ცქერა. როგორ იბრიცებოდა, როგორ ცმუკავდა სტუმრების წინ, თვალებზე ჩამოფხატული ქალის ქუდით და ქვედა კაბით, რომლის ქვეშ შარვალში სქელი ფეხები მოუჩანდა. მილონემ აღარ იცოდა კიდევ რა მაიმუნობა გამოეგონებია და ერთ საღამოს გამომიცხადა, გიტარის დაკვრისას შენც მანჭვა-გრეხას უნდა მოჰყვეო. მაგრამ, ნურას უკაცრავად, ცივი უარი ვტკიცე.

სულ იმის ცდაში ვიყავით, რაც შეიძლება მეტი ტრატორია შემოგვევლო. ჩვეულებრივად დილის თერთმეტ საათზე გავდიოდით შინიდან, სამ საათამდე დავეხეტებოდით, შემდეგ საღამოს რვიდან შუაღამემდე. ერთი უბნის რესტორნებს ერთ დღეს შემოვივლიდით, მეორე უბნისას- მეორე დღეს. დღეს რომ ესპანეთის მოედანზე ვიყავით, ხვალ ვენეციის მოედანზე ამოვყოფდით თავს. შემდეგ ტრასტევერის რაიონში დავყიალობდით. ხან სადგურის ახლომახლო უბნებში გავჩნდებოდით. გზად თითქმის არ ველაპარაკებოდით ერთმანეთს, არავითარი მეგობრული გრძნობა არ გვაკავშირებდა. რესტორნების შემოვლას რომ მოვრჩებოდით, რომელიმე ოსტერიაში შევიდოდით და შემოსავალს ვინაწილებდით. შემდეგ

სრულ მდუმარებაში მე სიგარას ვაბოლებდი, მილონე კი ერთ ჭიქა ღვინოს დალევდა. სადილის შემდეგ მილონე ისევ სარკის წინ დაერჭობოდა, მე ან მეძინა, ანდა კინოში მივდიოდი.

ერთ საღამოს, ტიბრის ნაპირზე მდებარე რესტორანები შემოვიარეთ. ავდარი იყო, ტრამანტანა ქროდა. მასტაის მოედანზე ერთ პატარა ოსტერიაში შევედით გასათბობად. ეს ოსტერია ისეთი ვიწრო და გრძელი იყო, რომ დერეფანს ჰგავდა. კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ მაგიდებს ღარიბულად ჩაცმული ხალხი მისჯდომოდა. შინიდან წამოღებულ, ქაღალდში გახვეულ საუზმეს შეექცეოდნენ და

ღვინოს სვამდნენ. არ ვიცი, რა მოელანდა მილონეს, უთუოდ პატივმოყვარეობამ სძლია, იფიქრა - ერთი ამათაც მოვიყვან აღტაცებაშიო და თუმც, არაფრის გამორჩენის იმედი არა ჰქონდა, მაინც დაიწყო პამპულობა. ჩვეული გულის ამრევი მანჭვა-გრეხით შეასრულა ერთი საუცხოო სიმღერა. სიმღერა რომ დაამთავრა, აქა-იქ კანტიკუნტად დაუკრეს ტაში. მერე ერთი მაგიდიდან მოგვესმა:

- აბა ერთი მე დამიგდეთ ყური. ამავე სიმღერას შევასრულებ.

სამუშაო კომბინეზონით გამოწყობილი ქერა, ლამაზი ჭაბუკი წამოდგა. მილონეს რისხვით გადმოხედა, გეგონებოდათ, ესაა გააქრობსო.

- შენ დაუკარი, - მიბრძანა ჭაბუკმა, - თავიდან დაიწყე.

მილონე შეცბა, მაგრამ თავი ისე მოგვაჩვენა ვითომ დაღლილი ვარო, და სკამზე ჩამოჯდა. დავიწყე თუ არა დაკვრა, ჭაბუკის ხმაც გაისმა. ვერ ვიტყვი, რომ ნამდვილი არტისტივით მღეროდა, მაგრამ გრძნობით კი მღეროდა და მისი ხმა რბილად და ზომიერად იღვრებოდა. ერთი სიტყვით, ჭაბუკი ისე მღეროდა, როგორც ჩვეულებრივ მღერიან ამ სიმღერას. გარდა ამისა, ზემოთაც მოგახსენეთ, რომ ჭაბუკი ძალიან ლამაზი იყო, კალმით ნახატიაო, სწორედ ამაზე ითქმოდა. პირით ხალხისკენ იდგა, დროდადრო მაგიდისკენ გააპარებდა თვალს და თავის ქალიშვილს შეხედავდა, ხან კი ისე შეუბღვერდა მილონეს, თითქოს ეუბნება, აი როგორ უნდა იმღეროო, ჭაბუკმა სიმღერა რომ დაასრულა და თავის მაგიდას დაუბრუნდა, ქალიშვილი ყელზე შემოეჭდო. გულახდილად გეტყვით, რომ იმ ყმაწვილს უფრო ნაკლები ტაში ხვდა წილად, ვიდრე მილონეს. ხალხმა ვერ გაიგო, რისთვის მოიქცა ასე ვაჟი, მაგრამ გავიგე მე და ამჯერად მილონემაც გაიგო.

გიტარას რომ ვუკრავდი, თან მილონეს ვუთვალთვალებდი. მილონემ თვალებზე და თმით დაფარულ შუბლზე რამდენჯერმე ისე მოისვა ხელი, თითქოს ძილი მოერია და გამოფხიზლება სწადიაო. მაგრამ ამით ვერ დაფარა ის სიმწარე, რომელიც აშკარად ეხატა სახეზე. ჭაბუკის მიერ შესრულებული ყოველი ახალი სტროფის მიხედვით ეს სიმწარე სულ მატულობდა და მატულობდა. ბოლოს მილონე წამოდგა, გაიზმორა, განგებ დაამთქნარა და მითხრა:

- კმარა, წავიდეთ... ძილი მომერია...

ვიდრე გზის გასაყარზე ერთმანეთს დავშორდებოდით, ჩვეულებრივად შევთანხმდით, რომ მეორე დღეს ისევ მილონეს ოთახში შევიყრებოდით. მაგრამ, რაც იმ ღამეს მოხდა, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო. რასაც ახლა ქვემოთ მოგახსენებთ, ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია, სხვა არაფერი. მე უკვე ვთქვი, რომ მილონე ძალზე გაყოყოჩდა, უთუოდ წარმოიდგინა, დიდი არტისტი ვარო. ნამდვილად კი ჭამის დროს ხალხის გამრთობი საბრალო ტაკიმასხარა იყო. ქერა ჭაბუკის საქციელმა თვალი აუხილა და ზეციდან ძირს ჩამოაგდო. ჭაბუკი რომ მღეროდა, მილონემ თავისი სახე დაინახა, დაინახა, რაც იყო ნამდვილად: უხეში, ზორზოხა, ორმოცდაათი წლის კაცი, ენისჩლექით რომ ჩიფჩიფებს საბავშვო ლექსებს და უხამსად იგრიხება. გარდა ამისა, მილონე ალბათ დარწმუნდა, ეშმაკსაც რომ მივყიდო სული, ხეირიანად მაინც ვერ ვიმღერებო, რომ მხოლოდ პამპულობა იყო მისი ხვედრი და ამ პამპულობის

დროს აუცილებლად ტალახში უნდა ამოესვარა წმინდა გრძნობები. ეს გრძნობები კი სწორედ ის გახლდათ, რაც მას არ გააჩნდა, რაც უთუოდ არასოდეს განუცდია.

მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდი გახლავთ, საერთოდ ბნელით არის მოცული ეს ამბავი. გამოირკვა მხოლოდ, რომ მკერავმა ქალმა მეორე დილით ფარდის უკან ყელზე მარყუჟგამობმული მილონე დაინახა. ქუჩაში მავალი ხალხი, მოქანავე ფეხების დანახვაზე ფანჯარასთან გროვდებოდა, გაბოროტებულმა მილონემ, როგორც ყველა თვითმკვლელმა, კარი ჩაკეტა თურმე და სარკიანი კომოდიც ზედ მიადგა. ვინ იცის, იქნებ კიდევ ერთხელ უნდოდა

სარკეში დაენახა თავისი თავი, როცა მარყუჟში გაუყრიდა თავს. ერთი სიტყვით, კარის შემტვრევა მოგვიხდა... სარკე გადმოვარდა და დაიმსხვრა.

მილონე ვერნოს სასაფლაოზე დაკრძალეს, მისი ცხედარი მარტო მე გავაცილე, რა თქმა უნდა, ამჯერად გიტარა თან არ მქონია.

მკერავმა ქალმა კამოდზე ახალი სარკე დადგა. ზარალი კი იმით აინაზღაურა, რომ თოკი სამად გაჭრა და საკმაოდ სარფიანად გაყიდა.

ყალბი ასიგნაცია

რისორჯიმენტოს მოედანზე რომ მივდიოდი, ვიღაცამ დამიძახა:

- რასა იქ, ყმაწვილო, როგორაა საქმეები?

მივიხედე და სტაიანო დავინახე. ერთ დროს ჩვენ გამბეროს შავ ბაზარზე სიგარეტებს ვყიდდით. შევხედე თუ არა ჩემს ძველ ნაცნობს, თვალში მეცა, რომ კარგად ეცვა. ჩემი ამბავი მოვუყევი, არ დამიმალავს, რომ უსაქმოდ ვარ. ხელობა არა მაქვს, ამიტომ უმუშევარს ვერ ვუწოდებ ჩემს თავს. სტაიანომ ხელი ჩამავლო და მითხრა: ერთ იოლ სამუშაოს მოგცემ, დღეში შეიძლება ათას ლირიდან სამ ათასამდე გააკეთო. რანაირად, რა საქმეა ასეთი? შორიდან მომიარა: მძიმე დრო დაგვიდგა. ახლა ვისაც ხელობა აქვს, ისიც ვერ შოულობს ლუკმა პურს, სხვამ რაღა ქნასო, ჩვენს დროში ხალხი ორ კატეგორიად იყოფა: არიან ვაჟკაცები და არიან ლაჩრები. პირველი მუდამ იმარჯვებს, მეორე მუდამ სულელი რჩება. დარწმუნებული ვარ, შენ პირველ კატეგორიას ეკუთვნი, რადგან მახსოვს, წინათ როგორ იქცეოდი. ახლა რასაც შემოგთავაზებ, უთუოდ გაგიკვირდება, ოღონდ ერთსა გთხოვ, ბოლომდე მომისმინე, ნუ შემაწყვეტინებ, და მოკლედ მითხარი, ან ჰო, ან არა. ყურს ვუგდებდი სტაიანოს და ვფიქრობდი, ალბათ რაღაც არაჩვეულებრივი უნდა მითხრას, თორემ ამდენ მიკიბულ-მოკიბულს არ მოჰყვებოდა-მეთქი. სტაიანო რომ გაჩუმდა, ისევ ჩავეკითხე:

- მაინც რა უნდა გავაკეთო, აღარ მეტყვი?

- რა და, ფული უნდა დახარჯო! - აჩქარებით მომახალა სტაიანომ

- ფული უნდა დავხარჯო?

- ჰო, ჰო. აი, მაგალითისთვის, მე გაძლევ ხუთიათასიან ასიგნაციას... შენ გაივლგამოივლი, გაეცნობი მდგომარეობას, მერე ან ყავას დალევ, ან ერთ კოლოფ სიგარეტს იყიდი, ხურდას მომიტან. მე კი ხურდის მესამედს შენ ჩაგაბარებ.

- მესამედს ნამდვილი ლირებით? - შევაწყვეტინე სტაიანოს, რადგან მინდოდა მეგრძნობინებინა, მიგიხვდი რასაც მავალებ-მეთქი.

- რა თქმა უნდა, ნამდვილი ლირებით. აბა ვინა გგონივარ?

- რომ დამიჭირონ, მერე?

- დიდი არაფერი მოხდება. მაშინვე იტყვი, ვიცი, ვინც შემომაჩეჩა ეს ყალი ფული-თქო. ასიგნაციას გამოართმევ, თავს კი ისე მოაჩვენებ, ვითომ ძალიან აღშფოთებული ხარ.

„ხომ არ გაგიჟდი, ასეთ საქმეს როგორ ვიკისრებ“, მინდოდა მეთქვა, მაგრამ არ ვიცი, ამის ნაცვლად, როგორ წამომცდა:

- კარგი... თანახმა ვარ...

მე თვითონ ისე ვიყავი გაოცებული ამ ამბით, ვერც კი გეტყვით, როგორ მოხდა ყველაფერი.

ერთი სიტყვით, სტაიანომ ათიათასიანი ასიგნაცია მომცა და მითხრა: დღესვე დაახურდავეო. საღამოს რვა საათზე, აქვე, ამ პატარა პარკში დაგელოდებიო.

რაღა ბევრი გავაგრძელო და, აი უკვე ჯიბეში მიდევს ყალბი ასიგნაცია, ქუჩაში დავყიალობ და ასე მგონია, რომ ხუმრობა-ხუმრობაში დღეს სამი ათას ლირს ვიშოვნი. უცებ თავი მდიდარ და უდარდელ ადამიანად წარმოვიდგინე, თითქოს ყალბი ასიგნაციის დახურდავებამდე რამდენიმე საათი კი არ დამრჩენოდა, არამედ მთელი კვირა, მთელი თვე, თითქოს არ იყო საჩქარო ამ ფულის დახურდავება და კარგა ხანს ვიცხოვრებდი ჩემს გემოზე. გარდა სტაიანოს

ყალბი ფულისა, ათას ხუთასი ლირი ნამდვილი ფული მქონდა და გავიფიქრე, რა მენაღვლება, ახლა რომ დღიური შემოსავალი სამი ათასი მექნება, დავხარჯავ ჩემს ფულს-მეთქი. იქვე მახლობელ ოსტერიაში შევედი, ვია უნიტაზე და კარგი საუზმე შევუკვეთე: სპაგეტი, ცხვრის შემწვარი ხორცი და ერთი ბოთლი ღვინო. გულახდილად უნდა გითხრათ, ხეირიანი კერძი კარგა ხანია არ მღირსებია, ყავაში ჩამბალ პურზე გადავდიოდი. საუზმის ფულს რომ ვიხდიდი, ერთი კი გამიელვა თავში, მოდი, ყალბ ასიგნაციას შევაჩეჩებ-მეთქი, მაგრამ უმალ გადავიფიქრე, რადგან ამ შემთხვევაში სტაიანო სამასი ლირით ნაკლებს მომცემდა. არა, სჯობს ისე მოვიქცე, როგორც სტაიანომ დამარიგა, და ეს ფული რამე წვრილმანზე გადავახურდავო. საუზმის ფული ნამდვილი ლირებით გადავიხადე, უარდელად ჩავიყავი ხელი ჯიბეში და კბილების ჩიჩქნით გამოვედი ვია კოლა დი რიენცოზე.

გაზაფხული იყო. თეთრი ღრუბლები მიცურავდნენ ცაში, თბილი ქარი ქროდა, ხან წვიმა წამოუშენდა, ხან ისევ მზე გამოაჭყეტდა თვალს... ხეებს კვირტები შესკდომოდათ და ხასხასა ფოთლებს უკვე წვერი გამოეყოთ. უცებ ქალაქგარეთ გამიწია გულმა, მდელოზე გაკოტრიალება და ცის მზერა მომინდა, მაგრამ ქალაქგარეთ მარტო წასვლა რა სახალისოა, ქალიშვილთან ერთად სჯობს, მე კი წარმოდგენა არა მქონდა, საიდან უნდა გამომენახა თანამგზავრი ქალიშვილი. ამ ფიქრებით ნელა მივყვებოდი გზას, გავიარე ვია კოლა დი რიენცო, გადავიარე ხიდი და ფლამინოს მოედანზე გავედი. იქ ტრამვაის გაჩერებასთან შევდექი და მიმოვიხედე.

ჩვეულებრივად, ქალებთან ერთად მოკრძალებული ვარ, რასაკვირველია, უფრო იმის გამო, რომ ჯიბე მუდამ გაფხეკილი მაქვს. მაგრამ როგორც კი ცოტა ფული გაუჩნდება ადამიანს, თურმე ხელად შეიცვლება, გაჩერებასთან ერთი გოგონა დავინახე, რაღაც არ ეტყობოდა, რომ ტრამვაის ელოდა, მომეწონა და ბევრი ფიქრი არ დამიწყია, გამოველაპარაკე. შავგვრემანი, ლოყაწითელი გოგონა იყო, დიდი, ბრდღვიალა თვალები ჰქონდა. სადად ეცვა, წითელი ნაქსოვი კოფთა და ყავისფერი ქვედა კაბა. რომის მახლობელი დაბიდან ვარო, მატილდა მქვიაო, მითხრა. ვგონებ კაპრანიკიდან იყო, მოახლის ადგილს ეძებდა რომში და ბინად პანსიონში გაჩერებულიყო, მონოზნებთან, რომლებსაც მათ სოფელშიც ჰქონდათ თურმე მონასტერი. თავშეკავებულად და ცივად მელაპარაკებოდა, მაგრამ რამდენჯერმე სინიორინა რომ ვუწოდე, მოლბა და უფრო თავაზიანი გახდა.

- თქვენ, სინიორინა, უთუოდ რომს კარგად გაცნობილი არ იქნებით... გნებავთ დაგათვალიერებინოთ? ჯერ ისეთი სახე მიიღო, თითქოს არ იცის რა გადაწყვიტოსო, მერე კი მიპასუხა:

- მართალი რომ ვთქვა, დრო არც მაქვს, ერთ სინიორასთან ვარ მისასვლელი.

„ფორო იტალიკოს“ სტადიონს გიჩვენებთ-მეთქი, შევთავაზე. ცოტა ყოყმანის შემდეგ დამეთანხმა.

ტრამვაიში განუწყვეტლივ ვეხუმრებოდი, ქალიშვილი სერიოზულად მისმენდა, მერე უცებ გადაიკისკისებდა, თან სახეზე ხელებს აიფარებდა, როგორც ნამდვილმა გლეხის ქალებმა იციან. მილვიოს ხიდთან ჩამოვხტით ტრამვაიდან და სანაპიროს გავყევით ობელისკისკენ. მე კარგად ვიცი იმ ადგილების ასავალ-დასავალი. ვიცი, რომ სტადიონს უკან ბორცვია, იმ ბორცვს იქით კი პატარა მინდორი. იქ ხელს არავინ შეგვიშლიდა. მაგრამ ჯერ მაინც მინდოდა მატილდასათვის სტადიონი მეჩვენებინა. ოჰ, რა დიდებული ეს „ფორო იტალიკო“. ტრიბუნის ირგვლივ აღმართულია ქანდაკებები. ყოველი ქანდაკება სპორტის ერთ-ერთ სახეობას გამოხატავს. მე და მატილდა რომ მივედით სტადიონზე, ირგვლივ ძე-ხორციელი არ ჭაჭანებდა და ამ ზეიმურ მდუმარებაში „ფორო იტალიკო“ უფრო ლამაზი მეჩვენა. ქანდაკებანი ისე მედიდურად ასვეტილიყვნენ, თითქოს ღრუბლებისკენ მიილტვიანო. მაგრამ მატილდაზე ამან არავითარ შთაბეჭდილება არ მოახდინა. ისიც არაფრად ჩააგდო, როცა ავუხსენი, რომ ქანდაკებანი სუფთა მარმარილოსგანაა გამოკვეთილი და ყოველი მათგანი ტონას იწონის. მერე რა, მაინც ძალიან უხამსი ქანდაკებებიაო, მიპასუხა მატილდამ. ცოცხალი ადამიანები ხომ არ არიან, ქანდაკებები სწორედ ასეთი უნდა იყოს, შიშველი, ვუთხარი ქალიშვილს. ძალიან მინდოდა მისთვის მესიამოვნებია, ამიტომ ერთ ქანდაკებას ბარძაყზე მივაწერე: „ატილიოს უყვარს მატილდა“, და

ვთხოვე წაეკითხა. წერა-კითხვა არ ვიციო, მომიგო მატილდამ. ესეც გავიგე, რომ წერაკითხვის უცოდინარი ყოფილა. ბორცვისკენ რომ გადავუხვიეთ, შევატყვე არ მოეწონა. ბილიკს მივუახლოვდით თუ არა შედგა:

- ცდები. არც ისეთი სულელი ვარ, როგორიც გგონივარ, უკან დავბრუნდეთ.

ხელი ჩავავლე, მინდოდა ძალით წამეყვანა პატარა მინდვრისკენ, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ერთი ისეთი მკრა მკერდში, რომ თავი ძლივს შევიმაგრე.

იმავე ტრამვაით დავბრუნდით ფლამინოს მოედანზე. ნაწყენი რომ არ დამრჩენოდა, ყავახანაში შევიპატიჟე, ყავით და ნამცხვრით გავუმასპინძლდი. დღის ხუთი საათი იყო. მოდი, კინოში წავიდეთ, ვთხოვე მატილდას. კინოში ფერადი ფილმის გარდა, იტალია-ავსტრიის ფეხბურთის მატჩიც უნდა ეჩვენებინათ. მატილდა ისევ გაიპრანჭა, ერთ სინიორასთან ვარ წასასვლელიო. ეს ჩვეულებრივი სოფლური ეშმაკობა იყო, თავს იფასებდა, მაგრამ როგორც კი შემატყო რომ მოთმინება გამომელია და უნდა გამოვემშიდობო, მაშინვე დამთანხმდა.

ბილეთებიც ნამდვილი ლირებით ვიყიდე. დავსხედით ჩვენს ადგილებზე, სიბნელეში ხელზე ხელი მოვკიდე მატილდას, წინააღმდეგობა არ გამიწია. ამით გავთამამდი, მივეტანე, მინდოდა კისერზე მეკოცა. მატილდამ ხელი მკრა და დაიყვირა:

- აბა, ხელი! ეგეთები არ იყო!

შშ! სს! ასისინდა გარშემო ხალხი. სირცხვილით ავილანძე, ხელად შემძულდა მატილდა. სამწუხაროდ, ჯერ ფერად ფილმს უჩვენებდნენ ქრისტეფორე კოლუმბზე, ფეხბურთის ქრონიკა კი ბოლოს უნდა ეჩვენებინათ. მე ქრონიკის ნახვა მინდოდა და ამიტომ დავრჩი კინოში. ისე ფერადი ფილმი კი, ქრისტეფორე კოლუმზე, ძალიან მოსაწყენი იყო და, როგორმე გული რომ გადამეყოლებია, დღევანდელი დანახარჯის ანგარიშს შევუდექი: სამასილირი საუზმე, ას ოცი სიგარეტი, ორასი ყავა და ნამცხვარი, ოთხასი კინო, ათას ლირზე მეტი დავხარჯე და არავითარი სიამოვნება არ მიმიღია.

ფილმის პირველი ნაწილი რომ დამთავრდა და სინათლე აინთო, მატილდას მივუბრუნდი:

- იცი რას გეტყვი! შენისთანა ქალები სოფელში უნდა ისხდნენ და მიწას ჩიჩქნიდნენ.

- ვითომ რათაო?

- იმიტომ რომ გაუთლელი ხარ და ქალაქში ცხოვრება შენი საქმე არ არის.

დამიჯერებთ? იმ ლოყებგაბუშტულმა ტეტიამ ქედმაღლურად გადმომხედა და მომახალა:

- მყიდველი მუდამ ცდილობს საქონელის მაზანდა დასცეს.

ისე გავგულისდი, მინდოდა დამეხრჩო. უხმოდ წამოვდექი და ხუთი რიგით უკან გადავჯექი. ეს ქალი უკეთესი მოპყრობის ღირსი არ იყო.

უკვე შვიდი საათი სრულდებოდა. ფილმში მეორე ნაწილი ძალიან გაჭიანურდა. მე ჩემს ასიგნაციაზე ვფიქრობდი, ვფიქრობდი სტაიანოზე, რვა საათისთვის რისორჯიმენტოს მოედანზე უნდა დამხვედროდა, პატარა პარკში, მაგრამ ისე მინდოდა ქრონიკის ნახვა, რომ თავი დავიიმედე, რა მოხდა, მაინც მოვასწრებ ფულის დახურდავებას-მეთქი. რვას თხუთმეტი წუთი აკლდა, როცა ქრისტეფორე კოლუმბმა, როგორც იყო, ინება სიკვდილი. დარბაზში სინათლე აინთო, ათი წუთიც და, ასიგნაციის დასახურდავებლად გავქუსლავ, ვფიქრობდი ჩემთვის, მაგრამ ის კი ვეღარ გავითვალისწინე, რომ ფერადი ფილმის შემდეგ, ფეხსაცმლის რომელიღაც ქარხნის რეკლამას უჩვენებდნენ. ამას მოჰყვა ავეჯის ქარხნის რეკლამა, შემდეგ ისევ ანტრაქტი. უკვე რვა საათი იყო, ღმერთმა რომ ინება ქრონიკა ეჩვენებინათ. მე გატაცებული გულშემატკივარი ვარ. როგორც კი გამოჩნდნენ ეკრანზე ჩვენი ფეხბურთელები, სტაიანოც დამავიწყდა, ყალბი ასიგნაციაც და ყველაფერი ამქვეყნად, მხოლოდ მატჩი მიტრიალებდა თავში. გულახდილად რომ ვთქვა, მხოლოდ ეს წუთები იყო ჩემთვის ბედნიერი წუთები მთელი ამ დღის მანძილზე.

უკვე ცხრის ოცი წუთი იყო, გაოგნებული რომ გამოვედი კინოთეატრიდან. უცებ გამახსენდა სტაიანოც, ყალბი ასიგნაციაც, დახარჯული ფულიც და ავიშალე, აღარ

ვიცოდი საით წავსულიყავი, რა გზას დავდგომოდი და თვითონაც არ ვიცი, როგორ მოვხვდი ვია კოლა დი რიენცოზე, სწორედ რესორჯიმენტოს მოედნის მახლობლად. ამ დროს ვიღაცის ხმა მომესმა და იმედის ნაპერწკალმა გამკრა გულში.

- აქ იპოვით ბედნიერებას!.. აბა, ვის უნდა ბედი სცადოს!

ერთი შავტუხა ყმაწვილი, რომელსაც ბოროტმოქმედის სახე ჰქონდა, კედელს მიყრდნობოდა, კისერზე ხონჩა ეკიდა, ხონჩაზე კი სამი დასტა ქაღალდი ეწყო. გვერდით ასეთივე საეჭვო გარეგნობის ამხანაგი ედგა. იმ ყმაწვილს თავი ისე ეჭირა, ვითომ თამაშით ძალიან დაინტერესებული იყო. მოდი, ყალბ ბედნიერებას გამოვცდი სტაიანოს ასიგნაციით, დავახურდავებ, ას ლირს ჩავალ სათამაშოდ, მერე კი ჩემს გზას დავადგები-მეთქი, გავიფიქრე და ყმაწვილებისკენ გავეშურე. აზარტული თამაში აკრძალულია, ამიტომ იმისდარდი სულ არა მქონდა, რომ ეს გაიძვერები დამასმენდნენ.

მივედი ყმაწვილებთან, ხარბად შევავლე თვალი ხონჩას და შეწუხებული სახით ვუთხარი:

- თამაში მინდა, მაგრამ წვრილი ფული არა მაქვს, და ასიგნაცია დავანახვე. ხონჩიანი ყმაწვილი ქაღალდს ურევდა და თუთიყუშივით გაიძახოდა:

- აქ იპოვით ბედნიერებას. აბა, ვის უნდა ბედი სცადოს!

მისი ამხანაგი ჩემკენ წამოვიდა და ამ სიტყვებით საფულე ამოიღო.

- ეშმაკმა წაიღოს! არაფერი დაშავდება, თუ ყმაწვილ კაცს, რომელსაც ბედის გამოცდა სწადია, დავეხმარებით. მომეცით, გეთაყვა, ეგ ასიგნაცია.

ფული გავუწოდე. მან ათასლირიანი ცხრა ქაღალდი და ათი ასლირიანი ქაღალდი ჩამითვალა. როგორც გადაწყვეტილი მქონდა, ას ლირს ჩავედი.

- სინიორი ას ლირს ჩამოდის... გთხოვთ, სინიორ! - დაიძახა ხონჩიანმა ყმაწვილმა.

გაშალა თუ არა ქაღალდი, დავინახე, რომ მოვიგე. მართალია, კარგად ვიცოდი ეს ფანდი, მაგრამ მაინც სულმა წამძლია, ეგებ დღის დანახარჯი მაინც ამენაზღაურებია. არ ვიცი, იქნებ ეს იმიტომ მომივიდა, რომ დაღლილი ვიყავი, მაგრამ მეორედ უკვე ცხრაას ლირს ჩავედი და როგორც მოსალოდნელი იყო, წავაგე. რა თქმა უნდა, თამაში ამაზე შევწყვიტე და სტაიანოსკენ გავეშურე.

ჩემი ვარაუდით უკვე ორი ათასი ლირი დავხარჯე, სტაიანოსგან სამი ათასი ლირის ნაცვლად ათასიღა მერგებოდა.

მაგრამ ყველაზე დიდი უსიამოვნება თურმე სტაიანოსთან შეხვედრისას მელოდა. როგორც კი მყუდრო კუთხეში გავედით ანგარიშის გასასწორებლად, სათითაოდ ჩავუთვალე სტაიანოს ხურდა. ის კი ყოველი ქაღალდის გამორთმევისას იძახდა:

- ყალბია, ყალბია, ყალბია, ესეც ყალბია, ყველა ყალბია, - მითხრა ბოლოს კოპებშეკრულმა სტაიანომ და ფული ჯიბეში ჩაიდო. - რაც მთავარია, ეს ჩვენი

ნახელავი არ არის. ჩვენ სუფთად ვმუშაობთ. ჰმ! ბარაქალა შენს ბიჭობას, რა მარჯვე ყოფილხარ! ვიდექი პირდაღებული და სტაიანოს შევყურებდი. ის კი განაგრძობდა:

- ჩემი ასიგნაცია თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ნამდვილი ფულისგან. შენ კი ცხრა ისეთი ასიგნაცია მომიტანე, რომელსაც ბრმაც არ აიღებს.

- ხარჯები მაინც ამინაზღაურე, - ვთხოვე სტაიანოს.

- ერთი ამას დამიხედეთ. რაო, რის ხარჯი?

- რისა და იმ იმედით, რომ შენ სამი ათას ლირს მომცემდი, ორი ათას ლირზე მეტი დავხარჯე.

- მით უარესი შენთვის... რაგგონია, ის ასიგნაცია მუქთად მომცეს? მე ხომ სამასი ლირი გადავიხადე იმაში... პირიქით, ჩემო კარგო, შენ უნდა მომცე, რაც მაზარალე.

დიდხანს ვდავობდით და ვკინკლაობდით. მაგრამ სტაიანომ გროშიც არ მომცა. მატყუებ, ეგ ფული ყალბი არ არის, - გამოვუცხადე სტაიანოს. სტაიანომ ამოიღო ათასლირიანი ქაღალდები, ნაკუწ-ნაკუწად აქცია და წყალსადინარში ჩაყარა. ყველაზე მეტად მაინცი მანდ დამწყვიტა გული, განშორებისას რომ მომახალა სტაიანომ:

- პატიოსანი, სერიოზული და პასუხსაგები საქმისათვის არ ვარგიხარ. ოცი წლით შენზე უფროსი ვარ და ნება მიბოძე, მოგახსენო... მეტისმეტი ცერცეტი და არაფრის მაქნისი ხარ... შენი საქმე შავ ბაზარზე სიგარეტების გაყიდვაა. მარტო ამაში თუ გამოდგები. მშვიდობით ბრძანდებოდე, ყმაწვილო!

საბარგო მანქანის შოფერი

ერთი გამხდარი, გალეული, ნერვიული კაცი ვარ. პატარა ხელები, გრძელი, გაკანჭული ფეხები და ისეთი შევარდნილი მუცელი მაქვს, რომ შარვალი დღენიადაგ მძვრება. ერთი სიტყვით, არაფრით არა ვგავარ საბარგო მანქანის შოფერს.

აბა, შეხედეთ იმათ! რა ზორბა ბიჭები არიან. სრული, ჩატყვიებული და მხარბეჭიანი. მტვირთავივით მკვრივი ხელები, მკერდი და მუცელი აქვთ, რადგან საბარგო მანქანის შოფერისათვის მთავარია ხელები, ზურგი და მუცელი. ღონიერი ხელები იმისთვის სჭირდებათ, რომ საბარგო მანქანის საჭე, რომელსაც დიამეტრი თითქმის ხელის სიგრძე აქვს, მარჯვედ ატრიალონ, მთის დაკლაკნილ გზებზე ხომ ხშირად უხდებათ საჭის ბოლომდე მიტრიალ-მოტრიალება. მაგარი ზურგი იმისთვის უნდათ, რომ მთელი დღე ერთ მდგომარეობაში ჯდომა არ გაუჭირდეთ, არ გაშეშდნენ და, ბოლოს, მკვრივი მუცელი იმისთვის, რომ მანქანის დასაჯდომს არ შეეზარდონ, მისი გაგრძელება გახდნენ.

ეს, რაც ფიზიკურ თვისებებს შეეხება. ხასიათით ხომ სულ არ ვარგივარ ამ საქმისთვის. საბარგო მანქანის შოფერს ძარღვები უნდა ჰქონდეს, არაფერზე არ უნდა ფიქრობდეს და არ განიცდიდეს. შარაგზაზე სისტემატური მგზავრობა ისე ქანცავს ადამიანს, ხარის ღონეც რომ ჰქონდეს, ქანცს

გააცლის და დაასუსტებს. რაც შეეხება ქალებს, შოფერმა ამაზე ისევე ცოტა უნდა იფიქროს, როგორც მეზღვაურმა. დაუსრულებელი მოგზაურობა აქეთ-იქით ნამდვილად შეშლის მგრძნობიარე ადამიანს. მე კი მუდამ მტანჯავენ გაუთავებელი ფიქრები. ტემპერამენტით მელანქოლიკი ვარ და ქალებიც მიყვარს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პროფესია აშკარად საჩემო არ იყო, ბედმა მაინც საბარგო მანქანის შოფრობა მარგუნა და ერთ სატრანსპორტო ფირმაში მოვეწყვე. მეწყვილედ პოლომბო მყავდა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩემი მეწყვილე ნამდვილი პირუტყვი იყო. საბარგო მანქანის შოფრებში ბევრია ყეყეჩი. საცოდავ პოლომბოს კი ტვინის ნატამალიც არ გააჩნდა. მთლად ჩერჩეტი იყო, მაგრამ ამავე დროს საბარგო მანქანის იდეალური შოფერი გახლდათ. მანქანა და პოლომბო თითქოს ერთ მთლიან საგანს წარმოადგენდა. უკვე ოცდაათ წელს გადაცილებული იყო, მაგრამ რაღაც ბიჭური შერჩენოდა: გაბუშტული ლოყები, დაბალი შუბლი, წვრილი თვალები, პირი კი ყულაბის ჭრილს უგავდა. სიტყვა ძვირი კაცი იყო. მთელი დღე მუნჯივით იჯდა. ათასში ერთხელ ჩაიბუხუნებდა თავისთვის, მაგრამ თუ საჭმელზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, იცოცხლეთ, ხელად გახალისდებოდა. მახსოვს, ერთხელ ნეაპოლისკენ მივდიოდით, იტრიში ჩამოვხტით მანქანიდან და დაღლილდაქანცულები ოსტერიაში შევედით პურის საჭმელად. ჩემდა სამწუხაროდ, ღორის ქონზე მოშუშული ლობიოს მეტი არა ქონდათ რა. ერთი ლუკმაც ვერ ჩავიდე პირში. პოლომბომ კი ორი პირამდე გაციცინებული ჯამი

გადასანსლა, გამარჯვებული კაცის იერით გადაწვა სკამზე, თითქოს რაღაც არაჩვეულებრივი საყურადღებო უნდა ეთქვა. ბოლოს მუცელზე ხელი მოისვა.

- კიდევ ოთხ ჯამს შევჭამდი, - ეს იყო გენიალური აზრი, რომელიც ჩემთვის უდნა გაეზიარებია.

ასეთ ჯირკვთან რომ ვმოგზაურობდი, უთუოდ იმიტომ გამეხარდა, იტალიას რომ შევხვდით, მაშინ ჩვენი მარშუტი რომი-ნეაპოლი იყო. სხვადასხვა ტვირთს ვეზიდებოდით: აგური, ჯართი, გაზეთის ქაღალდის რულონები, ფიცრები, ხილი. დროდადრო ერთი საძოვარიდან მეორეზე ცხვრის ფარა გადაგვყავდა. იტალიამ ტერაჩინოში გაგვაჩერა და გვთხოვა, რომამდე წამიყვანეთო, მგზავრების ტარება აკრძალული გვქონდა, მაგრამ იტალიას რომ შევხედეთ, ბრძანებაც დაგვავიწყდა და თავიც. დაბრძანდითო ვუთხარით. იტალია ცქვიტად შემოხტა კაბინაში და დაიყვირა:

- გაუმარჯოს თავაზიან შოფრებს!

ერთობ გამომწვევი იერი ჰქონდა იტალიას. არაჩვეულებრივი გრძელი წელი, მაღალი, სავსე მკერდი, გრძელი კისერი, პატარა თავი, შავი, გაჩეჩილი თმა და დიდი მწვანე თვალები. საუცხოო თეთრი სვიტერი თეძოებამდე მჭიდროდ შემოტმასნოდა და სავსე მკერდზე ლამის

ასკდებოდა. ისეთი დაბრეცილი და მოკლე ფეხები ჰქონდა, იფიქრებდით, მუხლმოყრილი დადისო. ერთი სიტყვით, იტალია გონჯი იყო, მაგრამ ლამაზებს მაინც სჯობდა: ეს იმ დღესვე დამიმტკიცა, როცა ჩისტერნოს აღმართს შევყევით. ის იყო საჭეს პოლომბო მიუჯდა, რომ იტალიამ ხელზე მთელი ძალით მომიჭირა ხელი და ველერტომდე, სადაც მე შევცვალე პოლომბო, ასე ეჭირა ჩაბღაუჭებული. ზაფხული იდგა, დღის ოთხი საათი იყო, პაპანება ამ დროს აუტანელი ხდება, ხელები გაგვიოფლიანდა, მაგრამ რას დაგიდევდით ოფლს! დროდადრო იტალია თავის მწვანე, ბოშა ქალის თვალებს მომაპყრობდა, ისე მეჩვენებოდა, თითქოს ცხოვრება, აქამდე მხოლოდ ასფალტის ზოლში რომ იყო ჩემთვის მოქცეული, ისევ მიღიმოდა. ვპოვე, რასაც ვეძებდი: ქალი, რომელზეც შეიძლება ფიქრი, ოცნება. სანამ ჩისტორნოდან ველერტომდე მივდიოდით, პალომბომ გზად მანქანა გააჩერა და სალტეების შესამოწმებლად ჩავიდა. ამით ვისარგებლე და იტალიას ვაკოცე. ვალერტოში სიამოვნებით შევცვალე პოლომბო, რადგან იმ დღით მეტად კმაყოფილი ვიყავი. იტალიას კოცნა და ხელზე ხელის მოჭერა ჩემთვის სრულიად საკმარისი იყო, რომ თავი ბედნიერ ადამიანად მეგრძნო.

მას მერე იტალია, თითქმის ყოველდღე გვხვდებოდა გზაში. ჩვენ ხან ტერაჩინოდან რომ მიგვყავდა, ხანაც რომიდან ტერაჩინოში. იტალიას ხელში ან ჩემოდანი ეჭირა ხოლმე, ან პატარა ფუთა. ჩაჯდებოდა მანქანაში და, თუ საჭეს პოლომბო უჯდა, მთელი გზა ხელზე ხელს მიჭერდა. ნეაპოლიდან რომ ვბრუნდებოდით, მაშინ ტერაჩინოში დაგვხვდებოდა, ჩაჯდებოდა კაბინაში

და კვლავ მექლასუნებოდა. ხან კი, მართალია, თავს მარიდებდა, მაგრამ პოლომბოს შეუმჩნევლად მაინც ვკოცნიდი. რაღა ბევრი გავაგრძელო და იტალია შემიყვარდა, შემიყვარდა წრფელი სიყვარულით. არ ვიცი, იქნებ ეს იმიტომ მოხდა, რომ უკვე დიდი ხანია ქალი არ მყვარებია. იქამდე მივედი, რომ შემომხედავდა თუ არა იტალია, გული ამიჩუყდებოდა და პატარა ბიჭივით ცრემლით მევსებოდა თვალი. ეს ნეტარების ცრემლი იყო, ოღონდ ჩემი ფიქრით, ეს მამაკაცის შემლახველი სისუსტეა და მე

ყოველნაირად ვცდილობდი ცრემლის შეკავებას. როცა საჭეს მე ვუჯექი, პოლომბოს კი ჩაეძინებოდა, ამით ვსარგებლობდი და ხმადაბლა ველაპარაკებოდი იტალიას. აღარც კი მახსოვს, რაზე ვლაპარაკობდით იმ წუთებში, მაგრამ ეს კი იმის უტყუარი ნიშანია, რომ ჩვენ ათას უმნიშვნელო რამეზე ვყბედობდით, როგორც ეს საერთოდ შეყვარებულებმა იციან. მახსოვს მხოლოდ, დრო სწრაფად მიჰქროდა. ტერაჩინოს დაუსრულებელ გზატკეცილსაც კი რაღაც ჯადოქრული ძალით ხელად ჩამოვიტოვებდით უკან. მანქანის სიჩქარეს ვუკლებდი, ოცდაათ, ოც კილომეტრზე დამყავდა საათში, მაგრამ გზა მაინც სწრაფად ილეოდა და იტალია მანქანიდან ჩადიოდა. ღამით უკეთესი იყო მგზავრობა, გზაზე ნაკლები მოძრაობა იყო, უფრო თავისუფლად ვგრძნობდი თავს, ერთი ხელით საჭე მეჭირა, მეორეთი კი იტალიას ვეხვეოდი. სიბნელეში შემხვედრი მანქანების ფერები რომ აინთებოდა და მე მათ ნიშანს ვუპასუხებდი, მინდოდა, რომ ჩემი მანქანის ანთებულ ფარებს ისეთი სიტყვები შეედგინათ, რომლებიც მთელ ქვეყანას ამცნობდნენ, თუ რაოდენ ბედნიერი ვიყავი, როგორ მიყვარდა იტალია და მასაც ვუყვარდი.

პოლომბო ვერაფერს ამჩნევდა, ან ისეთ სახეს იღებდა, რომ თითქოს ვერ ამჩნევსო. იტალიას წაყვანაზე ერთხელაც არ უთქვამს უარი. კაბინში რომ შემოვიდოდა იტალია, პოლომბო თავისთვის ჩაიბუხუნებდა რაღაცას, ვითომ იტალიას ესალმებოდა, და განზე გაიწევდა, რომ ჩვენ შორის დაეთმო მისთვის ადგილი. იტალია მუდამ ჩვენ შუა ჯდებოდა. როცა პოლომბო უჯდა საჭეს, მე გზატკეცილისთვის უნდა მედევნებინა თვალი, უნდა მეთქვა პოლომბოსთვის, გზა თავისუფალი იყო თუ არა. პოლომბოს ერთი სიტყვაც არ წამოცდენია ჩემსა და იტალიას ურთიერთობაზე. არც მაშინ ამოუღია ხმა, სიყვარულით ჭკუა რომ დავკარგე და მოვიწადინე მანქანის ქარამრიდ მინაზე დამეწერა რაიმე იტალიაზე. ბევრი არ მიფიქრია, დიდი ასოებით დავწერე: „გაუმარჯოს იტალიას“. პოლომბო ისეთი ყეყეჩი იყო, რომ ამ სიტყვების ორაზროვნობას ვერც კი მიხვდა, სანამ შოფრებმა დაცინვით არა გვკითხეს, როდის აქეთ გახდით ასეთი პატრიოტებიო. მაშინ პოლომბომ გაკვირვებით შემომხედა და ჩაიცინა:

- ამათ ჰგონიათ, რომ იტალიაზე დაწერე. რა იციან, თუ იტალია ქალიშვილს ჰქვია... ვაჰ, რა ჭკვიანი ხარ, რა ზორბად მოიფიქრე.

ორი თვე გრძელდებოდა ასე. ერთხელ იტალია ჩვეულებისამებრ ჩამოვსვით ტერაჩინოში და გზა განვაგრძეთ. ნეაპოლში მანქანა რომ დავცალეთ, ბრძანება მივიღეთ, იმავე ღამეს დავბრუნებულიყავით რომში. ძალიან მეწყინა ეს ამბავი, რადგან დილით იტალია უნდა

დაგვხვედროდა გზაში. მაგრამ რას გავაწყობდი, ბრძანება ბრძანებაა. მივუჯექი თუ არა საჭეს, პოლომბომ ხვრინვა ამოუშვა. იტრიმდე ყველაფერი რიგზე მიდიოდა, რადგან გზის ამ მონაკვეთზე ბევრი მოსახვევია. ღამე კი, როცა უკვე დაღლილი ხარ, მოსახვევი შოფრის საუკეთესო მეგობარია, რადგან მოსახვევები იძულებულს გხდის ფხიზლად იყო. როგორც კი იტრის გავცდით, ფონდის ფორთოხლის პლანტაციებს შუა გაჭიმულ ლარივით სწორ გზას რომ დავადექი, ძილი მომერია. იტალიაზე დავიწყე ფიქრი, იქნებ ამან გამომაფხიზლოს-მეთქი. ჩემს გონებაში ბარდივით ჩაეხლართა ერთმანეთს ფიქრები იტალიაზე. თანდათან ეს ბარდი გახშირდა, გასქელდა და ბოლოს ბნელ და

გაუვალ უღრანად იქცა. მახსოვს, ერთი კი გამიელვა თავში, რა კარგია იტალიაზე რომ ვფიქრობ, თორემ აქამდე დამეძინებოდა-მეთქი, მაგრამ მე უკვე მეძინა და ძილში გავიფიქრე ეს. არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდა ასე, უცებ ვიგრძენი, რომ მანქანამ გზას გადაუხვია და თხრილში ჩაიჩეხა, აგრუხუნდა მანქანის მობმული საზიდარი, ჭახანი გაადინა. საბედნიეროდ მანქანა ნელა მიმყავდა, თორემ მე და პოლომბოს კარგი დღე არ დაგვადგებოდა. კაბინიდან გამოვედით და დავინახეთ, რომ ჩვენი საზიდარი აყირავებულიყო, ბორბლები ზემოთ მოქცეოდა, მთელი ტვირთი კი თხრილში ეყარა. ბნელი, უმთვარო ღამე იყო, მხოლოდ ვარსკვლავები კიაფობდნენ ცაში. კიდევ კარგი, რომ ეს ამბავი ტერაჩინოს მახლობლად შეგვემთხვა. ჩვენს მარჯვნივ მთები იყო აღმართული, მარცხნივ ვენახები გადაჭიმულიყო, ვენახებს იქით კი მშვიდი, შავი ზღვა მოჩანდა.

- იფ, შენი გულისა! რა კარგია! - წამოიძახა პოლომბომ, - ტერაჩინოში წავიდეთ მაშველი მოვიყვანოთ.

ტერაჩინოც იქვე იყო, ყურის ძირში, და პოლომბომ, დღენიადაგ ჭამაზე რომ ფიქრობდა, მშიაო, გამომიცხადა. ტექდახმარების მანქანა რამდენიმე საათის შემდეგ მოვა, მანამდე ურიგო არ იქნება, სადმე ოსტერიაში შევიდეთ და დავნაყრდეთო. გავეშურეთ ოსტერიის საძებრად. უკვე ღამის პირველი საათი იწყებოდა, დაბომბვით დანგრეულ მრგვალ მოედანზე ერთადერთი კაფე იყო და ისიც უკვე დაეხურათ. ზღვისკენ მიმავალ გზაზე რომ გავუხვიეთ, იქვე ახლოს განათებული აბრა გვეცა თვალში. იმედმოცემულებმა ნაბიჯს ავუჩქარეთ, ეს მართლა ოსტერია აღმოჩნდა, მაგრამ რკინის ბადე უკვე ნახევრად ჩამოეწიათ კარზე. მაშასადამე, ეს ოსტერიაც იხურებოდა. მინის კარი ჰქონდა ოსტერიას და ნახევრად ჩამოწეულ ბადეში მაინც ჩანდა ყველაფერი.

- აი, ნახე, თუ შეგვიშვან, - თქვა პოლომბომ, დაიხარა და ოსტერიაში შეიხედა.

მეც დავიხარე. სოფლის ოსტერიის მომცრო დარბაზში რამდენიმე მაგიდა იდგა. მაგიდებზე გადაბრუნებული სკამები შეეწყოთ. ხელში ცოცხმომარჯვებული იტალია ცქვიტად ტრიალებდა და იქაურობას ალაგებდა. დახლში კუზიანი კაცი იჯდა. ჩემს ცხოვრებაში ბევრი კუზიანი

მინახავ, მაგრამ ასეთი საზარელი ჯერ არ შემხვედრია. ლოყებით ხელებს დაყრდნობოდა, თავი მთლიანად ჩაემალა მხრებში და კუზი თავზე წამოდგომოდა. კუზიანი დაჟინებით მისჩერებოდა იტალიას. იტალია აჩქარებით გვიდა. კუზიანმა რაღაც უთხრა, იტალია მივიდა, ხელები კისერზე შემოაჭდო და შიგ ტუჩებში ჩაკოცნა. მერე ისევ აიღო ცოცხი და დარბაზში დატრიალდა, თითქოს ცეკვავსო. კუზიანი დახლიდან გამოვიდა. მეთევზესავით იყო გამოწყობილი. ფეხზე სანდალი, ტანზე ხალათი და მუხლებამდე აკეცილი მეთევზის ლურჯი შარვალი ეცვა. ჩვენკენ წამოვიდა, ჩვენ ხელად განზე გავხტით, კუზიანმა კარი გააღო და რკინის ბადე ბოლომდე დაუშვა. მღელვარება რომ დამეფარა, წამოვიძახე:

- ვინ იფიქრებდა ამას?

- ოჰო-ო, - ძლივს ამოიღო ხმა პოლომბომ. მის ხმაში ისეთი სიმწარე გაისმა, რომ გავოცდი.

იქიდან პირდაპირ გარაჟში წავედით და დილამდე მოვუნდით თხრილიდან ამოთრევას და მანქანის დატვირთვას, დილით, როცა უკვე რომს ვუახლოვდებოდით, პოლომბო მოულოდნელად ალაპარაკდა. მას აქეთ, რაც ერთად ვმუშაობთ მგონი პირველად დაილაპარაკა:

- არა, ნახე რა მიყო მაგ კუდიანმა იტალიამ?

- რაო, რა იყო?

- რაღა რა. ყველა იმის შემდეგ, რაც ჩვენ შორის მოხდა, - დინჯად განაგრძო პოლომბომ, - მთელი გზა ხელზე ხელს რომ მიჭერდა, როცა შევპირდი ცოლად შეგირთავ მეთქი და დავნიშნე კიდევაც, ნახე? კუზიანი... გაოცებით პირი დავაღე, პოლომბომ კი განაგრძო:

- ისეთ კარგ საჩუქრებს ვაძლევდი იმ კუდიანს, იმას: მარჯანი გინდა, აბრეშუმის თავსაფარი თუ ლაკირონის ფეხსაცმელი... არაფერი, არაფერი არ დამიკლია. რაღა დაგიმალო, შემიყვარდა ის შეჩვენებული. მეგონა ისეთი იყო, როგორიც მე მინდოდა. ის კი... ოჰ უმადურო, უგულო გომბიო.

დილის ბინდბუნდში ჩვენი საბარგო მანქანა მთელი სისწრაფით მიჰქროდა რომისკენ, პოლომბო გაუჩერებლად ლაპარაკობდა იტალიაზე. ლაპარაკობდა დინჯად, ხმადაბლა, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. მე კი ვფიქრობდი, უთუოდ იტალია, რკინგზის ბილეთზე ფული რომ არ დაეხარჯა, ორივეს გვატყუებდა-მეთქი. პოლომბოს წუწუნი ცეცხლს მიკიდებდა. ვბრაზობდი, რომ ჩემს სათქმელს ის ამბობდა, მის პირში კი ყველაფერი სასაცილოდ მეჩვენებოდა და ეს უფრო მამწარებდა. ბოლოს ვეღარ მოვითმინე და მკვახედ შევაწყვეტინე:

- დამეხსენი, თუ ღმერთი გწამს. სული ნუ შემიწუხე იმ საზიზღარ დედაკაცზე ლაპარაკით. მეძინება.

- გული მეტკინა, ვერ წარმოვიდგენდი, ასეთი საზიზღარი თუ იყო, - მიპასუხა საბრალომ და გაჩუმდა. რომამდე კრინტი არ დაუძრავს.

რამდენიმე თვე ვდარდობდი. გზატკეცილი ჩემთვის ისევე ჯოჯოხეთად იქცა, რაც იყო იტალიასთან შეხვედრამდე. ერთ დაუსრულებელ, საზიზღარ ლენტად, რომელიც დღეში ორჯერ უნდა გადაყლაპო და ამოაფურთხო. მაგრამ პროფესიის გამოცვლა მაინც იმან მაიძულა, რომ იტალიამ იმავე გზატკეცილზე, ნეაპოლში ოსტერია გახსნა, რომელსაც „შოფრების თავშესაფარი“ უწოდა. ჰმ, თავშესაფარი. იქამდე რომ მიგეღწია ასობით კილომეტრი უნდა გევლო. არასოდეს არ შევჩერებულვართ „შოფრების თავშესაფარში“, მაგრამ როცა კი შევიხედავდით იქ, გულზე უსიამოვნოდ გამკაწრავდა, დახლში მდგარ იტალიას რომ დავინახავდი, რომელსაც მისი კუზიანი ლუდის ბოთლებს და ჭიქებს აწვდიდა. სატრანსპორტო ფირმაში მუშაობას თავი დავანებე. საბარგო მანქანა, კი წარწერით - „გაუმარჯოს იტალიას!“ - რომელიც ახლა პოლომბოს დაჰყავს, ძველებურად დაგრიალებს იმავე გზატკეცილზე.

ფიქრები ხმამაღლა

ტიბრის მარჯვენა ნაპირისათვის ჩვეულებრივ რესტორან „მარფორიოში“ თავდაპირველად საქმე კარგად მიდიოდა. გამოჩერჩეტებული თავი ზღვის პირას გდებულ ნიჟარასავით მიშხუოდა. ამ ნიჟარაში ლოკოკინა, რა თქმა უნდა, დიდი ხანია დაიღუპა და როცა მუშტრები შემიკვეთდნენ „საწებლიან სპაგეტს“, ჩემს თავში უმალ დარეკდა: „ინგლისური ბისკვიტი“ და სხვა არაფერი. საერთოდ არაფერზე არ ვფიქრობდი, გარეგნულად თუ შინაარსით პირწავარდნილი ოფიციანტი გახლდით, ისეთი ოფიციანტი, რომელსაც ძილის წინაც კი თავში უტრიალებს ყოველგვარი საწებლიანი სპაგეტი და ინგლისური ბისკვიტი, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში მიართმევს მუშტრებს.

აკი მოგახსენეთ, თავი გამოჩერჩეტებული მქონდა-მეთქი, თუმცა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, გაყინული მქონდა, როგორც მთის ტბებში იყინება წყალი. გაზაფხულზე, მზე დააცხუნებს თუ არა, ყინული დნება, ისევ წყლად იქცევა, ერთ მშვენიერ დღეს რაკრაკს დაიწყებს და ნიავის დაბერვაზე ჭავლს აყრის.

ერთი სიტყვით, გამოჩერჩეტებული თავი მქონდა თუ გაყინული, მაინც სანიმუშო ოფიციანტი გახლდით. ერთ საღამოს ვიღაც ქალიშვილმა თავის კავალერს ჩემზე ანიშნა და უთხრა:

- ერთი ამას შეხედე... არა, ნამდვილი ოფიციანტის სახე არ აქვს? ეტყობა, ოფიციანტობის მეტი არაფერი შეუძლია... ოფიციანტად დაბადებულა და ოფიციანტად მოკვდება.

კაცმა არ იცის, რას ნიშნავს ოფიციანტის სახე. იქნებ ეს ის სახეა, რომელიც მუშტრებს არ მოსწონთ? თვით იმათ, რა თქმა უნდა, არა სჭირდებათ საგანგებო „მუშტრის სახე“, რადგან არავის გულის მოგებას არ ცდილობენ. ხოლო თუ ოფიციანტს უნდა ოფიციანტად დარჩეს, ნუთუ მას განსაკუთრებული ოფიციანტის სახე უნდა ჰქონდეს?!

ჰოდა, ასე. მთელი წლის განმავლობაში არაფერზე არ ვფიქრობდი, მხოლოდ მუშტრების შეკვეთებს ვიღებდი და ვემსახურებოდი მათ. მაშინაც კი, როცა რომელიმე ხეპრე დამიყვირებდა:

- შენ, ეი, სულელი ხარ, თუ განზრახ ისულელებ თავს? - ჩემი თავი მორჩილად იმეორებდა: „სულელი ხარ, თუ განზრახ ისულელებ თავს“. და სხვა არაფერი. გასაგებია, რომ რესტორანის პატრონი ჩემით კმაყოფილი იყო და ხშირად ეტყოდა ხოლმე სხვა ოფიციანტებს:

- იცოდეთ, ჩემს რესტორანში უწესოებას და აყალმაყალს ვერ ავიტან... მიბაძეთ ალფრედოს. აი, ვინ არის ნამდვილი ოფიციანტი, ერთი ზედმეტი სიტყვა არ წამოცდება.

მთელი ეს დავიდარაბა ერთ საღამოს დაიწყო, სწორედ ისე, ყინული რომ მზით დნება, უცებ აბობოქრდება და აღელდება... იმ საღამოს ძალიან ჭირვეული მუშტარი შემხვდა.

ხანდაზმული კაცი გახლდათ, მაგრამ ეტყობოდა, რომ ახალგაზრდობდა. ხუჭუჭა თმაში ჭაღარა შერეოდა, თითქოს თოვლი დაუფრქვევიათო, სახე თხას მიუგავდა. ჰოდა, დამიწყო ამ კაცმა ჯაჯღანი, ალბათ უნდოდა თავი მოეწონებია ქალიშვილისთვის, რომელიცთან ახლდა. ისიც შეუხედავი, ქერა. როგორც ჩანდა, ან მკერავი იყო ან მემანქანე. იმ ვაჟბატონს არაფერი არ მოსწონდა და, როცა შეკვეთილი კერძი მივართვი, აყვირდა:

- ეს რასა ჰგავს? ეს სად მოვხვდით? ახი არ იქნება თქვენზე, ყველაფერი რომ თავში გთხლიშოთ!

ის არ იყო მართალი. მან ბიფშტექსი შემიკვეთა - მეც ბიფშტექსი მივუტანე. მაგრამ ამჯერად, ნაცვლად იმისა, რომ მორჩილად გამემეორებია მისი სიტყვები, უცებ გავიფიქრე: „ ამ ჯეელს სახე თხას მიუგავს“. კიდევაც გამიკვირდა, ვითომ ეს რა თავმოსაწონი ფიქრია-მეთქი, მაგრამ ჩემთვის მაინც მნიშვნელოვანი იყო ეს ამბავი, რადგან იმ დღიდან, რაც რესტორანში ვმუშაობ, პირველად თვითონ გავიფიქრე რაღაც. სამზარეულოში წავედი, შეკვეთა შევცვალე, ორი მწვადი მივართვი და გავიფიქრე: „ აჰა, და შხამად შეგერგოს“. როგორც ხედავთ, ეს უკვე სრულიად ახალი აზრი იყო, არც ეს გახლდათ დიდი სიბრძნე, მაგრამ მაინც ხომ იყო აზრი.

ამ საღამოდან დავიწყე ფიქრი, ესე იგი, მინდა გითხრათ, რომ ვაკეთებდი ერთს და ვფიქრობდი სულ სხვას. მე მგონია, სწორედ ამას ჰქვია ფიქრი. აი, მაგალითად, მე თავს ვუკრავ კლიენტს და ვეკითხები: „რას ინებებთ, სინიორ?“, გულში კი ვფიქრობ: „ რა გრძელი კისერი აქვს ამ ფრანტს... ბატს არა ჰგავს?“. ანდა ზრდილობიანად მივმართავ: „ ყველს ხომ არ ინებებთ, სინიორა?“, თან ვფიქრობ: „შენ ულვაში გაქვს, ჩემო კარგო. მართალია, საღებავით გაგიუფერულებია, მაგრამ მაინც გეტყობა“. უფრო ხშირად კი თავში უხეში, სალანძღავი სიტყვები მერეოდა. „რეგვენო, ტუტუცო, აი, ენა კი გაგიხმეს, შენ კი ჩაძაღლდი“ და ასე. ეს ჩემს რონეს აღემატებოდა, სიტყვები ისე მიდუღდა თავში, როგორც ქოთანში ლობიო. ბოლოს და ბოლოს, იქამდე მივედი, რომ ფიქრით ფიქრით ვაბოლებდი ფრაზებს, რომელთაც ხმამაღლა ვამბობდი. აი, მაგალითად, მუშტარს ვეკითხები: „ზეთის ხილს ხომ არ ინებებთ, ან ლიმონს?“, ჩემთვის კი ვამთავრებ: „ცხვირ-პირში უნდა გთხლიშო, შე ღორო!“. ან ვამბობ: „თქვენც იცით ამ რესტორანში რა გვეხერხება“, ჩემთვის კი ვუმატებ: „ცუდი საჭმელი, ნახარჯის წამატება“. და ერთ მშვენიერ დღეს ვიგრძენი, რომ ამ ფრაზებს ჩემთვის კი არ ვამბობდი, არამედ ჩუმად, ძალიან ჩუმად ვლაპარაკობდი. ერთი სიტყვით, ენა ამოვიდგი. მაშასადამე, ეს ამბები ასე მიეწყო ერთმანეთს: ჯერ სრულიად არ ვფიქრობდი, შემდეგ დავიწყე ფიქრი, ახლა ხმამაღლა ვფიქრობდი, ესე იგი ვლაპარაკობდი.

ძალიან კარგად მახსოვს, როგორ ავლაპარაკდი პირველად. შაბათი საღამო იყო. ჩემს სუფრაზე

ქალ-ვაჟი დაჯდა. ქალი „იმნაირი“ გახლდათ, მაღალ-მაღალი, თმაშეღებილი, ლამაზი და თავხედი. სუნამო ბლომად გადაესხა, სახეც ნელსაცხებლებით შეეთხუპნა. კაცი ქერა იყო, მწითური, მიჭყლეტილი ცხვირი ჰქონდა, ტანდაბალი, თმახუჭუჭა, მხარბეჭიანი. ლურჯი კოსტუმი და ყვითელი ფეხსაცმელი ეცვა. ქალი ჩრდილოელსა ჰგავდა, კაცი კი ისე გაგრძელებით ამბობდა „უ“, როგორც ვიტერბონში იციან. ვაჟმა

მენიუს ისე დასტაცა ხელი, თითქოს იქ ომის გამოცხადება ყოფილიყო გამოქვეყნებული და გაბოროტებული სახით ჩააცქერდა. დიდხანს ვერ გადაეწყვიტა, რა აერჩია. ბოლოს თავისთვის ძლიერ მსუყე საჭმელები შემიკვეთა: სპაგეტი, კარტოფილიანი აბაკიო, ღვეზელი, სარდალა. ქალმა კი მსუბუქი კერძი აირჩია. ჩავიწერე შეკვეთა და სამზარეულოში წასასვლელად შევბრუნდი, მაგრამ თვალი ისევ იმ ვაჟისკენ გამექცა, ვიგრძენიროგორ შეირხა ჩემი ტუჩები და ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით წარმოთქვა: - რა ხეპრული ცხვირ-პირი აქვს.

ვაჟი ჯერ კიდევ მენიუს ჩაჰკირკიტებდა, ამიტომ ჩემი ნათქვამი ვერ გაიგონა, მაგრამ მისი ტურფა აბა რა ქალი იქნებოდა, მახვილი სმენა რომ არ ჰქონოდა. ერთი კი შეხტა გაოცებით და თვალდაჭყეტილი მომაჩერდა. მე სამზარეულოში წავედი და მთელი ხმით დავიყვირე: „ერთი კონსომე, ერთიც სპაგეტი“. უკან დავბრუნდი და მათს შორიახლო კედელთან დავდექი.

შევხედე - ქალი იცინის, მაგრამ რას იცინის, კვდება სიცილით. ხელი გულზე მიუდვია და წამოჭარხლებულა, ვაჟი კი განაწყენებული ზის, ქალისკენ გადახრილა, როგორც ჩანს ეკითხება, რა გახარხარებსო. მაგრამ ქალი ვერ მშვიდდება, თავს აქნევს, მკერდზე ხელს იდებს. ბოლოს, ცოტა რომ დაშოშმინდა, ვაჟისკენ გადაიხარა, რაღაც უთხრა, თან ჩემზე ანიშნა. ვაჟი მობრუნდა, მომაშტერდა. მე ჯერ განზე გავიხედე, მერე ისევ მათკენ გავაპარე თვალი და დავინახე, რომ ქალი ისევ იცინოდა, ვაჟს სარქენად შემართული ყოჩივით დაეღუნა თავი და მომჩერებოდა. ბოლოს დამიძახა:

- ოფიციანტო!

გავეშურე მათკენ, თუმცა მეშინოდა, მაგრამ ჩემდა უნებურად მაინც ჩავიდუდუნე დარწმუნებით:

- სწორედ ასეა, ხეპრული ცხვირ-პირი აქვს. რომ მივუახლოვდი, ვკითხე:

- რას მიბრძანებთ? ვაჟი დაჯინებით მომაშტერდა და მუქარით მითხრა:

- ოფიციანტო, თქვენ აქ რაღაც აზრი გამოგითქვამთ...

- აზრი?... არ მესმის, - ვკითხე ისე გაოცებულმა, თითქოს ეს იყო ციდან ჩამოვვარდი.

- დიახ. თქვენ რაღაც აზრი გამოგითქვამთ... სინიორამ გაიგონა.

- უთუოდ სინიორამ კარგად ვერ გაიგონა

- სინიორამ მშვენივრად გაიგონა.

- არ მესმის, სინიორ, იქნებ სპაგეტი არა გნებავთ, შეგიცვლით.

- ოფიციანტო, თქვენ კარგად იცით, რაზეც მოგახსენებთ. ამ დროს ქალი მისკენ გადაიხარა და უთხრა:

- ყური მიგეთ, სჯობს თავი დაანებოთ. მაგრამ ვაჟი არ ცხრებოდა:

- დირექტორს სთხოვეთ!

მდაბლად თავი დავუკარი დადირექტორის მოსაყვანად წავედი. დირექტორი ეახლა, მოუსმინა, შეეკამათა. ქალი კისკისებდა, ის ტიპი კი უფრო მეტად ცხარდებოდა. ბოლოს დირექტორი ჩემთან მოვიდა და ხმადაბლა მითხრა:

- კარგი, ახლა მოემსახურე და ამით გავათავოთ... მაგრამ იცოდე, თუ კიდევ გაგიმეორებია ამგვარი რამ, სამსახურიდან დაგითხოვ.

- კი მაგრამ, მე...

- ხმა, კრინტი! აქედან მოუსვი!

ერთი სიტყვით, ისე მივართვი ვახშამი, კრინტი აღარ დამიძრავს. ქალი ისევ კისკისებდა. ვაჟი თითქმის არც კი მიეკარა საჭმელს და ისე წავიდნენ, რომ არც ჩაროზი შემიკვეთეს და გროშიც არ მაჩუქეს. რესტორნიდან გასვლისას ქალი ისევ იჭაჭებოდა სიცილით.

ამ შემთხვევის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ თავი შემეკავებინა, უფრო ავუშვი აფრები. ახლა ჩემთვის კი არ ვფიქრობდი, ყველაფერს ხმამაღლა ვამბობდი. ისეთ დღეებში, როცა რესტორანში მუშტარი ნაკლები იყო და ოფიციანტები სუფრებს შუა უსაქმოდ დაყიალობდნენ, უფრო მოვუხშირე ჩემს თავთან, ტუჩების ოდნავი ცმაცუნით საუბარს. ოფიციანტებმა შეამჩნიეს ეს და დაცინვა დამიწყეს:

- რაო, ლოცულობ, თუ კრიალოსანს მარცვლავ?

არა, არც ვლოცულობდი და არც კრიალოსანს ვმარცვლავდი. ვუყურებდი, ვთქვათ, ხუთი სულისგან შემდგარ ოჯახს - მამას, დედას, სამ პატარა ბავშვს, - და ვდუდუნებდი: „„ეტყობა ამ კაცს ფულის ხარჯვა არ უყვარს, ან ძუნწია, ანდა მართლა არა ჰყოფნის ფული... ქალი კი თავქარიანია, წუნია, ძვირი საჭმელები შეუკვეთა: საადრეო ბოსტნეული, სოკო, ტკბილეული... კაცი კი გულზე სკდება და თავს ძლივს იკავებს... ქალი კი, ის ეშმაკი, ისა, ქმრის წვალებით ტკბება. თან ბავშვებიც ჭირვეულობენ. ამიტომ ეს კაცი ახლა ძალზედ ცუდ ხასიათზეა...“. ანდა სხვა სტუმარს ვაკვირდები, აი იმას, შუბლზე დიდი ხორცმეტი რომ აქვს: „ვაჰ, ეს რა კარტოფილის სიმსხო კოპი აზის შუბლზე... ალბათ, რა უხერხულად გრძნობს თავს, როგორ ეხამუშება, ხელით ისინჯავს... ნეტავ ქუდს როგორ იხურავს? კოპზე ჩამოიცვამს ხოლმე, თუ კეფაზე მოიგდებს, რომ ქუდის ფარფლები კოპს არ შეეხოს?“. ბოლო ხანებში ძალიან მოვუხშირე

საკუთარ თავთან ლაპარაკს, ამხანაგებს კი იშვიათად ვცემდი ხმას. ჩვენი რესტორნის პატრონი მისაბაძ ოფიციანტად აღარ მთვლიდა. ალმაცერად მიყურებდა. ეტყობოდა, არანორმალურ ადამიანად მივაჩნდი და შემთხვევას ეძებდა, თავიდან მოვეშორებინე.

ეს შემთხვევაც მალე მიეცა. ერთ საღამოს რესტორანში თითქმის არავინ იყო, ორკესტრი ცარიელი სუფრებისთვის უკრავდა რომაულ სიმღერას „სული და გული“, მე კი ვამთქნარებდი და დიდი სუფრის შორიახლო კედელზე ცალფეხმიყრდნობილი მუშტრის მოლოდინში ვიდექი. ეს სუფრა ათი კაცისათვის იყო გაწყობილი. ხალხი, ვინც ვახშამი შეუკვეთა, ჯერ არ ჩანდა. კარგად ვიცოდი, ვინც იყვნენ ისინი და მათგან ხეირს არ მოველოდი. აი, გამოჩნდნენ კიდეც გაჩირაღდნებულ დარბაზში: ქალებს

საღამური კაბები ეცვათ, ხმამაღლა გაცხოველებით ელაპარაკებოდნენ მამაკაცებს. კავალერებს ხელები ჯიბეში ეწყოთ, მუცელი წინ წამოეგდოთ. ყველა მუქლურჯი კოსტიუმით იყო გამოწყობილი, ჩასუქებულნი იყვნენ, თვითკმაყოფილი იერი ჰქონდათ. ერთი სიტყვით, ისინი ეკუთვნოდნენ ეგრეთ წოდებულ წესიერ საზოგადოებას. ერთ საღამოს ჩემი ყურით გავიგონე, რა თქვა ერთმა ფრანტმა ასეთებზე: „შეხედეთ, დღეს აქ ძალზე წესიერი ხალხი შეყრილაო“. საერთოდ, წესიერები იყვნენ თუ უწესოები - ბევრი მიზეზის გამო არ მომწონდნენ ისინი. უმთავრესად კი იმის გამო, რომ „შენობით“ მომმართავდნენ: „სკამი მოიტა... მენიუ მომაწოდე... აბა სწრაფად დატრიალდი“. მომმართავდნენ „შენობით“ თითქოს ჩემი ძმები ყოფილიყვნენ. მე კი არავის ძმად არ მეგულებოდა თავი. განსაკუთრებით არც ერთი

მათგანის ძმად. მართალია, ისინი ყველას „შენობით“ ელაპარაკებოდნენ, სხვა ოფიციანტებსაც და თვით დირექტორსაც, მაგრამ ამას ჩემთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა. თუნდ მამა ზეციერისთვის მიემართათ შენობით, მე კი ნუ გამაგონებდნენ „შენ“.

მოვიდა თუ არა ეს ხალხი, მაშინვე დაიწყო ადგილის არჩევის კომედია: ჯულია აქ დაჯდები, ფაბრიციო- იქ, ლორენცო - ჩემს გვერდით, პიეტროსთან მე დავჯდები, ჯოვანა- ჩვენს შუა, მარიზა მაგიდის თავში, ბოლოს მადლობა უფალს რომ ყველამ იპოვა თავისი ადგილი. მაშინ მე თავადგილზე მჯდომ კაცს ვეახელი და მენიუ მივაწოდე. სქელი, მელოტი კაცი იყო, უსიცოცხლო, ჩამქრალი თვალები ჰქონდა, მოკაუჭებული ცხვირი, ყელი პუდრით გადათეთრებული. მენიუ რომ ჩამომართვა, გადაშალა და მკითხა: - აბა, რას გვირჩევ შენ? მესმის შენობით მელაპარაკება, და ჩავიბუტბუტე:

- პირუტყვო!

ჩემდა საბედნიეროდ, ვერ გაიგონა, რა ვთქვი, რადგან სხვები ხმაურობდნენ, საჭმელზე

კამათობდნენ. ზოგს სპაგეტი უნდოდა, ზოგს ცივი საუზმე. ზოგს რომაული კერძი ნებავდა, ზოგს არ უნდოდა რომაული კერძი. ერთი იძახდა, წითელი ღვინო დავლიოთო, მეორე- თეთრიო.ქალებმა ხომ ისეთი გნიასი ატეხეს, თითქოს ძილის წინ ქათმები აკაკანდნენ საქათმეშიო. ვეღარ მოვითმინე, თავადგილზე მჯდომი კაცისკენ დავიხარე და კბილებში გამოვცერი:

- სულელი ქათმები.

იმ კაცმა რაღაცას კი მოჰკრა ყური, მაგრამ კარგად ვერ გაარჩია და შემკრთალმა მკითხა:

- რაო, რა თქვი, ქათმები?

- დიახ, სინიორ, მოხარშული ქათმები გვაქვს.

- ჯანდაბას მოხარშული ქათმები! - დაიყვირა ვიღაცამ. - ჩვენ რომაული კერძი გვინდა, ღორის ქონზე მოხრაკული ცერცვი და პალიატა.

- რისგან კეთდება პალიატა?

- პალიატა? დაიწყო ახსნა იმ კაცმა, რომელსაც მენიუ ეჭირა, - პალიატა არის ძუძუთა ხბოს შიგნეული, ისეთი ხბოსი, რომელსაც ჯერ ბალახი არ უძოვია. ამ შიგნეულს ხარშავენ მთლიანად, ყველაფრიანად, რაც შიგ არის, ესე იგი ექსკრემენტებიანად...

- ექსკრემენტებიანად? ფუი, რა საძაგლობაა!

- აი სწორედ ეს გინდათ თქვენ, - გავიფიქრე. არა, კი არ გავიფიქრე, ჩავიდუდუნე სუფრის თავში მჯდარი კაცისკენ გადახრილმა. ახლა კი ეტყობა რაღაც გაიგონა. უნდოდა გამომხედა და მკითხა:

- რაო?

- არაფერი, არაფერი არ მითქვამს.

- არა, შენ რაღაც თქვი, - მტკიცედ მიპასუხა მან, მაგრამ გაუბრაზებლად.

სწორედ იმ წუთში, არ ვიცი რატომ, მარტო ჩვენს მაგიდასთან კი არა, მთელ რესტორანში სიჩუმე ჩამოვარდა, ორკესტრმაც თითქოს განგებ შეწყვიტა დაკვრა. და იმ სიწყნარეში მე თვით გავიგონე, როგორ ვთქვი ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით:

- შენობით მელაპარაკები, პირუტყვო? აქ კი ვეღარ გადავრჩი. საშინლად გაცოფდა ის

კაცი:

- მე ვარ პირუტყვი?.. მე? იცი შენ, ვის ელაპარაკები?

- მე არაფერი არ მითქვამს, - ცივ უარზე დავდექი ხელად.

- მე ვარ პირუტყვი?... ოჰ, შე არამზადავ, უნამუსო, მუდრეგო. მე შენ გიჩვენებ სეირს!

წამოფრინდა, საკინძეში მწვდა და კედელს მიმაკრა. სხვა სტუმრებიც წამოიშალნენ. ზოგი ამშვიდებს, ზოგი პირიქით ჩემზე მოიწევს. მთელი რესტორანი ჩვენ მოგვაჩერდა. მეც ავიშალე, გავფიცხდი, ხელი ვკარი და შევუყვირე:

- არაფერი არ მითქვამს-მეთქი, გესმის? ხელი გამიშვი!

- აჰა, მაშ არაფერი გითქვამს? არაფერი

- არაფერი არ მითქვამს, - გავიმეორე ჯიუტად, თან გასხლტომას ვლამობდი, მაგრამ ჩუმად მაინც დავუმატე: - პირუტყვო. მეორედ წამოვაყრანტალე ეს სიტყვა...

საბედნიეროდ ამ დროს დირექტორი მოვარდა. დაუწყო ლაქუცი, ებოდიშა. თავს უკრავდა, ლერწამივით იღუნებოდა., გველთევზასავით იკლაკნებოდა.

- გთხოვთ, პატივცემულო, გთხოვთ!

- ცხვირ-პირს დავუჩეჩქვავ, - ღრიალებდა პატივცემული.

როგორც იქნდა დააშოშმინა ისინი დირექტორმა. მერე ხელი ჩამკიდა და მითხრა:

- შენ კი ჩემთან წამობრძანდი.

ისევ „შენ“.

გავიარეთ დარბაზი. ხალხი მაგიდებიდან წამოიშალა, მათვალიერებდნენ და არ შემეძლო ხმამაღლა არ გამეფიქრა:

- აი, კიდევ ერთი პირუტყვი მომმართავს შენობით.

დირექტორმა იქ არაფერი მითხრა, მაგრამ, როგორც კი სამზარეულოში შევედით და კარი მივხურეთ, უმალ მეცა:

- მაშ ასე. ჯერ კლიენტებს ეძახი პირუტყვს, ახლა მეც მომადექი, არა?

- მე არაფერი არ მითქვამს, პირუტყვო.

- კიდევ არ იშლი? მაშ, იცოდე, პირუტყვი შენ თვითონ ხარ... აბა, ახლავე მოუსვი. ამ წუთში გაეთრიე აქედან!.

- კარგი... წავალ, პირუტყვო.

ერთი სიტყვით, ტუჩები ჩემდა უნებურად მოძრაობდნენ. აღარ შემეძლო მათი გაჩერება. როცა გონს მოვედი, უკვე ქუჩ ში ვიდექი და ხმამაღლა ვფიქრობდი:..შენობით მოგმართავენ... თითქოს ძმები ვიყოთ. ნეტა ერთი ვინა ყრიან, ეშმაკმა იცის მათი თავი და ტანი. რატომ წესიერად არ იქცევიან?“

ამ დროს პოლიციელი მომიახლოვდა, დაინახა საკუთარ თავს რომ ვესაუბრებოდი და მომაძახა:

- რაო, გადაკარი? შუმი ღვინო თუ შუშხუნა? გაიარე, გაიარე, აქ დგომა არ შეიძლება.

- ვინ გადაკრა? - ისევ გავცხარდი და უმალ სწორედ ის სიტყვა წამოვისროლე, რომლისთვისაც ის იყო „მარფორიოდან“ გამომაგდეს. მინდოდა დამეჭირა ეს სიტყვა, როგორც პეპელას იჭერენ, მაგრამ გვიანღა იყო, სიტყვა ხო აგორებული ქვასავითაა, ერთი თუ მოსხლტა, მორჩა, ვეღარ შეაჩერებ. რაღა ბევრი გავაგრძელო, დამაპატიმრეს პოლიციელის შეურაცხყოფისათვის. ის ღამე საპოლიციო უბანში გავატარე. შემდეგ ამას მოჰყვა სასამართლო, განაჩენი - მართალია, პირობითი. როცა საპყრობილიდან გამოვედი, ვიგრძენი, თავი ისევ გამყინოდა. ვიტორიის ხიდთან, ქუაჩაზე რომ გადავდიოდი, კინაღამ მანქანა დამეჯახა. შევდექი, ავკანკალდი. შოფერმა მანქანიდან თავი გამოჰყო და დამიღრიალა:

- ეი, შენ, ზეზეურად გძინავს?

თვალი გავაყოლე მანქანას და ჩემს თვალში კვლავ მორჩილად განმეორდა: „ეი, შენ, ზეზეურად გძინავს... ეი, შენ, ზეზეურად გძინავს... ეი, შენ, ზეზეურად გძინავს!“

მაიმახი

კაცმა არასოდეს წესიერად არ იცი, როგორ ხარ, ვინაა შენზე უკეთესი, ან უარესი. პირადად მე მეტისმეტი მომდის და ჩემს თავს ქვეყნად ყველაზე დაბლა ვაყენებ.

მართალია, უბრალო შუშისა ვარ, როგორც იტყვიან, ბროლისგან ჩამოსხმული არ გახლავართ, მაგრამ უფრო თიხის ქოთანი ან დამტვრეული კრამიტი მგონია ჩემი თავი. ეს კი მეტისმეტია. ძალიან ვიმცირებ თავს. ხშირად მითქვამს: „მოდი, შენი თავი ღირსეულად დააფასე-მეთქი“.

რიგით მოვყვეთ: დიდ ღონეს ვერ დავიკვეხნი. ჩია ვარ, გონჯი, გვერდმოქცეული, რაქიტიანი, გაკნაჭული ხელ-ფეხი მაქვს. ჭკუა - ვერც ამით მოვიწონებ თავს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სასტუმროს ჭურჭლის მრეცხაობას ვერ გავცდი. სილამაზე - აქ სულ არ ვუქნივარ ღმერთს. გალეული, ჩაყვითლებული სახე მაქვს, თვალები უპატრონო ძაღლს მიმიგავს. ცხვირი კი ისეთი ზორბა მადგას, რომ ორჯერ უფრო ფართო სახისათვის გამოდგება. გრძელი, სქელი დასაწყისში თითქოს ანკესივით მოკაუჭებული, ბოლო კი ისეა აპრეხილი, ხვლიკმა რომ იცის თავის აშვერა. სხვა ღირსებაზე თუ ვიმსჯელებთ, როგორიცაა, მაგალითად გულადობა, ვაჟკაცობა, მიმზიდველობა, სიმპათიურობა, არც ერთი ეს ღირსება არ გამაჩნია, ამაზე სჯობს სულ გავჩუმდე. ცხადია, რაკი ვიცი, რა შვილიც ვბრძანდები, ქალებს თავს ვარიდებ და არავის

ვეარშიყები. ერთადერთი ქალი, რომელსაც გავუბედე და მივეკურკურე, სასტუმროს მსახური იყო, მაგრამ იმ ქალბატონმა მოსწრებულად მტკიცა - შე მაიმახო, თავიდან მომწყდიო. ჰოდა, მეც ნელ-ნელა დავრწმუნდი, რომ არაფრად ვარგივარ, არავის ვუნდივარ და გადავწყვიტე, სჯობს სადმე ჩემთვის ვეგდო მშვიდად-მეთქი.

ვისაც კი შუადღისას გაუვლია იმ ქუჩაზე, სადაც სასტუმროს უკანა კარი გამოდის და სადაც ვმუშაობ, უსათუოდ დაინახავდა ქვედა სართულის ფანჯრებს, საიდანაც ორთქლის ბუღი გამოდის. ფანჯრებს, იქით, მაგიდებზე დალაგებული, თითქმის ჭერამდე ასული თეფშების მთები მოსჩანს. ეს გახლავთ ჩემი კუთხე, ცხოვრების ის კუნჭული, რომელსაც თავი შევაფარე, რომ თვალში ეკლად არავის მოვხვდე.

ეს გახლდათ იდა, ჭურჭლის მრეცხავი, რომელმაც ჯუზიტა შესცვალა, როცა მან ფეხმძიმობის გამო დატოვა სასტუმრო. იდა ქალებში იგივეა, რაც მე კაცებში. ისიც ჩემსავით მაიმახია. ჩია, კნაჭა, გვერდმოქცეული. მაგრამ ხასიათით სულ არა მგავს, მოუსვენარია, მხიარული, თამამი, მამალი ქალიაო, რომ იტყვიან, ზედგამოჭრილია იდაზე. ხელად დავმეგობრდით. მთელი დღე ერთად ვრეცხავდით ჭურჭელს. მოვყევით აქეთურ-იქეთური. ერთხელ იდამ ამაგულიანა, კვირას კინოში წავიდეთო. მე მხოლოდ ზრდილობის გამო დავპატიჟე და ძალიან გამიკვირდა, როცა იდამ სიბნელეში ხელი ხელზე მომიჭირა. უთუოდ უნებურად მოუვიდა მეთქი, გავიფიქრე

და ხელის განთავისუფლება ვცადე, მაგრამ იდამ მიჩურჩულა: წყნარად იჯექი, ვითომ რა დაშავდება თუ ერთმანეთს ხელზე ხელს მოვუჭერთო! კინოდან რომ გამოვედით, იდა გამომიტყდა, დაგინახე თუ არა, გულში ჩამივარდი, მას აქეთ სულ შენზე ვფიქრობ, ახლა იმედია ცოტათი მაინც შემიყვარებ, რადგან უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო. ჩემს ცხოვრებაში პირველად მითხრა ქალმა ასეთი სიტყვები. დაე, თუნდაც ისეთმა ქალმა, როგორიც იდაა. ჰოდა, რა გასაკვირველია, თუ თავგზა ამებნა და იდას ბევრი ისეთი რამ ვუთხარი, რასაც უთუოდ არ მოელოდა.

ამ ამავმა მაინც ძალიან დამაფიქრა. მართალია, იდა მიმტკიცებდა, გაგიჟებით მიყვარხარო, მაგრამ ვერ იქნა, გული ვერ დავაჯერე, რომ ეს ასე იყო. ამიტომ მარტო დავრჩებოდით თუ არა, სულ იმის ცდაში ვიყავი, სიმართლე გამომერკვია. იდას საალერსო სიტყვებზე ვდნებოდი, თან ეჭვიც არ მასვენებდა.

- იდა, აბა ერთი მითხარი, გეთაყვა, რა ნახე ჩემში, რისთვის შეგიყვარდი?

რომ გითხრათ, არ დაიჯერებთ! იდა ხელზე ჩამაფრინდებოდა, აღტაცებით მომაჩერდებოდა და მეტყოდა:

- მიყვარხარ. იმიტომ მიყვარხარ, რომ შენ ყველა ადამიანური ღირსება გაქვს... ჩემთვის ამქვეყნად მხოლოდ შენა ხარ ნამდვილი ადამიანი.

- ყველა ღირსება? - გაცბუნებული გავიმეორებდი, - ერთი უყურე, ვერც კი წარმოვიდგენდი ამას!

- ჰო, ჰო! ყველა ღირსება... აი თუნდაც ის, რომ ლამაზი ხარ.

- მე? მე ვარ ლამაზი?! - გულიანად გამეცინებოდა ამ სიტყვებზე. - აბა კარგად შემომხედე.

- პირველად ხომ არა გხედავ. ვითომ არ იცი, რომ ერთი წუთით თვალს არ გაშორებ.

- კარგი, ჩემო იდა, კარგი, მაგრამ, ეს ჩემი ცხვირი? ნუთუ ვერა ხედავ?!

- აი სწორედ ასეთი ცხვირი მომწონს, - მომიგებდა იდა, ორ თითში მოიქცევდა ჩემს ცხვირს და აქეთ-იქით აქანებდა ზარის ენასავით. - იფ, რა ცხვირია! ასეთი ცხვირში ქვეყნად არაფერს დავიშურებ. - მერე დაუმატებდა: - გარდა ამისა, ჭკვიანიც ხარ.

- რაო, ჭკვიანიო?! მე?! დიდი და პატარა სულელს რომ მეძახის!

- შურით გეძახიან, - წმინდა ქალური ლოგიკით მომიგებდა იდა, - ჭკვიანი ხარ, ძალიან ჭკვიანი... რომ ლაპარაკობ, პირდაღებული გისმენ ხოლმე... შენისთანა ჭკვიანი ჯერ არ შემხვედრია ცხოვრებაში.

- იმას მაინც ვეღარ იტყვი, იდა, - ისევ დავარღვევდი დუმილს, - რომ ღონიერი ვაჟკაცი ვარ... არა, ამას ვერასგზით ვერ იტყვი, ვერა.

- ღონიერი ხარ, მა რა! - ფიცხად შემაწყვეტინებდა იდა. ეს კი მეტისმეტი იყო. აღარ

ვიცოდი, რა მეთქვა იდასთვის.

- იცი კიდევ რა? შენ გაქვს რაღაც ისეთი, მე რომ გაგიჟებით მომწონს.

- ნეტა რა არის ისეთი? მითხარი, რა!

- აბა როგორ აგიხსნა. იქნებ ეს ხმაა შენი, ან სახის გამომეტყველება, ან სიარული... ერთი სიტყვით, რაღაც განსაუთრებული გაქვს... არავის, არავის რომ არა აქვს შენს მეტს.

თავდაპირველად არც კი მჯეროდა იდას ნათქვამი, უფრო იმიტომ ვამეორებინებდი ყველაფერს,

რომ ძალიან მართობდა მისი შეხედულების შედარება იმ შეხედულეასთან, რაიც საკუთარ თავზე შევიმუშავე. მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ნელ-ნელა ჩემს თავზე წარმოდგენა შემეცვალა. ხანდახან იმასაც გავიფიქრებდი, ვინ იცის, ეგების იდა მართალია-მეთქი.

არ გეგონოთ, თითქოს ნამდვილად ვირწმუნე, რომ ლამაზი ვაჟკაცი ვარ, მაგრამ იდას სიტყვებმა „რაღაც განსაკუთრებულზე“ მაინც დამაეჭვა, ვგრძნობდი, რომ სწორედ ეს იყო საიდუმლოს გასაღები. სწორედ ამ „რაღაც განსაკუთრებულის“ გამო ქალებს ხშირად მოსწონთ ხოლმე კუზიანები, ჯუჯები, ბებრები და ზოგჯერ შემზარავი მახინჯებიც. თუ ასეა, რა გასაკვირია მეც მოვეწონო ვინმეს გულწრელად? მე ხომ არც კუზიანი ვარ, არც ჯუჯა, არც შემზარავი მახინჯი

ამას წინათ მე და იდამ ცირკში გადავწყვიტეთ წასვლა. ეს იყო მოხეტიალე ცირკი, რომელმაც თავისი კარავი არქეოლოჯიკის პროსპექტის პირდაპირ გამართა. იმ საღამოს ორივე ძალიან მხიარულ გუნებაზე ვიყავით. იაფფასიანი ბილეთები შევიძინეთ, დავსხედით ჩვენს ადგილებზე ერთმანეთს მიტყუპებულები, ხელიხელ გადაჭდობილები. ჩემს გვერდით ისხდნენ ლამაზი, მაღალ-მაღალი ქერა ქალიშვილი და შავგრემანი ჭაბუკი. ჭაბუკიც ლამაზი და წარმოსადეგი იყო. ეტყობოდა, ან სპორტსმენი იქნებოდა, ან მეზღვაური. რომ შევხედე, გავიფიქრე, რა მშვენიერი წყვილია-მეთქი. მაგრამ მალე ისინი სულ მიმავიწყდნენ და თვალგაფაციცებული ვუყურებდი წარმოდგენას.

ყვითელ სილამოყრილ ასპარეზზე ჯერ არავინ გამოჩენილიყო, როცა ცირკის სიღრმეში გამართულ ორკესტრის ტრიბუნაზე წითელი უნიფორმებით გამოწყობილმა მუსიკოსებმა მარში დაუკრეს. შემდეგ მოედანზე ოთხი მასხარა გამოვარდა. ორი ჯუჯა იყო, ორი ცოტა მომაღლო. ფართო შარვლები ეცვათ, პირისახეზე იმდენი ფხვნილი შეეფრქვიათ, რომ მთლად გადათეთრებულიყვნენ. ისეთ სასაცილო ოინებს აკეთებდნენ, ხან პანღურს ამოჰკრავდნენ ერთმანეთს, ხან სილას გააწნავდნენ, რომ იდა სიცილით ჩაბჟირდა და ხველა აუვარდა. მერე ორკესტრმა სწრაფი მარში დაუკრა, ახლა გაწრთვნილი ცხენები გამოიყვანეს მოედანზე. სამი ნისლა ცხენი და სამიც თეთრი. ცხენებმა ჯერ ნელა შემოუარეს მოედანს, წითელი უნიფორმით გამოწყობილი მწვრთვნელი მოედნის შუაგულში იდგა და შოლტს ატყლაშუნებდა. მერე სალეჩაქე ნაჭრის მოკლე კაბით და თეთრი წინდებით გამოწყობილი გოგონა გამოცქრიალდა. ცხენის უნაგირს მოეჭიდა, შეხტა ცხენზე და მოჰყვა კუნტრუშს. ხან ძირს ჩამოხტებოდა, ხან ისევ ცხენს მოევლებოდა ზურგზე. ცხენები ჯერ ჩორთით უვლიდნენ წრეს, მერე გაჭენდნენ.

მასხარები კვლავ გამოიჭრნენ, ყირაზე გადადიოდნენ, პანღურს კრავდნენ ერთმანეთს. მათ გიმნასტების ოჯახი გამოჰყვა: მამა, დედა და პატარა ბიჭი. სამივეს ცისფერი ტრიკო ეცვა, ძარღვიანი და ჩამოსხმული იყვნენ, განსაკუთრებით პატარა ბიჭი. გიმნასტებმა ხელი ხელს შემოჰკრეს, ჰოპ-ჰოპო, დაიძახეს, ნასკვებიან თოკს მოეჭიდნენ და თვალის დახამხამებაში ცირკის გუმბათში აიჭრნენ. იქ, ჰაერში, მოქანავე ტრაპეციებს ხან ხელით ჩაეჭიდებოდნენ, ხან

ფეხით დაეკიდებოდნენ და ერთმანეთს ბურთივით ესროდნენ ბიჭს. ამ სანახაობით მოხიბლულმა იდას ვუთხარი:

ნეტა მეც აკრობატი ვიყო! უთუოდ დიდი ნეტარებაა ჰაერში ქანაობა და ტრაპეციაზე ფეხით ჩამოკიდება.

- რომ ივარჯიშო, შენც შეძლებ ამას, - მომიგო იდამ.

ქერა ქალიშვილმა ცერად გამომხედა, თავის კავალერს რაღაც უჩურჩულა და ორივემ ჩაიხითხითა.

მალე მთავარი ატრაქციონის ჯერიც დადგა. წითელ უნიფორმიანებმა ყმაწვილებმა ხალიჩა, რომელზეც ის იყო გიმნასტები ვარჯიშობდნენ, დაახვიეს და ერთი მასხარა უნებლიეთ შიგ მოაყოლეს. ხალიჩიდან თავგამოყოფილი მასხარის გადათეთრებული, შეშინებული სახე რომ დავინახეთ, იდა სიცილისაგან კინაღამ სკამიდან გადმოვარდა.

ცირკის თანამშრომლებმა მოედნის შუაგულში ფოლადის მოთუთიებული ღვლერჭებისაგან სახელდახელოდ გალია გამართეს. სადღაც დოლი ააბრაგუნეს და გალიის პატარა კარში ხვადმა

ლომმა მწითური თავი შემორგო. სულ ხუთი ხვადი და ერთი ძუ ლომი გამოიყვანეს. ძუ ლომი, ეტყობოდა, ძალიან ანჩხლი იყო, შემოსვლისთანავე საშინელი ბრდღვინვა დაიწყო. ბოლოს მათი მომთვინიერებელიც გამობრძანდა. ოქრომკედით ნაქარგი მწვანე ქურთუკი ეცვა, ცალ ხელში წკეპლა ეჭირა, მეორეში კაუჭიანი ჯოხი, სწორედ ისეთი, მაღაზიებში რომ რკინის დარაბის ჩამოსაწევად ხმარობენ. ლომები ბრდღვინვით უვლიდნენ გარს მომთვინიერებელს, ის კი მშვიდად უკრავდა ხალხს თავს და იღიმებოდა.

ირგვლივ ყველას რომ მიესალმა, მერე თავის ლომებს მიუბრუნდა, უკანალზე ურტყამდა კაუჭიან ჯოხს, მალე ყველა გალიაში მდგარ პატარა ტაბურეტებზე არეკა. საბრალო ლომები იმ პაწია ტაბურეტებზე წრიალებდნენ, ბრდღვინავდნენ, კბილებს კრეჭდნენ. ზოგი ტორის დარტყმასაც ლამობდა, როცა მომთვინიერებელი გვერდით ჩაუვლიდა, მაგრამ ეს პატარა კაცი მარჯვედ უსხლტებოდა მათ ტორებს.

- ვაიმე, ახლა კი დაგლეჯენ მაგას, - მეჩურჩულებოდა იდა.

ისევ აბრაგუნდა დოლი. მომთვინიერებელი ერთ ყველაზე ბებერ ლომთან მივიდა, ძილმორეული რომ თვლემდა თავის ტაბურეტზე, ხახა გაუღო და თავი შიგ შეუყო. სამჯერ გაიმეორა ეს ზედიზედ. იგრიალა ტაშმა. მე იდას მივუბრუნდი:

- იქნებ არც კი დაიჯერო, იდა, მაგრამ გარწმუნებ, რომ მეც მეყოფოდა გამბედაობა, ისე მოვქცეულიყავ. ახლავე შემიძლია შევიდე მაგ გალიაში და, რომელსაც გინდა, იმ ლომს თავი ხახაში შევუყო.

- ვიცი, განა არ ვიცი, რომ შეგიძლია, - აღტაცებით წამოიძახა იდამ.

ქერა ქალიშვილმა და მისმა სპორტსმენმა ერთი კი გადმოგვხედეს და გულიანად გადაიხარხარეს. ეჭვი არ იყო, ეს ლამაზი წყვილი ჩვენ დაგვცინოდა. იდა ალაპარაკდა:

- ერთი ამათ უყურე, როგორ ხითხითებენ, ჩვენ დაგვცინიან... უთხარი, ბრიყვები ხართთქო.

-

სწორედ ამ დროს ანტრაქტის მაუწყებელი ზარი დარეკეს, ყველა წამოიშალა, ლომებიც თავდახრილები გავიდნენ გალიიდან. წარმოდგენის პირველი ნაწილი დამთავრდა. ცირკიდან რომ გამოვედით გასასეირნებლად, ჩვენს მეზობლად მჯდარი წყვილი შეგვეჩეხა. გაბრაზებულმა იდამ ისევ მიჩურჩულა:

- იცოდე, თუ შეარჩინე, ლაჩარი იქნები.

მეც თავმოყვარეობის გამო გადავწყვიტე ჩხუბის ატეხა. ცირკის კარავს უკან ფარდული გაემართათ. ამ ფარდულში სხვადასხვა ცხოველები იყვნენ მოთავსებულნი. ჩვენ ბილეთები ვიყიდეთ და შევედით. ფარდულის ერთ მხარეს მხეცების გალიები იყო ჩამწკრივებული, მეორე მხარეს კი, ხირხალს იქით, თავისუფლად გაეშვათ მოშინაურებული ცხოველები: ზებრები, ძაღლები, ცხენები და სპილოები. ფარდულში ბნელოდა, მაგრამ შესვლისთანავე დავინახე ჩვენი მეზობლები. ისინი დათვის გალიასთან იდგნენ. მოკუნტული დათვი ბანჯგვლიანი ზურგით რკინის გისოსს მისწოლოდა და ტკბილად ეძინა. მე ჯიქურ მივეჭერი ქალ-ვაჟს და მტკიცედ მივმართე: - ერთი ეს მიბრძანეთ... წეღან ჩვენ დაგვცინოდით, არა?

- არა, - დაუდევრად შემომიბრუნდა შავგვრემანი ვაჟი, - ჩვენ ერთ ბაყაყს დავცინოდით, რომელიც ხარს ბაძავდა.

- ბაყაყი მე ვარ, ხომ?

- რომელი ქათამიც კაკანებს, კვერცხიც იმას დაუდვია.

- იცით რას გეტყვით! დიდი ბრიყვი და ხეპრე ხართ.

- ერთი ამას უყურეთ, კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო, - მომახალა შავგვრემანმა.

ქერა ქალიშვილმა გულიანად გადაიკისკისა. გაკაპასებული იდა ჩხუბში ჩაერია:

- ნეტა რა გაცინებთ! ის გიჯობდათ, ქალბატონო, წესიერად მოქცეულიყავით... იქნებ ფიქრობ, რომ ვერ დავინახე, როგორ ეკვროდი ჩემს ქმარს.

მე დავიბენი, რადგან ამის მსგავსი არაფერი მომხდარა. დიდი-დიდი, უნებურად ნიდაყვი თუ გამკრა, ჩემს გვერდით რომ იჯდა, ეს იყო და ეს.

- ხომ არ შეიშალეთ, გეთაყვა!... - აენთო ქერა ქალიშვილი.

- არა, ბატონო ჩემო, არ გავგიჟებულვარ. ძალიან კარგად დავინახე, ჩემს ქმარს რომ ეგლისებოდი.

- ნეტა რაში მჭირდება ეგ შენი მაიმახი! - ზიზღით წამოიძახა ქალიშვილმა. - ასეთი რამ რომ მდომოდა, ნამდვილ ვაჟკაცს გავეხახუნებოდი. აი ასეთს, ხედავ?

ეს თქვა და თავის კავალერს ხელი აუწია მაღლა, საძეხვეში რომ მუშტარს უჩვენებენ ღორის დაშაშხულ ბარკალს.

- აი, ასეთი ხელის ჩახუტება კი ღირს, - განაგრძო ქალიშვილმა, - შეხედე რა ძალაა ამ ხელში, როგორი კუნთები აქვს! ამ დროს ვაჟმა ჩემკენ გამოიწია მუქარით:

- გეყოფათ მაიმუნობა... ახლავე აქედან დაიკარგეთ... თორემ ცუდი დღე დაგადგებათ. მაგასაც ვნახავთ, ვის დაადგება ცუდი დღე, - წამოვიყვირე გაცეცხლებულმა და ფეხისწვერებზე შევდექი, რომ სიმაღლეში გავთანაბრებოდი.

რაც შემდეგ მოხდა სიკვდილამდე არ დამავიწყდება. უცებ ვაჟმა უხმოდ ამომდო ხელი იღლიებში და ბუმბულივით ამიტაცა. როგროც ზემოთ მოგახსენეთ, ხირხალს იქით მოკალათებულნი იყვნენ შინაური ცხოველები. ჩვენს პირდაპირ ჩრდილში იდგა გავით ერთმანეთს მიყრდნობილი სპილოების მთელი ოჯახი: მამა, დედა და ორი პატარა სპილო, რომელიც უკვე ორი ცხენის ტოლა იყო. ყურჩამოყრილი სპილოები ხორთუმებს აქნევდნენ. ჰოდა, იცით რა მიყო იმ თავხედმა? ამწია და პატარა სპილოზე შემსვა. სპილომ უთუოდ იფიქრა,

ჩემი ცირკში გამოსვლის ჯერი ადგაო და ჩორთით გაიქცა გასასვლელისკენ. ოჰ! რა ამბავი დატრიალდა! ხალხი აქეთ-იქით გაიფანტა, იდა წივილ-კივილით უკან მომდევდა, მე კი სპილო მიმაქროლებდა. ვცდილობდი ყურებში ჩამევლო ხელი, მაგრამ ვერ მოვახერხე და გასასვლელთან რომ მიიჭრა სპილო, თავი ვეღარ შევიმაგრე, ძირს ჩამოვეფერთხე, კეფა დავკარი. მერე აღარ მახსოვს, რა მოხდა, გრძნობა დავკარგე და მხოლოდ სასწრაფო დახმარების პუნქტში გავახილე თვალი. იდა, რასაკვირველია, თავით მეჯდა და ჩემი ხელი ეჭირა.

ოდნავ რომ გონს მოვედი, შინისაკენ წავჩანჩალდით. მეორე განყოფილების სანახავად აღარც შევსულვართ ცირკში. მეორე დღეს იდას ვუთხარი:

- იცი, იდა, ყველაფერი შენი ბრალია... ქებით ყურები რომ გამომიჭედე, მეც დავიჯერე, ვითომც ვინ იცის, როგორი ვარ... მართალი თქვა იმ ქალმა, ნამდვილი მაიმახი ვარ. იდამ ნაზად შემომხედა:

- რომ იცოდე რა შესანიშნავი იყავი, პირდაპირ გასაოცარი. იმ ვაჟბატონს შენი შეეშინდა და

სწორედ ამიტომ შეგსვა სპილოზე. ისეთი კარგი იყავი, სპილოზე რომ იჯექი, ისეთი კარგი, რომ შენი ყურებით ვერ გაძღებოდა ადამიანი.

რა გაეწყობა, ასეთ თვალზე დავუნახივარ იდას. მისთვის მე ერთი ვარ, სხვებისთვის მეორე, სულ სხვაა... ვინ იცის, რას ხედავენ ქალები, როცა უყვართ ვინმე.

შუამავალი

პალაცოს კიბეზე რომ ავდიოდი, წინ მსახურთუხუცესი ანტონიო შემომეგება და მითხრა:

- იცოდე, კნეინას ვერაფერს გამორჩები. საშინელი წუწურაქია. რაც დაქვრივდა და ყველაფერს დაეპატრონა, ხელის მოთბობის საშუალებას არავის აძლევს.

- ბებერია? - ვკითხე ანტონიოს.

-

- ვინა, კნეინა? რას ამბობ! ახალგაზრდა, ლამაზი ქალია... ოცდახუთისაც არ იქნება... რომ შეხედავ, ანგელოზი გეგონება, ნეტავ შენს პატრონსო, იტყვი, მაგრამ, ჩემო კარგო, ხომ იცი, გარეგნობა მაცდურია.

- ეშმაკიც რომ იყოს, მისგან რაც მერგება, იმის მეტი არა მინდა რა. მე შუამავალი ვარ, კნეინა ბინას ჰყიდის, ვუშოვი მუშტარს, გავარიგებ, მივიღებ, რაც ამ საქმის გაჩარხვაში მერგება და თავს დავუკრავ.

- იჰ, ეგ არც ადვილია, როგორც გეჩვენება... აი, ნახე, თუ სისხლი არ გაგიშროს. დამაცა, წავალ, მის აღმატებულებას მოვახსენებ.

წინკარში შემიშვა, თვითონ კნეინასკენ გაეშურა. გაკვირვებას მოვედი, ანტონიომ კნეინა ისე მოიხსენია თითქოს ქალი კი არა, მამაკაცი იყო. ცოტა ხანი შევიცადე იმ გაყინულ წინკარში, სადაც ჭერი ფრესკებით იყო მოხატული, კედლებზე კი გობელინები ეკიდა, როგორც ეს საერთოდ ძველთაძველ პალაცოებშია ხოლმე.

ანტონიო მალე დაბრუნდა, მისი ბრწყინვალება გელისო, მითხრა. გავიარეთ მთელი რიგი დარბაზები და ბოლოს ყველაზე დიდ დარბაზში შევედით. იქ დავინახე სეკრეტართან მჯდომი კნეინა, რომელიც წერაში იყო გართული. ანტონიო მოწიწებით მიუახლოვდა:

- სინიორ პროეტი გეახლათ, თქვენო ბრწყინვალებავ, - მოახსენა მან.

- აქ მოდით, პროეტი, - თავაუწევლად დამიძახა კნეინამ.

ძალიან ახლოს მივედი. თვალის ერთი შევლებით დავრწმუნდი, რაოდენ მართალი იყო ანტონიო, როდესაც კნეინა ანგელოზს შეადარა: თეთრი, ნატიფი სახე, შავი თმა, ლოყებზე გრძელი წამწამების ჩრდილი, ოდნავ აბზეკილი ცხვირი. ეს ცხვირი ისეთი ნაზი იყო, გეგონებათ, ნელსურნელების გარდა, თავის დღეში არა უყნოსია რაო. პატარა პირი ჰქონდა, ოდნავ აბუშტული ზედა ტუჩი ვარდს მიუგავდა. ახლა ტანზე შევავლე თვალი. თალხი სამოსი

მჭიდროდ შემოტმასნოდა კოხტად ჩამოსხმულ ტანზე. მკერდი და თეძოები სავსე ჰქონდა, წელი კი ისეთი წვრილი, რომ თითებს შემოაწვდენდით. ნაზი, თეთრი ხელით რაღაცას წერდა, საჩვენებელ თითზე ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ეკეთა. თავი ასწია, ლამაზი, ხავერდოვანი თვალები შემომანათა და წყნარი, ალერსიანი ხმით მითხრა:

- მაშ ასე, პროეტი, წავიდეთ, ბინა დავათვალიეროთ!

- ბატონი ბრძანდებით, კნეინა, - ჩავიბუტბუტე დაბნეულმა.

  აქეთ, პროეტი, - მითხრა კნეინამ და რკინის დიდი გასაღები აიღო.

ისევ გავყევი დარბაზებს. წინკარში რომ გავედით, კნეინამ ანტონიოს უბრძანა:

- ანტონიო. ცეცხლფარეშებს უთხარი, ნუღარ შეუმატებენ ნახშირს ღუმელში, თორემ აქ ისე ცხელა, რომ ადამიანს სული შეეხუთება.

ყურს არ დავუჯერე, რადგან წინკარშიც და ყველა სხვა ოთახშიც საშინლად ციოდა. კიბედ შევუდექით. კნეინა წინ მიდიოდა, მე უკან მივყვებოდი. ვიდრე კიბეს ბოლომდე ავივლიდით,

კარგად შევათვალიერე და საბოლოოდ დავრწმუნდი, კნეინას მართლა საუცხოო ტანი ჰქონდა. მაღალ, წერწეტ ტანს, კოხტად ჩამოსხმული ფეხები ამთავრებდა, თალხი სამოსი კი უფრო მკვეთრად აჩენდა მისი ყელისა და მკლავების სითეთრეს. სადარბაზო კიბიდან უკანა კარში გავედით, იქაც ავიარეთ კიბე და სხვენის სიღრმეში ხვეულ კიბეს მივადექით. ამ კიბით უნდა ავსულიყავით გასაყიდ ბინაში. კნეინა ისევ წინ გამიძღვა, მე უკან თავდახრილი მივდიოდი, აუღელვებლად არ შემეძლო მისი მშვენიერი ფეხების მზერა.

შევედით გასაყიდ ბინაში. ბინა სამი ოთახისგან შედგებოდა. ერთი ოთახი მრგვალ კოშკში იყო მოთავსებული. იატაკზე ფილა მოეგოთ, ფანჯრები კი თითქმის ჭერის ძირში დაეტანებინათ, როგორც ეს სატუსაღოებშია. მრგვალ კოშკში მოთავსებული ოთახიდან მინის კარი გადიოდა აივანზე, რომელიც ყავისფერი კრამიტით გადახურულ სახურავზე იყო გადადგმული. კნეინა აივანზე გავიდა და დამიძახა:

- პროეტი, გამოდით და გადაიხედეთ, რა სურათი იშლება აქედან.

მართლაც თვალწარმტაცი სანახაობა გადამეშალა. თითქმის მთელი რომი მოჩანდა აივნიდან, უამრავი სახურავებით, სამრეკლოებით და გუმბათებით. ნათელი დღე იდგა და ლაჟვარდი ცის ფონზე წმიდა პეტრეს ტაძრის გუმბათიც კი მოჩანდა. აღელვებული გავყურებდი ამ წარმტაც

პანორამას, მაგრამ ჩემი ფიქრები მხოლოდ კნეინას დასტრიალებდა. ერთი წუთით ვერ ვივიწყებდი მას. ამასობაში კნეინა ოთახში შებრუნდა.

- სათავსოები როგორი აქვს ბინას, კნეინა? - ვკითხე ჩემდა უნებურად.

- თქვენ აბაზანა გაინტერესებთ, არა? აი, ინებეთ.

ერთ პატარა კართან მივიდა, გამოაღო პაწაწინა, დაბალჭერიანი, უფანჯარო ოთახი დამანახვა. ერთი შეხედვით მიხვდებოდა კაცი, რომ აბაზანაში ყველაფერი მდარე ხარისხისა იყო, როგორც ამას ჩვეულებრივ გასაქირავებელ ბინაში აკეთებენ. კნეინამ კარი მიხურა, ხელები ჟაკეტის ჯიბეებში ჩაიწყო და შუა ოთახში შედგა.

- აბა, რას იტყვით, პროეტი, რამდენად შეიძლება გაიყიდოს ეს ბინა?

ისე ვიყავი იმ ქალის მშვენებით მოხიბლული, ისე ვიყავი აღელვებული იმით, რომ მარტო დავრჩი მასთან, კრინტი ვეღარ დავძარი, ვიდექი და გაშტერებული შევცქეროდი. კნეინამ ეტყობა იგრძნო ჩემი დუმილის მიზეზი, ფეხი ნერვიულად დააბაკუნა და წამოიძახა:

- შეიძლება გკითხოთ, რაზე ფიქრობთ?

ვვარაუდობ... - აჩქარებით ვუპასუხე, - სამი ოთახი კია, მაგრამ ლიფტი არა გაქვთ, გარდა ამისა, მყიდველს ბინის შეკეთება მოუხდება... ჩემი აზრით, სამ მილიონნახევარი ლირი თუ მოგვცეს, კარგი იქნება.

- ოო, რასა ბრძანებთ, პროეტი, - შეჰყვირა კნეინამ, - პროეტი, მე შვიდ მილიონს ვაფასებ.

მართალი მოგახსენოთ, არ ველოდი ასეთ ამბავს. სილამაზისა და სიხარბის ამგვარმა შერწყმამ მთლად დამაბნია. ბოლოს, როგორც იყო ხმა ამოვიღე:

- შვიდ მილიონს, კნეინა, არავინ მოგვცემს.

- კი, მაგრამ, პროეტი, ანგარიში უნდა გაუწიო იმასაც, რომ ეს სახლი პარიოლზე კი არ არის, არამედ რომის ცენტრშია... ეს ისტორიული პალაცოა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მე და კნეინა წავლაპარაკდით. ის კვლავ შუა ოთახში იდგა, მე კი ცოტა მოშორებით, რათა ცთუნებას არ ეძლია და რამე სისულელე არ ჩამედინა. ვიდექი და შეუჩერებლად ვლაქლაქებდი, მეც არ ვიცი რას ვამბობდი, ფიქრით კი მხოლოდ კნეინაზე ვფიქრობდი და რადგან სხვა არაფრის საშუალება მქონდა, თვალებით ვჭამდი. ბოლოს კნეინამ

მაინც თავისი გაიტანა და დამიყოლია, ბინა ოთხ მილიონად დამეფასებინა. საეჭვო იყო, ვინმეს მოეცა ასეთი თანხა, რადგან კაპიტალურ შეკეთებაზე მყიდველს მილიონი ლირი მაინც დაეხარჯებოდა. ამას დაუმატეთ გადასახადი, სხვა წვრილმანი ხარჯი და ბინა 6 მილიონი დაჯდებოდა. ერთი მყიდველი მეგულებოდა, კნეინას ვუთხარი, საქმე გაჩარხულია-მეთქი და გამოვეთხოვე.

მეორე დღეს მყიდველთან ერთად გამოვცხადდი პალაცოში. მუშტარი ახალგაზრდა არქიტექტორი იყო. მას სწორედ ისეთი წარმტაცი ხედი აინტერესებდა, როგორიც კნეინას აივნიდან იშლებოდა. კნეინამ გასაღები აიღო, არქიტექტორს გაუძღვა და ბინა დაათვალიერებინა. არქიტექტორი ცოტა შეევაჭრა კნეინას, ბოლოს 4 მილიონზე მორიგდნენ.

მეორე დილით, რვა საათი არც კი იყო, ჯერ ტკბილად მეძინა, რომ ცოლმა გამაღვიძა, ჩქარა ადექი, კნეინა ტელეფონთან გთხოვსო.

კნეინას გაგონებაზე ფეთიანივით წამოვვარდი ლოგინიდან და პირდაპირ პიჟამოს ამარა, ფეხშიშველი მივიჭერი ტელეფონთან, თვალები ისევ მებლიტებოდა, მაგრამ კნეინას საამო ხმა მუსიკასავით ჟღერდა და დიდი სიამოვნებით ვუგდებდი ყურს. ცოლი მოვიდა, პალტო მომახურა, ჩემ წინ ჩაიმუხლა და ფეხზე ჩუსტები ჩამაცვა. ხეირიანად არ მესმოდა, რაზე მელაპარაკებოდა კნეინა, მხოლოდ ორმა უკანასკნელმა სიტყვამ უცებ გამომაფხიზლა:

- ხუთი მილიონი...

- კი მაგრამ, კნეინა, ჩვენ ხომ ოთხ მილიონზე შევთანხმდით... პირობას როგორ დავარღვევთ!... დამიჯერეთ, უხერხულია...

-

- საქმეში უხერხულობა არ არსებობს... ხუთი მილიონი, ან არ ვყიდი.

- კნეინა, მუშტარს დავკარგავთ.

- თავს ნუ ისულელებთ, პროეტი. ან ხუთი მილიონი, ან არაფერი.

უნდა გამოგიტყდეთ, კნეინას ნაზი ხმით ნათქვამი „თავს ნუ ისულელებო“, კი არ მეწყინა, ქათინაურივით მიამა. როგორც გენებოთ, ისე მოვიქცევი-მეთქი, ვუთხარი და მაშინვე არქიტექტორს დავურეკე. ახალი ამბავი რომ ვაცნობე, არქიტექტორმა გაკვირვებით წამოიძახა:

- ოჰო, გეტყობათ აღარ ხუმრობთ, ერთ ღამეში მილიონი ლირით აუწიეთ ფასი!

- რა ვქნა, სინიორამ ასე მიბრძანა.

- კარგი, ვნახოთ, დავფიქრდები...

- მაშ ასე, პასუხს შემატყობინებთ, არა?

- ვნახოთ, ვნახოთ. აკი მოგახსენეთ, დავფიქრდები-მეთქი.

რასაკვირველია, არქიტექტორმა აღარ დამირეკა, ბაიბურიც არ ისმოდა მისგან. ამასობაში დაიწყო, ასე ვთქვათ, ჩემი ინტიმური დამოკიდებულება კნეინასთან. დღეში სამჯერ მაინც მირეკავდა და მუდამ, როგორც კი ჩემი ცოლი ირონიულად წამოიძახებდა: ისევ შენი კნეინა გირეკავსო, ისე ამიჩქროლდებოდა გული, თითქოს მართლა შეყვარებული მირეკავდა. მაგრამ რა სიყვარული, რის სიყვარული? კნეინა მხოლოდ ფულს აღმერთებდა. ეს ქალი ყოველ მევახშეზე ძუნწი და ვერცხლის მოყვარული იყო. თითქოს გულის მაგივრად ყულაბა ედო მკერდში. დღენიადაგ ფულზე ფიქრობდა. სულ ახალ-ახალ მიზეზს იგონებდა, ოღონდ ბინისთვის ფასი აეწია. ხან იტყოდა, პროეტი, სულ დამავიწყდა, მე ხომ ანგარიშში არ ჩამიგდია წყალსადენის ოსტატისთვის მიცემული თანხა, აბაზანა რომ დავადგმევინეო. მეორე დღეს აივნიდან გადაშლილი ხედი გაახსენდებოდა, მესამე დღეს ფასის აწევის საბაბი უკვე ავტობუსი იყო, რომელიც ზედ პილაცოს კართან ჩერდებოდა, და ასე, ამგვარად. მაგრამ მე დადებულ ფასს ფეხი დავაჭირე, ხუთ მილიონს ერთ ლირსაც ვერ მოვუმატებთ, მყიდველებს ამ ფასის გაგონებაც არ უნდათ-მეთქი.

ბოლოს, რაღაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით გამოჩნდა კაცი, რომელიც არ შეუშინდა ხუთ მილიონს. ეს იყო მილანოელი მრეწველი, რომელსაც თავისი ხასისთვის უნდოდა ბინა. შუახნისა იყო, შავგვრემანი, მოგრძო სახე ჰქონდა, პირი - ოქროს კბილებით სავსე. საქმიანი, პრაქტიკული კაცი ჩანდა, ეტყობოდა, ფულის ყადრი კარგად იცოდა. ყოველი წვრილმანი გულდასმით დაათვალიერა და მოურიდებლად გამოუცხადა კნეინას:

- კნეინა, ეს არის ბინძური ხუხულა. მილანოში ასეთ ბინაში უთუოდ სამრეცხაოს მოაწყობდნენ. ხუთი მილიონი ისევე არა ღირს თქვენი ბინა, როგორც მე თურქი არა ვარ. იმ შემთხვევაში, თუ ხეირიანად შევაკეთებთ, დავაგებთ იატაკს, ფანჯრებს გავაფართოებთ და ამ ჯაბახანას მთლიანად შევცვლით, - აბაზანაზე მიუთითა, - მე ეს სიამოვნება შვიდი-რვა მილიონი დამიჯდება... მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა.

ბაზარზე ფასები იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ როგორი მოთხოვნილებაა საქონელზე... თქვენ შეხვდით კაცს, რომელსაც ასეთი ბინა ხელს აძლევს. აგრე იყოს, ყაბულსა ვარ.

მაგრამ მილანოელი მრეწველი შეცდა, ასე გულახდილად რომ გამოუცხადა კნეინას, ბინა მომწონსო. ვერც კი მოასწრო სახლიდან გასვლა ჩვენმა მუშტარმა, რომ კნეინამ შეწუხებული სახით წამოიძახა:

ოჰ, პროეტი, ხედავთ რა დიდი შეცდომა დავუშვით?

- რა შეცდომა, კნეინა?

- ხუთი მილიონი რომ დავუფასეთ. ეს კაცი შვიდზეც დაგვთანხმდებოდა.

- კნეინა, ვშიშობ, რომ თქვენ ვერ გაიგეთ, რა კაცია ეს მილანოელი მრეწველი. მართალია, აშკარად ჩანს, რომ თავის ხასაზე ჭკუას კარგავს და ფულიც ჩეჩქივით აქვს, მაგრამ ხუთ მილიონზე მეტს მაინც არ მოგვცემს.

- ცდებით, პროეტი, საყვარელი ქალის გულისთვის რას არ გააკეთებს კაცი. - მიპასუხა კნეინამ და თავისი მშვენიერი თვალები შემომანათა, მაგრამ ამ მშვენიერ თვალებში, სიხარბის გარდა, არავითარი გრძნობა არ კრთოდა.

- შესაძლოა, ასეც მოხდეს, - ვუპასუხე, - მაგრამ მაინც მტკიცედ ვარ დარწმუნებული წინააღმდეგში.

კარგი და პატიოსანი. მეორე დღეს მილანოელი მრეწველი თავის ნოტარიუსთან ერთად მოვიდა პალაცოსი. მაგრამ დაჯდომა ვერც კი მოასწრო, რომ კნეინამ გამოუცხადა:

- სინიორ კაზიგარი, დიდად ვწუხვარ, მაგრამ გადავიფიქრე და იმ ფასად, გუშინ რომ მოგირიგდით, ვერ მოგყიდით ბინას.

- როგორ, როგორ, კნეინა?

- როგორ და ისე, რომ ჩვენ ექვსი მილიონი გვინდა. აი, მაშინ კი უნდა გენახათ

კაზიგარი. წამოდგა და მშვიდად მიმართა კნეინას:

- მაქვს პატივი გამოგეთხოვოთ, - თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა.

- ხომ ხედავთ? აბა, ვინ გამოდგა ჩვენში მართალი

- აი, ნახავთ, პროეტი, თუ ისეთი მყიდველი არ ვიშოვოთ, რომელიც ექვს მილიონს მოგვცემს, - დაურცხვენლად მომიგო კნეინამ.

რა თქმა უნდა, გონიერი კაცი ხელს აიღებდა ამ საქმეზე, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, მე არ შემეძლო ამის ჩადენა, რადგან შეყვარებული ვიყავი. ამიტომ იყო, რომ ახალ მყიდველს თავიდანვე ვერ მივაქციე ჯეროვანი ყურადღება. ვერ მივხვდი, რომ ის მთლად ჩვეულებრივი

-

მყიდველი არ იყო. ეს გახლდათ ახალგაზრდა მემამულე, გვარად პანდოლფი. მაღალმაღალი, სქელ-სქელი, დათვსა ჰგავდა. თითქოს რაღაცას ვგრძნობდი, ერთი შეხედვით შემძულდა ეს ვაჟბატონი. კნეინას რომ წარვუდგინე, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რატომ არ დამიწყო ფასზე ვაჭრობა. თურმე მათ ბევრი საერთო ნაცნობ-მეგობარი ჰყავდათ, თან ეს ყმაწვილი ისეთი თვალით უყურებდა კნეინას, რომ აშკარა იყო, გულში ჩაუვარდა.

ბინა რომ დავათვალიერებინეთ, კნეინამ აივანზე გაიწვია პანდოლფი. მე ოთახში დავრჩი და იქიდან ვადევნებდი თვალს. ისინი ხელებით დაეყრდნენ მოაჯირს და აივნიდან გადაშლილ ხედს გაუშტერეს თვალი. მერე პანდოლფიმ, თითქოს უნებურად, ხელზე ხელი დაადო კნეინას. ნელა ვითვლიდი, ოცამდე დავითვალე. თითქოს აქ უჩვეულო არაფერია, ორი ხელი თუ ოცი წამის განმავლობაში შეერთებულია, მაგრამ აბა სცადეთ წამების დათვლა!

მეოცე წამზე კნეინამ ძალდაუტანებლად გაითავისუფლა ხელი და ოთახში შემოვიდა. პანდოლფიმ თქვა ბინა მომწონსო და გამოგვეთხოვა. იმ ურცხვმა ქალმა კი იცით რა მითხრა:

- ხედავთ, პროეტი! ხუთ მილიონ-ნახევარი... მაგრამ ჩვენ კიდევ წავუმატებთ ცოტას.

მეორე დილით ისევ ვესტუმრე კნეინას. ჩვეულებისამებრ თავის დარბაზში, სეკრეტართან მჯდომი დამხვდა. დამინახა თუ არა, მხიარულად წამოიძახა:

- პროეტი, იცით, გუშინ რა შევნიშნე, იმ თქვენ კლიენტთან ერთად აივანზე რომ ვიდექი და რომის ხედს რომ გადავყურებდი?

მინდოდა მეთქვა, რა და ის შენიშნე, რომ პანდოლფის ერთი ნახვით შეუყვარდიმეთქი. მაგრამ თავი შევიკავე.

- თურმე, პროეტი, აივნის ერთი კუთხიდან, ბორგეზეს ვილას საკმაოდ დიდი ნაწილიც მოჩანს. წარმოდიგინეთ, აქამდე არც შემინიშნავს ეს. მაშ ასე, ნათქვამია, ვიდრე თორნე ცხელი, პური მანამ უნდა ჩააკრაო... დღეს სინიორ პანდოლფი რომ მოვა, ექვს მილიონნახევარი უნდა მოვთხოვოთ.

ხედავთ? კნეინამ ისარგებლა იმით, რომ პანდოლფის ერთი ნახვით შეუყვარდა. როცა ის ოცი წამი, პანდოლფის მის ხელზე ხელი რომ ედო, მილიონი უნდდა დაჯდომოდა. ორმოცდაათი ათასი ლირი წამში. მადაც ამას ჰქვია! მესმოდა, ამჯერად კნეინასთვის ძნელი არ იყო ამ თანხის მიღება, მაგრამ უცებ ბრაზი მომერია, ეჭვი და ზიზღი მომაწვა. აქამდე თუ ვაჭრობის საქმეში ვიყავი მისი შუამავალი, ახლა სიყვარულის საქმეებშიც უნდა გამეწია შუაკაცობა. არც კი მესმოდა, რას ვამბობდი, ანგარიშმიუცემლად მივახალე:

- კნეინა, ჩემი საქმე შუამავლობაა და არა მაჭანკლობა, - საშინლად გავწითლდი და ოთახიდან გიჟივით გავარდი.

- რაო? რა ამბავია, რა მოგივიდათ, პროეტი? - უკვე კიბეზე შემომესმა კნეინას ნაზი ხმა.

ერთი თვის შემდეგ მსახურთუხუცესი ანტონიო შემხვდა.

- რასა იქმთ, კნეინა როგორ არის? ვკითხე ანტონიოს.

- თხოვდება.

- ვისზე? სანაძლეოს დავდებ, თუ იმ დათვს არ მიჰყვება, პანდოლფის, რომელმაც მისი ბინა იყიდა.

- ვინ პანდოლფი, რა პანდოლფი... სამხრეთ პროვინციის თავადს მიჰყვება. ერთი ჩერჩეტი ბებერია, პაპად უფრო ეკუთვნის კნეინას, მაგრამ მდიდარია. ამბობენ, კალობრიის ნახევარი მისიაო. ერთი სიტყვით, არ გაგიგონია? მიეცეს და მიემატოსო, სწორედ ჩვენს კნეინაზეა ნათქვამი.

- ისევ ისეთი ლამაზია?

ოჰ, ნამდვილი ანგელოზია.

-

ბავშვი

ღარიბთა დამხმარე საზოგადოებიდან შემწეობა რომ მოგვიტანა, იმ კეთილმა სინიორამაც გვკითხა, ამდენ ბავშვს რატომ აჩენთო. ჩემი ცოლი გუნებაზე არ იყო, ადგა და პირდაპირ მიახალა სინიორას: ფული რომ გვქონდეს, საღამოს კინოში წავიდოდით, მაგრამ ფულს აბა ჩვენ ვინ მოგვაშავებს, ამიტომ დაღამდება თუ არა ლოგინს მივაშურებთ, ჰოდა, ბავშვები იბადებიანო. ამ სიტყვებით განაწყენებული სინიორა ისე წავიდა, არც კი გამოგვემშვიდობა. მე ცოლს გავუჯავრდი, სიმართლის თქმა ყოველთვის როდია კარგი, იმას მაინც არ უნდა შეხედო ვისთან გაქვს საქმემეთქი!

ჩემს სიჭაბუკეში, ვიდრე ოჯახს მოვეკიდებოდი, ხშირად გადავშლიდი ხოლმე გაზეთს და რომაული ქრონიკის განყოფილებას წავიკითხავდი. როგორ მოგეხსენებათ, იქ აღწერენ ქალაქში მომხდარ სხვადასხვა შემთხვევას: მკვლელობას, ძარცვას, თვითმკვლელობას და სხვა ამგვარ უბედურებას.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ჭაბუკი ვიყავი, გამოუცდელი, აბა რას წარმოვიდგენდი, დიდი ოჯახის შენახვა ასეთი მძიმე ტვირთი თუ იყო. ხშირად დავფიქრდებოდი მომავალზე და ჩემს თავს ვეტყოდი: არა, ისეთი უიღბლო როგორ ვიქნები, რომ ყველაზე საშინელი უბედურება

მაინცდამაინც მე დამატყდეს-მეთქი. ყველაზე საშინელი უბედურება კი ისეთი სიღატაკეა, როდესაც ადამიანი სიბრალულს იწვევს. სიბრალულს იწვევს არა რაიმე განსაკუთრებული უბედურების გამო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყნად გაჩნდა, ცოცხლობს და რომლის შესახებ გაზეთებში ხშირად წერენ. ვაგლახ, ახლა კარგად ვხედავ, რომ ულმობელმა ბედმა წილად სწორედ ეს მწარე ხვედრი მარგუნა. მართლაც შესაბრალისი ვარ. აი, მაგალითად, გაზეთში ვკითხულობთ: „საწყლები, პირდაპირ შავ დღეში არიან, ენით არ აიწერება მათი გაჭირვება“. განა მე და ჩემი ჯალაბი უკეთეს დღეში ვართ? ანდა წერენ: ხეირიანი თავშესაფარიც კი არ აქვთო. როგორ ფიქრობთ, მე კი მაქვს ხეირიანი თავშესაფარი? არა, მე ჩემი დიდი ჯალაბით ტარმარანჩოზე ვცხოვრობ. ვცხოვრობ ისეთ ქოხში, სადაც ლეიბებს ფეხს ვერ აუქცევ, ავდარში კი წყალი ისე მოჩხრიალებს იატაკზე, როგორც რიპეტას სანაპიროზე. ამგვარი ამბავიც არა ერთხელ შემხვედრია, რომაული ქრონიკის განყოფილებაში: „იმ უბედურმა როცა იგრძნო, რომ ფეხმძიმედ იყო, დიდი დანაშაული ჩაიდინა: გადაწყვიტა, სიყვარულის ნაყოფი მოეშორებინა“.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მეშვიდე ბავშვის მოლოდინში რომ ვიყავით, მე და ჩემმა ცოლმა მოვითათბირეთ, ცოტა ჩამოთბება თუ არა, ბავშვი რომში წავიყვანოთ და იქ ერთ-ერთ საყდარში დავტოვოთო. ჩვენ ვფიქრობდით, საყდარში რომელიმე გულკეთილი ადამიანი აიყვანს ბავშვს და გაზრდისო.

მშობიარობის დრო მოახლოვდა. ისევ იმ გულისხმიერმა სინიორებმა მოგვხედეს, ღარიბებს რომ ეხმარებიან და ჩემი ცოლი საავადმყოფოში დააწვინეს მოსალოგინებლად. გავიდა ხანი, ცოლი გამოკეთდა და ერთ მშვენიერ დღეს

ტარმარანჩოზე გამომეცხადა ძუძუთა ბავშვით. ოთახში არც კი ჰქონდა ფეხი შემოდგმული, რომ მომახალა:

იცი რას გეტყვი? აბა საავადმყოფოში კარგი რა ყრია, მაგრამ მაინც იქ დარჩენა მერჩივნა შინ დაბრუნებას.

ბავშვი საშინლად აჩხავლდა, თითქოს დედის სიტყვები გაიგონაო. ლამაზი ბიჭი იყო, მაგარი, ხმაც ძლიერი ჰქონდა და ღამღამობით ჩხავილს რომ გააბამდა, ნურას უკაცრავად: ძილზე ფიქრი ზედმეტი იყო.

დღე დღეს მისდევდა, ღამე-ღამეს, გვეწვია მაისიც, დათბა, ხალხმა პალტო გაიხადა. შესაფერი დარი დაიჭირა თუ არა, ჩვენი გადაწყვეტილების შესასრულებლად შევუდექით სამზადისს. დედამ ბავშვს იმდენი ჩვრები შემოახვია, გეგონებოდათ, საყდარში კი არა, სადმე თოვლით დაფარულ ტრიალ მინდორში უპირებს დატოვებასო. გამოვედით ჩვენი ტარმარანჩოდან და რომისკენ გავწიეთ. დედა ბავშვს გულში იხუტებდა, მძიმედ სუნთქავდა, თმა აწეწოდა, თვალები გაფართოებოდა და გზადაგზა განუწყვეტლად ტარტარებდა. საბრალო ქალი ბოღმას ებრძოდა, მაგრამ ვერ ერეოდა. მე კი მდუმარედ მივყვებოდი გვერდით.

- იცოდე, ისეთ საყდარში უნდა დავტოვოთ, სადაც მდიდარი ხალხი დადის სალოცავად, - მეუბნებოდა ცოლი, - აბა ეს რა ჭკუა იქნება, თუ ბავშვი ჩვენისთანა ღატაკმა წაიყვანა. ჩემი ფიქრით, ყველაზე საიმედო ღვთისმშობლის საყდარია. ღვთისმშობელსაც ვაჟი ჰყავდა, ის უფრო შეისმენს ჩვენს ვედრებას და სურვილს შეგვისრულებსო.

დამღალა გაუთავებელი ლაპარაკით, გულს ცეცხლი შემომენთო. განა ჩემთვის კი იოლი იყო შვილის მოწყვეტა? განა მე ეს მინდოდა? არა, ბოღმა მეც მახრჩობდა, მაგრამ გულში ვიმეორებდი: დამშვიდდი, თავგზას ნუ დაკარგავ, გამაგრდი და ცოლი გაამხნევე-მეთქი. მინდოდა როგორმე შემეწყვიტა სიტყვების ნიაღვარი, შეუნელებლად რომ იღვრებოდა ჩემი ცოლის პირიდან. ამიტომ დუმილი დავარღვიე და ვუთხარი:

- რას იტყვი, წმინდა პეტრეს ტაძარი რითაა ცუდი? მოდი, იქ დავტოვოთ. ცოლი ჯერ

შეყოყმანდა, მერე კი ცივი უარი მტკიცა:

- ერთი შენც, იტყვი რაღა უცნაურს. ეგ ტაძარი კი არა, შარაგზაა. ადვილი შესაძლებელია, იქ ვერც კი შენიშნონ ბავშვი... პატარა საყდარი სჯობს, აი ისეთი, ვია კონდოტიზე რომ არის. არ გინახავს, საყდრის ახლომახლო რა საუცხოო მაღაზიებია... სულ მდიდარი ხალხი დადის იქა... ნამდვილად, ყველაზე შესაფერი საყდარი სწორედ ის არის.

ავტობუსში რომ ჩავსხედით, მხოლოდ მაშინ გაჩუმდა ჩემი დედაკაცი, ბავშვი უფრო მაგრა ჩაიკრა გულში, დროდადრო თავზე წაფარებულ საბნის კუთხეს გადახდიდა და დაჟინებით ჩასცქეროდა შვილს. ბავშვს ფუნჩულა, ვარდისფერი სახე ჩვრებში ჩაერგო და ტკბილად ეძინა. ჩვენსავით ცუდად ეცვა პატარასაც, მხოლოდ ხელთათმანები ჰქონდა კარგი, ცისფერი თივთიკის ხელთათმანები ეკეთა და ხელებს ისე ამოჰყოფდა

-

ხოლმე წარამარა საბნიდან, თითქოს თავის ლამაზ ხელთათმანებს ხალხს უჩვენებსო. გოლდონის თეატრთან ავტობუსიდან ჩამოვედით. ჩემმა ცოლმა ისევ წამოიწყო ლაპარაკი. ოქრომჭედლის მაღაზიას რომ მივუახლოვდით, შედგა, ვიტრინაში წითელ ხავერდზე დაწყობილ და ძვირფას ნივთებზე მიმითითა და ისევ ატარტარდა:

- არა, ერთი შეხედე, რა სილამაზეა... ამ ქუჩაზე მხოლოდ იმისთვის დადის ხალხი, რომ ნაირ-ნაირი, ძვირფასი და ლამაზი ნივთები იყიდოს... ეეჰ, აბა ღატაკებს აქ რა დარჩენიათ, არც კი გაივლიან ამ გზაზე... ჰოდა, იცი რისთვის გეუბნები ამას? აი, ლამაზ და ძვირფას ნივთს რომ იყიდის ადამიანი, კარგ გუნებაზე დადგება, საყდარში შევა ილოცებს, იქ კი ბავშვს დაინახავს და აიყვანს.

გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილზე, ბრილიანტებს მიშტერებული, სახეშეშლილი, თვალებამღვრეული და გაუთავებლად იმეორებდა ერთსა და იმავეს, თან ბავშვს მაგრად იკრავდა გულში.

კრინტი ვერ დავძარი, მდუმარედ მოვკიდე ხელი და საყდრისკენ წავიყვანე. შევედით პატარა საყდარში. შენობა შიგნით ისე ოსტატურად იყო მოპირკეთებული, კედლები მარმარილოსი გეგონებოდათ. რამდენიმე ეკვდერი ჰქონდა საყდარს და შესანიშნავი საკურთხეველი. ცოლმა საყდარი შემოიარა, ყველაფერი ყურადღებით დაათვალიერა, თითქოს ამოწმებს, ღირს თუ არა აქ ბავშვის დატოვებაო. მერე ტუჩი აიბზიკა: იჰ, ეს საყდარი მე სულ სხვაგვარად მქონდა წარმოდგენილიო. ერთხელ კიდევ დავათვალიერებო, თქვა და ისევ დაიწყო შემოვლა. გუმბათის ფანჯრებიდან საყდარში ცივი და კაშკაშა შუქი იღვრებოდა. მე ცოტა მოშორებით მივყვებოდი, თან თვალი სულ შემოსასვლელისკენ მეჭირა. აი, წითელი ვიწრო კაბით გამოწყობილი, მაღალ-მაღალი ოქროსფერთმიანი სინიორა შემოვიდა. მუხლი რომ მოიყარა სალოცავად, მისმა ქვედა კაბამ ტკაცანი გაიღო. ილოცა ცოტა ხანს, პირჯვარი გადაიწერა და საყდრიდან ისე გავიდა, ჩვენთვის არც შემოუხედავს. ჩემმა ცოლმა რომ დაინახა ეს, აფეთქდა:

- არა, აქ არ ივარგებს... ეტყობა ამ საყდარში სულ მაგ წითელკაბიანი სინიორასთანა ხალხი დადის. მაგათ ხომ გართობისა და მაღაზიებში თრევის გარდა არა იციან რა. წამო, წავიდეთ... - თქვა და საყდრიდან გავიდა.

კორსოზე კარგად დიდი მანძილი სულ სირბილით გავიარეთ. წინ ცოლი მირბოდა, უკან მე. ბოლოს, ვენეციის მოედნის მახლობლად სხვა საყდარში შევედით. ის პირველ საყდარზე

გაცილებით დიდი იყო და მდიდრულად მორთული. ძვირფასი ქსოვილის მძიმე ფარდები ეკიდა, ვიტრინებში ნაირ-ნაირი მოოქრული, ლამაზი ნივთები ელაგა; შუშის საფარქვეშ ეკიდა ვერცხლის გულები, რომლებიც საღამოს ბინდზე მკრთალად ლაპლაპებდნენ. საკმაოდ ბევრი ხალხი შეყრილიყო, - შეძლებული ხალხი, თუკი მათი ჩაცმულობის მიხედვით განვსჯიდით. ქალებს ლამაზი ქუდები ეხურათ, მამაკაცებს კი ეცვათ ძვირფასი კოსტიუმები. ამბიონზე მღვდელი ქადაგებდა. ყველა მას შეჰყურებდა. „აი, ამაზე ხელსაყრელი შემთხვევა აღარ გვექნება, აქ ვერავინ შეგვნიშნავს, როგორ დავტოვებთ ბავშვს“, - გავიფიქრე და ცოლს ვუჩურჩულე.

- მოდი, აქ ვცადოთ...

ცოლმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. გავედით გვერდით ეკვდერში. იქ არავინ ჩანდა. თუმცა ისე ბნელოდა, რომ ერთმანეთს ძლივს ვარჩევდით. ცოლმა საბნის კუთხე პირზე დააფარა ბავშვს და ისე დაუშვა სკამზე, თითქოს ბავშვი კი არა, ფუთა უჭირავსო. შემდეგ მუხლი მოიყარა, სახე ხელებში ჩარგო და დიდხანს ლოცულობდა. მე კი, რადგან საქმე არა მქონდა, ქანდარის კედლებზე დაკიდებულ ვერცხლის სხვადასხვა ზომის გულებს ვათვალიერებდი. ბოლოს, როგორც იყო, ცოლმა ლოცვა

მოათავა, წამოდგა, პირჯვარი გადაიწერა და სახეარეული გამოვიდა ეკვდერიდან. მე უკან გამოვყე.

- და რქვა მას ქრისტემ: „ვიდრე ხვალ, პეტრე?“ - დასჭექა სწორედ იმ წუთში მღვდელმა.

ისე მომეჩვენა, თითქოს მღვდელი მე მეკითხებოდა. ამ დროს ჩემმა ცოლმა შემოსასვლელში ჩამოშვებული ფარდა გადაწია და, ის იყო საყდრიდან უნდა გასულიყო, რომ შემოგვესმა:

- სინიორა! სინიორა! ფუთა დაგრჩათ სკამზე.

ორივე შევხტით, შემოვბრუნდით, ჩვენ წინ იდგა შავებით გამოწყობილი მანდილოსანი, ერთი იმ ფარისეველთაგანი, რომელიც მთელ დღეს საყდარში აღამებს.

- დიახ, სინიორა, - უთხრა ჩემმა ცოლმა, - გმადლობთ, მე მართლა დამავიწყდა „ფუთა“.

„ფუთა“ ავიღეთ და ცოცხალ-მკვდრები გამოვედით საყდრიდან.

- ეჰ, არავის, არავის არ უნდა ჩემი საბრალო ბიჭუნა, - წამოიძახა ჩემმა ცოლმა იმ ვაჭრის მსგავსად, რომელსაც საქონლის გასაღების იმედი გაუწყდა.

კვლავ განვაგრძეთ გზა. ჩემი თმააწეწილი ცოლი ისე მიჰქროდა, რომ მიწას ფეხს არ აკარებდა. წმიდა მოციქულთა მოედანზე რომ გავედით, ბედზე საყდარი ღია დაგვხვდა. შევედით, ისიც დიდი, ფართო, მაგრამ ბნელი საყდარი იყო.

- აი, ეს კი სწორედ შესაფერისი საყდარია, - მიჩურჩულა ცოლმა.

გამბედაობა მოიკრიბა და გულადად შევიდა ეკვდერში. აღარც პირჯვარი გადაიწერა, აღარც ბავშვს აკოცა, სწრაფად დააწვინა ჩვილი სკამზე და ისე გაექანა გასასვლელისკენ, თითქოს მის ფეხქვეშ მიწას ცეცხლი ეკიდა. მაგრამ კართან მისვლა ვერ მოასწრო, რომ მთელ საყდარში განწირული ჩხავილი გაისმა. ჭამის დრო დაუდგა ბავშვს და ამიტომ ატირდა. ბავშვის ჩხავილზე დედას თავგზა აერია, ჯერ ისევ კარს მიაშურა, მერე შებრუნდა, მიიჭრა სკამთან, შვილს ხელი დასტაცა, ჩამოჯდა და საკინძე გაიხსნა. ბავშვი ორივე ხელით ჩააფრინდა ძუძუს და მგლის ლეკვივით დაუწყო წოვა.

- ღვთის სახლში ასეთ რამეს არ სჩადიან. გასწით აქედან, ახლავე გადით გარეთ! - შემოგვესმა უცებ მამაკაცის მკაცრი ხმა.

ჭაღარა, ბებრუცუნა დიაკონი თავს წამოგვადგა. ჩემი ცოლი წამოხტა, მკერდზე ჩვარი დაიფარა, ბავშვსაც გადააფარა პირზე, შემდეგ დიაკონს მიუბრუნდა და უთხრა:

- კი, მაგრამ, რა არის ისეთი... აი, ხატებზე მადონა... იმასაც ხომ გულზე ჰყავს ბავშვი ატატებული?

- ეს რა თქვი შე ურცხვო! მადონას ადარებ შენს თავს! - კვლავ შეუყვირა მჭახე ხმით დიაკონმა.

ერთი სიტყვით, გამოვედით ტაძრიდან შერცხვენილები და ვენეციის მოედანზე პატარა ბაღში შევედით. დავსხედით სკამზე, ცოლმა ისევ მისცა ძუძუ ბავშვს, ბავშვი გაძღა და მალე დაიძინა. ამასობაში მოსაღამოვდა, ბინდმა დაჰკრა, საყდრები დაიხურა,

ჩვენ კი, დაღლილები, გაწამებულები ვისხედით ბაღში და ვერაფერი გადაგვეწყვიტა. სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო იმის ფიქრმა, რომ ამდენი დრო დავკარგეთ ისეთ საქმეზე, რომელიც სულაც არ უნდა წამოგვეწყო.

- ყური მიგდე, - დავარღვიე დუმილი, - მეტი აღარ შემიძლია, დავიქანცე, რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ.

- ეს ხომ ჩვენი შვილია, შენი სისხლი და ხორცი... - გაანჩხლებით შემომიტია ცოლმა. - გამაგებინე, რა გნებავს, ხომ არ გინდა, რომ ჩვენი ბავშვი სადმე მივაგდოთ კუთხეში, როგორც კატებს მიუგდებენ ხოლმე ნასუფრალს?

- არა, რას ამბო! - უარზე დავდექი. - ოღონდ ეს კია, ასეთ საქმეზე დიდხანს არ უნდა იფიქრო... ან უცებ უნდა გააკეთო, ანდა სულ ხელი უნდა აიღო.

- აჰა, ახლა კი მივხვდი. შენ იმის გეშინია, რომ გადავიფიქრებ და ბავშვს უკან წამოვიყვან. ასეა, არა?.. ფუი, რა ლაჩრები ხართ კაცები.

ეს მკვახე-მკვახე სიტყვები, ცოტა არ იყოს, გულზე მომხვდა, მაინც თავი შევიკავე და დავუყვავე:

- განა არ ვიცი, როგორ იტანჯები, მაგრამ ერთი რამ გახსოვდეს: ვის ხელშიც უნდა ჩავარდეს ჩვენი შვილი, რაც უნდა გადახდეს, მაინც უფრო ბედნიერი იქნება, ვიდრე ჩვენთან, ჩვენს ქოხში, ტარმარანჩოზე, სადაც ზამთრობით ჭიაღუა გვესევა, ზაფხულობით კი - ბუზები.

ამჯერად ცოლმა არაფერი მიპასუხა.

ისევ გავუდექით გზას, არ ვიცოდით, სად მივდიოდით. ვია ნაციონალეს ქუჩას ავყევით ზემოთ, ნერონის კოშკისკენ, ამ დროს ერთი პატარა ქუჩა შევნიშნეთ, ირგვლივ ძე-ხორციელი არ ჭაჭანებდა, ერთ-ერთი სახლის წინ რუხი მანქანა იდგა. მანქანაში არავინ იჯდა. უცებ კარგი აზრი დამებადა, მივიჭერ მანქანასთან, გადავატრიალე სახელური და კარი გავაღე.

- აბა, ჩქარა მოდი, ამაზე უკეთესი შემთხვევა აღარ გვექნება, დააწვინე ბავშვი უკანა სკამზე, - ვუთხარი ცოლს.

ცოლმა დამიჯერა, საბანში გახვეული ბავშვი სკამზე დააწვინა. მე მანქანის კარი მივხურე, მიმოვიხედე, ხომ არავინ გვიყურებს-მეთქი, როცა დავრწმუნდი, რომ არავინ გვიყურებდა, მკლავში ხელი ჩავავლე ჩემს ცოლს და ორივემ კვირინალის მოედნისაკენ მოვკურცხლეთ.

მოედანზე არავინ ჩანდა, ჩაბნელებული იყო იქაურობა, მხოლოდ სასახლის წინ ენთო რამდენიმე ფარანი.

ჩემი ცოლი ობელისკის მახლოლად ჩამოჯდა სკამზე, მოიბუზა, ზურგი შემაქცია და ტირილი წასკდა.

- რა მოგივიდა, რამ გაგამწარა ასე? - ვუთხარი ცოლს.

- ახლა, როცა ის დავტოვე, - ტირილით მიპასუხა ცოლმა, - ისეთ სიცარიელეს ვგრძნობ... აი აქ, მკერდთან... სადაც ჩემი შვილი მყავდა მიკრული...

- გასაგებია გენაცვალე, მაგრამ მოთმინება იქონიე, გაგივლის, - დავამშვიდე ცოლი.

ასე ვისხედით ერთ ხანს, ცოლი ტიროდა, მერე უცებ თავი ასწია, ცრემლი ისე შეაშრა თვალზე,

როგორც ძლიერი ქარის მობერვაზე შრება წყალი ქვაფენილზე. მოულოდნელად წამოხტა, სასახლისაკენ გაიშვირა ხელი და საშინელი ხმით დაიყვირა:

- ახლავე წავალ, აი იქ, მეფესთან, და ყველაფერს მოვახსენებ.

- გაჩუმდი, ხომ არ გაგიჟდი! ნუთუ არ იცი, რომ მეფე დიდი ხანია აღარ გვყავს? - შევძახე შეშფოთებულმა და ხელი ვტაცე.

- ჩემთვის სულ ერთია... იმას ვეტყვი, ვინც მეფის ადგილზე ზის... ვინმე ხომ იქნება იქ!
- მომახალა, ხელი გამომგლიჯა, ადგილს მოწყდა, სასახლისკენ გაიქცა და აუცილებლად ატეხდა აურზაურს, რომ არ დამეყვირა:

- გაჩერდი, სად მირბიხარ, გადავიფიქრე... დავბრუნდეთ უკან და ბავშვი წამოვიყვანოთ... გესმის? ერთით მეტი იქნება თუ ნაკლები, სულ ერთი არაა?

ალბათ ეს ფიქრი ცოლსაც უტრიალებდა თავში, ჩემი სიტყვების გაგონებისთანავე დაავიწყდა მეფე, მობრუნდა და დაეჭვებით მკითხა:

- ვითომ მანქანა იქვე იქნება?

- იქ იქნება, - ვუთხარი და მანქანისკენ გავუტიეთ.

ბედზე მართლა იქ დაგვხვდა მანქანა. როგორც კი ჩემმა ცოლმა მანქანის კარს ხელი მოკიდა, სახლის სადარბაზო შესასვლელთან ერთი დაბალ-დაბალი, შუახნის კაცი გამოხტა და დაიყვირა:

- მოითმინეთ, მოითმინეთ! რა გინდათ ჩემს მანქანასთან?

- რა მინდა და ჩემი ბარგი, - არც კი შეხედა, ისე უპასუხა ჩემმა ცოლმა.

- რა ბარგი, რის ბარგი! აქ რა უნდა თქვენს ბარგს! ეს ჩემი მანქანაა... არ გესმით? ჩემი მანქანაა!

აი მაშინ კი უნდა გენახათ ჩემი ცოლი. მრისხანედ გაიმართა წელში, უცნობს თვალი დაუბრიალა და მკვახედ მიახალა:

- ნეტა ვინ რას გტაცებს?! ნუ გეშინია, არაფერს წაგართმევ, შენი მანქანისათვის კი მიმიფურთხებია... აი უყურე! - უთხრა და მართლა მიაფურთხა მანქანის კარს.

- მერედა ეს ბარგი? - დაბნევით დაიწყო უცნობმა.

- ეს ბარგი კი არა, ჩემი ბავშვია... აჰა, ნახე. ბავშვს პირზე საბანი გადახადა, უცნობს

  დაანახვა და ისევ განაგრძო:

- „ჩემი მანქანა“, „ჩემი მანქანა“. შე საწყალო, შენ და შენმა ცოლმა ორი საუკუნეც რომ იცხოვროთ, ასეთ მშვენიერ ბავშვს მაინც ვერ გააჩენთ. არ იფიქროთ ჩემი დაკავება, თორემ დავიყვირებ, მთელ ქუჩას შევყრი, პოლიციელსაც დავუძახებ და ვეტყვი, რომ ჩემი ბავშვის მოპარვას აპირებდი.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ისეთ-ისეთები აკადრა, რომ საწყალი კაცი გაშრა, იდგა პირდაღებული, სისხლი თავში აუვარდა, მე გავიფიქრე, საცაა დამბლა დაეცემა-მეთქი.

გული რომ მოიოხა, მხოლოდ მაშინ გაჩუმდა ჩემი ცოლი, მობრუნდა, ნელი ნაბიჯით გაშორდა მანქანას და გზაჯვარედინზე დამეწია.

არიფანა

შობა, ახალწელი, ნათლიღება... დეკემბრის შუა რიცხვებში ამ უქმეებზე რომ ჩამოაგდებენ ლაპარაკს, ისეთი ცახცახი ამიტანს, თითქოს ვალს სასწრაფოდ მთხოვენო. შობა, ახალწელი, ნათლიღება. მაინც რა ერთმანეთზეა მიწყობილი ეს დღესასწაულები! ჩემისთანა ღატაკი კაცისთვის კი ყოველი ასეთი დღე სწორედ გალესილი სატევარია... ვაგლახ! თვალი დაუდგეს სიღარიბეს, განა მე არ მინდა შობა ან ნათლიღება ვიუქმო? იცით, საქმე რა არის? სანოვაგის ვაჭრები ასეთ დღეებში ყაჩაღებივით გამოეფინებიან გარეთ, ქუჩის კუთხეში მოიკალათებენ და გააჩაღებენ ვაჭრობას. მე და ჩემისთანები კი, ვაჭრობის შემდეგ, ჯიბეგამოფხეკილი ვბრუნდებით შინ. ვინ იცის, პაპაჩემის პაპის დროს იქნებ მართლა სწამდათ ეს წმინდა დღეები და უბრალოდ, მთელი გულით ზეიმობდნენ. მაგრამ ის დრო წავიდა, ადამიანი გამოიცვალა, დღეს შტერმაც კი იცის, რომ უქმეებში ხელის მოთბობა ადვილია და ახლა ეს დღესასწაულები უფრო თაღლითებისთვისაა, ვიდრე ღატაკებისთვის, რომლებიც უფრო მეტად ღატაკდებიან ვაჭრების წყალობით. არა ერთხელ მიფიქრია, რომ ღვეზელისა და ფრინველის ვაჭრებისთვის ეს არის ნამდვილი ზეიმი, რადგან ათჯერ მეტ სანოვაგეს ყიდიან ჩვეულებრივ დღეებთან შედარებით. მაშასადამე, ღატაკი უკანასკნელ კაპიკებს ხარჯავს და უქმე დღეზე მაინც ნახევრადმშიერია, ვაჭარი კი დახერგილი სუფრით და სავსე ქისით ეგებება დღესასწაულს.

თუ გინდათ ჩემი ნათქვამი დაიჯეროთ, ჩამოიარეთ ჩვენს ქუჩაზე, სადაც მე საკანცელარიო ნივთების დუქანი მაქვს. ჩემი დუქნის გვერდით ჩამწკრივებულია მეძეხვე ტოლომეის, ფრინველის ვაჭარ დე სანტისის, ხაბაზ დე ანჯელისის და სირაჯ კროჩანის დუქნები. რას არ ნახავთ აქ! ყველისა და შაშხის გროვებს, უთვალავ ფრინველს, ღვეზელით სავსე კალათებს და ბოთლების პირამიდებს. ირგვლივ ყველაფერი გაჩახჩახებულია, ყველაფერი ბრწყინავს, ხალხის უწყვეტი ნაკადი დილიდან დაღამებამდე შედი-გამოდის ამ დუქნებში. ჩემი დუქანი კი ჩანელებულია. სრული სიწყნარე სუფევს აქ, დახლი დამტვერილია, ათასში ერთხელ თუ შემოირბენს რომელიმე ბავშვი რვეულის საყიდლად, ან ქალი შემოვა მელანს იყიდის, რომ შინ მისვლისას ხარჯები ჩაწეროს. წარმოიდგინეთ, მეც ჩემს დუქანს ვგავარ, - დამშეული, გამხდარი, შავი წინსაფრით, მტვრისა და ქაღალდის სუნით გაჟღენთილი, დღენიადაგ მოღუშული და კოპებშეკრული. ჩემს მეზობლებს კი ერთი შეხედვით შეატყობთ, რომ საქმე ჩინებულად მიუდით. ოთხივე წარმოსადეგი, გაღაჟღაჟებული და ჩასუქებულია. დიახ, ასეთები არიან ჩემი კოლეგები: ტოლომეი, დე ანჯელისი, კროჩანი და დე სანტისი. ბედი უღიმით, ბედი. ამიტომაა, რომ ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად...

ეჰ, შევცდი, შევცდი ხელობის არჩევაში, მაგრამ რაღა დროსია! აბა, ქაღალდის ვაჭრობით რა ხეირს ვნახავ. ეს ჩემი მეზობლები სანოვაგის გახვევისას უფრო მეტ ქაღალდს ხარჯავენ, ვიდრე

მე ვყიდი ჩემს საკანცელარიო ნივთებს დუქანში. ჰოდა, დეკემბერი რომ მიიწურა, ერთ დილას ცოლმა მითხრა:

- ყური მიგდე, ეჯისტო! იცი, კროჩანებმა რა გადაწყვიტეს? ჩვენი უბნის ხუთივე კომერსანტი შევიკრიბოთ და ახალ წლის ღამეს არიფანა გავმართოთო.

- ეს არიფანა რაღა ჯანდაბაა?

- ჩვეულებრივი წვეულებაა.

- ჩვეულებრივი?

- ჰო, ჩვეულებრივი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ არიფანაზე ყველას თავისი წილი მოაქვს. ერთი სიტყვით, ისე გამოდის, რომ ყველა ერთმანეთს უმასპინძლდება.

- მაშ, ეს არიფანაა?

- ჰო! დე ანჯელისი ღვეზელს მოიტანს, კროჩანი - ღვინოს და შამპანურს, ტოლომეი საუზმეს გააწყობს, დე სანტისი კი ინდაურებს გვთავაზობს.

- ჩვენ?

- ჩვენ საახალწლო ნამცხვარი უნდა მივიტანოთ. მე გავჩუმდი, ცოლი ჩამაცივდა:

- რას გადაყლაპე ენა, იქნებ არ მოგწონს ხედავ, რა ჩინებულად მოიფიქრეს კროჩანებმა. ვუთხრა, რომ ჩვენც მივალთ?

მე დახლთან ვიდექი და საშობაო მისალოც ბარათებს ვარჩევდი. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ცოლს ვუთხარი:

- აბა, სადაური სამართალია, დე ანჯელისი ღვეზელს მოიტანსო! დე ანჯელისს ღვეზელი თავის დუქანში აქვს, კროჩანებს ღვინო, ტოლომეის საუზმის სურსათი, დე სანტისს ინდაურები, მე კი რა გამაჩნია? ნამცხვარი უნდა ვიყიდო, არა?

- მერე რა მოხდა, რა ბედენაა? ყველა ყიდულობს. დუქანში თავისით არაფერი არ მოსდით... სულ ასე იცი, ასეთი ხარ, ჯიუტობ, დავობ, გინდა ყველაზე ჭკვიანი იყო, საქმე კი ცუდად მიგდის და მერე წუწუნებ.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მე და ჩემი ცოლი კარგა მაგრა წავლაპარაკდით. ბოლოს, დავა, რომ მომბეზრდა, ვუთხარი:

- კარგი, ნება შენია. გადაეცი კროჩანებს, მოვალთ და ნამცხვარსაც მოვიტანთ-თქო.

- იცოდე, მოზრდილი ნამცხვარი იყიდე, ორი კილო მაინც უნდა იყოს, თორემ მეზობლებთან თავი მოგვეჭრება, - მითხრა ცოლმა.

- არხეინად იყავი, როგორიც გინდა, სწორედ ისეთს ვიყიდი, - დავანუგეშე.

ახალ წლის წინადღე ჩვეულებრივ გავატარე. ვყიდდი მისალოც ბარათებს, მუყაოს სათამაშოებს. მეზობლები კი ინდაურებს, ქათმებს, ღვეზელს, ვერმიშელს, ყუთებით ლიქიორს და ძვირფას ღვინოს, ყველსა და შაშხს. კარგი დარი იდგა, ვიდექი ჩემს ჩაბნელებულ დუქანში და გავცქეროდი, როგორ მიიჩქაროდნენ მზის სხივებში გახვეული, სანოვაგით დატვირთული ქალები შინისკენ. მართლაც, საუცხოო დღე დაიჭირა, ლაჟვარდი ცა ისე იყო მოკრიალებული, გეგონებოდათ, წმინდა ბროლი

გადაფარებია სამყაროსო, და ირგვლივ ყოველი საგანი ისე მოჩანდა, თითქოს მხატვარს დაუხატავს ღია ნათელი ფერებით. საღამოს, დუქანს რომ ვკეტავდი, ცოლს ვუთხარი:

- ვახშმობა არა ღირს... არიფანაზე გამოვძღებით. მარტო ეს ნამცხვარი ას კაცს ეყოფა.

მართლაც ნამცხვრის კოლოფი ვეებერთელა იყო.

თერთმეტის ნახევარზე კროჩანების წინკარში შევედით, ბინა თავისივე მაღაზიის თავზე აქვთ. ორმოცდაათ წელზე მეტია, რაც კროჩანები აქ ცხოვრობენ. ამ ძველთაძველ, ვიწრო დერეფნებისა და პაწია ოთახებისაგან შემდგარ სახლში ჯერ პაპა კროჩანი ცხოვრობდა, ჰქონდა სამიკიტნო, სადაც მუშები თითო ჭიქა ღვინისათვის შედიოდნენ. დუქნის ახლანდელი პატრონის მამამ სავაჭრო გააფართოვა და ღვინოს ბითუმად ჰყიდდა. ახლა ამ სახლში უმცროსი კროჩანი ცხოვრობდა, ადოლფო კროჩანი, რომელიც, ღვინის გარდა, ვისკით და საზღვარგარეთული ლიქიორებით ვაჭრობს. ავედით ზემო სართულზე, სახეგაბიჟვინებული, ღორისთვალება ადოლფო კროჩანი შემოგვეგება და ამაყად შეგვიწვია სასადილო ოთახში.

ამ ოთახში უწინაც ვყოფილვარ, მაგრამ ახლა ვეღარ ვიცანი. ძველი უბრალო ავეჯი-ხის მაგიდა, ჭილის სკამები და საკერავი მანქანა, რომელიც კედლის ნიშში ედგათ, გამქრალიყო და მათ ნაცვლად წითელი ხის, ახალი, გაკრიალებული ავეჯი იდგა. ბრინჯაოთი დაფერილი სახელურები და ნეკერჩხლის ხის თეთრი ფეხები მეტისმეტად ამშვენებდა ისედაც ძვირფას ავეჯს.

გარდა ამისა, კედელზე ეკიდა მოოქროვილ ჩარჩოში ჩამჯდარი სურათი, სადაც მხატვარს ზღვაში მზის ჩასვენება აღესახა. იდგა აგრეთვე დიდი რადიომიმღები, რომელსაც ჭურჭლის დასალაგებლადაც ხმარობდნენ. აქა-იქ ეწყო ფაიფურის ნაირნაირი ქანდაკებანი - შიშველი ქალები, ძაღლები, მასხარები, და სუფრაზე გაწყობილი იყო ვარდისფერი ყვავილებით მოჩითული ძვირფასი ჭურჭელი.

- ეს ყველაფერი არგენტინის მოედანზე ვიყიდე, - მითხრა კროჩანიმ და ოთახის მოწყობილობაზე მიმითითა. - აბა თუ მიხვდები რა დამიჯდა?

ალალბედზე ვუთხარი რაღაც ციფრი, კროჩანი კმაყოფილებისაგან გაიბღინძა და ეს ციფრი ერთისამად გაადიდა. ამასობაში სხვა სტუმრებიც მოვიდნენ. მალე ყველა შეიკრიბა.

ვინ იყვნენ იქ? ტოლომეი - მაღალ-მაღალი, გრძელულვაშა ყმაწვილი, ტოლომეის ამოჩემებული ჰქონდა ერთი სიტყვა, სანოვაგის აწონისას მოახლეებს ეუბნებოდა: - კარგია, არა? ხაბაზი დე ანჯელისი, პატარა, გულუბრყვილო იერის კაცი, ნამდვილად კი დიდი გაიძვერა. ბავშვობაში დე ანჯელისი მოწყალებას თხოულობდა, დღეს კი მთელ უბანს ამარაგებს ვერმიშელით. ფრინველის ვაჭარი დე სანტისი. ეს ისეთივე ტეტიაა, როგორიც მაშინ იყო, როცა სოფლიდან რომში კალათით კვერცხი ჩამოჰქონდა გასაყიდად. ფუნთუშასავით გატკეცილი, ქოსა, ჩაშავებული სახე აქვს, ლაპარაკში უმალ შეატყობთ, ვატერბოს მკვიდრი რომ არის.

აქ იყვნენ მათი მორთულ-მოპრანჭული ცოლები. ბავშვები არ წამოეყვანათ. კროჩანიმ განაცხადა, ეს კომერსანტების წვეულებაა, მომავალ წელს ისე უნდა შევხვდეთ, როგორც კომერციულ წელს, რომელიც დიდ მოგებას მოგვიტანსო.

მართალი თუ გინდათ, ეს ხალხი სუფრასთან უფრო ნაკლებ მომეწონა, ვიდრე თავთავიანთ დუქანში. ვაჭრობისას ისინი მალავენ თვითკმაყოფილებას, მუშტარს ეწუწუნებიან, თავს აცოდებენ. ახლა კი გარშემო კლიენტები არ ეხვიათ და ისე იბღინძებოდნენ, გეგონებოდათ, ესაა გასკდებიანო.

სუფრას შემოუსხედით და ტოლომეის საუზმეს დავაცხრით. დაიწყეს ოხუნჯობა, ერთი ეკითხებოდა: ძეხვი მართლა ღორის ხორცისააო? მეორე ტოლომეის საყვარელ გამოთქმას იმეორებდა - „კარგია, არა ?„ - მაგრამ ეს იყო მეგობრული ხუმრობა. თანაბარი, ერთი წრის ხალხისა, რომლებიც მხარში უდგანან ერთიმეორეს, ერთმანეთის ტყავს არ დახევენ. აი, მე რომ მეთქვა ხუმრობით, ასეთ საუზმეს არცთუ ხშირად გეახლებით-მეთქი, ალბათ უხერხულობას იგრძნობდნენ. ამიტომ ჩუმად ჭამა ვამჯობინე. ღვეზელი რომ შემოიტანეს, ყველა მიყუჩდა, უთუოდ იმის გამო, რომ ბულიონი ქაფქაფა იყო, სულს ვუბერავდით, პირი არ გამოვითუთქოთო. ვიღაცამ წამოიძახა, ღვეზელი ამჯერად ნამდვილი ჩურთითაა სავსე, დუქანში რომ ჰყიდის ტოლომეი, იმას სრულებით არა ჰგავსო, ყველამ გაიცინა. მე არც ახლა

ამომიღია ხმა, ორი სავსე მათლაფა ბულიონი შევხვრიპე და იცოცხლეთ, კუჭი გავითბე. მერე სირაქლემასოდენა ორი ინდაური მოგვართვეს. შეიქნა ერთი ჟრიამული: სად აღმოაჩინე ეს ბუნების სასწაული, ცნობილ დე სანტისის დუქანში ხომ არ გიყიდია, მთელ რომს რომ ჰკვებავს ფრინველითო, ჰკითხეს დე სანტისს. მაგრამ გლეხს ხუმრობისა რა ესმის. ას ინდაურში გამოვარჩიე, ჩემი ხელით გავასუქეო, უპასუხა დე სანტისმა.

არც ახლა გავიღე ხმა. ჯერ ვეებერთელა ბარკალი დავითრიე, მერე ჩურთიანი სამი ნაჭერი, შემდეგ კვადრატული ნაჭერიც გადმოვიღე. არ ვიცი რა ნაწილი იყო და ისიც გემრიელად ჩავღმურძლე. ვიღაცამ წამოიძახა:

- ერთი ეჯისტოს შეხედეთ, რა სვავივით სანსლავს. გეტყობა, ინდაურის ხორცს ყოველ დღე არ მიირთმევ, ჰა, ეჯისტო? პირი საჭმლით მქონდა გამოტენილი, ისე ვუპასუხე:

- მართლაც ასეა! - ჩემთვის კი გავიფიქრე: - ერთხელ მაინც თქვეს სიმართლე-მეთქი.

ამასობაში კროჩანის ბოთლები ზედიზედ იცლებოდა. გახალისებული, სახეაწითლებული

სტუმრები განუწყვეტლივ ლაქლაქებდნენ. ლაპარაკობდნენ მხოლოდ და მხოლოდ საჭმელზე, რადგან სხვა არაფერზე არ შეეძლოთ ლაპარაკი. ერთადერთი ადამიანი, ვისაც სხვა საგანზე მსჯელობის უნარი ჰქონდა, მე გახლდით და სწორედ ამიტომაც მქონდა საქმე ცუდად. მძიმე ფიქრები შემომაწვა. ეჰ, ფიქრები რას მიშველიდა, ფიქრით კუჭი ჯერ არავის გავსებია, ტვინი კი.

ინდაურის შემდეგ სალათა მოგვართვეს. რა თქმა უნდა, პირი არავინ დააკარა. ყველი და ხილი რომ შემოიტანეს, კროჩანიმ გამოაცხადა, შუაღამე დგებაო, ჩამოგვიარა

სუფრაზე მჯდომებს და ყველას გვიჩვენა შამპანურის ბოთლი. ნამდვილი ფრანგული ღვინოა, ბოთლს სამ ათას ლირად ვყიდიო, დაიტრაბახა. ამ დროს ყველამ ერთხმად წამოიძახა:

- ეჯისტო, შენი ჯერი დადგა. აბა, ნამცხვარი.

ავდექი, ოთახის სიღრმეში გავედი, კოლოფი ავიღე, დიდი ამბით დავდე სუფრაზე და ყველას გასაგონად განვაცხადე:

- ეს არაჩვეულებრივი ნამცხვარია, ახლავე ნახავთ.

გავხსენი კოლოფი, ხელი შიგ ჩავყავი და ჩამორიგება დავიწყე: თითო ბოთლი მელანი, თითო კალამი, რვეული და ანბანის წიგნი ყოველ მამაკაცს. ქალებთან კი ბოდიში მოვიხადე, თქვენზე არ მიფიქრია-მეთქი.

ასეთი სიურპრიზით გაოცებული სტუმრები პირდაღებულნი ისხდნენ. მეტისმეტი ჭამით გონება დახშული ჰქონდათ, ვერ მიხვდნენ რაში იყო საქმე. ბოლოს ისევ დე ანჯელისმა ამოიღო ხმა:

- მოიცა, ეჯისტო, ეს რა უშნო ხუმრობაა! ჩვენ ხომ ბავშვები არ ვართ, სკოლაში არ დავდივართ.

- ვაა, ნამცხვარი სადღაა? - წამოიძახა მთლად გალექებულმა დე სანტისმა.

ისევ წამოვდექი:

- მეგობრებო, ეს ხომ არიფანაა! ყოველმა თქვენგანმა მოიტანა ის, რაც თავის დუქანში ჰქონდა. ასეა ხომ? ჰოდა, მეც ის მოგართვით, რაც ჩემს დუქანში მომეპოვებოდა: მელანი, კალამი, რვეული და ანბანის წიგნი.

- რაო, რაო? მართლა სულელი ხარ, თუ სულელად გვაჩვენებ თავს? - წამოიძახა ტოლომეიმ.

- არა, სულელი არ გახლავარ, მე საკანცელარიო ნივთებს ვვაჭრობ. შენ მოიტანე საუზმე, რომელსაც მთელი წლის მანძილზე ვყიდულობ შენგან. მე კი ის მოგართვი, რაც მაქვს და რის ყიდვასაც შენ არასოდეს მოიფიქრებდი.

- კარგია, კმარა, დასხედით. ამის გულისათვის სისხლს ნუ ავიმღვრევთ, - სცადა დე ანჯელისმა ხალხის დამშვიდება.

სტუმრები მიყუჩდნენ. შემოიტანეს ტკბილეული, ბოთლებს თავი მოხადეს და კვლავ შევუდექით სმას.

როცა შევნიშნე, რომ ჩემი სადღეგრძელო არავინ დალია, ავდექი, ჭიქა ავიღე და სტუმრებს მივმართე:

- რადგან თქვენ ჩემი სადღეგრძელოს შესმა არ ინებეთ, მე თვითონ მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას: გისურვებთ აქ დამდგარი ახალი წლის მანძილზე მეტი იკითხოთ, თუნდაც ამის გამო ვაჭრობაში ცოტა ხელი მოგეცაროთ.

სტუმრები ერთსულოვანი აღშფოთებით შეხვდნენ ჩემს სიტყვას. გაცეცხლებული კროჩანი მთელი ხმით აღრიალდა:

- ხმა ჩაიკმინდე, შე ნაბიჭვარო! ემანდ ენამ არ გიყივლოს. ვისაც გინდა, იმას მიჰყიდე შენი წიგნები, ჩვენ კი დაგვეხსენი, თორემ... აბა, ჩქარა, მოუსვი აქედან, ისედაც იმდენი შეხეთქე, რომ...

- მაშასადამე, შენ არ გინდა წიგნის ვაჭრობის წინსვლისათვის შესვა ერთი ჭიქა?

- ხმა, კრინტი, შე მასხარავ, ყეყეჩო, ბრიყვო, თავხედო!

ყველა მე მლანძღავდა, მეც ვალში არავის ვრჩებოდი. ცოლი სახელოზე მეჭიდებოდა. სხვებზე მეტად მაინც კროჩანი გაცეცხლდა, ახლავე აქედან დაიკარგენითო, გამოგვიცხადა მე და ჩემს ცოლს.

რაღა ბევრი გავაგრძელო, არც კი ვიცი, როგორ ამოვყავი თავი ქუჩაში! სიცივისაგან მაძაგძაგებდა, ჩემი ცოლი კი ტირილით იმეორებდა:

- რა ქენი, ეჯისტო, ეს რა ჩაიდინე? ახლა ყველა მტრად გადაგვეკიდება და ეს წელი წინა წლებზე უფრო მძიმე იქნება ჩვენთვის.

ასე და ამგვარად, კინკლაობით გავყევით სადღესასწაულოდ მორთულ ქალაქის გაბრდღვიალებულ ქუჩას შინისაკენ, კროჩანის ფანჯრებიდან კი ბოთლის ნამტვრევები დაგვიშინეს.

ტყირპი

გული მეტკინა ჩემს დას რომ ვაწყენინე, მაგრამ ადრე თუ გვიან სიძეს მაინც ავეშლებოდი. არა, ჩემი ბრალი არ იყო. ბარემ დალაგებით გიამბობთ, რა მოხდა ჩვენ შორის. ჩამოცხა თუ არა, პირველსავე დღეს ადრიანად ავდექი, საბანაო კოსტიუმი და პირსახოცი გავახვიე, ველოსიპედის უნაგირს გადავაკარი და იმ იმედით, რომ შეუმჩნევლად გავიპარებოდი ოსტიის პლაჟზე, კიბისკენ გავეშურე. მაგრამ ბედი არ გინდა? როგორ გგონიათ, ზედ კართან ვის შევეჩეხე? თვით რაიმონდოს. საკვირველია, მთელ ოჯახში რაღა მაინცდამაინც ის შემომეყარა? რა თქმა უნდა, ჩემი ფუთაც მაშინვე შენიშნა.

- საით მიემგზავრები? - მკითხა სიძემ.

- ოსტიაში მივდივარ, საბანაოდ.

- მერე, საქმე?

- ნეტა რა საქმე მაქვს ისეთი?

- ნუ სულელობ... ოსტიაში ორშაბათს წახვალ... ახლა კი, კეთილ ინებე და საპარიკმახეროში წამობრძანდი.

რაღას ვიზამდი! რაიმონდო კაი მოსული ყმაწვილია, მე კი პატარა ვარ, ჩია. რასაკვირველია, ველოსიპედი წამართვა, საკუჭნაოში ჩაკეტა, ხელი ჩამავლო და მითხრა:

- წამობრძანდი, დაგვაგვიანდა.

- ერთი შენც, აგიჩემებია საქმე და საქმე. მე შენ გეტყვი, მუშტრისაგან მოსვენება აღარა გვაქვს და თავის მოსაფხანად ვერ ვიცლით.

რაიმონდომ ხმა არ გამცა, მაგრამ შევატყვე, რომ გულში მწარედ მოხვდა ჩემი ნათქვამი. საპარიკმახერო რაიმონდომ ჩემი საცოდავი დის ფულით გახსნა. უბედურება ის იყო, რომ საქმე კარგად ვერ მიგვდიოდა, უფრო სწორად რომ ვთქვა, მთლად წყალწაღებულები ვიყავით, მუშტარი ათასში ერთხელ თუ შემოვიდოდა ჩვენთან, ჰოდა, ჩემთან ერთად სიძეც რომ წამოსულიყო საბანაოდ, არც ამით დაშავდებოდა რამე. საპარიკმახეროში ბიჭს დავტოვებდით, რომ ფუნჯებისთვისა და სამართებლებისათვის ეგდო ყური, თორემ ეს ნივთებიც რომ აეწაპნათ, ჩვენს უბედურებას ესღა აკლდა.

მზე უკვე მაგრად აცხუნებდა, მე და რაიმონდო შინიდან რომ გამოვედით.

მდუმარედ გავყევით გზას. საპარიკმახერო არც ისე შორს იყო ჩვენი სახლიდან, იგი ძველი რომის გულში გვედგა, ვია დელ სემინარიოზე და სწორედ ამაში შეცდა რაიმონდო, რომ საპარიკმახერო ასეთ მიყრუებულ ქუჩაზე გახსნა. ახლომახლო სულ კანტორები იყო და ღატაკი ხალხი სახლობდა. ისე დაღამდებოდა, რომ კაციშვილი არ გაიჭაჭანებდა. საპარიკმახეროში რომ მივედით, რაიმონდომ რკინის დარაბა ასწია, შევედით, პიჯაკი გაიხადა და ხალათი ჩაიცვა. მეც გამოვიცვალე ტანისამოსი. ამ დროს

პაოლინოც მოვიდა. რაიმონდომ მაშინვე ცოცხი შეაჩეჩა ხელში და უბრძანა, ისე დააკრიალე აქაურობა, რომ იაზმა აიკრიფოსო. საპარიკმახეროში მთავარი სისუფთავეაო, ხშირად იტყოდა ხოლმე რაიმონდო, მაგრამ გინდა დაასუფთავე გინდა არა, საშველი მაინც არ იყო. ხომ გაგიგონიათ, ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო როდიაო.

მარტო იმის გამო კი არ მიგვდიოდა საქმე ცუდად, რომ საპარიკმახერო მიყრუებულ უბანში გვქონდა! არა, არც შენობა ექნა ღმერთს. ერთი პაწაწკინტელა ოთახი უშნოდ შეფერადებული კედლებით. სავარძლებს, სკამებს და ხის თაროებს ხომ ზედ არ შეეხედებოდა, უბრალო ლილით იყო შეთხუპნული. ქაშანურის ბანაკი, მეზობელი საპარიკმახეროს დახურვისას რომ ვიყიდეთ, დაყვითლებული და გაბზარული იყო, პირსახოცებსა და ხელსახოცებს ჩემი და კერავდა და ქარგავდა, ამიტომ ერთი ვერსიდან შეამჩნევდით, შინ ნახელავი რომ იყო.

პაოლინომ დაგავა იქაურობა, იატაკიც მოაპრიალა, მაგრამ რას უშველიდა მოპრიალება, როცა კაფელის ფილები ისე იყო გახეხილი და ჩაშავებული, რომ ვერავითარი ხეხვა-პრიალი ვერ უშველიდა. ვიდრე პაოლინო იქაურობას ალაგებდა, რაიმონდო სავარძელში გადაითხლიშა და სიგარეტს აბოლებდა. მორჩა თუ არა პაოლინო დალაგებას, რაიმონდომ ოცდახუთი ლირი მისცა, გაზეთი მიყიდეო. გაზეთი რომ მიართვეს, დიდი ინტერესით შეუდგა სპორტული ამბების კითხვას, თან სიგარეტს აბოლებდა.

პაოლინო კარის ზღურბლზე ჩაცუცქდა, მეზობლის კატას სწვდა კუდში და წვალება დაუწყო. მე კი კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი და ქუჩას გავცქეროდი.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენს ქუჩაზე იშვიათად გაივლიდა ვინმე. აგერ, მთელი ერთი საათი ვიჯექი კიბეზე და ათიოდე ადამიანმა თუ გაიარა, იმათშიც უმეტესობა ქალები იყვნენ. ისინი კალათით ხელში ბაზრიდან ბრუნდებოდნენ. მზემ მეზობელი სახლის სახურავები რომ გადმოიარა და თავისი სხივები ჩვენს ქუჩას მოჰფინა, მეც ოთახში შევედი და სავარძელში ჩავეშვი.

ნახევარი საათი ვისხედით ასე. მუშტარი არ ჩანდა. უცბად რაიმონდომ გაზეთი გადააგდო, გაიზმორა, დაამთქნარა და მითხრა:

- სერაფინო, მუშტარი მაინც არა ჩანს და მოდი ერთი წაივარჯიშე, წვერი გამპარსე.

პირველად როდი მთხოვდა რაიმონდო, გამპარსეო, მაგრამ ახლა გულამღვრეული ვიყავი, ვერ მომენელებინა, საბანაოდ რომ არ გამიშვა. უხმოდ დავტაცე ხელი პირსახოცს და განგებ ზედ მის ცხვირწინ რამდენჯერმე დავბერტყე. სხვა მის ადგილზე მიხვდებოდა, რატომ მოვიქეცი ასე, რაიმონდოს კი ამდენი ჭკუა არ ჰქონდა, თავხედურად გადაიხარა წინ და თავის ნიკაპს და ლოყებს დააკვირდა სარკეში.

პაოლინომ ცქვიტად მომაწოდა თასი, ავაქაფე საპონი და რაიმონდოს გასაპნა დავუწყე. ფუნჯს ისე მარდად და ისეთი ძალით ვუტრიალებდი ლოყებზე, თითქოს გოგლიმოგლს ვთქვეფდი. თვალის ძირამდე გავუსაპნე სახე, გახელებით ვიქნევდი ზევით და ქვევით ფუნჯს, ჩემს სიძეს ლოყებზე საპნის ორი ბუშტი დააჯდა. ასევე გულმოსულმა ვტაცე ხელი სამართებელს და ქვევიდან ზევით ისეთი მძაფრი

ბიძგებით ვაცურებდი, კაცს ეგონებოდა, მუშტრის მოკვლა მქონდა გადაწყვეტილი. რაიმონდოს ფერი ეცვალა:

- რა დაგემართა? ნელა, ნელა!..

ხმა არ გავეცი, თავი გადავუწიე და სამართებლის ერთი მოსმით ავპარსე ხორხიდან ნიკაპამდე.

რაიმონდო გატრუნული იჯდა, მაგრამ ვგრძნობდი, როგორ კანკალებდა. ასეთივე მძაფრი მოძრაობით ქვევიდან ზევით ავპარსე ლოყები. მერე რაიმონდო დაიხარა ბაკანზე და პირზე წყალი შეისხა. მე პირსახოცი ისე მოვუტყაპუნე ლოყებზე, რომ უფრო სილის გაწვნას ჰგავდა, ვიდრე პირის შემშრალებას. მერე ტალკი შევაყარე და მეგონა, ამით დამთავრდებოდა ყველაფერი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, რაიმონდომ ისევ გააზმორა და მითხრა:

- ახლა თმა გამისწორე.

- გუშინწინ არ გაგკრიჭე?!

- კი გამკრიჭე, მაგრამ, - მშვიდად მითხრა სიძემ, - კისერზე ალბათ უკვე ჩამომეზარდა თმა. ხომ იცი, რა ჩქარა მეზრდება.

ბოღმა გულში ჩავიხრჩე, ოდნავ დავაქნიე პირსახოცი და ისევ კისერზე შემოვახვიე რაიმონდოს. რაც მართალია, მართალია, ჩემს სიძეს საუცხოო თმა აქვს, სქელი, მბზინავი, თან ლამაზად ივარცხნის, მსხვილი ტალღები თითქმის კეფამდე ჩასდევს, მაგრამ დღეს ეს ლამაზი თმაც კი მეზიზღებოდა. ისე მეჩვენებოდა, რომ ამ თმით ვლინდებოდა რაიმონდოს მთელი თავხედობა და ქედმაღლობა.

- ფრთხილად, ოდნავ შემისწორე. იცოდე უშნოდ არ შემომღიჯნო.

- არხეინად ბრძანდებოდე, - გამოვცერი კბილებში.

სანამ კისერზე ოდნავ შესამჩნევ თმას ვკრეჭდი, სულ ოსტიის პლაჟი მედგა თვალწინ და ძლივს ვიკავებდი თავს, რომ რაიმონდოს მბზინავი თმა არ ჩამებღუჯა და მაკრატლით შიგ ძირში არ მიმეკნაჭა, მაგრამ დის სიყვარულმა შემაკავა. რაიმონდომ ისევ აიღო გაზეთი, გადაშალა და კითხვას შეუდგა. ჩემი მაკრატლის წრიპინს ისეთი სიამოვნებით უსმენდა, თითქოს იადონის გალობით ტკბებაო. დროდადრო სარკეში თვალს შეავლებდა თავის სახეს.

- იცი, სერაფინო, შენ კარგი პარიკმახერი დადგები, - მითხრა რაიმონდომ, თავისი თავი სარკეში რომ შეათვალიერა.

„შენ კი საუცხოო მუქთახორა“ - მინდოდა მეთქვა, მაგრამ ისევ შევიკავე თავი. რაღა ბევრი გავაგრძელო, თმა შევუსწორე, პატარა სარკე ავიღე, მის კეფასთან დავიჭირე, რომ რაიმონდოს დიდ სარკეში დაენახა თავისი კეფა და ჩემი ოსტატობა შეეფასებინა, მერე შემპარავი ხმით ვკითხე:

- კი, მაგრამ, რაიმონდო, - თავი ვეღარ შევიკავე და წამოვიძახე. - ოდეკოლონი ექვსი ფლაკონიღა გვაქვს!

- თუ ღმერთი გწამს, შენს ტყავში დაეტიე, სხვის საქმეში ნუ ეჩრები, - მხრები აიჩეჩა რაიმონდომ. - ეს ოდეკოლონი შენი ფულით ხომ არ გიყიდია.

„უფრო ჩემი ფულითაა ნაყიდი, ვიდრე შენით“, - კინაღამ წამოვიძახე, ბედზე რომ ისევ ენას კბილი დავაჭირე, რადგან ჩემს დას გაგიჟებით უყვარდა ქმარი. რაიმონდომ ამოარჩია ყველაზე ძვირფასი ოდეკოლონი, მიბრძანა მასხურე და თავიც დამიზილე თითის წვერებით, ქვევიდან ზევითო. თავს რომ ვუზელდი, თვალი სულ კარისკენ მეჭირა, ეგებ მუშტარი გამოჩნდეს და ეს კომედია შეწყდეს-მეთქი. მაგრამ ნურას უკაცრავად, იმედი არ გამიმართლდა. ოდეკოლონის შემდეგ რაიმონდომ ფრანგული ბრილიანტინი მოითხოვა, სავარცხელი გამომართვა და თმის ვარცხნას შეუდგა. ისეთი გულმოდგინებით ივარცხნიდა, რომ ყოველი ღერი სათითაოდ დაილაგა თავზე. - იფ, აი, ახლა კი ჩინებულად ვგრძნობ თავს, - თქვა ესა და სავარძლიდან წამოდგა. საათს შევხედე, პირველი სრულდებოდა.

- რაიმონდო... ხომ გაგპარსე, თმა შეგისწორე, ოდეკოლონიც გასხურე... ახლა მაინც გამიშვი საბანაოდ... ვიდრე მზე არ ჩასულა...

- მე შინ მივდივარ. უნდა ვისადილო, - მიპასუხა რაიმონდომ და ხალათი გაიხადა... - შენც რომ წახვიდე საპარიკმახეროში ვინღა დარჩება! აკი გითხარი, ორშაბათს გაგიშვებ-მეთქი!

პიჯაკი ჩაიცვა, ხელი დამიქნია და პაოლინოსთან ერთად გავიდა საპარიკმახეროდან. პაოლინოს ჩემთან შინიდან საუზმე უნდა მოეტანა.

მარტო რომ დავრჩი, უფრო შემომენთო ცეცხლი გულზე. მინდოდა იქაურობა მიმელეწ-მომელეწა, სამართებლები და ფუნჯები ქუჩაში გადამეყარა, მაგრამ გამახსენდა, რომ ყველაფერი ჩემი დის საკუთრება იყო და, მაშასადამე, მეც მეკუთვნოდა. რისხვა დავიოკე, სავარძელში ჩავეშვი და პაოლინოს მოლოდინში გავირინდე.

ქუჩაში ძე-ხორციელი არ ჭაჭანებდა, მზე თვალებში მიჭყიტინებდა, ქვაფენილი საკირესავით გავარვარებულიყო, საპარიკმახეროშიც ცხელოდა, ირგვლივ სარკეებში მხოლოდ ჩემი მოღუშული სახე ჩანდა და არ ვიცი, შიმშილით თუ ამ სარკეების გამო, თავბრუ დამეხვა. ბოლოს, მადლობა უფალს, როგორც იყო, პაოლინო გამოჩნდა და ხელსახოცში გამოკრული საუზმე მომიტანა.

ბიჭი შინ გავუშვი, გავედი ფარდის უკან, სენაკივით პაწია ოთახში, მაგიდას მივუჯექი და ხელსახოცი გავხსენი. ცივი მაკარონი, ყველი, პური და ერთი ბოთლი ღვინო გამოეგზავნათ.

უმადოდ ვღეჭავდი საჭმელს, თან ვფიქრობდი, იმ წუთში ჩემი და როგორ უმასპინძლდებოდა რაიმონდოს ნუგბარ-ნუგბარი კერძით. ეს კაცი კი სულ მიზეზიანობს, წუნიაა. არა, ურიგო ლუკმა როდი იგდო ხელში რაიმონდომ. რა დიდი დანაშაული იყო, ჩემი და რომ ამ კაცს მივათხოვეთ. ასეთ ფიქრებში გართულმა, ის იყო საუზმე მოვათავე, რომ ვიღაცის ხმა შემომესმა. შევკრთი. - შეიძლება?

ხელად გამოვვარდი უკანა ოთახიდან.

დიახ, არ შევმცდარვარ, მართლა სანტინა იყო, მეზობელი სახლის მეკარის ქალიშვილი - დაბალი, კოხტა, პირმრგვალი გოგონა, შავი მოციმციმე თვალებით. სანტინა ხშირად მოიმიზეზებდა რამეს და ჩვენს საპარიკმახეროში შემოდიოდა, მე გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, რომ ქალიშვილი ჩემი გულისათვის მოდიოდა და ახლა ძალიან გამიხარდა მისი დანახვა. დაბრძანდით-მეთქი, ვთხოვე.

სანტინა მაშინვე ჩაჯდა სავარძელში. ისეთი პატარა იყო, რომ იატაკს ფეხებს ვერ აწვდენდა.

- დღეს ისეთი კარგი დარი დაიჭირა, პლაჟი უთუოდ ხალხითაა გაჭედილი, - დავიწყე საუბრის გასაბმელად.

სანტინამ ამოიოხრა, მეც სიამოვნებით წავიდოდი საბანაოდ, მაგრამ არა მცალია, ტერასაზე სარეცხი უნდა გავფინოო.

- თუ გნებავთ, წამოგყვებით და მოგეხმარებით, - შევთავაზე მე.

- რაო, ტერასაზე წამომყვებით! რას ბრძანებთ, როგორ შეიძლება? დედა დამინახავს და გამიჯავრდება.

სანტინა ცმუკავდა, აქეთ-იქით იხედებოდა, სალაპარაკო საბაბს ეძებდა. ბოლოს მკითხა:

- მგონი მუშტარი მაინცდამაინც თავს არ გატეხავთ, არა?

- კაციშვილი არ იხედება ჩვენკენ.

- აი, ქალების საპარიკმახერო რომ გაგეხსნათ, მე და ჩემი ამხანაგები ვივლიდით თქვენთან პერმანენტის გასაკეთებლად.

- მართალია, პერმანენტს ვერ გაგიკეთებთ, - ვუთხარი სანტინას, რადგან მინდოდა რამით მეამებინა მისთვის, - მაგრამ კარგ ოდეკოლონს კი გასხურებთ.

- მართლა კარგი ოდეკოლონი გაქვთ?

- საუცხოო.

ავიღე სახურავიანი ბოთლი და ხუმრობით შევაშხეფე, სანტინა ხელებს იქნევდა და ყვიროდა, გაჩერდით, ასე თვალებს ამომწვავთო. ამ ყოფაში ვიყავით, რომ ზღურბლზე რაიმონდო გამოჩნდა.

- ერთობით, ხომ - მკაცრად მომახალა სიძემ, - მაგას რა სჯობია, - და არც კი შემოგვხედა, ისე შემოვიდა ოთახში.

სანტინა წამოდგა, უკაცრავადო, ჩაიბუტბუტა. მე ოდეკოლონის ბოთლი თავის ადგილზე დავდგი.

- კარგად იცი, სერაფინო, მე არ მიყვარს, როცა ქალები საპარიკმახეროში შემოდიან, - დაიწყო რაიმონდომ, - გარდა ამისა, ეს ოდეკოლონი ჩვენ მხოლოდ მუშტრებისთვის შევიძინეთ.

- სინიორ რაიმონდო, უსიამოვნოდ შეიჭმუხნა სანტინა, - რას წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ავი იყავით! - თქვა და ნელი ნაბიჯით გავიდა საპარიკმახეროდან. რაიმონდომ თვალი გააყოლა ქალიშვილს. გული ჩამწყდა, მივხვდი, ჩემს სიძეს სანტინა მოსწონდა და როცა დავინახე როგორი მზერით უპასუხა ქალიშვილმა, დავრწმუნდი, რომ სანტინასაც ჩავარდნოდა რაიმონდო გულში.

- შენთვის არაფერს იშურებ, ყველაზე ძვირფას ოდეკოლონს ისხამ, სანტინასათვის კი ერთი წვეთი ოდეკოლონი დაგენანა. რა მოხდა, ქვეყანა ხომ არ დაიქცა!

მოწყენილობით კინაღამ შევიშალე და ამ გოგოსთან ხუმრობით თავს ვიქცევდი. აბა რა არის აქ გასაბრაზებელი!

რაიმონდომ ხმა არ გამცა. უკანა ოთახში გავიდა პიჯაკის გასახდელად. ასე დაიწყო დღის მეორე ნახევარი.

ორმა საათმა სრულ მდუმარებაში გაიარა. მზე მწარეს აცხუნებდა. რაიმონდო სავარძელში იჯდა,

თავი უკან გადაეწია, პირი დაეღო და ისე ხვრინავდა, სახე მთლად აუჭარხლდა. ერთი საათი იხრუტუნა ღორივით, მერე გაიღვიძა და ნახევარი საათი ყურებსა და ცხვირის ნესტოებში ამოზრდილი თმის ამოჭრას მოანდომა. ბოლოს, დროის მოსაკლავი საქმე რომ შემოელია, მითხრა, მოდი, გაგპარსავო.

ამან უფრო ამირია გუნება. თუ მე, ოსტატი, საპარიკმახეროს პატრონს ვპარსავ, დიდი უბედურება არ არის. მაგრამ, როცა საპარიკმახეროს პატრონი უსაქმურობის გამო დამიწყებს წვერის გაპარსვას, ეს უკვე ამტკიცებს, რომ ბედი უკუღმა დაგვტრიალებია და უმაქნისები გავმხდარვართ.

რა გაეწყობოდა, მეც მოწყენილობით ადგილს ვეღარ ვპოულობდი და დავყაბულდი. ერთი ლოყა გამპარსა და ის იყო მეორის პარსვა დამიწყო, რომ ქუჩიდან კვლავ გაისმა:

- შეიძლება?

ორივე მივბრუნდით. მე ლოყაგაპარსული, რაიმონდო ხელში მომარჯვებული სამართებლით. სანტანას კეკლუცი ღიმილით შემოედგა ერთი ფეხი ჩვენი კარის ზღურბლზე, თან თეძოთი იკავებდა სველი თეთრეულით სავსე კალათას.

- მაპატიეთ, - გვითხრა მან, - ვიცოდი, რომ ახლა მუშტარი არა გყავდათ და გავიფიქრე, იქნებ სინიორ რაიმონდო ტერასაზე სარეცხის გაფენაში მომეხმაროს-მეთქი.

შეწუხებისთვის ბოდიშს გიხდით, მაგრამ სინიორ რაიმონდი ისეთი ღონიერია, რომ ეს

არ გაუჭირდება. როგორ ფიქრობთ, რა ქნა ჩემმა სიძემ? სამართებელი დადო და

მითხრა: - თვითონ გაიპარსე, სერაფინო, - საჩქაროდ გაიძრო ხალათი და ქუჩაში

გასხლტა.

თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, რომ ორივემ სიცილ-კისკისით დურთეს თავი მოპირდაპირე სახლის ჭიშკარში.

დინჯად დავამთავრე წვერის პარსვა, რადგან ვიცოდი დრო ისედაც საკმაო მქონდა, პირი დავიბანე და პაოლინოს ვუთხარი:

- ახლა კი ჯუზეპინასთან წადი და უთხარი, ამ წუთში აქ გაჩნდი-თქო... აბა მოუსვი. ჩემს დას რომ შევხედე, გული დამეწვა. ისეთი საცოდავი იყო ის საწყალი, გვერდმოქცეული, ლოყაზე მოდებული წითელი ტყირპით, მაგრამ გვიანღა იყო, უკან დახევა არ შეიძლებოდა, გარდა ამისა, მე ხომ მაინც შური უნდა მეძია რაიმონდოზე.

- ნუ კი შეშინდები, - ვუთხარი დას, ისეთი არაფერი მომხდარა. რაიმონდო ჩვენს მოპირდაპირე ეზოში შევიდა მეკარის ქალიშვილს ტერასაზე სარეცხის გაფენაში ეხმარება.

- ვაი ჩემს თავს, ვაი ჩემს თავს, - ამოიგმინა ჯუზეპინამ, დამაცა, ახლავე ვუჩვენებ იმათ სეირს, - და იქით გაიჭრა, საითაც რაიმონდო და სანტინა წავიდნენ.

მარდად გავიხადე ხალათი, ჩავიცვი პიჯაკი, რკინის დარაბა დავუშვი, და ვიდრე წავიდოდი, კარზე აბრაც ჩამოვკიდე, რომელიც ქაშანურის ბაკანთან ერთად ვიყიდეთ მეზობელ საპარიკმახეროში. აბრაზე ეწერა:

„დახურულია ოჯახური უბედურების გამო“.

მფლანგველი

რაც კი რამ უსიამოვნო ლაპარაკი მოგვსვლია მე და ჩემს ცოლს, სულ ფულის მიზეზი იყო.

დუქანი მქონდა. ელექტრომოწყობილობას, ქურებს, ნათურებსა და სხვა ამგვარ ხელსაწყოებს ვყიდდი, მაგრამ რადგან დუქანი ისეთ არისტოკრატულ უბანში არა მქონდა, როგორც, მაგალითად, სან-ჯიოვანის უბანია, არასოდეს არ ვიცოდი რა შემოსავალი მექნებოდა და სულ შიშში ვიყავი.

მართალია, დროდადრო გამოერეოდა ისეთი ბედნიერი დღე, როცა ელექტროქურას ორმოცი ათას ლირადაც გავყიდდი, მაგრამ უფრო ხშირად სამასლირიან ნატურის მეტს ვერაფერს ვასაღებდი. ვალენტინას არ ესმოდა ეს, წუწურაქი ვეგონე. ჩემი სიძუნწე კი მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ საბანი სადამდეც გამწვდებოდა, ფეხს იქამდე ვწევდი. გულმოდგინედ აღვრიცხავდი შემოსავალ-გასავალს და როცა ხელმოცარული დავბრუნდებოდი შინ, ვალენტინას ვეტყოდი, დღეს ვერაფერი გავყიდე-მეთქი.

- ძუნწო... წუწურაქო... ღმერთო ჩემო, ეს რა დამემართა, ძუნწს მივთხოვდი! - აყვირდებოდა მაშინვე ვალენტინა.

- რატომ მეძახი ძუნწს, ვალენტინა, რათა ხარ ასეთი უსამართლო? - მივუგებდი გულნატკენი. - შენ არც კი იცი, საქმე როგორ მიმდის... რატომ არ გაინტერესებს, ერთხელ მაინც რატომ არ შემოივლი დუქანში, ან ბანკში არ მიხვალ და შენი თვალით არ ნახავ ყველაფერს, რას ვასაღებ, რას ვერა, რა შემოსავლის პატრონი ვარ? მაშინ დარწმუნდები, რომ ბანკში ჩემი დანაზოგი დღითიდღე ილევა... არ გაგიგონია, ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო.

- ესღა მაკლია, დუქანში მოგაკითხო, - ცხვირს აბზიკავდა ვალენტინა. - მე სახელმწიფო მოხელის შვილი ვარ და არა ვიღაც ვაჭრუკანა. ან ბანკში რა მესაქმება, როცა ანგარიშების არა მესმის რა. სჯობს თავი დამანებო მაგ შენი დუქნით და შენი ბანკით, - მერე მშვიდად დაუმატებდა: - აი, ხომ ხედავ, აუგუსტო! იქნებ მართლა ხარჯავ მთელ შემოსავალს, იქნებ ვალშიც ეფლობი... მაგრამ ასეც რომ იყოს, მაინც ძუნწი ხარ... ძუნწი ის კი არ არის, ვინც არაფერს ხარჯავს, ძუნწი ისაა, ვისაც ხარჯვა არ უყვარს და ყოველ ლირს მისტირის.

- საიდან მოიტანე, რომ ხარჯვა არ მიყვარს?

- ისეთი სახე გაქვს ხოლმე, ფულს რომ მაძლევ...

- მაინც როგორი?

- ძუნწის სახე. ცხვირ-პირი ჩამოგტირის.

იმ ხანებში ჩემი ცოლი ძალიან მიყვარდა: ჩაპუტკუნებული იყო, თეთრი, ქორფა, სანდომიანი. ვალენტინა მთელი ჩემი სურვილების მწვერვალად მიმაჩნდა, ფიქრადაც არ მომივიდოდა გამეკიცხა რისთვისმე, თუნდაც იმისთვის, რომ მთელ დღეებს უქმად

ატარებდა, ეწოდა ამერიკულ სიგარეტებს, კითხულობდა ჟურნალებს და ამხანაგებთან ერთად კინოში დადიოდა. ისე მიყვარდა ჩემი ცოლი, რომ ყველაფერში ვამართლებდი, რაც უნდა მომხდარიყო, ყოველთვის ჩემს თავს ვადანაშაულებდი. მაგრამ ძუნწი არ ვიყავი და ძალიან მწყინდა, ვალენტინა წუწურაქს რომ მეძახდა. ისე ხშირად მესმოდა ამგვარი სიტყვები, რომ ბოლოს დავიჯერე, ალბათ მართლა ასეთი ვარ-მეთქი და წინანდებურად აღარ ვაწყვეტინებდი საყვედურს ამ სიტყვებით:

- კარგია, გეყოფა. ძუნწი ვარ თუ არა, მე უკეთ ვიცი. შენ სულ არ გაინტერესებს რა ქონების პატრონი ვარ და რის ხარჯვა შემიძლია. ხომ გაგიგონია, ფეხი იქამდე გაჭიმე, სანამდისაც საბანი გაგწვდებაო.

ისე დამაშინა ძუნწის ძახილით, რომ საკმარისი იყო წამოეძახა „წუწურაქო“, მაშინვე ჯიბეზე გავიკრავდი ხელს და რაც გამაჩნდა, ჩავუჩხრიალებდი. ვალენტინა რაკი მიხვდა, რომ ეს ჩემი სუსტი მხარე იყო, საშველს აღარ მაძლევდა:

- აუგუსტო, რადიომიმღები მინდა. ჩვენ გარდა, ყველას აქვს რადიომიმღები.

- კი, ჩემო კარგო, მაგრამ ხომ იცი რა ძვირია რადიომიმღები.

- ოჰ, შე წუწურაქო, შენა. უარს მეუბნები ხომ? განა არ ვიცი რამდენი ფული გაქვს ბანკში.

- რა გაეწყობა, შენი ნებაა, ვიყიდოთ.

- აუგუსტო, დღეს ერთ მაღაზიაში ისეთი შესანიშნავი ფეხსაცმელი ვნახე, პირდაპირ თვალი ზედ დამრჩა... ხომ მომცემ ფულს?

- ახლახან არ გიყიდე ფეხსაცმელი?

- ის სანდალეტები იყო... ნუ ძუნწობ!

- კარგი, აი ფული.

ერთი სიტყვით, ვალენტინამ ფულის გამოსაცინცლავად უტყუარი ხერხი გამონახა და მუდამ სარგებლობდა ამით. ფულს უფრო იმიტომ არ ვუჭერდი, ადრე თუ გვიან მიხვდება, ძუნწი რომ

არა ვარ და ჩემს გულუხვობას დააფასებს-მეთქი, მაგრამ ეს თურმე ფუჭი ოცნება იყო, რაც მეტს ვხარჯავდი, ჩემი მეუღლე მით უფრო ძუნწად მთვლიდა. იქნებ მიხვდა, რომ მხოლოდ თავმოყვარეობის გამო არ ვერიდებოდი დიდ ხარჯებს, რომ გულით მწადდა ჩემზე შეხედულება შეეცვალა. მაგრამ არა, ის ჯიუტად იმეორებდა თავისას, ძუნწი ხარ, ძუნწიო. ან იქნებ სულელი იყო და ამიტომ იქცეოდა ასე. უთუოდ ეგონა, ეს ჩემი ქმარი დიდი სიმდიდრის პატრონია და განგებ წუწუნებსო.

თუმცა, ერთი მხრით, ვალენტინა მართალი იყო, როცა ამბობდა, ხარჯვა არ გიყვარსო. დიახ, უანგარიშოდ ფულის ფლანგვა არ მიყვარდა, რადგან კარგად ვიცოდი, რისი პატრონიც ვიყავი, და თუ ასე ხელგაშლილად ვიცხოვრებდი, მალე ერთი ლირიც აღად დამრჩებოდა.

ცოლი რომ შევირთე, იმ ხანებში ვაჭრობის საქმე კარგად მიმდიოდა, ბანკში თითქმის ერთი მილიონი ირიცხებოდა ჩემს სახელზე. ახლა კი, მიუხედავად ათასგვარი მეცადინეობისა, ბანკში ფულის შეტანა კი არა, დანაზოგსაც ვეღარ ვინარჩუნებდი. ერთი ჩემი მილიონი ლირი ჯერ ცხრაას ათას ლირზე ჩამოვიდა, მერე რვაას ათას ლირზე, შემდეგ შვიდას ათასზე, ბოლოს ექვსასი ათასი ლირი დამრჩა. აშკარა იყო, ჩვენ უფრო მეტს ვხარჯავდით, ვიდრე ვშოულობდი და, თუ ასე გავაგრძელებდით, ერთ წელიწადში გავკოტრდებოდი. ჩემს თავს სიტყვა მივეცი, რაც უნდა დამემართოს, ხუთას ათას ლირს ერთ სოლდსაც არ მოვაკლებ-მეთქი. გადავწყვიტე ეს

ამბავი ვალენტინასთვისაც მეთქვა. მართალი გითხრათ, შიშით ველოდი იმ წუთს, როცა ამაზე დავუწყებდი ლაპარაკს. დრო მიდიოდა, თანხა დღითიდღე ილეოდა. ექვსასი ათასი, ხუთას ორმოცდაათ ათას ლირზე ჩამოვიდა, ბოლოს ხუთას ოცდახუთი ათასი დამრჩა.

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, დილაადრიანად გამოვიტანე ბანკიდან ოცდახუთი ათასი ლირი და შინ მივედი.

- მოდი, ვალენტინა, ამ ფულს დახედე. ოცდახუთი ათასი ლირია, - ვუთხარი ჩემს მეუღლეს,

- ნეტა რაში მესაჭიროება მაგ ფულის დახედვა? საჩუქარი უნდა მიყიდო, თუ?

- არა, საჩუქრის მორთმევას არ ვაპირებ...

- მეც არ გამიკვირდა? ვინ შენა და საჩუქარი!

- მოიცა, შენ მაინც უნდა დახედო ამ ფულს, რადგან ეს არის უკანასკნელი, რაც ჩვენ გაგვაჩნია.

- არ მჯერა, არა.

- თუ არ გინდა, ნუ დაიჯერებ. ოღონდ ეს ასეა.

- ვითომ ბანკში ფული აღარა გაქვს?

- არა, ცოტაოდენი კიდევ დამრჩა, მეტად უმნიშვნელო თანხა, რომელიც ჩემი კომერციული საქმეებისთვის მჭირდება და თუ ჩვენ იმ ფულსაც დავხარჯავთ, იცოდე დუქნის დახურვა არ აგვცდება.

- აჰა, ხომ ხედავ, თურმე ბანკში კიდევ გაქვს ფული! აბა, ტყუილუბრალოდ რად მიშლი ნერვებს! თავი დამანებე... იცოდე, ნუ მიმიყვან იქამდე, რომ ისევ წუწურაქი დაგიძახო.

მინდოდა თავი მშვიდად დამეჭირა, მაგრამ ისევ წუწურაქი რომ დამიძახა გულზე ცეცხლი შემომენთო.

- რით ვერ გაიგე, რომ ჩვენ გაცილებით მეტს ვხარჯავთ, ვიდრე ვშოულობ... რატომ ერთხელ არ შემოხვალ დუქანში, რატომ არ გაინტერესებს ჩვენი დანაზოგი. ბანკში კლებულობს თუ მატულობს. არ უნდა იცოდე?

- თუ ღმერთი გწამს, თავი ნუ მომაბეზრე, რა გული გამიწყალე მაგ შენი დუქნით და ბანკით. რაც გინდა, ისა ჰქენი. თუ ასე გესიამოვნება წუწურაქობა, იწუწურაქე, ყოველ სოლდზე იკანკალე, მე კი თავი დამანებე.

- რეგვენო!

პირველად ვკადრე უხეში სიტყვა. იქნებ როდისმე გინახავთ, როგორ აფეთქდება ნავთი, როცა ანთებულ ასანთს ახლოს მიიტანთ? აი, ასე იფეთქა ჩვეულებრივ მშვიდმა, თითქმის ფლეგმატურმა ვალენტინამ.
დამიწყო ლანძღვა, მაგრამ რა ლანძღვა. რაც მეტს ყვიროდა მით უფრო მეტ უხამს სიტყვებს პოულობდა. ერთ საზარელ სიტყვას მეორე მოსდევდა, ერთიმეორეს ებმოდნენ და მოწყვეტილი ალუბლებივით ცვიოდნენ. ცხადი იყო, ვალენტინამ გადმოღვარა გულში დიდი ხნით დაგუბებული ღვარძლი. ის არ მეუბნებოდა ისეთ უბრალო სიტყვებს, როგორიცაა, მაგალითად: საზიზღარო, არამზადავ, უნამუსო, რომლებიც ღრმად არ შეურაცხყოფენ ადამიანს. არა, ვალენტინას ყოველი გესლიანი სიტყვა გულში ნემსივით მესობოდა. შეურაცხყოფა შეუნელებელ ნაკადად იღვრებოდა, ის ეხებოდა ჩემს ოჯახს, გარეგნობას, პროფესიას. ეს გინება კი არ იყო, ეს იყო ღვარძლიანი სიტყვების ნიაღვარი. თურმე სულ არ ვიცნობდი ჩემს ცოლს და, ამ ამბავს ძალიან რომ არ მოეკლა ჩემთვის გული, უთოდ გამიკვირდებოდა.

ბოლოს ვალენტინა დამშვიდდა, მე კი არ ვიცი, დამცირებით თუ უფრო დაღლილობით, იატაკზე დავეშვი, თავი ვალენტინას მუხლებში ჩავრგე და ბავშვივით ავტირდი. დიახ! ვქვითინებდი და პატიებას ვთხოვდი ჩემს ცოლს, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ყველაფერი გათავდა, რომ ვალენტინა აღარ მიყვარდა. ამის შეგნებამ უფრო გამამწარა და უწინდელზე მეტად ავქვითინდი.

გული რომ მოვიბრუნე, ხუთი ათასი ლირი ვაჩუქე ვალენტინას და შინიდან წავედი. ოცი ათასი ლირი კიდევ მქონდა, მაგრამ ცოლი აღარ მიყვარდა. ახლა უკვე მის ჯიბრზე, საკუთარი თავის გაღატაკების ფასად, უნდა დამემტკიცებინა, რომ ძუნწი არ ვიყავი, მაგრამ, ვიდრე ჩემს გადაწყვეტილებას სისრულეში მოვიყვანდი, რა საშინელი ტანჯვა გამოვიარე. უთუოდ ასეთ გრძნობას განიცდის ადამიანი, რომელიც ზღვაში გადასავარდნად ემზადება, როცა მის წინ აბობოქრებულ ტალღებს უყურებს და შიშის ზარი იტანს.

მალე სანაპიროზე ამოვყავი თავი, რიპეტას უბანში, კარგი დარი იდგა, მიდამოს თბილი სხივები ეალერსებოდა. უცებ ხიდის თავში მიწაზე მჯდომი მათხოვარი დავინახე, სახე მზისკენ მიეპყრო, ხელი კი მოწყალების მისაღებად გაეშვირა. მის თვალმოჭუტულ, კმაყოფილებით მომღიმარ სახეს რომ შევხედე, გავიფიქრე: „რისი მეშინია ასე, თუნდაც ამ მათხოვრის ბედი მეწიოს, უფრო ბედნიერი ვიქნები, ვიდრე დღესა ვარ!“. მერე ჯიბიდან ათასლირიანი

ქაღალდები ამოვიღე, დავჭმუჭნე და როცა მათხოვარს მივუახლოვდი, ქუდში ჩავუგდე. მაგრამ ის საწყალი ბრმა იყო და მადლობა არ გადამიხადა, ისევ უძრავად იჯდა მზისკენ პირმიპყრობილი და მათხოვრის ჩვეულ სიტყვებს იმეორებდა.

მდინარის ნაპირს ავყევი ზევით. ხედი გადავიარე და საათების მაღაზიაში შევედი.

ბევრი არ მიფიქრია, თვრამეტ ათას ლირად მაჯის საათი ვუყიდე ჩემს ცოლს, დარჩენილი ათას ლირით ტაქსი დავიქირავე და დუქანში წავედი.

შიში ჯერ მთლიანად არ გამქრობოდა, მაგრამ ცოტა შვება მაინც ვიგრძენი.

მთელი დღე მუშტარს ვისტუმრებდი, თან ვცდილობდი თავი ისე დამეჭირა, თითქოს არაფერი მაწუხებდა. ერთს ვეუბნებოდი, საქონელი გამითავდა-მეთქი, მეორეს ისეთ ფასს ვეტყოდი, რომ ცივად ტოვებდა დუქანს. ზოგს ვეუბნებოდი, ეს საქონლის ნიმუშია, საქონელი კი ჯერ არ მიმიღია-მეთქი, ორ მუშტარს, რომლებიც თვალში არ მომდიოდნენ, უხეშად ვუპასუხე. თან გულში ვიმეორებდი: „გამაგრდი, მხოლოდ პირველი ნაბიჯია ძნელი!“

იმ დღეს შინ დაბრუნება მეშინოდა. მეჩვენებოდა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მიყვარს ჩემი ცოლი. იმიტომ მეშინოდა, რომ ამ შემთხვევაში ისევ უნდა მებრძოლა ყოველი ლირისთვის,

წარამარა მომესმინა: „ძუნწო!.. წუწურაქო!“. ისევ ისეთ ტანჯვა-წამებაში უნდა ვყოფილიყავი, როგორშიაც ვიყავი უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. მაგრამ შინ რომ მივედი და ჩემი ცოლი დავინახე, ვიგრძენი სიყვარული მართლა გამქრალიყო. ვალენტინა ჩემთვის უკვე უბრალო ნივთი იყო. წარმოიდგინეთ, ისიც კი შევნიშნე, პუდრქვეშ როგორ უპრიალებდა ცხვირი.

- აი, ჩემო კარგო, ნახე, როგორი საჩუქარი მოგართვი? შენ ხომ დიდი ხანია გინდოდა მაჯის საათი.

ვალენტინამ ხელი გამომიწოდა, საათი გავუკეთე და მაგრა ვაკოცე. როგორც ეს მოყვარულ ქმარს შეეფერება. გულში კი გავიფიქრე: „დიახ, მე გკოცნი, მაგრამ ალბათ თვით იუდას კოცნაც არ იყო ამაზე ცბიერი!“ ვალენტინას უთუოდ სინდისი ქენჯნიდა, ისე ცუდად რომ მომექცა, ძალიან ნაზი და ალერსიანი იყო. მაგრამ უკვე გვიან გახლდათ. ამან გული ვეღარ ამიჩუყა, სიყვარულის სიმი გაწყდა, მას უკვე ვერაფერი გაამთელებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემი გეგმის განხორციელება დავიწყე. დღე ისე არ გავიდოდა, რაიმე საჩუქარი რომ არ მიმერთმია ვალენტინასთვის. ვაჭრობაზე სულ ხელი ავიღე, მუშტარს უარით ვისტუმრებდი, ჩემი დანაზოგი ბანკში დღითიდღე ილეოდა. ნახევარი მილიონი ლირი არცთუ ისე დიდი თანხაა და ორიოდ თვეში გაქრა. ვალენტინა ვერაფერს ხვდებოდა. ძველებურად

არხეინად ატარებდა დროს, კითხულობდა კომისკებს, ეწეოდა ამერიკულ სიგარეტებს, დადიოდა კინოში ამხანაგებთან ერთად. მხოლოდ დროდადრო, ახალ საჩუქარს რომ მიიღებდა. მეტყოდა:

- აჰა, ხომ ხედავ. მართალი ვიყავი თუ არა, როცა გეუბნებოდი, არა მჯერა, რომ ფული გამოგელია-მეთქი. ახლა უწინდელზე გაცილებით მეტსა ხარჯავ და თუ მე ჯერ კიდევ ვერ დაგიძახებ გულუხვს, სიძუნწეს მაინც ვერ გისაყვედურებ. უკვე შენით ხარჯავ ფულს, გამოთხოვა აღარ მჭირდება.

ამაზე არაფერი ვუპასუხე ცოლს, გუში კი გავიფიქრე: „ნუ ჩქარობ გამარჯვების ზეიმს, ჯერ ადრეა!“

და აი, ბოლოს დადგა დღე, როცა ბანკიდან უკანასკნელი ხუთი ათასი ლირი გამოვიტანე. თითქმის მთელი ფულით ამერიკული სიგარეტები ვიყიდე, სამასი ლირიღა დამრჩა ხელზე.

ჯერ ადრიანი დილა იყო, დუქანში წასვლის ნაცვლად შინ რომ დავბრუნდი. შევედი საწოლ ოთახში და როგორც ვიყავი ჩაცმულ-დახურული, ისე გავიშოტე გაუსწორებელ ლოგინზე. ვალენტინას ეძინა, გვერდი შეინაცვლა და თვალგაუხელად მკითხა:

- შინა ხარ? განა დღეს კვირაა? და ისევ დაიძინა. ვალენტინას გაღვიძების მოლოდინში, მთელი ერთი საათი სიგარას სიგარაზე ვწევდი. - მაშ დღეს უქმეა! - მკითხა ვალენტინამ, როცა გაიღვიძა.

- ჰო უქმეა.

ვალენტინა დინჯად იცვამდა, რამდენჯერმე გაოცებით გაიმეორა, მაშ დღეს უქმეაო. თითქოს გული რაღაცას უგრძნობდა.

ველოდი, როდის მომთხოვდა ცოლი სახარჯო ფულს. მიუხედავად მისი სიზარმაცისა, სანოვაგეს თვითონ ყიდულობდა. კერძის გაკეთებაში კი მომსვლელი მოახლე ეხმარებოდა.

ვალენტინა აბაზანაში შევიდა, ჩაცმა დაამთავრა, იქიდან სამზარეულოში გავიდა. ყავა რომ აედუღებია და მოახლესთან ერთად ელაყბა. მეც შევედი სამზარეულოში. მდუმარედ დავლიეთ ყავა, როგორც ჩანდა, უქმეზე ფიქრი თავიდან არ შორდებოდა, ისევ მკითხა:

- ერთი მითხარი, რა უქმეა დღეს? ლუჩიამ თქვა, არავითარი უქმე არ არის, ყველა მაღაზია ღიააო.

- დღეს ჩემი უქმეა, - ვუპასუხე, საწოლ ოთახში შევედი და ისევ ლოგინზე გავიშოტე.

ვალენტინა მოახლეს ელაპარაკებოდა, ერთ ხანს კიდევ დარჩა სამზარეულოში. უთუოდ უნდოდა ჩემთვის ეგრძნობინებია, შენს უცნაურ საქციელს ყურადღებას არ ვაქცევო. ბოლოს კარის ზღურბლზე გამოჩნდა, დოინჯი შემოიყარა და მითხრა:

- თუ არ გინდა მუშაობა, ნუ იმუშავებ. შენი ნებაა, რამდენიც გინდა, იმდენხანს ეგდე მაგ ლოგინზე... მაგრამ, თუ ჭამა გნებავს სახარჯო ფული უნდა მომცე. მე ზევით ავაბოლე და ვუთხარი:

- ფული? ფული აღარა მაქვს.

- როგორ თუ აღარა გაქვს?

- აი, ასე. აღარა მაქვს.

- არ ვიცი რას აპირებ, რა ახირებული კაცი ხარ. ფულს თუ არ მომცემ, სანოვაგეს ვერ ვიყიდე. თუ სანოვაგე არ ვიყიდე, საჭმელი არ გვექნება.

- მეც ასე ვფიქრობ, რომ საჭმელი არ გვექნება.

- იცი რას გეტყვი, შენთან ლაქლაქში დროის დაკარგვას არ ვაპირებ. ფული მაგიდაზე დადე, - თქვა და სამზარეულოში გავიდა. მე ისევ გავაბოლე სიგარა. როცა ვალენტინა საწოლ ოთახში შემობრუნდა, ვუთხარი:

- ვალენტინა, სრულიად სერიოზულად გეუბნები, ფული აღარა მაქვს. მხოლოდ სამასი ლირი დამრჩა... სულ ეს არის ჩვენი ქონება.

- ბანკში ხომ გაქვს... სიხარბე მოგერია ისევ, არა?

- არა, სიხარბე არაფერ შუაშია. უბრალოდ ული სულ გამითავდა. აჰა, შენი თვალით ნახე, თუ არა გჯერა.

ბანკის წიგნაკი ამოვიღე და ვუჩვენე. ამჯერად ვალენტინას აღარ უთქვამს, ანგარიშის არაფერი გამეგებაო.

როცა დარწმუნდა, რომ სერიოზულად ველაპარაკებოდი, შიშით ფერი ეცვალა, წიგნაკში ჩაიხედა და უღონოდ დაეშვა სკამზე.

- შენ ძუნწი გეგონე, ვალენტინა, და რაც მეტს ვხარჯავდი, მით უფრო ძუნწი ვხდებოდი შენს თვალში. ამიტომ მე განგებ დავიწყე ფლანგვა და სულ გავანიავე ჩემი დანაზოგი. ვაჭრობაზე გული ამიცრუვდა. ახლა ყველაფერი გათავებულია... როგორც ხედავ, ერთი ლირიც აღარა გვაქვს, ლუკმა-პურის ფულიც არ მოგვეპოვება. სამაგიეროდ შენ წუწურაქს ვეღარ დამიძახებ.

ვალენტინას ტირილი წასკდა. მგონია მიხვდა, რომ აღას მიყვარდა და უფრო ამან გაამწარა.

- აუგუსტო, შენ არასოდეს გიყვარდი, - მითხრა მან, - ახლა კი ჩემი რჩენაც აღარ გინდა.

- რას იზამ, - ვუპასუხე მე, - ფული აღარა მაქვს.

- მე ვერ დავრჩები შენთან... დედაჩემთან წავალ.

- გზა მშვიდობისა.

ვალენტინა მეორე ოთახში გავიდა. მერე კი საერთოდ გაქრა ჩემი ცხოვრებიდან. იმ დღის შემდეგ თვალით აღარ მინახავს.

ცოტა ხნის შემდეგ ავდექი და შინიდან გავედი. მზიანი დღე იდგა. ერთი ფუნთუშა ვიყიდე და ჭამით გავყევი სანაპიროს. მდინარის დენას რომ ვუყურებდი, უცებ ვიგრძენი, რომ ბედნიერი კაცი ვარ, რომ ვალენტინასთან გატარებული ორი წელი რაღაც უმნიშვნელო ეპიზოდი იყო ჩემს ცხოვრებაში. გაივლის ხანი და უთუოდ ამ ორ წელს ისე გავიხსენებ, თითქოს ორი მოკლე დღე იყო.

აუჩქარებლად გავათავე ჩემი ფუნთუშა, პატარა შადრევნიდან წყალი დავლიე, მერე ძმასთან წავედი და ვთხოვე ცოტა ხნით შემიკედლე, ვიდრე რამე სამუშაოს ვიშოვიმეთქი. რამდენიმე კვირის შემდეგ უბრალოდ ელექტრომონტიორად მოვეწყვე.

ვალენტინას, როგორც უკვე მოგახსენეთ, მას შემდეგ აღარ შევხვედრილვარ და იცით, რა ხმებს მივრცელებს? საშინელი მფლანგველი იყო, ვერ იქნა, ჭკუა ვერ ვასწავლე და ამიტომ მივატოვეო.

ძალად ხულიგანი

დანა უნებურად ჩავკარი, უცებ. ჯინო გამისხლტა, მე კი შიშით დაფეთებულმა შინისკენ მოვკურცხლე. მაგრამ გაქცევამ ვერ მიშველა, სწორედ შინ დამაპატიმრეს. რამდენიმე თვის შემდეგ, ციხიდან რომ გამოვედი, შევნიშნე, ყველა აღტაცებით მიყურებდა, ამაში აშკარად დავრწმუნდი, როცა ლუდხანაში შევედი, სან-ფრანცისკო ა რიპაზე, სადაც ტიბრელი მენავენი იკრიბებიან. წინათ ყურადღებას არავინ მაქცევდა, ახლა კი მენავე ბიჭები პირდაპირ ფეხქვეშ გამეგნენ, მომელაქუცნენ, ჩემთან დამეგობრება უნდოდათ, სუფრაზე მიმიწვიეს, ღვინო დამალევინეს და მთხოვეს, დაწვრილებით მოგვიყევი შენი ამბავი, ჯინოს აპატიე, თუ ისევ გაჯავრებული ხარო. ბოლოს და ბოლოს, მეც გავყოყოჩდი და დავიჯერე, ვითომც ისეთი თავზე ხელაღებული ვინმე ვიყავი, რომ ჩემი შიშით ძირს ჭიანჭველა ვერ გაიჭაჭანებდა და მაღლა ფრინველი. და როცა ჩემმა ახალმა მეგობრებმა მიჩურჩულეს, ვიდრე შენ ციხეში იჯექი, სერაფინო სესტილიას ეკურკურებოდაო, შევნიშნე, რომ ყველა ისე შემომცქეროდა, თითქოს მეკითხებოდნენ: აბა, ახლა რას იზამო. მე ცოტა დავფიქრდი და მერე წამოვაყრანტალე:

- ასეა, თაგვების აღდგომა მაშინაა, როცა კატა შინ არ არის. მაგრამ, არა უშავს რა, ახლა მე ვიცი და მაგან. მოგეცათ ლხენა, მალე დავამყარო წესრიგი.

ვთქვი ესა და მაშინღა მივხვდი, რომ ისეთი რამ ვიკისრე, რისი წელიც არა მქონდა. რისი წელიც არა მქონდა-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ სერაფინო თითქმის ორი ჩემხელაა. მართალია, დიდი ვაჟკაცი არა მყავს, ერთი დონდლო ბიჭია, ბამბით გატენილ ტომარასა ჰგავს, თეძოგანიერი და მხრებდაშვებული, ერთ ბუსუსს ვერ უნახავთ სახეზე. ქოსაა, დედაკაცივით პირმოტიტვლებული, მაგრამ მაინც წარმოსადეგია და, ცოტა არ იყოს, მეშინია მისი. ამასთან, სესტილიაზეც მზე და მთვარე არ ამომდიოდა, ყოველ შემთხვევაში, მისი გულისათვის არ მეპიტნავებოდა ციხეში ჯდომა. მართალია, მომწონდა სესტილია, მაგრამ ჭკუას არ ვკარგავდი მისთვის და, თუ
მართალი გინდათ, ადვილადაც დავუთმობდი სერაფინოს, დიდად არც კი დამწყდებოდა გული. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ჩემს ახალ მეგობრებს თავზე ხელაღებული ხულიგანი ვეგონე და მათი იმედის გაცრუება არ მინდოდა. ამიტომაც დავიტრაბახე, წესრიგს დავამყარებ-მეთქი. ეს იყო და ეს.

ბიჭებმა მაშინვე დახმარება აღმითქვეს. მალე გეგმაც შევადგინეთ, როდის, ან რა უნდა გვექნა. უნდა მოგახსენოთ, რომ სერაფინოს საცოლე ჰყავდა, ჯულია, რომელიც

სამრეცხაოში მეუთოვედ მუშაობდა და მათ კარგა ხანია გადაწყვეტილი ჰქონდათ ჯვრისწერა.

ჩვენ მოვითათბირეთ და ასეთი გეგმა შევადგინეთ: სან-პანკრაციოს ჭიშკართან უნდა შევკრებილიყავით ოსტერიაში, სერაფინო, ჯულია და სესტილიაც მოგვეწვია და ჩემი ციხიდან

განთავისუფლება აღგვენიშნა. იქ მე მოხერხებულ წუთს შევარჩევდი, დანით დავეცემოდი სერაფინოს და ვუბრძანებდი, სესტილიას დაეხსენ და საჩქაროდ შეირთე ჯულია-მეთქი. ვგონებ ეს ყველაფერი ჯულიას ძმის მოწყობილი იყო, რადგან ყველაზე მეტს ცხარობდა. სხვებსაც მეტ-ნაკლებად სჭირდათ სერაფინოს ჯავრი. როგორც მითხრეს, ვითომ ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩემიციხეში ჩაჯდომისას სერაფინო დედლურად მოიქცა.

ასეთი რამ ექვსი თვის წინათ რომ ეთქვათ ჩემთვის, შორს დავიჭერდი: ხომ არ გადაირიეთ... როგორ უნდა დავაშინო, ან რატომ, რისთვის? სესტილიასათვის?.. მაგრამ ახლა სულ სხვა კაცი ვიყავ, თავზეხელაღებული ხულიგანი და უკან დახევა აღარ შემეძლო. მეც გავიფხორე, გავიჯგიმე და წამოვიძახე:

- დარდი ნუ გაქვთ, მე ვიცი, რასაც ვიზამ!

ეს ისე მტკიცედ გამოვაცხადე, რომ ერთმა ყმაწვილმა დამარიგა კიდეც:

- იცოდე, ძაან არ შეტოპო, მარტო დააშინე... ემანდ ღმერთი არ გაგიწყრეს და არ დაკლა ის კაცი.

- შენ არხეინად იყავ!...

დანიშნულ საღამოს, როგორც ეს გადაწყვეტილი გვქონდა, ყველანი შევიკრიბეთ: ჯულია, სესტილია, სერაფინო, მაურიციო - მეტსახელად „ძიას“ რომ ეძახიან. ჯულიას ძმა ფერედიკო, ძმები პომპეები, ტერიბილი, რომელმაც აკორდეონი მოიტანა და გავწიეთ სან-პანკრაციოს ჭიშკრისაკენ. ტირბელ მენავეთა და ჩემ გარდა, ჯულიამ და სესტილიამაც იცოდნენ ჩვენი გეგმა, რადგან წინასწარ გააფრთხილეს. ვგონებ სერაფინოც მიხვდა რაღაცას, შეეჭვებული ჩანდა, ფეხს ითრევდა, მთელი გზა კრინტი არ დაუძრავს.

მე და სესტილია ერთმანეთს თვალს ვარიდებდით, ისე ცივად გვეჭირა თავი, თითქოს უცხონი ვიყავით ერთმანეთისათვის, მაგრამ იმედით ფრთაშესხმული ჯულია კი სერაფინოს ეკვროდა, განუწყვეტლივ ჭიხვინებდა ცხენივით და ღრძილებს აჩენდა.

სხვებიც ყბედობდნენ, ოხუნჯობდნენ, ძალდატანება მაინც ეტყობოდათ, რადგან ჰაერში ავდრის სუნი ტრიალებდა. მე კი შიშით ჩემი მემართებოდა. დროდადრო სესტილიას გავხედავდი, იქნებ ეჭვმა იფეთქოს და მხნეობა შემმატოს-მეთქი. განა სესტილია დასაწუნი გოგო იყო? არა, კოხტა ტანი ჰქონდა, შავი კულულები, დიდრონი შავი თვალები და თხელი ტუჩები. მომწონდა, როგორ არ მომწონდა, მაგრამ მისი გულისათვის ციხეში ჩაჯდომა, როგორც უკვე მოგახსენეთ, არაფრად მეჭაშნიკებოდა. ის კი არა და, მზად ვიყავი დამეყვირა: „აჰა, სერაფინო, თუ გინდა წაიყვანე სესტილია“.

მაგრამ ამას უწინდელი ლუიჯი ამბობდა. ახალ ლუიჯის კი დანა უნდა აეღო და შური ეძია.

ოსტერია ვია აურელიოს დასაწყისში იყო, სწორედ კედლის პირდაპირ. შევედით ოსტერიაში, მაგიდას შემოვუსხედით და ღვინო მოვითხოვეთ. ლუდხანელი ბიჭები მალე შეჭიკჭიკდნენ, დაიწყეს ლაყბობა, ოხუნჯობა, ერთმანეთს კრენდელებს ესროდნენ, მღეროდნენ. ტერიბილიმ აკორდეონი დაუკრა და რადგან ქალიშვილებმა ცეკვაზე უარი თქვეს, ბიჭები დაწყვილდნენ და სამბოს ცეკვა გააჩაღეს. მე კი აბა რა მემხიარულებოდა, შიშით გული მისკდებოდა კაცს. უნდა აგიწეროთ, როგორ ცეკვავდნენ ბიჭები. ერთი მანდილოსანს ასახიერებდა, მეორე კავალერს. მანდილოსანი თეძოებს არხევდა, იპრანჭებოდა, კავალერი წელზე ხელს შემოსალტავდა, ზევით ასწევდა, ჰაერში დაატრიალებდა და მერე ძირს დაანარცხებდა. ჩემსა და სერაფინოს გარდა, ყველა სიცილით იჭაჭებოდა. ჩვენ კი სიცილის გუნებაზე არ ვიყავით.

სერაფინოს დასცხა, პიჯაკი გაიხადა, მოკლე სახელოებიანი თეთრი პერანგი ეცვა. მისი შავი, ქალივით ჩაფუნთუშებული, ვეება ხელები რომ დავინახე, გავიფიქრე, ამ მუშტის ერთი შემოკვრა საკმარისია, რომ ძირს გავიშხლართო-მეთქი, შიშით კოვზი ამეწვა და, ბრაზმორეულმა, სესტილიას ვუჩურჩულე: - დამაცა, შე კუდიანო, შენთვისაც მოვიცლი! სესტილიამ ხმა არ გამცა, მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

დრო მიდიოდა, ბიჭები მანიშნებდნენ, ნუღარ აყოვნებო. თითქოს ადვილი საქმე იყო! სერაფინო ისე უნდა დამეშინებინა, რომ სამუდამოდ დახსომებოდა. დიახ, სათქმელად ადვილია. ვინც ხშირად ხედავს კინოში, როგორ აგდებენ ნოკაუტში მსახიობები ერთმანეთს, როგორ ესვრიან რევოლვერს და ამით არაფერი უშავდება, ალბათ ფიქრობენ, კაცის დაშინებაც ასევე ადვილიაო. სამწუხაროდ, ეს ასე არ გახლავთ. თუ გინდა კაცი დააშინო, ისე უნდა მოიქცე, რომ დაიჯეროს, თითქოს მართლა მოკვლას უპირებ, მაგრამ როცა ამას განგებ სჩადი, მაშინ ძნელია, საბედნიეროდ, ჩემი და ჯინოს ჩხუბის ამბავი ყველამ იცოდა, მაგრამ ის ხომ შემთხვევით მომივიდა, ახლა კი სრული შეგნებით ვემზადებოდი ამ საქმისთვის.

სესტილიას თვალს ვადევნებდი, იქნებ ისეთი რამე შევნიშნო, რომ გავხელდე-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე. ის განაწყენებული იჯდა მდუმარედ და სერაფინოსკენ ერთხელაც არ გაუხედავს. ჯულია პირიქით, ყელზე ეკიდებოდა სერაფინოს, განუწყვეტლად კისკისებდა და ღრძილებს აჩენდა.

ბოლოს, აკორდეონის ხმა რომ შეწყდა, აღარ დავაყოვნე, ალბათ იმიტომ, რომ მანამდე ბევრი ვიფიქრე ამაზე, მაგიდაზე გადავიხარე და სერაფინოს ვუთხარი:

- ამიხსენი, სერაფინო, რა ამბავია? მგონი, ჩემი განთავისუფლების საზეიმოდ მოგვიწვიეს აქ, შენ კი არც სვამ, არც ჭამ. კრინტსაც არ ძრავ. იქნებ გწყინს, ციხიდან რომ გამომიშვეს, ა?

- რას ამბობ, ლუიჯი, - მიპასუხა სერაფინომ, - როგორ გეკადრება! ცოტა მუცლის გვრემა მაქვს და ამიტომ ვარ უგუნებოდ.

- არა, აშკარაა, შენ არ გიხარია ჩემი განთავისუფლება. ისიც ვიცი, რატომ ხარ უგუნებოდ. სანამ ციხეში ვიჯექი, შენ სესტილიას ეკურკურებოდი არა?

ხმა ავიმაღლე, გულში კი ვფიქრობდი: „ჯერ მხოლოდ ასაფრენად ვემზადები, ისე როგორც თვითმფრინავი ნელ-ნელა იღებს სიმაღლეს... მაგრამ თუ ვერ ავფრინდი, ვაი ჩემი ბრალი, ყველაფერი დაიღუპება“.

ბიჭები მიყუჩდნენ და კმაყოფილნი შემომყურებდნენ, როგორ ჯიქურ ვუტევდი სერაფინოს. სერაფინოს მოტვლეპილ სახეზე მკვდრის ფერი დაედო. მე კიდევ უფრო გადავიხარე მისკენ, პერანგის საყელოში ვწვდი და დავუღრიალე:

- დაეხსენ სესტილიას, გესმის?.. ხომ იცი, ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს!

სერაფინომ სესტილიას ისე გადახედა, თითქოსელოდა, რომ ის უარყოფდა ჩემს სიტყვებს. მაგრამ იმ კუდიანმაც კრინტიც არ დაძრა, მხოლოდ თვალები დახარა. ჯულია სახელოში ჩააფრინდა სერაფინოს და წამოიძახა:

- წამო, წავიდეთ აქედან, სერაფინო...

საბრალოს უნდოდა ხელსაყრელი მდგომარეობით ესარგებლა და წყალი თავის წისქვილისკენ მიეგდო.

სერაფინომ ჯერ რაღაც გაურკვეველი წაიბურტყუნა, მერე წამოდგა და ხმამაღლა გამოაცხადა:

- მე მივდივარ... არ შემიძლია შეურაცხყოფის ატანა.

- მეც მოვდივარ, სერაფინო! - სიხარულით შესძახა ჯულიამ და მკვირცხლად წამოხტა.

- აქ დარჩი, არ მჭირდები, - გააჩერა სერაფინომ ჯულია, პიჯაკი აიღო და კარისკენ გაემართა. ბიჭებმა გამომხედეს, ახლა რას იზამო. ჯულიას ძმამ თავი ვეღარ შეიკავა:

- მიდის, ლუიჯი... რაღას აყოვნებ?

ისევ ავწიე ხელი, თითქოს ვამბობდი: „არხეინად იყავით“. შევიცადე, სანამ სერაფინო ოსტერიიდან გავიდოდა და მერე მეც გავვარდი. დელე მურე აურელიას ბულვარზე წამოვეწიე.

ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ჩაბნელებულ ქუჩას მარტო სერაფინო მიჰყვებოდა, ზორზოხა, მაღალი. შიშმა ამიტანა, მაგრამ გული გავიმაგრე, ხელი ვტაცე და შევძახე:

- მოიცა, უნდა მოგელაპარაკო.

სერაფინოს ისეთი ფომფლო ხელი ჰქონდა, თითქოს არც ძვალი აქვს, არც კუნთიო. ცოტა კი გამიძალიანდა, მაგრამ მაინც შევათრიე კედლის ბნელ ნიშში. ვაი, დედილო, მიშველე! შიშით სული წამივიდა, მაგრამ მაინც მივეძალე, კედელს მივაკარი, დანა აღვმართე და შევძახე: - დაგკლავ, შე ღორიშვილო!

იმ წუთში სერაფინოს ხელი რომ ეტაცა ჩემთვის, დანას გამაგდებინებდა, რადგან გულში მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, თუ წინააღმდეგობა გამიწია, სისულელეს არ ჩავიდენ და დავნებდები-მეთქი. მაგრამ რის წინააღმდეგობა გამიწია, რა წინააღმდეგობა! ის მხდალი უმალვე ჩაიკეცა: - ვაი, დედილო... - ალუღლუღდა იდიოტივით.

სწორედ ეს სიტყვები გაიმეორა, რომლითაც ის იყო თავის გამხნევება ვცადე. რაკიღა დავრწმუნდი, სერაფინოს ვძლიე-მეთქი, გავთამამდი.

- ხომ იცი, რა ვუყავი ჯინოს? - ვთქვი მუქარით და დანა ძირს დავუშვი.

- ვიცი.

- ალბათ ისიც მოგეხსენება, რომ არც შენ დაგაყენებ კარგ დღეს.

- ვიცი.

- მაშ, დაეხსენ სესტილიას.

- ღმერთი, რჯული, მე სესტილიასთან არაფერი ანგარიშები არა მაქვს, - მიპასუხა ცოტა გამხნევებულმა სერაფინომ.

- გარდა ამისა, რაც შეიძლება ჩქარა დაიწერე ჯვარი ჯულიაზე, გესმის - დავემუქრე და ისევ მოვუქნიე დანა.

- მესმის!.. ლუიჯი, - მიპასუხა აცახცახებულმა სერაფინომ, - რასაც მეტყვი, იმას ვიზამ, ოღონდ გამიშვი.

- გახსოვდეს, თუ ჯულია არ შეგირთავს, მოგკლავ. არ გაგახარებ. დღეს იქნება თუ ხვალ, მაინც მოგიღებ ბოლოს.

- აკი გითხარი, შევირთავ-მეთქი.

- ახლა კი დაუძახე ჯულიას!

- ჯულია, ჯულია! - დაიყვირა სერაფინომ. საბრალო ჯულია სირბილით მოვარდა.

- სერაფინოს შენთან საქმე აქვს, უნდა მოგელაპარაკოს. აბა, წადით... მე კი ოსტერიაში დავბრუნდები.

თვალი გავაყოლე ერთად მიმავალ სერაფინოსა და ჯულიას. მერე ოსტერიაში შევედი.

ოფლი ხვირთქად ჩამომდიოდა, ფეხზე ძლივს ვიდექი. ისეთივე დღეში ვიყავი, როგორც სერაფინო, როცა დანა მოვუქნიე. მაგრამ ოსტერიაში ფეხი შევდგი თუ არა, ბიჭები ტაშის ღრიალით შემხვდნენ.

- გაუმარჯოს ჩემპიონს! ტერებილიმ კვლავ დაუკრა აკორდეონი. ისევ

ალაზღანდარდნენ ბიჭები.

- მოდი, ვიცეკვოთ, ლუიჯი, - მიჩურჩულა სესტილიამ. - მართლა დაიჯერე, რომ აღარ მიყვარხარ?

გავიყვანე სესტილია საცეკვაოდ, ფართო წრე გავაკეთე, ბნელ კუთხეში ვაკოცე და ასე შევრიგდით.

დარწმუნებული ვიყავი, რომ სერაფინოს წინა ღამის შიში მეორე დღეს აღარ ეხსომებოდა. მაგრამ მეორე დღეს ლუდხანაში რომ შევედი, ჩემს დანახვაზე ელდა ეცა. მაშინვე ღვინოზე დამპატიჟა.

- მოდი, შევრიგდეთ, ლუიჯი! - მითხრა, თან ჯულიას და თავის ამბავს მოჰყვა, გადაკრულად მაგრძნობინა, მალე ჯვარს დავიწერთო. ჩემს ყურებს არ ვუჯერებდი, სერაფინო ჩემი შიშით ქალს ირთავს! მინდოდა მეთქვა მისთვის: „ გონს მოდი, ნუთუ ვერა ხედავ, რომ დევკაცი არც მე ვარ!“, მაგრამ ამას როგორ ვიკადრებდი. მე ხომ ისეთი თავზე ხელაღებული ხულიგანი ვიყავი, ჯიბეშიდანით რომ დადის და ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად. სხვებივით სერაფინოსაც სჯეროდა, რომ მართლა ასეთი ვარ.

დიდხანს არ გაუვლია ამ ამბის მერე, რომ ერთ მშვენიერ დღეს სერაფინომ და ჯულიამ ქორწილში დამპატიჟეს. ჯულიას ძმამ მადლობა გადამიხადა. ეს საქმე შენი მოგვარებულიაო. მაგრამ მალე ჩემი ჯერიც დადგა. მთელი ეს ამბავი სესტილიას გამო ავტეხე, ახლა ხომ ყველასთვის უნდა დამემტკიცებინა, რომ სესტილია მართლა მიყვარდა. მე კი სულაც არ მინდოდა მისი ცოლად შერთვა, თუნდაც იმიტომ რომ ჩემი ციხეში ყოფნისას სერაფინოს ეკეკლუცებოდა. მეტი რა ჩარა იყო, მეც გადავიხადე ქორწილი. ერთხელ სერაფინო და ჯულია გვეწვივნენ. ჯულია უკვე ბავშვს ელოდა. სერაფინო გადამეხვია და მითხრა:

- ყოჩაღ, ლუიჯი!

„როგორ არა, ყოჩაღ“, - გავიფიქრე. მაგრამ დანა კი, ნურას

უკაცრავად, ჯიბით აღარ დამაქვს.

სამკაულები

საკმარისია ყმაწვილკაცების წრეში ქალი ჩაეჩხიროს და მშვიდობით, მეგობრობავ. ძნელად იპოვნით ისეთ შეხმატკბილებულ ამფსონებს, მე რომ მყავდა. დღენიადაგ ერთად ვიყავით, სულში ვიძვრენდით ერთმანეთს. ფული არც ერთს არ გვაკლდა, წელი ყველას მოგვდევდა და დროს ჩვენს გემოზე ვატარებდით. ტორეს გარაჟი ჰქონდა, ძმები მოდესტები ყასბების შუამავლები იყვნენ, პიპო მორგანტი ძეხვით ვაჭრობდა, რინალდო ლუდით, მე კი ფისს და ფისის პროდუქტებს ვაჭრობდი. მართალია, ოცდაათ წელს ჯერ არ გადავცილებოდით, მაგრამ ოთხმოც კილოზე ნაკლები ერთიც არ ვიყავით, რადგან, ღვთის მადლით, მადა არავის გვაკლდა. დღე ვმუშაობდით, საღამოობით კი დროს ვატარებდით. რვა საათზე შევიყრებოდით ხოლმე ვიქტორ-ემანუელის პროსპექტზე, რინალდოს ლუდხანაში, იქიდან ახალი ეკლესიის მახლობლად ბაღში მივდიოდით. რასაკვირველია, კვირა დღეს ერთად ვატარებდით. ხან სტადიონზე მივდიოდით ფეხბურთის საყურებლად, ხან კასტელში ვსეირნობდით. ზაფხულობით კი ოსტიას ან ლადისპოლს ვეწვეოდით.

ექვსნი ვიყავით, ერთმანეთისთვის არაფერი გვშურდა, თუ ერთ ჩვენგანს რისამე ჟინი შეიპყრობდა, ეს ჟინი უმალ სხვებსაც გადაგვედებოდა. ძვირფასმა სამკაულებმა ჯერ ტორე

გაიტაცეს. ერთ მშვენიერ დღეს ტრატორიაში მოვიდა, მაჯაზე ოქროს საათი ეკეთა, ოქროს კარგი სამაჯურით. მართლა რომ საუცხოო სამაჯური ჰქონდა მის საათს, მჭიდროდ დაწნული, ბრტყელი. ვინ გაჩუქა ეს საუცხოო საათიო, ვკითხეთ მეგობარს.

- ვინ და იტალიის ბანკის დირექტორმა, - გვიპასუხა ტორემ.

ამით ტორეს უნდოდა ეთქვა, საათი საკუთარი ფულით ვიყიდეო. შევხსენით საათი და გავსინჯეთ. ნამდვილად კარგი საათი იყო, მძიმე, ორი ხუფი და წამის ისარი ჰქონდა. სამაჯური ხომ ავ თვალს არ ენახებოდა. გაკვირვებული ვუყურებდით საათს.

- ვაჰ, რა კარგია. ეს ხომ ვალუტაა! - წამოიძახა ვიღაცამ.

- აბა, რას ამბობ, რა ვალუტა, რის ვალუტა... მაჯის საათი მინდოდა და ვიყიდე... ესაა და ეს, - მიუგო ტორემ.

მეორე დღეს, ჩვეულებისამებრ რომ შევიკრიბეთ რინალდოს ლუდხანაში, მორგანტიც უკვე მაჯის საათით მოგვევლინა, ოღონდ მისი სამაჯური ტორეს სამაჯურთან ვერ მოვიდოდა. მორგანტის შემდეგ ძმები მოდესტების ჯერი დადგა. იმათ უფრო დიდი საათები იყიდეს,

სამაჯური კი არც ერთს არ ჰქონდა ისეთი, როგორიც ტორეს საათს. მე და რინალდოს ყველაზე მეტად მაინც ტორეს საათი მოგვივიდა თვალში, გამოვკითხეთ, სად იყიდეო, ერთად წავედით კორსოზე და ზუსტად ისეთი საათები ვიყიდეთ.

მაისი იდგა. საღამოობით ხშირად ავდიოდით მონტე მარიოზე და ოსტერიაში ვილხენდით. ვსვამდით, ახალ ცერცვსა და ცხვრის ყველს შევექცეოდით, ვმხიარულობდით. ერთ საღამოს სუფრას ვუსხედით, ტორემ ცერცვის ასაღებად ხელი

რომ გაიწვდინა, დავინახეთ, თითზე ოქროს ბეჭედი ეკეთა, ბრილიანტის პატარა, მაგრამ ლამაზი თვალით.

- ვაჰ, ეშმაკმა დალახვროს! - ერთხმად შევძახეთ.

- ოღონდ ამჯერად ნუ მომბაძავთ, თქვე დანახვის ხატებო. ეს ბეჭედი იმიტომ ვიყიდე, რომ თქვენგან რითმე განვსხვავდებოდე, - გვითხრა ტორემ.

მერე ბეჭედი წაიძრო და გვიჩვენა. ძალიან ლამაზი თვალი ჰქონდა, წმინდა წყლის უზადო ბრილიანტი იყო. მაგრამ ის ბეჭედი ტორეს მსუქან და კოტიტა თითს ისევე არ უხდებოდა, როგორც ძროხას უნაგირი. საერთოდ ძალიან შეუხედავი ყმაწვილია ტორე, დონდლო, პირბრტყელი, ღორის თვალები აქვს, ყბები ჟელესავით უთანთანლებს, პირი ღია საფულეს

უგავს. ცხვირი? ცხვირს ნუღარ იკითხავთ, თითქოს კარაქისგან შეუთითხნიათო. ჩვენ ანგარიში გავუწიეთ თხოვნას, მართალია, თითო კარგი ბეჭედი ყველამ შევიძინეთ, მაგრამ ბრილიანტისთვლიანი არავის უყიდია. ძმებმა მოდესტებმა ბაჯაღლო ოქროს ბეჭდები შეუკვეთეს, ძვირფასი თვლებით. ერთს მწვანე თვალი ჰქონდა, მეორეს ლურჯი. რინალდომ ანტიკური ყაიდის ბეჭედი იყიდა, მოჩუქურთმებულ ბუდეში ყავისფერი კამეა იჯდა და ზედ შიშველი ქალი იყო გამოსახული. მორგანრი სულ იმის ცდაში იყო, სხვებისგან რამით გამორჩეულიყო, ამიტომ შავი ქვით გაწყობილი პლატინის ბეჭედი შეუკვეთა. მე კი, როგორც უბრალოდ კაცს შეეფერება, უბრალოდ ბეჭდით დავკმაყოფილდი. ოთხკუთხედ ჩარჩოში ჩამჯდარ ბრტყელ ყვითელ ქვაზე ჩემი ინიციალები ამოვაკვეთინე, ეს ბეჭედი კონვერტებზე ლუქის დასაბეჭდადაც გამომადგება-მეთქი. ბეჭდების შემდეგ პორტსიგარების ჯერი დადგა. რასაკვირველია, წამომწყები ისევ ტორე იყო. ერთ მშვენიერ დღეს ცხვირწინ შეგვიტრიალა გრძელი და ბრტყელი პორტსიგარი, რა თქმა უნდა, ოქროსი. ყველამ მის მაგალითს მივბაძეთ და პორტსიგარები ვიყიდეთ. შემდეგ სულ იმის ფიქრში ვიყავით, ვის რა შეგვეძინა. ვინ სამაჯური იყიდა, ვინ ჯვარი, ვინ ძეწკვი, ვინ კიდევ მედალიონი მადონას გამოსახულებით, ავტოკალამი, სანთია და ვინ ჩამოთვლის, კიდევ რა. ტორე ყველაზე პატივმოყვარე იყო ჩვენში, ამიტომ ერთი ბეჭდით არ დაკმაყოფილდა, კიდევ სამი ბეჭედი იყიდა, სულ ერთიმეორეზე უკეთესები და ყველა თითზე აისხა. ისედაც ქალს ჰგავდა, ახლა მთლად დედაკაცს დაემსგავსა, განსაკუთრებით მაშინ, პიჯაკს რომ გაიხდიდა და მოკლესახელოებიანი პერანგი ეცვა.

ასე და ამგვარად, ყოველ ჩვენგანს უკვე ბლომად დაუგროვდა სამკაული და რატომღაც სწორედ მას შემდეგ, რაც ოქროულობის შეძენას მივყავით ხელი, ჩვენი მეგობრობა როგორღაც გაიბზარა. მართალია, ჯერ ისეთი არაფერი მომხდარიყო, მხოლოდ ერთმანეთის დაცინვას და ენამწარობას მოვუხშირეთ, ან სრულიად უსაბაბოდ, ცივად ვუპასუხებდით ერთმანეთს. მაგრამ, ერთ საღამოს, რინალდო ტრატორიაში ქალიშვილთან ერთად რომ მოვიდა, აი, იმ დღიდან დაიწყო ყველაფერი.

ეს ქალიშვილი რინალდოს მოეწყო თავისსავე ლუდხანაში მოლარედ. სულ ბავშვი იყო, ოცი წლისაც არ იქნებოდა, ტანი კი ისე დასრულებული ჰქონდა, როგორც ოცდაათი წლის ქალს. ლამაი იყო ლუკრეცია, თოვლივით თეთრი პირისახე, დიდრონი შავი თვალები, შავი თმა და მარწყვივით წითელი ტუჩები ჰქონდა. ერთი

შეხედვით ქანდაკებას მოგაგონებდათ. იქნებ ეს მსგავსება უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ ლუკრეცია მეტისმეტად დინჯი და თავშეკავებული იყო, თითქმის კრინტს არ სძრავდა. რინალდომ გვითხრა, გაზეთში განცხადება მივეცი, რომ ჩემი ლუდხანისთვის მოლარე მჭირდებოდა, და აი, ლუკრეცია მოვიდა, მის შესახებ არა ვიცი რა, სადაურია, ვინ არის, აქვს თუ არა ოჯახი, ან ვისთან ცხოვრობსო. ასეთი ტურფა სწორედ მისწრება იყო რინალდოს ლუდხანისთვის, რადგან თავისი მოხდენილობით მუშტარს მიიზიდავდა, თავდაჭერილობა და სიდინჯე კი ხელს უწყობდა მუშაობაში. უშნო ქალი მუშტარს ვერ მიიზიდავს, ლამაზი და ქარაფშუტა კი ვერსად ხეირიანად ვერ იმუშავებს, აურდაურევს საქმეს.

ეს ყველა კარგი, მაგრამ იმ ღამეს ლუკრეციასთან თავს როგორღაც შებოჭილად ვგრძნობდით, გაბღენძილები ვისხედით, ვეღარ ვოხუნჯობდით, ყოველ სიტყვას ვუკვირდებოდით და კერძს დინჯად შევექცეოდით.

ტორემ, აქაოდა მეტად ზრდილი კაცი ვარო, დანა-ჩანგლით დაიწყო ხილის ჭამა. მეორე დღეს, საქმეს მოვრჩით თუ არა, მაშინვე რინალდოსკენ გავეშურეთ, გვინდოდა გვენახა, როგორ მუშაობდა ლუკრეცია.

გალიისოდენა სალაროში, პატარა ტაბურეტზე იჯდა ლუკრეცია, მისი ასაკისთვის შეუფერებელი, ძალზე ფართო თეძოები სკამზე ვერ ეტეოდა, სავსე მკერდით კი თითქმის სალაროს კლავიშებს ეხებოდა. პირდაღებულები ვუყურებდით, ის კი სრულიად მშვიდად და აუჩქარებლად აძლევდა ქვითარს მუშტარს, არც კი უყურებდა კლავიშებს, ისე აჭერდა თითს. მშვიდი გამომეტყველებით გასცქეროდა დახლს და მებუფეტეს აფრთხილებდა:

- ორი ყავა-ექსპრესი... აპერიტივი... ფორთოხლის წყალი... ლუდი...

გაღიმებულს ვერ ნახავდით ლუკრეციას. ზოგი მუშტარი პირდაპირ სალაროს ფანჯარაში ძვრებოდა, ოღონდ როგორმე მიეპყრო ლუკრეციას ყურადღება, ის კი ზედაც არ უყურებდა.

სადად, მაგრამ კოხტად ეცვა, როგორც ეს ღარიბ ქალიშვილს შეეფერება. იმ დღეს სახელოდაკაპიწებული, საგულდაგულოდ გაუთოვებული ისეთი ქათქათა კაბა ეცვა, რომ თვალს იამებოდა მისი შეხედვა. არც სამკაულებს ატარებდა. ასე განსაჯეთ, საყურეც არ ეკეთა, მიუხედავად იმისა, რომ ყურის ბიბილოები გახვრეტილი ჰქონდა. სალაროში ლუკრეცია უფრო მოგვეწონა, ხუმრობაც კი დავუწყეთ. რინალდოს, ეტყობა, თავისი მოლარით ამაყობდა, გვაგულიანებდა, გაამხიარულეთო, მაგრამ ლუკრეცია არ აგვყვა.

- ამ საღამოს ხომ შევხვდებით ტრატორიაში. მაშ, ახლა თავი დამანებეთ, არ მიყვარს, როცა მუშაობაში ხელს მიშლიან.

ეს სიტყვები უფრო ტორეს მისამართით იყო ნათქვამი. რადგან ჩვენში ყველაზე აბეზარი და გაუთლელი ტორე იყო.

- ოჰ, უკაცრავად, სინიორინა!.. - წამოიძახა ტორემ მოჩვენებითი გაოცებით. - ჩვენ უბრალო ხალხი ვართ... აბა, რა ვიცოდით, თუ ამ სალაროში პრინცესა იჯდა... ნუ

გაგიბრაზდებით, ღვთის გულისათვის, რადგან თქვენი განაწყენება სულაც არ გვიფიქრია.

- მე პრინცესა არ გახლავართ, უბრალოდ ქალი ვარ და ჩემი შრომით ვშოულობ ლუკმაპურს... - უპასუხა ლუკრეციამ. - არც გიწყრებით... ყავა და აპერიტივი... - გასძახა მებუფეტეს. ერთი სიტყვით, კუდამოძუებულები გავიძურწეთ ლუდხანიდან.

საღამოს ისევ ტრატორიაში შევიკრიბეთ. რინალდომ და ლუკრეციამ დაიგვიანეს. კარგა დიდ ხანს გვალოდინეს. როგორც კი გამოჩნდნენ, მაშინვე ოფიციანტი ვიხმეთ და სადილი შევუკვეთეთ. კერძის მოლოდინში მდუმარედ ვისხედით. ისევ უხერხულად ვგრძნობდით თავს და როცა ოფიციანტმა დიდი ლანგრით რომაულად გაკეთებული ქათამი და პამიდორში მოხრაკული ხორცი მოგვართვა, ტორემ, საერთო განწყობილების გასაფანტავად, თამამად განაცხადა:

- იცით, რა მეგობრებო? მე სუფრაზე თავისუფლება მიყვარს. თუ გინდათ, დრო კარგად გაატაროთ, გირჩევთ ჩემს მაგალითს მიბაძოთ.

თქვა და ქათმის ბარკალს დასწვდა და ბეჭდებდასხმული ორივე ხელით პირთან მიიტანა. ერთი წუთის შემდეგ, ყველამ ხელით ავიღეთ ქათმის ხორცი და ჭამა დავიწყეთ. რა თქმა უნდა, ლუკრეციას და რინალდოს ხორცი ხელით არ აუღიათ. ლუკრეციამ ძლივს მოციცქნა ერთი ბეწო ხორცი. ჩვენ თანდათან გავთამამდით, ძველი სილაღე დაგვიბრუნდა, მოვყევით ოხუნჯობას, ხმამაღლა ვლაპარაკობდით, ჭიქას ჭიქაზე ვცლიდით. სავარძლებში გადათხლეშილები ვყვებოდით ანეგდოტებს. მოკლედ რომ ვთქვა, თითქოს ვიღაცის ჯიბრზე, ჩვეულებრივ უფრო ცუდად ვიქცეოდით.

არ მახსოვს, ისე სიამოვნებით და იმდენი მეჭამოს როდისმე, როგორც იმ საღამოს. კარგად რომ დავნაყრდით, ტორემ ქამარი მოუშვა და ისე ლაზათიანად დააბოყინა, ვაზის ფანჩატურში რომ არ ვმსხდარიყავით, ჭერი აზანზარდებოდა.

- იფ, აი ახლა კი კარგად ვარ, - გამოაცხადა ტორემ.

შემდეგ კბილის საჩიჩქნი აიღო და რიგრიგობით მოჰყვა კბილების ჩიჩქნას, როგორც ყოველთვის შვრებოდა ხოლმე ჭამის შემდეგ. ეს პროცედურა ორჯერ რომ გაიმეორა, კბილის საჩიჩქნი პირის კუთხეში მოიქცია და მეტისმეტად უხამსი ანეგდოტი გვიამბო.

- რინალდო, წამოხტა ლუკრეცია, - დავიღალე... თუ არ შეწუხდები, სახლამდე მიმაცილე...

მრავალმნიშვნელოვნად გადავხედეთ ერთმანეთს. სულ ორი დღე იყო, რაც ლუკრეცია რინალდოს ლუდხანაში მუშაობდა და უკვე შენობით ელაპარაკებოდა. დიახ, ეს როგორღაც არ ჰგავსა გაზეთში მიცემული განცხადებით აღმოჩენილ მოლარეს, აქ სულ სხვა სუნი ტრიალებდა. ლუკრეცია და რინალდო რომ გავიდნენ, ტორემ ერთი კიდევ ამოაბოყინა და გამოგვიცხადა:

- მადლობა ღმერთს... მეტის ატანა აღარ შემეძლო... დაინახეთ, როგორ აბზიკა ცხვირი?

რინალდო კი რა თვინიერად გაჰყვა? რაც შეეხება განცხადებას მუშახელზე... არა, ეს უფრო ქორწინების გამოცხადებას ჰგავს, მეგობრებო.

ორი თუ სამი დღე მეორდებოდა მსგავსი სურათი. ლუკრეცია უსიტყვოდ, დინჯად ჭამდა, ჩვენ კი ისეთ სახეს ვიღებდით, ვითომც ვერ ვამჩნევდით ქალიშვილს. რინალდო ორ ცეცხლ შუა იყო, არც ჩვენთვის უნდოდა ეწყენინებია და არც ლუკრეციასათვის, მაგრამ ყველა ვგრძნობდით, რომ მალე რაღაც დატრიალდებოდა. ეს ჩუმჩუმელა გოგო, მართალია აშკარად არაფერს ამბობდა, მაგრამ თავისი მოქმედებით ულტიმატუმს უყენებდა რინალდოს - ან მე, ან ესენიო. დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ამბავი. ერთ საღამოს, თითქმის უმიზეზოდ აფეთქდა რინალდო, იქნებ ამის მიზეზი სიცხე იყო, მოგეხსენებათ ადამიანს ძარღვებს როგორ უშლის სიცხე.

- დღეს უკანასკნელად ვჭამ თქვენთან პურს, - გამოგვიცხადა რინალდომ. გაოცებას მოვედით.

- მართლა? არ შეიძლება მიზეზი გკითხოთ? - უთხრა ტორემ.

- მიზეზი ის არის, რომ არ მომწონხართ.

- არ მოგწონვართ? ოჰ, რაღა გვეშველება.

- თქვენ ადამიანები კი არა, ღორები ხართ.

- აბა, აბა, ცოტა ჭკუით, დაუფიქრდი შენს სიტყვებს. ხო მარ შეიშალე? - აპილპილდა ტორე.

- ჰო, ასეა, ასე! ღორები ხართ, გიმეორებთ... შეუძლებელია თქვენთან პურის ჭამა. ლამის გული ამერიოს.

ნულარ იკითხავთ, როგორ გავმწარდით. ზოგი

წამოხტა კიდეც.

- იცი რას გეტყვი! ღორი თვითონა ხარ. ნეტა რა უფლებით გვკიცხავ? ვითომ აქამდე შენც ჩვენსავით არ იქცეოდი დღედაღამ ერთად არ ვიყავით? - წამოიძახა ტორემ.

- შენ მანდ დაეტია... - მიუგო რინალდომ. - აგისხამს ზიზილ-პიპილები და იმნაირ დედაკაცს დამსგავსებიხარ, სუნამოღა გაკლია. ნუთუ არ ისხამ სუნამოს?

ეს მათრახი ყველას გადმოგვკრა. მივხვდით ქარი საიდანაც უბერავდა და ლუკრეციას გადავხედეთ. მაგრამ იმ კუდიანს ისე ეჭირა თავი, თითქოს ეს ამბავი სულაც არ ეხებოდა, რინალდოს სახელოზე ეწეოდა და სთხოვდა, გეყოფა, წავიდეთო.

- არც შენ გაკლია ზიზილ-პიპილები. ნეტა ვის დასცინი... საათი გინდა, ბეჭდები გინდა თუ სამაჯური... ჩვენსავით არა გაქვს ჩამოკონწიალებული.

- აქამდე ასე იყო, ახლა კი მე ვიცი რასაც ვიზამ! - მოგვახალა გაცეცხლებულმა რინალდომ. - ახლავე მოვიხსნი ამ ღვინჭილებს და აი ვის მივცემ!

ესა თქვა, ბეჭედი წაიძრო, სამაჯურიც, საათიც, პორტსიგარი ამოიღო და ყველაფერი ლუკრეციას დაუყარა.

- აჰა, ესეც ასე. აბა, ვინ მომბაძავს. თქვენ ვინ მოგცათ ამის მარიფათი!

- ჯანდაბას შენი თავი, - უთხრა ტორემ და ჩვენდა გასაოცრად ყველამ შევნიშნეთ, რომ ტორეს თავისი ლამაზი ბეჭდები უკვე ეხამუშებოდა.

- რინალდო, აიღე შენი ნივთები და წავიდეთ, - მშვიდად უთხრა ლუკრეციამ.

მერე ერთად მოაქუჩა ნივთები და რინალდოს ჯიბეში ჩაუწყო, მაგრამ რინალდო არ ცხრებოდა:

- ღორები ხართ, ღორები. ჭამა მაინც გესწავლათ ადამიანური. ცხოვრება გესწავლათ, თქვე ოხრებო, თქვენა.

- ბრიყვო! - მიახალა გაწიწმატებულმა ტორემ, - ხეპრევ... ასე როგორ გამოასულელებინე თავი მაგ ჩერჩეტს.

აი მაშინ კი უნდა გენახათ რინალდო. ქორივით წამოფრინდა, საკინძეში სწვდა ტორეს. მაგრამ ჩვენ დროზე გავაშველეთ.

რინალდო და ლუკრეცია რომ გავიდნენ, საუბარს თავი ვეღარ მოვაბით და რამდენიმე წუთის შემდეგ დავიშალენით.

მეორე საღამოს ისევ შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ ძველებური მხიარულება გაქრა. ყველა მოწყენილი იყო. ჩემმა მეგობრებმა ნელინელ მოიხსნეს საათი, სამაჯური, ბეჭედები, მაგრამ ამან ვერაფერი გვიშველა. მეგობრობის სიმი გაწყდა და, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ერთხელ გატეხილს ვეღარ გაამთელებ, ვეღარ აღადგენ. აბა ვის ესიამოვნება შემთბარი წვენი? ერთი

კვირის შემდეგ სულ შევწყვიტეთ ურთიერთობა. ზოგი რას იმიზეზებდა, ზოგი რას. ასე გათავდა ყველაფერი.

გავიდა ხანი და ერთ მშვენიერ დღეს გავიგე, რინალდომ ლუკრეცია შეირთოო. ჯვრისწერის დროს, საყდარში ლუკრეცია ისე იყო სამკაულებით აჯინჯლული, რომ მადონას ქანდაკებას არ ჩამოუვარდებოდაო.

ამას წინათ ტორესთან შევიარე გარაჟში. მართალია, ბეჭედი კი ეკეთა თითზე, მაგრამ ეს ბეჭედი ბრილიანტისთვლიანი როდი იყო, ვერცხლის უბრალო ბეჭედი გახლდათ, მექანიკოსები რომ ატარებენ.

ტაბუ

ერთხელ ალესანდრომ ტრატორიაში ჩხუბი ამიტეხა, მაგრამ ცოდვამ მალე უწია: ორი კვირის შემდეგ, კასიოზე მოტოციკლით რომ მიჰქროდა, საბარგო მანქანა დაეჯახა და სული გააფრთხობინა. კინოთეატრიდან რომ გამოვდიოდი, ჯულიომ სილა გამაწნა. სამ დღესაც არ გაუვლია ამ ამბის შემდეგ, რომ ჯულიოს ტიბრში ბანაობისას რაღაც

საშინელი სენი შეეყარა, კანალიზაციით რომ ვრცელდება, და რამდენიმე საათში თქვენი ჭირი წაიღო. ერთხელ, ვია რიპეტაზე რემომ გამლანძღა, ბრიყვი, უხეში და გაუთლელი ხარო, მითხრა. არც იმას დაადგა კარგი დღე: ისიც სამი დღის შემდეგ, ვია დელ კორსოზე რომ მისეირნობდა, წაიქცა და ფეხი მოიტეხა. სტადიონზე მარიომ ბრანწი მიჩვენა და იმ წუთში იგრძნო, რომ ჯიბე ამოეცარიელებიათ მისთვის.

ამ ოთხმა და კიდევ რამდენიმე სხვა შემთხვევამ, რომელთა შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, დამარწმუნეს, რომ რაღაც იდუმალი ძალა მფარველობდა. ეს იდუმალი ძალა ჰკლავდა, ან სასტიკად სჯიდა ყველას, ვინც რასმე დამიშავებდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ავი თვალი აქ არაფერ შუაშია, რადგან ავი თვალის პატრონს მისდა უნებურად მოაქვს ზიანი და უბედურებას ისევე თესავს, როგორც ავტოტუმბო ქუჩის

მორწყვისას, საითაც მოხვდება, იქით ასხამს წყალს. მართალია, ერთი პატარა, გალეული, გონჯი და უძლური კაცი ვარ, არც ქონება ამომდის ბანში (ნოქრად ვმუშაობ ქსოვილების მაღაზიაში), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვგრძნობ, რაღაც ზებუნებრივი ძალა მფარველობს და, თუ ვინმე ცუდს მიზამს, არ შეიძლება სამაგიერო არ მიეზღოს.

უთუოდ იტყვით, ეს რა თავდაჯერებული ვაჟბატონი ბრძანდებაო, მაგრამ სხვა რით ამიხსნით, გეთაყვა, ამ უბედურ შემთხვევათა საოცარ დამთხვევებს, თავს რომ დაატყდა ყველას, ვინც ცუდად მომექცა?

ამიხსენით, რატომ იყო, რომ გამიჭირდებოდა თუ არა, სწორედ ამ ძალას მოვუხმობდი, ის მაშინვე ერთგული ძაღლივით ჩემთან გაჩნდებოდა და მკაცრად სჯიდა წინდაუხედავთ? ამიხსენით-მეთქი, ბოლოს და ბოლოს... ჰო, კარგი, თქვენთვის ისიც საკმარისია, რომ თავი დავირწმუნე, თითქოს უვნებელი და ხელშეუხებელი ვარ.

ჰოდა, აი იმ ზაფხულს, ერთ მშვენიერ დღეს, მე და გრაციამ გადავწყვიტეთ, კვირას ოსტიაში წავსულიყავით. სულ სამი ნოქარი ვიყავით მაღაზიაში: მე, გრაცია და ერთი ახალი ნოქარი, რომელსაც უგო ერქვა. ეს უგო იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ვერ ვიტან: მაღალ-მაღალი, გოლიათური აღნაგობის, თავდაჯერებული სახე მოკრივეს უგავს, ცხვირი

მიჭყლეტილი აქვს, ნიკაპი წინ წამოდგმული. ერთი ძალზე ცუდი ჩვევა ჰქონდა: აიღებდა ერთ თოფ ქსოვილს, დახლზე დააგდებდა, გადაშლიდა და თითებში აშრაშუნებდა. ამ დროს, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, მუშტარს კი არ უყურებდა, მინის კარში ქუჩაში გამვლელებს გასცქეროდა, რითაც ძალიან მაბრაზებდა. თუ ნაჭრის ამორჩევისას მუშტარი ყოყმანს დაიწყებდა, უგო, ნაცვლად იმისა, რომ ჩასციებოდა, საუცხოო ქსოვილია, იყიდეთო, ან ზიზღით დუმდა, ან უხეშად მიახლიდა:

- ოჰო, სინიორინას ეტყობოდა, უფრო ცუდი ნაჭერი ნებავს, - და ცივად შემოდებდა ქსოვილს თაროზე.

ამით უგო მუშტრის დაშინებას ცდილობდა და თითქმის ყოველთვის აღწევდა მიზანს. როგორც კი თაროზე შემოდებდა ნაჭერს, მუშტარი მაშინვე სთხოვდა, თუ შეიძლება,

ერთხელ კიდევ მაჩვენეთ ქსოვილიო. გასინჯავდა ხელმეორედ და უსათუოდ იყიდდა. არ ვიცი, რატომღაც მე არ გამომივიდოდა ეს ფანდი. იქნებ უგოსავით თავხედი და წარმოსადეგი რომ არ ვიყავი, ამიტომ ვერ გავაწყვე ვერაფერი. როგორც კი მის მიბაძვას მოვიწადინებდი, მუშტარი ხელად მომახლიდა: უხეში ბრძანდებით, დირექცია კარგად მოიქცევა, თუ მოგხსნით, და სხვა ამისთანებს. ამიტომ, რამდენიმე უნაყოფო ცდის შემდეგ, ისევ ძველ ჩვეულებას დავუბრუნდი - უგოს საწინააღმდეგოდ, შემპარავი, ზრდილი და მლიქვნელი ვარ მუშტართან, ერთი სიტყვით, თავმდაბლობისა და თავაზიანობის განსახიერება ვარ.

თავდაპირველად გრაციას არც კი მოსწონდა უგო, ყოველ შემთხვევაში, ასე მარწმუნებდა თვითონ.

- აი ისა, რა ჰქვია... ოო, ღმერთო ჩემო... რა საშინელებაა, რასა ჰგავს! ნამდვილი ზანგია.

მაგრამ, როგორც კი უგო ჩვენთან მოვიდა, ეს უკვე მას შემდეგ, მე და გრაცია რომ შევთანხმდით, კვირა დღე ოსტიაში გაგვეტარებია, და მისთვის ჩვეული თავხედური კილოთი შეგვეკითხა: კვირას საით აპირებთ გასეირნებასო, გრაცია აწრიალდა, პრანჭვა-გრეხას მოჰყვა და ღიმილით უთხრა უგოს:

- თქვენ, უგო, იქნებ ჩვენთან ერთად წამოხვიდეთ?

უგოს გრაციას წინადადება ჭკუაში დაუჯდა და ხელად დაეთანხმა, ერთ ქალიშვილს მეც მოვიყვან, სჯობს ყოველ ჩვენგანს თავისი გოგონა ჰყავდესო, გამოგვიცხადა მფარველური კილოთი. ეს რომ თქვა შევშფოთდი, ნეტავ გრაციას დაჩემებას ხომ არ აპირებს, ის სხვა გოგონა კი ჩემთვის ხომ არ უნდა-მეთქი.

კვირას, დანიშნულ დროს, სან-პაოლის სადგურზე შევხვდით ერთმანეთს. ზღვა ხალხი ირეოდა

ბაქანზე, საშინელი აურზაური იდგა. გრაცია ახალი კაბით გამოწყობილი მობრძანდა, ცისფერი კაბა ძალიან შვენოდა მის ქერა თმას. მე სანოვაგის პარკებით და ფუთებით დატვირთული ვიდექი. მალე უგოც მოვიდა, პენიცილინისფერი ახალი კოსტუმით გამოწკეპილიყო, გვერდით ქალიშვილი მოჰყვებოდა. გაიცანით, ეს კლემენტინა გახლავთო, გამოგვიცხადა უგომ. აკი გამართლდა ჩემი ეჭვი. უგომ მოსვლისთანავე მკლავში ხელი გაუყარა გრაციას და მე და კლემენტინას გვითხრა:

- აბა, თქვენ იცით... არსად გაგვეპაროთ. მატარებლის გასვლის დროს არ დაგვეკარგოთ.

გრაციას ეტყობოდა, კმაყოფილი იყო, კისკისებდა და უგოს ეკვროდა. მე კი შევცქეროდი კლემენტინას, რომელიც, უგოს აზრით, სწორედ ჩემი შესაფერისი იყო: უბრალო, კეთილი, თეთრი, ჩაფუნთუშებული. კარგი, ჯიშიანი ძროხასავით სავსე მკერდი და თეძოები ჰქონდა. სახის გულუბრყვილო გამომეტყველებითაც ძროხას ჰგავდა, ეგ იყო, ყელზე ზარი არ ეკიდა მხოლოდ.

ხელიხელგადახვეული უგო და გრაცია წინ წავიდნენ, კლემენტინამ თვალი გააყოლა და მითხრა:

- როგორ ეტყობათ, რომ შეყვარებულები არიან.

ეს, მგონი გამოწვევას ჰგავდა, მოდი, ჩვენც მათ მაგალითს მივბაძოთო. მაგრამ მე რა ამის გული მქონდა.

- მართლა, ასე გეჩვენებათ?.. მე კი ვერ შევნიშნე, - ვუპასუხე კლემენტინას, ბოღმით გულზე გამსკდარმა.

ჩამოდგა თუ არა მატარებელი, უგო, რა თქმა უნდა, პირველი შევარდა ვაგონში, ეშმაკმა უწყის, როგორ მოახერხა ხალხის გარღვევა, ღრიანცელით რომ აწყდებოდა ერთმანეთს ვაგონში შესასვლელთან, და პირველმა გამოჰყო ფანჯარაში საზიზღარი ცხვირ-პირი.

- ოთხი ადგილი დავიკავე, ნუ აჩქარდებით, მშვიდად ამოდით, - გვიყვიროდა უგო.

შევედით ვაგონში და ერთმანეთის პირისპირ დავსხედით. მალე მატარებელიც დაიძრა. მთელი გზა თვალს არ ვაშორებდი უგოსა და გრაციას. უგომ ისე მოხიბლა გრაცია, რომ ქალიშვილს ამქვეყნად აღარაფერი ახსოვდა. უგო ხან ხმადაბლა ელაპარაკებოდა რაღაცას, გრაცია კისკისებდა და წითლდებოდა. ხან, ვითომდა ხუმრობით ხელს გადახვევდა, ან გულუბრყვილო სახით მიესალმებოდა, გრაციამ მთლად დაკარგა სინდისი, გველთევზასავით იკლაკნებოდა, უგოს ეკვროდა და მე, რაც ყველაზე მეტად მიკლავდა გულს, სულ არ მამჩნევდა, თითქოს ამქვეყნად არც კი ვარსებობდი.

ეჰ, რომ შემძლებოდა, უგოს ჯიბრზე მაინც დამეწყო კლემენტინასთვის კურკური, კარგი იქნებოდა, მაგრამ უბედურება ისეაა, რომ არც მე მომწონდა კლემენტინა და არც კლემენტინას ჩავუვარდი გულში. ეტყობოდა, მაინცდამაინც არაფრად ეპიტნავებოდა ჩემი არშიყობა, რადგან მატარებელის დაძვრისთანავე სკამს ზურგით მიეყრდნო, თავი გადასწია, ხელები მუცელზე დაიწყო, პირი დააღო და ტკბილი ფშვინვა ამოუშვა.

ოსტიაში რიგრიგობით შევედით მობანავეთა ჯიხურში და საბანაო კოსტიუმებით გამოწყობილნი უფრო მკვეთრად განვსხვავდებოდით ერთმანეთისგან. გრაციას საუცხოო, აშოლტილი ტანი ჰქონდა, გრძელი მკვრივი ფეხები და სავსე მკერდი. კლემენტინა კი შუაში ბაწარმოჭერილ მუთაქას ჰგავდა, მთლად თეძოებისა და მკერდისგან შედგებოდა, არც წელი გააჩნდა, არც კისერი. ჩემსა და უგოს შორისაც დიდი განსხვავება იყო. უგო მოჭიდავესავით კუნთებიანი და ჩასხმული იყო, მზით გარუჯული, თეძოებში ვიწრო, მხრებში განიერი. მე კი დაბალი, გალეული, კნაჭა ფეხებით და უღონო ხელებით ნამდვილი ობობა ვარ. რასაკვირველია, გრაციას, როგორც კი ჯიხურიდან გამოვიდა, უგომ მაშინვე სტაცა ხელი, ზღვისკენ გაიქცნენ და თავდაღუნული გადაეშვნენ წყალში.

- ოჰ, რა საუცხოო წყვილია! - თქვა ისევ კლემენტინამ, თითქოს ჩემი გულზე გახეთქვა გადაწყვიტაო.

უგო და გრაცია წყალში ჭყუმპალაობდნენ, ერთმანეთს წყალს აშხეფებდნენ, ძიძგილაობდნენ. მერე უგომ ხელში აიტაცა, გრაცია კისკისით შემოეხვია კისერზე. კლემენტინას ვუთხარი, წავიდეთ, ჩვენც ვიბანაოთ-მეთქი. მე მხოლოდ ნაპირზე ვიბანავებ, ცურვა არ ვიციო, მიპასუხა მან. რა გაეწყობოდა, ვიდექით მუხლამდე თბილ და ჭუჭყიან წყალში, ჩვენ გარშემო ერთი ჟივილ-ხივილი იდგა. ბავშვები ბურთს

თამაშობდნენ, ზოგი ღნაოდა, დედები ამშვიდებდნენ, რადიო კი განუწყვეტლივ ღრიალებდა:

ზღვა ისევ ლურჯად ციმციმებს, კარგო მე

ისევ გელი, მე ისევ გნატრობ.

ამასობაში, როგორც ნამდვილმა სპორტსმენებმა, უგომ და გრაციამ შორს გაცურეს, თითქმის აღარც კი ჩანდნენ.

და აი, მე უნებლიეთ გავიფიქრე, რომ უგო უსათუოდ დაიხრჩობოდა. ისე გულდამშვიდებით გავიფიქრე, თითქოს ეს რაღაც გარდაუვალი და კანონზომიერი იყო. უგომ მაწყენინა და ამიტომ უნდა მომკვდარიყო. ამ ფიქრმა უცებ გამახალისა. მივედი კლემენტინასთან, რომელიც ორივე ხელით მაშველ ბაგირს ჩაფრენოდა, და ვუთხარი:

- უგო ერთი იმ გულადთაგანია, რომელსაც წყალში კრუნჩხვა მოსდის და იძირება... მერე მას გონდაკარგულს ნაპირზე გამოათრევენ და ხელოვნური სუნთქვით აბრუნებენ.

- კი მაგრამ, უგო ხომ საუცხოოდ ცურავს? - მიპასუხა გაოცებულმა კლემენტინამ.

- დიახ, მართალი ბრძანდებით, კარგად ცურავს, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, კოკა წყალს მუდამ ვერ მოიტანსო. უგო სწორედ იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც კვირა დღეს ცუდად ამთავრებენ. ისინი სილაზე გაშოტილები ყრიან და მათ ხელოვნური სუნთქვით აბრუნებენ.

ცოტა ხნის შემდეგ გრაცია და უგო ნაპირზე გამოვიდნენ, პლაჟზე სირბილს მოჰყვნენ, ვითომდა გასაშრობად. ურცხვად ბღლარძუნობდნენ, სილას აყრიდნენ ერთმანეთს და კოტრიალობდნენ. უძრავად ვიდექი ერთ ადგილას კლემენტინასთან, რომელიც მაშველ ბაგირს ხელს არ უშვებდა და თვალს ვერ ვაშორებდი მათ. ჩემს წარმოდგენაში უკვე ნათლად ვხედავდი: აი, უგო წყალში გადაეშვა, იკრუნჩხება, ფართხალებს, იხრჩობა. აი, ნაპირზე ამოათრიეს და ხელოვნური სუნთქვით ასულიერებენ. დარწმუნებული არ ვიყავი, მოკვდებოდა, თუ გადაარჩენდნენ, მაგრამ იმის ფიქრი, რომ უგო სიკვდილის პირზე იდგა, დიდ სიამოვნებას მგვრიდა.

ამასობაში უგოსა და გრაციას უკვე შეაშრათ საბანაო კოსტიუმები. უგო ჩვენთან მოვიდა, მოდით

ნავით გავისეირნოთო, შემოგვთავაზა. კლემენტინამ უარი გვტკიცა, ცურვა არ ვიცი, მეშინიაო. ასე რომ, ჩვენ სამნი ჩავსხედით ნავში. მე ნიჩბებს მივუჯექი. უგო და გრაცია კი ნავის კიჩოზე წამოსკუპდნენ.

ნელა ვუსვამდი ნიჩბებს. ზღვა მშვიდი იყო, მზე მწარედ აცხუნებდა. გულამღვრეული, დაჯინებით მივაჩერდი უგოსა და გრაციას, თითქოს ჩემი ღვარძლით სავსე გამოხედვით მინდოდა მათი დანამუსება. ეჰ, ამაო ცდა იყო. ისინი აინუნშიაც არ მაგდებდნენ, ერთმანეთს ეკვროდნენ, მე მათთვის მხოლოდ და მხოლოდ მენავე ვიყავი. თითქოს უგომ, ჩემი ფიქრის დასადასტურებლად, ხუმრობით მითხრა:

- კეთილო კაცო, თუ ძნელი არ იქნება თქვენთვის, მარცხნივ უქციეთ, თორემ აი იმ ნავს დავეჯახებით. აქ კი ამევსო მოთმინების ფიალა.

- უგო, ნუთუ შენთვის ჯერ არავის უთქვამს, რომ ბრიყვი ხარ? - შევძახე უგოს.

- რაო? - წამოიწია უგომ, - და ეს „ო“ ისეთი კილოთი თქვა, თითქოს ამბობდა, ყურმა ხომ არ მომატყუაო.

- რაც გაიგონე! ბრიყვი ხარ და ხეპრე!.. დავიჯერო აქამდის არავი უთქვამს ეს შენთვის?

- რა მოხდა, რა დაგემართა?! - ხმა აიმაღლა უგომ.

- მე რაც დამემართა, ეგ შენ არ გესაქმება. ბრიყვზე უბრიყვესი ხარ!

- შენ, ეი, დაუფიქრდი, რასა როშავ!

- რაც მეპრიანება, იმას ვამბობ. ყველა სიკეთესთან ერთად არამზადაც ხარ.

- ჭკუაზე მოდი, თორემ, მე ვიცი შენი!

დაიღრიალა უგომ, წამოხტა და მაგრა ჩამკრა მუშტი მკერდში. ნიჩბებს ხელი ვუშვი, წამოვფრინდი, და ის იყო, უნდა გამერტყა, რომ უგომ სწრაფად მტაცა ხელზე ორი თითი და მარწუხივით მომიჭირა. ჩვენ ვიბრძოდით, გრაცია ყვიროდა, გაჩერდით, რას სჩადიხართო, მაგრამ აღარაფერი გვესმოდა. ამ ძიძგილაობაში ჩვენი პატარა, ვიწრო ნავი გადაბრუნდა და სამივემ წყალში ტყაპანი გავადინეთ.

ნაპირს დიდად დაშორებული არ გახლდით და, გეფიცებით, ამოვიყურყუმალავე თუ არა,

სიხარულით გავიფიქრე: „აჰა, ახლა კი მოუვლის უგოს კრუნჩხვა და დაიხრჩობა... დიახ, მისი წუთები დათვლილია, მოკვდება, როგორც დაიხოცნენ ალესანდრო და ჯულიო“.

დაპირქვავებული ნავი ტალღებმა გაიტაცა, ნიჩბები იქვე ტივტივებდა, ჩვენ წყალში ვფართხალებდით.

- დამთხვეულო!.. - ყვიროდა უგო. გრაცია კი, ვითომც აქ არაფერიო, არხეინად

მიცურავდა ნაპირისკენ.

- დამთხვეულიც ხარ და თაღლითიც, - ვუპასუხე, მაგრამ ამ დროს პირში წყალი ჩამივიდა.

უგო ყურადღებას აღარ მაქცევდა, გრაციასკენ მიცურავდა. მეც ნაპირისკენ ავიღე გეზი, თან სულ იმაზე ვფიქრობდი, საცაა უგოს კრუნჩხვა მოუვლის და ჩაიძირება-მეთქი. მაგრამ უცებ ჭვალივით გამკრა რაღაცამ, მარჯვენა მხრიდან ფეხის ტერფამდე დამიარა მწვავე ტკივილმა. ვაგლახ! უგოს კი არა, მე დამემართა კუნჩხვა. თავგზა დავკარგე, ჰაერი აღარ მყოფნიდა და შიშით დაზაფრულმა დავიღრიალე:

- მი-ი-შვე-ლეთ! - და პირი წლით ამევსო.

კრუნჩხვამ მიმატა, ფსკერისკენ წავედი. ერთი წამით ისევ ამოვიყურყუმალავე, დავიყვირე, მიშველეთ, მიშველეთ-მეთქი, და კვლავ ჩავიძირე. რაღა ბევრი გავაგრძელო. უსათუოდ დავიხრჩობოდი, ვიღაცას ხელი რომ არ ეტაცა ჩემთვის. მალე იმ ვიღაცის ხმაც შემომესმა:

- მშვიდად, მშვიდად, მე გაგიყვან ნაპირზე. - ეს უგოს სხმა იყო. ამ დროს ისევ დამიარა ტკივილმა და გრძნობა დავკარგე.

რამდენმა დრომ განვლო ვერ გეტყვით. გონს რომ მოვედი, ცხელ სილაზე ვეგდე. ვიღაც მაჯებში ჩამფრენოდა და ხელებს ზევით და ქვევით მიწევდა. მეორე ჩემ გვერდით ჩაცუცქულიყო, მუცელსა და მკერდს მიზელდა. როგორც ბურუსში, ისე ბუნდოვნად ვხედავდი ყველაფერს, მზე თვალსა მჭრიდა, გარშემო კი გარუჯული, ბანჯგვლიანი ფეხების ტყე მერტყა. უამრავი ხალხი მადგა თავზე.

- მგონი აღარაფერი უშველის ამ უბედურს! - წამოიძახა ვიღაცამ.

- ყოყლოჩინობენ, მერე კი ასე იხოცებიან, - უპასუხა მეორემ.

წყლით ვიყავი გაბერილი, თავი დამძიმებული მქონდა, ვიღაც ისევ ზევით და ქვევით მიწევდა ხელებს. ბრაზი მომერია და დავიძახე:

- დამეხსენით, ჯანდაბას თქვენი თავი, - და ისევ დავკარგე გონი.

ეჰ, კმარა იმ წყეულ დღეზე ლაპარაკი. ერთი კვირის შემდეგ, უგო გარეთ იყო გასული, გრაციამ დრო იხელთა და მითხრა:

- კვირას კინაღამ რომ დაიხრჩე, იცი რად მოგივიდა?

- არ ვიცი, მაინც რად?

- უგომ ყველაფერი მითხრა. თურმე, უგოს რაღაც იდუმალი ძალა მფარველობს. ვინც ჩემ წინააღმდეგ წავა, ადვილი შესაძლებელია, მოკვდეს კიდეცო. ერთი სიტყვით, უგო ამბობს, რომ ის „ტაბუა“... იცი რა არის „ტაბუ?“

- ტაბუ?.. - ერთი წუთით დავფიქრდი. - როცა რაიმე ნივთი თუ ადამიანი ხელშეუხებელია. აი, ეს არის ტაბუ.

ამ დროს უგო მოგვიახლოვდა და გრაციამ აღარაფერი მითხრა. უგოს ხელში ჩითი ეჭირა და ჩვეულების მიხედვით თითებში აშრაშუნებდა. - ინებეთ, სინიორინა. სწორედ ის არის, რაც თქვენ გინდოდათ.

გრაციას თვალებში რომ შევხედე, მივხვდი, თუ რა თავდავიწყებით უყვარდა უგო. ოღონდაც, ოღონდაც, ეშმაკმა წაიღოს ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე, ლამაზი კაცი და თანაც ტაბუ.

უარს არ გეუბნები, მაგრამ...

ადელეს ხასიათი რომ გაიგოთ, უნდა გიამბოთ, რა მოხდა ჩვენს შორის ქორწინების პირველსავე ღამეს. ნათქვამია, დარს როგორი პირი უჩანს, დილითვე შეეტყობაო.

ტიბრის გაღმა რესტორანში გავმართეთ საქორწინო ვახშამი. მილოცვების, ხვევნაკოცნის, სადღეგრძელოების და სიდედრის ცრემლთა ღვრის შემდეგ, მე და ადელემ ჩემს ბინას მივაშურეთ. რკინა-კავეულის ჩემივე დუქნის თავზე მქონდა ბინა, ვია დელ ანიმაზე. უკვე ცოლ-ქმარი გავხდით და ორივეს გვრცხვენოდა ერთმანეთისა. უხერხულობას ვგრძნობდით. საწოლ ოთახში რომ შევედით, პიჯაკი გავიხადე, სკამზე გადავკიდე და რათა მდუმარების ყინული გამელხო, ვთქვი:

- ალბათ შენც მიაქციე ყურადღება, ადელე, რომ სუფრაზე ცამეტნი ვიყავით!.. ამბობენ ამ რიცხვს ბედნიერება მოაქვსო...

ადელეს ახალი ფეხსაცმელი უჭერდა, ის იყო გაიხადა, კარადის წინ შედგა და სარკეში იყურებოდა. ისე მხიარულად მიპასუხა, გეგონებოდა, მართლა ამ სიტყვებმა გამოიყვანა უხერხულ მგომარეობიდანო.

- მართალი თუ გინდა, ჯინო, ვახშმად თორმეტნი ვიყავით. ათი სტუმარი და ჩვენ ორნი- სულ თორმეტნი.

რესტორანში ვახშმის შეკვეთას რომ ვაძლევდი, მაშინ დავითვალე სტუმრები. ძალიან კარგად მახსოვდა, ცამეტმა რიცხვმა როგორ უსიამოვნოდ გამკენწლა და ამით შეშფოთებულმა ერთ-ერთ მეჯვარეს, ლოდოვიკოს ვუთხარი:

- იცი, ლოდოვიკო, ცამეტნი ვართ ვახშამზე. ვაითუ, ამ რიცხვმა უბედურება მოგვიტანოს!

- დარდი ნუ გაქვს, - მიპასუხა ლოდოვიკომ. - პირიქით, ამ რიცხვს ბედნიერება მოაქვს.

  რაკი ეს ამბავიც გამახსენდა, ისევ სტუმრებზე განვაგრძე სიტყვა:

- ცდები, ადელე... ცამეტნი ვიყავით. მე თავიდანვე მივაქციე ამას ყურადღება და ლოდოვიკოსაც ვუთხარი.

ადელე ამ დროს კაბას იხდიდა, წელსზევით გახვეული იყო კაბაში, უცებ ვერ გამცა პასუხი, მაგრამ, როგორც კი გადაიძრო კაბა, სული არ მოუთქვამს, ისე მომახალა:

- ცუდად დაგითვლია. ქუჩაში ცამეტნი ვიყავით, მერე მეო წავიდა და თორმეტნი დავრჩით.

ამასობაში უკვე შარვალი გავიხადე, პერანგის ამხანაგის ამარა ვიდექი ოთახში და არ ვიცი, უცებ რატომ ავფეთქდი:

- რის თორმეტი, რა თორმეტი! რა შუაშია აქ მეო! გეუბნები, ხალხი ქუჩაში კი არა, რესტორანში დავითვალე-მეთქი.

- მაშასადამე, - წამოიძახა ადელემ და კარადის კარი გამოაღო კაბის ჩამოსაკიდებლად, - როცა შენ ხალხი დაითვალე, უკვე გადაკრულში ყოფილხარ, მორჩა და გათავდა.

- რაო? ვინ იყო გადაკრულში, მე? სულ ორი ჭიქა დავლიე, შამპანურის ჩათვლით.

- ნამდვილად თორმეტნი ვიყავით... შენ იმიტომ გეშლება, ჯინო, რომ ახლაც მთვრალი ხარ და მახსოვრობა გღალატობს.

- მე ვარ მთვრალი? ცამეტნი ვიყავით, ცა-მეტ-ნი!

- მე კი გეუბნები, თორ-მეტ-ნი!

- ცამეტნი!

- თორმეტნი!

შუა ოთახში ერთმანეთის პირისპირ ვიდექით შემართულები, მე პერანგის ამხანაგის ამარა, ის კი პერანგა. უცებ ხელი ვტაცე ადელეს და შიგ პირში ჩავძახე:

- ცამეტი!

მაგრამ უმალ გონს მოვედი, მოსახვევად მივეტანე და ვუჩურჩულე: - რა

მნიშვნელობა აქვს, ცამეტნი ვიყავით, თუ თორმეტნი, მოდი, მაკოცე...

ადელე ლოგინზე გადაწვა და სწორედ იმ წუთში, როცა ჩემი ტუჩები მის ტუჩებს შეეხო, წაიჩურჩულა:

- ჩვენ მაინც თორმეტნი ვიყავით, გველნაკბენივით წამოვხტი და დავიღრიალე:

- ეს რასა ჰგავს? შენ ჩემი ცოლი ხარ და უსიტყვოდ უნდა მემორჩილებოდე ყველაფერში... რომ გეუბნები, ცამეტნი ვიყავით-მეთქი, მაშასადამე, ასეა და არ უნდა შემეკამათო. ადელეც წამოხტა და გაკაპასებულმა წამოიძახა:

- დიახ, შენი ცოლი ვარ. არა, უფრო სწორად, შენი ცოლი გავხდები, მაგრამ ჩვენ მაინც თორმეტნი ვიყავით.

- არა, ცამეტნი. აი, ესეც შენ! - და მაგარი სილა გავაწანი ჩემს ცოლს.

რამდენიმე წუთი ადელე გაშტერებული იდგა, მერე ადგილს მოწყდა, სასტუმრო ოთახის კართან მიიჭრა, გამოაღო და ზღურბლიდან მომაძახა:

- თორმეტნი ვიყავით, გესმის, თორმეტნი... ჰოდა, კმარა, თავი დამანებე... მეზიზღები, - და კარს უკან მიიმალა.

ერთხანს გაოგნებული ვიდექი, მერე კარს მივვარდი, ვუბრახუნე, ვევედრე ადელეს, გამიღე-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, ხმა არ გამცა. ერთი სიტყვით, საქმე იმით დამთავრდა, რომ

ქორწინების პირველი ღამე მარტომ გავატარე. ნახევრად გახდილი მივწექი საწოლზე და წავთვლიმე. ადელე კი სასტუმრო ოთახში სავარძელზე იწვა.

მეორე დღეს ადელეს დედასთან წავედით იმის გამოსარკვევად, თუ ვინ იყო ჩვენში მართალი და ვინ ტყუოდა.

სინამდვილეში ვახშამზე თორმეტნი ვყოფილვართ. მათში ორი პატარა ბავშვი, რომლებიც თავისი სკამებიდან ჩაცურებულიყვნენ და მაგიდის ქვეშ თამაშობდნენ. როცა მე დავთვალე სტუმრები, ერთი ბავშვი ჯერ კიდევ სკამზე იჯდა, თურმე, როცა ადელემ დათვალა ხალხი, ისიც მაგიდის ქვეშ შემძვრალიყო. ასე რომ, ორივე მართალი გამოვდექით. მაგრამ ადელე მაინც დამნაშავე იყო, რადგან ის ჩემი ცოლია და არ უნდა შემკამათებოდა.

ეს იყო პირველი ჩხუბი. ამას მოჰყვა სხვა მრავალი. ხომ გაგიგონიათ, დედაკაცის შარიო - მოვარდნილი ღვარიო. შეუძლებელია, და შორს წაგვიყვანდა ყველა იმ შემთხვევის ჩამოთვლა, როცა კი ადელე თავის საზიზღარ ხასიათს ამჟღავნებდა, დავობდა, კინკლაობდა ყოველ წვრილმანზე და სისხლს მიშრობდა. საკმარისი იყო მეთქვა, ეს თეთრია, ადელე უცებ წამოიძახებდა, არა, შავიაო. არასოდეს არაფერს არ დამითმობდა, არასოდეს არ იტყოდა, შევცდიო.

ერთხელ ჩხუბი ამიტეხა, დღეს სახარჯო ფული არ მოგიცია ჩემთვისო. მთელი ოცდაოთხი საათი რომ მეჩხუბა, მერე უცებ აღმოჩნდა ფული და იცით სად? საპირფარეშოს ფანჯრის რაფაზე იდო არხეინად, გრილზე, როგორც ვარდი ჭიქა წყალში. რა თქმა უნდა, ფულის აღმოჩენის შემდეგ ჩხუბი უფრო გამწვავდა. ადელემ აიხირა, ეს ფული იქ შენ დადეო. მე კი ვუმტკიცებდი, რომ იმ წყეულ ადგილს ადელე სწორედ მას შემდეგ ეწვია, როცა ჩემგან სახარჯო ფული მიიღო.

ანდა ასეთი შემთხვევა ავიღოთ: ადელე პირზე ცოფმორეული მიმტკიცებდა, ოფიციანტ ალესანდროს ოთხი შვილი ჰყავსო. ეს ალესანდრო ჩვენი დუქნის პირდაპირ, ყავახანაში მუშაობდა. იმ ხანებში, ადელემ რომ მის შვილებზე დავა ამიტეხა, ალესანდრო რომში არ იყო. ასე რომ, მის ჩამოსვლამდე ვერ გამოვარკვევდით რამდენი შვილი ჰყავდა. ბოლოს, როცა ალესანდრო დაბრუნდა, გავიგეთ, რომ ჩვენი დავის დაწყებისას მას სამი შვილი ჰყავდა, ახლა კი მეოთხეც შესძენოდა.

დიდი სისულელე იყო ასეთ ამბებზე დავა, ამ გაუთავებელ კინკლაობაში, რა თქმა უნდა, ზოგჯერ მეც ვტყუოდი, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვინ ტყუოდა ჩვენში. უბედურება ის იყო, რომ ადელეს ვერაფრით ვერ შევაგნებინე, რომ მისი ახირებული ხასიათის წყალობით, ერთხელაც იქნებოდა ფეხს წაიტეხდა.

- შენ ცოლი რად გინდა, მონა უნდა გყავდეს! - მეტყოდა ხოლმე ადელე.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მე და ადელე სულ დანასისხლად ვიყავით. რაც უნდა მეთქვა, თუნდაც ისეთი რამ, რის უარყოფა ყოვლად შეუძლებელი იყო, ადელეს საწინააღმდეგო პასუხი წინასწარ მზად ჰქონდა. მაგალითად: „დღეს მზიანი დღეა“ რომ მეთქვა, იმის მოლოდინში, რომ ადელე მაშინვე უტიფრად მომახლიდა: „რას ამბობ, ჯინო? სად ხედავ მზეს? სწორედ ღრუბლიანი დღეა“, სულ ერთთავად გაღიზიანებული ვიყავი. ჰოდა, რომ არ გავმსკდარიყავი, მაშინვე ქუდს ხელს დავტაცებდი და შინიდან გავრბოდი.

ერთხელ, ასე გულმოსული რომ გამოვვარდი შინიდან და ვია რიპეტაზე გავედი, უცებ ჯულიას მოვკარი თვალი. ჯულიას ადელეს გაცნობამდე ვეარშიყებოდი. მაშინ ჯულიამ მალე მომაბეზრა თავი, რადგან დამოუკიდებლობას არ იჩენდა, ყველაფერში მეთანხმებოდა, ბრმისთვისაც რომ ნათელი ყოფილიყო ჩემი შეცდომა, ჯულია ვერ დაინახავდა და გამამართლებდა... ახლა, როცა ცოლად ისეთი ქალი მყავდა, რომელსაც ყველაფერზე საკუთარი მტკიცე აზრი ჰქონდა და მე ამით, როგორც მოგეხსენებათ, „დიდად ბედნიერი ვიყავი“, გული სინანულით ამევსო. ასეთ დამთმობ, მოკრძალებულ ადამიანს რომ ხელი ვკარი. სიმწრით ტუჩებს ვიკვნეტდი. ჯულიას ხელში ჩანთა ეჭირა და ბაზრისკენ მიიჩქაროდა. გავაჩერე, მინდოდა გამეგო, ისევ ისეთი ხათრიანი და სათნო იყო, თუ რა, და გამოსაცდელად ვუთხარი:

- არ ნანობ, ჯულია, ისე რომ მაწყენინე? ახლა ხომ დარწმუნდი, რომ სხვებს მაინც ვჯობივარ. რატომ არ ინდომე ჩემი ცოლობა?

მე ხომ კარგად ვიცოდი, რომ ტყუილს ვეუბნებოდი, რადგან თვითონ მივატოვე ჯულია. მაშინ თავს იმით ვიმართლებდი, მორჩილი ქალები არ მომწონს-მეთქი, და ძალიან მაინტერესებდა ამ უტიფარ ცილისწამებაზე რას მიპასუხებდა ჯულიამ.

ჯულიამ გაოცებით შემომანათა თვალები. პირველ წუთში, რასაკვირველია, უნდოდა ეთქვა, მე კი არა, შენ მიმატოვეო, მაგრამ ისევ მოკრძალებამ სძლია და მშვიდი ხმით მითხრა:

- იცი რა, ჯინო... უთუოდ რაღაც გაუგებრობა მოხდა. აბა, როგორ გეტყოდი უარს, ისე მიყვარდი, რომ...

ჯულიამ ვერ შემომბედა, სტყუიო, რასაც ადელე დაუყოვნებლივ მომახლიდა პირში. პირიქით, თავის მართლებას იმიტომ ცდილობდა, რომ ჩემთვის ესიამოვნებია, შეიძლება ცოტა მეც ვიყავი დამნაშავეო.

მწარედ ჩამეცინა. რა დიდი სისულელე ჩავიდინე, ჯულია რომ ადელეში გავცვალე. ჯულიას ლოყაზე ალერსით ხელი მოვუთათუნე და ვუთხარი:

- არა, ჯულია, არავითარი გაუგებრობა არ მომხდარა. სამწუხაროდ, ყველაფერში მხოლოდ მე ვარ დამნაშავე. ისე გითხარი, მაინტერესებდა, რას მეტყოდი.

ერთხელ კიდევ მოვუთათუნე ხელი ლოყაზე, გამოვეთხოვე და წავედი. მაგრამ, ვიდრე გზის მოსაქცევზე გავიდოდი, უკან მივიხედე, ჯულია იქვე იდგა თავისი ჩანთით ხელში და შემკრთალი მიყურებდა.

მაისის მიწურული იყო. მეორე დღეს მე და ადელე მოტორიან ნავში ჩავსხედით და ფერენჯენში წავედით, იმ წელს პირველად უნდა გვებანავა ზღვაში. პლაჟზე ჩვენს მეტი არავინ იყო. მზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა ლაჟვარდ ცაში, მაგრამ მძაფრი და ძვალ-რბილში გამჯდომი ქარი ქროდა, სილას ხვეტდა, ჰარეში ფანტავდა, ნაპირზე მომსკდარი თეთრი და მწვანე ზვირთები ერთმანეთს ეხლებოდა. ცოტა მოშორებით კი ზღვას თითქმის შავი ფერი დაჰკრავდა და აქა-იქ თეთრად იყრიდა ქოჩორს.

ადელემ მითხრა ნავით გასეირნება მინდაო, რომ მეთქვა, ზღვა ღელავს, საშიშია-მეთქი, მაშინვე დაიწყებდა მტკიცებას, ზღვა მშვიდი და წყნარიაო და იმის შიშით, რომ ასეთი რამ აღარ მომესმინა, ნავის ქირა გადავიხადე და ვთხოვე ზღვაში ჩაეშვათ.

საბანაო კოსტიუმი ჩავიცვი, ადელემ კი არ გაიხადა ტანთ, და შიშით, ისევ არ წამეჩხუბოს-მეთქი, ვეღარ ვუთხარი საბანაო კოსტიუმი ჩაეცვა. ვაი თქმასა და ვაი უთქმელობასო, სწორედ ასეთ დღეში ვიყავი. ჩაუშვა თუ არა მენავემ ნავი, უხმოდ მივუჯექი ნიჩბებს. ტალღები მომცრო იყო,

ნავს ტალღების პირდაპირ მივაცურებდი, თავთხელ წყალს როგორც კი გავცდი, უფრო დინჯად მოვუსვი ნიჩბები, ვფრთხილობდი, საკმარისი იყო ნავი ოდნავ შემებრუნებია, ის მომცრო ტალღები კაკლის ნაჭუჭივით გადააბრუნებდა ჩვენს ნავს.

ადელე კიჩოზე წამოსკუპდა და ტალღების აყოლებით ირწეოდა ხან ზევით, ხან ქვევით. უცებ ბოღმა ყელში მომაწვა, შიშით რომ ვერ გავუბედე თქმა, საბანაო კოსტიუმი ჩაეცვა, და გაგულისებულმა ვუამბე, თუ როგორ შევხვდი წინადღით ჯულიას და როგორ მოიქცა ჯულია, როცა ცილი დავწამე. თან ნიჩბებს ვუსვამდი, თან ჯულიას ამბავს ვუყვებოდი. ნავი ტალღებზე ქანაობდა, ადელე გულისყურით მისმენდა, სათქმელი რომ დავამთავრე, მომიბრუნდა:

- ცდები, ჯინო. ჯულიაა ყველაფერში დამნაშავე... იმან მიგატოვა.

მთელი ძალით დავკარი ჩვენკენ წამოსულ ყველზე დიდ ტალღას ნიჩაბი და გაცეცხლებულმა შევძახე:

- საიდან მოიტანე, ვინ გითხრა? ერთ საღამოს მე თვითონ ვაგრძნობინე ჯულიას, რომ აღარ მიყვარდა... ისიც კი მახსოვს, სად იყო ეს... ტიბრის სანაპიროზე.

- როგორც ყოველთვის, ახლაც ხსოვნა გღალატობს...- მზაკვრული კილოთი მიპასუხა ადელემ. - ჯულიამ მიგატოვა... ასე ამბობს, საშინელი ხასიათი აქვსო... ეს ხომ მართლაც ასეა... ჯულიას არც კი უფიქრია შენზე გათხოვება.

- ვინ გითხრა?

- ვინ და თვითონ... ჩვენი ჯვრისწერის რამდენიმე დღის შემდეგ შემხვდა და ასე მომახსენა.

- ტყუი... ალბათ უნდოდა დაემალა, რომ ჩემზე გულნატკენია. ის ხომ პირში ჩალაგამოვლებული დარჩა.

- ნუღარ მეკამათები, ჯინო. აშკარაა, რომ ჯულიამ მიგატოვა... დედამისმაც ასე მითხრა.

- მე კი გეუბნები, რომ ისინი ტყუიან. მე მივატოვე, გაიგე, მე!

- არა, იმან მიგატოვა.

არ ვიცი, რა ეშმაკი შემიჩნდა იმ წუთში, ყველაფერს მოვითმენდი, ამის ატანა კი ვერ შევძელი. უთუოდ ჩემმა მამაკაცურმა თავმოყვარეობამ მიბიძგა. უცებ ნიჩბებს ხელი ვუშვი, წამოვფრინდი და დავიღრიალე:

- არა, არა! მე მივატოვე, მე. გეყოფა ამაზე დავა... იცოდე, თუ კიდევ კრინტი დაგიძრავს, აი ამ ნიჩაბს ჩაგცხებ თავში.

- აბა, ერთი სცადე! - წამოიქოჩრა ადელეც. - ასე მწარედ თუ მოგხვდა გულზე, მაშ, ჯულია მართალი ყოფილა. თუმცა, თვითონაც კარგად იცი, რომ ჯულიამ მიგატოვა.

მთელი ტანით ამართული ვიდექი შუა ნავში და რაც ძალი და ღონე მქონდა, ვღრიალებდი, რომ ტალღების ხმაური დამეფარა: „მე მივატოვე, გესმის, მე!“ ნიჩბებდაშვებულ ნავს ტალღები აქანავებდნენ და მე ვერც კი შევნიშნე, როგორ შებრუნდა ნავი ტალღებისკენ. ადელეც წამოხტა, ხელები პირთან მიიტანა და სახეში ჩამძახა:

- ჯულიამ მიგატოვა, ჯულიამ!

სწორედ იმ წუთში გამჭვირვალე, ვეებერთელა მწვანე ტალღა წამოიქოჩრა და თავზე დაგვემხო.

წყალში ტყაპანი რომ მოვადინე, იმის გაფიქრება მაინც მოვასწარი, ჩვენს ბედზე ტალღამ ნავი არ გადააბრუნა-მეთქი, და ფსკერისკენ წავედი.

კარგა ბლომად ვყლაპე წყალი, გაჭირვებით ამოვიყურყუმელავე და ადელეს დავუწყე ძახილი, მაგრამ ადელე არსად ჩანდა. ცარიელი ნავი ტალღებს შორს გაეტაცნათ, ისევე დავიწყე ძახილი და ნავისკენ გავცურე. არ მესმოდა, რას ვშვრებოდი, ყოველი ახალი ტალღა თანდათან მაშორებდა ნავს. ბოლოს მივხვდი, ტყუილ უბრალოდ მივდევდი ნავს და კვლავ ადელეს დავუწყე ძებნა, მაგრამ ირგვლივ ტალღების მეტი არაფერი ჩანდა. შემეშინდა არ დავიხრჩო-მეთქი და ნაპირისკენ გავცურე. ნაპირიდან ჯერ კიდევ შორს ვიყავი, ფსკერს რმ შევეხე ფეხით. შევდექი და მიშველეთ-მეთქი, მოვრთე ყვირილი, ნაპირიდან მაშინვე დაიძრა ნავი და ჩემკენ წამოვიდა, ვიდრე ნავი მომიახლოვდებოდა, სულ გარშემო ვიხედებოდი და ადელეს ვეძებდი, მაგრამ ზღვის ზედაპირზე არაფერი ჩანდა ჩვენი ცარიელი ნავის მეტი.

ვერსად თვალი ვერ მოვკარი ადელეს, ტირილი წამსკდა და ჩემთვის ჩურჩულით ვიმეორებდი: - ადელე, ადელე.

„არა, იმან მიგატოვა, იმან!“ შემესმა უცებ, თითქოს ადელეს ხმა ჰაერში დაჩა და ისევ მეკამათებოდა.

მთელი სამი საათი ვეძებეთ ადელე, მაგრამ ამაოდ. ვერც იმ დილით, ვერც შემდეგ დღეებში ადელეს გვამი ვერსად ვიპოვეთ.

ასე დავქვრივდი. ერთი წელი რომ გავიდა, გამბედაობა მოვიკრიფე და ჯულიასთან წავედი. დედამისმა სასტუმრო ოთახში შემიყვანა. როგორც კი გამოვიდა ჯულია, მაშინვე ვუთხარი:

- ჯულია, იცი რისთვის მოვედი?.. ცოლად არ გამომყვები?.. ჯულია

სიხარულით წამოენთო და მშვიდი ხმით მითხრა:

- უარს არ გეუბნები, მაგრამ... ჯერ დედას მოელაპარაკე.

ჯულიას პასუხმა გამაოცა. შემდეგში ხშირად ვიხსენებდი, თითქოს ეს იყო ჩვენი მომავლის წინასწარმეტყველება- „უარს არ გეუბნები, მაგრამ...“

ერთი სიტყვით, ჩვენ შევუღლდით და, თუ გინდათ ნახოთ შეხმატკბილებული წყვილი, მოდით, გეთაყვა, ჩვენს სანახავად. ჯულია დღესაც ისეთია, როგორც მაშინ, უარს არ გეუბნებიო, რომ მითხრა.

უგუნური

მცენარე მიწიდან თავს რომ ამოჰყოფს, სულ ადვილი გგონიათ მისი ამოგლეჯა. მაგრამ აბა სცადეთ. ამოსწევთ თუ არა, მაშინვე დარწმუნდებით, რომ არც ისე იოლი საქმეა, რადგან მცენარეს ღრმად გაუდგამს ფესვები. ასევეა ადამიანიც, დაუფიქრებლად თითქმის არასოდეს არაფერს აკეთებს, მისი ყოველი მოქმედება კანონზომიერია. პირველად ამ წერილის დაწერა ექვსი თვის წინათ განვიზრახე. დიახ, სრული ექვსი თვე გავიდა მას იქეთ, რაც ერთმა სინიორმა, კასიოს შარაგზაზე, მეოცე კილომეტრზე ვილა წამოიჭიმა. ბორცვის თავზე განმარტოებით წამოსკუპებული ვილა რომ დავინახე, სწორედ მაშინ გავიფიქრე, წერილს დავწერ-მეთქი. იმ პერიოდში თავი სხვადასხვა ფილმებით და კომიქსებით მიღებული შთაბეჭდილებით მქონდა გატენილი, და გარდა ამისა, სულითა და გულით მინდოდა სანტინა რითიმე გამეკვირვებინა. სანტინა რკინიგზის დარაჯის შვილია, ემი კბილაა, ლამაზი, მაგრამ ტუტრუცანა გოგო. ყოველ შემთხვევაში მაშინ მე სანტინა ლამაზი მეგონა. ერთ საღამოს სანტინასთან ერთად შარაგზაზე რომ ვსეირნობდი, ვილაზე მივუთითე და დავიტრაბახე:

- ამ მოკლე ხანში ვილის პატრონს მუქარის წერილი უნდა მივწერო.

- რა, მუქარის?

- უნდა დავაშინო... ან მომცემ ამდენსა და ამდენს, ან არადა სულს გაგაფრთხობინებ.

- განა ეს აკრძალული არ არის? - მკითხა სანტინამ.

- რასაკვირველია, აკრძალულია... მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? წერილში დასახელებული იქნება ადგილი, სადაც სინიორმა ფული უნდა დადოს... რას იტყვი ამაზე, ჰა?

ამით მინდოდა სანტინა გამეკვირვებია, მაგრამ სანტინამ ისე მიიღო ეს ამბავი, როგორც ყოვლად ბუნებრივი რამ, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე მშვიდი ხმით მითხრა:

- მე თუ მკითხავ, მომწონს შენი სიტყვა... მაინც რამდენი უნდა გამოცინცლო? სანტინა

ამით ვერ გავაკვირვე და ნირწარმხდარმა ვუპასუხე:

- არ ვიცი, ასი ან ორასი ათასი ლირი!

- შენი გულისა! - ტაში შემოჰკრა სანტინამ. - მერე მე რას მიყიდი?

- კარგ საჩუქარს.

- ჩქარა დაწერე, რაღას უცდი?

- დამაცა, ჯერ კარგად უნდა მოვიფიქრო.

ასე ხუმრობა-ხუმრობაში დავპირდი სანტინას მუქარის წერილის დაწერას.

ვილის პატრონს საკუთარი მანქანა ჰქონდა. ხშირად ჩაივლიდა ხოლმე დედაჩემის ბოსტნეულისა და ხილის დუქნის წინ, სტორტაზე. სქელი, ზორზოხა, მელოტი კაცი იყო. კარნავალზე მუყაოს აჭრელებულ ვეება ცხვირს რომ იკეთებენ, სწორედ ასეთი ცხვირი აჯდა სახეზე და პატარა ჯაგრისებრი ულვაში ჰქონდა, ელამიც გახლდათ. დღენიადაგ აქლემის ბეწვის თბილი პალტო ეცვა, ნამდვილი დათვი იყო. ეს სინიორი სუნამოს ამზადებდა, თავისი ვილის სარდაფში ჰქონდა ლაბორატორია მოწყობილი. მისი სარდაფის ფანჯრებიდან სულ ნაირ-ნაირი ესენციის სუნი ამოჩქეფდა.

რატომღაც სრულიად უმიზეზოდ მძულდა ის კაცი და უფრო იმიტომ მინდოდა მისთვის მუქარის წერილი გამეგზავნა, მაგრამ, მიუხედავად ამ სიძულვილისა და სანტინას წაქეზებისა, სანტინა თავს მაბეზრებდა ათასი ბოდვით, მაინც ვერასოდეს ვერ გავბედავდი ამგვარი წერილის დაწერას, იმ ხანებში რომ სამ შენიღბულ კაცს სწორედ ვილის მახლობლად არ გაეძარცვა მგზავრები...

გაზეთები ამ შემთხვევას დაწვრილებით აღწერდნენ. თავს დაესხნენ რომაელ კომერსანტს, რომელიც საკუთარი მანქანით მიდიოდა. კომერსანტი ცდილა მთელი სისწრაფით წაეყვანა მანქანა, მაგრამ მისთვის უსვრიათ და ზედ საჭეზე მოუკლავთ. მისი მგზავრები კი პირწმინდად გაუქურდავთ. მანქანა თხრილში ჩაჩეხილა.

- ახლა სწორედ ხელსაყრელი დროა წერილის მისაწერად, - ვუთხარი იმ საღამოსვე სანტინას.

- რატომ? - გაუკვირდა მას.

- იმიტომ, რომ ჩვენ შეგვიძლია ისე მოვაწყოთ საქმე, თითქოს წერილი ერთ-ერთი შენიღბული მძარცველის დაწერილია... ამ ისტორიის შემდეგ სინიორი ნამდვილად შეშინდება და ფულებს ჩამოყაჭავს.

სანტინა აღტაცებით შემომყურებდა, მეც გავთამამდი და ტრაბახად ვიქეცი.

- იცი რას გეტყვი, სანტინა? ქვეყნად არც გულადობაა და არც ლაჩრობა... არის მხოლოდ გონიერება და უგუნურება. გონიერება იგივე ლაჩრობაა, უგუნურება კი გულადობა. ახლა ეს სინიორი უგუნურია, რადგან არ ესმის, რომ ასეთ უკაცრიელ ადგილზე დასახლება საშიშია. აქ,

ვინც კი მოისურვებს, ყველას შეუძლია თავს დაეცეს და გაძარცვოს. შეიძლება სინიორს ესმის კიდევაც, მაგრამ ჯერ შიში არ უწვნევია და არხეინად არის... ერთი სიტყვით, ახლა ის უგუნურია, ესე იგი- გულადი. მე კი ჩემი წერილით ხელად გონს მოვიყვან, ესე იგი, ლაჩრად ვაქცევ... შიში რომ აიტანს, მოეჩვენება, ყოველი მხრიდან საფრთხე მიდარაჯებსო, და ფულს მოაცუნცულებს.

ამ საქმეზე ერთი და ორი თვე კი არა, უკვე კარგა ხანია ვფიქრობდი, ამიტომ ვლაპარაკობდი ისე თავისუფლად, გეგონებოდა წიგნში კითხულობსო.

- როგორ მოიფიქრე ყველაფერი? ნამდვილი ჭკუის კოლოფი ხარ! - წამოიძახა აღტაცებით სანტინამ.

- რა დიდი ამბავია. გეტყობა, კარგად ვერ მიცნობ, - გავიბღინძე მეც.

ნათქვამია, ვიდრე თორნე ცხელია, პური მანამ ჩააკარიო. მეც აღარ დავაყოვნე და სანტინასთან ერთად შევედი დუქანში, მაგიდას მივუჯექი და წერილი გავაშანშალე. „არამზადავ, კარგა ხანია თვალს გადევნებთ, შენი ასავალ-დასავალი შევისწავლეთ და კარგად

ვიცით, რომ ფულით ხარ გატენილი. თუ არ გინდა შენც ვიკარიოს ბედი გეწიოს, ასი ათასი ლირი ჩადე კონვერტში და ორშაბათს, ესე იგი, ხვალ, შუაღამისას, კასიოს შარაგზაზე, მეცამეტე კილომეტრის აღმნიშვნელ ბოძთან, ქვის ქვეშ ამოდე ნიღბოსანი კაცი“.

ვიკარიო იმ კომერსანტს ერქვა, ამას წინათ რომ მოკლეს. სანტინას მადა გაეხსნა, ბარემ ერთი მილიონი ლირი მოვთხოვოთ სინიორსო. მე ავუხსენი, ეს შეუძლებელია-მეთქი, რადგან მილიონის გულისათვის კაცმა შესაძლოა თავი საფრთხეში ჩაიგდოს, ასი ათასისთვის თავის გაფუჭება კი დაენანება.

სანტინა გამომემშვიდობა და შინ წავიდა. მე ერთ ხანს კიდევ ვწრიალებდი მოედანზე, როცა დაბინდდა, შევჯექი ჩემს ველოსიპედზე და სინიორის ვილისკენ გავუტიე.

ზამთარი იდგა, ტრამონტანა ქროდა, მეწამულ, თითქოს გაყინული ცის ფონზე ნახშირივით ჩაშავებული ხეები უფრო შავად მოჩანდნენ, მათ იქით კი, უკვე ბინდში ჩაძირული მინდვრების სივრცე ბროლივით კრიალებდა, დიდი დრო არ დამჭირვებია, მალე ვილის ღობესთან ამოვყავი თავი. ველოსიპედიდან არც ჩამოვმხტარვარ, ხელი მოვკიდე ერთ-ერთ პილასტრს და წერილი საფოსტო ყუთის ხვრელში ჩავუშვი. სწორედ იმ წუთში, მოსახვევში, სინიორის მანქანა გამოჩნდა.

ხელად საჭეზე დავიხარე და პედალები ავამუშავე. ვიდრე მოსახვევს მივაღწევდი, სინიორის მანქანამაც ჩამიქროლა, ქარამრიდ მინაში ხეირიანად ვერ გავარჩიე მისი სახის გამომეტყველება, სინიორს კი თავისუფლად შეეძლო ჩემი დანახვა.

სტორტამდე გიჟივით მივაქროლებდი ველოსიპედს, ასე მეგონა, მხოლოდ ეს გიჟური ქროლვა მიხსნიდა შიშისაგან, რომელმაც შემიპყრო, მაგრამ ამან ვერ მიშველა. დუქანში შევედი თუ არა, დედამ შეშფოთებით მკითხა, რა დაგემართა, ავად ხომ არ გახდიო. ჰო, ცოტა შეუძლოდა ვარ, ვახშამი არ მინდა-მეთქი, ვუპასუხე დედას და ჩემს ოთახს მივაშურე.

ოთახში შევედი, როგორც ვიყავი ჩაცმულ-დახურული, ისე მივეგდე საწოლზე და მწარე ფიქრებს მივეცი თავი. ახლაღა მივხვდი, ამდენ უგუნურთა შორის მხოლოდ მე ვიყავი გონიერი, და თუ მალე მეც უგუნური არ გავხდებოდი, შიშით სული გამძვრებოდა. მაგრამ როგორ, როგორ უნდა გავმხდარიყავი უგუნური. ამის მოფიქრება არც ისე ადვილი საქმეა. დარწმუნებული ვიყავი, რომ სინიორმა დამინახა,

როგორ ჩავაგდე წერილი ფოსტის ყუთში და, რა თქმა უნდა, მიცნო კიდევაც, რადგან სტორტაზე დღეში ორჯერ მაინც ჩაივლიდა ხოლმე. მე კი მუდამ ან დედაჩემის ხილის კალათებთან ვყურყუტებდი, ან მოედანზე დავტორღიალებდი ჩვენი უბნის ბიჭებთან ერთად. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ჭორფლიანი სახე, წითური თმა და ცხვირზე წამოცმული სათვალე ისეთი შესამჩნევი ნიშნებია, რომ მთელს სტორტაში ჩემი მსგავსი მეორე არ მოიპოვებოდა.

იქნებ სინიორმა ჩემი სახელი არ იცოდა, მაგრამ საკმარისი იყო კარაბინერების სერჟანტთან ერთად მისულიყო და ეთქვა: „გუშინ მივიღე აი ეს წერილი, რომელიც ასეთმა და ასეთმა ყმაწვილმა ჩააგდო ყუთში“, რომ სერჟანტი უმალ წამოიძახებდა: „ოჰო, ეს ხომ ემილიოა, ძალიან კარგი, საინტერესოა, საინტერესო. ახლავე მოვძებნით“. ჰოდა, მოვლენ დედაჩემის დუქანში, შიშით აკანკალებულს გამომათრევენ კალათებში დამალულს და მეტყვიან: „აბა ერთი მოგვახსენე, ემილიო, გუშინ საღამოს ექვს საათზე სად ბრძანდებოდი?“. დავუშვათ, მე ვუთხარი, რომ ამ დროს სანტინასთან ვიყავი რკინიგზის ჯიხურში. ხელად უხმობენ სანტინას. ის კი, რა თქმა უნდა, თავი რომ არ შეირცხვინოს, იტყვის: „ჩემთან? რასა ბრძანებთ. თვალითაც არ მინახავს“. სერჟანტი ისევ მომიბრუნდება: „ემილიო, მე თვითონ გეტყვი, სად იყავი გუშინ საღამოს... სინიორ სორიზოს ვილასთან... ეს წერილი სწორედ შენ ჩააგდე ფოსტის ყუთში“. მიუხედავად ჩემი პროტესტისა, სინიორ სორიზო ბრალდებას დაადასტურებს, სერჟანტი ხელბორკილს დამადებს და ციხეში მიკრავს თავს. და რადგან ერთ უბედურებას მუდამ მეორე მოსდევს, ვიკარიოს მოკვლასაც მე დამაბრალებენ.
დაიწყება დიდი პროცესი: „ვია კასიოს შარაგზის ბანდიტი!“, „სტორტას ურჩხული“, „მკვლელი მეცამეტე კილომეტრიდან!“ და ამგვარი ჩინებული დახასიათებით, რა თქმა უნდა, ოცი-ოცდაათი წელი კატორღა არ ამცდება.

ჩემი ოთახის ფანჯარა მინდორში გადიოდა, მთვარე ჩახჩახებდა და ოთახში ისეთი შუქი იდგა, რომ დღესავით ნათელი იყო იქაურობა. ორი-სამი საათი ასე ვტრიალებდი შამფურივით, ვერც შიში გადავიყარე, ვერც თვალი მოვხუჭე. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ის მტანჯავდა, რომ საქმე ჩემს წინააღმდეგ შეტრიალდა. ლაჩარი სინიორი კი არ იყო, მე გამოვდექი; მე ვიქნები ბრალდებული და არა ნამდვილი დამნაშავე, რადგან ვიკარიოს სიკვდილს მე მომაწერენ.

ერთ ხანს გულის დაარხეინებაც ვცადე. ჩემს თავს ვუთხარი, რა იყო, მაინც რა მოხდა ისეთი? არაფერი, ანდა, თითქმის არაფერი. სინიორ სორიზო თავისი მანქანით მოდიოდა, როცა მე წერილს ყუთში ვაგდებდი. მაგრამ ისევ ეჭვმა გამკრა, ეს საკმარისია, რომ ყველაფერი სხვაგვარად შეტრიალდეს-მეთქი.

გადაწყვეტილი მქონდა, რადაც უნდა დამჯდომოდა, წერილი დამებრუნებია, თუნდაც ამისათვის სინიორს ფეხებში ჩავვარდნოდი და პატიება მეთხოვა. მაგრამ საქმე მაინც არ მივიდა აქამდე. როგორც კი ავბობღდი ღობეზე და ეზოში გადავიხედე, ღობის ძირში, მიწაზე ჩემი წერილი ეგდო. ჭიშკარში ფოსტის ყუთისთვის ხვრელი კი იყო დატოვებული, მაგრამ ყუთი ჯერ არ ჰქონდა თურმე გაკეთებული და სინიორმა ეზოში შესვლისას ჩემი წერილი ვერ შენიშნა. სიხარულით გულაფანცქალებული გადავხტი ეზოში, წერილი ავიტაცე და შინისკენ მოვუსვი.

მეორე დღეს მოედანზე რომ გავედი, სანტინამ მკითხა, რა ჰქენი, ჩააგდე წერილი, თუ არაო.

- არ ჩამიგდია და არც ჩავაგდებ, - ვუპასუხებ.

- რატომ? ყველაფერი ხომ მზად იყო! - წამოიძახა იმედგაცრუებულმა სანტინამ.

- აკი გეუბნებოდი, სანტინა, რომ ადამიანი მანამდეა გულადი, ვიდრე უგუნურია. ჰოდა, გუშინ იცი რა დამემართა, უგუნურიდან უცებ გონიერად ვიქეცი.

- იდედლე, არა? - ზიზღით მითხრა სანტინამ.

- ასეა თუ ისეა, მე მაინც მართალი ვარ. გულადობა უგუნურებაა.

- მერე, ახლა რას აპირებ?

- რასა და, ვიდრე ისევ უგუნური არ გავხდები, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

იმედგაცრუებულმა სანტინამ, უკვე ასიათასზე რომ ოცნებობდა, თვალით აღარ დამენახოო, მითხრა, ზურგი შემაქცია და წავიდა. მას აქეთ, შემხვდება თუ არა, დაცინვით მეტყვის ხოლმე:

- რაო, საშველი არ დაგადგა, ჯერაც ვერ გახდი უგუნური?

საცდელი გადაღება

მიუხედავად იმისა, რომ მე და სერაფინო სულ სხვადასხვა ხელობისა ვართ, მაინც ვმეგობრობთ. სერაფინო შოფერია, ერთ მრეწველთან მუშაობს, მე კი ოპერატორი და ფოტოგრაფი გახლავართ.

არც გარეგნობით ვგავართ ერთმანეთს, სერაფინოს ჩვილი ბავშვივით ვარდისფერი პირისახე აქვს, ქერა, ხუჭუჭა თმა და გადმოკარკლული, უტიფარი ცისფერი თვალები. მე შავგვრემანი გახლავართ, ღრმად ჩამჯდარი შავი თვალები მაქვს, სერიოზული გამომეტყველება, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეჰფერის, მაგრამ მთავარი განსხვავება მაინც ჩვენს ხასიათშია: სერაფინო ტყუილის გუდაა, მე კი ტყუილი მძაგს და არც მეხერხება.

ერთ კვირა დღეს სერაფინომ დამირეკა, საქმე მაქვს შენთანო. ხმაზე შევატყე, რომ რაღას იცუღლუტა და მახეში იყო გაბმული. მაშინვე კოლონის მოედანზე გავეშურე, იქ, კაფეში უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. დიდხანს არ დამჭირვებია ლოდინი. მალე მოგრიალდა სერაფინო არასერიოზული გამოშვების ბრწყინვალე მანქანით. სერაფინოს პატრონის იყო მანქანა, რომელიც იმ დროს რომში არ იმყოფებოდა. სერაფინომ ისე ამაყად დამიქნია ხელი, თითქოს საკუთარ მანქანაში ზისო.

შორიდანვე შევნიშნე, რომ განსაკუთრებით კოპწიად გამოწკეპილიყო. ყვითელი ველვეტის ვიწრო, მოკლე შარვალი და უკან გაჭრილი პიჯაკი ეცვა, ყელზე ფერადი ყელსახვევი მოეგდო. არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ ყავახანაში რომ შემოვიდა და მაგიდას მოუჯდა, რაღაც უსიამოვნოდ ამეღრინა გული.

- სერაფინო, დღეს ნამდვილ სინიორს გავხარ, - ვუთხარი დაცინვით.

- დღეს მართლაც ნამდვილი სინიორი ვარ, - მრავალმნიშვნელოვნად მომიგო სერაფინომ.

უცებ ვერ ჩავწვდი მისი პასუხის აზრს.

- მანქანა სად იშოვე? ტოტალიზატორში ხომ არ მოიგე?

- არა, ჩემი პატრონის ახალი მანქანაა, - მოჩვენებითი გულგრილობით მიპასუხა მან. ერთი წუთი ჩაფიქრდა და მერე განაგრძო: - ყური მიგდე, მარიო. საცაა აქ ორი სინიორინა მოვა. ხომ ხედავ, მე შენთვისაც ვიზრუნე. ეს ქალიშვილები კარგი ოჯახიდან არიან, რკინიგზის ინჟინრის შვილებია... შენ პროდიუსორი ხარ... გესმის? აბა, არ დამაღალატო.

- საინტერესოა, შენ ვინღა ხარ? - აკი გითხარი, დღეს მე სინიორი ვარ. ცივად

  წამოვდექი.

- რა იყო, მიდიხარ? - შეშფოთებით მკითხა სერაფინომ.

- დიახ, მივდივარ. ხომ იცი, რომ ტყუილი არ მიყვარს. ნახვამდის. გისურვებ დრო კარგად გაგეტარებიოს.

- მოიცა, მარიო... არ დამღუპო.

- ნუ გეშინია, არ დაიღუპები.

- მოიცა-მეთქი. იმ ქალიშვილებს შენი გაცნობა უნდათ.

- მე კი არ მინდა მათი გაცნობა.

კარგა ხანს ვდავობდით. მე ვიდექი, ის იჯდა. ბოლოს ჩვენი დავა იმით დამთავრდა, რომ მე, როგორც კარგ მეგობარს მართებს, დავყაბულდი, ოღონდ წინასწარ გავაფრთხილე:

- დავრჩები, მაგრამ ვერ შეგპირდები, რომ ტყუილს ბოლომდე შეგინახავ.

სერაფინო ყურს აღარ მიგდებდა, თვალი სულ გზისკენ ეჭირა. უცებ სიხარულით შესძახა:

- აი, ისინიც.

ჯერ მხოლოდ სქელი, ხუჭუჭა თმის ორი დიდი ბულული დავინახე. მერე იმ ბულულებს ქვემოთ გაჭირვებით გავარჩიე ორი გაწვიტინებული სახე, ბარტყებივით რომ გამოიყურებოდნენ ამ თმის ბულულებში. კოხტა გოგონები იყვნენ, წვრილი, წერწეტა წელი, მკერდი და თეძოები - სავსე. ჯერ ტყუპები მეგონა. იქნებ იმიტომ მომეჩვენა ასე, რომ ორივე ერთნაირად იყო გამოწყობილი. კუბოკრული ქვედა კაბები, შავი ნაქსოვი კოფთები და წითელი ფეხსაცმელი ეცვათ, ხელში წითელი საფულე ეკავათ. სერაფინო წამოხტა და დიდი ამბით გაგვაცნო ერთმანეთი:

- ჩემი მეგობარი მარიო, პროდიუსორი. სინიორინა ირისი, სინიორინა მიმოზა.

ქალიშვილები დასხდნენ. სერაფინო ირისს თავს ევლებოდა და მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს იყო მისი რჩეული, მიმოზა კი ჩემთვის განკუთვნილი.

არა, ირისი და მიმოზა ტყუპები არ იყვნენ. მიმოზა უკვე ოცდაათ წელს გადაცილებული იქნებოდა და მოღლილი, თითქმის ულამაზო სახე ჰქონდა: ფართო პირი, გრძელი ცხვირი, წინ წამოდგმული ნიკაპი. ირისს ოც წელს თუ მისცემდით. ძალიან სანდომიანი გოგონა იყო. ორივეს დაწითლებული და დახეთქილი ხელები ჰქონდათ, როგორ მუშა ქალებს აქვთ ხოლმე და არა სინიორინებს. ქალიშვილების მოსვლის შემდეგ სერაფინომ მთლად დაკარგა ჭკუა, თავაზიანი საუბარი გაუბა: ძალიან მიხარია თქვენი ნახვაო. რა კარგად მოგკიდებიათ მზეო, ზაფხული სად გაატარეთო და სხვა ამისთანები.

- ვენ... - დაიწყო მიმოზამ, მაგრამ ირისმა შეაწყვეტინა:

- ვიარეჯოში! ქალიშვილებმა ერთმანეთს გადაჰხედეს და ჩაიხითხითეს.

- რა გაცინებთ? - ჰკითხა სერაფინომ.

- ნუ მიაქცევთ ყურაღებას, - უთხრა მიმოზამ, - ჩემი და მეტისმეტი ცეტია... ჩვენ ჯერ ვენეციაში გახლდით, სასტუმროში ვცხოვრობდით. მერე ვიარეჯოში გავემგზავრეთ, იქ საკუთარი ვილა გვაქვს.

ხელად შევატყვე, ტყუოდა. თვალდახრილი გველაპარაკებოდა. ეტყობოდა, ჩემსავით არც მიმოზას ეხერხებოდა ტყუილები. შემდეგ უფრო თამამად განაგრძო:

- სინიორ მარიო, თქვენ პროდიუსორი ხართ?... სერაფინომ გვითხრა, საცდელად გადაგიღებთო ჩემი მეგობარი.

ძალიან მეწყინა ეს ამბავი და სერაფინოს წყრომით გადავხედე, მაგრამ მან თვალი ამარიდა.

- იცით რა, სინიორინა, - მივმართე მიმოზას, - საცდელი გადაღება რაღაც პატარა ფილმის მსგავსია. ამისათვის საჭიროა მომზადება, ოპერატორი, რეჟისორი და კინოსტუდია. ასე სახელდახელოდ ამის გაკეთება არ შეიძლება. სერაფინოს ამ საქმისა არაფერი გაეგება... მაგრამ მე მაინც ვეცდები ამ დღეებში...

- ჰმ, ამ დღეებში, ეს იმას ნიშნავს, რომ არასოდეს არ გადაგვიღებთ.

- არა, სინიორინა, გარწმუნებთ...

- გთხოვთ, გეთაყვა, თუ შეიძლება, ახლავე გადაგვიღეთ.

მიმოზა ჩემს მოხიბვლას ცდილობდა, მხარზე მომეკრა, ხელი მომკიდა და ნაზი ხმით მეჩურჩულებოდა. როგორც ჩანდა, სერაფინომ დაპირებით თავბრუ დაახვია. ერთხელ კიდევ ვცადე დამეჯერებინა მიმოზა, რომ ასე ჰაიჰარად, სრულიად მოუმზადებლად, საცდელი გადაღება შეუძლებელი იყო. ბოლოს, როგორც იყო მიხვდა, ხელი გამიშვა და ირისს მიუბრუნდა:

- აკი გეუბნებოდი, ამ საქმიდან არაფერი არ გამოვა-მეთქი. ახლა რაღა ვქნათ? შინ წავიდეთ? ირისი არ ელოდა საქმის ასე დაბოლოებას. ძალიან ეწყინა და დაბნევით თქვა:

- შინ რა გვინდა, დავრჩეთ და საღამომდე ამათთან გავატაროთ დრო!

- რა თქმა უნდა, - ხელად ჩამოართვა სიტყვა სერაფინომ... - გინდათ, მანქანით გაგასეირნებთ?

- განა მანქანა გაქვთ? - იკითხა თითქმის ბედს შერიგებულმა მიმოზამ.

- აგერ!

ქალიშვილებმა მიიხედეს, მანქანა რომ დაინახეს, მიმოზა უკვე სულ სხვა ჰანგზე ამღერდა:

- კარგი, რახან ასეა, გავისეირნოთ. ყავახანაში მოწყენილობაა. წამოვდექით. ირისი სერაფინოს წინ მიდიოდა, მიმოზა მე მომიახლოვდა და მითხრა:

- ხომ არ გეწყინათ? იცით რა, ჩვენ უკვე იმდენჯერ გაგვაწბილეს, რომ... მაშ, ასე, გადაგვიღებთ, არა?

როგორც ჩანდა ჩემმა ცდამუნაყოფოდ ჩაიარა. მიმოზა ისევ თავისას გაიძახოდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, მიზნისათვის უნდა მიეღწია. არაფერი მითქვამს, მანქანაში მის გვერდით დავჯექი უკანა სკამზე. სერაფინო და ირისი წინ დასხდნენ.

- სად წავიდეთ? - იკითხა სერაფინომ. მიმოზა ისევ მე მომეკრა, ხელი მომკიდა და

ხმადაბლა მითხრა:

- ქენით სიკეთე, სინიორ მარიო, უთხარით სერაფინოს, რომ კინოსტუდიაში წაგვიყვანოს... გევედრებით, გადაგვიღეთ, რა!..

ბრაზით ენა დამება. მიმოზამ ჩემი დუმილით ისარგებლა და უფრო ხმადაბლა დაუმატა:

- თუ თხოვნას ამისრულებთ, სინიორ მარიო, მე თქვენ გაკოცებთ, გესმით? უცებ

მშვენიერმა აზრმა გამიელვა თავში.

- სჯობს სერაფინოსთან წავიდეთ... საუცხოო ბინა აქვს... იქ ორივეს კარგად დაგათვალიერებთ და გადაწვეტით გეტყვით, ღირს თუ არა თქვენი გადაღება.

სერაფინომ თვალი დამიბრიალა. მართალია, პატრონის მანქანა თავისად გაასაღა, მაგრამ მის ბინაში სტუმარი არასოდეს მიუყვანია.

- შინ ჯდომას ქალაქში სეირნობა არა სჯობს? - ჩაილაპარაკა სერაფინომ.

მაგრამ ქალიშვილები ჩააცივდნენ, განსაკუთრებით მიმოზა:

- არავითარი გასეირნება. ჩვენ საცდელ გადაღებაზე უნდა მოვილაპარაკოთ.

მეტი რა გზა ჰქონდა სერაფინოს! ძალაუნებურად უნდა დათანხმებოდა და ჩვენ მთელი სისწრაფით გავექანეთ პარიოლის უბნისკენ, სადაც ცხოვრობდა მისი პატრონი. მთელი გზა მელაქუცებოდა მიმოზა, ნაზი, შემპარავი ხმით მელაპარაკებოდა. ყურს ვუგდებდი და ერთი და

იგივე სიტყვები ლურსმნებივით მესობოდა თავში: „საცდელი გადაღება...“, „გადაგვიღეთ“, „საცდელი გადაღება!..“

ბოლოს პარიოლიც გამოჩნდა თავისი მდიდრული ვილებით. აგერ სერაფინოს პატრონის ვილას, შავი მარმარილოთი მოპირკეთებული სადარბაზო შესასვლელი, სარკეებით მორთული წითელი ხის ლიფტი. ავედით მესამე სართულზე. ბნელოდა, ნაფტალინის სუნი იდგა, სერაფინომ მოიბოდიშა:

- მაპატიეთ, სახლი დაულაგებელია. ერთი ხანია შინ არ ვყოფილვარ.

შევედით სასტუმრო ოთახში. სერაფინომ ფანჯრები დააღო. დავსხედით რუხ შალითაგადაკრულ სავარძელზე, პიანინოს პირდაპირ, რომელსაც ინგლისური ქინძისთავებით დაბმული ზეწრები ჰქონდა გადაფარებული, მე ჩემი გეგმის განხორციელებას შევუდექი.

- სინიორინა მიმოზა, სინიორინა ირის. ახლა თქვენ ჩემს წინ გაიარ-გამოიარეთ, გაგსინჯავთ და გადავწყვეტ, ღირს თუ არა საცდელი გადაღება.

- ფეხები უნდა გიჩვენოთ? - იკითხა მიმოზამ.

- არა, საჭირო არ არის. ისე გაიარ-გამოიარეთ.

ქალიშვილები მორჩილად წამოდგნენ და გაკრიალებულ პარკეტზე რამდენჯერმე გაიარ-გამოიარეს. რასაკვირველია, იმის უარყოფა არ შეიძლებოდა, რომ ეს გოგონები, წვრილი წელით, სავსე მკერდით და თეძოებით, მიმზიდველები და ნაზები იყვნენ, მაგრამ ფეხები, ისევე როგორც ხელები, დიდი და უხეში ჰქონდათ, წვივები ოდნავ მრუდე, უშნო ფორმის. ასეთ ქალიშვილებს პროდიუსერები სტატისტებადაც არ აიყვანენ. ირისი და მიმოზა წინ და უკან მიმოდიოდნენ და, როცა ერთმანეთს შეეჩეხებოდნენ, ორივეს ხარხარი აუვარდებოდა ხოლმე.

- კმარა, დასხედით. ისინი დასხდნენ და მოლოდინით მომაჩერდნენ.

- ვწუხვარ, მაგრამ კინოსთვის არ გამოდგებით, - ვუთხარი მოკლედ და ცივად.

- რატომ?

- ახლავე აგიხსნით, - დავიწყე სერიოზული კილოთი, - ჩემი ფილმისთვის არ მჭირდება კოხტა,

ნაზი, არისტოკრატი ქალიშვილები, თქვენისთანები... მე მჭირდება უბრალო, გაუთლელი, მდაბიო გოგონები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, კიდევაც შეიგინებიან, გამომწვევი რხევით დადიან, ერთი სიტყვით, უხეშები, ცუდად გაზრდილები, გაუთლელები. თქვენ კი ინჟინრის შვილები ხართ, კარგი ოჯახიდან... აი, რატომ არ გამომადგებით. სერაფინოს გადავხედე. სავარძლის ზურგზე

გადაწოლილი, გაოცებით შემომყურებდა.

- ეგ არაფერია, სინიორ მარიო. ჩვენ შეგვიძლია ის გაუთლელი მდაბიო ქალები განვასახიეროთ.

- გარწმუნებთ, სინიორინა მიმოზა, არაფერი არ გამოგივათ. ზოგიერთი რამის განსახიერება შეუძლებელია, თუ თანდაყოლილი არ აქვს ადამიანს.

ჩამოვარდა დუმილი. მე ანკესი გადავაგდე და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ თევზი წამოეგებოდა. მართლაც, ერთი წუთის შემდეგ, მიმოზა წამოდგა, ირისთან მივიდა და ყურში რაღაც უჩურჩულა. ირისი ჯერ თითქოს უარზე იყო, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ბოლოს მაინც დაუთმო. მაშინ მიმოზამ დოინჯი შემოიყარა, თეძოების რხევით წამოვიდა ჩემკენ, მკერდში ლაზათიანად მკრა ხელი და მითხრა:

- შენ, ეი! დოყლაპიავ! როგორ ფიქრობ, ვისთან გაქვს საქმე?

არა, მიმოზა არ შეცვლილა, არ გარდაქმნილა, მან მხოლოდ თავისი ნამდვილი სახე დაგვანახვა.

- რკინიგზის ინჟინრის ქალიშვილებთან, - მივუგე სიცილით.

- არაფერიც! ჩვენ სწორედ ისინი ვართ, ვინც თქვენ გჭირდებათ... მთლად მდაბიო ქალიშვილები... ირისი მოახლეა, მე კი საავადმყოფოში ვმუშაობ მომვლელად.

- აკი საკუთარი ვილა გვაქვსო ვიარეჯოში?

- არავითარი ვილა ჩვენ არ გვაბადია. საბანაოდ და მზეზე გასაშავებლად ოსტიაში დავდივართ.

- კი მაგრამ, რატომ ტყუოდით? ირისმა გულწრფელად აღიარა:

- მე არ მინდოდა, მაგრამ მიმოზამ თქვა, მოდი, ერთი ეს დოყლაპია გავაცუროთო.

- ასე რომ არ გვეცრუა, სინიორ სერაფინო თქვენს თავს არ გაგვაცნობდა. მაშასადამე, ეს სიცრუე მაინც გამოგვადგა... ახლა რაღას იტყვით, მოგვიწყობთ საცდელ გადაღებას?

- ჩვენ უკვე ვცადეთ, - ვუპასუხე სიცილით, - და ამ ცდამ გვიჩვენა, რომ თქვენ კარგი, უბრალო გოგონები ხართ, მაგრამ... მოდით, თქვენს გულახდილობას

გულახდილობით ვუპასუხებ: არც მე ვარ პროდიუსორი, ოპერატორი და ფოტოგრაფი გახლავართ მხოლოდ. სერაფინო კი სულაც არ არის სინიორი, რომელიც მან გაითამაშა, ის შოფერია.

მიმოზა მხნედ შეხვდა იმედის გაცრუებას.

- რა გაეწყობა! განა არა, გული მიგრძნობდა, რომ რაღაც ამგვარი მოხდებოდა, - სევდიანად ჩაილაპარაკა მან. - ბედი არ გვწყალობს: საკმარისია ვინმე გავიცნოთ, რომ ის ან შოფერი გამოდგეს, ან რაღაც ამგვარი... წამო, ირის, წავიდეთ. გარინდებული სერაფინო უცებ გამოერკვა:

- მოიცათ, საით?

- მივდივართ, სინიორ ცრუპენტელა.

შემეცოდა ქალიშვილები, განსაკუთრებით ირისი, ეს კეთილი და სანდომიანი ქალიშვილი. ეტყობოდა, ძალიან ეწყინა, იმედი რომ გაუცრუვდა, თვალი აუწყლიანდა.

- ყური მიგდეთ, - ვუთხარი მე, - ჩვენ ოთხივე ვტყუოდით... მოდით, ეს ჩვენი სიცრუე ერთ საფლავში დავმარხოთ და ყველანი კინოში წავიდეთ... რას იტყვით ამაზე?

გაიმართა კამათი. ირისი მზად იყო დათანხმებულიყო. მაგრამ მიმოზა ჯერ კიდევ ბრაზობდა ჩვენზე, ამიტომ გაქირი გასწია. სერაფინო მთლად დაეცა სულით, კრინტი ვეღარ დაძრა, გამბედაობა აღარ ეყო, ეთხოვნა მათთვის. მაგრამ მე მაინც ჩემი გავიტანე და მიმოზა დავითანხმე.

- მართალია, მე მხოლოდ ოპერატორი ვარ და არა პროდიუსორი, მაგრამ იმას მაინც მოვახერხებ, რომ ერთ-ერთი კინორეჟისორის თანაშემწეს გავაცნო ირისი. ჩემი რეკომენდაცია, რა თქმა უნდა, დიდი არაფერია, მაგრამ მაინც... ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია... თქვენ, მიმოზა, არ გამოდგებით, ირისმა კი შეიძლება სცადოს ბედი.

ყველანი კინოში წავედით, ამჯერად ავტობუსით ვიმგზავრეთ. კინოში ირისი სერაფინოს მიეკრა. სერაფინო, მართალია, ცრუპენტელაა და მხოლოდ შოფერი გახლავთ, მაგრამ ირისს მაინც მოეწონა. მიმოზა კი ჯიუტად იმეორებდა ერთსა და იმავეს:

- მე ირისისთვის დედის მაგიერი ვარ, რას იტყვით, ლამაზი გოგონაა, არა? გახსოვდეთ, თქვენ დაპირდით და სიტყვა უნდა შეუსრულოთ... ვაი თქვენ, თუ პირობას გადახვალთ!

- წესიერ ხალხს არ სჩვევია სიტყვის შესრულება, - ვიხუმრე მე.

- თქვენ დამპირდით და შეასრულებთ კიდეც, - გაიმეორა მიმოზამ, - ირისს უნდა გადაუღონ საცდელი და უსათუოდ გადაუღებენ.

ჯირკი

პეპინო ქუჩაში რომ შემხვდება, სალამს აღარ მაძლევს, თავს მარიდებს. ერთ დროს კი განუყრელი მეგობრები ვიყავით. იმ ხანებში პეპინოს ვაჭრობაში ხელი გაემართა, ელექტრომოწყობილობის საკუთარ მაღაზიაში მუშტარი გამოულეველი ჰყავდა და კარგ ფულს აკეთებდა, მაგრამ მე განა იმიტომ ვმეგობრობდი პეპინოს, რომ კარგი შემოსავალი ჰქონდა. არა, სრულიად უანგაროდ. მეგობარი ვიყავი, მორჩა და გათავდა. სხვათა შორის, ჩვენ სამხედრო ვალდებულებაც ერთად მოვიხადეთ.

დაბალი იყო პეპინო, მხარბეჭიანი, მოკლე ფეხებს მტკიცედ ადგამდა, ნაბიჯი გამოკვეთილი ჰქონდა, თავი მაღლა აწეული ეჭირა, თითქოს ყველაფერი, ტანიც და თავ ხისა აქვსო. სახეც ხის გეგონებოდათ, მკვრივად გადატკეცილი პირისკანი გაუთოებულს მიუგავდა. მაგრამ რომ გაიცინებდა, ან თვალებს მოჭუტავდა, სახე ბებერივით უნაუოჭდებოდა.

საკმარისი იყო ერთხელ შეგეხედათ პეპინოსთვის სახეზე ამოიკითხავდით: „მე ჯირკი ვარ“. მართლა გასაოცრად ჰგავდა ჯირკს. ერთხელ ფერენჯოში სასეირნოდ წავედით მე, პეპინო და ერთი ქალიშვილი. ეს ქალიშვილი დიდი ეშმაკი ვინმე იყო, სულ ერთთავად დასცინოდა პეპინოს. კედარის ხეივანში რომ შევედით, ქალიშვილმა ძირს დაიხედა და წამოიძახა: - შეხედეთ, რამდენი პეპინოა აქ!

სიცილი წამსკდა, პეპინო კი, ის მართლა ჯირკი, ისა, ვერაფერს მიხვდა და ჰკითხა:

- არ მესმის, რისი თქმა გინდა?

- უჰ, რამდენი ჯირკია აქ. შეხედე, მთლად პეპინოებითაა მოფენილი აქაურობა, - მიუგო სერიოზულად ქალიშვილმა.

ჯირკი ხომ იყო და იყო პეპინო, ერთი ნაკლი კიდევ ჰქონდა - დიდების მოყვარული გახლდათ. ჩვეულებრივ, ჯირკები მედიდურნი არ არიან, პირიქით-თავმდაბალნი, მორიდებულნი, დინჯები და თავს არავის აბეზრებენ. პეპინო კი მედიდური იყო. მარტო მედიდური რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო, თუ კაცი მხოლოდ მედიდურია, უფრო სასაცილოა, ვიდრე მავნე, მედიდური ადამიანი ბავშვსა ჰგავს, მაგრამ დიდების მოყვარული ჯირკი მართლა დიდი უბედურებაა, ავ თვალზე მეტად უნდა უფრთხოდეს ადამიანი. პეპინო უფრო წვრილმანებით ამჟღავნებდა თავის ახირებულ ხასიათს. აი, მაგალითად, გეტყვით: ერთხელ მე და პეპინო როტონდოს მახლობლად ლუდხანაში შევედით. ხშირი სტუმრები ვიყავით ამ ლუდხანის, რადგან იქ იკრიბებოდნენ ჩვენი ნაცნობ-მეგობრები. ამჯერადაც ზოგი მათგანი იქ დაგვხვდა.

დაინახა თუ არა პეპინომ ისინი, არც აცივა, არც აცხელა, მიიჭრა მათთან და სათითაოდ ყველას ცხვირში შესჩარა თავისი ახალი ჰალსტუხი.

- ხედავ, რა ჰალსტუხია? იფ, კარგია, არა?.. გუშინ ვიყიდე ვია დუე მაჩელეზე... ათას ხუთასი ლირი მივაბეჭე... არა, შეხედე რა ფერებია... უბრალო არ გეგონოთ, სარჩულიც აქვს... - მოაყოლა და მოაყოლა. მეგობრებმა ერთი კი შეავლეს თვალი მის ჰალსტუხს, რომ გული არ დაეწყვიტათ პეპინოსათვის და ისევ დაწყებული საუბარი განაგრძეს.

მაგრამ პეპინოს თავიდან მოშორება არც ისე ადვილი იყო. ხელმეორედ ჩამოუარა მეგობრებს. ხან ერთთან მივიდა, ხან მეორესთან, ჰალსტუხის ბოლოს თითებში ისე ატრიალებდა, გეგონებოდათ, გაყიდვას აპირებს და მუშტარს აწონებს საქონელსო, ერთი სიტყვით, ნამდვილი ჯირკია პეპინო.

ერთხელ მედიდური და გაბრწყინებული სახით შემოვიდა ლუდხანაში და გამოგვიცხადა: დღეს ტურინოს საავტომობილო ქარხანაში ვიყავი და ავტომანქანა შევუკვეთე, ოთხ თვეში მივიღებო. ჩვენს მეგობრებში არც ერთი არ იყო ხამი, მანქანით ვერ გააკვირვებდი და არც აინტერესებდათ პეპინოს მანქანის ამბავი. პეპინო კი ჩამოჯდა და დაწვრილებით მოჰყვა:

- სააგენტოში ერთი ძმაკაცი გავიჩინე, ტურინოს ქარხნის დირექტორის ნათესავის ნათესავია. ეს კაცი რომ არა, ოთხ თვეში ვინ მომაშავებდა მანქანას. ვინ იცის, რამდენ ხანს მომიწევდა ლოდინი... ჩვეულებრივი მანქანა არ გეგონოთ, მეგობრებო, სულ სხვანაირია, განსაკუთრებული.

- რაო, ხუთი ბორბალი ხომ არ ექნება? - ჰკითხა ერთმა ამხანაგმა რომელიც ამ დროს დახლთან იდგა და აპერიტივს წრუპავდა. პეპინოს კიდევ ერთი ცუდი თვისება ჰქონდა: ხუმრობას ვერ ხვდებოდა.

- აბა როგორ? სწორედ ხუთი ბორბალი აქვს. ოთხი ზედ და ერთიც სამარქაფო. მაგრამ მანქანა იმით არის განსაკუთრებული, რომ სულ ახალი ფორმის ძარა აქვს. ამ ძარის შექმნაზე კარგა ხანია მუშაობენ კონსტრუქტორები და მე პირველი მივიღებ ამ შესანიშნავ მანქანას.

მოხსნა გუდას თავი და მოჰყვა გაუთავებელ ტრაბახს, თან პიჯაკში ისე ჩააფრინა ამხანაგს, თითქოს ეშინია, არსად გამექცესო. იმ ყმაწვილმა ვეღარ გაუძლო პეპინოს ლაქლაქს და მშვიდად, თითქმის თანაგრძნობით უთხრა:

- პეპინო, თუ ღმერთი გწამს, დამეხსენი. იქნებ გგონია, ძალიან მაინტერესებს შენი მანქანის ამბავი?

- მე კი მეგონა, გაინტერესებდა, - დაბნევით ჩაიბურტყუნა გაცბუნებულმა პეპინომ. მერე დამინახა, განმარტოებით რომ ვიდექი, და ახლა ჩემკენ გამოეშურა:

- ჩეზარე, როგორც კი მივიღებ მანქანას, იცოცხლე, შემოგატარო ქვეყანა. იმდენს გასეირნებ, იმდენს, რომ... ჩეზარე, მითხარი, ხომ მოუთმენლად ელი იმ წუთს, მანქანა რომ მექნება? უჰ, რამდენ გასეირნებ!

- ვნახოთ, ვნახოთ, - ცივად მოვუჭერი მე.

- ხედავთ, ჩეზარეს დავპირდი, - ახლა სხვებს მიუბრუნდა პეპინო, - გამოვიყვან თუ არა ქარხნიდან მანქანას, უსათუოდ გავასეირნებ. რას იზამ, ასეთი უბედური ხასიათი მაქვს, სულ იმის ცდაში ვარ, სხვას ვასიამოვნო... ოღონდ, იცოდე, ჩეზარე, ბოროტად კი ნუ გამოიყენებ ჩემს გულკეთილობას... როგორც შეგპირდი, სიამოვნებით გაგასეირნებ, მაგრამ არ იფიქრო, შენი შოფერი გავხდე და როცა მოგეპრიანება, ან

საითაც მოგეპრიანება, იქით მიკრა თავი... რას იტყვით, მეგობრებო, მართალს არ ვამბობ? მეგობარი ერთი საქმეა, შოფერი მეორე... ხომ ასეა?

- ღმერთმანი, ასეთი სიმართლე სხვა დროს არგითქვამს, - გაეხუმრა ერთი ყმაწვილი, - ვინ იცის, ჩეზარემ გუნებაში უკვე გადაწყვიტა, რომ ექსპლოატაციას გაგიწევს... ამიტომ სჯობს წინასწარ გააფრთხილო.

- სიტყვის გატეხვას, თავის გატეხვა სჯობიაო. არა, მე ჩემს სიტყვას არ გადავალ, მაგრამ მანქანა

რომ ჩემია. სულით და გულით მინდა გასიამოვნო, ოღონდ თუ ეს ჩვეულებად გაიხადე, ამაზე ნურას უკაცრავად.

- მართალი თუ გინდა, პეპინო, მაგ შენი მანქანისთვის მიმიფურთხებია, - ვუთხარი გულმოსულმა, მაგრამ უმალ ვინანე, რადგან შევატყვე, რა მწარედ მოხვდა გულში ჩემი სიტყვა. ერთ ხანს საყვედურით შემომყურებდა, მერე მხარზე ხელი დამკრა და მითხრა:

- კარგია ერთი, რა მოგივიდა, რა ვთქვი ისეთი. გეხუმრე, შე კაი კაცო... აი, ნახავ ის მანქანა უფრო შენ მოგემსახურება, ვიდრე მე.

თან ისეთი შეწუხებული, თითქმის შეშინებული სახით შემომყურებდა, რომ შემეცოდა და შევპირდი, როგორც კი მანქანას მიიღებ, სულ შემოვიაროთ რომის მიდამოებიმეთქი.

რა ვიცოდი, თუ სიტყვაზე დამიჭერდა. როგორც ცნობილია, ჯირკებს კარგი მეხსიერება აქვთ. ზუსტად ოთხი თვის შემდეგ, დილით პეპინომ ტელეფონით დამირეკა:

- ჩეზარე, ის უკვე აქ არის.

- ვინ?

- რომ იცოდე, რა კარგია. ახლავე გამოგივლი, ერთად წავიდეთ ბრაჩანოში და ვისაუზმოთ.

- მაინც ვინ არის, ქალიშვილია?

- რომელ ქალიშვილზე ლაპარაკობ... მანქანაა... მაშ ასე, ორ წუთში შენთან ვიქნები. იცოდე მზად დამხვდი, არ მალოდინო.

მართლაც რამდენიმე წუთში გამომეცხადა პეპინო, მაგრამ სრულიად ჩვეულებრივი, მცირელიტრაჟიანი მანქანით, როგორიც რომში ათასობითაა. გადმოვიდა მანქანიდან, დაიხარა, კარგად შეათვალიერა და გაბრწყინებული სახით მომიახლოვდა:

- აბა, რას იტყვი?

- არა უშავს რა.

- არა, ერთი ამას დახედე, - მტაცა ხელი, მანქანასთან მიმიყვანა და მოყვა ახსნას. ვუსმინე ათიოდე წუთი და მერე შევაწყვეტინე.

- იცი, პეპინ... დღეს ბრაჩანოში ვერ წამოვალ, საქმეები მაქვს.

- შე კაი კაცო, აკი შემპირდი, სიტყვა მომეცი... არ ვარგა სიტყვის გატეხა, - მითხრა გულწრფელად შეწუხებულმა პეპინომ.

ტკიპასავით მომეკრა, ლაპარაკით დამაოსა დამეც რაგზა მქონდა, დავუთმე, დავუთმე და უმალვე ვინანე. ჯერ ხეირიანად არ ჩავმჯდარიყავ მანქანაში, რომ გამომიცხადა:

- იცოდე, ფრთხილად, მთელი ძალით ნუ დააჭერ ფეხებს. ნუთუ ვერა გრძნობ, რომ სავარძელს მირყევ?

მეტი რაღა დამრჩენოდა, თავი შევიკავე, კრინტი არ დამიძრავს. ასე გავემგზავრეთ მე და პეპინო, გავედით რომიდან და კასიოს შარაგზას დავადექით. რადგან მანქანა ნატარები არ იყო, პეპინოს ნელა მიჰყავდა, დაახლოებით ოცდაათი კილომეტრის სისწრაფით. ისეთი მზრუნველობით ეჭირა საჭე ორივე ხელით, თითქოს საცოლეს წელი ყოფილიყო. საშინელი პაპანაქება იდგა, ქვა დუღდა. პეპინოს კი, როგორც მოგახსენეთ, საჭე დიდი სიფრთხილით, ფაქიზად ეჭირა და, რასაკვირველია, თავისი მანქანის ქებაში იყო. სწორედ ამისათვის წამიყვანა.

ვინც პეპინოს არ იცნობს, უნდა იცოდეს, რომ მონოტონური, დუდღუნა ხმა აქვს, არც მაღალი, არც დაბალი, იგი მოგაგონებთ მდორედ მომდინარე ცემენტის ხსნარს, ბლანტსა და თხევადს,

რომელიც გაიძგიფება და რკინასავით მაგრდება. ნელ-ნელა გეღვრებათ ეს ხმა თავში და ისეთი სევდით გივსებთ ტვინს, რომ თავი წისქვილის ქვასავით გიმძიმდებათ და ძილი გერევათ. სწორედ ასე დამემართა, ვიდრე პეპინო დუდღუნა ხმით მანქანის რომელიღაც ნაწილზე მეჯიყჯიყებოდა, თავი დამიმძიმდა და მალე ხვრინვა ამოვუშვი. მანქანების საყვირების ბღავილმა და ხალხის ყვირილმა გამომაღვიძა. ჩვენი მანქანა რკინიგზის გადასასვლელთან იდგა, ჩვენ უკან კი საბარგო და მსუბუქი მანქანების მთელი წყება ჩარიგებულიყო. შოფრებს ფანჯრებიდან თავი გამოეყოთ და გაცეცხლებული ყვიროდნენ. პეპინო მათ გულის გამაწვრილებელი დუდღუნით უხსნიდა:

- მე მარჯვნივ მივდიოდი, რა ჩემი ბრალია, ქუჩა ასე ვიწრო რომ არის.

- არა, სინიორ, მარჯვნივ კი არა, შუა ქუჩაში მიღოღავდი. ვაჰ, ასეთი ბრიყვი ნეტა ვინ მიუშვა საჭესთან?

ოფლში გაღვარული გაჭირვებით გადმოვედი მანქანიდან და ჩვენს უკან ჩამწკრივებულ მსუბუქ და საბარგო მანქანებს გავხედე. ვიდრე მეძინა, გულზე გახეთქილი პეპინო თურმე გზას არ უთმობდა უკან მომავალ მანქანებს და ისინი იძულებულნი იყვნენ მცხუნვარე მზეში პეპინოსავით ეღოღიალათ საათში ოცდაათი კილომეტრი სიჩქარით. პეპინოს საბედნიეროდ ბერა მალე ასწიეს.

- ახლა ეს ხალხი გაატარე, თორემ ცუდი დღე დაგადგება, - ვუთხარი პეპინოს.

პეპინომ დამიჯერა, განზე გავდექით. გინახავთ როდისმე, როგორ გამოცვივიან სკოლიდან გაკვეთილების შემდეგ ბავშვები? სწორედ ასევე, თითქოს აუწყვეტიათო,

გაიჭრნენ წინ მანქანები, როგორც კი გზა ვუტიეთ. გაიჭრნენ და მტვრისა და კვამლის კორიანტელი მოიტოვეს უკან.

მხოლოდ სამ საათზე მივედით ანგუილარაში. იქვე ტბის ნაპირზე გამართულ ოსტერიაში შევედით პურის საჭმელად. აუტანელი სიცხე იდგა და გადაყვითლებულ ნაპირებში მოქცეულ ტბას ორთქლის თეთრი ბუღი ადგა.

პეპინოს ოფლის ხვითქი გადასდიოდა, მაგრამთავისმანქანაზე ლაპარაკით მაინც არ იღლებოდა. სიცხისა და მოწყენილობისაგან მადა დამეკარგა, ისევ ღვინოს მივეძალე. ცივი ღვინო მოგვართვეს, ის იყო სარდაფიდან ამოეტანათ, მაგრამ რაღაც უსიამოვნო გემო დაჰკრავდა. მაინც ჭიქას ჭიქაზე ვცლიდი. ნახევარი ბოთლი რომ გამოვცალე, კიდევ მოვითხოვე, მერე კიდევ ნახევარი ბოთლი. ნელინელ ვწრუპავდი, პეპინო სულ მანქანაზე ლაპარაკობდა. მდუმარედ ვუსმენდი, კარგა რომ შევჭიკჭიკდი, მაშინღა ამოვიღე ხმა:

- წავიდეთ, არა?

- კარგი, წავიდეთ, - მითხრა განაწყენებულმა პეპინომ, - თუ გინდა ვიკოს ტბით მოვუაროთ და ისე დავბრუნდეთ შინ.

- რას ამბობ... მოკლე გზით წავიდეთ... აკი გითხარი, საქმეები მაქვს-მეთქი.

ისევ რომის გზატკეცილს დავადექით. გზის მოსახვევზე ლამაზი, ქერა ქალიშვილი იდგა, ხელი აგვიწია წამიყვანეთო.

- გააჩერე, პეპინო, წამოვიყვანოთ ქალიშვილი, - ვთხოვე პეპინოს.

- ჭკუაზე აფრაკად ხომ არა ხარ? როგორ არა, ახლა მაგას გავაოხრებინებ მანქანას. ერთი პატარა მიზეზი საკმარისია, რომ სავარძელი გაფუჭდეს. გარდა ამისა, რა ეშმაკად გვინდა ეგ ქალი, ორნიც ძალიან კარგად ვართ აქ.

ხმა არ გამიღია, მაგრამ ვიგრძენი, რომ ნაღვინებზე უფრო მიჭირდა პეპინოს ატანა და თავს ძლივს ვიკავებდი.

ამასობაში, ღვთის წყალობით, მოვედით კიდეც რომში. პეპინო მთელი გზა ლაქლაქებდა, მე

ვთვლემდი. ქალაქში რომ შევედით, პეპინომ მითხრა, სახლამდე მიგიყვანო. მე რეჯინოს ბულვარზე ვცხოვრობ. ვია ვენტაზე რომ გაუხვია, ჩვენ წინ მიმავალი მანქანა, რომელსაც ფრანგული ნომერი ჰქონდა, მოულოდნელად გაჩერდა. პეპინომ დამუხრუჭება ვერ მოასწრო, თავისი მანქანით ზედ შეასკდა ფრანგულ მანქანას. დაფეთებული გამოვარდა მანქანიდან და ფრანგულ მანქანასთან მიიჭრა. მანქანაში ახალგაზრდა, მშვენიერი ქალი იჯდა, ქერა იყო, ფრჩხილები წითლად ჰქონდა შეღებილი, ხელები საჭეზე ეწყო.

- სინიორინა, მიბოძეთ მანქანის ტარების მოწმობა, მანქანის ნომერი და გვარი, - დაიწყო პეპინომ და უბნის წიგნაკი და ფანქარი ამოიღო. - თქვენ გეუბნებით, სინიორინა, გესმით თუ არა! დალახვროს ეშმაკმა, იმიტომ ვიყიდე ეს მანქანა, რომ თქვენ დაგემტვრიათ? ათასი ლირის ზარალი მომაყენეთ... ვინ ამინაზღაურებს ამ

ფულს? ამ დილით გამოვიყვანე ახალი, გაკეწკეწებული მანქანა და იმისათვის, რომ თქვენ აგეოხრებინათ? რაკი ღა სალაპარაკო მიზეზი იშოვნა, პეპინოს ვინღა გააჩერებდა.

- შენ ჯერ მანქანები დააშორე ერთმანეთს, - წამოიძახა ახალგაზრდა კაცმა, გარშემო შეყრილი უსაქმო ხალხის ჯგუფიდან.

პეპინოს ცოტა უკან რომ დაეწია თავისი მანქანა, საქმეიმით დამთავრდებოდა, მაგრამ გაქირიმა პეპინომ ეს რჩევა თავისებურად გაიგო.

- დიახ, დააშორეთ ჩემი მანქანა, - მოჰყვა ყვირილს, - დააშორეთ, თუ ასეთი მარჯვე ხართ.

ხალხი უფრო მოზღვავდა ჩვენს გარშემო და მტრულად გვათვალიერებდა. ფრანგ ქალს იტალიურის არაფერი ესმოდა, ღიმილით შეჰყურებდა პეპინოს, პეპინო კი არ ცხრებოდა:

- სინიორინა, გიმეორებთ... მითხარით თქვენი გვარი, მიბოძეთ ტარების მოწმობა, მანქანის ნომერი.

- რამდენი წლისა ხართ, გყავთ თუ არა შვილები, - წამოიძახა ვიღაცამ დაცინვით.

- გირჩევნიათ, ჯერ მანქანა დააშოროთ, - გაიმეორა ისევ იმ ახალგაზრდამ.

პეპინო მთლად გათავხედდა.

აკი მოგახსენეთ, თქვენ თვითონ დააშორეთ-მეთქი. უთუოდ მექანიკოსი ხართ, თუ კი ამ საქმეში ჩემზე უკეთ ერკვევით. რაღას უყურებთ, შეუდექით საქმეს.

იმ ყმაწვილმა, პეპინოს რომ ურჩია მანქანები დააშორეთო, ხალხის წრე გამოარღვია, პეპინოს წინ შედგა, ვეება მუშტი ცხვირთან შეუტრიალა და მიახალა:

- მექანიკოსი კი არა, ჩემპიონი გახლავართ თავისუფალ ჭიდაობაში.

- მით უკეთესი, ასეთი ძალ-ღონის პატრონს არ გაუჭირდება მანქანების დაშორება. ეჰ,

ცუდად წაუვიდოდა საქმე პეპინოს, მე რომ იქ არ ვყოფილიყავი.

- აბა, ბიჭებო, ავწიოთ მანქანა... მომეხმარეთ, სულ ადვილი საქმეა, - მივმართე ახალგაზრდებს.

თქმა და შესრულება ერთი იყო. ხუთმა კაცმა პეპინოს მსუბუქი მანქანა ერთი აწევით დავაშორეთ ფრანგი ქალის მანქანას. მერე პეპინოს მივუბრუნდი და ვუთხარი:

- აიღე წიგნაკი და ჩაიწერე.

- რა უნდა ჩავიწერო?

- ასე ჩაიწერე: მე ჯირკი ვარ, აბეზარი და ავყია. დაწერე, დაწერე.

გაისმა ხარხარი და სტვენა. პეპინო უბის წიგნაკით ხელში გაშტერებული იდგა.

- ახლა კი ჩაჯექი მაგ შენს მანქანაში და მოუსვი აქედან, - ვურჩიე ბოლოს.

ამჯერად პეპინო უსიტყვოდ დამემორჩილა, ჩაჯდა მანქანაში და წავიდა. ფრანგი ქალის მანქანაც დაიძრა. მე გზა გადავჭერი, ლუდხანაში შევედი და ერთი ჭიქა აპერატივი გადავუშვი მოუკუპრავში.

ჩოჩარიელი გოგონა

- იცოდეთ, პროფესორო, ჩოჩარიელი ქალები დიდი უბირები არიან... კარგად დაფიქრდით... გიჯობთ რომაელი ქალი აიყვანოთ მოახლედ, ჩოჩარიელებმა წერაკითხვაც კი არ იციან, - ვურჩევდი პროფესორს.

- წერა-კითხვა არ იციანო! - წამოიძახა მოწიწებით პროფესორმა, - მეც სწორედ ეგ მინდა... კომისკების კითხვას მაინც არ დაიწყებს წერა-კითხვის უცოდინარი.

ჭაღარა წვერულვაშა, მოხუცი პროფესორი ლიცეუმში კითხულობდა ლექციებს, მაგრამ მთავარი მისი საქმიანობა ნანგრევების კვლევა იყო. კვირა დღეს ხომ არ გამოტოვებდა და არა, მაგრამ სხვა დღეებშიც, როგორც კი დროს იხელთებდა, მაშინვე ვია აპიაზე გაეშურებოდა, ან რომის ფორუმზე, ან კარაკალის თერმებზე და ძველი რომის ნანგრევებს ჩაჰკირკიტებდა. პროფესორის ბინა უფრო წიგნის დუქანსა ჰგავდა. დაწყებული შესავალი დერეფნით, სადაც წიგნები მწვანე ფარდის უკან, პირდაპირ იატაკზე ეწყო, დამთავრებული სხვა ოთახებით და საკუჭნაოთი, სულ გატენილი იყო წიგნებით. მარტო აბაზანასა და სამზარეულოში არ ელაგა ისინი.

პროფესორი თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა თავის წიგნებს, ზედ დაჰკანკალებდა და ვაი

მას, ვინც გაბედავდა მისი წიგნებისთვის ხელის მიკარებას. ძნელი წარმოსადგენია, რომ პროფესორს ყველა ეს წიგნი წაკითხული ჰქონოდა, უბრალოდ, როგორ ჩვენთან ჩოჩარიაში ვიტყვით ხოლმე, ვერ იქნა, ვერ ამოივსო კუჭიო, ისიც ასე იყო, ვერ ძღებოდა წიგნებით. თუ ლიცეუმში არ იყო, ან ნანგრევებში არ დაეხეტებოდა, მაშინ ბუკინისტებთან იჯდა და იქიდან მუდამ იღლიაში ამოჩრილი წიგნებით ბრუნდებოდა. ერთი სიტყვით, პროფესორი წიგნების კოლექციას აგროვებდა, როგორც ბავშვები მარკების კოლექციას. არ ვიცი, ასე რად აიხირა სოფლიდან მოახლე გოგონას ჩამოყვანა. სოფლის გოგონები უფრო პატიოსნები არიანო, ათასი სისულელით არ აქვთ თავი გამოტენილი და კერძსაც კარგად ამზადებენო. გარდა ამისაო, მეტყოდა ხოლმე პროფესორი, ჯანსაღები არიან და მათი დაბრაწული ლოყების ყურება გულს სიამოვნებსო. დღეს ისე არ გაუშვებდა პროფესორი, რომ ჩემთან არ შემოევლო და ჩოჩარიიდან მოახლის ჩამოყვანა არ შეეხსენებია. მე მეკარედ ვმუშაობ იმ სახლში, სადაც პროფესორი ცხოვრობს, მეც ჩოჩარიელი გახლავართ და კარგად ვიცი იქაური ამბები. ჰოდა, რადგან საშველი აღარ მომცა პროფესორმა, ავდექი და ჩემს ნათლიმამას მივწერე, ასე და ასეა საქმე-მეთქი. პასუხი არ დამიყოვნა. ნათლიმამა მწერდა: სწორედ ისეთი გოგონა შეგირჩიეთ, როგორიც გინდოდათ, სახელად ტუდა ჰქვია, ოცი წლისა ჯერ არ შესრულებულა, ჯანიანი გოგოა, ოღონდ ერთი ნაკლი აქვს, წერა-კითხვა არ იცისო. მაშინვე მივწერე, სწორედ წერა-კითხვის უცოდინარი უნდა ჩვენს პროფესორსმეთქი.

ასე გაიჩარხა საქმე. მალე ტუდა და ნათლიმამაც ჩამოვიდნენ. წინასწარ მაცნობეს და სადგურზე დავუხვდი. ერთი შეხედვით დარწმუნდებოდით, რომ ტუდა ნამდვილი ჩოჩარიელი იყო, დილიდან დაღამებამდე რომ შეუძლიათ მიწის თოხნა და თავზე შედგმული ნახევარცენტნერიანი კალათით მთის ბილიკებზე სიარული. სწორედ ისეთი ლოყაწითელი იყო, როგორიც პროფესორს მოსწონდა. პირმრგვალი იყო ტუდა, ორი ნაწნავი თავზე ჰქონდა შემოხვეული, ხშირი, გადაბმული წარბები, თეთრად უელავდა სწორი, ლამაზი კბილები. ჩოჩარიელი ქალები კბილებსბალბის ფოთლით იწმენდნენ, მთლად სოფლურად არ იყო ჩაცმული, მაგრამ სიარულზე მაინც ეტყობოდა, რომ გლეხის ქალი იყო, ფეხის ტერფს მთლიანად ადგამდა მიწაზე, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა, კუნთებიანი, მსხვილი წვივები ჰქონდა.

მატარებლიდან როგორც კი ჩამოვიდა, პატარა კალათი გამომიწოდა ტუდამ, შენიაო, მითხრა. კალათაში ლეღვის ფოთოლში გახვეული თორმეტი კვერცხი იდო. ეს კვერცხები პროფესორს მიართვი, კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს-მეთქი, ვურჩიე. ეს კი ვეღარ მოვიფიქრე, თქვა ტუდამ, რომ პროფესორისთვისაც რამე ჩამომეტანა სოფლიდან, მე მეგონა, პროფესორი სინიორია და ქათმები უსათუოდ ეყოლებაო. გულიანად გამეცინა. ტრამვაიში ჩავსხედით. ტუდა გაკვირვებით აცეცებდა თვალებს, თურმე აქამდე არც მატარებელი ენახა, არც ტრამვაი და არც ექვსსართულიანი სახლი. ერთი სიტყვით, სწორედ ისეთი იყო, პროფესორს რომ უნდოდა, ნამდვილი უბირი გოგო.

ტუდა ჯერ შინ მივიყვანე, ცოლს გავაცანი, მერე ლიფტით ავედით პრფესორთან. რადგან მოახლე არა ჰყავდა, კარი თვითონ პროფესორმა გაგვიღო. ჩემი ცოლი ულაგებდა სახლს და უმზადებდა კერძს. შევედით თუ არა, ტუდამ კვერცხის კალათი ხელში შეაჩეჩა პროფესორს და უთხრა:

- დაიჭი, პროფესორო, ახალი კვერცხი მოგართვი.

- ტუდა, პროფესორს შენობით როდი მიმართავენ, - ვუთხარი მე.

- არა უშავს რა, გოგონი, როგორც გეხერხება, ისე მომმართე, - გაამხნევა პროფესორმა.

მერე მე მომიბრუნდა და მითხრა:

- ეს „შენ“ ძველი რომაელების მემკვიდრეობაა. ძველმა რომაელებმა, ისევე, როგორც ახლა ჩოჩარიელებმა, არ იცოდნენ თქვენობით მიმართვა და ერთიმეორეს ისე უბრალოდ ელაპარაკებოდნენ, როგორც ერთი ოჯახის წევრები.

პროფესორმა სამზარეულოში შეგვიყვანა. ვრცელი იყო სამზარეულო, გაზის ქურა იდგა,

თაროებზე ალუმინის ქვაბები და ტაფები ეწყო. პროფესორმა ტუდას აუხსნა, როგორ უნდა აენთო გაზი. ტუდა სერიოზულად უსმენდა პროფესორს.

- კერძის კეთება რომ არ ვიცი? - წამოიძახა უცებ წკრიალა ხმით ტუდამ.

- რაო? - გაუკვირდა პროფესორს, - თითქოს იცისო კერძის კეთება?

- სოფელში მე მიწას ვთოხნიდი... რა თქმა უნდა, ხანდახან კერძსაც ვამზადებდი, მაგრამ აბა ის რა კერძი იყო. ხომ იცი, ჩვენთვის სულ ერთია, ოღონდ ვჭამოთ და... ასეთი სამზარეულო კი არასოდეს მინახავს.

- აბა სად ამზადებდით კერძს?

- ფაცხაში.

- რა გაეწყობა, - თქვაპროფესორმა და წვერზე ჩამოისვა ხელი, - ჩვენს იმისათვის ვაკეთებთ კერძს, რომ რამე შევჭამოთ... ტუდა, ვთქვათ მე გთხოვე, კერძი გამიკეთემეთქი. რას მომიმზადებ?

- რას და, მაკარონიან ლობიოს. პური შეატანე, ერთი ჭიქა ღვინო დააყოლე. მერე ნიგოზი და ლეღვი მიირთვი.

- სულ ესაა... არავითარი მეორე კერძი?

- როგორ მეორე კერძი?

- ან თევზი, ან ხორცი?

- მაკარონიანი ლობიო გეცოტავა? - მხიარულად გადაიკისკისა ტუდამ. - ნეტა მეტი რაღა გინდა? მე ერთ მათლაფა მაკარონიან ლობიოს რომ შევჭამდი, მერე მთელი დღე ვთოხნიდი. შენ ხომ არ მუშაობ?

- როგორ არა, ტუდა, მეც ვმუშაობ, ვწერ.

- საქმეც სწორედ ეგ არის, რომ წერ და არა თოხნი. თოხნაა ნამდვილი შრომა.

ტუდა ვერაფრით ვერ დავაჯერეთ, რომ მეორე თავი კერძი საჭირო იყო. ბოლოს, დიდი დავისა და კამათის შემდეგ, შევთანხმდით, რომ პირველ ხანებში ჩემი ცოლი მიეხმარებოდა და

ასწავლიდა კერძის კეთებას. მერე მოახლის ოთახში გავედით. ისიც ვრცელი და ნათელი ოთახი იყო, ფანჯარა ეზოსკენ ჰქონდა. ერთი საწოლი კარადა და კამოდი იდგა. ტუდამ გაოცებით მიიხედ-მოიხედა და იკითხა:

- ეს მარტო ჩემი ოთახი იქნება?!

- ვინ გინდა, რომ მოზიარედ გყავდეს?

- სოფელში ხუთ კაცს ერთ ოთახში გვძინავს.

- არა, ეს ოთახი მარტო შენია.

წასვლისას ტუდა მამაშვილურად დავარიგე: აბა შენ იცი, იმარჯვე, ბეჯითად იმუშავე. ხომ იცი, როგორც პროფესორის, ისე ჩემი ნათლიმამის წინ მე ვაგებ შენთვის პასუხს და არ დამაღალატო, არ შემარცხვინო-მეთქი. პროფესორის ბინიდან რომ გამოვედი, მომესმა როგორ უხსნიდა პროფესორი ტუდას:

- ტუდა, იცოდე, აი ეს წიგნები ყოველდღე უნდა გადაწმინდო პატარა ცოცხით და ჩვრით.

- ნეტა რად გინდა ამდენი წიგნი? - ჰკითხა ტუდამ.

- ეს წიგნები ჩემთვის იგივეა, რაც შენთვის თოხი.

- მე მხოლოდ ერთი თოხი მაქვს.

იმ საღამოდან დაწყებული, თითქმის ყოველდღე შემოივლიდა ჩემთან პროფესორი და ახალ-ახალ ამბებს მიამბობდა ტუდაზე. მაინცდამაინც დიდიად აღტაცებული არ გახლდათ თავისი მოახლით.

- ხეპრეა, ნამდვილიხეპრე... იცით, გუშინ რა ჩაიდინა? აუღია ჩემიმაგიდიდან ერთი ჩემი მოწაფის ნაწერი ქაღალდი და ბოთლისთვის თავი დაუცვია, - შემომჩივლა ერთხელ პროფესორმა.

- პროფესორო, აკი გეუბნებოდით, სოფლელი გოგო...

- დიახ, დიახ, - დამეთანხმა პროფესორი, - მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტუდა მაინც კარგი გოგონაა... კეთილი, დაუზარებელი... ძალიან, ძალიან კარგი გოგონაა.

გაიარა ხანმა და ეს კარგი გოგონა, როგორც პროფესორი ამბობდა ტუდაზე, ნამდვილი ქალაქელი ქალიშვილი გახდა. ჯამაგირი რომ მიიღო, ახალმოდური კაბა შეიკერა, მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე შედგა, ლამაზი საფულე იყიდა, და ეს კი მეტისმეტი მოუვიდა, გრძელი ნაწნავები შეიჭრა. ლოყები ისევ დაბრაწული ჰქონდა და ეს ლოყები მარტო პროფესორს როდი უმხიარულებდნენ გულს. პირველად რომ დავინახე იმ არამზადა მარიოსთან, მაშინვე დავარიგე:

- იცოდე, ტუდა, ეგ ბიჭი შენი ტოლი არ არის. რასაც შენ გეუბნება, იმას სხვა ქალიშვილებსაც ეფიცება.

- გუშინ მანქანით წამიყვანა მონტე მარიოზე.

- მერე!

- უჰ, რა კარგი იყო მანქანით გასეირნება! აი, შეხედე, რა მაჩუქა, - მითხრა და უბრალო ქინძისთავზე დამაგრებული პატარა თეთრი სპილო მიჩვენა. ასეთ სპილოებს კამპო დეი ფიორის ბაზარზე ჰყიდიან.

- ჩერჩეტი ხარ, ტუდა, ნუთუ ვერ ხვდები, რომ ეგ არამზადა გასულელებს. გარდა ამისა, სინიორას ნებადაურთველად არ უნდა ჩაესვი მანქანაში. ეს რომ სინიორამ გაიგოს, მაგრა მოხვდება შენს მარიოს. იცოდე, ფრთხილად იყავი. კიდევ გიმეორებ, ფრთხილად იყავი, ტუდა, ფრთხილად.

ტუდამ გაიღიმა, ჩემს დარიგებას ყური არ ათხოვა და მარიოსთან შეხვედრა არ მოიშალა.

გაიარა ორმა კვირამ. ერთ დღეს პროფესორი ჩემთან შემოვიდა, განზე გამიხმო და ხმადაბლა მკითხა:

- ერთი ეს მითხარი, ჯოვანი, როგორ ფიქრობ, ტუდა პატიოსანი გოგოა?

- რასაკვირველია, პროფესორო. მართალია, ტუტრუცანა კი არის, მაგრამ პატიოსანია.

- კარგი, კარგი, ოღონდ მე ხუთი ძვირფასი წიგნია დამეკარგა. ჯოვანი, არ მინდოდა ცუდის გაფიქრება, მაგრამ...

კიდევ ერთხელ ვცადე დამერწმუნებია პროფესორი, ტუდა პატიოსანია, წიგნებს უთუოდ

იპოვნით-მეთქი, მაგრამ ამ ამბავმა ძალზე შემაშფოთა. გადავწყვიტე ფხიზლად ვყოფილიყავი და ტუდასთვის თვალი მედევნებია. რამდენიმე დღის შემდეგ, ტუდა და მარიო საღამო ხანს საიდანღაც დაბრუნდნენ და ლიფტში შევიდნენ. ჩემს შეკითხვაზე, სად მიხვალ-მეთქი, მარიომ მიპასუხა: სინიორთან მივდივარ, უნდა გავიგო ხვალისთვისრა განკარგულებას მომცემსო. უტიფრად სტყუოდა. სინიორი ერთი საათის წინ გავიდა სახლიდან და მარიომ ძალიან კარგად იცოდა ეს. არაფერი შევიმჩნიე, ვაცალე, ვიდრე ზევით ავიდოდნენ, ცოტა ხნის შემდეგ მეც ავედი და პირდაპირ პროფესორის ბინას მივაშურე. შემთხვევით კარი ნახევრად ღია დარჩენოდათ, შევედი, გავიარე დერეფანი და პროფესორის კაბინეტიდან მათი ხმა მომესმა. აჰა, ხომ გამართლდა ჩემი ეჭვი. ფრთხილად შევიჭვრიტე ოთახში და რა ვნახე? მარიოს სავარძელი მიედგა წიგნების კარადასთან, სავარძლის ზურგზე შემდგარიყო და სულ ზემო თაროზე იჩხრიკებოდა წიგნებში. ის ლოყაწითელა წმინდანი კი სავარძელს უკავებდა და ეუბნებოდა: - აი ის, სულ ზემოთ რომ დევს, ტყავის ყდიანი სქელი წიგნი. სწრაფად გამოვენთე სამალავიდან და დავიღრიალე:

- აი, ყოჩაღ! ბარაქალა! გაებით მახეში, მტრედებო? მე სულელმა, არც დავუჯერე პროფესორს, ეს ამბავი რომ მითხრა. ყოჩაღ, ყოჩაღ, სხვა რაღა მეთქმის ამის შემხედვარეს.

ოდესმე თუ გინახავს, კატას ფანჯრიდან წყალს რომ გადაასხამენ. აი, სწორედ ისე გადმოხტა მარიო ჩემი ხმის გაგონებაზე სავარძლიდან და ფხაჭაფხუჭით მოუსვა. მარტო რომ დავრჩით მე და ტუდა, გიყვარდეს მე ისე გავთათხე. სხვა მის ადგილზე აღრიალდებოდა, მაგრამ ჩოჩარიელი ქალი, ნურას უკაცრავად, ეგრე ადვილად არ გადმოღვრის ცრემლს. ტუდა თავდახრილი იჯდა, კრინტი არ დაუძრავს, მდუმარედ მისმენდა, თავი რომ ასწია და შემომხედა, მის თვალებში ცრემლის ნასახიც არ ჩანდა.

- რა მოგივიდა ნეტა, ვინ რა მოპარა პროფესორს? სახარჯო ფულს რომ მაძლევს, სხვა მოახლეებივით კი არ ვიჯიბავ და არ ვატყუებ, ორჯერ მეტი გადავიხადე-მეთქი. მორჩენილ ფულს ყოველთვის ვუბრუნებ.

- ვაი, შე უბედურო... ეს წიგნები რაღაა, არ მოგიპარავს? იქნებ ეს ქურდობად არ მიგაჩნია?

- რა მოხდა, ამდენი წიგნი აქვს.

- ბევრი აქვს თუ ცოტა, ეს მისი საკუთრებაა და შენ ხელი არ უნდა ახლო... იცოდე, ტუდა, თუ კიდევ გაგიბედავს ამისთანა რამე, ხელად სოფელში გიკრავ თავს.

მაგრამ ეს მგლის თავზე სახარების კითხვა იყო. ვერაფრით ვერ შევაგნებინე ტუდას, რომ რაც მან ჩაიდინა, ქურდობა იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ, ტუდა იღლიაში ამოჩრილი წიგნებით შემოვიდა ჩემთან და მითხრა:

- ჯოვანი, აი პროფესორის წიგნები, ახლავე დავუბრუნებ, ოღონდ საყვედურებს ნუღარ იტყვის ჩემზე.

ტუდას მოვუწონე საქციელი, ჩემთვის კი გავიფიქრე, ბოლოს და ბოლოს, არც თუ ისე ურიგო გოგოა ეს ტუდა-მეთქი, ყველაფერი სულ იმ საზიზღარი მარიოს ბრალი იყო. ზევით ავყევი ტუდას, რომ წიგნები თავის ადგილზე დაგვეწყო. ის იყო გავხსენით შეკრულა, რომ პროფესორიც შემოვიდა.

- პროფესორო, აი თქვენი წიგნები... ტუდას თურმე ამხანაგისთვისუთხოვებია, სურათების დასათვალიერებლად.

პროფესორმა პალტო არც კი გაიხადა, მივარდა წიგნებს, აიღო ერთი ტომი, გადაშალა და უცებ შეყვირა:

- ეს ჩემი წიგნი არ არის.

- როგორ თუ თქვენი არ არის?

- ისინი არქეოლოგიის წიგნები იყო, - თქვა პროფესორმა, თან გაფაციცებით ფურცლავდა სხვა ტომებს, - ეს ხუთივე ტომი კი იურისპრუდენციაზეა, თანაც დაშორიშორებული ტომებია.

- ტუდა, რას ნიშნავს ეს?

- ხუთი წიგნი წავიღე, ხუთი დავაბრუნე. რა გინდათ ჩემგან? იცი, რა დამიჯდა ეს წიგნები? გაცილებით იმაზე მეტი, რაც იმ წიგნებში ავიღე. გაოცებული პროფესორი პირდაღებული შემოგვცქეროდა.

- შეხედე, - განაგრძო ტუდამ, - ყდა ამ წიგნებს ისეთივე აქვს... უკეთესიც კი, წონითაც კი იმდენს იწონის. ავაწონინე, ოთხ კილო-ნახევარია, სწორედ იმდენი, რამდენიც შენი წიგნები იყო.

- წიგნებს ხბოებივით როდი წონიან... - სევდიანად ჩაიცინა პროფესორმა.- ყოველი წიგნი ერთიმეორესგან განსხვავდება... რაში მჭირდება, ან რაში გამომადგება ეს წიგნები ყოველ წიგნს თავისი შინაარსი აქვს, თავისი ავტორი ჰყავს... ყოველგვარი ახსნა-განმარტება წყლის ნაყვა იყო. ტუდამ ისევ ჯიუტად გაიმეორა:

- ხუთი წიგნი წავიღე, ხუთივე დავაბრუნე... ერთნაირი ყდა აქვთ. სხვა არაფრის გაგონება არ მინდა. მოთმინებიდან გამოსულმა პროფესორმა ტუდა სამზარეულოში გაისტუმრა. - წადი, წადი, კერძი მოამზადე... კმარა... აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი.

- ძალიან მწყინს ეს ამბავი, - მითხრა პროფესორმა, ტუდა რომ გავიდა, - კარგი გოგონაა... მაგრამ, მეტისმეტი ხეპრეა.

- ისეთია, როგორიც თქვენ გნებავდათ, პროფესორო.

- „Mea culpa“, - მიპასუხა პროფესორმა.

ტუდა ერთ ხანს კიდევ მუშაობდა პროფესორთან, თან სამსახურს ეძებდა. მერე სარძეოში მოეწყო

ჭურჭლის მრეცხავად. დროდადრო ჩემთან შემოივლის ხოლმე, მომინახულებს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაზე აღარ ვლაპარაკობთ. ტუდა ახლა წერა-კითხვას სწავლობს.

რომაული მონეტა

პარასკევი იყო, ცამეტი რიცხვი, მაგრამ ამას ანგარიში არ გავუწიე, გამოვეწყვე, ავიღე ორმოცდაათი ათასი ლირი, რომელიც ოტავიოსათვის უნდა მიმეცა, ჯიბეში ჩავიდე და შინიდან გავედი.

ეს ორმოცდაათი ათასი ოტავიოს წილი იყო ერთ საქმეში, რომელიც ჩვენ გავჩარხეთ ყალბი ბრილიანტების გასაღებით. ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ უნდა მიმეტანა ოტავიოსათვის თავისი ფული.

ტრამვაის რომ ვუცდიდი, უცებ გული დამწყდა, ეს ფული ჩემთვის უფრო უპრიანი იყო. განა ოტავიო თავს საფრთხეში იგდებდა ჩემსავით? არა, ის კარგი ჯავაირჩი იყო და მხოლოდ საქონელს მაწვდიდა. სახიფათო საქმე სულ ჩემს კისერზე ტრიალებდა. თუ ხელი მომეცარებოდა და ჩავვარდებოდი ციხეში ამოვყოფდი თავს, ოტავიოს კი არაფრის გულისათვის არ გავცემდი.

დიახ, მე ციხეში ამოვყოფდი თავს, ოტავიო კი ძველებურად იჯდებოდა თავის საჯავაირჩოში, მინის ტიხარს იქით, გამადიდებელი შუშით თვალზე. ეს ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა.

ტრამვაიში რომ ვიჯექი, ერთი პირობა გადავწყვიტე, ოტავიოს ერთ ლირსაც არ მივცემმეთქი. მაგრამ მაშინ ხო ოტავიოსაგან ვეღარაფერს მივიღებდი. ან რა პირით დავენახვებოდი. უნდა დამეწყო სხვა ოტავიოს ძებნა და ვინ იცის რა კაცს გადავეყრებოდი, ვაითუ სხვა ამ ოტავიოზე უარესი გამომდგარიყო.

თან სინდისი მქენჯნიდა, პატიოსანი კაცისთვის სიტყვის გატეხა არც ისე ადვილია, აქამდე გულში არ გამივლია ამგვარი რამ და მაინც სინანული მიპყრობდა. ჯიბეში ჩავიყავი ხელი, ალერსით მოვუთათუნე ასიგნაციებს. არა, ხუმრობა ხომ არ არის ორმოცდაათი ათასი ლირი? მართალია, თუ ამ ფულს ოტავიოს მივცემდი, ჩემს ვალს მოვიხდიდი და სინდისი წმინდა მექნებოდა, მაგრამ ორმოცდაათი ათასს კი ხელიდან გავუშვებდი. ამგვარ ორჭოფულ ფიქრებში რომ ვიყავი, ვიღაცამ ნიდაყვზე მომკიდა ხელი.

- ვერ მიცანი, ატილიო?

ეს ჩეზარე გახლდათ, ბედუკუღმართი ბედუკუღმართთა შორის. ომის დამთავრების შემდეგ გავიცანი შავ ბაზარზე. იმ ხანებში ჩეზარე სიგარეტებს ვაჭრობდა. როგორც ჩანდა, ისევ შავ დღეში იყო ის უბედური, უფრო საცოდავად გამოიყურებოდა, ვიდრე ოდესმე იყო.

გახუნებული, დაკერებული პალტო ყველა ღილზე შეეკრა, მაგრამ შიშველი ყელი მაინც უჩანდა, რადგან პერანგზე საყელო არა ჰქონდა, არც, რა თქმა უნდა, ჰალსტუხი. თავშიშველი იყო, ბურდღუნით სავსე, ჭუჭყიანი თმა ნათლად მოწმობდა, რომ ჩეზარე ბარაკებში ათევდა ღამეს. მართლაც საშინელი შესახედავი იყო.

- რასა იქ, ჩეზარე, როგორაა საქმეები? - ვკითხე დაბნევით.

- ერთი წუთით ჩამოდი, საქმე მაქვს შენთან.

არ ვიცი რატომ, მაგრამ რაღაც იმედის ნაპერწკალმა გამკრა, იქნებრაიმეგამოსავალი ვნახო და ოტავიოს ფული შევინარჩუნო-მეთქი. თანხმობის ნიშნად ჩეზარეს თავი დავუქნიე და გასასვლელისაკენ გავემართე. ტრამვაი ვია ვოლტურნოზე შეჩერდა სადგურთან.

ჩეზარემ მყუდრო კუთხეში გამიყვანა და აბლუკუნდა:

- ათასი გაქვს?

- ათასი რა?

- ათასი ლირი... ორი დღეა პირში ლუკმა არ ჩამიდია.

- ვაშა! - წამოვიძახე მე. - სწორედ მიზანში მოხვდი... ახლა იმაზე ვფიქრობდი, რაში დავხარჯო ეს ათასი ლირი-მეთქი. მიხვდა რომ დავცინოდი და შესაბრალისად აწუწუნდა:

- კარგი, თუ ფულს არ მასესხებ, ერთ საქმეში მაინც დამეხმარე.

- რაში დაგეხმარო? - ვკითხე ჩერეზეს.

- დახედე ამას.

ჩერეზეს ხელისგულზე მიწით დასვრილი მოოქროვილი მონეტა ედო, ზედ ქალი იყო გამოსახული.

- აი, რომაული მონეტის გასაღებაში მომეხმარე და ფული შუაზე გავიყოთ.

- რომაული მონეტა, - გულიანად გადავიხარხარე, - რომაული მონეტა... თურმე როგორ დაეცი, შე საცოდავო, რომ ყალბ მონეტებს აკეთებ... ჰაი, ჰაი, რომაული მონეტა...

რაც უფრო ხშირად ვიმეორებდი სიტყვა „რომაულს“, მით უფრო ვბჟირდებოდი სიცილით. ჩეზარე გაშეშებული იდგა თავისი მონეტით ხელში და მოღუშული მიყურებდა. როდის-როდის ამოიღო ხმა:

- რა გაცინებს, ბიჭო?

- ამ საქმეზე ლაპარაკიც არა ღირს, - ვუპასუხე სიცილით დაოსებულმა.

- ვითომ რადაო?

- იმად, ჩემო კარგო, რომ ახლა ბავშვმაც კი იცის, რა არის რომაული მონეტა... კარგა ხანია, რომაული მონეტების დრო წავიდა.

- მაშ კარგი, ორასი ლირი მაინც მასესხე, მითხრა ჩარეზემ და რომაული მონეტა ცივად ჩაიდო ჯიბეში.

იმ წუთშივე ისევ ოტავიო გამახსენდა. გამახსენდა, ორმოცდაათი ათასი რომ უნდა მიმეცა

მისთვის. ბოლოს და ბოლოს, ჩეზარე გამონაკლისი როდია, ყოველდღევკითხულობთ გაზეთებში, როგორ ატყუებენ ხალხს რომაული მონეტებით. იქნებ ჩვენც შევძლოთმეთქი, გავიფიქრე.

- ძალიან მეცოდები, ჩეზარე... მზად ვარ დაგეხმარო... მაგრამ ერთ რამეში შევთანხმდეთ... თუ ჩავარდები, მე არ მიცნობ... მე სენიორი ვარ, ძველი მონეტების მოყვარული სინიორი... ფულიც მაქვს... აი, ნახე...

ყოყლოჩინობამ მძლია, ასიგნაციების დასტა ამოვაძვრინე და ჩერეზეს ცხვირწინ გავუქნიე.

- ხომ ხედავ, ფული მაქვს. თუ საქმე ცუდად წაგვივა, თაღლითი შენა ხარ და მე მატყუებ... ყაბულსა ხარ?

- კარგი, ყაბულსა ვარ, - აღტაცებით შესძახა ჩეზარემ.

- მაშ ასე. ახლა გადავწყვიტოთ, როგორ შევაფასოთ ეგ შენი მონეტა?

- ოცდაათ ათას ლირად.

- არა, რას ამბობ. ოცდაათი ათასი ძალიან ცოტაა. სულ უკანასკნელი სამოცი ათასი მაინც უნდა მოვითხოვოთ... ორმოცი მე, ოცი შენ... გინდა?

- რატომ? აკი ვთქვით, ფული შუაზე გავიყოთო.

- ასე არაფერი არ გამოგვივა.

- კარგი, კარგი, ოცზეც თანახმა ვარ.

- ახლა კი გეგმა შევადგინოთ, - განვაგრძე მე. - ვითომ შენ მიწის მთხრელი ხარ... აქვს, ახალი სადგურისთვის ქვაბულს თხრიდი, ეს მონეტა იპოვნე და დამალე. გესმის?

- მესმის.

- ასე უნდა მოვიქცეთ. შენ რომელიმე სინიორს გამოელაპარაკები, უჩვენებ მონეტას, მე საუბარში ჩავერევი და ვიტყვი, რომ ეს ძვირფასი განძია... ოღონდ საქმე ისაა, რომ ეს მონეტა ერთ-ერთ იმპერატორს უნდა მივაკუთვნოთ. როგორ ფიქრობ ვისი სახელი შევარქვათ?

- ნერონის.

- არა, ნერონი შეუძლებელია. ხედავ რა გაუნათლებელი ხარ... რომში ვინ არ იცის ნერონი?.. პირველად ნერონი მოსდის ყველას თავში.... სხვა მოიგონე.

- მე მხოლოდ ნერონი ვიცი... სხვები არ გამიგონია, - დარცხვენით მოიფხანა ნიკაპი ჩეზარემ...

- რომს ბევრი იმპერატორი ჰყავდა, არანაკლებ ასისა... მაგალითად ვესპასიანე. აი ის, პისუარები რომ მოიგონა... არ გაგიგონია ვესპასიანე?

- ჰო, როგორ არა, ვესპასიანე.

- თუმცა არც ვესპასიანე გამოგვადგება... სასაცილოდ აგვიგდებენ. ერთი დახედე, რა აწერია მაგ შენს მონეტას. თუმცა, მომეცი, მე თავად დავხედავ.

ჩეზარემ მონეტა გამომიწოდა. გულდასმით გავსინჯე, მაგრამ წაშლილიასოების მეტი, რომელთა გარჩევა შეუძლებელი იყო, ვერაფერი ვნახე.

- კარაკალა... - გამიელვა უცებ თავში, - აი, ის თერმები რომ აღმართა რომში... გესმის? კარაკალა.

- კარაკალა იყოს.

- მაშასადამე, ასე... შენ აქ, ამ პარკში შედი. მე შორიახლოს ვიტრიალებ... როგორც კი შესაფერის ტიპს შევარჩევ... ჩავახველებ. ამით შენ მიხვდები, ვის უნდა მიმართო და საქმეს შეუდგები... რას იტყვი, ხომ კარგი აზრია?

- კარგი აზრია.

ერთმანეთს გავშორდით. ჩეზარე პარკში შევიდა, მე ტროტუარზე ვიდექი, გამვლელგამომვლელს ვაკვირდებოდი. ამ მიდამოს რატომღაც რომის გარეუბნელი ხიხოები ეტანებიან. ეს ხიხოები დარწმუნებული არიან, დიდი გამოქექილი ხალხი ვართო. ვერ შევედავები, იქნებ თავის სოფელში მართლაც ასეთები იყვნენ, ნათქვამია, კატა თაგვთან მამაციაო, მაგრამ რომში კი ძუძუთა ბავშვებივით უსუსურები არიან. ტომრებითა და ჩემოდნებით დატვირთულებმა რამდენიმე ასეთმა ხიხომ ჩამიარა წინ, მაგრამ საჩვენო ზვარაკი არც ერთი არ იყო. მოლოდინით გული რომ არ გამწვრილებოდა და უფრო დარბაისლური იერი მიმეღო, პაპიროსი ამოვიღე და მოვუკიდე. რატომღაც პირველივე ნაფაზზე კვამლი სასულეში გადამცდა და ხველა ამივარდა. ის რეგვენი ჩეზარე ჩემი ხველის გაგონებისთანავე ერთ ქერა ყმაწვილს მივარდა. ყმაწვილი რამდენიმე წუთის წინ შევიდა პარკში. ყველაფერი ისე უცებ მოხდა, რომ ჩარევა ვერ მოვასწარი.

ვიდრე ჩეზარე ქერა ყმაწვილს ელაპარაკებოდა, შორიდან შევათვალიერე. მელიის ბეწვით

გაწყობილი, გლეხური ფართო ქურთუკი, ველვეტის ყავისფერი ფართო შარვალი და ტალახში ამოსვრილი ყვითელი ჩექმა ეცვა. ფერმკრთალი, წვიტი სახე ჰქონდა, მოკლედ შეჭრილი თმა, ჩოფურა ცხვირი და ისეთი ქერა ულვაში, რომ თითქმის

თეთრად მოჩანდა. ერთი შეხედვით გამოწიფულ ყმაწვილს ჰგავდა, მაგრამ უფრო კარგად დავაკვირდი და მომეჩვენა, რომ ნამდვილი გაგრია იყო. ყურადღებით, თითქმის ინტერესით უსმენდა ჩეზარეს. ჩეზარემ ჯიბეზე რომ გაიკრა ხელი, ჩემი დროც დადგა, უკან დახევა შეუძლებელი იყო.

ყმაწვილი მონეტას ხან წაღმა ატრიალებდა, ხან უკუღმა. გულდასმით აკვირდებოდა. ჩეზარე უხსნიდა. მე მედიდური სახით მივუახლოვდი და ვკითხე:

- მაპატიეთ კადნიერება... შემთხვევით ეს რომაული მონეტა ხომ არ არის?

- როგროც ჩანს, ასეა, - ხმადაბლა ჩაილაპარაკა ყმაწვილმა.

- ნება მიბოძეთ ვნახო. ამ საქმეში ცოტაოდენი გამეგება. მე ანტიკვარი ვარ... მიჩვენეთ, თუ შეიძლება.

ყმაწვილმა მონეტა გამომიწოდა. დიდად დაინტერესებული ადამიანივით დავუწყე სინჯვა. მერე ჩეზარეს მივუბრუნდი და ვკითხე:

- სად იპოვნე ეს მონეტა?

უნდა მოგახსენოთ, რომ ჭუჭყიანი და ტანისამოსშემოფლეთილი ჩეზარე ამ როლისთვის პირდაპირ შესაფერი იყო.

- რა გინდათ ჩემგან?... ერთი ღარიბი კაცი ვარ, - აწუწუნდა ჩეზარე.

- კარგი, კარგი, რისა გეშინია. ჯაშუში კი არა ვარ, შე კაი კაცო. მოდი, გულახდილად მითხარი, სად იპოვნე?

- მე მიწისმთხრელი ვარ, სინიორ. აი, აქ, ახალი სადგურისათვის ჭვაბულს ვთხრიდი და იქ ვიპოვნე... იქნებ მითხრათ, რომელი საუკუნისაა და ღირს თუ არა რამედ?

- ღირებით, რა თქმა უნდა, ღირს. მგონი ეს იმპერატორ კარაკალას დროინდელი მონეტაა.

- დიახ, დიახ, ეს სახელი უკვე ვიღაცამ მიხსენა. კარაკალა. დადგა გადამწყვეტი წუთი,

  მე ცივად ვიკითხე:

- რამდენი?

- რა რამდენი?

- რამდენი გინდა?

- სამოცი ათასი.

მართალია, ჩვენ ამ თანხაზე შევთანხმდით, მაგრამ ჩეზარეს ასე უცებ არ უნდა წამოეყრანტალებია სამოცი ათასიო. ჯერ უნდა ეკითხა, თქვენ რას მომცემთო, მაგრამ ყეყეჩი იყო და ვერ მოიფიქრა. მეტი რა დამრჩენოდა, ისეთი ადამიანის სახე უნდა მიმეღო, ვისაც ბედნიერი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ უნდა.

- ორმოცდაათ ათასს მოგცემ თანახმა ხარ? თან ცერად გადავხედე ყმაწვილს,

ეტყობოდა ანკესს წამოეგო.

- მე ათი ათასით მეტს მოგცემ... დამითმობ? - მიმართა ყმაწვილმა ჩეზარეს.

ისეთი კილოთი უთხრა ეს, თითქოს ჩეზარეს დაყოლიება უნდაო. ჩეზარემ შემომხედა და მოიბოდიშა:

- იცით, ეს ჭაბუკი პირველი იყო... მაპატიეთ, მაგრამ მონეტა მას უნდა მივცე. ქერა

ყმაწვილი ულვაშს იკვნეტდა და ორივეს მოგვშტერებოდა.

- ოღონდ იცოდეთ, ფული თან არა მაქვს, წამომყევით და მოგცემთ.

- სად უნდა წამოგყვეთ?

- სადა და, პოლიციაში. ჩეზარემ კინაღამ შიშით სული გააფრთხო, თვალებდაჭყეტილი

მიაჩერდა ჭაბუკს.

- უკაცრავად, მაგრამ, რა უფლებით? - ჩავერიე ისევ მე, - ვინ ბრძანდებით? პოლიციის აგენტი ხომ არა ხართ?

- არა, პოლიციის აგენტიარ გახლავართ, - დაცინვით მიპასუხა ქერამ, მაგრამ არც ისეთი ვარ,

როგორიც გგონივართ. ყალბი მონეტის შემოჩეჩება გინდოდათ? ვერ მოგართვეს. წამობრძანდით პოლიციაში და იქ გამოვარკვევთ ყველაფერს. სასოწარკვეთილი

ჩეზარე მე შემომყურებდა. უცებ მოვისაზრე, რა უნდა მეთქვა:

- სცდებით, მეგობარო, სცდებით... შესაძლოა ეს კაცი გარეგნულად მართლა თაღლითსა ჰგავს, მაგრამ მე კი მის დამქაშს და თქვენ მოტყუებულს, ესე იგი, ჩვენს მსხვერპლს. მაგრამ მე პირველად ვხედავ ამ ადამიანს, თქვენთვისაც მახე არავის დაუგია, ნამდვილად ანტიკვარი გახლავართ. მონეტაც ნამდვილია და მე მას ვყიდულობ. მომეცი მეგობარო, მონეტა და მიიღე ფული.

ჩეზარემ მონეტა გამომიწოდა. მე კი ოტავიოს კუთვნილი ორმოცდაათი ათასი ჩავუთვალე ხელში.

- დაე, ეს თქვენთვის გაკვეთილი იყოს, - მივუბრუნდი ისევ ჭაბუკს, - უნდა ისწავლოთ, ბატონო ჩემო, პატიოსანი ხალხის თაღლითებისაგან გარჩევა...

- აბა რა ვიცი, ვინ დამიმტკიცებს რომ თქვენ შეთანხმებულები არა ხართ?

ახლა, როცა ყალბ მონეტაში ფული გადახდილი მქონდა, ძალიან გავთამამდი და მინდოდა ლაზათიანად გამომელანძღა ის გაგრია.

- რაო, რა თქვი? შეთანხმებულები ხართო - დავიწყე მუქარით და ბეჭები შევათამაშე, - ზედ გეტყობა, რა გაგრიაცა ხარ. შეიძლება ყველის გარჩევა იცოდე, მაგრამ პატიოსანი ხალხის ცნობა არა გცოდნია. შენ ბრმა ხარ და გიჯობს იმ შენს სოფელში დაეტიო.

- ვის ეუბნები ამას, მე? - ხმა აიმაღლა ყმაწვილმა- არა, ასე რა გაღრიალებს, შე მუდრეგო, შენა!

- თვითონ ხარ მუდრეგი, თანაც აყროლებული. საშინლად გავცეცხლდი. უთუოდ

  იმიტომ, რომ ჩემი თავი მართალი მეგონა.

- არამზადავ! - მომახალა ქერამ.

თავი ვეღარ შევიკავე, უცებ ქურთუკში ვწვდი ქერას, მინდოდა მელიის ბეწვის საყელო ჩამომეგლიჯა, მაგრამ გამვლელ-გამომვლელნი მოგვიცვივდნენ და გაგვაშველეს. ვუძალიანდებოდი გამზავებლებს და გავყვიროდი:

- გასწი აქედან, დაიკარგე, ყველი გაჰყიდე. შე ყეყეჩო, გაგრიავ, გაუთლელო. ქერამ

  თმები აიჩეჩა და ხალხში გაერია. მე ჩეზარეს მივუბრუნდი.

კარგად მოვათვალიერე იქაურობა, მაგრამ ეჰ, რა დაგიკარგავს, რას ეძებ! ჩეზარე არსად ჩანდა. სისხლი გამეყინა ძარღვებში. ჩვენი გამზავებლები უკვე დაიშალნენ და თავთავის გზას გაუდგნენ.

სადგურისკენ გავიჭერი. არც იქ იყო ჩეზარე. დელ ეზედრის მოედანზეც გავედი, მაგრამ ვერც იქ ვნახე. თვალსა და ხელს შუა გამიქრა და ამასთან ერთად გაქრა ოტავიოს ორმოცდაათი ათასი ლირიც. ჩემს უბედურებაში რომ დავრწმუნდი, ჭირის ოფლმა დამასხა. მუხლიმომეკვეთა და ისეთი ფერი დამედო, რომ ერთმა გამვლელმა მკითხა: ცუდად ხომ არა ხარო.

ბრაზით აკანკალებულმა დავკარი ფეხი და ოტავიოს მაღაზიისკენ გავიქეცი. სუნთქვა მეკვროდა, ისე მივქროდი, მთლად ოფლში გაღვრილმა მივირბინე ვია ვიჩენცოზე.

სქელი, ბინძური, წვერგაუპარსავი ოტავიო ჩვეულებისამებრ იჯდა და გამადიდებელი შუშით რაღაცას სინჯავდა. გიჟივით შევვარდი დუქანში და სულმოუთქმელად შევძახე:

- იცი ოტავიო, ფულს ვერ დაგიბრუნებ. თუ გინდა ფულის ნაცვლად აი ეს მონეტა აიღე.

ოტავიომ თავიც არ ასწია, მშვიდად ჩამომართვა მონეტა, თვალებთან მიიტანა და უცებ გადაიხარხარა. მერე წამოდგა და სიცილით დამკრა მხარზე ხელი.

- რომაული მონეტა! რომაული მონეტა! ჰეი, ჰეი, ატილიო, როგორ დაცემულხარ! ყალბი მონეტების კეთება დაგიწყია.

დროს ტარება ფერაგოსტოს დღესასწაულზე

იმ გაზაფხულს საქმეები ცუდად წამივიდა. ფერეგოსტოს დღესასწაულზე რომში დავრჩი, დავრჩი მთლად ობლად, არც მეგობარ-ნათესავი იყო ჩემს ბარობაზე, აღარც ქალები. მაღაზია, სადაც მე ვმუშაობდი, უქმეში დაიხურა, თორემ დარდიან გულზე, ოღონდ ხალხში ვყოფილიყავი, უქმეს აღარ დაგიდევდით, მივყვებოდი და რაც დარჩენილი სასეზონო საქონელი გვქონდა, პერანგები, პერანგის ამხანაგები, პიჟამოები, წინდები და სხვა ამგვარი ხარახურა, სულ ერთიანად ვყიდდი. სწორედ იმ დილას, თხუთმეტ აგვისტოს, ტორელო მანქანით მოადგა ჩემს სახლს და ფანჯარასთან საყვირი ამიჭყიპინა - ფრენჯოში წაგიყვანო. ვიფიქრე, მართალია, ტორელო აუტანელი კაცია, საზიზღარი, მაგრამ მარტოობას მაინც მასთან ყოფნა სჯობს-მეთქი და თითქმის ხალისით დავეთანხმე. ტორელო ჯმუხია, ჩასხმული, მკვდარივით გადაფითრებული, წაწვეტებული სახე აქვს, მკაცრი და უაზრო გადმოკარკლული ცისფერი თვალები. ვერ ვიტანდი ტორელოს თვალებს, პირდაპირ ხელი მექავებოდა, ისე მინდოდა ქინძისთავი მეჩხვლიტა იმ თვალებში. დიახ, ტორელო არ მომწონდა, მაგრამ, როგორც ჩანდა, მარტო მე ვიყავი ამ კაცზე ცუდი შეხედულების, საერთოდ სიმპათიურ ყმაწვილად მიაჩნდათ, ქალები ხომ, ნუღარ იკითხავთ, პირდაპირ კისერზე ეკიდებოდნენ.

საკმაოდ წელგამართული კაცი იყო, კარგი გარაჟი ჰქონდა და მის თანდაყოლილ თავხედობას ფულიანი კაცის კადნიერება და სითამამეც ერთვოდა. თავხედობას კიდევ აიტანდა ადამიანი, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ტორელოს ბევრი სხვა ნაკლიც ჰქონდა, ამიტომ არ მიყვარდა. დაუფიქრებელი ლაპარაკი იცოდა, საშინელი უზრდელი და ბრიყვი იყო. ერთი სიტყვით, ჭკუა ნაღრძობიაო, რომ იტყვიან, სწორედ ზედ გამოჭრილი იყო მასზე. უადგილო ლაპარაკი იცოდა, ყველას აღიზიანებდა და შეურაცხყოფდა. წარმოიდგინეთ, გეთაყვა, მომღერალი, რომელიც ყოველ ნოტაზე ტყუის! მოუსმენდით ასეთ მომღერალს? რასაკვირველია, არა. ფულს იქით მისცემდით, ოღონდ გაჩუმდესო.

ამგვარი მომღერალივით მოქმედებდა ჩემზე ტორელო, ძარღვებს მიშლიდა. მართალია, ჭირვეული ადამიანი არა ვარ, ყველას ვუსწორებ ხასიათს, მაგრამ ტორელოს ვერ შევეგუე, ყოველთვის გავურბოდი. ამ უქმეებზე კი ვეღარ ავარიდე თავი და წავაგე კიდეც. ჩავუჯექი თუ არა ტორელოს მანქანაში, მაშინვე სისულელე წამოროშა:

- მადლობა მითხარი, რომ დაგპატიჟე, დიახ! თორემ ამ უქმეს ბორგეზეს ვილაში გაატარებდი.

„აჰა, უკვე დაიწყო“, - გავიფიქრე, მაგრამ ხმა არ გამიცია, მაინც ვერაფერს შეიგნებდა, არც ჭკუა აწუხებდა, არც ზრდილობა.

ტორელოს მანქანას განსაკუთრებული ძარა ჰქონდა, არასერიული, მწვანე ფერისა, დაბალი, და ტორელო ამით მეტისმეტად ამაყობდა. კერ კიდევ ქალაქის საზღვარს არ

ვიყავით გაცილებული, რომ საოცარი სისწრაფით გააქროლა მანქანა, ორმოცდაათი, ასი, ას ათი, ას ოცი კილომეტრი საათში.

- ნელა, შე კაი კაცო, რა გაჩქარებს... ფერენჯოში ვგონებ არავინ გველის, - ვუთხარი ტორელოს შეშფოთებულმა.

ტორელომ პასუხის ნაცვლად სატერფულს ფეხი დააჭირა, ელვასავით ჩავუქროლეთ მადონა დი რიპოზოს საყდარს და ვია აურელიაზე გავიჭერით. ხალხი ფერაგოსტოს ზეიმობდა, ქუჩები მანქანებით იყო გაჭედილი, ტორელოს კი გმირობად მიაჩნდა, თუ სხვებს გაუსწრებდა. გზა თავისუფალი იყო თუ არა, არ დაგიდევდათ, არც კლაქსონს აჭერდა ხელს, ისე პირდაპირ, სარქენად გაქანებული ხარივით, თავდაღუნული მიჰქროდა. ღვთის მადლით, ხალხით სავსე ქუჩებს მშვიდობიანად გავცდით და ლარივით სწორ გზაზე რომ გავედით, ჩვენ წინ მიმავალი ამერიკული დიდი, შავი მანქანა დავინახეთ.

- ამასაც ხელად გავუსწრებ, - წამოიძახა ტორელომ და სიჩქარეს მოუმატა.

ამერიკული მანქანა უფრო დიდი სიმძლავრისა იყო, მაგრამ საჭესთან მჯდომ კაცს წინდახედულად და ფრთხილად მიჰყავდა. ამერიკელი ქალი ეჯდა გვერდით. როცა მათ მანქანას გავუთანასწორდით ქალს თვალი შევავლე: ქერა იყო, პირმრგვალი, შავ, ხავერდოვან თვალებში უკმაყოფილო, ბიწიერი იერი უკრთოდა. დიდ კატასა ჰგავდა. კაცს ეტყობოდა დაბალი იყო, მოკლე კისერი პირდაპირ უერთდებოდა კეფას, მელოტი გახლდათ, ცხვირი ქლიავს მიუგავდა, კბილებში სიგარა გაერჭო, პერანგის საყელო გადაეღეღა, ბანჯგვლიანი ხელები კი საჭეზე ეწყო.

- მშვიდობით, მშვენიერო ქერა ქალო! - დაუყვირა ტორელომ.

ქალმა მოიხედა და გაუღიმა. ამ დროს მოსახვევიდან მოულოდნელად დიდი საბარგო მანქანა გადმოხტა, სიგარიანმა კაცმა სწრაფად უქცია გზა, ტორელომ ძლივს მოასწრო გადახვევა. სიგარიანმა კაცმა ხელი დაგვიქნია და შურდულივით გაიჭრა წინ.

- კარგი დედაკაცია, - მითხრა ტორელომ და სატერფულს ფეხი დააჭირა. - ხომ დაინახე, როგორ გამიღიმა?

- დაეხსენ. ეგ საშენო ქალი არ არის, - ვურჩიე მე.

- პიჟამოს ყიდვას რომ დავაპირებ, რჩევას მაშინ გკითხავ, - დაცინვით მიპასუხა ტორელომ. იმას ხომ არაფრად უღირდა ადამიანის შეურაცხყოფა.

მთელი სისწრაფით მივქროდით ამერიკული მანქანის კვალდაკვალ და როცა ის რკინიგზის გადასასვლელთან შედგა, ტორელომ გვერდით ამოუყენა თავისი მანქანა. ქერა ქალმა შემოგვხედა, ისევ გაუღიმა ტორელოს. ტორელო მოურიდებლად ჩააცქერდა ქალს თვალებში. სიგარიანმა კაცმა შენიშნა ეს. პირიდან სიგარა გამოიღო და იქვე, დარაჯის, ჩემი და რამდენიმე გლეხის წინ, ხელუკუღმა თხლიშა ქალს ტუჩებში. ამ დროს ბერა ასწიეს, მათი მანქანა დაიძრა და ქალის სახის გამომეტყველება ვეღარ დავინახეთ. ნეტა გენახათ, რა მოუვიდა ტორელოს, ამერიკელმა ქალს რომ გაარტყა, ტორელოს ეგონა, სიყვარული ამიხსნესო.

- აჰა, ყველაფერი რიგზეა, - ჩაიბურტყუნა საჭეზე დახრილმა, - აი, ნახე, მის ცხვირწინ თუ არ გამოვალო ეგ ქალი.

ამერიკული მანქანა ჯადოქრული სისწრაფით მიჰქროდა. მხოლოდ ნაძვის ხეივანთან დავეწიეთ. შევედით ხეივანში. სასეირნოდ გამოსული ხალხი ხეებქვეშ მოფენილიყო. მანქანებიდან რასიოს ხმა მოისმოდა, იქვე ყიდიდნენ ლიმონათს, აქა-იქ ეყარა ბოთლები და პარკები, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ყოველ დღესასწაულზე.

ჩვენ უკან მივყვებოდით ამერიკულ მანქანას, როცა ის რია მოედანზე გავიდა და საჩიხქვეშ შედგა ჩრდილში, ტორელომაც გვერდით ამოუყენა თავისი მანქანა.

კაცი ერთი მხრიდან გადმოვიდა, ქალი მეორე მხრიდან. ტორელომ მიირბინა და ქალს გადმოსვლა უშველა. ქალმა მადლობა გადაუხადა და თავის თანამგზავრს გაჰყვა. მაღალი იყო, წერწეტა, უსურვაზივით მოქნილი, თეძოების რხევით მიჰყვებოდა კაცს. პლაჟზე გავიდნენ, ჩვენ უკან გავყევით. ბილეთები იყიდეს, ჩვენც ვიყიდეთ. ბუდრუგანებისკენ წავიდნენ, ჩვენც მივყევით. საბანაოს მსახურმა ერთად რომ დაგვინახა, გვკითხა:

- ერთ ბუდრუგანაში შეხვალთ ყველა? ქალმა ტორელოს შეხედა და გაიცინა.

- მე უარს არ ვიტყოდი, - წამოიძახა ტორელომ.

- არა, ჩვენ ცალკე შევალთ, - უთხრა ამერიკელმა მსახურს.

ქერა ქალი ერთ ბუდრუგანაში შევიდა, ტორელო მეორეში. მე და ამერიკელი გარეთ დავრჩით. ამერიკელმა პორტსიგარი ამოიღო და გამომიწოდა.

- ინებეთ სიგარა!

არ ვეწევი-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ არ მომეშვა, გინდა თუ არა აიღეო, ბოლოს თითქმის მუქარით მითხრა:

- მაშ თქვენი მეგობრისთვის აიღეთ.

თითქოს ამ კაცს სამხრეთული გამოთქმა ჰქონდა, უცხოური კილო. გუნებაში გავიფიქრე, იქნებ წარმოშობით იტალიელია და ამერიკაში ცხოვრობს-მეთქი. ამ დროს ტორელომ ქერა ქალს ბუდრუგანის კედელზე დაუკაკუნა, ქალმა ჩაიკისკისა.

- დიდი ხუმარაა ეგ თქვენი მეგობარი, - მითხრა ამერიკელმა და ქალს ინგლისურად რაღაც დაუყვირა. ქალი ბუდრუგანიდან გამოვიდა, კაცი შევიდა.

- ეს სიგარა იმ კაცმა გითავაზა, - ვუთხარი ტორელოს, როცა ისიც გამოვიდა ბუდრუგანიდან. ტორელომ სიგარა ჩამომართვა და კაცს დაუძახა:

- ალო, გმადლობთ სიგარისათვის.

- ეგ არაფერი, - უპასუხა ამერიკელმა და კარში თავი გამოჰყო, ჯიქურ მიაჩერდა ტორელოს, - ხალათს ხომ არ ინებებთ, ან ამ საფულეს? ანდა, იქნებ, პორტსიგარი აირჩიოთ, ოქროსია!

ასე თავისებურად აგრძნობინა ტორელოს, ჭკუით იყავიო. ტორელოს ალმური მოედო სახეზე. კაცმა კარი მიხურა. ტორელო წუთით ჩაფიქრდა, თვალი ჩამიკრა და ქალს გაედევნა, დაეწია, რაღაც უთხრა, მერე ხელი გაუყარა. ჩემს თვალებს არ ვუჯერებდი, ტორელო სწორად იქცევა-მეთქი, გავიფიქრე კიდეც.

ქალი ისე მიარხევდა თეძოებს და მხრებს, გეგონებოდათ, არც სახსრები აქვს, არც კუნთები, რეზინის არისო.

ზღვა მთლად მშვიდი არ იყო, როგორც კი შევიდნენ წყალში, ტორელოსა და იმ ქერა ქალს ვეებერთელა ტალღამ გადაუარა და დაფარა. უკუ რომ მიიქცა ტალღა, დავინახე, რომ ქერა ქალი კისერზე ჩამოჰკიდებოდა ტორელოს და გულიანად კისკისებდა. მერე შორს გასცურეს და თვალთაგან დამეკარგნენ.

ამერიკელი ბუდრუგანიდან გამოვიდა, თეთრი მაისურა და შავი ტრუსები ეცვა. მოკლე ფეხები ჰქონდა, ქონივით თეთრი კანი, თეძოები და მხრები ბანჯგვლიანი. ხელში გაზეთი ეჭირა, პირში განუყრელი სიგარა. მსახურს უბრძანა, შეზლონგი აქ მომიტანეთო, დაჯდა და გაზეთი მუხლებზე დაიდო. ტორელო და ქერა ქალი ბღლარძუნით და ძიძგილაობით გამოვიდნენ ნაპირზე. კაცმა შეხედა, მერე გაზეთი გაშალა და კითხვა დაიწყო. ქალმა პლაჟი გამოიარა და კაცის წინ ჩაცუცქდა. ტორელო შუა პლაჟზე შედგა, ვარჯიში დაიწყო. ხან ძირს დაიხრებოდა, ხან მარჯვნივ გადაიზნიქებოდა, ხან მარცხნივ, ქერა ქალს თავს აწონებდა. მე ზღვაში შევედი და მთელი საათი არ გამოვსულვარ. წყლიდან რომ ამოვედი, ტორელო ჩაცმული დამხვდა, მოუთმენლად მელოდა. - სად დაიკარგე ამდენ ხანს? აბა, მარდად ჩაიცვი, ისინი უკვე სასადილოდ წავიდნენ.

მალე ჩვენც შევედით რესტორანში. ჩვენი ნაცნობები სუროთი დაბურულ ფანჩატურში ისხდნენ. ტორელომ პირდაპირ მათკენ გასწია, შევიდა ფანჩატურში და მეზობელ მაგიდასთან შედგა.

- მანდ რატომ ჯდებით? პირდაპირ ჩვენს მაგიდას მოჯდომოდით, - ხმამაღლა უთხრა სიგარიანმა ტორელოს. მასხრად იგდება ჩემს ამხანაგს, იმ შტერმა კი მართლა დააპირა მათთან დაჯდომა.

- გინდათ, მე წავალ და თქვენ სინიორასთან დაგტოვებთ.

ტორელო უხმოდ დაეშვა ჩემს გვერდით სკამზე. ერთ ხანს მდუმარედ ვჭამდით, მაგრამ ხილი რომ მოგვართვეს, ქერა ქალმა დრო იხელთა, როცა ამერიკელი განზე იყურებოდა, და ტორელოს გაუღიმა. ამან გაათამამა ტორელო, ფრასკატი მოითხოვა, ბოთლი აიღო და მათთან მივიდა. ქალმა გადაიკისკისა, კაცმა შეუბღვირა.

- რათ ვუბღვერთ ერთმანეთს? - დაიწყო ტორელომ, - ნეტა, რა გვაქვს საჩხუბარი? მოდით, დავლიოთ.

- აქ მომეცით ეგ ბოთლი, - უთხრა ამერიკელმა, ბოთლი ჩამოართვა, ღვინო ყვავილების ვაზაში ჩაუშვა, მერე ბოთლი ტორელოს დაუბრუნა და უთხრა: - დიდად გმადლობთ. ქალი გულიანად კისკისებდა. ამერიკელი წამოდგა და ბუფეტისკენ წავიდა.

- აღტაცებული ვარ თქვენი თავაზიანობით, - უთხრა ქალმა ტორელოს.

გააბეს საუბარი, ტორელო თანდათან გათავხედდა, მაგრამ ამ დროს მათ შუა მოულოდნელად ჩადგა ამერიკელი, შეხედა ტორელოს და მეტისმეტად თავაზიანი კილოთი მიმართა:

- ისევ ნაძვის ხეივანში მივდივართ, თქვენც წამობრძანდით ჩვენთან ერთად. ტორელო

ყოყმანობდა, ვაი თუ ისევ დამცინისო.

- რა კიღა თვითონ გეპატიჟებათ, უარს ნუ ეტყვით, - უთხრა ქალმა.

ჩვენ ისევ ნაძვის ხეივანში ვართ. ამერიკული მანქანა კვლავ ჩვენს წინ მიჰქრის, რბილად ირწევა ტყის სიღრმეში გაჭრილ, ბალახიან გზაზე. საკმაოდ ღრმად შევედით ტყეში. ამერიკული მანქანის უკანა მინაში კარგად ვხედავდი მათ თავებს: კაცს ისევ სიგარა ერჭო პირში. რა ადვილად აღწევს ყველაფერს ტორელო, პირდაპირ დაუჯერებელი ამბავია-მეთქი, გავიფიქრე. ტორელო აღგზნებული იყო, იქადნებოდა. ახლა ამერიკელი დაიძინებს, და ნახე, თუ მის ცხვირწინ არ გამოვალო ეს მშვენიერი ქალიო.

ასე არასოდეს მზიზღებია ტორელო, როგორც იმ წუთებში.

საკმაოდ ღრმად რომ შევედით ტყეში, ამერიკელმა თავისი მანქანა პატარა მინდორზე შემოაბრუნა. ტორელომაც დაამუხრუჭა მანქანა, გადავიდა, თამამად გაეშურა ამერიკელისაკენ, რომ მიუახლოვდა, ხელი გაუწოდა, ალბათ უნდოდა თავი გაეცნო. ამერიკელი უძრავად იდგა, მერე უკან დაიხია, ორი-სამი მეტრის მანძილიდან თავდაღუნული გამოქანდა და ისე დაეძგერა გულის კოვზში ტორელოს, რომ ტორელომ წყლიდან ამოგდებული თევზივით დააღო პირი. დიახ, თავით დაეძგერა, როგორც თავისუფალ ჭიდაობაში იციან. ტორელომ ხელის მოქნევაც ვერ მოასწრო, რომ ამერიკელმა ახალი მუშტი ჩასცხო სახეში. ტორელო შებარბაცდა, უკან დაიხია და იმ წამს ხელები სახეზე აიფარა. ამერიკელი შეტრიალდა, თავის მანქანაში ჩაჯდა და მოტორი აამუშავა.

კინაღამ სიცილი წამსკდა ამ სურათის დანახვაზე. ახი იყო, ძალიან მეამა, ტორელო რომ მიბეგვეს. მივედი, ვაი, რა საცოდავი იყო, პირი სისხლით ჰქონდა სავსე, მუცელი ხელით ეჭირა, ხეს ამოეფარა და აღებინა. მე ისევ მანქანაში ჩავჯექი, გაუტეხელი სიჩუმე იყო ირგვლივ, მხოლოდ დროდადრო, როცა მივაყურებდი, ტყის სიღრმეში ჩიტების ჟღურტული ისმოდა. კარგა ხანს დამჭირდა ლოდინი. ბოლოს, როგორც იყო, მოვიდა ტორელო, პირზე ცხვირსახოცი მიეფარებია. საჭეს მიუჯდა და მანქანა დაძრა. ერთ ხანს მდუმარედ მიჰყავდა.

- სულ იმ კუდიანი დედაკაცის ბრალია ყველაფერი, - როდის-როდის ამოღრაღნა ტორელომ.

მინდოდა მეთქვა, კუდიანი დედაკაცის კი არა, შენი ბრალია-მეთქი. მაგრამ, ვიცოდი წყლის ნაყვა იქნებოდა, ამიტომ გავჩუმდი. რომში დავშორდით ერთმანეთს. ის დღე იყო და ის მას აქეთ ტორელო აღარ მინახავს.

რომის რისხვა

ისე მენატრებოდა ახალი ფეხსაცმელი, ისე მენატრებოდა, რომ ხშირად სიზმარშიც კი ვხედავდი. მართალია, მთლად ფეხშიშველი არ ვიყავი, მაგრამ ეს ჩემი ფეხსაცმელი კარგა ხანს მემსახურა, მგონი ჯერ კიდევ ამერიკელების აქ ყოფნისას ვიყიდე. ჰოდა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, ამ ხნის მანძილზე რა ხეირი დაადგებოდა. ქუსლები მთლად მოუცვდა, ერთი ფეხსაცმელი ცერა თითთან გასკდა, მეორე ისე მოითელა, რომ ფლოსტს დაემსგავსა და სიარულისას ფეხიდან მძვრება.

ეჰ, თვალი დაუდგეს სიღარიბეს. აბა, საიდან მოვაგროვებ ახალი ფეხსაცმლის ფულს, საიდან მოვიტან რამდენიმე ათას ლირას. ვინ მომაქვავებს ამ ათასიანებს? ერთი გასაცოდავებული კაცი ვარ, შავ ბაზარზე წვრილმანებს ვყიდი, ვმუშაობ დამტარებლად, სულ რაღაც გროშების გულისთვის დილიდან საღამომდე ენაგადმოგდებული დავწანწალებ და საითაც გავიხედავ, ახალი ფეხსაცმელი შავი წერტილივით თვალწინ მიტრიალებს. ხანდახან მეჩვენება, ახალი ფეხსაცმელი თუ არ ვიყიდე, აღარ ვიცოცხლებ-მეთქი და საშინელ სასოწარკვეთილებაში ვვარდები. ქუჩაში რომ მივაბიჯებ, ხალხს სულ ფეხებში ვუყურებ, ვაკვირდები, რა აცვიათ, ან საათობით ვდგავარ მაღაზიის ვიტრინასთან, ვათვალიერებ ნაირნაირ ფეხსაცმელს, ვუსინჯავ ფასს, ფერს და გუნებაში ვარჩევ საჩემოს.

იმ ზაფხულს შვეიცარის სარდაფში საწოლი მქონდა ნაქირავები და ღამის გათევაში ას ლირს ვიხდიდი. შვეიცარს სხვა მდგმურიც ჰყავდა, ერთი ჩემსავით უთვისტომო და უსახლკარო ჭაბუკი ლორუსო. არ ვიცი, საიდან, ან რა გზით იშოვა იმ ჭაბუკმა ფეხსაცმელი, კარგი ტყავის, ორმაგი სქელი ლანჩებით და ნალებით. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ლორუსოს ფეხსაცმელი ხალვათად ჰქონდა. ყოველ დილით, ჩაცმის წინ ფეხსაცმელის წვერში დაჭმუჭნილ გაზეთს ტენიდა. მე ლორუსოზე მოსული ვარ, ჩემზე სწორედ ზედ გამოჭრილი იყო ის ფეხსაცმელი და ამიტომ საშინლად მშურდა ლორუსოს ბედი. ლორუსოსაც ჰქონდა ერთი განუხორციელებელი ოცნება. რომში ჩამოსვლამდე მთაში ცხოვრობდა თურმე, იქ მწყემსებთან სალამურის დაკვრა უსწავლია და ახლა ფლეიტაზე ოცნებობდა. ფლეიტა რომ მქონდეს, ჩემი გარეგნობის წყალობითო, - დაბალი, ქერა, ცისფერთვალება, სპორტული ქურთუკი ეცვა და ამერიკული შარვალი, რომელიც ამერიკულსავე ფეხსაცმელში ჰქონდა ჩატანებული, - იტყოდა ხოლმე ლორუსო, - ფული არ გამომელეოდაო. ავიღებდი ფლეიტას, ვივლიდი რესტორანებში და მწყემსურ სიმღერებს დავუკრავდიო. მაგრამ ფლეიტა ძვირი ღირდა, თითქმის ფეხსაცმელზე ძვირი, ლორუსო კი ჩემსავით ჯიბეგაფხეკილი გახლდათ. არვინ იცის, სად და რა გზით შოულობდა ლუკმაპურის ფულს. ერთ ბედში მყოფები, ერთმანეთს შევჩიოდით ჩვენს გასაჭირს. მე სულ ფეხსაცმელზე ვლაპარაკობდი, ლორუსო კი ფლეიტაზე. მაგრამ აშკარა იყო, ვერც ის ეღირსებოდა ფლეიტაც და ვერ მე ფეხსაცმელს.

ბოლოს, ბევრი წუწუნისა და ბედის სამდურავის შემდეგ, გადავწყვიტე, ასე გულხელდაკრეფილი ჯდომა და ვიშვიში არას მარგებს, რამე უნდა ვიღონო-მეთქი. მალე გეგმაც შევადგინე, როგორ და რა გზით მეშოვნა ფული და ჩემი ჩანაფიქრი ლორუსოს გავუზიარე. ლორუსო ისეთი ხალისით დამეთანხმა, თითქოს მთელი

სიცოცხლე ამაზე ფიქრობდაო. ჩემი გეგმა ასეთი იყო: უნდა წავსულიყავი რომელიმე პარკში, სადაც ხალხი გასართობად იკრიბებოდა, სადაც შეყვარებულები სეირნობდნენ, მაგალითად, ბორგეზეს ვილაში, და რომელიმე განმარტოებულ წყვილს დავსხმოდი თავს. ამაზე რომ ველაპარაკებოდი ლორუსოს, ჩემდა გასაოცრად დავრწმუნდი, რომ მას დიდი ბოროტი მოქმედების ჩადენაც კი არ გაუჭირდებოდა. აბა, რას წარმოვიდგენდი, თუ ეს ცისფერთვალება, გულუბრყვილო მწყემსი ასეთი იქნებოდა. ვერ აგიწერთ, რა აღტაცებით დაიწყო ლაპარაკი თუ როგორ გამოუყვანდა წირვას ქალსაც და კაცსაც. ისეთი ლაზათით გამოთქვამდა: წირვას გამოვუყვანო, გეგონებოდათ წინასწარ ტკბებოდა სურათის წარმოდგენითო. ეს არ იკმარა, მიყურე, როგორ ოსტატურად ვაკეთებ ამასო, დამიძახა, ყელში მწვდა და მეორე ხელი ისე მოიქნია, თითქოს ქანჩსაბრუნი უნდა ჩამცხოსო.

დაბომბვის დროს სახლის ნანგრევებში მოვყევი და მას აქეთ ძალიან ნერვიული გავხდი ერთი ბეწო რამ საკმარისია ჩემს გასაბრაზებლად., ხელად ავენთები ხოლმე და ლოყა ამითამაშდება. ახლა ისე გამაცეცხლა ლორუსოს საქციელმა, რომ ხელი ვკარი და სარდაფის კედელს შევანარცხე.

- ხელი იქით... თუ კიდევ მომეკარე, სინდისს გეფიცები, ავიღებ ემაგ ქანჩსაბრუნს და მართლა გამოგიყვან წირვას, - დავუღრიალე ლორუსოს. ცოტა რომ დავმშვიდდი, ისევ ჩემს გეგმაზე გავუბი საუბარი:

- აი, ხომ ხედავ, რა სულელი ხარ! შე ყეყეჩო, ნუ თუ იმდენი არ გესმის, რომ ის შეყვარებულები საალერსოდ იმიტომ გამოდიან, რომ ხალხს დაემალნონ? ვინმეს შიში და მორიდება, რომ არა ჰქონდეთ, ყველაფერს შინ გააკეთებდნენ... ჰოდა, როცა ასე აქვთ საქმე, ჩვენ რომ გავძარცვავთ, საჩივლელად ვეღარ წავლენ. შეეშინდებათ, ქმარმა ან დედამ არ გაგვიგოსო... მაგრამ, თუ ვინმეს მოკლავ, ეს არ დაიმალება, ხელად დაწერენ გაზეთში, მთელი ქვეყანა გაიგებს, პოლიცია დატრიალდება და გაგკოჭავენ. ჩვენ პოლიციის აგენტებად უნდა მოვაჩვენოთ თავი, მივიდეთ ერთ-ერთ წყვილთან და ვუთხრათ: უკაცრავად, აქ რას აკეთებთ? აჰა, კოცნაობთ? განა არ იცით, რომ ეს აკრძალულია? წესრიგს არღვევთ, არა? კეთილი ინებეთ და ჯარიმა გადაიხადეთ. აი ასე გამოვცინცლავთ ფულს და მერე მოვუსვამთ.

- ჰო, მაგრამ, - როდის-როდის ამოღრაღნა ლორუსომ, - მიცვალებული დუმს და ცოცხალს შიში არაფრისა აქვს.

როგორც წირვის გამოყვანა ჰქონდა დაზეპირებული, ისე ეს სიტყვები. თუთიყუშივით იმეორებდა ვინ იცის სად გაგონილ ანდაზას.

- ნუ სულელობ. ხმა ჩაიწყვიტე და ისე ჰქენი, რასაც გეუბნები.

ლორუსომ მართლა ჩაიწყვიტა ხმა. დამთავრდა ჩვენი მოლაპარაკება.

დანიშნულ დღეს ბორგეზეს ვილაში წავედით. ლორუსომ ქურთუკის ჯიბეში ქანჩსაბრუნი ჩაიდო. მე კი გერმანული რევოლვერი. ეს რევოლვერი კარგა ხანია გასაყიდად მომცეს, მაგრამ ვერ იქნა, ვერაფრით ვერ გავასაღე. ვინ იცის, იქნებ ისეთ

მდგომარეობაში ჩავვარდეთ, რომ სროლა დამჭირდეს? გავიფიქრე შეშფოთებულმა, რადგან არ მინდოდა ამის ჩადენა, რევოლვერიდან ტყვია ამოვიღე.

გავყევით ხეივანს, თითქმის ყოველ მერხზე ისხდნენ წყვილები. ხეივანი ფარნებით ისე იყო გაჩახჩახებული და იმდენი ხალხი ირეოდა, რამდენიც ქუჩაში. ჩვენც ავდექით და პინჩოსკენ მიმავალ ხეივანში შევუხვიეთ. მთელ ბარსი ყველაზე ბნელი ხეივანი ესაა დაწყვილები სწორედ ამ კუთხეს ეტანებიან, ამავე დროს იქიდან პოპოლოს მოედანიც ახლოა.

მთლად ჩაბნელებული იყო იქაურობა, მერხებზე მიყუჟული წყვილები სოკოებივით მოფენილიყვნენ, ზოგ მერხზე ორ-ორი წყვილი იჯდა, თავის გემოზე მოკალათებულიყვნენ, ურცხვად ეხვეოდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს, არავისი არ ერიდებოდათ.

ამ სურათის დანახვაზე ლორუსოს ხელად დაავიწყდა წირვის გამოყვანა. საოცრად ცვალებადი გუნება ჰქონდა. ჩახუტებულ ქალ-ვაჟს რომ შეხედა, თვალები გაუბრწყინდა. მოჰყვა ოხვრას და სახე შურით აენთო.

- მეც ხომ ახალგაზრდა ვარ! - წამოიწყო ლორუსომ. - ჩახუტებულ გოგო-ბიჭს რამ დავინახავ, აი ასე რომ კოცნიან ერთმანეთს, გონებას ვკარგავ. ჰაი დედასა, სოფელში რომ ვიყო და არა რომში, მე ვიცი, რასაც ვიზამდი. ბიჭს ისე დავაფრთხობდი, რომ უკან მოუხედავად მოკურცხლავდა. გოგოს კი ვეტყოდი: „ტურფავ, მოდი ჩემთან, კეკლუცო, გულს არ დაგწყვეტ, მოდი, მე ხომ შენი ტომაზინო ვარ“.

ლორუსო უკან მომდევდა, ყოველ ურცხვ წყვილს დაჟინებით აცქერდებოდა. ოხრავდა და სქელი, წითელი ენით ხბოსავით ილოკავდა ტუჩებს. რამდენჯერმე მეც მიმახედა და დამანახვა, როგორ უყოფდნენ ვაჟები უბეში ხელს ქალებს, როგორ ეკვროდნენ ქალები კავალერებს და ხელის ფათურს არ უშლიდნენ. - უჰ, რა კრეტინი ხარ, ლორუსო. გინდა თუ არა ფლეიტა? ლორუსომ ერთი კიდევ შეხედა მერხზე მოკალათებულ წყვილს და მიპასუხა:

- ახლა გოგოს მეტი არაფერი მინდა რა. ჩემთვის სულ ერთია, ვინ იქნება... აი, თუნდაც ეს...

- თუ ასეა, ქანჩსაბრუნი აღარ უნდა ჩაგედო ჯიბეში და ჩემთან ერთად არ უნდა წამოსულიყავი.

- მართალს ამბობ, არა ღირდა ამ საქმეზე წამოსვლა.

ის ყეყეჩი, რაც კი ენაზე მოადგებოდა, დაუფიქრებლად როშავდა. ფიქრები ერთი საგნიდან მეორეზე უხტოდნენ. საკმარისი იყო ქალის შიშველი ფეხი დაენახა, ან ჩახუტებული წყვილი, რომ ამაზე წაუვიდოდა ჭკუა. მე კი სულ სხვა ხასიათი მაქვს, მტკიცე. აგრე ადვილად ხელს არ ავიღებ დაწყებულ საქმეზე, მთელ ძალ-ღონეს ვიხმარ და მაინც ჩემსას გავიტან. ერთი სიტყვით, მე ფეხსაცმელი მინდოდა და რადაც უნდა დამჯდომოდა, იმსაღამოსვე უნდა მეშოვა.

სულ დავიარეთ იქაურობა, ერთი ხეივნიდან მეორეში დავდიოდით, მერხიდან მერხთან, ხეებქვეშ ჩამწკრივებულ მარმარილოს ბიუსტებსაც ჩავუარეთ, მაგრამ ვერ იქნა და ვერა,

საკბილო წყვილი ვერ მოვიხელთეთ, გვეშინოდა, მეზოელ მერხიდან არ შეგვნიშნონო. ამასობაში ლორუსოს ისევ აუცრუვდა გული, მაგრამ ამჯერად სიყვარულზე კი არ ფიქრობდა, არამედ მარმარილოს ბიუსტებზე.

- ეს რა ქანდაკებებია აქ ჩამწკრივებული, ვინ იყვნენ ესენი? - მკითხა უცებ ლორუსომ.

- ვაი, რახიხო ხარ, ლორუსო! ესენი სულ დიდი ადამიანები იყვნენ... ჰოდა, ძეგლებიც ამიტომ დაუდგეს აქ... ლორუსო ერთ ქანდაკებასთან ახლო მივიდა.

- ეს ხომ ქალია... - წამოიძახა გაკვირვებულმა.

- მერე რა, რომ ქალია. მაშასადამე, ეგეც დიდი ადამიანი იყო.

- დიდი ადამიანი რომ ვიყო, მეც დამიდგამდნენ აქ ძეგლს? - მკითხა ლორუსომ.

- რასაკვირველია... მაგრამ შენ ვერასოდეს გახდები დიდი ადამიანი.

- ვითომ რადაო! აი, რომის რისხვა რომ გავხდები, უამრავ ხალხს გამოვუყვან წირვას, დაჭერით რა თქმა უნდა, ვერავინ დამიჭერს, მაშინ გაზეთები ჩემზე ალაპარაკდებიან და მეც წამომიჭიმავენ აქ ძეგლს.

სიცილის გუნებაზე არ გახლდით და მაინც გულიანად გამეცინა: ვიცოდი რატომაც მოეპრიანა რომის რისხვად ყოფნა. წინა დღით კინოში ამერიკული ფილმი ვნახეთ, „ჩიკაგოს რისხვა“.

- ასეთი საქმით დიდი ადამიანი ვერ გახდები, ლორუსო. მართლა ყეყეჩი ხარ, შე უბედურო, შენა... ამ ხალხს არავინ დაუხოცავს.

- მაშ რა გააკეთეს?

- რა და, აი მაგალითად, ზოგი წიგნებს წერდა. თვითონ წერა-კითხვის უცოდინარი იყო

  და გულზე მოხვდა ეს სიტყვები.

- ძალიან მინდა ჩემი ძეგლიც იდგეს აქ... ოჰ, როგორ მინდა... გულწრფელად გეუბნები... გიყვარდეს, მაშინ კი დამიხსომებდა ხალხი.

- ბრიყვი ხარ, ლორუსო, ბრიყვი... შენ მაგივრად მე მრცხვენია... თუმცა რა აზრი აქვს შენთან ლაპარაკს, მაინც ვერაფერს შეიგნებ...

ისევ გზა განვაგრძეთ, ხან აღმა ავყევით; ხან დაღმა, ბოლოს პინჩოს ტერასაზე ამოვყავით თავი, ტერასაზე რამდენიმე მაქანა იდგა. მოაჯირთან მიქუჩებული ხალხი აღტაცებით გასცქეროდა რომის პანორამას. ჩვენც მივედით მოაჯირთან. ხელისგულზე გადაშლილივით მოჩანდა მთელი რომი, შავად დახრუკულ ტორტს ჰგავდა ქალაქი, ნათელი ძარღვებით დაღარულს, ყოველი ძარღვი- ქუჩა იყო. მთვარე

ჯერ არა ჩანდა, მაგრამ ნათელი მაინც ადგა ქალაქს, და ლორუსოს წმინდა პეტრეს ტაძრის გუმბათი დავანახვე, შავად რომ მოჩანდა კაშკაშა ვარსკვლავების ფონზე.

- იცი რა? - მომიბრუნდა ლორუსო. - რომის რისხვა რომ ვიყო, ეს ხალხი დღედაღამ ჩემზე ფიქრში იქნებოდა, მე კი, - ამ დროს ლორუსომ ხელი ისე მოიქნია, თითქოს რომს ემუქრებაო, - ღამეს ისე არ გავუშვებდი, ვინმე არ მომეკლა... დაჭერით, რა თქმა უნდა, ვერავინ დამიჭერდა.

- მთლად აიპრიკე ჭუაზე, - შევუღრინე ლორუსოს, - იცოდე, კინოში ფეხი აღარ შედგა. ამერიკელ ბანდიტებს თუ ჰბაძავ, ისინი სულ სხვა ხალხია. ავტომატებით არიან შეიარაღებულნი, თავისი მანქანები ჰყავთ, თავიანთი ორგანიზაცია აქვთ... იმ ხალხმა თავისისაქმე იცის. შენ კი ვინა გდიხარ? ქანჩსაბრუნით შეიარაღებული ერთი ჩერჩეტი მწყემსი. ლორუსოს ეწყინა და გაჩუმდა, მაგრამ მალე ისევ მომიბრუნდა:

- ხედავ, რა ლამაზი პანორამაა. ამის ყურადღებით ვერ გაძღება კაცი... ეჰ, ამ საღამოს მაინც არაფერი გამოგვივა... წამო დავიძინოთ.

- რაო, დავიძინოთ? - ვკითხე გაოცებულმა.

- ჰო, გუნება წაგიხდა, გეშინია, განა ვერ ვხედავ!

სულ ასე იცოდა, თვითონ აიყრიდა გულს საქმეზე, მერე მე დამაბრალებდა, ლაჩრობო.

მოაჯირის გასწვრივ გავყევით ჩაბნელებულ ხეივანს, რომელიც მურო ტორტოს ქუჩაზე გადადიოდა. ამ ხეივანში ბევრი წყვილი იჯდა მერხებზე, აქაც ვერავინ მოვიხელთეთ და ლორუსოს ვანიშნე, გზა განგვეგრძო. ერთ ყველაზე ჩაბნელებულ კუთხეში ქალ-ვაჟი იჯდა. ის იყო მათთან მისვლა დავაპირე, რომ ცხენოსანმა პოლიციელებმა ჩაიარეს. შეყვარებულები დაფრთხნენ და გაიქცნენ. ასე მოვყვებოდით გზას პინჩოს ფერდობისაკენ, რომელიც მურო ტორტოს ვიადუკამდე ჩადის. იქ ფანჩატურია გამართული. ფანჩატურს დაფნაში ჩაწნული ეკლიანი მავთულის ზღუდე არტყია. ხის ჭიშკარი აქვს. იქაურობის ასავალ-დასავალი კარგად

ვიცოდი. ხანდახან, როცა შვეიცარის მისაცემი ფული არა მქონდა, ღამეს აქ ვათევდი ხოლმე, ფანჩატური ორანჟერიის ყაიდაზეა გადაკეთებული. ერთი კედელი მინისა აქვს და ვაიდუკზე გადის. შიგ მებაღის სამუშაო იარაღი აწყვია, აგრეთვე ყვავილების ქოთნები და დამტვრეული ბიუსტები. ანც ბავშვებს ზოგი ბიუსტისთვის ცხვირი მოეტეხათ, ზოგისთვის თავი და სარესტავრაციოდ არიან გადადებულნი.

მოაჯირთან მივედით, ლორუსო ზედ შემოჯდა და სიგარეტს მოუკიდა. ფეხებს იქნევდა, გამომწვევად აბოლებდა სიგარეტს. იმ წუთში ისეთი საზიზღარი მეჩვენა, რომ თავში გამიელვა, მოდი ხელს ვკრავ და გადავაგდებ-მეთქი. ორმოცდაათ მეტრს გაიფრენდა ჰაერში და მურო ტორტოს ქვაფენილზე კვერცხივით გასკდებოდა. სწრაფად ჩავირბენდი ძირს და ფეხსაცმელს გავხდიდი. ისე ვიყავი ლორუსოს ფეხსაცმელით მოხიბლული, რომ მოსვენება დავკარგე.

საბედნიეროდ დროზე მივხვდი, რომ თავს ვიტყუებდი. არა, ლორუსო ისე როდი მძულდა, რომ მოსაკლავად გამემეტებინა. ეს ახირებული ფიქრი იმიტომ მიტრიალებდა, რომ ის წყეული ფეხსაცმელი მოსვენებას არ მაძლევდა. ლორუსო

იქნებოდა, თუ სხვა ვინმე, იმ წუთს ჩემთვის სულ ერთი იყო, ოღონდ კი ფეხსაცმელი მეშოვა.

მართლა რომ გავგიჟებულიყავი და ლორუსოსთვის ხელი მეკრა, არც იქნებოდა გასაკვირველი.

იმდენი წანწალით ქანცი გამვარდა, ის კი ძარღვებს მიშლიდა ათასი სისულელის როშვით. ამ ყოფაში რომ ვიყავი, სულ ახლოს ჩაგვიარა შეყვარებულმა წყვილმა. სიბნელეში მათი სახე ვერ გავარჩიე, ის კი შევნიშნე, რომ ქალი ვაჟზე მაღალი იყო. ფანჩატურის ჭიშკართან რომ მივიდნენ, ქალი ვგონებ გაუძალიანდა.

- მოდი, აქ შევიდეთ, - სთხოვა ვაჟმა.

- არმინდა, მანდ ბნელა, - უპასუხა ქალმა.

- მერე რა მოხდა?

ბოლოს ქალმა დაუთმო, შეაღეს ჭიშკარი და ღობის იქით გაუჩინარდნენ.

- მგონი ბედმა გაგვიღიმა, - მივუბრუნდი ლორუსოს, - ორანჟერიაში შებრძანდნენ, რომ ხელი არავინ შეუშალოს... ახლავე გამოვეცხადოთ, ვითომ პოლიციის აგენტები ვართ, მათი დაჯარიმება გვინდა და ფული დავცინცლოთ.

ლორუსომ იმ წუთს გადააგდო სიგარეტი, მოაჯირიდან ჩამოხტა და მითხრა:

- კარგი, ოღონდ ერთი პირობით. იცოდე, გოგო ჩემი იქნება.

- რაო?

- ქალი მინდა. არ გესმის, რას ჰქვია ქალის ნდომა?

- რას როშავ, ხომ არ შეიშალე? სამოქალაქო აგენტები ქალს როგორ კადრებენ რამეს.

- ეგ მე არ მეხება.

უცნაური ხმა ჰქონდა, ყრუ, დახშული. მის სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ კილოზე მივხვდი, რომ არ ხუმრობდა.

- ასე არაფერი არ გამოგვივა, - ვუთხარი მტკიცედ.

- ვითომ რადაო?

- რად და იმად, რომ ქალის შეურაცხყოფის ნებას არ მოგცემ.

- თუ მოვინდომე?

- ნუ მოინდომებ, თორემ ისე მიგზელავ...

- ლაჩარი ყოფილხარ, - მომახალა ლორუსომ.

- შენ კი ბრიყვი.

- კარგი, გოგოს ხელს არ ვახლებ, ვაჟს კი წირვას გამოვუყვან, - წამოიძახა გაცეცხლებულმა.

- რისთვის, შე კრეტინო, რისთვის?

- რისთვის და იმისთვის. ან გოგო, ან ვაჟი.

დრო გადიოდა. ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან როგორ უნდა გავუშვამეთქი, გავიფიქრე და ლორუსოს ვუთხარი:

- კარგი... თუ საჭირო იქნება, მე თვითონ განიშნებ. ოღონდ, იცოდე, მანამდე არაფერი გაბედო, თორემ მე, აი ასე შუბლზე ხელს არ მოვისვამ.

არ ვიცი, უტვინობით მოსდიოდა, თუ რა იყო, ლორუსო უცებ დამშვიდდა და დამეთანხმა.

ისევ გავუმეორე, ვიდრე არ განიშნებ, არაფერი ქნა-მეთქი. მერე ჭიშკარს ხელი ვკარი და შევედით. მოაჯირის იქით პატარა ვაგონი იდგა. დღისით ამ ვაგონში სახედარს შეაბამენ ხოლმე და ბავშვებს ასეირნებენ, . ჭიშკარს თავზე ფარანი ეკიდა და ორანჟერიის მინის კედელს ანათებდა. შევიხედეთ ორანჟერეაში. ზომის მიხედვით ჩამწკრივებული ყვავილების ქოთნები დავინახე, ქოთნებს იქით, ზედ მიწაზე მარმარილოს რამდენიმე ბიუსტი იდგა. სასაცილოდ გამოიყურებოდნენ ეს თეთრი ბიუსტები. თითქოს ადამიანები წელამდე ამომძვრალან მიწიდანაო. თავდაპირველად ქალ-ვაჟი ვერ დავინახე, მივხვდი, რომ ორანჟერიის ბოლოში იქნებოდნენ, სადაც ფარნის შუქი ვერ აღწევდა. კარგად რომ დავაკვირდი, ბნელ კუთხეში ქალ-ვაჟი გავარჩიე. ქალს მცირე შუქი მაინც ეცემოდა და შავი კაბის ფონზე ქალიშვილის უღონოდ დაშვებული თეთრი ხელები დავინახე.

- ვინა ხართ, აქ რას აკეთებთ? - დავიყვირე ორანჟერიაში შესვლისთანავე.

ქალიშვილი ადგილიდან არ დაძრულა, უთუოდ იფიქრა, ვერ შეგვნიშნავენო, ვაჟი კი ჯიქურ წამოვიდა ჩვენკენ. დაბალი იყო, თავდიდა, კისერი თითქმის არ უჩანდა, ფართო სახე, გადმოკარკლული თვალები და წინ გამოშვერილი ნიკაპი ჰქონდა. ეტყობოდა ძალიან დიდი ყოყლოჩინა იყო. ანგარიშმიუცემლად დავხედე ფეხებზე. სულ ახალთახალი, სწორედ იმ ყაიდის ფეხსაცმელი ეცვა, მე რომ ვოცნებობდი. ამერიკული, სქელლანჩიანი, მოკასინებისდაგვარი. ვაჟი არც კი შეკრთა და მან ისე გამახელა, რომ ლოყა ამითამაშდა.

- ვინა ხართ? - გვკითხა ვაჟმა.

- პოლიცია, - ვუპასუხე, - განა არ იცით, ყმაწვილო, რომ საზოგადო ადგილებში ხვევნაკოცნა აკრძალულია? გადაიხადეთ ჯარიმა... თქვენ კი, სინიორინა, ტყუილად ნუ იმალებით, აქ მობრძანდით.

ქალიშვილი მოვიდა და მეგობარს გვერდით ამოუდგა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ვაჟზე მაღალი იყო, ტანწერწეტა, გაპენტილი შავი თმა და შავი დიდრონი თვალები ჰქონდა. ისეთი მშვენიერი იყო, მადონას მოგაგონებდათ. სახეზე არაფერი ესვა, ძალიან დინჯი ჩანდა და, ჩემი თვალით რომ არ მენახა, როგორ კოცნიდა ბიჭს, არც კი

დავიჯერებდი. ქალიშვილმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვაჟმა გააჩერა, მომიბრუნდა და მითხრა:

- ოჰო, მე დაჯარიმებული ვარ! აბა ერთი მოწმობა მაჩვენეთ.

- რა მოწმობა?

- საბუთი, რომ თქვენ ნამდვილად პოლიციის აგენტები ხართ.

შემეშინდა, ვაი თუ თვითონ კვესტურიდანაა-მეთქი, ესეც არ გამიკვირდებოდა, ისეთი უიღბლო ვარ, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე და მკვახედ მივახალე:

- ბევრს ნუ ყბედობ... დაჯარიმებული ხარ. კეთილ ინებე და გადაიხადე.

- გადავიხადო კი არა!.. - ვექილივით დაჯერებულად მომიგო. მართლაც ეტყობოდა, გულადი ბიჭი იყო. - აგენტებიო, აგენტებს ეგეთი სიფათი არა აქვთ, არც ეგეთი ქურთუკი და ფეხსაცმელი აცვიათ. სულელი ხომ არ გგონივართ? ჩემიდაფხრეწილი ფეხსაცმელი რომ ახსენა, როგორიც მართლა შეუძლებელი იყო პოლიციის აგენტს სცმოდა, სისხლი ამივარდა თავში. რევოლვერი ამოვიღე და მუცელში ვატაკე:

- ასე თუ ისე, ეგ შენ არ გეკითხება. აბა, მარდად ჩამოყაჭე ფული.

ლორუსო აქამდე მდუმარედ იდგა ჩემ გვერდით, ყეყეჩივით პირდაღებული, მაგრამ დაინახა თუ არა, რომ თვალთმაქცობას თავი დავანებე, უცებ გამოფხიზლდა.

- გესმის? - მიმართა ვაჟს და ქანჩისაბრუნი ცხვირწინ შეუტრიალა. - მარდად გაინძერი, თორემ ისეთს ჩაგცხებ მაგ გოგრაში, რომ...

ლორუსოს ჩარევამ უფრო მიმიკიდა ცეცხლი, ვიდრე ვაჟის თავხედობამ. ქანჩსაბრუნის დანახვაზე ქალიშვილმა შეჰკივლა. მე ზრდილობიანად დავამშვიდე, თუ დამჭირდა, ზრდილობიანი მოქცევაც ვიცი.

- სინიორინა, ყურს ნუ უგდებთ ამ ყეყეჩს. არაფერს დაგიშავებთ... წაბრძანდით იმ კუთხეში და ხელს ნუ შეგვიშლით. შენ კი, - მივუბრუნდი ლორუსოს, - მოაშორე აქედან შენი ქანჩსაბრუნი, - და კვლავ ვაჟს მივმართე: - რაღას უყურებ, ამოიფხიკე ჯიბე.

გულახდილად გითხრათ, რომ იმ ვაჟს მართლა საზიზღარი ცხვირ-პირი ჰქონდა. არც კი შეკრთა, რევოლვერი რომ ვატაკე. ის კი არა, და მშვიდად ჩაიყო ჯიბეში ხელი და საფულე ამოიღო:

- აჰა, წაიღე.

საფულეს ჯიბეში რომ ვიდებდი, ხელით მოვსინჯე და შევატყვე, რომ შიგ ბევრი

არაფერი იდო. - ახლა საათი მოიტა.

საათიც შეიხსნა და გამომიწოდა. სულ უბრალოდ საათი იყო.

- ავტოკალამიც მიბოძეთ. ამერიკული, საუცხოო კალამი იყო, დახურული წვერით.

მეტი არაფერი ჰქონდა მნიშვნელოვანი. არაფერი, გარდა საუცხოო ფეხსაცმელისა.

- კიდევ რას ინებებთ? - დაცინვით გვკითხა ვაჟმა.

- ფეხსაცმელს. გაიხადე ფეხსაცმელი.

- არა, ნურას უკაცრავად. ამას კი ვერ მოგცემთ, - იუარა ვაჟმა.

დანახვისთანავე შემზიზღდა ის ვაჟი და ახლა ხელები ამექავა, ისე მინდოდა, იმ საზიზღარ ცხვირ-პირში მეთხლიშა.

- სისულელეს თავი დაანებე, გაიხადე, - მტკიცედ ვუთხარი, თან ნელა გავკარი სახეში. ჯერ აენთო, მერე გაფითრდა და ის იყო უნდა მცემოდა, რომ ქალიშვილმა თავისი კუთხიდან დაუყვირა:

- ჯინო, ჯინო, ყველაფერი მიეცი, რასაც გთხოვენ!

ვაჟმა სიმწრით ტუჩი მოიკვნიტა, თვალებში ჩამაცქერდა და ჩაილაპარაკა, კარგიო. მერე დაიხარა და ფეხსაცმელი გაიხადა. ვიდრე გამომიწოდებდა, სინანულით შეავლო თვალი. ეტყობოდა, ძალიან დაწყდა გული.

ფეხშიშველი მთლად დაბალი ჩანდა, ლორუსოზე დაბალი. მივხვდი რატომ იცვამდა ასეთ სქელლანჩიან ფეხსაცმელს.

სწორედ ამ დროს აირ-დაირია საქმე...

- სხვას რას ინებებთ? პერანგი ხომ არ გავიხადო?

ის იყო უნდა მეთქვა, საკმარისია, რაც მიგვაქვს-მეთქი, რომ შუბლზე რაღაცამ მომიღიტინა.

ეს პატარა ობობა გახლდათ, ჭერიდან ჩამოშვებულიყო თავის ქსელზე. შუბლზე ხელი მოვისვი, რომ ობობა მომეშორებინა, იმ რეგვენმა ლორუსომ კი გაიფიქრა, ნიშანს მაძლევსო, მოიქნია

თავისი ქანჩსაბრუნი და ისეთი ძალით ჩასცხო ვაჟს თავში, ისეთი ბრაგუნი გაისმა, თითქოს აგურს დაჰკრეს რამეო. ვაჟი ზედ გადმომემხო, ხელები შემომხვია მთვრალი კაცივით, მერე ძირს ზღართანი მიიღო და თვალები ისე გადაკარკლა, რომ მარტო თეთრი კარკლებიღა უჩანდა. ქალიშვილმა ცივი ხმით შეჰკივლა, ვაჟს მივარდა, ჯინო, ჯინოო, ჩასძახა, მაგრამ ვაჟი უძრავად ეგდო მიწაზე.

ყეყეჩმა ლორუსომ ისევ მოიქნია ქანჩსაბრუნი და ვაჟის წინ ჩამუხლულ ქალიშვილს

დაუმიზნა. კიდევ კარგი, თვალით მკითხა, ამას ჩავკრა, თუ არაო. - რამ შეგშალა! -

დავუღრიალე ლორუსოს, აბა, ჩქარა, მოვუსვათ აქედან. დაფეთებული

გამოვცვივდით ორანჟერიიდან.

- ახლა დინჯად იარე, ვითომ ვსეირნობთ, - ვუთხარი ლორუსოს, ხეივანს რომ მივაღწიეთ. - ეს რა ჰქენი, შე ბრიყვო?

ლორუსომ ნაბიჯი შეანელა. ვაჟის ფეხსაცმელი ლაბადის ჯიბეებში ჩავიწყვე და ისევ ლორუსოს მივუბრუნდი:

- შენთან ლაპარაკი წყლის ნაყვაა, მაგრამ გული მაინც არ მითმენს. ნამდვილი კრეტინი ხარ... არა, რა მოგელანდა, რატომ ჩასცხე თავში?

- შენ არ მანიშნე?

- რა განიშნე? ობობა დამაჯდა შუბლზე და ხელი მოვისვი.

- მე რა ვიცოდი, თუ ობობა დაგაჯდა? ნიშანი მომეცი და მეც დავტრიალდი. მინდოდა იქვე მიმეხრჩო, ისე მძულდა იმ წუთში.

- შე რეგვენო, რა ტყუილად მოკალი ის საცოდავი.

- არა, არ მომიკლავს, - იუარა ლორუსომ. - უკუღმა პირით დავკარი... ბლაგვი პირით. მოკვლა რომ მდომოდა, ბასრი პირით ჩავცხებდი.

ხმავეღარ ამოვიღე, ბრაზით მიდუღდა გული, ლოყა ისევ ამითამაშდა.

- ნახე, რა ლამაზი გოგო იყო... ცოტას გაწყდა არ ვუთხარი: ტურფავ მოდი ჩემთან! იქნებ დათანხმებულიყო. ოჰ როგორ ვნანობ, რომ არ ვუთხარი.

თავისი საქციელით ძალიან კმაყოფილი იყო, გაბღენძილი მომყვებოდა გვერდით. მერე ლაპარაკი გამიბა იმაზე, თუ როგორ უნდოდა ქალთან ყოფნა და როგორ მოაკვარახჭინებდა ამ საქმეს.

- ხმა ჩაიწყვიტე, თორემ ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებ! - შევძახე გაცეცხლებულმა.

ლორუსო გაჩუმდა. გავიარეთ ფლამინოს მოედანი, გავყევით სანაპიროს, გავედით ხიდზე და ლიბერტოს მოედანზე ამოვყავით თავი. იქ ხეებქვეშ მერხებია გამართული. მოედანზე ძეხორციელი არ ჭაჭანებდა, მხოლოდ ტიბრიდან მოცურავდა ნისლის თეთრი ბოლქვები.

- ცოტა ხნით აქ ჩამოვსხდეთ, ვნახოთ ჩვენი ნადავლი. გარდა ამისა, ფეხსაცმელი უნდა გავისინჯო. - ვუთხარი ლორუსოს.

დავსხედით, საფულე გავხსენი, სულ ორი ათასი ლირი იდო შიგ და ეს ფული შუაზე გავიყავით.

- კაცმა რომ თქვას, შენ არაფერი გერგება... მაგრამ უსამართლოდ მომექცაო, რომ არ დამწამო,

ამიტომ საფულე და საათი შენი იყოს. ფეხსაცმელს და ამ ავტოკალამს კი ჩემთვის დავიტოვებ. ყაბულსა ხარ?

- სულაც არა... ეს რანაირი გაყოფაა? რანაირად გამოდის ნახევარი?

- სისულელეები რომ ჩაიდინე, ვითომ ეს არაფერია, არ უნდა დაისაჯო ამისთვის?

წავლაპარაკდით. ბოლოს მაინც დავუთმე. ფეხსაცმელი მე მერგო, საფულე, საათი და ავტოკალამი ლორუსოს.

- ნეტა რა ეშმაკად გინდა ეგ კალამი, საკუთარი გვარის მოწერაც კი არ იცი.

- შენდა საყურადღებოდ, წერაც ვიცი და კითხვაც. სამი კლასი მაქვს დამთავრებული. გარდა ამისა, ასეთ კალამს კოლონას მოედანზე ყოველთვის გავყიდი.

სული აღარ მითმენდა, ისე მეჩქარებოდა ფეხსაცმლის გასინჯვა, თან დამღალა კიდეც ლორუსოს ღიჭინმა, ამიტომ ხმა აღარ გავეცი, გავიძრე ჩემი მოთელილი ფეხსაცმელი და ახალში ჩავყავი ფეხი. ვაი ჩემს დღეს! ყველაფერს მოევლება ამქვეყნად, მაგრამ ფეხსაცმელი თუ პატარა გაქვს, ამას ვერაფერი უშველის.

- დახე, რა უიღბლო ვარ! პატარა მაქვს, - შევჩივლე ლორუსოს. - სწორედ შენ ფეხზეა. მოდი, გამიცვალე. ეს უფრო მოგერგება, თან შენს ფეხსაცმელზე ლამაზიც არის და ახალიც.

- ეჰ, შე საცოდავო!.. კრეტინს მე მეძახი, მაგრამ არც ისეთი კრეტინი ვარ, - მიპასუხა ლორუსომ და დაუსტვინა.

- ამით რისი თქმა გინდა? - იმის, რომ ძილის დროა. ამაყი გამომეტყველებით დახედა

  იმ ვაჟის საათს.

- ჩემს საათზე თორმეტის ნახევარია. შენსაზე?

ხმა არ გავეცი, ფეხსაცმელი ისევ ლაბადის ჯიბეში ჩავიწყე და წამოვედი.

ტრამვაიში ჩავსხედით. ჩემი მარცხი გულს მიღრღნიდა და მთელი გზა იმაზე ვფიქრობდი, როგორ დავიყოლიო ლორუსო ფეხსაცმლის გაცვლაზე-მეთქი. ჩვენს უბანს რომ მივაღწიეთ, ისევ ვთხოვე:

- ლორუსო, ეგ ფეხსაცმელი ჩემთვის მთელი სიცოცხლეა... გთხოვ, გეხვეწები, გამიცვალე. რა გინდა, უკეთეს ფეხსაცმელს გაძლევ. თუ ჩემი გულისთვის არ იზამ, ღვთის გულისთვის მაინც ქენი.

ასე ხვეწნა-მუდარით მივყვებოდი გვერდით. ქუჩაში ჩვენს მეტი არავინ იყო. ლორუსო ფარნის ქვეშ შედგა, რომ უკეთ გამოეჩინა თავისი ფეხსაცმელი და ჩემს გასახელებლად ფეხი წინ წამოსწია:

- იფ, რა კარგი ფეხსაცმელია... გშურს, განა? რამდენიც უნდა მეხვეწო, მაინც არ გაგიცვლი, - თქვა და მერე სიმღერა წამოიწყო: - ტრამ-ტამ-ტამ... ტრამ-ტამ-ტამ... ვერ მოგართვეს, არ გაგიცვლი.

უნდოდა ჭკუიდან შევეშალე. მაინც ბევრი არაფერი მაკლდა ჭკუიდან გადასვლას. გავიფიქრე: რევოლვერი გატენილი რომ მქონდეს, აქვე გავაქრობდი-მეთქი, ისე გამაგიჟა საზიზღარი საქციელით.

ასეთი ყოფით მივედი სარდაფთან. ფანჯარაზე დავაკაკუნეთ, შვეიცარმა ბუზღუნით გაგვიღო კარი და სარდაფში ჩავედით. ოთახში ხუთი საწოლი იდგა. ორი ჩემთვის და ლორუსოსთვის, დანარჩენი შვეიცარიის და მისი ორი ვაჟისთვის. შვეიცარმა წინასწარ გამოგვართვა ას-ასი ლირი,

ღამის გასათევი ფული, და სინათლე ჩააქრო. სიბნელეში მივედით ჩვენს საწოლებთან და დავწექით. დავწექი, მაგრამ ფეხსაცმელზე ფიქრი მაინც არ მასვენებდა. ვიცოდი,

რომ ლორუსო ჩემი და თავის საწოლს შუა ალაგებდა ფეხსაცმელს. მეტი გზა არა მაქვს, დაიძინებს თუ არა ლორუსო, ჩუმად ჩავიცვამ მის ფეხსაცმელს, ჩემსას საწოლთან დავუწყობ, მერე ვითომ საჭირო ოთახში მივდივარ, სარდაფიდან გავალ და მოვუსვამმეთქი, გადავწყვიტე. გაპარვა უფრო იმიტომ მინდოდა, რომ მეშინოდა, ვაითუ ლორუსომ ის ვაჟი მოჰკლა ორანჟერიაში, მაშინ აქ დარჩენა სახიფათო იქნებოდა. გავიპარებოდი და მერე ვინღა მიპოვიდა, ლორუსომ ჩემი ვინაობა არ იცოდა, იცოდა მხოლოდ ჩემი სახელი, მეტი არაფერი.

გადავწყვიტე ეს და საქმესაც შევუდექი. ჯერ ნელა წამოვიწიე, ფეხები ძირს დავუშვი, გადავიხარე, წავწვდი ლორუსოს ფეხსაცმელს და ჩავიცვი. უკვე ზონარებს ვიკრავდი, რომ უცებ საშინელი ძალით დამენარცხა რაღაც, ბედზე განზე გაწევა მოვასწარი, თორემ ლორუსოს ქანჩსაბრუნი მხარს ჩამიმსხვრევდა და ყურს წამაცლიდა. საშინლად გავმწარდი, სიბნელეში ალალბედზე ხელი მოვიქნიე და ლორუსო სახეში მუშტი ვთხლიშე. ლორუსო საკინძეში ჩამაფრინდა, ქანჩსაბრუნის დარტყმას ცდილობდა, ორივე დავეცით, იატაკზე გავგორდით. ხმაურზე შვეიცარს და მის ვაჟებს გაეღვიძათ, წამოხტნენ და შუქი აანთეს.

- კაცის მკვლელო, - დავიღრიალე მე.

- ქურდო, - მიპასუხა ლორუსომ.

შვეიცარი და მისი ვაჟები ჩვენს გაშველებას ცდილობდნენ. უცებ ლორუსო შვეიცარს ეცა და ქანჩსაბრუნი ჩასცხო, მაგრამ ის წარმოსადეგი, ჯან-ღონით სავსე კაცი იყო, არც შემკრთალა, სკამს წამოავლო ხელი და ის იყო ლორუსოსთვის უნდა ჩაერტყა, რომ ლორუსო დაგვისხლტა, სარდაფის კუთხეში მიიყუჟა, კედელს მიეკრა და ქანჩსაბრუნს გიჟივით იქნევდა.

- აბა, გამოდით, თუ ბიჭები ხართ... ყველას გამოგიტანთ წირვას... მე რომის რისხვა ვარ, - ღრიალებდა თვალებგადმოკარკლული და გაწითლებული ლორუსო.

ლორუსოს საქციელით გამწარებულმა ყოველგვარი სიფრთხილე დავკარგე და უცებ წამოვაყრანტალე:

- ფრთხილად, არ მიეკაროთ, ამ ვაჟბატონმა ესესაა კაცი მოკლა, კაცის მკვლელია.

შვეიცარის ერთი ვაჟი ხელად გაიქცა და პოლიციელები მოიყვანა.

ზოგი რამ მე დამაფქვევინეს, ზოგი ლორუსოს და ორანჟერიის ამბავიც ამოტივტივდა. ორივე პოლიციაში მიგვაბრძანეს.

პოლიციის კომისარმა ვიღაცას დაურეკა, რამდენიმე წუთი ილაპარაკა და უკვე დაწვრილებით იცოდა ჩვენი ამბავი. კომისარს ვუთხარი, ყველაფერი ლორუსომ ჩაიდინა-მეთქი. ამჯერად ლორუსოს კრინტი არ დაუძრავს, ლაზათიანად რომ იყო მიბეგვილი, უთუოდ იმიტომ.

- აი, ყოჩაღ, ბარაქალა თქვენს კაცობას. შეიარაღებული თავდასხმა, მკვლელობის ცდა, - დაგვიცაცხანა კომისარმა.

ერთხელ კიდევ რომ დარწმუნდეთ, თუ რა ჩერჩეტი იყო ლორუსო, გიამბობთ, რა ქნა. კომისარი რომ გაჩუმდა, ლორუსო, თითქოს ესაა ახლა გამოფხიზლდაო, კომისარს მიუბრუნდა და ჰკითხა:

- ხვალ რა დღეა?

- პარასკევი, - უპასუხა კომისარმა.

- იფ, შენი გულისა! პარასკეობით რეჯინა ჩელიში ლობიოს შეჭამანდს აკეთებენ.

ასე და ამგვარად წამოროშა, რომ უკვე იჯდა ციხეში. მე კი მეფიცებოდა, ციხის კარი თვალით არ მინახავსო.

უნებლიეთ ფეხებზე დავიხედე, დავინახე ლორუსოს ფეხსაცმელი და შვებით გავიფიქრე: აჰა, მაინც ხომ ავისრულე გულის წადილი.

მეგობრობა

იმ ქალს, ვისაც ორი სახელი ერქვა - მარია-როზა, ხასიათიც ორპირი ჰქონდა, სახე და ტანიც ერთმანეთის შეუხამაბელი: ქორფა, გაღაჟღაჟებული სახე, რძე და ღვინოო, რომ იტყვიან, სავსე მთვარესავით გაბადრული, კომბოსტოს ყვავილივით გაფურჩქნული, მკვრივი და ფართო. ტანი კი წერწეტი და უსურვაზივით მოქნილი. ერთი სიტყვით, მარია-როზას დანახვაზე უნებურად გაიფიქრებდით, ამ სახიდან ორი სახე თავისუფლად გამოიჭრებოდაო. მუდამ მშვიდი, უშფოთველი და მოღიმარი იყო ეს სახე, ხასიათით კი, როგორც საკუთარ ტყავზე ვიწვნიე, ნამდვილი ასპიტი გახლდათ. ამიტომაც მოგახსენეთ, ორპირი იყო-მეთქი მარია-როზა.

რანაირად არ ვეკურკურებოდი მარია-როზას: ჯერ იყო და, ზრდილობიანი, დაჟინებული არშიყობა გავუბი, მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ ამან სასურველი შედეგი არ გამოიღო, ვერა და ვერ გატეხა მარია-როზა, უფრო ჯიქურ შევუტიე. რამდენჯერმე კიბის ბნელ ბაქანზე დავუდარაჯდი. მინდოდა ძალით მეკოცნა, მაგრამ მაგარი პანღური და სილა რომ ვიგემე, ამ ხერხსაც მოვეშვი. ახლა დიდად შეურაცხყოფილი ადამიანის სახე მივიღე და შეხვედრისას ზიზღით შევაქცევდი ხოლმე ზურგს. ვაგლახ! ეს ხერხი უარესი გამოდგა, მარია-როზამ ისე დაიჭირა თავი, თითქოს ამქვეყნად არც კი ვარსებობდი.

ბოლოს იქამდე მივედი, რომ თვალცრემლიანი ვემუდარებოდი, ცოტათი მაინც შემიყვარე-მეთქი. ამაო იყო ყველაფერი. ძალიან მკვახედ რომ მომექცეოდა, მეორედ ვეღარაფერს გავუბედავდი, მაგრამ არა: ის ეშმაკი, როგორც კი შემატყობდა, რომ ესაა ხელს ჩავიქნევ და ჯანდაბაში გავგზავნი, ისევ მიმიტყუებდა ან სიტყვით, ან ალერსიანი შემოხედვით, ან მოძრაობით.

გვიან გავიგე, რომ ქალისთვის თაყვანისმცემელი მამაკაცი იგივეა, რაც სამაჯური, მძივი ან სხვა ამგვარი სამკაული, რასაც ეგრე ადვილად ვერ შეელევიან ხოლმე.

როცა მარია-როზა მრავლისმეტყველად ჩამხედავდა თვალებში, ან ალერსით გამიღიმებდა, გავიფიქრებდი, ალბათ უმიზეზოდ არ იქცევა ასე, ერთხელ კიდევ ვცდი ბედს.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გავიგე, რომ ეს კოკობზიკა ატილიოს დაუნიშნავს, ჩემს საუკეთესო მეგობარს. ცეცხლი შემომენთო გულზე. მეწყინა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩემმა მეგობარმა ცხვირწინ გამოაწყო ეს საქმე, და მე არაფერი მითხრა. მეორეც იმიტომ, რომ ატილიოს მე გავაცანი მარია-როზა. ისე გამოვიდა, რომ უნებურად თვითონ შევუწყვე მათ ხელი.

დიახ, მიყვარდა მარია-როზა, მაგრამ ცუდი ადამიანი არა ვარ, მეგობარი ჩემთვის ყველაფერია

და იმ წუთიდან, რაც ის ატილიოს საცოლე გახდა, ჩემთვის წმიდათაწმიდა შეიქნა. თვით მარია-როზას, ვგონებ, იმის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, თუ ისევ ძველებურად დავუწყებდი კურკურს. ყოველნაირად ცდილობდა გამოვეწვიე. მე კი ვაგრძნობინე, რომ ყველაფერი გათავდა, და ერთ მშვენიერ დღეს პირდაპირ მოვახსენე:
- მარია-როზა, შენ ქალი ხარ და მეგობრობისა არაფერიგაგეგება... მას აქეთ, რაც ატილიოს საცოლე გახდი, ჩემთვის აღარ არსებობ, არც დანახვა მინდა შენი, არც შენი ხმის გაგონება. გასაგებია?

- თითქოს დამეთანხმა მაგრამ მაინც მეკეკლუცებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, თავი ამერიდებინა მისთვის და კიდევაც შევასრულე ჩემი გადაწყვეტილება. ცოტა ხნის შემდეგ გავიგე, რომ მარია-როზა და ატილიო შეუღლებულიყვნენ. ბინად მარია-როზას დასთან მოეწყვნენ. მარია-როზას და საავადმყოფოში მომვლელად მუშაობდა. ატილიო ათ დღეში ცხრა დღე უმუშევარი რომ იყო, რომელიღაც სატრანსპორტო კანტორაში დამდგარიყო მტვირთავად. მარია-როზა კი ძველებურად დამუთოებლად მუშაობდა, ოღონდ დღიურ სამუშაოზე. ცოტა გულზე მომეშვა, ვიცოდი, რომ უჭირდათ, რომ მათ ცოლქმრობას დიდი ხნის ბედნიერება არ ეწერა.

ხელობით წყალსადენის ოსტატი ვარ. როგორც მოგეხსენებათ, წყალსადენის ოსტატები

კარით-კარზე დადიან და ხანდახან სწორედ იქ ამოჰყოფენ თავს, საით გახედვასაც არ აპირებდნენ. ერთხელ ვიღაცის ოჯახში მივდიოდი, ორი მილი და ხელჩანთით ხელსაწყოები მიმქონდა. ვია რიპეტას რომ მივუახლოვდი, უცებ შემომესმა:

- ერნესტო!

მივტრიალდი. მარია-როზა იდგა ჩემ წინ.

დავინახე თუ არა მისი გაბადრული სახე, წვრილი წელი, მომრგვალებული თეძოები და გულ-მკერდი, უცებ ძველი ძალით იფეთქა სიყვარულმა და სუნთქვა შემეკრა. მაგრამ უმალ ჩემს თავს ვუთხარი: თუ ვაჟკაცი ხარ, გაუძელი, ისე მოიქეცი, როგორც ჭეშმარიტ მეგობარს შეშვენის. - ოო, მარია-როზა, რამდენი ხანია...

სანოვაგით სავსე ჩანთა ეჭირა ხელში. ღიმილით მითხრა:

- რაო, ერნესტო, ვეღარ მიცანი?

- აკი, გითხარი, რამდენი ხანია-მეთქი.

- სახლამდე მიმაცილე. იცი, ერნესტო, ამ დილით შევნიშნე, რომ სამზარეულოს ბაკანში წყალი არ გადის. წამოდი, წამოდი.

- კარგი, თუ ჩემი დახმარება გჭირდებათ, წამოვალ, - ვუპასუხე გულწრფელად. ისევ კეკლუცად გამიღიმა, ასეთი ღიმილით მუდამ თავბრუს მახვევდა.

- დატვირთული კი ხარ, მაგრამ მაინც უნდა მომეხმარო, ჩანთა წამომიღე, - დაუმატა ღიმილით.

ჰოდა, მილებით, ჩემი ხელსაწყოებით და სანოვაგის ჩანთით სახედარივით დატვირთული გავყევი უკან მარია-როზას.

ვია რეპეტაზე გავუხვიეთ, შევედით მათი სახლის წინკარში, რომელიც უფრო გამოქვაბულის შესასვლელს ჰგავდა, ბნელ, ნესტიან ხვეულ კიბეს ავყევით. მარიაროზა შედგა კიბეზე, მომიბრუნდა და ღიმილით მითხრა:

- გახსოვს, როგორ მიდარაჯებდი ბნელ ბაქანზე... როგორ მაშინებდი... ნუთუ დაგავიწყდა?

- მარია-როზა, არაფერი ამის მსგავსი აღარ მახსოვს... მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ატილიოს მეგობარი ვარ, და მეგობრობას მაღლა ვაყენებ.

- მერედა ვინ გეუბნება, ატილიოს მეგობარი არ უნდა იყოო? - დაიბნა მარია-როზა.

ბინაში შევედით: სამი გალიასავით ვიწრო, პატარა ოთახი სხვენზე, ფანჯრები ჭასავით ბნელ ეზოს გადაჰყურებდა. სამზარეულოში თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა. სამზარეულოდან მინის კარი აივანზე გადიოდა, იქ საპირფარეშო იყო. მარია-როზამ წინსაფარი გაიკეთა, ჩამოჯდა, ჩანთიდან ლობიო ამოიღო, წინსაფარში ჩაიყარა და ჩურჩვა დაუწყო. მე კი ხელსაწყოები ძირს დავაწყე და ბაკანი გავსინჯე, მილი ჰქონდა გამოსაცვლელი.

- იცოდე, მარია-როზა, მილი დაჟანგულია, უნდა გამოიცვალოს. ფული გაქვს?

- მეგობრობა?

- კარგი, რა გაეწყობა, - ამოვიხვნეშე, - უფასოდ ჩაგიდგამ. მითხარი, სამადლობელად ხომ მაკოცებ? - მერე, მეგობრობა?

ტუჩი მოვიკვნიტე: როგორც ჩანს, მეგობრობა ორლესული იარაღია. მარია-როზას არაფერი ვუთხარი. ავიღე გაზი, მოვხსენი მილი, ამოვაძრე შუასადები, რომელიც მთლად დამპალიყო, ჩანთიდან სარჩილავი ქურა ამოვიღე, ჩავასხი ბენზინი. უსიტყვოდ ვაკეთებდი ყველაფერს.

- შენ და ატილიო მართლა კარგი მეგობრები ხართ? - შემომესმა უცებ.

მარია-როზასკენ შევბრუნდი, თვალდახრილი იჯდა და მშვიდი, მოღიმარი სახით თავის საქმეს აკეთებდა.

- რასაკვირველია, კარგი მეგობრები ვართ.

- მაშ, თუ ასეა, - კვლავ მშვიდად განაგრძო მარია-როზამ, - გულახდილად გეტყვი. შენ კარგად იცნობ ატილიოს და მინდა დავრწმუნდე, მართალი ვარ თუ არა. გისმენ-მეთქი, ვუთხარი და სარჩილავი ქურა ავანთე.

- როგორ ფიქრობ, ეს ხელობა, ატილიომ რომ აირჩია, ვითომ სახეიროა... განა მებარგულობა შეშვენის ატილიოს?

- მტვირთავი გინდოდა გეთქვა?

- აბა, რა ხელობაა მებარგულობა. სულ იმას ჩავჩიჩინებსანიტრობა ისწავლე-მეთქი... ჩემი და ხელად მოაწყობდა კლინიკაში.

ამასობაში ახალი მილი ჩავდგი, სარჩილავი ქურა ხელში მეჭირა და ისე, დაუფიქრებლად ვკითხე:

- ქათინაურები გითხრა, თუ სიმართლე?

- რა თქმა უნდა, სიმართლე!

- მაშ ასე: ატილიოს მეგობარი ვარ, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის, მისი ნაკლი დავინახო... უპირველესად ყოვლისა, ის ზარმაცია.

კალის ნაჭერი ავიღე, სარჩილავი ქურა მილთან მივიტანე და შედუღება დავიწყე. ქურა გუგუნებდა, ამიტომ ხმამაღლა ვლაპარაკობდი.

- დიახ, ჩემო კარგო, ატილიო ზარმაცია... თავიდანვე უნდა შეურიგდე იმ აზრს, რომ უქნარა

ქმარი გყავს. აი, მე გამრჯე კაცი ვარ. ატილიოს კი გვიანობამდე უყვარს ძილი, ლოგინში ნებივრობა, ხეტიალი, კაფეში ჯდომა და ყბედობა. სპორტული ამბების კითხვა გაზეთებში... იქნებ ყველაფერი ეს მტვირთავისთვის შესაფერისიც იყოს, მაგრამ სანიტარი სულ სხვაა, პასუხსაგები პროფესიაა. არა, არა, მარია-როზა, ამ საქმისთვის ატილიო არ გამოდგება.

- შენ წარმოიდგინე, - დაიწყო მარია-როზამ მშვიდად და დაფიქრებით, - არც კი მჯერა, თუ ატილიო ნამდვილად მუშაობს სადმე... დილით კი მეუბნება, სამუშაოდ მივდივარო, მაგრამ მისი მოტანილი ფული ჯერ არ მინახავს... ხომ არ მატყუებს?.. ჰა, რას იტყვი ამაზე?

- გატყუებს? - კვლავ დაუფიქრებლად წამოვისროლე, - ატილიო ხომ ტყუილის გუდაა. ამაში ტოლს ვერავინ დაუდებს.

- მეც სწორედ ასე ვფიქრობ... მაგრამ, თუ სამუშაოდ არ დადის, მაშ რას აკეთებს, სად იკარგება მთელი დღეები? არა, არა მგონია, რომ უსაქმოდ დახეტიალობდეს, ანდა

კაფეში ატარებდეს დროს... აქ რაღაც სხვა ამბავია... ისეთი შეწუხებული სახით და ისე ფაცაფუცით გარბის ყოველ დილა...

მარია-როზა გაჩუმდა, მაგიდიდან ქვაბი ამოიღო, დაჩენჩილი ლობიო ჩაყარა. მე ცერად გავხედე, ისეთივე მშვიდი, თვინიერი და მოღიმარი იყო, როგორც ყოველთვის.

- იცი, რასა ვფიქრობ, - დაიწყო მარია-როზამ, - უთუოდ ვიღაც გაიჩინა. შენ ხომ კარგად იცნობ ატილიოს. მითხარი, შესაძლებელია ასეთი რამ?

რაღაც შინაგანი ხმა მიკარნახებდა:„ჰეი, ერნესტო, ფრთხილად იყავი... აქ მახეს გიგებენ!“ მაგრამ, მეც არ ვიცი, ის დიდი ტკივილი, მარია-როზა, რომ მომაყენა, სიფრთხილეს სჭარბობდა, თუ ისევ იმედის ნაპერწკალი გაღვივდა, მარია-როზამ ქმრის საყვედური რომ მითხრა. ეს კი იყო, თავი ვეღარ შევიკავე.

- გულახდილად უნდა გითხრა, რომ ამაშიც მართალი ხარ... ატილიო ქალების მუსუსია. მისთვის ყველა ერთია- ლამაზი თუ გონჯი, ახალგაზრდა თუ ბებერი... ნუთუ აქამდე არ შეგინიშნავს ეს?

უკვე მოვათავე შედუღება, ჩავაქრე სარჩილავი ქურა, თითებით შევასწორე ჯერ კიდევ თბილი კალა და ქანჩის დამაგრება დავიწყე.

- ზოგი რამ ვიცოდი... თუმცა აშკარად არაფერი შემინიშნავს. ახლა კი, მგონია, ვხვდები... ემილიას დაუმეგობრდა. გახსოვს, თმაწითელი ქალიშვილი, სამრეცხაოში რომ მუშაობდა ჩემთან ერთად.

წამოვდექი, მარია-როზაც წამოდგა, წინსაფრიდან ლობიოს ჩენჩი ჩამოიბერტყა, ბაკანთან მივიდა, ქვაბი შეუდგა და წყალი მოუშვა. უკანიდან მივუახლოვდი, წერწეტ წელზე მოვხვიე და ვუთხარი:

- მართალი ხარ, ემილიასთან დადის ყოველდღე. საღამოობით სამრეცხაოსთან ელოდება ხოლმე და შინ აცილებს. ახლა უკვე ყველაფერი იცი. რაღას უცდი? ოდნავ მოაბრუნა ჩემკენ მოღიმარი სახე: - ერნესტო, შენ ხომ ატილიოს მეგობარი ხარ?

პასუხის ნაცვლად ისევ მოსახვევად წავეტანე, მაგრამ გამისხლტა და მკვახედ მომახალა:

- კმარა. მილი ხომ გამოცვალე, ახლა შეგიძლია მიბრძანდე.

გაბრაზებულმა ჩემი ხელსაწყოები ავკრიფე, მარია-როზას თავი დავუქნიე და ის იყო უნდა ამოვსულიყავი, რომ სამზარეულოს კარი გაიღო და ატილიო შემოვიდა.

- გამარჯობა, ერნესტო, - მეგობრულად მომესალმა ატილიო.

- მარია-როზამ მთხოვა მილის შეკეთება. ახალი ჩავდგი.

- დიდი მადლობელი ვარ, ერნესტო.

- ატილიო, - გაისმა ამ დროს მარია-როზას თითქოს მშვიდი, მაგრამ დაძაბული ხმა. ორივე მივბრუნდით.

ქურასთან მდგარ მაგიდაზე ორივე ხელით დაყრდნობილმა, მომღიმარე მარია-როზამ ხმადაბლა დაიწყო:

- ატილიო, ერნესტოც ამბობს, რომ შენ ზარმაცი ხარ და მუშაობა არ გინდა.

- მართლა ასე თქვი?

- გარდა ამისა, ერნესტომ ჩემი ეჭვი დაადასტურა. თურმე ემილიასთან დატორღიალობ ყოველდღე. მე დილიდან დაღამებამდე წელში ვწყდები, ოფლსა ვღვრი და შენ ამ დროს ემილიასთან ერთობი... ვითომ სამუშაოდ მიდიხარ, ნამდვილად კი... ახლა პირი წყლითა გაქვს სავსე და უარს ვეღარ იტყვი... ერნესტო ხომ შენი მეგობარია, კარგად გიცნობს და ყველაფერი დამიდასტურა.

სრულიად მშვიდად ამბობდა ამას. ახლაღა მივხვდი, რა ჩავიდინე, ვის ვუთხარი გულახდილად ყველაფერი. სახეშეშლილმა ატილიომ ჩემკენ გამოიწია:

- შენ თქვი ეს, შენ?

ამ დროს მარია-როზამ თუჯის უთოს ხელი წამოავლოდა ატილიოს პირდაპირ თავში დაუმიზნა, დაუმიზნა ზუსტად და ატილიოს თავის დახრა რომ არ მოესწრო, იქვე გააფრთხობდა სულს. იმ შერყეულმა ეს არ იკმარა, სრულიად გულმშვიდად ესროდა ატილიოს მძიმე და სახიფათო ნივთებს: წამოვიდა დანები, ქვაბები, ჯანდარი. ერთი სიტყვით, ენით არ აიწერება, ისეთი ამბავი დატრიალდა. საცოდავი ატილიო გიჟივით გავარდა გარეთ, მეც მივყევი. მარია-როზას სამზარეულოში დავტოვე სამმეტრიანი მილი და თავპირისმტვრევით დავეშვი კიბეზე. ატილიო უკან მომძახოდა:

- იცოდე, თვალით აღარ დამენახო, თორემ გაგაქრობ.

ხიდი რომ გადავირბინე და ლიბერტას მოედანზე პატარა პარკში შევედი, მხოლოდ იქ ამოვისუნთქე შვებით. მერხზე დავეშვი გულის მოსაბრუნებლად. ცოტა რომ დავმშვიდდი, დავფიქრდი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ მხოლოდ და მხოლოდ მეგობრობის გრძნობა

მალაპარაკებდა ასე გულახდილად მარია-როზასთან, რადგან ატილიოს ხასიათი არ მომწონდა. იმ დღეს მტკიცედ გადავწყვიტე, დღეის იქით, არასოდეს არავისთან არ ვიმეგობრებ-მეთქი.

ბეჩავი

ბედი გაჩენის დღიდანვე არ მწყალობდა. მთელი ჩემი უბედურების მიზეზი ისაა, რომ ნიკაპი არა მაქვს. თითქოს ნიკაპი სახის არცთუ ისე მნიშვნელოვანი ნაწილია, როგორც თვალი ან ცხვირი, მაგრამ რატომღაც კრეტინი ჰგონიათ უნიკაპო კაცი.

რაკი თავიდანვე დავიჩაგრე, მოყვა და მოყვა ერთმანეთს უბედურება. ცამეტი წლისა დავობლდი. დეიდაჩემმა თავის სოფელში, ჩოჩარიაში წამიყვანა. რა დასამალავია, ერთი კარგი დღე არ მინახავს იქ, მაგრამ ბედმა ესეც არ მაკმარა, დაბომბვის დროს ჩვენი სახლის ნანგრევქვეშ მოვყევი. რაც დრო გადიოდა, სულ უარესად მიმდიოდა საქმე. ყველამ კარგად იცის, რა არის ომი, გერმანელები, მოკავშირეები, შავი ბაზარი და შიმშილი.

თუ ერთ ანდაზას დავუჯერებთ - ცხოვრება კიბეა და ამ კიბეზე ერთნი ადიან, მეორენი ჩამოდიან, მე ცხოვრების კიბეზე მხოლოდ ძირს ვეშვებოდი და ეს სულ ჩემი ნიკაპის წყალობით მჭირდა. ბუნების წესით ნიკაპი უნდა მქონოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არა მაქვს.

ამ კიბით იქამდე დავეშვი, რომ ქალაქის ცენტრში, ერთი სახლის შვეიცართან კუთხე რომ ვიქირავე და ხან მათხოვრობით გამქონდა თავი, ხანაც წვრილმან სამუშაოში აღებული

გასამრჯელოთი და ორიოდ გროში მოვიგდე ხელთ, ასე მეგონა, ბედი გამეხსნა, ცხოვრების კიბეზე დაქანებული, როგორც იყო, შევდექი-მეთქი.

არ დაიჯერებთ, მაგრამ ამჯერად სწორედ ნიკაპის უქონლობამ მიხსნა გაჭირვებიდან. ჩვენს ქუჩაზე ბევრი მაღაზია იყო - სარძევე, საძეხვე, საფუნთუშე, საყასბო, საბაყლო.

ვაჭრებს მუშტარი არ აკლდათ, ყველას სჭირდებოდა დამხმარე, რომელიც მყიდველს ნავაჭრს შინ მიუტანდა, ცარიელ ტარას დააბრუნებდა და სხვა ამგვარ დავალებას შეასრულებდა. ამ მაღაზიების პატრონებმა რაკი შემატყვეს, გამრჯე და ამტანი ვიყავი, უნიკაპობას აღარ დახედეს, ხან ერთი მომცემდა სამუშაოს, ხან მეორე და ფეხის ქირასაც ხშირად ვღებულობდი.

გარდა ამ მაღაზიებისა, ოთხი-ხუთი ოსტერია და ტრატორიაც იყო ჩვენს ქუჩაზე. იქ ხანდახან სამადლოდ ერთ ჯამ წვენს მომცემდნენ ხოლმე, ეტყობა, უნიკაპო რომ ვიყავი, ვეცოდებოდი.

სამხედრო ხალათი და მუხლებზე დაკერებული შარვალი მეცვა. ერთმა ვაჭარმა პიჯაკი მაჩუქა. მართალია, ნიდაყვები დაქექილი ჰქონდა, მაგრამ მაინც არა უშავდა რა. მეორე კეთილმა კაცმა ფეხსაცმელი მიბოძა. ამგვარად ერთ თვეში სული მოვითქვი. გული მომეცა, ბედი გამეხსნა, ახლა კი აღარაფერი მიჭირდა.

აი, ხანდახან ვხედავ, ქუჩაში კაცი მოდის, ფეხით ან მანქანით... ამ კაცისთვის ყველა ქუჩა ერთია, მაგრამ ვინც ჩემსავით ცხოვრობს, მთელ დღეს ვინც აქ აღამებს, მისთვის ეს უბრალო ქუჩა კი არა, მთელი სამყაროა და ყოველდღე რაღაც ახალს პოულობს იქ.

იმ ქუჩაზე, სადაც კატებსაც კი ვიცნობდი, ზოგს ვუყვარდი, ზოგი ყურადღებას არ მაქცევდა, იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ვძულდი, მაღაზიების და რესტორნების პატრონებს ვუყვარდი, რადგან დაუზარელი და ხათრიანი ვარ. დალაქი, საგალანტერიო მაღაზიის პატრონი ქალი, აფთიაქის პატრონი და კიდევ სხვა მრავალი, რომლებსაც არაფერში არ ვჭირდებოდი და არც მე მჭირდებოდნენ, გულგრილად მეპყრობოდნენ. მაგრამ ახალგაზრდა ვაჟების ერთ ჯგუფს, ყოველდღე ლუდხანაში რომ იკრიბებოდნენ, ნამდვილად ვეჯავრებოდი. ისინი პროფესიით სპორტსმენები იყვნენ, გაუთავებლად კამათობდნენ ფეხბურთის გუნდებზე, ველოგადარბენაზე და სხვა ასეთებზე. რაც უნდა თქვათ, სპორტი მაინც გულს უქვავებს ადამიანს, სპორტსმენს ყოველთვის ძლიერის მხარე უჭირავს და სუსტი ეზიზღება

რადგან ერთი სუსტთაგანი გახლავართ, ცხადია, მათი სიმპათია ვერ მოვიპოვე. საკმარისი იყო ლუდხანაში შემეხედა, ეს სპორტსმენები მაშინვე შემომეხვეოდნენ, მოჰყვებოდნენ ლაზღანდარობას, დამცინოდნენ და რას არ მეძახდნენ.

სწორედ ამ ვაჟბატონებმა შემარქვეს „ბეჩავი“. ერთხელ ძალით შემათრიეს ტრატორიაში და ღვინო მასვეს, რომ შევჭიკჭიკდი, ენა ამედგა, დავიჩივლე, უბედო კაცი ვარ, სულს იქით არაფერი გამაჩნია, ვაინაჩრობით მივათრევ წუთისოფელსმეთქი. ამის შემდეგ მთლად ამიგდეს, ათასნაირ ოინებს მიწყობდნენ. ხან განგებ გამგზავნიდნენ სადმე, ვითომც დავალებით, და ტყუილად მარბენინებდნენ, ხან ქირდვით მკითხავდნენ:

- აბა, ბეჩავო, გვიამბე კიდევ რა გადაგხდა, სად გიმუხთლა ბედმა? ან

  სერიოზული სახით რჩევას მომცემდნენ.

- მოდი, ბეჩავო, წვერი მოუშვი, მაშინ ვერავინ შეგნიშნავს, უნიკაპო რომ ხარ.

მართლად რომ მზაკვრული რჩევა იყო, რატომღაც წვერი არ მეზრდება, ორიოდე ღერი გრძელი ბალანი ამომდის მხოლოდ, სულ ეს გახლავთ ჩემი წვერი.

გული არა აქვს ხალხს, გული! მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვიყავი ჩემი ხვედრით. ასე იყო თუ ისე, როგორღაც გამქონდა თავი. ჩემს ცხოვრებაში პირველად მეცვა და მეხურა, მქონდა ჭერი, მქონდა საწოლი, არა მშიოდა და ჯიბეშიც ორიოდ გროში მიჩხრიალებდა. ერთი სიტყვით, შინ

მივდიოდი. არც კი მჯეროდა ეს ამბავი და შიშით ვიმეორებდი: „ოღონდ დიდხანს გაგრძელდეს ასე! ნეტავ არავინ გამთვალოს!“

სამწუხაროდ, შიში უსაფუძვლო არ გამოდგა. ხანმოკლე იყო ჩემი ბედნიერება. ერთ მშვენიერ დღეს ლუდხანაში შევედი, ნავთის კანისტროები უნდა წამეღო მუშტრისთვის. ლუდხანის სიღრმეში ჩემი სპორტსმენები დავინახე, ერთად შეჯგუფულიყვნენ და ვიღაცას ათვალიერებდნენ. თავი ისე დავიჭირე, ვითომც ვერ შევნიშნე ის ოხრები და დახლისკენ წავედი, მაგრამ დამინახეს.

- ეი, ბეჩავო, აქ მოდი, შეხედე!

ყურადღებას არ მივაქცევ, გავივლე გულში, მაგრამ ერთმა სპორტსმენმა ხელი წამავლო და მეტი გზა არა მქონდა, გავყევი

დარბაზის სიღრმეში, სატუალეტო ქაღალდის რულონებს ზურგით მიწოლოდა ვიღაც, თავში მუშტს იშენდა და ქვითინებდა. ველვეტის შარვალი და მაისურა ეცვა. შეუჩერებლად მოთქვამდა, კვნესოდა, მაგრამ თმას იგლეჯდა და თავში იშენდა. მხოლოდ ერთი ხელით, მეორე ხელის ადგილზე გლუვი და სწორი ტაკვი ეკიდა, თავი რომ ასწია, წვერით დაფარულ სახეზე

შევხედე, დავინახე, ცალთვალა იყო. მაგრამ იმ ერთადერთ თვალს ისე ეშმაკურად აკვესებდა, ისეთი ცოცხალი და სხივიანი იყო, რომ ორ თვალად ღირდა.

სპორტსმენები ერთმანეთს არ აცლიდნენ: ბეჩავო, ხედავ რა უბედურია, შენზე უბედური. განგებამ ობლობა არ აკმარა, ომმა დაასახიჩრა, ცალხელა, ცალთვალა, ლტოლვილია, მიუსაფარი. ჩვენს ქუჩაზე დაბინავებულა ვიღაცის საკუჭნაოში, უთუოდ შენს საქმეს მოჰკიდებს ხელს, მეტოქედ გაგიხდება და ვინ იცის, მალე აქედან გუდა-ნაბადიც აგიკრასო.

- შენ ნიკაპი არა გაქვს, ვგონებ ცოტა ტვინიც გაკლია, მაგრამ ეს არაფერია, - დამეღრიჯა ერთი სპორტსმენი, - ეს საცოდავი კი ცალხელაა, ცალთვალა, კიდევაც კოჭლობს. ცუდადაა შენი საქმე, შე ბეჩავო, შენა.

- ნეტა თქვენ, საქმე გამოგლევიათ, - ვუთხარი მათ და წასვლა დავაპირე, მაგრამ არ გამიშვეს.

- რადგან ჩვენს ქუჩაზე ყველაზე უბედურები თქვენა ხართ, ერთმანეთს ხელი უნდა ჩამოართვათ.

მეტი რა გზა მქონდა, ხელი გავუწოდე. ცალხელა - უჰ, რა გაქნილი ვინმე იყო, - როგორ თვალთმაქცობდა. ცრემლი გადმოღვარა, თავში წაიშინა და აღრიალდა:

- დამეხსენით... სიცოცხლე აღარ მინდა... გამიშვით... წავალ, ტიბრში გადავვარდები... ახლავე, ახლავე წავალ და თავს დავიხრჩობ.

ერთი სიტყვით, ისეთი ამბავი ატეხა, კაცს გული აერეოდა. ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი:

- არხეინად იყავი, არსად წამსვლელი შენ არა ხარ, არც ტიბრში გადავარდები. ერთი კი

  გადმომიბრიალა თავისი ეშმაკური თვალი და დაიღრიალა:

- რაო, არ გადავარდებიო? აი, ნახავ თუ ახლავე არ წავიდე და თავი არ დავიხრჩო, - თქვა და თან ისე წამოიწია, თითქოს მართლა აპირებდა თავის დახრჩობას. შორს კი არ მოუხდებოდა წასვლა, ტიბრიც იქვე იყო, ყურის ძირში.

რა თქმა უნდა, სპორტსმენებმა დაუყვავეს, დააშოშმინეს და ფულიც კი აჩუქეს. ამით დამთავრდა საქმე. ლუდხანის პატრონთან რომ მივედი კანისტროების წასაღებად, ასე მითხრა:

- მაპატიე, ბეჩავო. მოდი, ამჯერად მაგან წაიღოს. ხომ ხედავ, შენზე უბედურია. ცოტა შენ, ცოტა მაგას.

რაღა ბევრი გავაგრძელო, წუთიც არ იყო გასული, რომ იმ გაიძვერამ ცრემლი შეიმშრალა, ერთადერთი ხელი დაავლო კანისტროების ყუთს, მხარზე შეიგდო და კოჭლობით, მაგრამ მხნედ და მხიარულად გავიდა ლუდხანიდან. მე კი ხახამშრალი დავრჩი. სპორტსმენები ახლა მე შემომეხვივნენ, დამცინოდნენ, მაქეზებდნენ: აბა, ბეჩავო, ფხიზლად იყავი, მეტოქე გაგიჩნდა, ვინძლო აქედან ბარგი არ აგიკრასო.

სპორტსმენები მეხუმრებოდნენ, მაგრამ საქმე მართლაც ასე დამთავრდა, როგორც მიწინასწარმეტყველეს. ის გაიძვერა ბეტოლინო (ასე ეძახდნენ იმ ხეიბარს, რადგან ყლურწვა უყვარდა და სულ ტრაქტირებში ეგდო), წარამარა წაიშენდა ხოლმე თავში მუშტს და ცხარე ცრემლით ატირდებოდა: ვაი, რა უბედური ვარ, ხეიბარი, ცალთვალა, ცალხელა, კოჭლი. ისე მოთქვამდა, ისე იგლეჯდა თმას, ქვასაც აატირებდა მისი ცოდვა. ამ ოინბაზობით მალე ჩემი სამუშაოს დიდი ნაწილი ხელიდან გამომაცალა. შევდიოდი მაღაზიაში, რომ ნავაჭრი წამეღო მუშტრისთვის, ან რაიმე ახალი დავალება მიმეღო მაღაზიის პატრონისგან, მაგრამ...

- ჩვენ უკვე ბეტოლინოს შევუთანხმდით... შენ ცოტა მოითმინე, იმას უფრო უჭირს... სხვა დროს შემოიარე, - მეუბნებოდნენ იქ.

თვეზე მეტი გაგრძელდა ასე, საითაც წავიდოდი, სულ ეს მესმოდა:

- ბეტოლინოს უფრო უჭირს... მოითმინე.

კარგი და პატიოსანი. ვითმენდი, მაგრამ როდემდის! ყველაფერს საზღვარი აქვს. ბეტოლინო ეშმაკობას არ იშლიდა, ტიროდა, თავში ხელს იცემდა, თმას იგლეჯდა, იქადნებოდა, თავს მოვიკლავო, მაგრამ დღითიდღე იფურჩქნებოდა, მე ძველებურად მომეცარა ხელი, არა, რას ვამბობ, უფრო მეტად. ერთხელ ხაბაზთან შევედი, ხომ არაფერს დამავალებ-მეთქი.

- ყური მიგდე, ბეჩავო, - მითხრა ხაბაზმა, - ახალგაზრდა ხარ, ფეხი არ გაკლია და ხელი, რატომ ხეირიან საქმეს არ მოეკიდები. აი, ბეტოლინო სულ სხვაა, ხეიბარია, კოჭლი, ცალთვალა... შენ ყველაფერი თავის ადგილზე გაქვს, რატომ არ მუშაობ?

რა მეთქმოდა ნიკაპი არა მაქვს-მეთქი? ნიკაპით ხომ არ მუშაობენ. კრინტი ვერ დავძარი, გუნებაში კი დავიფიცე, რომ ამ ქუჩაზე ან მე ვიქნები, ან ბეტოლინო.

ერთხელ, დიდ ხანს არ გაუვლია ამ საუბრის შემდეგ, მუშტარისთვის ყუთით მინერალური წყალი უნდა წამეღო. ზუსტად ასეთივე დავალება წინადღით ბეტოლინომ შეასრულა. მაშასადამე, იმ დღეს უკვე ჩემი რიგირ იყო. შევედი ლუდხანაში, პირდაპირ სალაროსთან მივედი და ლუდხანის პატრონს ვუთხარი, წასაღები ბოთლები მომეცით-მეთქი. ლუდხანის პატრონი რაღაცას ანგარიშობდა და უცებ არ მიპასუხა. მერე ქაღალდიდან თავაუღებლად გასძახა დახლიდარს:

- ბოთლები გაატანე.

- უკვე გავგზავნეთ. დაიგვიანე, ბეჩავო, გვეგონა აღარ მოხვიდოდი... ავიღეთ და ბეტოლინოს გავატანეთ, - მიპასუხა დახლიდარმა.

- ჯერ კიდევ ადრიანი დილაა, რატომ გეგონათ, რომ არ მოვიდოდი? - ჩავილაპარაკე დაბნევით და ბრაზით ავკანკალდი.

- რა უნდა გვექნა, ბეტოლინო შენზე ადრე მოვიდა.

- დიდი ხანია, რაც გაგზავნეთ? - ვკითხე დახლიდარს.

- არა, ესეცაა გავიდა.

- დამაცადოს, ახლა კი ვუჩვენებ სეირს, - წამოვიძახე და ლუდხანიდან გავვარდი.

ალბათ, ბრაზით ისე მომექცა სახე, რომ სპორტსმენები შეშფოთდნენ და ქუჩაში გამოცვივდნენ.

ბეტოლინოს მხარზე შეედგა მინერალური წყლით სავსე ყუთი და ჩემგან ორმოცდაათი ნაბიჯის მანძილზე მიჩლახუნებდა. დავეწიე, ხელზე, რომლითაც ყუთი ეჭირა, ხელი ვტაცე და დავუყვირე:

- აქ მოიტა ეგ ბოთლები, დღეს ჩემი რიგია.

- ჭკუიდან ხომ არ გადახვედი?

- შენ გეუბნებიან, მოიტა ბოთლები.

- ვინა გდიხარ, ვინ რასა გკითხავს!

- იცოდე, თუ ახლავე არ მოგიცია ეგ ყუთი, ისეთ დღეს დაგაყრი, სიკვდილს განატრებ. მაშინ გაიგებ, ვინცა ვარ.

- რაო, რაო? ვინ ბრძანებს ამას?

- ვინ და მე!

ერთი წუთი ასე ვკინკლაობდით, მერე ხელი ვკარი, ყუთი გადაუვარდა, ბოთლები დაიმსხვრა და წყალი ტროტუარზე დაიღვარა. იმ გაიძვერამ თვალი მოჰკრა თუ არა სპორტსმენებს, უმალ აღრიალდა:

- თქვენა ხართ მოწმე, რომ ბოთლები ამან დაამტვრია... ხომ დაინახეთ!

მთლად დავკარგე ჭკუა, ჯიბეში პატარა დანა მედო, ამოვიღე და ბეტოლინოს ვეცი, საკინძეში ჩავაფრინდი, დანას ვიქნევდი და გავყვიროდი:

- წაეთრიე აქედან, შე არამზადავ, გესმის?

დანის დანახვაზე ხალხი აყვირდა, ვიღაცამ ხელი მტაცა, მკლავი გადამიგრიხა და დანა გამაგდებინა. რომელიღაც ბიჭმა დანას ხელი დასტაცა და მოკურცხლა.

- მიშველეთ, მკლავენ, მიშველეთ! - ღრიალებდა ბეტოლინო.

იმ გაიძვერამ, იმ ლაჩარმა ცალთვალამ, ხალხმა რომ გამაკავა, ამით ისარგებლა და თავისი ტაკვი ისე ჩამცხო სახეში, რომ ტკივილით გამწარებულმა ვიბღავლე, ხალხს ხელიდან დავუსხლტი, ბეტოლინოს მივეწიე, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კოჭლი იყო, საოცრად ცქვიტად გამისხლტა, ხალხის წრე გაარღვია და მათ ზურგს ამოფარებული გაჰკიოდა:

- მიშველეთ, მკლავენ, მიშველეთ!

გონება დამიბნელდა, გააფთრებულ ხარს დავემსგავსე. ერთხელ ვნახე, როგორ გაიფანტა ხალხი გააფთრებული ხარის დანახვაზე. ხარი აქეთ-იქით აწყდებოდა და სივრცეს რქენდა.

მეც გავარღვიე ხალხის წრე, ის იყო ვწვდი ბეტოლინოს, მაგრამ ისევ გამისხლტა... ხალხი ხან გაიშლებოდა, ხან ისევ მჭიდროდ შეკრავდა გასასვლელს. ბოლოს რენატომ დამიჭირა. რენატო სპორტსმენებში ყველაზე ღონიერი იყო.

- კარგი, გეყოფა, გაჩერდი!

უნდა მოგახსენოთ, რომ რენატოს ჯავრიც მჭირდა და ბეტოლინოზე ნაკლებ როდი მძულდა. ხელი მტაცა თუ არა, მივუბრუნდი და მაგრა ჩავცხე მუშტი სახეში. სწორედ ამ გარტყმამ დამღუპა. გარდა ამისა, რომ იქვე მივიღე სამაგიერო, და მერე ისიც როგორი სამაგიერო, ერთი შემოკვრით ძირს დამცა რენიტომ. რომ წამოვდექი, ჩემს წინ უკვე პოლიციელი იდგა. განყოფილებაში წამაბრძანეს, ცხვირიდან თქრიალით მდიოდა სისხლი, უკან ხალხი მომდევდა, სადღაც შორს კი კვლავ გაისმოდა ბეტოლინოს ღრიალი: მიშველეთ, მკლავენ, მკლავენო.

ჩემი დანა იპოვნეს და პატიმრობა მომისაჯეს. ციხიდან რომ გამოვედი, აღარ ვიცოდი საით წავსულიყავი. ბეტოლინოსთან ჩხუბმა ბოლო მომიღო, ჩემს ქუჩაზე გამოსაჩენი პირი აღარ მქონდა. სადაც კაცს მარცხი შეგხვდება, იქ აღარ უნდა დაბრუნდე.

სულელი ბებერი

ქალების ტრფიალს ჩვეული მამაკაცი ვერ ამჩნევს, რომ ყავლი გაუვიდა, რომ ქალები უკვე ისე უყურებენ, როგორც მამას ან პაპას. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ხანში შესულ ყოველ მამაკაცს თითქოს ორი სახე აქვს, ერთი გარეგანი, მეორე შინაგანი. გარეგან სახეზე თქვენ ხედავთ ნაოჭებს, ჭაღარას, გაფუჭებულ კბილებს და ჩამქრალ თვალებს. შინაგანი სახე კი ახალგაზრდული რჩება: შავი ხშირი თმა, გატკეცილი სახე, თეთრი კბილები, ცოცხალი თვალები. აი, სწორედ ეს „შინაგანი“ თვალები აცქერდება ქალებს და ეჩვენება, რომ ქალებსაც ძველებურად მოსწონთ იგი. მაგრამ მწარედ ცდებიან, ქალები მხოლოდ მათ გარეგნულ სახეს ჭვრეტენ და ამბობენ: „ნეტა რა უნდა ამ ბებრუხანას? ნუთუ არ ესმის, რომ პაპად შემფერის?“

საპარიკმახერო, სადაც აგერ ოცდაათი წელია, რაც ვმუშაობ, იმ ზაფხულს გააფართოეს: გამოცვალეს სარკეები, პირსაბანები, შეღებეს კედლები და კარი. დასასრულ ჩვენმა პატრონმა გადაწყვიტა, მემანიკურე აეყვანა. შეუთანხმდა კიდეც ერთ ქალიშვილს, რომელსაც იოლე ერქვა სახელად.

ჩვენი პატრონის გარდა, საპარიკმახეროში სამი კაცი ვმუშაობდით: შავგვრემანი, ოცდახუთი წლის სერიოზული ჭაბუკი ამატო, ყოფილი კარაბინერი, ჩემზე ხუთი წლით უფროსი, მომცრო

ტანის ჩასუქებული, მელოტი ჯუზეპე და მე. სამივე დაჟინებით ვუცქეროდით ჩვენს მემანიკურეს, იოლეს (ეს ყოვლად ბუნებრივია, როცა კაცების საზოგადოებაში ქალი გამოერევა). რაც შეეხება იოლეს, იქ ქალთა ისეთ ტიპს ეკუთვნოდა, რომელთაც ჩვენში ღია ბარათებზე ხატავენ. ჩაპუტკუნებული იყო, სახის სწორი ნაკვთები ჰქონდა, შავი თმა, ასეთი ქალები მილიონობითაა იტალიაში.

ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ლამაზი ვარ: მაღალი, ხმელ-ხმელი, ფერმკრთალი, ნერვიული სახე მაქვს, ქალების შეფასებით, მიმზიდველი. როცა ქალს დამატყვევებლად შევავლებ თვალს, განსაკუთრებით თუ ცერად გავხედე, მაშინ ჩემი მზერა, გამსჭვალავი, გრძნობით სავსე და ოდნავ სკეპტიკურია. ყველაზე კარგი მაინც თმა მაქვს: ღია წაბლისფერი, ტალღოვანი, პეწიანი, უკანასკნელ მოდაზე ვიყენებ. ულვაშიც მოდაზე მაქვს დაყენებული.

ყველა ამასთან ერთად, ძალიან მოხდენილიც ვარ, კარგად ვიცვამ, ჰალსტუხი, წინდა და ცხვირსახოცი შეხამებული მაქვს, ხალათი კი ისეთი ისეთი ქათქათა მაცვია, რომ ქირურგს უფრო შეეფერება, ვიდრე პარიკმახერს. აბა, რა გასაკვირველია, ქალებს მოვწონდე. ბედი ამ საქმეში არასოდეს მღალატობდა. ყოველთვის ვიგებდი ქალის გულს და ახლაც ქალი რომ მომეწონება, ისე თითილბაზურად და დაჟინებით ჩავაცქერდები, რომ ეს მზერა ას ქათინაურს ურჩევნიათ. წინასწარ ვიცი, როდის მომწიფდება ხილი ისე, რომ მოსაწყვეტად ხელის გაწვდენაღაა საჭირო და დროს არა ვკარგავ.

ყველაზე მეტად ამატოს მეტოქეობა მეშინოდა. ამატო არამცთუ ლამაზი, სანდომიანიც კი არ არის, მაგრამ ახალგაზრდაა. ჯუზეპეს ანგარიშში არ ვაგდებდი, რადგან ჩემზე უფროსია და ძალიან შეუხედავი.

იოლე მთელი დღე თავის მაგიდასთან იჯდა კუთხეში, მოწყენილობისა და უმოძრაობისაგან გამოლენჩებული. კლიენტების მოლოდინში ორ-სამ გაზეთს გადაიკითხავდა ხოლმე, ან საკუთარ ფრჩხილებს უვლიდა.

თვითონაც არ ვიცი, რად ვჭამდი იოლეს თვალებით. მუშტარი რომ შემოვიდოდა სავარძელში ჩაჯდებოდა, მე პირსახოცს ავიღებდი, კოხტად ავიქნევდი, კლიენტს ყელზე შემოვახვევდი, თან ცერად გავხედავდი იოლეს. ანდა მუშტარს საპონს ავუქაფებდი თავზე, ისევ იოლესკენ ვაპარებდი თვალს. თუ თმას ვკრეჭდი, მაკრატლის სამი-ოთხი მოქნევის შემდეგ, კვლავ იოლესკენ გამირბოდა თვალი. თუ იოლე ამ დროს წამოდგებოდა და რომელიმე ხელსაწყოს ასაღებად ზანტი ნაბიჯით კარადისკენ წავიდოდა, ახლა სარკეში ვაყოლებდი თვალს.

უნდა მოგახსენოთ, რომ იოლე არ იყო ქარაფშუტა და პრანჭია. პირიქით, როგორიღაც უნიათო, კუშტი და გამოლენჩებული ჩანდა. დიდი ხნის ძილით მოთენთილ კატას ჰგავდა. მაგრამ, ტყუილად როდი უთქვამთ, ერთ ადგილს მუდმივი წვეთის ცემა ქვასაც გახვრეტსო. რა თქმა

უნდა, იოლემ შენიშნა, როგორ ვაცქერდებოდი, არ ეწყინა, ცქერის ნება დამრთო, მერე კი თვითონ მიპასუხა ასეთი მზერით. მიპასუხა ყოველგვარი ეშმაკობის გარეშე, რადგან ბუნებით მიამიტი იყო. როგორღაც უხერხულად, ზანტად შემომხედავდა ხოლმე, მაგრამ იმაში ეჭვის შეტანაც შეუძლებელი იყო, რომ იოლემ მითანაგრძნო.

რაკი დავრწმუნდი, რომ ნაყოფი მომწიფებული იყო, იოლეს შევთავაზე: კვირას ოსტიაში წავიდეთ-მეთქი საბანაოდ. იოლე მაშინვე ხალისით დამეთანხმა და მითხრა: ოღონდ საბანაო კოსტუმისთვის ნუ დამძრახავთ, ბოლო დროს ძალიან გავსუქდი და კოსტუმი დამივიწროვდაო. მის სიტყვებში კეკლუცობის ნასახიც კი არ იყო. - არც არის გასაკვირველი, ასე რომ გავსუქდი. მთელი დღე უმოძრაოდ ვზივარ.

მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანი თუ იტყვის თავის თავზე ამას. ამიტომაც მომწონდა იოლე.

შევთანხმდით, მეორე დღეს სან-პაოლის სადგურზე შევხვედროდით ერთმანეთს. საგულდაგულოდ მოვემზადე: წვერი გავიპარსე, პუდრი შევიფრქვიე, წმინდა სავარცხლით დავივარცხნე თმა, რომ ქერტლის ნატამალიც არ დამრჩენოდა, თმაზე და ცხვირსახოცზე სუნამო დავისხი, ჩავიცვი თეთრი შარვალი, საყელო გადახსნილი პერანგი და თხელი ქურთუკი.

იოლემ არ დაიგვიანა, ზუსტად ორ საათზე დავინახე, როგორ მოაპობდა ხალხს თეთრებით გამოწყობილი, ოდნავ დაბალი და მოუხეშავი, მაგრამ ნორჩი. ერთმანეთს რომ მივესალმეთ, იოლემ მითხრა:

- ზღვა ხალხი მიდის დღეს ოსტიაში. აი, ნახეთ, თუ მთელი გზა ფეხზე დგომა არ მოგვიხდეს.

როგორც თავაზიან კაცს შეჰფერის, მაშინვე დავამშვიდე:

- ჯავრი ნუ გაქვთ, იოლე, თქვენთვის იქნება ადგილი. მე მომანდეთ ეგ საქმე.

მალე მატარებელიც ჩამოდგა და ბაქანზე მყოფი ხალხი ისე დაფეთებული მიაწყდა ვაგონების კარს, თითქოს კავალერიის ესკადრონი თავს დაესხათო. ყვიროდნენ, ერთმანეთს უძახდნენ, ეჯახებოდნენ. მე წინ გავიჭერი, კარისსახელურს მოვეჭიდე ავვარდი კიბეზე და ისე იყო ვაგონში უნდა შევსულიყავი, რომ ერთმა მზით გარუჯულმა ჭაბუკმა ხელი მკრა, უნდოდა ჩემთვის შეესწრო ვაგონში, მაგრამ ნურას უკაცრავად, ჯიქურ დავხვდი. ჭაბუკი სახელოზე მომეჭიდა, მე ნიდაყვი გავკარი და ვაგონში შევვარდი, მაგრამ იმ ხულიგანთან ჭიდილში ძვირფასი დრო დავკარგე. მთელ ვაგონში მხოლოდ ერთი ადგილიღა იყო თავისუფალი. მე და ის ჭაბუკი თითქმის ერთდროულად მივიჭერით თავისუფალ ადგილთან, მე ქუდი დავაგდე სკამზე, ჭაბუკმა თავისი ქურთუკი და ერთმანეთს მივუბრუნდით.

- მე დაგასწარით, - ვუთხარი ჭაბუკს.

- ვინ მოგახსენათ?

- მე, - ვუპასუხე და ქურთუკი ზედ მივაგდე. ამ დროს იოლეც მოვიდა და, ვითომც აქ

  არაფერიაო, არხეინად დაჯდა.

- გმადლობთ, ლუიჯი.

ჭაბუკი თავისი ქურთუკით ხელში ერთ ხანს უხმოდ იდგა, ყოყმანობდა, მაგრამ იოლეს აყენება ვერ გაბედა და კუპედან გასვლისას ჩემი მისამართით ჩაილაპარაკა:

- სულელი ბებერი.

მატარებელი დაიძრა, მე იოლეს გვერდით ვიდექი, მერხის ზურგზე ხელჩაკიდებული, მაგრამ გუნება ისე გამიფუჭდა, რომ სიამოვნებით ჩავიდოდი მატარებლიდან და შინ დავბრუნდებოდი. ის ორი სიტყვა - „სულელი ბებერი“ - მეხივით დამეცა. ვიდექი და ვფიქრობდი, რომ ამ სიტყვებში ორი სხვადასხვა აზრია: „სულელი“ არცთუ დიდად საწყენია, რადგან ამით მხოლოდ

ჩემი გალანძღვა სურდათ. სიტყვა „ბებერი“ სულ სხვაა. ეს შეურაცხყოფის მიზნით როდი იყო ნათქვამი, ამით მხოლოდ ფაქტი აღნიშნეს. ორმოცდაათი წლის ნაცვლად, თექვსმეტის რომ ვყოფილიყავი, ასევე თამამად შეეძლოთ ჩემთვის „უტვინო ბიჭის“ დაძახება. მოკლედ რომ ვთქვა, როგორც იმ უცნობი ჭაბუკისთვის, ისე ყველასთვის და მათ შორის, რა თქმა უნდა, იოლესთვისაც, ბებერი გახლდი. ჰოდა, ვითომ რა დიდი საწყენი იყო, ვიღაცამ სულელი რომ დამიძახა. იქნებ ამ ადგილისთვის ბრძოლა სულ ზედმეტიც იყო, ჭაბუკი უთუოდ ისედაც დამითმობდა ადგილს, ჩემი ხნის ადამიანს.

თითქოს ამ ფიქრის დასადასტურებლად, იოლეს პირდაპირ მჯდომმა კაცმა, რომელიც ამ სცენის მოწმე იყო, თავისთვის ჩაილაპარაკა: - ლაწირაკი... უფროსის პატივისცემით მაინც დაეთმო.

მთლად დავიბენი, გაშტერებული ვიდექი. სახეზე ხელი მოვისვი, მინდოდა შეხებით გამომეცნო, თუ რამდენად დავბერდი. იოლე, რასაკვირველია, ვერაფერს მიხვდა, ნახევარი გზა გვექნებოდა გავლილი, რომ მითხრა:

- როგორ ვწუხვარ, ლუიჯი, რომ მთელი გზა ფეხზე დგახართ.

- მართალია, ბებერი კი ვარ, - თავი ვეღარ შევიკავე, - მაგრამ ჯერ არც იმდენად მოვხუცებულვარ, რომ ნახევარი საათი ფეხზე დგომა გამიჭირდეს.

ეს სიტყვები იდუმალი იმედითიყო ნათქვამი, მეგონა იოლეხელად გამიტრიზავებდა: „რასა ბრძანებთ, ლუიჯი, რა დროს თქვენი სიბერეა?“, მაგრამ იმ ჩერჩეტმა არაფერი მითხრა და ამით საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ დავბერებულვარ.

ოსტიაში რომ მივედით, ჯერ იოლე შევიდა ჯიხურში საბანაო კოსტუმის ჩასაცმელად. იქიდან რომ გამოვიდა, ისეთი თეთრი, ისეთი მკვრივი და ნორჩი იყო, რომ ბრაზი მომერია. საბანაო კოსტიუმი ზედ ასკდებოდა. შევედი თუ არა ჯიხურში, კედელზე დაკიდებულ გაცრეცილ სარკეს ვეცი. ნაოჭებით შემოფარგლული ამღვრეული თვალები, ჭაღარა თმა, მომჩვარებული კანი, ჩაყვითლებული კბილები და დანაოჭებული ყელი შემომცქეროდა სარკიდან. ვაგლახ! მართლა დავბერებულვარ. აქამდე რატომ ვერ შევნიშნე?

ტანთ გავიხადე. საბანაო კოსტიუმის ასაღებად რომ დავიხარე, მუცელი ჯერ ზევით ამიცოცდა, მერე ცარიელ ტომარასავით ჩამომეკიდა. „სულელი ბებერი“, ბრაზით ვიმეორებდი ჩემთვის. აი, როგორ სიურპრიზებს გვიწყობს ცხოვრება. - გავიფიქრე მწარედ, - ჯერ კიდევ ამ ერთი საათის წინ თავი ახალგაზრდა მეგონა, ყოველ შემთხვევაში, იმდენად ახალგაზრდა, რომ იოლეს

ვეარშიყებოდი. მაგრამ ჩემს გამოსაფხიზლებლად საკმარისი იყო ის ორი სიტყვა. ახლა უკვე ვიცოდი, რომ იოლეს მამად ვეკუთვნოდი და სირცხვილით დავიწვი იმის გახსენებაზე, დაჟინებით რომ ვაცქერდებოდი საპარიკმახეროში. შემრცხვა, აქ რომ მოვიყვანე. „ნეტა რას ფიქრობს ჩემზე, ვინ ვგონივარ?“

გვიან გავიგე, რასაც ფიქრობდა ჩემზე იოლე. ზღვა ღელავდა, ბაგირზე ხელჩაკიდებულები ვიდექით წყალში, ტალღა რომ მოგვასკდებოდა, სუნთქვა მეკვროდა და ჩემთვის ვიმეორებდი: „ეს იმიტომ, რომ ბებერი ხარ“. სიამოვნებით გაბრწყინებული იოლე კი იძახდა:

- იცით, ლუიჯი, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი სპორტსმენი იყავით.

- რატომ? ძალიან მაინტერესებს, რას ფიქრობთ ჩემზე.

- აი, ჩვეულებრივ, თქვენი ხნის ხალხს აღარ უყვარს ცურვა. ეს უფრო ახალგაზრდების საქმეა.

იმ წუთს დიდი, აქაფებული ტალღა თავზე გადაგვემხო. ფეხი დამიცდა, იოლეს ხელი ვტაცე, რომ არ წავქცეულიყავი. მრგვალი, მკვრივი ხელი ჰქონდა, ახალგაზრდა ქალის ხელი. პირი მლაშე წყლით ამევსო.

- იოლე, მე მამად უფრო გეკუთვნით, - ვუთხარი იოლეს.

- მამად არა, მგრამ ბიძად კი შესაძლოა...

ერთი სიტყვით ზღვიდან რომ ამოვედით, ისე უხერხულად ვგრძნობდი თავს, ისე მრცხვენოდა, რომ ლაპარაკის უნარი დავკარგე, კრიჭაშეკრული დავდევდი იოლეს.

იოლე წინ მიდიოდა, მკერდზე და თეძოებზე იჭიმავდა საბანაო კოსტიუმს, რომელიც დასველების შემდეგ უფრო შემოეტმასნა ტანზე. იოლე პირქვე დაემხო, სილაზე გაგორდ-გამოგორდა. ისეთი გატკიცინებული ტანი ჰქონდა, რომ სილა არც კი ეკრებოდა ზედ, ფენა-ფენა ძვრებოდა ტანზე. გვერდით მივუჯექი, მაგრამ არც ლაპარაკი შემეძლო, არც განძრევა. მიუხედავად მთელი მისისქელკანიანობისა, იოლე მიხვდა ცუდ გუნებაზე რომ ვიყავი, და მკითხა, რა დაგემართათო.

- თქვენზე ვფიქრობ. მითხარით, იოლე, ჩვენს საპარიკმახეროში ყველაზე მეტად ვინ მოგწონთ. ამატო, ჯუზეპე თუ მე? იოლე ჩაფიქრდა.

- როგორ გითხრათ, თითქმის ერთნაირად მომწონხართ სამივე.

- კი მაგრამ, ამატო ხომ ყველაზე ახალგაზრდაა?

- დიახ, ახალგაზრდაა.

- თანაც, ვგონებ, თქვენი მოტრფიალე უნდა იყოს. - განვაგრძე ერთი წუთის დუმილის შემდეგ.

- მართლა? მე არაფერი შემინიშნავს. იოლე დაბნეული იყო, აშკარად ეტყობოდა, რომ

  რაღაც აწუხებდა. ბოლოს მითხრა:

- იცით, ლუიჯი, ცუდი ამბავი შემემთხვა. საბანაო კოსტიუმი გამისკდა უკან. მომეცით პირსახოცი, წავალ და ჩავიცვამ.

მართალი რომ ვთქვა, გამიხარდა კიდეც. მივეცი პირსახოცი, იოლემ ტანზე შემოიხვია და ჯიხურისკენ გაიქცა. ნახევარი საათის შემდეგ უკვე მატარებელში ვისხედით. ვისხედით მთლად ცარიელ კუპეში. პერანგის საყელო ავიწიე, ვცდილობდი მოშიშვლებული ყელის დამალვას და ვფიქრობდი, რომ ყველაფერი უკვე გათავებულია, რომ უკვე ბებერი ვარ. ჩემს თავს პირობა

მივეცი, დღეის იქით არც ერთ ქალს ზედ არ შევხედავ-მეთქი და შევასრულე კიდეც. იოლე გაოცებას იყო ჩემი ცვლილებით, რამდენჯერმე შევნიშნე რომ საყვედურით მიყურებდა. თუმცა არ ვიცი, იქნებ მომეჩვენა.

გავიდა ერთი თვე. ამ ხნის განმავლობაში იოლეს სულ ოთხჯერ თუ ხუთჯერ დაველაპარაკე. ჯუზეპე კი ბოლო ხანებში ძალიან დაუმეგობრდა იოლეს. მამაშვილურად ექცეოდა, გულთბილად, სერიოზულად, არშიყობის მსგავსი არაფერი შემინიშნავს. მე, რაც დრო გადიოდა, მით ვრწმუნდებოდი, რომ დავბერდი. მეტისმეტად გავნაპირდი, ვპარსავდი, ვკრეჭდი ხალხს და კრინტს არ ვძრავდი.

ერთხელ, საპარიკმახეროს დახურვის წინ, მოსამსახურეთა ოთახში ხალათს რომ ვიხდიდი, ჩვენმა საპარიკმახეროს პატრონმა მითხრა:

- ლუიჯი, მოდით ამაღამ ყველამ ერთად ვივახშმოთ... ფულს მე ვიხდი... იოლემ და ჯუზეპემ ჯვარი დაიწერეს.

დარბაზში გავიხედე. იოლე თავის კუთხეში იჯდა მაგიდასთან და იღიმებოდა. ჯუზეპე მეორე კუთხეში იდგა და ისიც იღიმებოდა. უცებ შვება ვიგრძენი. ჯუზეპე ხომ ჩემზე უფროსია, შეუხედავიც არის. იოლემ კი ამატოს ამჯობინა. ხელგაშლილი მივვარდი ჯუზეპეს და გადავეხვიე:

- მოხარული ვარ, სულითა და გულით გილოცავ.

მერე იოლეს მივულოცე, იმასაცგადავეხვიე და ორივე ლოყადავუკოცნე.

ერთი სიტყვით, მთელ საპარიკმახეროში ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. მეორე დღეს კვირა იყო, სადილს შემდეგ სასეირნოდ გავედი.

ნელი ნაბიჯით რომ მივყვებოდი გზას, ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ არც ერთ ქალს არ ვუშვებდი უყურადღებოდ, ყველას სახეში ვაცქერდებოდი და მერე თვალს ვაყოლებდი.

კატერინა

თვრამეტი წლისამ შევირთე ცოლი. აბა რას ვიფიქრებდი მაშინ, თუ კატერინა ასე შეიცვლებოდა? არა, ყველაფერს წარმოვიდგენდი, ამას კი ვერა.

მიმზიდველი და სანდომიანი ქალი არ იყო კატერინა. სახის სწორი ნაკვთები კი ჰქონდა, მაგრამ გამომეტყველებას მოკლებული, სწორი, უფერული და გაცრეცილი. მის უფერულ სახეს მხოლოდ ალერსიანი თვალები თუ აშუქებდა. ვერც ტანით მოიწონებდა თავს, მაგრამ მე მაინც მომწონდა მისი სავსე გულ-მკერდი, მომრგვალებული თეძოები და პატარა გოგოსავით ნაზი ხელ-ფეხი. კატერინას მთავარი ღირსება სილამაზე კი არ იყო, მოკრძალებული ხასიათი გახლდათ და ვგონებ სწორედ ამ ხასიათის გამო შემიყვარდა.

ვინც იმ ხანებში კატერინას იცნობდა, ვერც კი წარმოიდგენდა რა საყვარელი ადამიანი იყო: დინჯი, კეთილი, ნარნარი, მისი მზერით ვერ გაძღებოდით, მისგან ვერც უკმეხ სიტყვას გაიგონებდით, ვერც წარბშეკრულს ნახავდით. ძალიან დამთმობი იყო, მენდობოდა და ანგარიშს მიწევდა ყველაფერში. ვიდრე საქმეს ხელს მოჰკიდებდა, ჯერ აუცილებლად მე შემომხედავდა, თითქოს ნებართვას მთხოვსო. ისეთი მომთმენი, ერთგული, გულადი და ალერსიანი ქვეყნად მეორე არ იქნებოდა. ხანდახან შემრცხვებოდა ხოლმე. ხშირად გამიფიქრია- არა, ასეთი ცოლის ღირსი არა ვარ-მეთქი. ჩვენს უბანში ყველა კარგად იცნობდა კატერინას, იცოდნენ რა კეთილი და სათნო იყო.

- ბედი ჰქონია შენს შვილს... ანგელოზი მოჰყავს ცოლად, - ეუბნებოდნენ მეზობლის ქალები დედაჩემს.

რამდენჯერ მინატრია, ნეტა ასეთი წყნარი, ასეთი მოკრძალებული არ იყოს ჩემი კატერინა-მეთქი და ხუმრობით ვკითხავდი ხოლმე:

- კატერინა, ნუთუ შენს ცხოვრებაში ერთხელ არ წამოგცდენია უკმეხი სიტყვა, ან უხეშად არავის მოქცეულხარ? თითქოს გულით მინდოდა, რომ კატერინა უხეში ყოფილიყო.

ქორწილი რომ გადავიხადეთ, დედასთან დავსახლდით, ჩინკუეს შესახვევში, სადაც საკუთარი სახლი მედგა. მე და კატერინა ზემო სართულზე დავბინავდით, ჩვენს ქვემოთ დედის ოთახები იყო, პირველ სართულზე კი მაკარონისა და ვერმიშელის მაღაზია გვქონდა. ერთ სახლში

ვმუშაობდით და ვცხოვრობდით. პირველი ორი წელი კატერინა ისეთივე ჩუმი და მოკრძალებული იყო, როგორც ჩვენი გაცნობის დღეებში, თითქმის უფრო მოკრძალებულიც, რადგან ვუყვარდი, ჩემი მადლიერი იყო, რომ შევირთე, მისთვის ვზრუნავდი, არაფერს ვაკლებდი, დედაჩემთანაც ისეთივე ალერსიანი იყო, როგორც ჩემთან, მარტო რომ დარჩებოდა, როცა იცოდა, რომ არავინ ხედავდა, მაშინაც არ იცვლებოდა კატერინა.

ხანდახან შუადღისას ავდიოდიმაღაზიიდან, ჩუმად, ფეხაკრეფით შევიპარებოდი სამზარეულოში, რომ კატერინას არ შევენიშნე და თვალს ვადევნებდი, როგორ

ფუსფუსებდა მარტოდმარტო. მოკლე ნაბიჯებით მიმოდიოდა სამზარეულოში, მშვიდად, აუჩქარებლად, კმაყოფილი სახით ამზადებდა კერძს, თითქოს ქურასთან კი არა, ეკლესიაში საკურთხევლის წინ დგასო.

მოულოდნელად რომ გამოვეცხადებოდი და გადავეხვეოდი, კატერინა ჯერ მაკოცებდა, მერე ღიმილით მეტყოდა, თავისი ნაზი, ოდნავ საცოდავი ხმით: ო, როგორ შემაშინე!

ჩვენი ცოლქმრობის ორი წლის შემდეგ გამოირკვა, რომ კატერინას შვილი არ უჩნდებოდა. ახლა ასე ერთბაშად და გადაწყვეტით ვამბობ, მაგრამ ამ დასკვნამდე უცებ როდი მივსულვართ. ჩვენ შვილი გვინდოდა და ამაოდ ველოდით. ჯერ გაუთავებლად ვმსჯელობდით ამაზე ოჯახში,

მერე მხნეობა მოვიკრიბეთ და ექიმებს მივმართეთ: ერთს, მეორეს, მესამეს, კატერინამ იმკურნალა. ეს მკურნალობა კარგა ძვირი დამიჯდა, მაგრამ ბოლოს დავრწმუნდით, რომ ყველაფერი ამაო იყო. „რა გაეწყობა, - გადავწყვიტე ჩემთვის, - ბრალს ვერავის დავდებთ. ეტყობა, ასეთი ბედი მქონია“.

ერთი პირობა თითქოს კატერინაც შეურიგდა ბედს, მაგრამ განა ადამიანი ყოველთვის ისე იქცევა, როგორც სურს? იქნებ კატერინას გულით სწადდა, შერიგებოდა უშვილობას, მაგრამ არ შეეძლო. ძალიან განიცდიდა ამ ამბავს და სწორედ ამის გამო გამოეცვალა ხასიათი.

უპირველეს ყოვლისა, სახეზე დაეტყო ცვლილება, ალერსიანი, თბილი გამოხედვა სადღაც უკვალოდ გაქრა და მის ადგილზე კუშტი გამომეტყველება აღებეჭდა. ტუჩის კუთხეები დაეშვა, ტუჩის ირგვლივ ორი წვრილი, ავი ნაოჭი გაუჩნდა და ხმა, უწინ მუსიკასავით რომ ჟღერდა, მკვეთრი და მჭახე გაუხდა. ვინ იცის, იქნებ ცდილობდა თავი შეეკავებია, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, გარეგნული ცვლილება აშკარად ავლენდა ხასიათის ცვლილებას. უწინდელი მოკრძალების კვალიც არსად დარჩა, მტრულმა გაბოროტებულმა განწყობილებამ შეცვალა მისი სიმშვიდე და სათნოება. ხანდახან უბრალო რამეზე ისეთ პასუხს მომახლიდა, რომ გაოცებით სული მეხუთებოდა: „ჩემთვის სულ ერთია, მოგწონს თუ არა,“ „თავს ნუ მაბეზრებ“, „ჯანდაბამდის გზა გქონია“, „დამეხსენ“.

პირველ ხანებში თითქოს თავიდანვე უკვირდა თავისი საქციელი, მერე კი ისე შეეჩვია, რომ სხვაგვარად აღარ ლაპარაკობდა. ჩვევად ექცა აგრეთვე კარის გაგულისებული გაჯახუნება და ყოველ გაჯახუნებაზე ისე მეჩვენებოდა, თითქოს სილა გამაწნესო. უწინ სხვადასხვანაირი საალერსო სიტყვებით რომ მომმართავდა, როგორც ყოველ შეყვარებულ ქალს სჩვევია: ჩემო ძვირფასო, საყვარელო, ოქროვ. ახლა რის ოქრო, რა ოქრო, მთელი დღე მხოლოდ ეს მესმოდა: ბრიყვო, რეგვენო, ხეპრე, გაუთლელო. ეს კიდევ არაფერი, ამაზე უარესებსაც მეუბნებოდა. შესიტყვებას ხომ სულ ვერ იტანდა და ვერა. პირის გაღებას ვერ მოვასწრებდი, რომ მომახლიდა.

- ხმა ჩაიწყვიტე, კრეტინო, არაფერი გესმის.

თუ საჩხუბარი მიზეზი არა ჰქონდა, სულ იმის ცდაში იყო, გამოვეწვიე, ისე გაიწაფა გულღვარძლიანობასა და ავსიტყვაობაში, ისეთ შეურაცხყოფას მაყენებდა ხანდახან,

რომ ბრაზი მომდიოდა, საიდან იგონებს ასე ეშმაკურად-მეთქი. როგორც იტყვიან, ყველაზე მტკივნეულ ადგილს მომიძებნიდა და მაშინ რამდენიც უნდა ჩამეგონებია ჩემი თავისთვის: „კრიჭა შეიკარ, კრინტი არ დაძრა, ვითომ შენთვის სულ ერთია“, მაინც გამომიყვანდა მოთმინებიდან. ხან ჩემს ოჯახზე ჩამოაგდებდა სიტყვას, მოჰყვებოდა ჩვენს აბუჩად აგდებას. მისი აზრით, ჩვენ ნაძირალები ვიყავით, ის კი სახელმწიფო მოხელის ქალიშვილი გახლდათ (მამამისი ერთი ბეჩავი გადამწერი იყო მუნიციპალიტეტში და მთელი სიცოცხლე შიმშილით სული სძვრებოდა),

ხან ჩემს გარეგნობას აიჩემებდა. ერთი თვალით ვერა ვხედავ, რაღაც შედედებული სისხლის მსგავსი ლაქა მაქვს გუგაზე, ჰოდა, როგორც კი ეს გაახსენდებოდა, გესლიანი ღიმილი გადაურბენდა ტუჩზე და ღმეჭვით მეტყოდა:

- არ მომეკარო... მეზიზღება შენი თვალი... ლაყე კვერცხს მიგიგავს.

ადამიანისთვის კი იმაზე ძნელი მოსათმენი არა არის რა, როცა ოჯახს უგინებენ, ან მის ფიზიკურ ნაკლს შეეხებიან. მეც მოთმინება გამომელეოდა ხოლმე და აყვირდებოდა, კატერინა უმალ ღვარძლიანი ღიმილით შემაწვეტინებდა:

- აი, ხედავ, როგორ ღრიალებ... შეუძლებელია შენთან ლაპარაკი. ღრიალის მეტი არა იცი რა... ერთი მიბრძანე, რა ჩემი გადასახადია შენ რომ უზრდელი ხარ!

რაღა უნდა მექნა, გიჟივით გავვარდებოდი სახლიდან და მარტოკა ვხეტიალობდი ტიბრის ნაპირზე, გაავებული და უბედური.

მიუხედავად ამისა, რომ კატერინა ასე მექცეოდა, მაინც ვერ შევიძულე. ასე განსაჯეთ, მეცოდებოდა კიდეც. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მისდა უნებურად იქცეოდა ასე,

რომ თვითონაც იტანჯებოდა ამით. კატერინას რაღაც ავადმყოფობა სტანჯავდა და ამიტომ კარგავდა თავგზას. ეს ტანჯვა განსაკუთრებით სიარულში და თვალების გამომეტყველებაზე ეტყობოდა. გამომეტყველება შეშფოთებული, ხარბი, გაბოროტებული გაუხდა, როგორც ნადირს, რომელიც რაღაცას ეძებს და ვერ პოულობს. კატერინას ხმაში, უხეშად რომ მეტყოდა რამეს, უბრალო გაღიზიანება და ანტიპატია კი არ ისმოდა, არა, ეს ხმა უფრო ნადირის ბრდღვინვას მოგაგონებდათ, ნადირისა, რომელიც იტანჯება, არ იცის რატომ და თავის ბოღმას იმას ანთხევს, ვისაც მის წინაშე არავითარი ბრალი არ აქვს.

ჩემი ეჭვი, რომ კატერინას უშვილობამ შეუცვალა ხასიათი, დედაჩემმაც დამიდასტურა.

ბავშვობისასო, - მითხრა ერთხელ კატერინას დედამ, როცა ჩემი უბედურება შევჩივლე, - კატერინას საყვარელი თამაში დედოფალას ნანაობა იყოო. შემდეგ თავის პატარა ძმებს უვლიდაო. როცა გაიზარდა და ფიზიკურად მომწიფდა ისე, როგორც ქალი, რომელსაც ბევრი შვილი უნდა ჰყავდეს, რომელიც ელის ამას, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა, თავისდა უნებურად დაჰკარგა ნებისყოფა და თავდაჭერის უნარი.

ასე გავატარეთ კიდევ ხუთი წელი. მაღაზიაში მუშტარი არ მაკლდა, ვაჭრობას არ ვუჩიოდი, მაგრამ მაინც უბედური ვიყავი. აბა რა სიცოცხლე იყო ჩემი სიცოცხლე.

აუტანელი ხდებოდა, ყვიროდა, ლანძღვა-გინების და შეურაცხყოფის მეტი არაფერი მესმოდა მისგან. უკვე აღარავინ ამბობდა, ანგელოზი შემოიყვანა შინო. ყველამ კარგად გაიგო, რომ ანგელოზის ნაცვლად როკაპი მეჯდა. საწყალი დედაჩემი ამაოდ მანუგეშებდა, მოითმინე, იქნებ ღმერთმა შვილი გაღირსოთ, მაშინ კატერინა ისევ ძველი კატერინა იქნება, სათნო და მოკრძალებულიო. მაგრამ ამის იმედი აღარ მქონდა, ვხედავდი, როგორი გაბოროტებული, კუშტი სახით ტრიალებდა შინ და ხანდახან შიში ამიტანდა, ეს ქალი ერთხელაც იქნებოდა მომკლავს, დამღრღნის, როგორც ძაღლმა იცის, თუ მორჩილების ჯაჭვს გაწყვეტს და თავის პატრონს ეცემა.

დრო მიდიოდა, ჩემს ტანჯვას ბოლო არ უჩანდა. გარე-გარე სიარულს მოვუხშირე, დავხეტიალობდი ტიბრის ნაპირზე, ჩავცქეროდი მდინარეს და სევდით გულდამძიმებული ვფიქრობდი: ჯერ სულ ახალგაზრდა ვარ, ოცდახუთი წლისა... ცხოვრება კი უკვე დავამთავრე, არავითარი იმედის შუქი გზას არ მინათებს... ვაგლახ, ასეთი ყოფილა ჩემი ხვედრი, ამ როკაპთან უნდა გავლიო ჩემი წუთისოფელი! კარგად ვიცოდი, რომ კატერინას ვერ დავშორდებოდი, მიყვარდა და მეცოდებოდა კიდეც, რადგან ჩემს მეტი პატრონი არ გააჩნდა, თან ისიც მესმოდა, თუ მასთან დავრჩეოდი, ჯოჯოხეთურ ტანჯვას ბოლო არ ექნებოდა.

სიცოცხლე აღარ მინდოდა, ისე ვიყავი გამწარებული.

ერთხელ, ღამით შინ ვბრუნდებოდი მწარე ფიქრებში წასული და ვერც შევნიშნე, როგორ ჩავყევი ბინძურ კიბეს ტიბრის ნაპირისკენ. წყალს რომ მივადექი, თავში გამიელვა, მორჩი, რაღას უყურებო. ხიდქვეშ მყუდრო ადგილი მოვნახე, პიჯაკი ავიხადე, დავკეცე, მიწაზე დავდე. მერე ორიოდ სიტყვა დავწერე ქაღალდზე: „თავს ვიკლავ ცოლის გამო“. ხელი მოვაწერე და ქაღალდი პიჯაკზე დავდე.

ზამთრის დამდეგი იყო. ადიდებული შავი ტიბრი შემზარავად მოაღელვებდა აქოჩრილ ტალღებს, თან მოჰქონდა ხის ტოტები, ნაგავი და ირგვლივ სიცივეს აფრქვევდა. ის იყო წყალში უნდა გადავმხტარიყავი, რომ უცებ შიშმა ამიტანა, ავტირდი, უკან დავიხიე, შევტრიალდი და სლუკუნით ავყევი კიბეს. კიბე რომ ავიარე, შინისკენ გავიქეცი. პირდაპირ საწოლ ოთახში შევვარდი, მძინარე კატერინას ხელი ვტაცე, გავაღვიძე და ვუბრძანე:

- აბა ადექი და წამომყევი.

კატერინამ შიშით კრინტი ვეღარ დაძრა, უსიტყვოდ წამოდგა, მაგრამ რომ გავედით, უთუოდ გაიფიქრა, მოკვლას მიპირებსო და გასხლტომა სცადა. მე კი მაგრა ჩავაფრინდი და ძალით წავათრიე. ბნელოდა, ირგვლივ ძე-ხორციელი არ ჭაჭანებდა, მივყვებოდით ტიბრის ნაპირს, წინ ის მიდიოდა, მე უკან, პერანგის ამარა ვიყავი. მივიყვანე ხიდქვეშ, პიჯაკი და წერილი ვუჩვენე.

- ხედავ, კატერინა, რა დღეში ჩამაგდე? იქამდე მიმიყვანე, რომ თავზე ხელის აღება გადავწყვიტე... მითხარი, რა მოგივიდა, რატომ გამოიცვალე ასე, შენ ხომ კეთილი იყავი, როგორ ჩაგიძვრა სულში ეშმაკი?

კატერინას ტირილი წასკდა, მომეხვია და შემომფიცა, ამას იქით თავს შევიკავებ და აღარ გაწყენინებო. მერე პიჯაკის ჩაცმა მიშველა და შინ დავრუნდით.

ეს ამბავი იმიტომ მოგიყევით, რომ იცოდეთ, რა დღეში ჩამაგდო კატერინას უხასიათობამ. მაგრამ, ვერც ამან გამოასწორა. პირიქით, რამდენიმე ხნის შემდეგ დაცინვა დამიწყო, იმ ღამეს ვაჟკაცობა არ გეყო, რომ თავი მოგეკლაო.

1943 წელი იყო. ბომბდამშენების პირველივე თავდასხმის შემდეგ, დედამ გამომიცხადა: დუქანი დავხუროთ და ქალაქიდან წავიდეთ ჩემს სოფელ ვალეკორსოშიო. ეს სოფელი ჩოჩარიის რაიონშია. კატერინა ხან დაგვყაბულდებოდა, ხან ცივ უარს გვეტყოდა, არ წამოვალო. პირდაპირ ჯვარს გვაცვა. ბოლოს მაინც დავითანხმეთ, როგორც იყო, და ერთი საბარგო მანქანით გავემგზავრეთ ველეკორსიოსაკენ. ის მანქანა ფქვილისა და პროდუქტების ჩამოსატანად მიდიოდა სოფელში.

ძარაში სკმაებზე დავსხედით და ჩვენი ჩემოდნები ფეხებთან დავიწყვეთ. მზე მწარედ იკბინებოდა. ფროზინონეს რომ გავცდით, მთები უკან მოვიტოვეთ, წინ მომკილი მინდვრები გადაგვეშალა. სიცხით მოთენთილს ისე იყო ჩამთვლიმა, რომ შოფერმა გაქანებული მანქანა ერთბაშად შეაჩერა და დაგვიყვირა:

- თვითმფრინავი... არიქა, თავს უშველეთ, აბა, ჩქარა, თხრილში!

თვითმფრინავი ჯერ არ ჩანდა, მაგრამ მოტორის გააფთრებული გუგუნი სადღაც სულ ახლოს გაისმოდა. შარაგზას არყის და რომელიღაც დიდი ხეების მწკრივი ჩასდევდა, სწორედ იმ ხეებიდან მოისმოდა მოტორის ხმა, თვითმფრინავი ხეებს იქით იყო.

- ჩქარა წამოდი, კატერინა, რაღას უყურებ! - ვუთხარი კატერინას. კატერინამ მხრები

  შეარხია და ნაღვლიანად მომიგო:

- არა, მე არ ჩამოვალ.

- ნუ ჯიუტობ, კატერინა! ჩამოდი, სიკვდილი მოგენატრა?

- ჩემთვის სულ ერთია.

უკვე გზაზე ვიდექი, კატერინას პასუხი რომ შემომესმა და მარდად ჩავხტი თხრილში. მაშინვე, თითქოს ცა ღრუბლებმა დაფარაო, გამოჩნდა თვითმფრინავი, მოტორის ჭახჭახი ჭექაქუხილივით აყრუებდა იქაურობას, საბარგო მანქანა შუა გზაზე იდგა და შიგ კატერინა იჯდა. ტყვიამფრქვევის ჯერმა მტვრის კორიანტელი დააყენა გზებზე და თვითმფრინავი ხეებს მიეფარა. თეთრი კალიასავით მიიწევდა ზევით, სიცხით გავარვარებული ცისკენ. საბარგო მანქანა კი ისევ იქ იდგა. მივიჭერი მანქანასთან, კატერინას დავუძახე. ხმა არ გამცა, მაშინვე ძარაზე ავხტი. კატერინა აღარ სუნთქავდა.

ოცდახუთი წლისა დავქვრივდი. თავისუფალი და ლაღი ცხოვრება, რომელზეც ვოცნებობდი ტიბრის ნაპირზე სეირნობისას, კვლავ დამიბრუნდა, მაგრამ აღარ მახარებდა, რადგან კატერინა მიყვარდა. დიდხანს ვდარდობდი და ვტიროდი კატერინას დაკარგვას. ხშირად ვფიქრობდი იმაზე, რომ კატერინა იტანჯებოდა, რაღაცას ესწრაფვოდა, რაღაცას ეძებდა, მაგრამ რას- თვითონაც არ იცოდა. რადგან ვერ

პოვა, რასაც ეძებდა, თავისდა უნებურად გაბოროტდა. არა, კატერინას ამაში ბრალი არ მიუძღვის. ბოლოს, იმ თავის საპოვნელას ნაცვლად სიკვდილი იპოვნა. ჩვენ ვერაფერი გავაწყვეთ. კატერინა შეიცვალა და დაიღუპა იმ მიზეზებით, რომლებიც მასზე არ იყო დამოკიდებული და იმავე მიზეზებით მე ჯერ ვდარდობდი, მერე თავი გავართვი ნაღველს. მოკრძალება, რისთვისაც მიყვარდა კატერინა და რაც ეგზომ ამშვენებდა. მან ძღვნად მიიღო ისევე, როგორც სიავე და ბოლოს სიკვდილიც.

სიტყვა „დედა“

რა არა ხდება ცხოვრებაში! ერთ საღამოს ტრატორიაში სტეფანინის შევხვდი, გამოველაპარაკეთ ერთმანეთს, მოვყევით ამ მთისა და იმ ბარისა. მერე სტეფანინის ვთხოვე, მოდი, ერთი ბარათი დამაწერინე-მეთქი. ეს ბარათი შიმშილით გადამღრძვალი, უმუშევარი კაცის სახელით უნდა დაიწეროს. ვითომ ამ უმუშევარს ავადმყოფი დედა აწევს კისერზე და გულისხმიერ ადამიანს სთხოვოს, გაჭირვებაში ხელი გამიმართეო.

სტეფანინიც ღატაკი იყო, დღენიადაგ ჯიბეგამოფხეკილი, მაგრამ გულს არ იტეხდა, როცა იქნება, ბედი მეც გამიღიმებსო. უნდა მოგახსენოთ, რომ სტეფანინის კალამი უჭრიდა. დროდადრო გაზეთში სტატიებს გზავნიდა და უსაქმურობის დროს, თუ მოიწადინებდა, ერთ წუთში ლექსსაც დაგიწერდათ. დაგიწერდათ, რა თემაზეც ინებებდით და მისი დაწერილი ლექსი ყოველმხრივ გამართული იყო. ჩემმა თხოვნამ დააინტერესა, მაშინვე მკითხა, რისთვის გინდა ასეთი ბარათიო. ვინ რა იცის, ცხოვრებაში ვის რა მოგველის, ერთ დროს იქნებ გამომადგეს ასეთი ბარათი. შენც კარგად იცი, რომ გაუნათლებელი კაცი ვარ, შენისთანა სწავლული ყოველთვის გვერდით ხომ არ მეყოლება, რომ გაჭირვების ჟამს მივმართო! სტეფანინი უფრო მეტად დაინტერესდა, დედა მართლა ავად გყავსო? - მკითხა. არა,

რამდენადაც ვიცი, დედაჩემი- სოფლის ბებია ქალი- ამჟამად კარგად გრძნობს თავს, მაგრამ, როგორც უკვე გითხარი, ყველაფერი მოსალოდნელია. სტეფანინი ისე ჩამაცივდა, იძულებული გავხდი, ყველაფერი დამეფქვა. ვუამბე, რომ წვრილი თაღლითობით გამაქვს თავი და ერთ-ერთ თაღლითობაში ეს წერილიც გამომადგებოდა. ჩემდა გასაოცრად, სრულიად არ ეხამუშა ეს ამბავი სტეფანინის. აბა, რიგზე მომიყევი, როგორ აპირებ ამ საქმის მოგვარებასო. რაკი, დავინახე, რომ თანაგრძნობით მომექცა, ყველაფერი გულწრფელად გადმოვულაგე. ამ წერილთან ერთად რაიმე ნივთს წავიღებ, ბრინჯაოს ქანდაკებას ან სურათს, ერთ-ერთ შეძლებულ კაცს მივადგები, წერილს მსახურს გადავცემ და დავუბარებ, რომ ერთი საათის შემდეგ შევივლი მოწყალებისათვის. ისეთ სახეს მივიღებ, თითქოს ნივთი მადლიერების გამოსახატავად მივართვი, ნამდვილად კი ამას სულ სხვა მოსაზრებით ვშვრები. ამით იმას მივაღწევ, რომ მოწყალებას უფრო უხვად მომცემენ. თავისთავად ცხადია, კეთილისმყოფელი ადამიანი არ იკადრებს იმაზე ნაკლები მოგცეს, ვიდრე შენგან მიიღო. აბა შენ იცი, როგორ დამიწერ წერილს, რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეში ხელი არ მომეცარება, - ვუთხარი სტეფანინის. ყოველ შემთხვევაში, იმის იმედი მაინც მაქვს, რომ პოლიციაში თავს არ მიკრავენ, რადგან საქმე პატარა თანხას ეხება და, გარდა ამისა, მგონია არავინ გაამხელს, ასე და ამგვარად გამასულელესო.

სიამოვნებით დაგიწერ წერილსო, თქვა სტეფანინიმ და ტრატორიის პატრონს ქაღალდი სთხოვა.

იცოდე, - გავაფრთხილე მე, - დედის ავადმყოფობასა და უმუშევრობაზე განსაკუთრებით გაამახვილე ყურადღება. არხეინად იყავი, მე მომანდე ეგ საქმეო, თქვა სტეფანინიმ და ავტოკალამი ამოიღო.

ერთ ხანს ცხვირაშვებული იჯდა და ფიქრობდა, მერე წერას შეუდგა. ისე დაამთავრა წერილი, ერთი შეცდომაც არ დაუშვია, არსად შეუსწორებია. ჩემს თვალს არ ვუჯერებდი, ისე გამაოცა ამ ამბავმა. უთუოდ ძალიან ესიამოვნა, რომ შევაქე, კალამი გიჭრის, ხელოვნების საიდუმლოებანი შესანიშნავად იცი-მეთქი და ამიტომ ასე მონდომებით დაწერა. წერილი რომ წავიკითხე, უფრო მეტად გამიკვირდა. შიმშილი, დედის ავადმყოფობა, უმუშევრობა ისე იყო აღწერილი, ისეთი გულწრფელი, თასმასავით მოქნილი სიტყვებით, რომ კინაღამ ცრემლი მომერია. მე ხომ კარგად ვიცოდი, რომ ყველაფერი მოგონილი იყო და მაინც გული ამიჩუყა წერილმა, ნამდვილი მწერლის ალღოთი წერდა, ხშირად ხმარობდა სიტყვა „დედას“. „ჩემი ძვირფასი დედა“. რადგან იცოდა, თუ რა მწვავედ ხვდება ყოველი ადამიანის გულს ეს სიტყვა. გარდა ამისა, სტეფანინიმ საუცხოოდ გაიგო ჩემი ფანდი ხელოვნების ნაწარმოებზე. წერილის ის ნაწილი, სადაც ამაზე მხოლოდ გაკვრით ლაპარაკობდა, პირდაპირ მარგალიტი იყო. ერთი სიტყივით, ანკესი ისე ოსტატურად გადააგდო, რომ თევზი უსათუოდ უნდა წამოგებოდა. გულახდილად რომ ვუთხარი, ნამდვილი შედევრია ეს წერილი-მეთქი, ღიმილით მიპასუხა: მართალი ხარ, მართლა ისე კარგადაა დაწერილი, რომ ერთი ეგზემპლარი ჩემთვის უნდა შევინახოო. მაშინვე გადაწერა

წერილი. მე კი მადლობა იმით გადავუხადე, რომ მისი ვახშმის ხარჯი გადავიხადე და მეგობრულად გამოვეთხოვეთ ერთმანეთს.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი განზრახვის განხორციელებას შევუდექი, ვიღაც ვექილი ახსენა, გვარად ძამპიკელი, ამ ვექილს შარშან დედა გარდაეცვალა, საშინლად განიცდის დედის დაკარგვას და ქველმოქმედება დაიწყო, ღარიბებს ეხმარება, რითაც შეუძლიაო. აი, ეს ძამპიკელი სწორედ ის კაცი იყო, მე რომ მჭირდებოდა, რადგან, გარდა იმისა, რომ სტეფანინის წერილი დამაჯერებლად და გულისამაჩუყებლად იყო დაწერილი, თვით ვექილიც თავისი სულიერი განწყობილებით შემზადებული იყო იმისთვის, რომ დაეჯერებია და თანაგრძნობა გაეწია გაჭირვებაში მყოფი კაცისათვის. ჰოდა, ერთ მშვენიერ დილას ავიღე ბრინჯაოს პატარა ქანდაკება, ეს გახლდათ ლომის ბოკვერი, რომელსაც თათი მარმარილოს ბურთზე ედო და ვექილ ძამპიკელისკენ გავუტიე.

პრატის უბანში ცხოვრობდა ვექილი, ძველი ბარის სიღრმეში ედგა პატარა სახლი. მივედი სადარბაზო კართან, დავრეკე ზარი და მსახური გამოჩნდა თუ არა, აჩქარებით მივახალე:

- გთხოვთ, ეს ნივთი და წერილი ვექილს გადასცეთ. უთხარით, ძალიან საჩქარო საქმეათქო. მე ერთი საათის შემდეგ შემოვივლი.

ქანდაკება და წერილი მსახურ ქალს შევაჩეჩე და ჭიშკრისაკენ წავედი.

ერთი საათი პრატის მიყრუებულ ქუჩაში დავხეტიალობდი. თან ვფიქრობდი, რა უნდა მეთქვა ვექილთან შეხვედრისას. კარგ გუნებაზე ვიყავი და მჯეროდა, რომ არ დავიბნეოდი და საჭირო სიტყვებს ადვილად გამოვნახავდი. გავიდა საათი, ისევ ვექილის სახლს მივადექი და ზარი დავრეკე. რატომღაც მეგონა, რომ დაახლოებით ჩემი ხნის ახალგაზრდას შევხვდებოდი, მაგრამ მოლოდინი არ გამიმართლდა. ჩემ წინ

ორმოცდაათი წლის კაცი იდგა, წითელი, შეშუპებული სახე ჰქონდა, მელოტი იყო, დაწითლებული თვალები ეცრემლებოდა, სენბერნარს ჰგავდა. ალბათ, ცხონებული დედამისი კაი ოთხმოცი წლის იქნებოდა. მართლაც, საწერ მაგიდაზე იდგა ჩარჩოში ჩასმული სურათი. დედაბერს სახე დანაოჭებული ჰქონდა, მთლად ჭაღარა იყო. ვექილ ძამპიკელს ზოლიანი აბრეშუმის პიჟამო ეცვა, საყელო გადაღეღილი ჰქონდა. ქაღალდებდახერგილ, საწერ მაგიდას უჯდა და წვერი მკერდამდე სცემდა. ფართო კაბინეტში, კედლებზე გაკეთებული თაროები თითქმის ჭერამდე იყო სავსე წიგნებით. ვექილი ისე შემხვდა, როგორც უთუოდ თავის კლიენტებს ხვდებოდა. სევდიანი ხმით შემომთავაზა, დაბრძანდითო, მერე თავზე ხელები მოიჭირა, თითქს აზრის მოკრებას ცდილობსო, და ბოლოს დაიწყო:

- მივიღე თქვენი წერილი... ძალიან ამაღელვებელი წერილია. გულში მადლობა

ვუთხარი სტეფანინის და ვექილს მივმართე:

- სინიორ ვექილო, ეს გულწრფელი წერილია... ამიტომაცაა ამაღელვებელი... პირდაპირ გულიდან გადმოღვრილი ამბავია.

- მე მაინც ერთი რამ მაინტერესებს. რაღა სწორედ მე მომმართეთ?

- სინიორ ვექილო, სრულ სიმართლეს მოგახსენებთ: მე გავიგე, რომ თქვენ დაჰკარგეთ საყვარელი ადამიანი, - ვექილი თვალებმილულული მისმენდა, და ვიფიქრე, ვინც ასე მწვავედ განიცდის დედის დაკარგვას, ადვილად გაიგებს სხვის გულისტკივილს, იმ ადამიანის გულისტკივილს, რომელსაც დედა უკვდება, დღითიდღე მის თვალწინ დნება და შვილი მშობელს ვერაფრით შველის.

ამ სიტყვებზე, რომელნიც აღელვებით წარმოვთქვი, რადგან როლში შევედი, ვექილმა რამდენჯერმე ისე გაკვირვებით დამიქნია თავი, თითქოს მეუბნებოდა, მესმის თქვენი მდგომარეობაო, მერე თვალი გამიყარა და მკითხა:

- უმუშევარი ხართ?

- უმუშევარი? ჰმ, მთლად გადამიწყდა იმედი. სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. ერთი

დაწესებულება არ დამიტოვებია, სინიორ ვექილო, რომ კარი არ ამეტალახებინოს, მაგრამ ამაოდ, სამუშაო ვერსად ვიშოვე... ახლა აღარ ვიცი, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე.

გატაცებით ვლაპარაკობდი. ვექილმა ისევ შემოიჭირა თავზე ხელები, ერთ ხანს ასე იჯდა მდუმარედ, მერე მკითხა:

- დედათქვენს რაღა დაემართა?

- აი, აქ სტკივა, სინიორ ვექილო, - ვთქვი და უფრო მეტი შთაბეჭდილება რომ მოეხდინა, ღრმად დამწუხრებული სახით თითი გულში ვიტაკე.

- ეს ნივთი... აი, ეს ბრინჯაო ამ კითხვაზეც პასუხი მზად მქონდა:

- სინიორ ვექილო! მართალია, ღარიბი ხალხი ვართ, ღატაკები, მაგრამ უწინ ასე როდი ვიყავით... ეჰ, ოდესღაც ჩვენც გვქონდა შეძლება... მამაჩემი!

- მამაჩემი?

- დიახ, მამა. განა ასე არ ამბობენ?

- კი, - მიპასუხა ვექილმა და ისევ მოიჭირა საფეთქლებზე ხელი. - სწორედ ასე ამბობენ - მამა. განაგრძეთ.

- მამა ვაჭარი გახლდათ, ფართლეულის დუქანი გვქონდა. ოჯახში არა გვაკლდა რა, მაგრამ მერე ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა და ზედიზედ გავიტანეთ სახლიდან, რაც გაგვაჩნდა. სინიორ ვექილო, ეს ქანდაკება... მამას საწერ მაგიდაზე ედგა.

- მამას?

ისევ უხერხულად ვიგრძენი თავი და არ ვიცი სიტყვა რატომ გადავასხვაფერე.

- დიახ, მშობელს... ერთი სიტყვით, ამის მეტი არა დაგვრჩა რა. მაგრამ, სინიორ ვექილო, ეს ნივთი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი უღრმესი მადლიერების გამოსახატავად მოგართვით. მადლობას გწირავთ ყველა იმისათვის, რასაც მიწყალობებთ.

- დიახ, დიახ, დიახ, - სამჯერ გაიმეორა ვექილმა, თან საფეთქლებზე ისე იჭერდა ხელებს, გეგონებოდათ, ამით ადასტურებს, ყველაფერი გასაგებიაო.

კარგა ხანს იჯდა ასე თავდახრილი და დუმდა. მერე, თითქოს ეს არის ახლა გამოერკვიაო, მკითხა:

- რამდენ „დ“-ს წერთ სიტყვა „დედაში“?

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. გავიფიქრე, ალბათ სტეფანინის წერილის გადაწერისას დავუშვი შეცდომა-მეთქი და შეეჭვებით ვუთხარი:

- ორ „დ“-ს, ერთს თავში, მეორეს შუაში. ვექილმა ამოიხვნეშა და ტანჯული ადამიანის

ხმით მითხრა:

- იცით რას გეტყვით? სწორედ ამ „დ“ -ს გამო, ეს სიტყვა საშინლად არ მესიამოვნება.

დედის დაკარგვამ ხომ არ გააგიჟა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მაინც ვუთხარი:

- ისე კი ამბობენ... ბავშვები პირველად ამ სიტყვას სწავლობენ. გაიზრდებიან და მთელი ცხოვრების მანძილზე, ვიდრე დედა ცოცხალი ჰყავთ... მას შემდეგაც...

- დიახ, ასეა, მაგრამ, - უცებ დაიყვირა ვექილმა და ისე დაჰკრა მუშტი მაგიდას, რომ შევხტი, - სწორედ იმის გამო, რომ ამ სიტყვაში ამდენი „დ“ არის, არ მესიამოვნება, საშინლად არ მესიამოვნება... გესმით, ლოპრესტო?.. საშინლად არ მესიამოვნება...

- კი მაგრამ, სინიორ ვექილო, მე რა შემიძლია? - ჩავიბურტყუნე განცვიფრებულმა.

- ვიცი, - განაგრძო უკვე ჩვეულებრივი ხმით ვექილმა და ისევ მოიჭირა საფეთქლებზე ხელი, ვიცი, რომ ამბობენ წერენ „დედა“, ისევე, როგორც ამბობენ და წერენ „მამა“. თვით ჩვენი დანტეც ასე ამბობდა... წაგიკითხავთ რაიმე დანტესი, ლოპრესტო?

- დიახ, სინიორ ვექილო, ზოგი რამ წამიკითხავს.

- მიუხედავად იმისა, რომ დანტეც ასე ამბობდა. ეს ორი სიტყვა მაინც არ მესიამოვნება, - განაგრძო ვექილმა, - და სიტყვა „დედა“ უფრო მეხამუშება, ვიდრე „მამა“.

კრინტი ვერ დავძარი, არ ვიცოდი რა მეთქვა. კარგა ხნის დუმილის შემდეგ მაინც მოვიკრიბე გამბედაობა და ჩავიბურტყუნე:

- სინიორ ვექილო, კარგად მესმის, რატომ გიმძიმთ სიტყვა „დედის“ გაგონება. თქვენ დიდი უბედურება დაგატყდათ თავს... მაგრამ ცოტა თანაგრძნობა რომ გამიწიოთ... ყოველ ჩვენგანს ჰყავს დედ... მე მინდოდა მეთქვა, მშობელი.

- დიახ, ასეა. ყოველ ჩვენგანს... - ჩაილაპარაკა ვექილმა ძამპიკელიმ.

ისევ ჩამოვარდა დუმილი. მერე ვექილმა ჩემი ბოძებული ქანდაკება მაგიდიდან აიღო და გამომიწოდა:

- აიღეთ, ლოპრესტო, თქვენი ბრინჯაო.

ქანდაკება ჩამოვართვი და წამოვდექი. ვექილმა საფულე ამოიღო, ამოიოხრა, ათასლირიანი ქაღალდი ამოაძვრინა და ამ სიტყვებით გამომიწოდა:

- კარგი ყმაწვილი ხართ, ლოპრესტო... უნდა იმუშაოთ... გირჩევთ რამე საქმეს მოჰკიდოთ ხელი, თორემ ასე, ადვილი შესაძლებელია, კატორღაში ამოჰყოთ თავი. აი, ათასი ლირი. ცოცხალმკვდარმა ჩამოვართვი ფული და გამოვბრუნდი. ვექილმა კარამდე მიმაცილა და უკვე ზღურბლზე მდგარს მკითხა:

- ჰო, ლოპრესტო, ძმა ხომ არა გყავთ?

- არა, სინიორ ვექილო...

- იცით რა, ამ ორი დღის წინათ ჩემთან მოვიდა ერთი სუბიექტი, ასეთივე წერილით, თქვენ რომ გადმომეცით... ავადმყოფი დედა... სიღატაკე, უმუშევრობა, სიტყვასიტყვით იგივე ეწერა... იმ სუბიექტმაც მოიტანა ქანდაკება, მართალია, ლომი არ იყო, მაგრამ არწივი გახლდათ... რადგან თქვენი წერილები ზუსტად ერთნაირია, გავიფიქრე, თქვენი ძმა ხომ არ იყო-მეთქი. თავი ვეღარ შევიკავე და წამოვიძახე:

- დაბალ-დაბალი:·ჭაბუკი ხომ არ იყო?.. შავგვრემანი, თვალმოციმციმე?

- დიახ, სწორედ ასეთი გახლდათ.

ამ სიტყვებზე ხელი წამკრა და კაბინეტიდან გამომაპანღურა. თვალის დახამხამებაში ბაღში გავჩნდი. ჩემი ბრინჯაოს ლომი მკერდზე მიკრული მქონდა.

მიხვდით? სტეფანინიმ დამასწრო. ჩემზე ადრე გამოიყენა წერილი. საშინლად აღვშფოთდი. არა, ჩემისთანა ღატაკი თუ ჩაიდენს ასეთ რამეს, კიდევ ჰო, მაგრამ სტეფანინიმ როგორ იკადრა? პოეტმა, ჟურნალისტმა?! რა ვუყოთ, რომ დიდი ბედუკუღმართია, იმდენი წიგნები ტყუილად ჰქონდა წაკითხული? ფრანგული ენაც კი იცის! დიახ, დიდ უაზრობად მეჩვენა ეს ამბავი. ეშმაკმა წაგიღოს, თუ შენ სტეფანინი

გქვია, ზოგიერთი რამ არ გეპატიება. მაგრამ უთუოდ პატივმოყვარეობამ ჩაადენინა ეს სტეფანინის. ეტყობოდა გული დაწყდა, ეს საუცხოო წერილი ტყუილუბრალოდ რად უნდა დაიკარგოსო, ადგა და ჩემზე ადრე ეწვია ვექილ ძამპიკელს.

მარიო

დილით ადრე ავდექი, ფილომენას ჯერ კიდევ ეძინა, ხელსაწყოები ავიღე, ფეხაკრეფით გამოვედი შინიდან და მონტე პარიოლში წავედი, ვია გრამშიზე, იქ აბაზანა უნდა შემეკეთებინა. რა დრო მოუნდებოდა ამ სამუშაოს? სულ ორი საათი: ძველი მილი უნდა მომეხსნა და ახალი ჩამედგა. საქმეს რომ მოვრჩი, ჯერ ავტობუსით ვიმგზავრე, შემდეგ ტრამვაიში გადავჯექი და ვია დეი კორონაზე დავბრუნდი, სადაც ვცხოვრობ, ჩვენი სახელოსნოც იქვეა. ახლა დრო იანგარიშეთ: ორი საათი მონტეპარიოლში, ნახევარი საათი იქით წასვლა, ნახევარი საათი უკან დაბრუნება, სულ სამი საათი. რა არის სამი საათი ბევრიც არის და ცოტაც. ყველაფერი გარემოებაზეა დამოკიდებული. მე სამი საათი მოვანდომე მილის გამოცვლას, სხვები კი ამ დროს...

მაგრამ ჯობია დალაგებით გიამბოთ. ის იყო ვია დეი კორონარიზე გამოვედი და გზას დავადექი, რომ ვიღაცამ დამიძახა. მოვტრიალდი. ეს დედაბერი ფედე გახლდათ, ჩვენი სახლის პირდაპირ რომ ცხოვრობს და ოთახებს აქირავებს. იმ საცოდავ ფედეს ნიკრისის ქარისგან ფეხები ისე აქვს დასიებული, რომ სპილოს ფეხებს მიუგავს.

- უჰ, რა ძლიერი ქარია დღეს... შინ მიდიხარ? ნუ დაიზარებ და სახლამდე მიმიტანე კალათი, - მითხრა აქოშინებულმა ფედემ.

- სიამოვნებით წამოგიღებთ კალათს, - ვუთხარი ფედეს, ხელსაწყოებიანი ჩანთა მეორე მხარზე გადავიკიდე და კალათი ჩამოვართვი. გავუდექი გზას. ფედე ქოშინებდა და ძლივს მოათრევდა დასიებულ ფეხებს. ცოტა რომ გავიარეთ, ფედემ მკითხა:

- შენი ცოლი ფილომენა სადაა?

- სად იქნება? შინ არის, - მივუგე.

- ჰოო, შინაა, - თავის ქნევით ჩაილაპარაკა ფედემ, - გასაგებია.

- რა არის „გასაგები“? - ვკითხე მხოლოდ იმისათვის, რომ საუბარი გამეგრძელებია.

- გასაგებია... ვაი შე საბრალო, მეცოდები სწორედ!

არ მომეწონა ფედეს კილო, რაღაც საეჭვოდ მომეჩვენა, გულმა ავი მიაზრა. ცოტა კიდევ რომ გავიარეთ, ისევ ვკითხე:

- ვითომ რა მჭირს შესაბრალი?

- ალბათ გჭირს, რახან გეუბნები! - მომიგდო კუდიანმა დედაბერმა და თვალი ამარიდა.

- როგორ გავიგო ეს სიტყვა?

- როგორ და ისე, რომ დროება გამოიცვალა. ქალები ისეთები აღარ არიან, ძველად რომ იყვნენ, ჩემს დროს.

- ვითომ რატომაო?

- ჩემს დროს კაცი ცოლს გულდამშვიდებული ტოვებდა შინ. როგორსაც დატოვებდა, ისეთი დახვდებოდა. ახლა კი...

- ახლა?

- ახლა ისე აღარაა... კარგი, კმარა... მომეცი კალათი. გმადლობთ.

ამ საამური დილის მთელი სიამოვნება ჩამშხამდა. კალათი ჩემკენ გამოვწიე და ფედეს ვუთხარი:

- არა, არ მოგცემთ, სანამ არ ამისხნით... რა შუაშია აქ ჩემი ცოლი ფილომენა?

- მე არაფერი არ ვიცი, - მიპასუხა ფედემ, - მაგრამ ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო.

- ბოლოს და ბოლოს, რა ჩაიდინა ასეთი ფილომენამ? - დავიყვირე მოთმინებადაკარგულმა.

- ადალჯიზას ჰკითხე, - მიპასუხა ფედემ, კალათი გამომგლიჯა და ისე ცქვიტად გატუსტუსდა თავისი გრძელი კაბით გამოწყობილი, რომ სახტად დავრჩი.

უცებ გადავწყვიტე, სახელოსნოში აღარ წავალ-მეთქი, უკან გამოვბრუნდი და ადალჯიზას საძებრად გავეშურე. საბედნიეროდ, ისიც ვია დეი კორონარიზე ცხოვრობს. სანამ ფილომენას გავიცნობდი, მე და ადალჯიზა დანიშნულები ვიყავით, მაგრამ ერთმანეთს დავშორდით. ადალჯიზა აღარ გათხოვდა და მე ეჭვი შემეპარა, მთელი ეს ისტორია ფელომენაზე ადალჯიზამ ხომ არ შეთხზა-მეთქი. ავედი მეოთხე სართულზე და მუშტი დავუშინე ადალჯიზას კარს. ადალჯიზამ კარი რომ გამოაღო, ჩემი მუშტი კინაღამ სახეში მოხვდა. სახელოები დაეკაპიწებია, ხელში ცოცხი ეჭირა, ეტყობოდა, სახლს ალაგებდა.

- რა გინდა, ჯინო? - მკითხა ცივად.

ადალჯიზა საშუალო ტანის სანდომიანი ქალიშვილია, ორონდ ცოტა თავი აქვს დიდი და ნიკაპი ძალზე წინ წამოწეულ. ამ ნიკაპის გამო მეტსახელად „ტკაცუნა ხოჭო“ შეარქვეს. ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ამ მეტსახელით ადალჯიზასათვის მიმართვა არ ივარგებდა. მე კი ბრაზით სწორედ ასე მივახალე:

- ტკაცუნა ხოჭოვ, შენ მოჭორე, თითქოს ფილომენა, ღმერთმა უწყის, რას არ აკეთებს შინ, როცა მე სახელოსნოში ვარ?

- შენ ფილომენა გინდოდა და კიდევაც გყავს, - წამოიძახა გაცეცხლებულმა ადალჯიზამ.

ერთი ნაბიჯი წინ წავდგი, ხელში ხელი ვტაცე, მაგრამ უმალ გავუშვი, რადგან ადალჯიზამ როგორღაც ნაზად შემომხედა.

- მაშ ყველაფერი შენ მოიგონე?

- არა, მე არაფერი არ მომიგონია... როგორც მომყიდეს, ისე გავყიდე.

- შენ ვინღა გითხრა?

- ჯანინამ. უსიტყვოდ შემოვბრუნდი, მაგრამ ადალჯიზამ ხელი მტაცა და გამომწვევად მითხრა:

- იცოდე, მეორედ აღარ დამიძახო ტკაცუნა ხოჭო, თორემ...

- რაო, რადა გწყინს, განა ტკაცუნა ხოჭოს არ მიგიგავს ნიკაპი? - ვუთხარი, ხელი გამოვგლიჯე და კიბეზე დავეშვი. ადალჯიზა მოაჯირზე გადმოიხარა და მომაძახა:

- სჯობს ტკაცუნა ხოჭოს ჰგავდე, ვიდრე ბურჩხა-ბურჩხა რქები გედგას თავზე.

ამან სულ მომწამლა. ვერა, ვერაფრით ვერ წარმომედგინა ფილომენას ღალატი. მთელი სამი წლის მანძილზე, რაც ისე ჩემი ცოლი გახდა, მისგან ალერსისა და სინაზის გარდა არა მახსოვდა რა. მაგრამ დახეთ, რა არის ეჭვი: ფედესა და ადალჯიზასთან ლაპარაკის შემდეგ სწორედ ეს ალერსიანი მოპყრობა მეჩვენებოდა ღალატის დამამტკიცებელ საბუთად.

ჯანინაც აქვრ, ჩვენს ვია დეი კორონარიზე მოლარედ მუშაობს სასაუზმეში. ერთი შეუხედავი ქალიშვილია, ქერა, გადაგლესილი თმა და ცისფერი, უსიცოცხლო თვალები აქვს, თანაც მეტად მშვიდი და გონიერია. სალაროსთან მივედი.

- ერთი მითხარი, შენ მოიგონე, თითქოს ფილომენა ჩემი შინ არყოფნისას უცხო კაცებთან დროს ატარებს? - ვუჩურჩულე ჯანინას.

იმ წუთში ჯანინა მუშტარს ემსახურებოდა, დინჯად აკაკუნებდა თითს სალაროს კლავიშებზე, ჩეკი ამოაგდო, გაიმეორა შეკვეთა „ორი ყავა“, და მშვიდად მკითხა:

- რაო ჯინო რა მითხარი? მე გავუმეორე კითხვა. ჯანინამ მუშტარს ხურდა მისცა და მიპასუხა.

- რას ამბობ, ჯინო, როგორ მოვუგონებდი ასეთ ამბავს ფილომენას, ჩემს საუკეთესო მეგობარს?

- მაშ ადალჯიზას დასიზმრებია.

- არა, არ დასიზმრებია... მაგრამ ეს მე არ მომიგონებია, მე მხოლოდ გავიმეორე.

- კაი დაგემართოს, კარგი ამხანაგი შენ ყოფილხარ.

- აკი დავუმატე, არა მჯერა-მეთქი. ეს, რა თქმა უნდა, აღარ გითხრა ადალჯიზამ, - შენ ვინღა მოგიჩმახა ეს ამბავი?

- ვიჩენტინამ... ვიჩენტინა სამრეცხაოდან მხოლოდ ამ ჭორის სათქმელად მოვიდა ჩემთან.

არც კი გამოვემშვიდობე ჯანინას, ისე გამოვედი სასაუზმედან და პირდაპირ სამრეცხაოსკენ გავეშურე. ქუჩიდანვე დავინახე ვიჩენტინა. მაგიდასთან იდგა, აუთოებდა, ორივე ხელით აწვებოდა უთოს. ვიჩენტინა მინიატურული ქალიშვილია, ცბიერი სახე კატას მიუგავს, შავგვრემანია, ძალზე ცოცხალი. მე ვიცი, ვიჩენტინას

მოვწონვარ და, მართლაც, ვერც კი მოვასწარი თითის დაქნევა, რომვიჩენტინამ უთოს ხელი უშვა და გარეთ გამოვარდა.

- ოჰ, ჯინო, როგორ გამეხარდა შენი ნახვა.

- კუდიანო, რატომ ატარტალებ ენას, თითქოს ფილომენას საყვარლები მოსდის, როცა მე სახელოსნოში ვარ? ვიჩენტინამ წინსაფრის ჯიბეში ჩაიყო ხელები, ირწეოდა, თან დაცინვით მკითხა:

- რაო, არ მოგეწონა ეს ამბავი?

- მიპასუხე, შენ მოიგონე ეს სისულელე?

- ოჰ, რა ეჭვიანი ყოფილხარ! - მომიგო ვიჩენტინამ და მხრები აიჩეჩა, - განა ისეთი რა არის აქ?

- მაშ, შენ მოიგონე ყველაფერი, შენ?

- იცი, რას გეტყვი, მეცოდები, - მითხრა იმ გველმა, - ნეტა იმ შენ ცოლთან რა მესაქმება? არაფერი არ მომიგონია, ყველაფერი ანეზემ მითხრა, ანეზემ მისი სახელიც კი იცის.

- რა ჰქვია?

- ეს უკვე ანეზეს ჰკითხე.

ახლა კი დავრწმუნდი, რომ ფილომენა მღალატობდა, სახელიც კი სცოდნიათ მისი საყვარლის. კიდევ კარგი, ჩანთაში ერთი მძიმე ხელსაწყოც არ მედო, თორემ ცხელ გულზე იქნებ მომეკლა

კიდეც ფილომენა. არა, ვერაფრით ვერ შევეგუებოდი იმ აზრს, რომ ფილომენა, ჩემი ცოლი - სხვასთან...

ანეზეს მამის თამბაქოს სავაჭრო დუქანში შევედი, მისი ქალიშვილი იქ სიგარეტებს ჰყიდდა. დახლზ ეფული დავუგდე და ვუთხარი:

- ორი კოლოფი „ნაციონალური“.

ანეზე ჩვიდმეტი წლის გოგონაა, თმახუჭუჭა, ფერმკრთალ სახეზე ყოველთვის ვარდისფერ პუდრს ისვამს, თვალები კი წყავის მარცვალივით შავი აქვს. ვია დეი კორონარიზე ყველა იცნობს ანეზეს. მეც, როგორც ყველა სხვამ, კარგად ვიცი, რომ ანეზე ძალზე ხარბია, ფულზე სულს გაჰყიდის. სიგარეტები რომ მომაწოდა, მისკენ დავიხარე და ვუჩურჩულე:

- აბა ერთი მითხარი მისი სახელი?

- ვისი? - გაკვირვებით მკითხა ანეზემ.

- ვისი და ჩემი ცოლის საყვარლისა...

ეტყობა იმ წუთში საზიზღარი სახე მქონდა, რადგან ანეზემ შეშფოთებით შემომხედა და მიპასუხა.

- მე არაფერი ვიცი.

- მითხარი, ანეზე, სულ ერთია, ყველამ იცის, - ვთხოვე ნაძალადევიღიმილით. ანეზე

  დაჟინებით მომაჩერდა და თავი გადააქნია.

- თუ მეტყვი, იცოდე, აი ამას მიიღებ, - ათასი ლირი ამოვიღე, დღეს დილით რომ მომცეს აბაზანის შეკეთებაში.

ფულის დანახვაზე ანეზე ისე აღელდა, თითქოს სიყვარულს ვეფიცებოდი. ტუჩები აუთრთოლდა, მიიხედ-მოიხედა, ხელი სტაცა ფულს და ჩუმად ჩაილაპარაკა:

- მარიოს ეძახიან...

- ვინ გითხრა?

- თქვენმა მეკარემ.

მაშ მართალი ყოფია. დუქნიდან გამოვვარდი და შინისაკენ გავუტიე. მე ხომ იქვე ახლოს ვცხოვრობ, რამდენიმე სახლის იქით, მივრბოდი და ვიმეორებდი: „მარიო, მარიო“. ყველა მარიო, ვისაც კი ვიცნობდი, თვალწინ დამიდგა: მარიო - მერძევე, მარიო - დურგალი, მარიო - ხილის მოვაჭრე, მარიო - ნასალდათარი, ახლა უმუშევარი რომაა, მარიო - მეძეხვეს შვილი, მარიო, მარიო, მარიო. რომში უთუოდ მილიონი მარიოა. ვია დეი კორონარიზე ასი მაინც იქნება. შევვარდი ჩვენს ეზოში და უმალ მეკარის ოთახში ამოვყავი თავი. ჩვენი მეკარე ქალი მოხუცია, ფედესავით ულვაშიანი. შევხედე, მიმჯდარა გახურებულ ტაფასთან და ვარდკაჭაჭას ფესვებს ხალავს ყავისთვის, ჯიქურ მივეჭერი:

- ერთი მითხარით, ეს თქვენ მოუგონეთ ფელომენას, რომ ჩემი შინ არყოფნისას ვიღაც მარიო მოდის მასთან?

- არავის არაფერი მოუგონია. შენმა ცოლმა თვითონ მითხრა.

- ფილომენამ?!

- დიახ... ფილომენამ მითხრა, ასეთი და ასეთი ვაჟი მოვა, მარიო ჰქვია, თუ ჯინო არ იქნება შინ, მაშინ ამოვიდესო... ახლაც თქვენთანა ზის.

- ჩვენთან?

- დიახ... ერთი საათია, რაც მოვიდა.

მაშ, მარიო არათუ არსებობს ამქვეყნად, არამედ უკვე ერთი საათია ჩემს სახლში ზის, ფილომენასთან ერთად. თავქუდმოგლეჯილი ავვარდი კიბეზე, ავიჭერი მესამე სართულზე და დავაბრახუნე. კარი ფილომენამ გამიღო. უმალ შევნიშნე, რომ ყოველთვის მშვიდი ფილომენა ახლა შეშფოთებული იყო.

- აჰა, რა კარგად მოგიწყვია საქმე, თურმე როცა შინ არა ვარ, მარიო მოგდის სახლში.

- მერე რა... - დაიწყო ფილომენამ.

- ყველაფერი ვიცი! - დავიღრიალე და ოთახში შესვლა დავაპირე, მაგრამ ფილომენამ გზა გადამიღობა.

- კარგი ერთი, რა დიდი რამაა. მოგვიანებით მოდი.

ამის გაგონებაზე თვალთ დამიბნელდა, ფილომენას სილა გავაწანიდა დავიღრიალე:

- რაო, რა დიდი რამააო? - ხელი ვკარი და სამზარეულოში შევვარდი.

აი თქვენ კი ამოწყდით, ავყია დედაკაცებო, და ქვეყნის პირიდან აღიგავეთ თქვენი ჭორებიანად. მაგიდასთან მართლაც მარიო იჯდა და ყავას შეექცეოდა. ოღონდ ეს არ გახლდათ არც მარიო - დურგალი, არც მარიო - ხილის მოვაჭრე, არც მარიო - მეძეხვეს შვილი, არამედ მარიო- ფილომენას ძმა, რომელიც ორი წელი საპყრობილეში იჯდა ქურდობისათვის. მე ვიცოდი, რომ მარიო ციხიდან მალე უნდა გამოსულიყო და ფილომენას გამოვუცხადე: იცოდე, ჩემს ოჯახში არ დავინახო შენი ძმა... ლაპარაკიც არ მინდა იმაზე... საბრალო ფილომენას, კი მიუხედავად იმისა, რომ მარიო ქურდბაცაცა იყო, მაიც უყვარდა და ამიტომ დაიბარა იმ დროს, როცა მე შინ არ ვიყავი. როგორც კი დამინახა მარიომ, უმალ წამოხტა.

- გამარჯობა, მარიო, - ვუთხარი სულშეგუბებულმა.

- ახლავე წავალ, - დაიწყო მარიომ აჩქარებით, - ნუ ღელავ. წავალ, რა მოხდა, ჭირიანი ხომ არა ვარ?

მესმოდა როგორ სლუკუნებდა დერეფანში ფილომენა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა დარცხვენით ვუთხარი მარიოს:

- არა, დარჩი... დარჩი მთელი დღით... ვისაუზმოთ... ასე აჯობებს არა, ფელომენა? - მივუბრუნდი ცოლს, რომელიც ზღურბლთან იდგა და ცრემლს იწმენდდა, - ასე აჯობებს, დარჩეს მარიო და ერთად ვისაუზმოთ.

ერთი სიტყვით, როგორც კი შემეძლო, ისე გამოვასწორე საქმე, საწოლ ოთახში შევედი, ფილომენას დავუძახე, ვაკოცე და შევრიგდით. ახლა ჭორისთვის უნდა მოგვეღო ბოლო. ვიფიქრე, ვიფიქრე და მარიოს ვუთხარი:

- აბა წამოდი ჩემთან ერთად სახელოსნოში, იქნებ პატრონმა რამე სამუშაო გამოგინახოს. მარიო წამომყვა, კიბეზე რომ გავედით ვუთხარი:

- აქ შენ არავინ გიცნობს... ეს წლები ვითომ მილანოში მუშაობდი... შევთანხმდით?

- კარგი. ძირს რომ ჩავედით, მარიოს ხელი მოვკიდე და ბებერ მეკარე ქალს გავაცანი.

- ეს ჩემი ცოლისძმაა, მარიო, მილანოდან ჩამოვიდა და ახლა ჩვენთან იცხოვრებს.

- სასიამოვნოა, სასიამოვნო! - მიპასუხა მეკარემ.

„ყველაზე მეტად კი ჩემთვისაა სასიამოვნო, - გავიფიქრე ქუჩაში გამოსვლისას, - დედაკაცების ჭორაობის გამო ათასი ლირი დავკარგე და ყველა სხვა სიკეთესთან ერთად ახლა შინ ქურდბაცაცა მყავს“.

მეგობარი შავ დღემდეო

ამდენს ლაპარაკობენ მეგობრობაზე და მე კი დღემდე არ ვიცი, რა არის მეგობრობა.

შესაძლოა თუ არა მეგობრად ჩათვალო ის ადამიანები, რომელთაც წლების მანძილზე თითქმის ყოველდღე ხვდები ლუდხანაში, მასტაის მოედანზე, თამაშობ მათთან ბანქოს, კამათობ ფეხბურთზე, დადიხარ საბანაოდ და კვლავ მათთან ერთად სვამ ოსტერიაში.

იქნებ, მეგობარი რომ იყო, ამისთვის ერთ ლოგინში უნდა წვებოდე, ერთი კოვზით უნდა ჭამდე და ერთი ცხვირსახოცით იხოცავდე ცხვირს? რაც მეტს ვფიქრობ ამაზე, მით უფრო ვიბნევი.

წლების მანძილზე თქვენ მეგობრად მიგაჩნიათ ადამიანი, რომელთანაც ისე ხართ დაახლოებული, რომ ფიქრობთ, ვერაფერი დაგვაშორებსო. გგონიათ, რომ ძმასავით გიყვართ ერთმანეთი და უცებ შეიტყობთ, სწორედ ეს ძმასავით საყვარელი ადამიანი გქირდავს და გლანძღავს ზურგს უკან და არათუ მეგობრული სიყვარული, უბრალო პატივისცემაც არა აქვს თქვენი.

მაშ რაღაა მეგობრობა? ნუთუ ეს შეხვედრები, ერთად დროს ტარება ისეთივე ჩვეულებაა,

როგორც ყავის სმა, ან გაზეთის კითხვა? იქნებ ეს კომფორტის საგანია, როგორც სავარძელი ან საწოლი, ანდა ისეთივე თავშესაქცევია, როგორც კინო ან ნახევარი ბოთლი ღვინო?

თუ ეს ასეა, რატომ უწოდებენ ამას მეგობრობას და არა სხვა რამეს? მარა კმარა ამაზე ფიქრი, მე ოპტიმისტი ვარ, მჯერა, რომ ქვეყნად სიკეთე არსებობს, სწორედ ამიტომ გამოვუცხადე დედაჩემს გულდამშვიდებით, ფულს მეგობრებს დავესესხები-მეთქი, საქმე ის იყო, რომ მძიმე ავადმყოფობა გადავიტანე, ფილტვების ანთება მქონდა. როცა გამოვკეთდი, ექიმმა დაბეჯითებით მირჩია, ერთი თვე მაინც უნდა გაატარო ზღვაზეო. ზღვაზე წასასვლელად ოცდაათი ათასი ლირი იყო საჭირო, მე კი ხელმოკლედ ვიყავი, რადგან მთელი ჩვენი მცირე დანაზოგი წამლებსა და მკურნალობაზე დაგვეხარჯა. უნდა მოგახსენოთ, რომ დედაჩემი სულ სხვანაირი ადამიანია: რამდენადაც მე ბუნებით აღტაცებული, მიმნდობი და თავქარიანი ვარ, იმდენად დედა სკეპტიკოსი, გულგატეხილი და ფრთხილია. ფულს მეგობრებში ვისესხებ-მეთქი, რომ ვუთხარი, დედა ქურასთან იდგა, ჩემკენ არც კი შემობრუნებულა ისე მითხრა:

- აბა რა მეგობრები არიან შვილო, ამდენი ხანი ავად იყავი და ერთხელაც არ მოგიკითხეს?

ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, შემაცბუნა. მართლაც ასე იყო, მაგრამ მაინც გამართლება დავუწყე მეგობრებს, არ სცალიათ-მეთქი. დედა გაჩუმდა და თავი გადააქნია. საღამო ხანი იყო,

ჩვეულებრივ სწორედ ამ დროს ვიკრიბებოდით მასტაის მოედანზე, ლუდხანაში. თბილად ჩავიცვი, რადგან ავადმყოფობის შემდეგ პირველად გავდიოდი გარეთ, და ლუდხანისკენ გავწიე.

ისე ვიყავი დასუსტებული, რომ ფეხებს ძლივს მივითრევდი, მაგრამ მაინც ვიღიმებოდი და ვგრძნობდი, რომ ეს ღიმილი მზის შუქივით ანათებდა ჩემ ნაავადმყოფარ, გამხდარ და გაფითრებულ სახეს. წინასწარ ვხარობდი, რადგან ასეთი სურათი მიტრიალებდა თვალწინ: აი, მივუახლოვდი ლუდხანას, შევედი, მეგობრებმა დამინახეს, ერთი წამით თვალი მომაშტერეს, მერე წამოცვივდნენ და შემომეხვივნენ. ერთმა მხარზე ხელი დამადო, მეორემ მზრუნველობით მკითხა, როგორა ხარო. მესამე მიყვება, რაც ჩემი ავადმყოფობის დროს მოხდა. ერთი სიტყვით, ამ ჩემი ღიმილით გავიგე, რომ მეგობრები მიყვარს და მათთან შეხვედრა მახარებს, თითქოს ავთრთოლდი კიდეც, როგორც ათრთოლდება ხოლმე კაცი, დიდი ხნის დაშორების შემდეგ რომ შეხვდება საყვარელ ქალს. თბილი, მეგობრული გრძნობით ამევსო გული და როგორც ხშირად ხდება, რასაც თვითონ განვიცდიდი, მჯეროდა, რომ სხვებიც იმასვე განიცდიდნენ.

მაგრამ ლუდხანაში რომ შევედი, იქ არავინ დამხვდა, მარიოს და ბარმენ სევერინოს გარდა. ბარმენი ყავის სადუღარს და დახლს წმენდდა, მარიო კი სალაროში იჯდა და გაზეთს კითხულობდა. საცეკვაო მუსიკა, რომელსაც რადიო გადმოსცემდა, ყრუდ ჟღერდა. მარიო მაღალ-მაღალი ვაჟია, დონდლო, პატარა თავი აქვს, თვალები ქალივით მიბნედილი. მე და

მარიო თითქმის ერთად გავიზარდეთ, ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით, სკოლაშიც ერთად დავდიოდით, სამხედრო ვალდებულებაც ერთად მოვიხადეთ, ღვიძლი ძმებივით ვიყავით. სიხარულით გულაჩქროლებული მივუახლოვდი მარიოს, მღელვარებისგან მთლად ჩამიწყდა ხმა.

- მარიო, - წავილუღლუღე ძლივს გასაგონად.

- ოო, ჯიჯი, - წამოიძახა მარიომ, როცა გაზეთს თვალი მოსწყვიტა და შემომხედა, - ტყუილად როდი უთქვამთ, ვინც სიკვდილს გადაურჩება, შეხვედრის იმედს არ კარგავსო... რა დაგემართა, რით იყავი ავად?

- ფილტვების ანთება გადავიტანე... ძალიან ცუდად ვიყავი, პენიცილინს მიკეთებდნენ... ეჰ, გახსენებაც აღარ მინდა, ისეთი დღე გამოვიარე.

- მართლა? - მომაჩერდა მარიო და გაზეთი დაკეცა. - დაგტყობია კიდევაც, გამხდარხარ. ახლა ხომ კარგად გრძნობ თავს, მთლად გამოკეთდი?

- აღარა მიშავს რა, მაგრამ ისე დავსუსტდი, რომ ფეხზე ძლივს ვდგავარ... ექიმი მეუბნება, ერთი თვით ზღვაზე უნდა წახვიდეო.

- მართალი უთქვამს. ხუმრობა საქმე კი არ არის ფილტვების ანთება. თავს უნდა მოუარო... ყავა ხომ არ გინა, ჯიჯი?

- გმადლობთ... სხვები სად არიან?

- სევერინო, ერთი ფინჯანი ყავა მოართვი ჯიჯის... მეგობრები? ესაა ახლახან კინოში წავიდნენ. მარიომ ისევ გაშალა გაზეთი.

- მარიო, - ისევ მორიდებით წამოვიწყე.

-
რა იყო?

- სათხოვარი მაქვს შენთან. იმედია, არ დამზარდები. ერთი თვით ზღვაზე რომ წავიდე, ამისათვის ფულია საჭირო. მე კი ამჟამად ხელმოკლედ ვარ. გამიწიე მეგობრული სამსახური და ათი ათასი ლირი მასესხე. როგორც კი მუშაობას დავიწყებ ბირჟაში, მაშინვე დაგიბრუნებ. მარიო ერთ ხანს თავისი შავი, მიბნედილი თვალებით დაჟინებით შემომცქეროდა.

- ვნახოთ, - თქვა ბოლოს და სალაროს ყუთი გამოსწია. - აი, ჯიჯი, - დამანახვა თითქმის ცარიელი ყუთი, - საქმე ისაა, რომ მეც უფულოდ ვარ... ახლახან ვალი გავისტუმრე... ძალიან ვწუხვარ რომ ვერ გეხმარები, მაგრამ...

- მაშ არა გაქვს? - ჩავილაპარაკე დაბნევით. - რა ისეთი დიდი ფულია ათი ათასი, რომ მისი მოცემა გაგიჭირდეს.

- დიდი კი არა, სულ უმნიშვნელო თანხაა, ოღონდ კაცს რომ ასესხო, უნდა გქონდეს, - მითხრა მარიომ, მერე, თითქოს რაღაც მოისაზრაო, დახლისაკენ მიბრუნდა და დაიყვირა: - სევერინო, ათი ათასი ლირი არა გაქვს? ჯიჯი თხოულობს, მასესხეთო.

- სინიორ მარიო, აბა, საიდან მექნება ათი ათასი ლირი?

სევერინო ღარიბი კაცი იყო, დიდი ოჯახი აწვა კისერზე და სხვა პასუხს არც მოველოდი მისგან.

- იცი, ვინ გაგიმართავს ხელს? ეჯისტო... ხომ იცი, მაღაზია რა კარგ შემოსავალს აძლევს, უარს არ გეტყვის.

კრინტი ვერ დავძარი, ენა წამერთვა. ზრდილობის გამო დავლიე ყავა და ფულის გადახდა დავაპირე. მარიო მიხვდა, ნაწყენი რომ დავრჩი, და მოიბოდიშა:

- ძალიან ვწუხვარ, ჯიჯი, მაგრამ რა ვქნა!

- რა სალაპარაკოა, - ვუპასუხე და ლუდხანიდან გავედი.

ეჯისტოც ერთი იმ მეგობართაგანი იყო, რომელსაც რამდენიმე წლის მანძილზე თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი. მეორე დღეს დილაადრიანად გამოვედი შინიდან და ეჯისტოსკენ გავწიე. ნავონის მოედნის იქით, ვია პარიონზე, ძველი ავეჯის მაღაზია აქვს ეჯისტოს. მაღაზიას რომ მივუახლოვდი, ქუჩიდანვე შუშის კარში დავინახე ეჯისო. კამოდის წინ იდგა, ერთმანეთზე ახორხლილ სკამებს შუა, პალტო ეცვა, საყელო აეწია და ხელები ჯიბეებში ჩაეწყო. ეჯისტოს შესანიშნავი არაფერი ჰქონდა, არც მაღალი იყო, არც დაბალი, არც გამხდარი, არც სქელი, ლამაზი სახე ჰქონდა, მაგრამ უკმაყოფილო გამომეტყველება. ქუთუთოებზე ხშირად უჩნდებოდა ჯიბლიბო, ამიტომ თვალები დაწითლებული ჰქონდა და ჭუტავდა. ერთ ძალიან ცუდ ჩვევასაც შენიშნავდით: ფრჩხილების კვნეტა იცოდა. მართალია, გუშინდელივით აღფრთოვანებული აღარ ვიყავი, მაგრამ ეჯისტო-მეთქი რომ დავუძახე, ჩემს ხმაში მაინც სიხარულმა გაიჟღერა.

- გამარჯობა, ჯიჯი! - ცივად მიპასუხა ეჯისტომ.

-
მის კილოს ყურადღება არ მივაქციე, არ მწყენია, ვიცოდი, რომ ბუნებით კუშტი კაცი იყო. მაღაზიაში შევედი თუ არა, მტკიცედ დავიწყე:

ეჯისტო, ერთი სათხოვარი მაქვს შენთან. პატარა სამსახური უნდა გამიწიო.

- ჯერ კარი მიხურე, სიცივე შემოდის, - მიპასუხა ეჯისტომ.

კარგი მივხურე და გავუმეორე, სათხოვარი მაქვს-მეთქი. ეჯისტომ ყური მოიყრუა, საწერ მაგიდასთან მივიდა, სავარძელში ჩაჯდა და მკითხა:

- მართლა ავად იყავი?.. მომიყევი, რა დაგემართა.

კილოზე შევატყვე, სიტყვა ბანზე იმიტომ ამიგდო, რომ სათხოვარი არ მეთქვა.

- ფილტვების ანთება მქონდა, - ცივად მოვუჭერი.

- რას ამბობ, მართლა? მერე ასე უბრალოდ ლაპარაკობ ამაზე? დაწვრილებით მიამბე.

- ამაზე სალაპარაკოდ არ მოვსულვარ შენთან. სხვა საქმე მაქვს... თხუთმეტი ათასი ლირი მჭირდება... მასესხე და ერთი თვის შემდეგ დაგიბრუნებ.

ფული ვახსენე თუ არა, ეჯისტომ მაშინვე საჩვენებელ თითზე ფრჩხილის კვნეტა დაიწყო, მერე შუაზე გადავიდა, ბოლოს განზე გაიხედა და ისე მითხრა:

- ვერ გასესხებ თხუთმეტ ათასს... მაგრამ გზას გასწავლი, დიდი შრომის გაუწევლად როგორ უნდა იშოვო დღეში ხუთასიდან ათას ლირამდე.

- როგორ? - თითქმის იმედით შევხედე მეგობარს.

ეჯისტომ საწერი მაგიდის უჯრა გამოსწია, გაზეთის ამონაჭერი ამოიღო

და გამომიწოდა. - აი, წაიკითხე. ჩამოვართვი გაზეთის ამონაჭერი და

შემდეგი წავიკითხე:

- თქვენ შეგიძლიათ, დიდი შრომის გაუწევლად, დღეში ხუთასიდან ათას ლირამდე იშოვოთ, თუ „წმინდა წლის“ დღესასწაულისათვის, ჩვენი მითითებით, ხელოვნების ნაწარმოებს

დაამზადებთ. ამისათვის უნდა გამოაგზავნოთ ხუთასი ლირი, შემდეგი მისამართით: საფოსტო ყუთი, ესა და ეს ნომერი...“

ერთ ხანს პირდაღებული ვიჯექი გაუნძრევლად. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ განცხადების ამბავი უკვე გაგონილი მქონდა. ზოგიერთი პროვინციელი თაღლითი ამ გზით ატყუებდა გულუბრყვილო ხალხს. თუ ხუთას ლირს გაუგზავნიდით აღნიშნულ მისამართით, თქვენ მიიღებდით მუყაოს ტრაფარეტს. ამ ტრაფარეტს დადებდით ღია ბარათებზე, ტუშით შემოხაზავდით და ღია ბარათზე წმინდა პეტრეს ტაძრის სილუეტი გამოისახებოდა. შემდეგ ეს ღია ბარათები უნდა გაგეყიდათ. თაღლითების რწმუნებით „წმინდა წლის“ დღესასწაულზე, ქალაქში მლოცველები

-
რომ მოზღვავდებოდა, დღეში ორმოცდაათ, ას ღია ბარათს გაასაღებდით, თითოს ორმოცდაათ ლირად.

- მე კი მეგობრად გთვლიდი, - ვუთხარი ეჯისტოს და გაზეთის ამონაჭერი დავუბრუნე. მეგობარი ვარ, აბა რა ვარ! - თავაუღებლად მიპასუხა ეჯისტომ და არათითის

ფრჩხილს დაუწყო კვნეტა.

- მშვიდობით, ეჯისტო!

- მშვიდობით, ჯიჯი!

ვია პარინელიდან ვიქტორ ემანუილის პროსპექტზე გავედი, ავტობუსში ჩავჯექი და ვია დელ კუარტო სანტი კორონარისკენ გავემგზავრე. ამ ქუჩაზე ცხოვრობდა კიდევ ერთი მეგობარი, ატილიო. ატილიო ჩემი უკანასკნელი იმედი იყო, რადგან ჩვენი ჯგუფის სხვა წევრები ღატაკები იყვნენ და გულითაც რომ სდომოდათ ჩემთვის ხელის გამართვა, არაფერი გააჩნდათ. როგორც ხედავთ, ყველაფერი წინასწარ ვივარაუდე, წინდაუხედავად არ მოვქცეულვარ: მარიოს ლუდხანა ჰქონდა, არც მუშტარი აკლდა, არც შემოსავალი. ეჯისტო, ღმერთმა უწყის, რა გზით იგებდა ფულს ძველი ავეჯის მაღაზიაში. ატილიოს გარაჟი ჰქონდა და პირდაპირ ტყავს აძრობდა ხალხს მანქანების შეკეთებასა და გაქირავებაში. ატილიოც ძმასავით ახლობელი იყო ჩემთვის, მირონიც კი გვაკავშირებდა: გოგონა მოვუნათლე. გარაჟში შევედი, ატილიო მანქანის ქვეშ იყო შემძვრალი, წელზევით არ ჩანდა, მხოლოდ ფეხები გამოეშვირა გარეთ.

- ატილიო, - ამჯერად უკვე გულმშვიდად დავუძახე მეგობარს.

ერთ ხანს კიდევ იჩხირკედელავა მანქანის ქვეშ, მერე ფრთხილად გამობობღდა, ზეთით მოთხუპნული სახე კომბინიზონის სახელოთი მოიწმინდა. ჯმუხი კაცი იყო, ცომივით უფერული, პირქუში სახე ჰქონდა, პატარა თვალები, დაბალი შუბლი და ყველა ამასთან მარჯვენა წარბზე ნაიარევებიც აჩნდა.

- იცი, ჯიჯი, - მაშინვე მომახალა, - თუ მანქანის სათხოვნელად მოხვედი, არაფერი გამოვა. ყველა მანქანა დაკავებულია, დიდი რიდვანი კი შესაკეთებელია.

- არა, მანქანა არ მჭირდება. სულ სხვა სათხოვარი მაქვს. გამიწიე მეგობრული დახმარება და ოცდახუთი ათასი ლირი მასესხე.

- ოცდახუთი ათასი ლირი? - მოიღუშა ატილიო, - დამაცა, ახლავე მოგართმევ.

გაოცებას მოვედი. არსაიდან არაფრის იმედი აღარ მქონდა. ატილიო ნელი ნაბიჯით მივიდა კედელზე დაკიდებულ ქურთუკთან, საფულე ამოიღო და მკითხა:

- როგორ გირჩევნია, ათასლირიანი ქაღალდები მოგცე, თუ ხუთი ათასლირიანი?

- როგორც გენებოს, ჩემთვის სულ ერთია. ერთ ხანს დაჟინებით მიყურებდა, რაღაც

  გაურკვეველმა მუქარამ გაუელვა თვალებში.

-

- იქნებ ნაწილი ასლირიანი ქაღალდები გინდა?

- დიდი მადლობელი ვარ, ათასლირიანი აჯობებს.

- ხომ არ გინდა, ოცდაათი ათასი ლირი მოგცე? - თითქოს რაღაც ახალი აზრი დაებადაო, ისე წამოიწყო ატილიომ, - თუ გჭირდება, თქვი, რისა გერიდება.

- რა კარგად მიმიხვდი, ატილიო... სწორედ ეს თანხა მჭირდება.

- მომე ხელი.

ხელი რომ გავუწოდე, ატილიომ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და უცებ მრისხანედ დაიქუხა:

- არა, შე ყეყეჩო, მართლა დაიჯერე, რომ ასეთი ჯაფით ნაშოვნ ფულს შენისთანა უქნარას მივცემდი? შემცდარხარ, მეგობარო, ვერ მოგართვეს.

- კი, მაგრამ...

- ბრიყვი ხარ... ას ლირსაც ვერ მიიღებ ჩემგან... ლუდხანაში ყურყუტს გიჯობს იმუშაო.

- თავიდან ასე გეთქვა. რასა ჰგავს ეს? - ავენთე უცებ.

- აბა, ახლავე გამეცალე აქედან. ჩქარა, ამ წუთში მოუსვი.

- არამზადავ! - შევძახე გაგულისებულმა.

- რაო? რა თქვი? - დაიღრიალა ატილიომ და რკინის ძელაყინს დასწვდა. - გაიმეორე ერთი, რა ბრძანე?

ფხოჭა-გლეჯით რომ არ გამოვვარდნილიყავი გარაჟიდან, ცუდად წამივიდოდა საქმე. უსათუოდ დამარტყამდა იმ ძელაყინს. გულდამძიმებული დავბრუნდი შინ. ისე მეჩვენებოდა, თითქოს ერთ დღეში ათი წლით მოვხუცდი. დედამ სამზარეულოდან გამომძახა:

- როგორაა საქმე, გასესხეს მეგობრებმა ფული?

- ვერც ერთი მეგობარი ვერა ვნახე, - მივუგე.

მაგრამ დედის თვალს რა გამოეპარება! სადილად რომ დავსხედით, მაშინვე შემატყო, ცუდ გუნებაზე რომ ვიყავი.

- მართალი მითხარი, უარით გამოგისტუმრეს მეგობრებმა, არა? საბედნიეროდ, ჩემო შვილო, შენ დედა გყავს... აჰა, აიღე. თქვა და ათი ათასლირიანი სამი ქაღალდი ამოიღო.

- სად იშოვე, დედა? - ვკითხე გაოცებულმა.

- ღარიბებს, შვილო, ერთი მეგობარი ჰყავთ, - მიპასუხა დედამ, - ლომბარდი.

თურმე ნივთები დაუგირავებია, რომ ჩემთვის ზღვაზე წასასვლელი ფული ეშოვნა. დღემდე არ გამოგვისყიდია ოქროულობა ლომბარდიდან.

კმარა ჩვენს გაჭირვებაზე ლაპარაკი. სანტა-მარინელაში ერთი თვე გავატარე. კარგ დარში დილდილაობით ნავით ვსეირნობდი. ნელა მივაცურებდი ნავს და დროდადრო წყალს ღრმად ჩავხედავდი ხოლმე. ათასნაირი თევზი ცურავდა იქ. დიდი თევზები, პატარა თევზები, ვუცქეროდი მათ და ჩემს თავს ვეკითხებოდი, თევზებს თუ აქვთ მეგობრობა? ადამიანებში მეგობრობა არ არის, თუმცა სიტყვა მეგობრობა სწორედ მათ მოიგონეს.

ბუ-ბუ-ბუ

შუაღამე იქნებოდა. პატრონები შინ რომ მივიყვანე და იმის მაგივრად, რომ მანქანა გარაჟში დამებინავებინა, შინ წავედი, კომბინიზონი გავიხადე, საგარეო ლურჯი კოსტიუმი ჩავიცვი და ვია ვენტოსკენ გავუყევი გზას. იქ ჯორჯოს უნდა შევხვედროდი ლუდხანაში. იმ ღამეს ჯორჯოს ორი სამხრეთამერიკელი კლიენტი ჰყავდა: შავთმიანი, ხანგადასული ქალი, ეტყობოდა, თმას იღებავდა, რადან შეთხუპნული სახე ძალზე შეჭკნობოდა, ცისფერ თვალებს კი შლეგივით აბრიალებდა. მისი მეუღლე გაცილებით ახალგაზრდა ჩანდა, პირსავსე მამაკაცი იყო, თავხედური გამოხედვა ჰქონდა. თქვენ იცნობთ ჯორჯოს? პირველად რომ შევხვდი მას, მოკავშირეებმა სწორედ იმ ხანებში გადმოსხეს ჯარი ჩვენს ქვეყანაში. მაშინ ჯორჯო სულ ბავშვი იყო. ისეთი ვარდისფერი პირისახე და ქერა თმა ჰქონდა, რომ ანგელოზს ჰგავდა. მაშინ ჯორჯოს ხშირად ნახავდით ქუჩაში, სულ ტრიტონეს შადრევანთან ტრიალებდა, სპორტული ქურთუკი და სამხედრო შარვალი ეცვა. როცა ტრამონტანა ქროდა, სიცივით შეწუხებული, ქუჩაში დახტოდა და გამვლელებს ჩასჩურჩულებდა: „ამერიკა“. ჰოდა, ასე, ნაწილობრივ „ამერიკით“, ნაწილობრივ სხვა ნივთების ყიდვა-გაყიდვით ისწავლა ინგლისური და მოკავშირეები რომ წავიდნენ, მას აქეთ ტურისტებს დაჰყვება გიდად. როგორც თვითონ იტყვის ხოლმე, დღისით- ძეგლებს უჩვენებს, ღამღამობით- დანსინგებს, იმავე ტრიტონესა და ვია ვენტოს რაიონებში. რა

თქმა უნდა, ახლა სპორტული ქურთუკი აღარ აცვია ჯორჯოს, კოხტად გამოიწკიპა, ვიწრო შარვალი, სპილენძის ბალთიანი ფეხსაცმლით და კაპიუშონიანი ლაბადითაა გამოწყობილი. ასეთი ლაბადები ჩვენში მოკავშირეების შემოსვლის შემდეგ გაჩნდა. მაგრამ ჯორჯო ანგელოზს აღარა ჰგავს, შუბლზე და საფეთქლებთან თმა შეუთხელდა, ცისფერ თვალებში სიცივე ჩაუდგა, სახე ჩაუმუქდა, მოუტყდა და მარწყვივით წითელი ტუჩები ღიმილის დროს ისე უცნაურად ეგრიხება, რომ მოშტერო, მკაცრ იერს აძლევს მის სახეს. ჯორჯომ უცხოელებს მოახსენა, ეს ჩემი ახლო მეგობარიაო, და მათ უმალ გამიბეს საუბარი, როგორც თვითონ ფიქრობდნენ, ვითომდა იტალიურ ენაზე, ნამდვილად კი ესპანურად მელაპარაკებოდნენ. ჯორჯოს მაშინვე შევატყვე, რაღაცით უკმაყოფილო რომ იყო, ხმადაბლა მითხრა, ეს ჩემი კლიენტები საეჭვო ბუნაგებზე არიან გადარეულნი. მეუბნებიან ტრატორიაში წაგვიყვანე, სადაც ბოროტმოქმედები იყრიან თავსო. რომში ასეთი ბუნაგები არა გვაქვს და აღარ ვიცი, რით მოვიგო ამ ოხრების გულიო.

მართლაც, სინიორამ სიცილით მითხრა, უფრო ესპანურ, ვიდრე იტალიურ ენაზე, ჯორჯო ვერ არის თავაზიანი, ცუდი გიდია, ჩვენ ისეთი ტრატორია გვინდა, სადაც პისტოლეროსები იკრიბებიან, მაგრამ ჯორჯო გაკერპდა და არაფრით არ უნდა იქ წაგვიყვანოსო. ეს პისტოლეროსები რაღა ჯანდაბაა, ვკითხე ჯორჯოს. კაცისმკვლელები, ქურდბაცაცები, ავაზაკები და სხვა მისთანანი, მითხრა ჯორჯომ. თურმე ამერიკის ქალაქებში ასეთ ხალხს თავისი ტრატორიები აქვს, იქ იკრიბებიან თავის მანდილოსნებთან ერთად და გულმშვიდად ადგენენ შავბნელ გეგმებს.

- რომში პისტოლეროსები არ არიან, - მტკიცედ გამოვუცხადე სინიორას, - რომში პაპი ზის და ყოველი რომაელი კეთილი მეოჯახეა... გესმით?

- პისტოლეროსები არა გყავთ?! რატომ?

- იმიტომ რომ რომი ასეთია...

- პისტოლეროსები არა გყავთ - არ ცხრებოდა სინიორა, თან როგორღაც ნაზად მაცქერდებოდა, - დავიჯერო არც ერთი, არც ერთი პისტოლეროსი არ ჭაჭანებს თქვენში?

- არც ერთი, სინიორა.

- აბა, რას აკეთებენ რომში საღამოობით? - იკითხა სინიორმა.

- რას აკეთებენ? ტრატორიაში სხედან, სპაგეტს ან აბაკიოს შეექცევიან, დადიან კინოში, ცეკვავენ, - ალალბედზე ვუპასუხე და თითქოს ჯორჯოს ხელს ვუწყობო, საიდუმლოდ დავუმატე: - თუ ცეკვა გინდათ, აქვე ახლოს ერთი ადგილი ვიცი.

- რა ჰქვია იმ ადგილს?

- „პომპეუსის გამოქვაბულები“. - მერე იქ იქნებიან პისტოლეროსები?

ნეტა რას აიხირეს ეს პისტოლეროსები. გული რომ არ დამეწყვიტა მათთვის, ცალყბად ჩავილაპარაკე:

- იქნებ იყოს, ერთი ან ორი...

- თქვენი მეგობარი თავაზიანობით გჯობთ, - მიუბრუნდა სინიორა ჯორჯოს, - ხედავთ, თურმე აქაც ყოფილა ისეთი ტრატორიები, სადაც პისტოლეროსებს შეხვდება კაცი. აბა, წავიდეთ, წავიდეთ „პომპეუსის გამოქვაბულებში“.

გამოვედით ლუდხანიდან. „პომპეუსის გამქვაბულები“ იქვე იყო. ეზდრას მოედნის უბანში. სინიორა ჩემ გვერდით დაჯდა მანქანაში და მთელი გზა სულ პისტოლეროსებზე მელაპარაკებოდა. მაგრამ მე გულისყურით ვერ ვუსმენდი, რადგან ძალიან აფორიაქებული ვიყავი. ვფიქრობდი კორსინიანაზე, რომელიც დიდი ხანია არ მენახა. აქამდე ისე მეჩვენებოდა, თითქოს აღარ მიყვარდა კორსინიანა, მაგრამ ახლა, როცა შეხვედრის მოლოდინმა გული

მღელვარებით შემიკუმშა, მივხვდი, რომ ძველებურად მიყვარდა. კორსინიანა „პომპეუსის გამოქვაბულებში“ მღეროდა, სწორედ ამის გამო წავეჩხუბე და შემდეგ თვალი აღარ მომიკრავს. იმიტომაც ვღელავდი ასე ძლიერ. სინიორამაც შემატყო ეს და უცებ მკითხა:

- ლუჯი!.. ნებას მომცემთ ასე გიწოდოთ? მითხარით, ლუიჯი, რამ დაგაბნიათ ასე, რაზე ფიქრობთ?

- არაფერზე.

- არა, მე ვერ მომატყუებთ. სანაძლეოს დავდებ, რომ თქვენი გონება ახლა რომელიღაც ქალს დასტრიალებს.

აი, გამოჩნდა კიდეც სახლი მოსახვევში, ფარანი, დაბალი კარი, რომელიც სოფლურ ყაიდაზე კრამიტით გადახურულ ჩიხქვეშაა მოქცეული - „პომპეუსის გამოქვაბულები“. ჩავყევით ძველებურ, რომაულ კიბეს. ფილები აქა-იქ აყრილი და ჩამტვრეული

ჰქონდა, გვერდებზე კი ნეონით გაშუქებულ წალოებში ამფორები იყო გაკეთებული. უცხოელს, მგონია, მოეწონა იქაურობა, მაგრამ მაინც თქვა:

- რა არის, იტალიელები რომ ვერასგზით ვერ ივიწყებთ რომის იმპერიას... ყველგან ჩრით მას, ღამის ტრატორიებშიც კი.

ნიჟარებით ნაშენ თაღქვეშ გამართულ საკიდართან მივედით, შვეიცარს პალტო რომ მივაწოდე, სინიორს ვუპასუხე:

- იმიტომ ვერ ვივიწყებთ რომ იმპერიას, რომ ჩვენ ისევ რომაელები გახლავართ...

„პომპეუსის გამოქვაბულები“ დაბალჭერიანი პატარა დარბაზებისგან შედგება. ეს დარბაზები დურბინდის მუხლებივით გამოდიან ერთიმეორედან. ყველაზე დიდ დარბაზში გამართულია დახლი, ლინოლეუმით დაგებული საცეკვაო მოედანი და სცენა, სადაც ორკესტრია მოთავსებული.

თამბაქოს კვამლი იდგა დარბაზებში, მუსიკის ხმა და ხალხის გუგუნი ისე ყრუდ გაისმოდა, თითქოს კედლებზე ქეჩაა აკრულიო. თითო დარბაზში ხუთი-ექვსი კაცი თუ იჯდა, რასაკვირველია, არც ერთი პისტოლეროსი იქ არ ჭაჭანებდა, რამდენიმე ამერიკელი, ახლად ჯვარდაწერილი წყვილები მუშტრებზე მონადირე ქალები ისხდნენ მხოლოდ, კორსინიანა კი არსად ჩანდა.

დიდ დარბაზში დავსხედით. სწორედ მიკროფონის პირდაპირ. მაშინვე შემოგვეხვივნენ ოფიციანტები.

- სხვათა შორის, - მოჩვენებითი გულგრილობით მივმართე ოფიციანტს, - თქვენთან ერთი ქალიშვილი მღერის, ვგონებ კორსინიანა ჰქვია!

- კორსინიანა?.. არა, დღეს რაღაც არ ჩანს, - თავაზიანად მიპასუხა ოფიციანტმა.

- შავგვრემანი, შავთვალწარბა გოგონაა, თმახუჭუჭა, ლოყაზე ნაიარევები აჩნია.

- ჰოო, სინიორინა თამარი, - მოწიწებით თქვა ტრატორიის პატრონმა, - მალე გამოვა. თუ გნებავთ, გამოგიგზავნით.

ამერიკელი სინიორა შეყოყმანდა, მაგრამ ქმარმა ტრატორიის პატრონს უთხრა, სიამოვნებით გავუმასპინძლდები სინიორინა თამარსო. შევუკვეთეთ სასმელი. ორკესტრმა სამბო დაუკრა, ჯორჯო წამოდგა და სინიორინა საცეკვაოდ მიიწვია. მე და ამერიკელი მარტო დავრჩით სუფრასთან. ამ დროს კორსინიანაც გამოჩნდა. პატარა კარში შემოვიდა. ეს კარი აქამდე არ შემინიშნავს. მიკროფონთან შედგა და სიმღერა დაიწყო. ყურადღებით შევათვალიერე. დიახ,

თითქოს კორსინიანა იყო, მაგრამ თან რაღაც სხვანაირი ჩანდა. თავდაპირველად მისი თმა მეუცხოვა, შავგვრემანი აღარ გახლდათ, თმა სტაფილოსფრად შეეღება და ამის გამო შავი თვალები უფრო მუქი, ნახშირივით შავი მოუჩანდა, უშნოდ იყო

შეთხუპნული, ტუჩზე პომადით მეორე ტუჩი მოეხაზა. მწვანე, გულმოღეღილი კოფთა ეცვა და შავი ქვედაკაბა. ერთადერთი, რაც ძველი კორსინიანასი შერჩენოდა, ხელები იყო. დიდი, წითელი, მსხვილი მაჯებით, ნამდვილი მდაბიო, მშრომელი ქალის ხელები. ხმაც თითქოს შეცვლოდა: ჩახლეჩილი, უხეში, დაბალი და ყრუ ხმით მღეროდა, ვითომც ამით თავის მგრძნობელობას ამტკიცებდა. მისამღერი ძაღლის ყეფას მოგაგონებდათ.

ბუ-ბუ-ბუ, შენ იცი, რომ ცრუ ხარ, ბუ-ბუ-
ბუ, მაგრამ მე მაინც ვერ გავბედავ, ბუ-
ბუ-ბუ, ვერ გავბედავ თქმას, ბუ-ბუ-ბუ,
რომ შენ ნამდვილი ცრუ ხარ.

ეს იყო სულელური სიმღერა. კორსინიანა მისამღერს რომ გაიმეორებდა, ბუ-ბუ-ბუ-ო, ხელებს საფეთქლებზე იდებდა, გაფარჩხული თითებით თმას ეხებოდა. თმაში წითელი ყვავილი ჰქონდა გარჭობილი, თეძოებს არხევდა, მკერდს ათამაშებდა.

კორსინიანა მღეროდა, ვიდრე ცეკვა არ დამთავრდა. ჯორჯო და სინიორა სუფრას დაუბრუნდნენ. ტრატორიის პატრონმა რაღაც უთხრა კორსინიანას და ის ტანის რხევით და ღიღინით წამოვიდა ჩვენკენ. ამერიკელები გავაცანით, მე ცივად მომესალმა:

- სალამი, ჯინო!

- გამარჯობა, კორსინიანა!

კორსინიანა სუფრას მოუჯდა. ამერიკელმა ჰკითხა, რას დალევთო, ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია, ვისკი მოითხოვა და ტრატორიის პატრონმა მოწიწებით მოართვა სასმელი. ორკესტრმა რუმბა დაუკრა, მე წამოვდექი და კორსინიანა საცეკვაოდ გამოვიწვიე.

- შენ, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდი, თუ აქ მნახავდი, არა? - ვკითხე, როგორც კი ცეკვა დავიწყეთ. კორსინიანამ კევი ჩაიდო პირში, ღეჭავდა და ისე მელაპარაკებოდა:

- რატომ აქ ყველას შეუძლია შემოსვლა, არავის არ უკრძალავენ.

- როგორც ჩანს, კმაყოფილი ხარ.

- ისე, არა უშავს რა.

კორსინიანა თვალს მარიდებდა, კევს ღეჭავდა და განზე იყურებოდა. მუჯლუგუნი წავკარი:

- ეი, აქ მიყურე.

- რა იყო, - მიპასუხა კორსინიანამ და სახე ჩემკენ მოაბრუნა.

- აი, ასე... ახლა მითხარი, რამდენს შოულობ?

- თვეში ოცდახუთი ათასი ლირი მაქვს...

- და ამ გროშების გამო...

კორსინიანა უცებ გამოცოცხლდა და ცხარედ ატიტინდა:

- დაიცა, ნუ ჩქარობ... ჯერ ერთი, თვეში ოცდახუთი ათასი ლირი, ეს მყარი შემოსავალია... ორას

ლირს ყოველი ჭიქა ლირის დალევაში მიხდის ჩვენი ტრატორიის პატრონი, რადგან ამ ვისკის მუშტრები უკვეთავენ და ისინი მიმასპინძლდებიან... გარდა ამისა, მე კლიენტებს ზარს ვეთამაშები. ჰოდა, კაი ძალი ფული მიგროვდება... - კორსინიანამ ჯიბეში ხელი ჩაიყო, კამათლები ამოიღო და მიჩვენა. - კიდევ სხვადასხვა შემთხვევითი საშოვარიც გამოჩნდება ხოლმე.

- ეს რაღას ნიშნავს, რა შემთხვევითი საშოვარია?

- ისე, ცოტ-ცოტა ყველაფერი. კორსინიანა უფრო გულახდილად და ნდობით

ალაპარაკდა:

- ოღონდ ეს ჩემთვის დროებითი თავშესაფარია... მე სხვა ტრატორიაში ვაპირებ გადასვლას. რა თქმა უნდა, ამაზე უკეთეს ტრატორიაში, რადგან ამ ტრატორიის მსახურები არ მომწონს, სულ წუწურაქები და თაღლითები არიან... რომ იცოდე, რას სჩადიან, ვისკის ნაცვლად რაღაც ნალექს მისხამენ ჭიქაში. სულ იმის ცდაში არიან, მომატყუონ. თუ არ ჩავიწერე რამდენი ჭიქა ვისკით გამიმასპინძლდნენ სტუმრები, თავს ისე დაიჭერენ, ვითომც არ ახსოვთ, ოღონდ ფული არ გადამიხადონ. მართალია, ჩვენი ტრატორიის უფროსმა კი მითხრა, თუ უფრო ალერსიანად

მომექცევი, ხელად გავჩარხავთ საქმესო, მაგრამ ტყუილია, მე ვერ გამაბრიყვებს ამგვარი დაპირებით.

ერთი სიტყვით, კორსინიანა აქ ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. თავისუფლად ჰყვებოდა ათას სისაძაგლეს. ზიზღით ამევსო გული, კარგი, მოკრძალებული გოგონა დავტოვე და ახლა თავხედი და ანგარიშიანი ქალი იდგა ჩემს წინ. მკვახედ, თავდაჯერებით ლაპარაკობდა, აშკარად ჩანდა, რომ მისთვის ქვეყნად მთავარი მხოლოდ ფული იყო. მართალია, კორსინიანა უწინაც მღეროდა, მაგრამ მაშინ სულ სხვა იყო, მხოლოდ მე მიმღეროდა, გაზაფხულზე ერთად რომ ვსეირნობდით. ახლა კი ამ სიმღერასაც ყიდდა, ამასაც ფულად აქცევდა.

- მომბეზრდა ცეკვა... წავიდეთ, დავსხდეთ, - ვუთხარი კორსინიანას.

- როგორც გენებოს.

სუფრას დავუბრუნდით. კორსინიანამ მაშინვე ვისკი მოითხოვა, მერე კამათლები ამოიღო და ამერიკელს შესთავაზა, ზარი ვითამაშოთო. ამერიკელი სინიორა ჯორჯოს ყურადღებას აღარ აქცევდა, შლეგი თვალები ქმარს მიაბჯინა. კორსინიანამ ათასი ლირი მოუგო ამერიკელს, კიდევ

ორჯერ ეთამაშა და ორჯერვე მოუგო. ამერიკელმა ფული ამოიღო, ხელში ჩაუდო კორსინიანას, აკოცა და საცეკვაოდ მიიწვია. სინიორამ თვალი გააყოლა მათ და მითხრა:

- ეს ტრატორია რაღაც არ მომწონს... სადმე სხვაგან წავიდეთ!

ცეკვა რომ დამთავრდა, ამერიკელი და კორსინიანა თავის ადგილებზე დასხდნენ. მერე კორსინიანა მიკროფონთან მივიდა და პირველზე უფრო სულელური სიმღერა წამოიწყო. ჩვენს მაგიდასთან რომ დაბრუნდა, ისევ ვისკი მოითხოვა და კამათლები ამოიღო. ამერიკელი სინიორა ჩაგვაცივდა აქედან წავიდეთო. ქმარმა ყური არ ათხოვა და სასმელი მოატანინა. ჯორჯომ ისევ სინიორა მიიწვია საცეკვაოდ, ქალი უხალისოდ გაჰყვა. ხეირიანად ვერც მოასწრეს განზე გასვლა, რომ ამერიკელმა და კორსინიანამ არშიყობა გააჩაღეს. ამერიკელმა მუხლი მუხლზე მიადო კორსინიანას. საშინლად ვიტანჯებოდი ამ სურათის შემყურე, თან მიხაროდა კიდეც ეს ამბავი, ამით საბოლოოდ ამოვირეცხავდი გულიდან კორსინიანას და ჩემს ტანჯვასაც ბოლო მოეღებოდა. ამერიკელმა ყურში რაღაც უჩურჩულა კორსინიანას, კორსინიანამაც პირი ყურთან მიუტანა და ისე უპასუხა. ამერიკელმა ბანკის მსხვილი ბილეთი ამოიღო, ქალს ხელში ჩაუდო. მაგრამ უცებ სინიორა სუფრასთან გაჩნდა და კორსინიანას დაუყვირა: - ხელი გაშალე!

კორსინიანამ ხელი რომ გაშალა, მაგიდაზე მსხვილი ბილეთი დავარდა.

- ძვირფასო სინიორა, - წამოხტა კორსინიანა, - თუ ასე დაფეთებული ხართ თქვენს ქმარზე, შინ ჩაკეტეთ... მე კი აქ არ ვთამაშობ, ვმუშაობ... თქვენმა ქმარმა ყურში მითხრა, სიმღერისთვის უნდა დაგასაჩუქროო, მე ვუპასუხე, რომ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს... რატომ უნდა მეთქვა უარი?

- თავხედო, ხეპრევ! - დაიკივლა სინიორამ, ხელი მოუქნია და ჯერ ერთ ყბაში სტკიცა მაგარი სილა კორსინიანას, მერე მეორეში.

არ ვიცი, რა დამემართა, ეს ორი სილა ისე მეამა, თითქოს მე თვითონ გამერტყას. მერე კორსინიანას სირცხვილისა და დამცირებისგან სახე რომ აელანძა, გამახსენდა, როგორი იყო უწინ, როცა დანიშნულები ვიყავით და მაინც შემეცოდა. ამასობაში ტრატორიის პატრონი და ოფიციანტები მოცვივდნენ და გაკაპასებული სინიორა ჯორჯომ და მისმა ქმარმა დარბაზიდან გაიყვანეს. აყალმაყალით ვისარგებლე, კორსინიანას ხმადაბლა ვუთხარი:

- ქუჩაში დაგელოდები. მანქანა მყავს... რომელ საათზე გათავისუფლდები?

- ოთხზე, - მიპასუხა მან და თვალები აენთო. - მანქანით წამიყვან?

ცხადზე უცხადესი იყო, რომ კორსინიანა ყველაფერში ანგარებას ეძებდა: ოთხ საათზე გამოვა ჩემთან, მაგრამ ჩემი გულისთვის კი არა, მანქანის გულისთვის. უკვე დავრწმუნდი, რომ კორსინიანა სამუდამოდ დაკარგული იყო ჩემთვის. აბა, როგორ ავიტანდი ისეთ ქალს, რომელიც ყველაფერში და ყველგან მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის ზრუნავს. მაშ ასე, კორსინიანას ვუთხარი ქუჩაში

დაგელოდებიმეთქი და ტრატორიიდან გამოვედი. არც ჯორჯო, არც ამერიკელები არსად ჩანდნენ. მანქანაში ჩავჯექი და შინ გავწიე. მშვიდობით კორსინიანა!

ქურდები საყდარში

როგორ ფიქრობთ, რას აკეთებს მგელი, როცა ჯალაბი მშიერი ჰყავს? რას აკეთებსმეთქი, გეკითხებით. მე თვითონ გიპასუხებთ ამაზე: მგელი ბუნაგიდან გამოძვრება და საშოვარზე წავა. გამწარებული ზოგჯერ სოფელსაც ეწვევა და რომელიმე სახლში შევარდება. რასაკვირველია, გლეხები კარგად იქცევიან, მგელს რომ კლავენ, მაგრამ რა ქნას მგელმა, ის ხომ შიმშილს მიჰყავს გლეხის სახლში. მაშასადამე, არც ერთი ტყუის და არც მეორე. ორივე მართალია, ამ სიმართლეს კი სიკვდილი მოსდევს.

ამ ზამთარს მგელი მე ვიყავი და მგლურადაც ვცხოვრობდი. ვცხოვრობდი გამოქვაბულში, მონტე მარიოს ძირში, მიტოვებულ ქვის სამტეხლოსთან. იმ კუთხეში ბევრი გამოქვაბულია, მაგრამ მათი უმეტესობა ისეა ეკალ-ბარდით დაბურული, რომ ახლოს ვერ მიუდგები. საცხოვრებლად მხოლოდ ორი გამოქვაბული ვარგოდა, ჩემი და ერთი მაწანწალა მოხუცისა, რომელიც მოწყალეით ირჩენდა თავს, პულტი ერქვა მოხუცს. ქვის სამტეხლოს ირგვლივ მიდამო გადაყვითლებული და მოტიტვლებული გამო იყურებოდა შავად. პულიტის გამოქვაბულის წინ ნაჭრების გროვა ეყარა, ჩემს გამოქვაბულთან კი ბენზინის ცარიელი კასრი იდგა. ეს კასრი ღუმელის მაგივრობას გვიწევდა. ჩემს ცოლს მთელი დღე ბავშვი ეჭირა ხელში და თან ნახშირს აღვივებდა ამ ღუმელში.

შიგნით ისე მშრალი და სუფთა იყო ჩვენი გამოქვაბული, ზოგიერთ ოთახს არც კი ჩამოუვარდებოდა. მიწაზე ლეიბი გვეგო, კედლებზე სხვადასხვა ნივთები ეკიდა.

ცოლ-შვილს გამოქვაბულში ვტოვებდი, თავად კი რომში მივდიოდი სამუშაოს საძებრად. შავი მუშა გახლდით, უფრო მისი სამუშაოს ვეტანებოდი, დავუდგებოდი ვისმე მიწის მთხრელად და ლუკმაპურს ამით ვშოულობდი. მაგრამ ზამთარი დადგა და რატომღაც მიწის მთხრელი აღარავის დასჭირდა. მეტი გზა არა მქონდა, სხვა საქმისთვის უნდა მომეკიდა ხელი. ხშირად ვიცვლიდი ხელობას, ბოლო დროს კი ვერავითარი სამუშაო ვეღარ ვიშოვე და ხშირად ვბრუნდებოდი შინ ხელცარიელი. გამოქვაბულში რომ შევდიოდი, ზეთის ჭრაქის შუქზე დავინახავდი, როგორ მომაჩერდებოდა ხოლმე ლეიბზე წამომჯდარი ჩემი ცოლი, მის მკერდზე მიხუტებული ბალღიც მომაჩერდებოდა, მომაჩერდებოდა ორი უფროსი ბავშვიც, იატაკზე რომ თამაშობდნენ. როცა ამ ოთხ წყვილ თვალში ერთ და იმავე გამომეტყველებას, შიმშილს ამოვიკითხავდი, მეჩვენებოდა, თითქოს მართლა მგელი ვარ მგლის ბუნაგში ვცხოვრობ და გავიფიქრებდი: „ცუდადაა ჩემი საქმე. თუ ამ დღეებში ცოტა საჭმელი არ მოვუტანე, ჩემი ჯალაბი ნაწილ-ნაწილ დამგლეჯს-მეთქი.“

ჩემს მეზობელს, ბებრ პულიტის საუცხოო წვერი ჰქონდა, გრძელი, ჭაღარა, ეს წვერი წმიდანის იერს აძლევდა მას, მაგრამ საკმარისი იყო პირი დაეღო და ერთი-ორი სიტყვა ეთქვა, უმალ დაინახავდით, რა გაიძვერაც ბრძანდებოდა.

- თქვე უბედურებო, ნეტა რას დაგიყრიათ ამდენი ბავშვი? - მითხრა ერთხელ პულიტიმ, - რისთვის აჩენთ, თქვე საცოდავებო? სატანჯველად? დომინიკო, იცი რას გირჩევ? მოდი პაპიროსის ნამწვები მოაგროვე. ამით ცოტა ხელს გაიმართავ.

რა უნდა მექნა. გული არ მიმდიოდა ასეთ საქმეზე. ვერ ავიღებდი პაპიროსის ნამწვს. მე სამუშაოს ვეძებდი, ნამდვილ საქმეს, მაგრამ სამუშაო არსად ჩანდა. მეც სასოწარკვეთილმა თავგზა დავკარგე და ერთ საღამოს ცოლს ვუთხარი:

- მეტი აღარ შემიძლია. იცოდე, დავდგები სადმე კუთხეში და პირველივე გამვლელს...

- ციხეში გინდა თავი ამოყო? - შემაწყვეტინა ცოლმა.

- ციხეში საჭმელს მაინც მომცემენ, - მივუგე მე.

- მერე ჩვენ, ჩვენ ვინღა მოგვცემს საჭმელს?

მისმა სიტყვებმა გონზე მომიყვანა, მივხვდი, რა სულელური ფიქრი დამებადა და დავდუმდი.

საყდრის გაქურდვის აზრი პირველად პულიტიმ ჩამაწვეთა. მაწანწალა ხშირად დადიოდა

რომში მოწყალების სათხოვრად და კარგად იცოდა ქალაქის ყოველი კუთხე, ისიც, თუ სად რომელი და როგორი საყდარი იყო.

- დომინიკო, - მითხრა პულიტიმ, საღამო ხანს, საყდრის დახურვისას, თუ შიგ დაიმალები, დილით იქიდან გამოპარვა სულ ადვილი საქმეა, ოღონდ იცოდე, მღვდლები ჩერჩეტები როდი არიან, ძვირფასი ნივთები სულ სეიფებში აქვთ ჩაკეტილი, გამოსაჩენ ადგილზე კი უბრალო შუშეულობას ჰკიდებენ. შენ ოღონდ განძეულის გამოტანა მოახერხე და მათი გაყიდვა ჩემზე იყოს.

მართალია, თავდაპირველად შორს დავიჭირე, არც კი მიფიქრია ამაზე, მაგრამ, მოგეხსენებათ, ფიქრი რწყილსა ჰგავს, თუ ერთხელ შეგიძვრა, მერე აღარ მოგასვენებს და ზოგჯერ ისე გიკბენს, რომ გამწარებული შეხტები.

მეც სწორედ ასე დამემართა. ერთ საღამოს ისე მწარედ მიკბინა რწყილმა, რომ თავი ვეღარ შევიკავე და ცოლს გამოვუტყდი, თუ რა ფიქრი მიტრიალებდა თავში. დიდი მორწმუნე ქალი იყო ჩემი ცოლი, სოფელში რომ ვცხოვრობდით, იმდენ დროს შინ არ ატარებდა, რამდენსაც საყდარში.

- ხომ არ გაგიჟდი, რაებს როშავ? - წამოიძახა ჩემმა ცოლმა. დარწმუნებული ვიყავი,

ჩემი განზრახვა არ მოეწონებოდა, ამიტომ ვუთხარი:

- ყური დამიგდე, ეს ხომ ქურდობა არაა... აბა ერთი მითხარი, რისთვის წირავს ხალხი საყდარს ამდენ ნივთს? იმისათვის, რომ კეთილი საქმე გააკეთოს... კიდევაც რომ ავიღოთ რამე იმ ნივთებიდან, ცოდვად არც ჩაგვეთვლება, რადგან ამას მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის ჩავიდენთ, რომ შიმშილით სული არ გაგვძვრეს. ამაზე დიდი

მადლი და სიკეთე რაღა იქნება, თუ ჩვენისთანა გაჭირვებული ხალხის შეწირულით ხელს გაიმართავს?..

- რასა ბოდავ, დომინიკო?! - დაბნევით შემომხედა ცოლმა.

- არა, მითხარი, - განვაგრძე დაყვავებით, - ასე არა წერია იქ: უნდა დააპურო მშიერნიო?

- კი, ასე წერია.

- მერე, ჩვენ მშივრები არა ვართ?

- კი, მშივრები ვართ.

- მაშასადამე, ამით მხოლოდ ჩვენს ვალს მოვიხდით, სამადლო საქმეს გავაკეთებთ.

ერთი სიტყვით, ბევრი ამგვარი რამ ვუთხარი, თან სულ სარწმუნოებას ვეყრდნობოდი, რადგან, როგორც მოგახსენეთ, ჩემი ცოლი დიდი ღვთისმოსავი ქალია. ბოლოს, როგორც იქნა, დავიყოლიე.

- ოღონდ შენც უნდა წამოხვიდე ჩემთან ერთად, - ვუთხარი ცოლს, - თუ დაგვიჭირეს, ერთად მაინც ვიქნებით ციხეში.

- მერე, ბავშვები?

- ბალღები პულიტის დავუტოვოთ. თუ რამე მოხდა, ღვთისმშობელს შევავედროთ ისინი.

რაღა ბევრი გავაგრძელო, შევთანხმდით და ჩვენი გეგმა პულიტის გავაცანით. მან გადაწყვეტილება მოგვიწონა, ჭაღარა წვერზე ხელი ჩამოისვა და დამარიგა:

- იცოდე, დომინიკო, კიდევ ერთხელ უნდა გაგაფრთხილო, დამიჯერე მოხუცს, საყდრის კედლებზე მოოქროვილი გულები რომ ჰკიდია, იმათ ხელს ნუ ახლებ, ეცადე უფრო ძვირფასი რამ ააცოცო.

დანიშნულ დღეს მე და ჩემმა ცოლმა ბავშვები პულიტის დავუტოვეთ და ტრამვაით რომისკენ გავწიეთ. სწორედ იმ ორი მგლის ასლი და კვალი ვიყავით, შიმშილით გამწარებულები მთიდან სოფელში რომ ჩამოდიან. ჩემი ცოლი ჯმუხია, დაბალი, მხარბეჭიანი, ხშირი, ხუჭუჭი წითური თმა კოცონივით უბრიალებს თავზე. მე კი გამხდარი, გაძვალტყავებული ვარ, გეგონებათ ესაა სამარიდან წამოდგაო. ყბა ყბაზე მაქვს მიკრული და ღრმად ჩაცვივნული თვალები სულ ერთთავად მიბრწყინავს.

ჩამოვედით რომში, კორსოზე გამავალ ერთ-ერთ ქუჩაზე თვალი დავადგით დიდ საყდარს. საყდარს გარშემო მაღალი შენობები ერტყა და ამიტომ შიგ ძლიერ ბნელოდა. სვეტების ორი მწკრივი სუაზე ჰყოფდა საყდარს. სვეტებს მიღმა რამდენიმე ეკვედერი განძეულით იყო გატენილი.

ბინდდებოდა, საყდარში რომ შევედით. ჩვენი ამორჩეული ქანდარიდან ყველა რომ წავიდა, საკურთხევლის უკან დავიმალეთ, მადონას ქანდაკებასთან საფეხურზე ჩამოვჯექით.

კარგა გვიანი იყო, მნათემ ფეხების ფრატუნით საყდრის შემოვლა დაიწყო. დადიოდა და ბუტბუტებდა: „საყდარი იკეტება, საყდარი იკეტება“. ქანდარაში, სადაც ჩვენ ვიყავით დამალულები, არც კი შემოიხედა. ორი კანდელის გარდა, ყველა ჩააქრო. ეს კანდელები მადონას

ქანდაკების ორივე მხარეს იდგა. შემდეგ შემოგვესმა, როგორ ჩაკეტა კარი მნათემ და წავიდა. ჩაბნელებულ ტალანში დავრჩით, საკურთხევლის კედელთან მიყუჟულები.

- აბა, მოდი, გავაღოთ ვიტრინა, - ვუთხარი ცოლს აცახცახებულმა.

- მოიცა, რა გეჩქარება? - მიპასუხა ცოლმა.

მერე ადგა, სამალავიდან გამოვიდა, ქანდარის შუა შეჩერდა, თაყვანი სცა მადონას, პირჯვარი გადაიწერა, უკან დაიხია და ისევ თაყვანი სცა, ისევ გადაიწერა პირჯვარი. მერე მუხლი მოიყარა და ხელები ზეაღაპყრო რაზე ლოცულობდა, არ ვიცი, მაგრამ ის კი შევატყვე, რომ ამ ჩვენი საქმის მადლი აღარ სწამდა. უნდოდა როგორმე თავი გამოეხსნა, მხურვალედ ლოცულობდა, ხან ისე დახრიდა თავს, რომ ხშირი თმა მთლიანად უფარავდა სახეს, ხან კი თავს აწევდა და კანდელის მოწითალო შუქზე ისევ გამოჩნდებოდა მისი სახე.

- ლოცვას შინაც მოესწრები, ნუღარ ვაყოვნებთ, - ხმადაბლა ვუთხარი შიშით აცახცახებულმა.

- თავი დამანებე, საყდარი დიდია, გაიარე, აქ რას უდგახარ? - ბრაზით მომიგო.

- მაშ, კარგი. სანამ შენ ლოცვას დაამთავრებ, მე ვიტრინას გავაღებ.

- არა, არ მინდა, აქ მომეცი ეგ რკინა! - მითხრა ისევ მკვახედ.

პალტოში რკინის ნაჭერი მქონდა დამალული. ეს რკინა სწორედ კარგი იარაღი იყო სუსტი ვიტრინის გასაღებად. მივეცი ცოლს რკინის ნაჭერი და საყდარში გავიარგამოვიარე. არ ვიცოდი, რა მექნა ამ ჩაბნელებულ ტაძარში, ჩემს ყოველ შესუნთქვაზე მაღალ თაღებს გუგუნი გაჰქონდათ. შიშმა ამიტანა, ფეხის წვერებზე გავიარე ორ რიგად ჩამწკრივებულ ცარიელ სკამებშუა და კარისაკენ გავძვერი. ტანში გამცრა. მეგონა ვიღაც მითვალთვალებდა. კარი მაგრად იყო დაკეტილი და გაღება ვერ მოვახერხე. უკან გამოვბრუნდი, ერთ-ერთ გვერდის ეკვდერში შევედი და ღამის წითელი ნათურებით განათებულ აკლდამასთან ჩამოვჯექი.

ეს აკლდამა კედელში იყო გამოჭრილი, ზედ შავი მარმარილოს ფილა ედო, ორივე ნაპირზე თითო ქანდაკება იდგა: ცელიანი ჩონჩხი და გრძელ თმაში გახვეული შიშველი ქალი. ეს იყო მოყვითალო მარმარილოსგან გამოკვეთილი საუცხოო ქანდაკებები.

შევცქეროდი ქანდაკებებს და ბინდში მომეჩვენა, თითქოს ისინი ამოძრავდნენ, თითქოს ქალი ცდილობდა ჩონჩხს გაქცეოდა, ჩონჩხი კი თავაზიანად ხელს უყრიდა მკლავში და არ უშვებდა. მინდოდა გამეფანტა ეს მოჩვენება და ბავშვები გავიხსენე, გავიხსენე გამოქვაბული, ბებერი პულიტი და ჩემს თავს ვკითხე: ახლა რომ გითხრან, გამოქვაბულში დაგაბრუნებთ, ხელახლა

გადაწყვიტე, რა უნდა იღონო. რა გზას უნდა დაადგეო. რას იზამდი? რას და იმას, რაც ახლა გავაკეთე, ანდა რაიმეს ამის მსგავს-მეთქი. განა ამ საყდარში შემთხვევით მოვხვდი, განა შემთხვევით გადავწყვიტე ეს საქმე? არა, შემთხვევით არც ის იყო გამოწვეული, რომ ცხოვრებაში ამაზე უკეთესი გზა ვერ გამოვნახე. ასეთ ფიქრებში წასულს რული მომერია და ჩამეძინა. ისე მაგრად მეძინა, სიზმარიც კი არ მინახავს. მხოლოდ სიცივე მაწუხებდა. ერთი სიტყვით, მე მეძინა და სხვა არა ვიცი რა.

უცებ ვიღაცამ შემანჯღრია.

- დამეხსენი, რას ჩამაცივდი, - წავიდუდუნე ძილში.

მაგრამ ის ვიღაც არ მომეშვა, ისევ შემანჯღრია. თვალი გავახილე და თავზარი დამეცა: ის წყეული მნათე თვალებდაჭყეტილი მომჩერებოდა, იქვე იდგა მოხუცი, თმაგაჩეჩილი მღვდელი, რომელსაც ჰაიჰარად გადაეცვა ტანსაცმელი, და ორი-სამი პოლიციელიც, მათ შორის კი ჩემი ცოლი, მოღუშული და კოპშეკრული. მე ვითომ აინუნში არ ჩავაგდე ეს ამბავი, ადგილიდან არ დავძრულვარ, ისე ვუთხარი: - თავი დაგვანებეთ, უსახლკარონი ვართ და საყდარში ღამის გასათევად შემოვედით.

ერთმა პოლიციელმა რაღაც ნივთი დამიტრიალა ცხვირწინ, ჯერ კარგად არ ვიყავი გამოფხიზლებული, ვერ გავარჩიე, რა ეჭირა ხელში, მომეჩვენა, თითქო კრიალოსანი იყო, მაგრამ მალე ნათლად დავინახე ლალის გულქანდა.

- ჰმ, ღამის გასათევად. ეს რა არის, რას იტყვი, სიზმრებისთვის ხომ არ დაგჭირდა? - მკითხა პოლიციელმა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, დაგვაპატიმრეს და პოლიციაში მიგვაბრძანეს.

განთიადი დგებოდა, საყდრიდან რომ გამოვედით, ქუჩაში ძე-ხორციელი არ ჭაჭანებდა, პოლიციელების შუა ჩამდგარნი, თავჩაღუნული მივაბიჯებდით, ცოლი წინ, მე უკან. ცოლს თმა ყალყზე დადგომოდა, თან ისეთი პატარა იყო თავისი მოკლე კაბით ის საცოდავი, რომ სიბრალულით გული დამეწვა და პოლიციელს ვუთხარი:

- ეჰ, მებრალება ჩემი ცოლ-შვილი.

- შვილებიც გყავს, სად არიან? - მკითხა პოლიციელმა. ავუხსენი, სადაც მყავდნენ

  შვილები.

- ოჯახის მამა ყოფილხარ... ეგ როგორ დაგემართა, შე კაი კაცო, როგორ ჩაიდინე ასეთი რამე. ნუთუ შვილებზე არ ფიქრობდი? - მისაყვედურა პოლიციელმა.

- სწორედ იმიტომ ჩავიდინე, შვილებზე რომ ვფიქრობდი, - მივუგე.

პოლიციის განყოფილებაში რომ მივედით, საწერ მაგიდასთან ქერა, ახალგაზრდა კაცი იჯდა, ჩვენ რომ დაგვინახა, წამოიძახა:

- აა, საღვთო სამკაულების ქურდები!

- უფალი მოწმეა! მე ბრალი არ მიმიძღვის!.. - უცებ საშინელი ხმით დაიღრიალა ჩემმა ცოლმა.

- შენ თუ არ მიგიძღვის ბრალი, ალბათ შენს ქმარს მიუძღვის! - უთხრა პოლიციელმა.

- არა, არც ისაა დამნაშავე.

- მაშ, მე ვყოფილვარ დამნაშავე... ერთი ეს მიბრძანე, თუ დამნაშავე არა ხარ, საიდან გაგიჩნდა ხელში გულქანდა?

- მადონა საკურთხევლიდან ჩამოვიდა, თავისი ხელით გააღო ვიტრინა, აიღო გულქანდა და მომცა.

- ოჰო, მადონამ საკუთარი ხელით მოგცა?.. ღორის შაშხი ხომ არ მოგართვა კიდევ?

- აი, ამ ადგილზე გამაქვავოს ღმერთმა, თუ ვტყუოდე. - ხელი ზეაღაპყრო ჩემმა ცოლმა და კვლავ საშინელი ხმით დაიღრიალა.

არ ვიცი, რამდენხანს გაგრძელდა ჩვენი დაკითხვა, ოღონდ მე სრული სიმართლე ვუთხარი პოლიციელებს- არაფერი არ ვიცი-მეთქი. ცოლი კი ჯიუტად გაიძახოდა, მადონამ თავისი ხელით მომცა გულქანდაო და დროდადრო წამოიყვირებდა:

- ხალხნო, მუხლი მოიყარეთ სასწაულის წინ!

შეშლილს ჰგავდა ჩემი ცოლი. ბოლოს საქმე იმით დამთავრდა, რომ ის გზას გაუყენეს. პოლიციელებს რომ მიჰყავდათ, ისევ ისე გაჰყვიროდა ის საბრალო, მადონას უხმობდა. მგონია ლაზარეთში წაიყვანეს, რადგან პოლიციის კომისარმა მკითხა, როგორ ფიქრობ, ხომ არ შეიშალა შენი ცოლიო.

- ადვილი შესაძლებელია, - მივუგე პოლიციელს.

შეშლილები ხომ ავადმყოფები არ არიან, მათ ყველაფერი სხვანაირად ეჩვენებათ. მერე გავიფიქრე, ვინ იცის, იქნება ჩემმა ცოლმა სიმართლე თქვა. საშინლად დამწყდა გული, ჩემი თვალით რომ ვერა ვნახე, როგორ ჩამოვიდა მადონა საკურთხევლიდან, როგორ გააღო ვიტრინა და როგორ მისცა ჩემს ცოლს ლალის გულქანდა.

ბედი შენც გაგიღიმებს

ბავშვობაში მე და ჩემმა ტოლებმა, სხვა მრავალ თამაშობაში, ერთი თამაშიც ვიცოდით-სათვალავი, რომელიც ასე იწყებოდა:

თხა ბოსტანში კიკინებს

კატა სხვენზე იძინებს...

და ასე მთავრდებოდა:

ერთი, ათი, ათასი... ბედი
შენც გაგიღიმებს.

რომ იცოდეთ, როგორ მინდოდა, ამ თამაშის დროს დამთვლელს ჩემთვის ეტაკებია თითი მკერდში და ეთქვა: „ბედი შენც გაგიღიმებს“. რას იზამთ! მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, გავიზარდე, დავვაჟკაცდი, მაგრამ ხასიათი არ შემცვლია, სულ იმის იმედით ვიყავი, როცა იქნება ბედი გამიღიმებს-მეთქი. მაინცდამაინც ბედის ნებიერი არ გახლავართ. ძალიან მოკრძალებული ვარ და ჩემი მოკრძალებული ხასიათის გამო ვერ იქნა და ვერ მოვეწყე ხეირიან

ადგილზე. ძალიან რომ გამიჭირდა, იძულებული გავხდი არასახარბიელო საქმისთვის მომეკიდა ხელი: მენაგვედ ვმუშაობ ქალაქის სამმართველოში.

რას არ ჩმახავენ, რას არ ყბედობენ მენაგვეებზე: მენაგვეზე დაბლა არავინ დგას, მათხოვარიც კი სჯობს მენაგვესო და ვინ მოთვლის კიდევ რას მიედ-მოედებიან. აბა, დაფიქრდით, რა მოხდებოდა ქვეყნად, მენაგვეები რომ არ იყვნენ. იცოცხლე, ჩვენს ფასს ხელად გაიგებენ ხოლმე, როგორც კი გავიფიცებით, უცებ გაივსება ქალაქი ნაგვით. ნარცხის ორმოები გათავპირდება, ყველაზე კარგ ქუჩებში უფრო მეტი ნაგავი გროვდება, იმიტომ რომ შეძლებული ხალხი ღარიბებზე მეტად ანაგვიანებს ქუჩას. ნაგავზე ხელად შეატყობთ, როგორი ხალხი ცხოვრობს ამა თუ იმ ქუჩაზე. სწორედ ამ დროს გამოჩნდება თვალნათლივ, რომ უჩვენოდ ქვეყანა ნაგვით აივსებოდა.

ჰოდა ასე! დავატარებდი აქეთ-იქით სანაგვე ოთხთვალას და ვფიქრობდი, ფუჭი ოცნებით თავს რად ვიტყუებ, ვერაფერ კარგს ვეღარ ვეღირსები, ვეღარასოდეს ვეღარ გავიგონე იმ ტკბილ სიტყვებს, ბავშვობაში ეგრერიგად რომ მიჩქროლებდა გულს-„ბედი შენც გაგიღიმებს“.

განსაკუთრებით ქალებში არ მწყალობდა ბედი, მომეწონებოდა თუ არა ქალი და გულახდილად ვეტყოდი, მენაგვე ვარ-მეთქი, მაშინვე წარბს შეყრიდა, ტუჩს აიბზუებდა, თითქოს

ქურდბაცაცობაში გამოვუტყდი და ადრე თუ გვიან მაინც მიმატოვებდა. ბევრი ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩემი ხელობა დავმალო, საბოლოოდ მაინც სილვესტრომ დამარწმუნა, სწორედ ასე უნდა მოიქცეო. ერთ დილას, ჩვეულებისამებრ კარდაკარ რომ დავდიოდით, სილვესტროს შევჩივლე, ქალებს ჩვენი ხელობა არ მოსწონთ-მეთქი.

- ჭუჭყიანი საქმეა და იმიტომ. ქალებს ასეთი რამ არ უყვართ... გირჩევნია დამალო, რომ მენაგვე ხარ.

- მაშ რა ვუთხრაქალებს, ვითომ ვინა ვარ?

- ქალაქის სამმართველოში ვმუშაობ-თქო. ეს ხომ მართლაც ასეა... ჩვენ ყველანი მუნიციპალიტეტის თანამშრომლები ვართ, მენაგვეებიც, ცნობათა ბიუროშიც მომუშავეებიც და მათთან ერთად სხვები.

საუბარში მეორე ამხანაგიც ჩაერია, ფერდინანდო. მე და ფერდინანდო ერთი ხნისა ვართ, ჭორფლიანი, მწითური ვაჟია, სათვალეს ატარებს.

- ჩემი აზრით, შენ ცდები, სილვესტრო... რატომ უნდა დამალო შენი ხელობა? სხვა ხელობაზე

ვითომ რითია ცუდი?.. ჩვენ ისეთივე მშრომელები ვართ, როგორ ყველა სხვა. თუ შენს ხელობას მალავ, მაშასადამე, ცრუ რწმენას ემონები.

- ერთი ამას დამიხედეთ, - წამოიძახა სილვესტრომ, - არიან თუ არა ისეთები, ვინც მასხარად იგდებს მენაგვეებს? მითხარი, რა ჯობია ლუიჯისათვის, ამ აზრს ებრძოლოს, თუ გოგოს შეაყვაროს თავი? აბა, მტვირთავები აიღე... ისინიც მუშები არიან, მაგრამ ხან დამტარებელს დაირქმევენ, ხან შიკრიკს და ვინ იცის კიდევ რას. სახელს იცვლიან, საქმეს კი არა, და ეს სულ იმავე ცრურწმენით მოსდით.

- დამიჯერე, ლუიჯი, - ჯიუტად წამოიძახა ფერდინანდომ, - ნურასოდეს ნუ დამალავ შენს ხელობას. თუ ქალი მაგას აქცევს ყურადღებას, ეს იმას ნიშნავს, რომ მისთვის სწორედ ესაა მთავარი და არა შენ.

ამგვარი კამათით მივყვებოდით გზას, ნაგვით სავსე ოთხთვალაზე წამოსკუპებულები, ნოემბრის ერთ ნისლიან დილას. ბოლოს ერთ სახლთან შევაყენეთ ოთხთვალა, ფერდინანდომ ტომარა აიღო, ძირს ჩახტა და მხიარული სტვენით შევიდა ჭიშკარში.

- სილვესტრო, მოხუცი ხარ, მივუბრუნდი ისევ სილვესტროს, - ცხოვრებას ჩვენზე უკეთ იცნობ, მირჩიე, რა ვქნა?

სილვესტრომ პირიდან ჩიბუხი გამოიღო და დინჯად წამოიწყო:

- ფერდინანდო თავისი ხელობით ტრაბახობს, მაგრამ ჩემი აზრით, ეს ტრაბახი სწორედ იმის ნიშანია, რომ თავისი ხელობა ეთაკილება... აი, მე არა მრცხვენია, მენაგვე რომ ვარ... არც ვტრაბახობ, არც ვმალავ... მენაგვე ვარ, მორჩა და გათავდა.

- მაინც, რა უნდა ვქნა, სილვესტრო?

- ჰო, შენი საქმე სულ სხვაა... გირჩევნია დამალო. აკი გითხარი: თქვი, მუნიციპალიტეტში ვმუშაობ-თქო.

სილვესტროს რჩევა არცთუ დიდად დამიჯდა ჭკუაში. გულში მაინც მჯეროდა, რომ ხელობის დამალვა ურიგო საქმე იყო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ აზრი შემეცვალა და აი რატომ: ერთხელ ბორგეზეს პარკში შევედი, საგარეო ტანსაცმელი

მეცვა, არც მენაგვის ქუდი მეხურა და არც წინსაფარი მეკეთა. სკამზე ჩამოვჯექი და ისევ ჩემს გასაჭირზე დავფიქრდი. არა, სილვესტრომ მაინც გონიერი რჩევა მომცამეთქი, გადავწყვიტე. თან რაღაც უცნაური გრძნობა აღმეძრა, ასეთი გრძნობა ზოგჯერ სიზმარში იპყრობს ადამიანს, როცა ეზმანება, რომ პერანგის ამარა დასეირნობს ქუჩაში, ყველაფერი უჩანს, თვითონ კი არ იცის, რომ წელსქვემოთ

ტიტველია. უცებვიღაც ეტყვის, შიშველი ხარო, სირცხვილით დაიწვება და გაეღვიძება. მთელი ორი წელი ვიყავი მენაგვე და არ მეთაკილებოდა, ისე გამოდის, რომ ამ ორი წლის მანძილზე პერანგის ამარა დავდიოდი და ვერ ვამჩნევდი.

ნოემბრის ოდნავ ნისლიანი, თბილი, საუცხოო დღე იდგა, ხეები წითელ-ყვითელი ფოთლებით შემოსილიყო, ქუჩებში ბავშვიანი ქალები გამოფენილიყვნენ. ისე ვიყავი ფიქრში წასული, ვერც კი შევნიშნე ჩემს სკამზე როგორ ჩამოჯდა ქალიშვილი, რომელსაც ბავშვი გამოეყვანა პარკში. ეტყობოდა, ბავშვის აღმზრდელად მუშაობდა. უცებ მისმა ხმამ გამომარკვია:

- ბეატრიჩე შორს ნუ წახვალ, - დაუძახა ქალიშვილმა ბავშვს, რომელიც იქვე, შორიახლოს თამაშობდა.

ქალიშვილი შევათვალიერე. ნორჩი, პირმრგვალი, ლოყაწითელი გოგონა იყო, მაჯის სიმსხო ნაწნავი თავზე შემოეხვია. განსაკუთრებით თვალები მომეწონა, შავი, მოციმციმე, ხავერდოვანი, მოცინარი თვალები. ხელში ბავშვის პალტო და სათამაშო სათლი ეჭირა. ბავშვი ჩაცუცქულიყო და სილაში თამაშობდა. ქალიშვილმა დაჟინებული მზერა რომ იგრძნო, ჩემკენ შემობრუნდა და მითხრა:

- მე გიცნობთ, თქვენ კი ვერა.

„ზურგზე ნაგვის ტომარამოკიდებული თუ დამინახა“, გავიფიქრე და ალმური მომედო სახეზე.

- სინიორინა, უთუოდ გეშლებათ, მივუგე აჩქარებით, - მე თქვენ არასოდეს არ მინახავხართ. - მე მაინც გიცნობთ. რაკი გადავწყვიტე ტყუილის თქმა, ბოლომდე ასე უნდა გამეგრძელებია.

- შეუძლებელია... თუმცა, ვინ იცის, იქნებ ცნობათა ბიუროში მნახეთ. იქ ვმუშაობ... ჩვენთან ხომ ზღვა ხალხი შემოდის.

- მაშ ცნობათა ბიუროში მუშაობთ? - მკითხა ქალიშვილმა და როგორღაც უცნაურად დამაცქერდა.

- დიახ, სინიორინა.

- რომელ განყოფილებაში?

- ხან ერთში, ხან მეორეში... როგორც მომიხდება. იქ ბევრი განყოფილებაა.

- ჰო, ალბათ, იქ გნახეთ. სწორედ ამ ორი დღის წინათ ვიყავი ცნობათა ბიუროში.

- უთუოდ ასეა.

ჩვენ რომ ამ საუბარში ვიყავით გართული, გოგონას დამჭკნარი ფოთლების და ნაგვის გროვაში ჩაეყო ხელები და ქექავდა.

- ბეატრიჩე, რა გინდა მაგ ნაგავში, - დაუყვირა ქალიშვილმა, - კარგი ბავშვები ნაგავში ხელს არ ურევენ.

სიტყვა „ნაგვის“ გაგონებაზე უნებურად შევკრთი და ისევ გავწითლდი. თითქოს ჩემს ჯიბრზე მეეზოვეც გამოჩნდა, ფორმის რუხი, საზიზღარი ტანსაცმელი ეცვა, ხელში ცოცხი ეჭირა, აქანდაზი აიღო და ნაგავი ახვეტა.

- ამ ჩამოცვენილი ფოთლებისაგან ალბათ ერთიორად ემატებათ საქმე მეეზოვეებს, - მითხრა ქალიშვილმა. ისევ წამოვენთე სახეზე და იმ იმედით, რომ ქალიშვილი კვერს დამიკრავდა, ვუთხარი:

- რას იზამთ, ეს მათი ხელობაა. ესენის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები არიან, როგორც მე... ისინი ჰგვიან, მე ვწერ. მხოლოდ ამაშია განსხვავება.

- მე ჯაჩინიტა მქვია... თქვენ? - მკითხა ქალიშვილმა და ისევ უცნაურად, დაჟინებით ჩამაცქერდა.

- ლუიჯი.

ასე გავიცანით ერთმანეთი. თავისი მისამართი არ გამიმხილა, არ მინდა ქალბატონმა გაიგოს, თქვენ რომ რომ გაგიცანითო. რატომღაც გულმა მიაზრა, რომ ჯაჩინიტა სწორედ იმ უბანში ცხოვრობდა, საიდანაც ჩვენ ყოველ დილას გაგვქონდა ნაგავი.

დავუახლოვდით ერთმანეთს, ხშირად ვხვდებოდით. კვირა დღეს მუდამ ერთად ვატარებდით. დავდიოდით კინოში, ფეხბურთზე და ხანდახან ყავახანაშიც. ჯაჩინიტა შემიყვარდა, შემიყვარდა უმეტესად მისი ხასიათის გამო. ასეთი ქალიშვილი აქამდე არ შემხვედრია. მშვიდი, სათნო, ნარნარი. ცოტა გულჩახვეული კი იყო, ჩუმი და უთქმელი. დუმილი უყვარდა. რომ ველაპარაკებოდი, ის მხოლოდ ალერსიანად მიკანტურებდა თავს, თითქოს მიდასტურებს: „სწორედ ასეა, კარგია, მართალი ხარ“. ჯაჩინიტა დუმდა, მაგრამ მისი თვალები,

მეტყველებდნენ. გადამეტებული სითამამის ნებას არასოდეს მაძლევდა. კინოში რომ ვისხედით, ერთი-ორჯერ ხელზე ხელი მოვკიდე, ეს იყო და ეს. ხშირად ველაპარაკებოდი ცნობათა ბიუროზე, ამით მინდოდა დამემტკიცებინა, რომ მართლა აქ ვმუშაობდი, მაგრამ, ჩემდა უნდებურად, უფრო ხშირად, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვდა, ნაგავზე და მენაგვეებზე გადავიტანდი ხოლმე საუბარს. ერთხელ ჯაჩინიტას ველოდი, რატომღაც დაიგვიანა, რომ მოვიდა, თავი ვეღარ შევიკავე და საყვედური ვუთხარი:

- ბოლოს და ბოლოს, მეც კაცი ვარ. ნაგავი ხომ არა ვარ?

უმალ ენაზე ვიკბინე და გავწითლდი. მომეჩვენა, თითქოს ჯაჩინიტას ჩემს სიტყვებზე გაეღიმა.

ისე მიყვარდა ჯაჩინიტა, რომ უიმისოდ სიცოცხლე ვერ წარმომედგინა. ჯვარი უნდა დავიწეროთ-მეთქი, ვფიქრობდი. მაგრამ ჯერ ხელობა უნდა გამომეცვალა. ეს კი არცთუ ისე ადვილი საქმე იყო. მეთქვა მისთვის სიმართლე? ესეც შეუძლებლად მიმაჩნდა, რადგან ძალიან ბევრი ტყუილი დავფქვი, გამოჩნდებოდა ჩემი ცრუპენტელობა, ქალებს კი ბაქიები არ უყვართ.

თავისუფალ დროს ქალაქში დავეხეტებოდი, სამუშაოს ვეძებდი, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ვერას გავხდი. ბოლოს ერთ გამოსავალს მივაგენი, ვიფიქრე, ჯაჩინიტას ვეტყვი, ვითომ

უმუშევარი დავრჩი. ჩემს ადგილს თავს ვანებებ, მენაგვეს უმუშევარი მაინც სჯობს. მაგრამ არ დამცალდა გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა.

დილდილაობით მუდამ ერთ და იმავე უბანს შემოვივლიდით ხოლმე. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ოთხთვალაზე სამნი ვისხედით. სილვესტრო კოფოზე იყო წამოჭიმული, განუყრელი ჩიბუხი პირში ჰქონდა გარჭობილი და ქაჩავდა, ხელში კი სადავეები ეჭირა.

ფერდინანდო ნაგვის გროვაზე იყო წამოსკუპებული, ხელში რომელიმე სანაგვიდან ამოქექილი ჟურნალი ან გაზეთი ეჭირა და კითხულობდა. მე კი დღენიადაგ ჯაჩინიტაზე ვოცნებობდი და ვერც ჩემს ტყუილს ვივიწყებდი.

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ლიბერტოს მოედნის მახლობლად, დილაადრიან შევაყენეთ ჩვენი ოთხთვალა სამსართულიან, ყვითლად შეღებილ სახლთან. უსიტყვოდ ავიღე ჩემი ტომარა, რადგან რიგით მე მეკუთვნოდა ყვითელ სახლში ბინების ჩამოვლა. ძველისძველი სახლი იყო, არც ლიფტი ჰქონდა, თან ისეთი სიჩუმე იდგა, თითქოს კაციშვილი არ ჭაჭანებდა მთელ სახლში. სულ სამი ბინა იყო. ორ საფეხურს ვაბიჯებდი, ხელად ავირბინე მესამე სართულზე და კარზე დავაკაკუნე. თუ არა ვცდები, აბრაზე „ჯინეზი“ ეწერა. ბუნდოვნად მახსოვდა, რომ კარს ხანში

შესული მზარეული ქალი აღებდა - ფრიულიელი, პირკუშტი, ვაჟკაცური ქალი. იმ დილას, კარი რომ გამიღეს, თავი არ ამიწევია, ისე გავუწოდე ტომარა და ანგარიშმიუცემლად ჩავილაპარაკე:

- მენაგვე.

მაგრამ მზარეული ქალის შავი, უხეში ხელების ნაცვლას, პაწია თეთრმა ხელებმა რომ გამომიწოდეს ალუმინის სათლი, უნებლიეთ თვალი ავწიე.

დიახ, ის გახლდათ. მერე გავიგე, რომ იმ ოჯახში ორი მოახლე ჰყავდათ. სუფთა, ნაზი და ფაქიზი ჯაჩინიტა, ბავშვების მომვლელი, რომელსაც ნაგავი არასოდეს გაუტანია, და მზარეული ქალი. იმ დღეს მზარეული ქალი ავად გამხდარიყო. ისიც, მერე გავიგე, რომ ჯაჩინიტა მოულოდნელობისგან ისე დაიბნა, როცა კარის ზღურბლზე დამინახა, რომ ხმა ჩაუწყდა თურმე და კრინტი ვეღარ დაძრა. მე კი მომეჩვენა, რომ მისი მშვენიერი შავი თვალები დაცინვით შემომყურებდნენ, რადგან სათლი უსიტყვოდ

გამომიწოდა. ჯერ ალმური მომედო, მერე გავფითრდი, სათლი ტომარაში ჩავცალე, ზურგზე წამოვიკიდე და კიბეზე დავეშვი.

უცებ მთელი სიცხადით დამიდგა თვალწინ ჩემი საკუთარი თავი, როგორი ვიყავი მენაგვის ქუდით და ზოლებიანი, აყროლებული წინსაფრით. მენაგვე, ნამდვილი მენაგვე, რის მოხელე, რა

მოხელე! სირცხვილით დავიწვი, ვიგრძენი, რომ ჯაჩინიტას თვალით ვეღარ დავენახვებოდი, გამბედაობა არ მეყოფოდა. სხვა ბინებში აღარ შევსულვარ, პირდაპირ გავვარდი ქუჩაში, ტომარა ოთხთვალაზე შევაგდე, წინსაფარი და ქუდიც მივაყოლე და ფერდინანდოს ვუთხარი:

- წაიღე ეს, ფერდინანდო... კმარა, მეტი აღარ შემიძლია...

- რა იყო, რა მოგელანდა? ხომ არ შეიშალე!

- არა, არ შევშლილვარ, მშვიდობით!

იმ დღეს მე და ჯაჩინიტა ერთმანეთს უნდა შევხვედროდით. რა თქმა უნდა, ვეღარ გავბედე წასვლა. ერთ მკერავ ქალთან კიბის ქვეშ კუთხე მქონდა დაქირავებული, მივედი, დავემხე ჩემს საწოლზე და მთელი დღე არ წამოვმდგარვარ. ტირილი მინდოდა, მაგრამ ცრემლი გამიშრა. სწორედ ისე მომივიდა, ცხვირში რომ უხიცინებს ადამიანს და ვერ აცემინებს, საღამო ხანი იყო, რომ გამეღვიძა. უკვე მთლად გადამიწყდა იმედი, აშკარა იყო, რომ მე და ჯაჩინიტას შორის ყველაფერი გათავდა. მეშინოდა, ვაითუ სამუშაო ვეღარ ვიშოვო-მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ, სრულიად

მოულოდნელად ბედმა გამიღიმა და რამდენიმე დღეში დარაჯად მოვეწყვე ერთ მშენებლობაზე, ქალაქგარეთ.

ყარაული ძაღლივით ვიყავი ოთხი თვის განმავლობაში მიჯაჭვული იმ მშენებლობაზე. ერთ კვირა დღეს, როგროც იყო, დრო ვიპოვე და რომში წავედი. რისორჯიმენტოს მოედანზე სილვესტრო შემხვდა.

- გვიან გავიგეთ შენი წასვლის მიზეზი, - მითხრა სილვესტრომ. - იმ ქალიშვილის გულისთვის გაიქეცი, არა? ეეჰ, ძალიან, ძალიან ცუდად მოიქეცი, ლუიჯი. იმ გოგოს უყვარდი... უყვარდი იმიტომ, რომ ეს შენ იყავი და არა სხვა. ასე თქვა, ლუიჯის მერე თუ ვინმეს შევიყვარებ, ისევ თქვენი წრიდან უნდა იყოსო. ქალაქის სამმართველოს ფორმის ქუდს რომ დავინახავ, ან მხარზე ტომარამოგდებულ კაცს, ფეხქვეშ მიწა მეცლება, გული მიცემს. ნაგვის ოთხთვალა ყველაზე ძვირფას მანქანას მირჩევნიაო. ჰოდა, საქმე იმით დამთავრდა, რომ ის ახლა ფერდინანდოს ცოლია.

- როგორ თუ ფერდინანდოს ცოლი?

- როგორ და ისე... მენაგვე უნდოდა და იპოვნა კიდევაც...

ფერდინანდო არათუ მალავდა თავის ხელობას, ეამაყებოდა კიდეც. ჰოდა, ჯვარიც დაიწერეს.

ცივად შევტრიალდი, არც კი გამოვემშვიდობე სილვესტროს, სიმწრით ხელებს ვიჭამდი. მთელი ცხოვრების მანძილზე ერთხელ გამიღიმა ბედმა, ერთხელ მარგუნა წილად ბედნიერება, მე კი ვერ მივხვდი და ხელი ვკარი კარზე მომდგარ ბედს. ქვეყნად ერთადერთი ქალი აღმოჩნდა, რომელსაც მენაგვის ხელობა მოსწონდა, მე კი რა ვქენი?

სწავლა სიბერემდეო, ნათქვამია, მაგრამ რაც უნდა ისწავლო, რა გამოცდილებაც უნდა გქონდეს, შეცდომებისგან მაინც არა ხარ დაზღვეული. განა ამჯერად ასე არ დამემართა? მე ველოდი, ვოცნებობდი, ბედმა კი სხვას გაუღიმა.

არამზადის სახე

ჩემს სიცოცხლეში ამანათი არ მიმიღია. გულით მინდა ერთხელ კიდევ მივიდე ფოსტაში და ამანათების განყოფილებაში შევიხედო. ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემს სახელზე მევე გავგზავნო ამანათი. მე ხომ სწორედ იქ, ფოსტის იმ ძველთაძველ შენობაში გამიღიმა ბედმა, იმ შენობაში, სადაც დახუთული ჰაერი სველი ნახერხის სუნითაა გაჟღენთილი, დახვავებულია ამანათები და ირგვლივ ყველაფერი მელნის ლაქებითაა აჭრელებული. მართალია, ბედმა დიდი ვერაფერი მარგუნა წილად, მაგრამ ის, რასაც ახლა ვაკეთებ, ამანათების გაცემას მაინც სჯობს.

ვინ იცის, იქნებ ქალბატონი ვალენტინა ისევ იქაა. ვალენტინას წაბლისფერი, ხუჭუჭა თმა პანსიონის მოწაფესავით მხრებზე აქვს ჩამოშლილი, თვალები მოციმციმე ვარსკვლავებს მიუგავს, შავი წინსაფარი მის ფერმკრთალ, მრგვალ სახეს უფრო თეთრ, თითქმის გამჭვირვალე იერს აძლევს. კარგად ვიცი, რომ ვალენტინა, მიუხედავად სათნო სახისა, ძალიან ამაყიცაა და ამანათების გასაცემ ფანჯარაში დამინახავს თუ არა, ალბათ ისეთ სახეს მიიღებს, ვითომც ვერ მიცნო. უხმოდ გამომიწოდებს დაქექილ, მელნის ლაქებით აჭრელებულ ამანათების დავთარს, ვარდისფერ თითს დაადებს იმ ადგილს, სადაც ხელი უნდა მოვაწერო და სერიოზული ქალიშვილის კილოთი მეტყვის: „აი, აქ მოაწერეთ“. მერე უკმეხად მომახლის ამანათს, არც კი

შემომხედავს, ისე გავა უკანა ოთახში, დადგება ამანათებით დახერგილ თაროებთან და თავის საყვარელ კინოჟურნალს გადაშლის.

დიახ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბედმა სწორედ იმ ამანათების განყოფილებაში გამიღიმა. ყველაფერი კი ვალენტინას გამო მოხდა, იმიტომ რომ ვალენტინა კინოთი იყო გატაცებული. მე ჩემი კუშტი, შეუხედავი სახით, არხეინად ვიჯექი იმ განყოფილებაში, ამანათების გაცემის გარდა არაფერზე არ ვფიქრობდი, რადგან ჩემი ხვედრით მეტად კმაყოფილი გახლდით. რამდენიმე წლის უმუშევრობის შემდეგ ძლივს მოვეწყვე ამ ადგილზე. ვალენტინა კი, პირიქით, ვერ ურიგდებოდა თავის ხვედრს, მშვენიერი გოგონა იყო, ფოსტაში მუშაობა არ უნდოდა და დღენიადაგ კინოზე ოცნებობდა. არ ვიცი, ასე რამ გააგიჟა კინოზე. ზოგიერთები რაკი კინოში დადიან, ჰგონიათ ჩვენც შეგვიძლია თამაშიო. ვალენტინაც ასე იყო, პირდაპირ ჭკუას ჰკარგავდა, ისე უნდოდა კინომსახიობობა.

მე და ვალენტინას სიყვარულზე არასოდეს სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისათვის, თუმცა მე ცოტათი მაინც მიყვარდა ვალენტინა და ვგონებ, ერთხელ რაღაც წამომცდა კიდეც. ერთად არასოდეს არსად წავსულვართ, არც კინოში, არც ყავახანაში. ვალენტინა ფოსტის თანამშრომლებს ქედმაღლურად გვიყურებდა, განზე იდგა ყველასგან, არარაობად გვთვლიდა. ერთხელ გულახდილად მითხრა:

- რენატო, შენთან ერთად ხალხში ვერ გამოვჩნდები, საზიზღარი სახე გაქვს.

- ვითომ რადა მაქვს საზიზღარი სახე?

- ნუ მიწყენ რენატო, ვიცი, რომ კარგი ადამიანი ხარ, მაგრამ შენ არამზადის სახე გაქვს.

დიდხანს არ გაუვლია ამ ლაპარაკის შემდეგ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ამანათების გასაცემ ფანჯარაში, ქერათმიანმა პეწენიკმა თავი შემოჰყო. ჰალსტუხი ნიკაპქვეშ ჰქონდა გაბანტული. ვალენტინამ უწყება ჩამოართვა და ამანათის მოსაძებნად შეტრიალდა. უცებ ყმაწვილმა დაუძახა:

- სინიორინა! ვალენტინა მკვირცხლად მიბრუნდა მისკენ.

- სინიორინა, - გაიმეორა ახალგაზრდა კაცმა, - თქვენთვის არავის უთქვამს, რომ კინოში შეგიძლიათ იმუშაოთ?

მე განზე ვიდექი და თვალს ვადევნებდი ამ სურათს. დავინახე, როგორ წამოენთო სახეზე

ვალენტინა ამ სიტყვების გაგონებაზე. საწყალს თავის ცხოვრებაში პირველად შეუფერიანდა სახე.

- არა, არავის უთქვამს. რატომ მეკითხებით?

- იმიტომ გეკითხებით, - ისევე ძალდაუტანებელი სითამამით განაგრძო ყმაწვილმა, - რომ თქვენ მშვენიერი სახე გაქვთ.

- გმადლობთ, - წაილუღლუღა შუა ოთახში მდგარმა ვალენტინამ, თან აღელვებით სრესდა თითებით თავის წინსაფარს.

ახალგაზრდა კაცი თითქოს ამ თემაზე საუბრის გაგრძელებას აღარ აპირებდა, ერთხელ კიდევ დაკვირვებით შეხედა ვალენტინას და უთხრა:

- კარგი, რა გაეწყობა. ახლა კი ჩემი ამანათი მიბოძეთ.

ვალენტინა მორჩილად შებრუნდა ამანათის მოსაძებნად. მე ნაძალადევი სიმშვიდით ფეხდაფეხ გავყევი ვალენტინას. სწორედ იმ დროს მივედი მასთან, როცა აკანკალებული ხელებით ერთი თაროდან მეორეზე ალაგებდა ამანათებს, და ხმადაბლა ვუთხარი:

- ნუთუ გჯერა ამ ტიპის?

- თავი დამანებე, - ისევე ხმადაბლა მიპასუხა ვალენტინამ.

- მაშ დაუჯერე, არა?

- დამეხსენი-მეთქი.

მოძებნა ამანათი და წავიდა ახალგაზრდა კაცისკენ, რომელსაც ავტოკალამი ამოეღო და რაღაცას წერდა. ამანათი რომ ჩამოართვა, ფურცელი ვალენტინას გაუწოდა.

- სამშაბათს ამ მისამართით მოდით სტუდიაში... სწორედ თქვენისთანა ქალიშვილი გვჭირდება.

ცოცხალ-მკვდარმა ვალენტინამ ქაღალდი ჩამოართვა და წინსაფრის ჯიბეში ჩაიდო. ახალგაზრდა კაცი, გამოეთხოვა და წავიდა.

ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ ვალენტინას ჩემთან ერთად ხალხში გამოჩენა ერცხვინებოდა, რამდენჯერაც ვცადე მისი დაპატიჟება, იმდენჯერ უარით გამისტუმრა. ახლა კი, ის ღირშესანიშნავი დღე - სამშაბათი რომ მოახლოვდა, სწორედ მე მთხოვა:

- რენატო, რატომღაც მეუხერხულება მარტო წასვლა, წამომყევი.

რაღა მაინცდამაინც მე მთხოვა წამომყევიო. არ ვიცი, ძალიან მოკრძალებული იყო და რცხვენოდა, თუ სულ სხვა მოსაზრება ედო ამას საფუძვლად. იქნებ შეუცნობლად, მაგრამ მაინც ჩემი დამცირება სწადდა, უნდოდა თავისი ტრიუმფის მოწმე გავეხადე.

როგროც შეთანხმებული ვიყავით, სამშაბათს ფლამინოს მოედანზე შევხვდით ერთმანეთს. ვალენტინა ისე გამოპრანჭულიყო, თითქოს ბალზე მიდისო. ცისფერი შალის ახალი, ლამაზი პალტო ეცვა, აბრეშუმის წინდები, ბანტიანი ფეხსაცმელი, წითელ ქოლგასაც ბანტი ჰქონდა მობმული და კინკრიხოზეც დაეკოსებია ბანტი. თმა ჩვეულებრივ მხრებზე ჩამოშლოდა. ისეთი მშვენიერი იყო ვალენტინა, სათნო თვალები ისე უციმციმებდა, რომ აღტაცებით სული შემიგუბდა.

- ნუ გეშინია, ვალენტინა, - ვანუგეშე, - უსათუოდ აგიყვანენ... ეეჰ, მერე ჩვენს განყოფილებაში ალბათ არც კი შემოიხედავ.

სტუდია მონტე-მარიოს მთის ძირას, ბალახმოდებული წყნარი ქუჩის თავში იდგა. წინადღით მაგარი წვიმა იყო და ქუჩაში ალაგ-ალაგ წყალი დაგუბებულიყო. ავყევით ქუჩას, გუბეებს

ვახტებოდით, თან თვალი სტუდიისკენ გვეჭირა. უკვე გამოჩნდა ღობე, ჭიშკარი და სტუდიის პავილიონების სახურავები. სტუდიის ეზოში რომ შევდიოდით, მეკარემ რაღაც ჩაიბურტყუნა, ვერ გავიგეთ, რა გვითხრა, მაგრამ შეგვეშინდა და არაფერი ვკითხეთ. ეზოში რომ შევედით, აღარ ვიცოდით, საით წავსულიყავით, რადგან სტუდიას საკმაოდ დიდი ტერიტორია უჭირავს. ღობის მარჯვნივ და მარცხნივ უამრავი მანქანა იყო ჩამწკრივებული. წინ და უკან ჯგუფ-ჯგუფად მიმოდიოდა ხალხი. უმალ თვალში გვეცა, რომ ზოგი ჩვენსავით იყო გამოწყობილი, ზოგს კი ძალიან სასაცილო ტანსაცმელი ეცვა, სახეც აგურისფერი გრიმით შეეთხუპნათ.

- მსახიობები არიან, - ვუთხარი ვალენტინას, - მალე შენც ასევე გამოწყობილი ისეირნებ აქ.

ვალენტინამ ხმა ვერ ამოიღო, სიხარულით და მღელვარებით ენა დაება.

არ ვიცოდით, რომელ შენობაში შევსულიყავით. დავათვალიერეთ იქაურობა და დავინახეთ, რომ ყოველ პავილიონს კარზე თავისი ნომერი ჰქონდა. ალალბედზე მივედით ერთ-ერთ პავილიონთან, კარის სახელურს ხელი მოვკიდე და გამოვაღე. სქელი შალის ნაჭერი ჰქონდა აკრული კარს და უწვავი კარადის კარივით მძიმე მეჩვენა. ზღურბლს გადავაბიჯე, ვალენტინა თითის წვერებზე შემოვიდა. პავილიონი ჩაბნელებული იყო, მხოლოდ ერთ კუთხეს ანათებდა ძლიერი ნათურა და იქ რაღაც უცნაური ნაგებობა მოჩანდა. თითქოს პაპიემაშესაგან იყო

აგებული. უფრო ახლოს რომ მივედით, დავინახეთ, რომ ეს იყო ნახევრადამოყვანილი კედელი, კრამიტით ნახევრადგადახრული, კარიც ნახევარი ჰქონდა, ესე იგი, ერთი ნაწილი კარისა, საიდანაც ოთახის ნახევარი მოჩანდა, შიგნითა კედელი და საწოლი, საწოლზე ნახევრადგაშიშვლებული ქალი იწვა. შუქის ძლიერი ტალღა იმ ქალს ეღვრებოდა, ქალი ხელებს იმტვრევდა, ვიღაც კაცი მუხლით დაბჯენოდა საწოლს, ქალისკენ გადახრილიყო და მუშტი მრისხანედ აღემართა.

- თამაშობენ, ხედავ? - ხმადაბლა ვუთხარი ვალენტინას.

სიტყვა არც კი დამემთავრებინა, რომ ვიღაცამ დაიყვირა: „სიჩუმე!“ ერთ ადგილზე შევხტი, მეგონა მე მიყვიროდნენ. უფრო ახლოს რომ მივიწიეთ, უცნაურ ოთახთან, საწოლს უკან მდგარი აპარატი გამოჩნდა, აპარატთან საკმაოდ ბევრი ხალხი ტრიალებდა, სადღაც ზემოთ, ჩაბნელებულ პავილიონში, ვიღაცები ქანდარაზე ქათმებივით ჩამომსხდარიყვნენ. საწყალი, ნახევრაშიშველი ქალი ისევ მოჰყვა ხელების მტვრევას, კაცმა ისევ აღმართა მუშტი. ვიღაცამ ორ ფირფიტას დასტაცა ხელი, ერთმანეთს შემოჰკრა, კასტინეტებივით გააჩხაკუნა, ამას ისევ ვიღაცის ღრიალი მოჰყვა, სიჩუმეს მოითხოვდნენ, მალე აპარატიც ატკრციალდა, მსახიობი ქალი ხელებს იმტვრევდა, მსახიობმა კაცმა, როგორც იქნა, მოქნეული მუშტი ჩასცხო ქალს, ქალმა დაიკვნესა, მგონი მართლა კვნესოდა, მოსაჩვენებლად კი არა.

სწორედ ასეთი სახით წარმომიდგა სტუდია, პირველად რომ მივედი იქ, ასევე ეჩვენა, ალბათ საბრალო ვალენტინასაც, იმდენი ხნის ოცნების შემდეგ ისიც ხომ პირველად მოხვდა სტუდიაში.

უცებ ვიღაცამ წამოიძახა: „კმარა!“. ტკრციალი შეწყდა მსახიობი ქალი საწოლიდან წამოდგა, ნათურები ჩააქრეს და ირგვლივ ყველაფერი ამოძრავდა. უკვე დადგა შესაფერისი წუთი და მეც ერთ-ერთ მუშასთან მივედი.

- მითხარით, სად ვნახავ სინიორ ძანგარინის?

- ძანგარინი ვინაა? - არცთუ დიდი თავაზით მკითხა მუშამ. დავიბენი. საბედნიეროდ,

  მეორე მუშა უფრო ზრდილობიანი გამოდგა.

- ძანგარინი? ძანგარინის აქ ვერ ნახავთ, მესამე პავილიონში იქნება.

აჩქარებით გამოვედით და მესამე პავილიონისკენ გავეშურეთ. ისეთივე მძიმე კარის გაღება მოგვიხდა, შევედით მესამე პავილიონში, რომელიც ძალიან ჰგავდა პირველს.

ერთი რამით განსხვავდებოდა მხოლოდ, იქაურობა გაჩახჩახებული იყო და აუარება ხალხი ტრიალებდა.

მივედით ერთ ჯგუფთან. რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ. ერთი ლურსმანივით გაწვრილებული, გრძელულვაშა კაცი, რომელსაც კუს ჯავშნის სათვალე ეკეთა, ხელებს იქნევდა და ისე გაცეცხლებული ღრიალებდა, რომ მისი გრძელი ულვაში თეთრად მოელვარე კბილებს ზემოთ ცეკვავდა.

- არ გამოდგება, არ გამოდგება, არა, - ყვიროდა ლურსმანივით წვრილი კაცი.

- რატომ არ გამოდგება? - ჰკითხა მის გვერდით მდგომმა ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც ძანგარინი გამოდგა.

- იმიტომ, რომ მეტისმეტად სიმპათიურია, - უპასუხა ულვაშამ. - იმიტომ, რომ პატიოსანი კაცის სახე აქვს... მე კი ბოროტმოქმედის სახე მინდა, გესმით? ავაზაკის, ველური სახე...

- მაშ პროეტი აიყვანე.

- რას ამბობ! პროეტიც ძალიან სიმპათიურია, გულუბრყვილო იერი აქვს, ერთი სიტყვით, კეთილი კაცის სახე აქვს... არ გამოდგება, არ გამოდგება.

- კარგი, თუ ასეა, სერაფინო აიყვანე.

- სერაფინო? აბა, რას ამბობ! სერაფინოს გულკეთილი კაცის კი არა, ანგელოზის სახე აქვს... უფრო მეტიც, სერაფინოს... რას ამბობ, ვინ დაიჯერებს, რომ ასეთი სათნო სახის პატრონს ცუდი საქმის გაკეთება შეუძლია. ვინ დაიჯერებს, ვინ?

- სინიორ ძანგარინი, ჩვენ გეახელით.

- ვინ თქვენ? - შემოგვიღრინა გაანჩხლებულმა ძანგარინიმ.

- სინიორინა ვალენტინა გეახლათ, - ვუპასუხე და განზე გავდექი. ვალენტინა ძანგარინის მიუახლოვდა, მოკრძალებით დაუკრა თავი. - სინიორინა, ამანათების განყოფილებიდან, თქვენ დაიბარეთ სტუდიაში.

როგროც ჩანდა, ძანგარინის ყველაფერი დავიწყებოდა. უყურებდა ვალენტინას, რაღაცის გახსენებას ცდილობდა. მერე ზრდილობიანად უთხრა:

- უკაცრავად, სინიორინა. ძლიერ ვწუხვარ, მაგრამ თქვენ ამჟამად საჭირო აღარ ხართ.

- რატომ? აკი პარასკევს თვითონ ბრძანეთ, რომ სწორედ ასეთი ქალიშვილი გჭირდებოდათ. - ჩავერიე მე.

- დიახ, გვჭირდებოდა... ახლა კი აღარ გვჭირდება. ჩვენ უკვე სხვა ავიყვანეთ.

- კი, მაგრამ! - წამოვიძახე აღშფოთებულმა. - როგორ შეიძლება, ეგ რა საქციელია?.. დაიბარეთ, ახლა კი ბრძანებთ, რომ სხვა აიყვანეთ.

- რა ვქნა, ასე მოხდა! - წამოიძახა ძანგარინიმ.

ის იყო რაღაც მკვახე უნდა მეთქვა მისთვის, რომ მოულოდნელად გაისმა:

- აი ის!.. აი ის!.. ხედავთ, სწორედ ისაა, ვინც მე მჭირდება!

ეს რეჟისორი გახლდათ. თვალებანთებული მომიახლოვდა და საჩვენებელი თითი მკერდში მატაკა.

- ვინ ის? - ვკითხე დაბნევით.

- ვინ და არამზადა, ისევ დაიღრიალა რეჟისორმა, - თქვენ ავაზაკი ხართ, ქალების შემაცდენელი, მაჭანკალი... განა ასე არ არის?

- როგორ მიბედავთ, - ავენთე შეურაცხყოფისაგან, - მე სახელმწიფო მოხელე გახლავართ... რენატო პარიჯინი.

- არა, თქვენ არამზადა ხართ, სწორედ ის არამზადა, რომელიც მე მჭირდება... თქვენი სახის პატრონი, დიახ, სწორედ ისაა, ვისაც ვეძებდი... ნამდვილი არამზადა!

ვინ იცის რით დამთავრდებოდა ეს ამბავი, ძანგარინი რომ არ ჩარეულიყო. ძანგარინიმ ამიხსნა, რომ ისინი ეძებდნენ კაცს, ავაზაკის როლისათვის. ეს არის პატარა, სახიფათო როლი, თქვენი სახე მოგვწონს, თუ გნებავთ, ახლავე გადაგიღებთ საცდელად სურათსო.

- ვალენტინა?

- ვერა, ვალენტინას ვერ ავიყვანთ. ვალენტინასთან რამდენიც გინდათ, იმდენია, - ახლა უკვე აღტაცებით შეჰყვირა რეჟისორმა. მაგრამ ვალენტინას თვალებში აკიაფებული ცრემლი რომ დაინახა, უცებ გამოერკვა და თანაგრძნობით უთხრა: - სინიორინა, დღეს ჩვენ დაგვჭირდა არამზადას სახე და ვიპოვნეთ, რასაც ვეძებდით. როცა ანგელოზის სახე დაგვჭირდება, თქვენ დაგიბარებთ.

ასე და ამგვარად დამთავრდა საქმე. სტუდიიდან რომ გამოვედით და ბალახმოდებულ ქუჩას გავყევით, ვალენტინას მთელი გზა კრინტი არ დაუძრავს. ტრამვაის გაჩერებასთან ჩვეულებრივ შეყრილიყო ხალხი. ვალენტინამ დაბნევით მიმოიხედა. მას შემდეგ, რაც სიმდიდრეზე ოცნებას შეეთვისა, უთუოდ ეთაკილა ღარიბი ქალიშვილივით ტრამვაით მგზავრობა.

- ნახვამდის, რენატო, - მითხრა მოულოდნელად, - მე ტაქსით წავალ, ძალიან მეჩქარება... ჩემთან ერთად წამოსვლას არ გთავაზობ, რადგან სხვადასხვა მხარეს ვცხოვრობთ.

გონს მოსვლა არ დამაცალა, მთელი თავისი ბანტებით დაიძრა ადგილიდან და წყლით დაფარულ ქუჩას გაჰყვა ტაქსის გაჩერებისკენ.

მას აქეთ აღარ მინახავს ვალენტინა. მეორე დღესვე საცდელი გადაღების შემდეგ, სახიფათო როლში ამიყვანეს. ასე დავიწყე კინოში მუშაობა და დღემდე ვაგრძელებ ამ საქმეს. ეპიზოდური როლების შესრულებაში გავიწაფე, ხშირად უსიტყვო როლებიც მხვდება - ავაზაკების, გარყვნილების, არამზადების, შულერების და ქურდბაცაცების... ამას წინათ ერთი ძველი მეგობარი შემხვდა. მისგან გავიგე, რომ ვალენტინას ჯვარი

დაუწერია ფოსტის თანამშრომელ ჭაბუკზე, რომელიც მისი ფანჯრიდან მეოთხე ფანჯარაში მუშაობს, სადაც იღებენ წერილს მოკითხვამდე.

ბედი არ მწყალობს

ყველაფერში ხელმოცარული ვარ. სადაც უნდა წავიდე, რაც უნდა ვაკეთო, მარცხი თანა მდევს. ქვეყანას რომ მოვევლინე, უთუოდ იმ დღეს რომელიღაც უბედო ვარსკვლავი, კომეტა ან სხვა ამგვარი ავბედითი მნათობი კიაფობდა ცაზე.

მახსოვს, ერთი ჩემი ნაცნობი მექანიკოსი საფრანგეთში წავიდა სამუშაოდ. იქიდან რომ დაბრუნდა, ჩემსავით ჩიოდა, უბედურ ვარსკვლავზე ვარ გაჩენილიო. შემდეგ ის მექანიკოსი ვიღაც არამზადებს დაუმეგობრდა, ღამღამობით ავტომანქანით შემოივლიდნენ ხოლმე ქალაქს, შეარჩევდნენ ერთ-ერთ მაღაზიას, მიაყენებდნენ მანქანას მაღაზიის კართან, რკინის დარაბას ჯაჭვს მოაბამდნენ, ამ ჯაჭვის მეორე ბოლო მანქანაზე იყო დამაგრებული, მანქანას დაძრავდნენ, დარაბა მოწყდებოდა, დაეხვეოდა და ზევით აიჭრებოდა, თავისუფლად შედიოდნენ მაღაზიაში და გაჰქონდათ, რაც უნდოდათ.

იმ მექანიკოსს მკერდზე გილიოტინა ჰქონდა მოსვირინგებული. გილიოტინის თავზე ასეთი ფრანგული წარწერა გაეკეთებია: „pas de chance“, რაც ნიშნავს „ბედი არ მწყალობს“. ისე ოსტატურად ჰქონდა გილიოტინა მოსვირინგებული, კუნთებს რომ შეათამაშებდა, გეგონებოდათ, ესაა გილიოტინის დანა მოწყდება და ძირს დაეშვებაო. მართალია,

გილიოტინაზე არ აუყვანიათ, მაგრამ ციხეში მაინც ამოჰყო თავი, ხუთი წელი მიარტყეს. მკერდზე ამგვარი წარწერის გაკეთება მეც დამშვენდებოდა, თუმცა შუბლზე უფრო მომიხდებოდა. რასაც სხვები აკეთებენ, მეც იმას ვაკეთებ, მაგრამ სხვებს როგორღაც ყველაფერი გამოუდით, მე კი ხელმოცარული ვარ. მაშასადამე, ნამდვილად არ მწყალობს ბედი. უთუოდ ვიღაც ისეთი მოშურნე კი არა, მთელი ქვეყანა გადამიდგა.

სულ იმის ცდაში ვიყავი, წესიერად და პატიოსნად მეკეთებინა, რასაც ხელს მოვკიდებდი. არა, მთლად მამა აბრაამის ბატკანი არ გახლდით, ბოლოს და ბოლოს, ღვთის გარდა, ამქვეყნად უცოდველი არავინაა.

ახალდაოჯახებული ვიყავი, ცოლის ფულით სახარაზო სახელოსნო რომ გავხსენი. ისეთი უბანი შევარჩიე, სადაც უმეტესად მოხელეები ცხოვრობენ. არც შევმცდარვარ უბნის შერჩევაში. საქმე ისაა, რომ ის საწყალი მოხელეები ფეხსაცმელს უფრთხილდებიან, დაწესებულებაში მუშაობენ და წესიერად უნდა ეცვათ. აბა, ჩვენისთანა მდაბიოებივით გაცვეთილი ფეხსაცმლით ხომ ვერ ივლიან! ჩემი სახელოსნო შუა უბანში იყო, დიდ სახლებს შორის. ყოველ ასეთ სახლში ათასი სული მაინც ცხოვრობდა.

იმავე ქუჩაზე, სწორედ ჩემს პირდაპირ, სხვა ხარაზსაც ჰქონდა სახელოსნოო, ნახევრად ბრმა,

სამოცდაათ წელს მიღწეული ბერიკაცი იყო. სახელოსნო რომ გავხსენი, ბებერი ხარაზი მომვარდა და ჩხუბი ამიტეხა. ავი ბერიკაც იყო, ბუსთვალება. ჩემმა ცოლმა დაინახა თუ არა ის კაცი, დამარიგა, ავ თვალს ერიდეო.

ძალიან ცუდად მოვიქეცი, ცოლს რომ არ დავუჯერე. თავიდან საქმეს თითქოს კარგი პირი უჩანდა, გერგლიანი, სიმპათიური ყმაწვილი ვიყავი, მხიარული, მუშაობის დროს ღიღინი მიყვარდა, ხალისით ვაკეთებდი საქმეს. მოახლე გოგოებს, ბატონების ფეხსაცმელს რომ მომიტანდნენ დასაკერებლად, ვეხუმრებოდი, მათთვის ტკბილი სიტყვა არ გამომელეოდა. მალე იმდენი სამუშაო დამიგროვდა, რომ ჩემი სახელოსნო დიდ სალონს არ ჩამოუვარდებოდა. ნელინელ ბერიკაცის ყველა მუშტარი გადმოვიბირე. ის საცოდავი გულზე სკდებოდა, მაგრამ რას გააწყობდა, როცა მე ეშმაკურად ვიქცეოდი, უფრო იაფად ვაკერებდი ფეხსაცმელს, რომ ამით კონკურენტი მომეშორებინა. რა თქმა უნდა, წინასწარ მოფიქრებული გეგმა მქონდა და, როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ბებერი ხარაზის მუშტარი სულ გადმოვიბირე, ჩემი გეგმის განხორციელებას შევუდექი. ერთს ნამდვილი ტყავის ლანჩებს ამოვუკერებდი ფეხსაცმელზე, მეორეს ხელოვნური ტყავის ლანჩას. ასე მოვაკვარახჭინე საქმე. რაკი ოინბაზობას ვერავინ მიმიხვდა, მთლად თავს გავედი და ყველას, ტყავის ნაცვლად, მუყაოს ლანჩებს ვუკერებდი. მართალია, ჩვეულებრივი მუყაო არ იყო, სინთეზური გახლდათ. ასეთ მუყაოს ომის წლებში ამზადებდნენ, და ხატზე დავიფიცავ, რომ ის მუყაო ტყავს თუ არა სჯობდა, არაფრით

ჩამოუვარდებოდა. დიახ, გულმოდგინედ ვაკეთებდი ჩემს საქმეს, გული სიხარულით მიფრინავდა, მუშტართან თავაზიანი ვიყავი და, რა თქმა უნდა, ბერიკაცის გარდა, ყველას ვუყვარდი. უკვე კარგი შემოსავალი მქონდა.

სწორედ იმ ხანებში შემეძინა პირველი ვაჟი. მაგრამ ერთხელ ფათერაკი შემემთხვა. მუშტარს ჩემი დაკერებული ფეხსაცმელი დაერღვა. არ ვიცი, როგორ მოხდა, უთუოდ წვიმის ბრალი იყო. დაზარალებულმა საყვედური მითხრა. ამ ერთს სხვა შემთხვევები მოჰყვა, თითქოს ჯიბრზე ყველა ჩემი დაკერებული ფეხსაცმელი ირღვეოდა. ჰოდა, კარგად მოგეხსენებათ ასეთ ამბავს რაც მოდსევს: ერთმა მეორეს უთხრა, მეორემ მესამეს და ხელად მთელ უბანში გამივარდა ხმა. ჩემთან აღარ მოჰქონდათ ფეხსაცმელი, ისევ ბერიკაცისკენ იბრუნეს პირი. იჯდა სახელოსნოს ფანჯარასთან ბერიკაცი, აკაკუნებდა ჩაქუჩს, ლანჩებს აკერებდა და ულვაშში ეღიმებოდა. რაღას ვიზამდი, ჩალის ფასად გავყიდე სახელოსნო და გუდა-ნაბადი ავიკარი.

მივხვდი, რომ ხარაზობით თავს ვერ გავიტანდი და ხელობის გამოცვლა გადავწყვიტე. ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, წყალსადენის ზეინკალთან რომ ვმუშაობდი და საკუთარ საზეინკლო სახელოსნოზე ოცნებობდი.

არც ამჯერად მოვქცეულვარ დაუფიქრებლად, ყველაფერი წინასწარ ვივარაუდე, ისეთი უბანი

შევარჩიე, სადაც სულ ძველი სახლები იყო. იმ სახლებში კანალიზაციის და წყალსადენის მოწყობილობა, რა თქმა უნდა, დაჟანგებული და ჩაოხრებული იყო. ერთ ისეთ ბნელ, ნესტიან ქუჩაზე გავხსენი სახელოსნო, რომელსაც მზის სხივი არასოდეს

არ ენახა. მენახშირის დუქანსა და სამრეცხაოს შუა თაგვის სოროსავით პაწია ოთახი ვიქირავე, ვიყიდე ხელსაწყოები, რამდენიმე მილი, რამდენიმე ნიჟარა, ონკანები და აბრაც დავკიდე, რომელზეც ასეთი წარწერა გავაკეთებინე: „საზეინკლო მექანიკური სახელოსნო. ბინაზე გამოძახება. წინასწარი ანგარიშსწორება მოთხოვნილების მიხედვით“. მალე გაიჩარხა საქმე. იმ წელს ცივი ზამთარი დაიჭირა, მოთოვა კიდეც და ძველ სახლებში დაჟანგებული მილები ზედიზედ სკდებოდა. საერთოდ, ჩვენში კარგ ზეინკალს იშვიათად შეხვდებით და როცა აბაზანაში მილი, ან ყავის მადუღარა გაფუჭდება, ყველანი კარგ ზეინკალს ეძებენ, რადგან მას ენდობიან, იციან, მის შეკეთებულს წუნს ვერ დასდებენ. კარგად მოგეხსენებათ, რა დღეში არიან დიასახლისები, როცა წყალსადენი, ან ყავის სადუღარი, ანდა აბაზანაში გაფუჭდება ონკანი და წყლით გაივსება იქაურობა. რეკავენ, გეხვეწებიან და როგორც კი მოათავებ შეკეთებას ფულს უსიტყვოდ გაძლევენ. მართლაც, საჭირო კაცია ზეინკალი. ალბათ, ამიტომაც უჭირავთ თავი დიდი ღირსებით და ვაი მას, ვინც ზეინკალს ცუდად მოექცევა. მართალია, ძალიან ვიწრო და ბნელი სახელოსნო მქონდა, ვიტრინაშიც ერთი დუზენი ონკანის მეტი არა მეწყო რა, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საქმე მაინც კარგად მიმდიოდა. ხშირად მიბარებდნენ მუშტრები და სულ მოკლე ხანში იმდენი სამუშაო გამიჩნდა, რომ დილიდან ღამემდე თავაუღებლად ვშრომობდი.

კიდევ უფრო უკეთ წამივიდოდა საქმე, სხვა ზეინკალი რომ არ მომტყვრალიყო და ჩვენს ქუჩაზე, სწორედ ჩემს პირდაპირ არ გაეხსნა სახელოსნო. დაბალი, ქერა, ჩუმი კაცი იყო, კისერი არ უჩანდა, თითქოს თავი კისერზე კი არა, მხრებზე აბიაო. ჰოდა, როგორ ფიქრობთ, იმ ვაჟბატონმა ჩემი მუშტრების გადაბირება არ დაიწყო! ეტყობოდა, მტკიცედ გადაეწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, მიზნისთვის მიეღწია. მივხვდი, რომ ის კაცი თავის განზრახვას შეასრულებდა, თუ დროზე არ მივიღებდი საჭირო ზომებს. ბევრი ვიფიქრე, როგორ შემენარჩუნებია მუშტარი და საქმე უფრო ფართოდ გამეშალა. ბოლოს ასეთი ხერხი მოვიგონე. ვთქვათ, ვინმეს აბაზანაში მილი გაუფუჭდა და შესაკეთებლად დამიბარეს. შეკეთების დროს როცა ქანჩსაბრუნით ქანჩს ვამაგრებდი, ძველ მილს ოდნავ გავღუნავდი იმ ანგარიშით, რომ ეს მილი კედლის სიღრმეში გასკდებოდა, ბინა წყლით აივსებოდა და მუშტარი ისევ დამიძახებდა. ამჯერად უკვე კედლის გამონგრევა მიხდებოდა, ეს უფრო დიდი სამუშაოა და გასამრჯელოც მეტი მოაქვს. ერთი სიტყვით, ერთ ადგილს რომ ვაკეთებდი, განზრახ ვაზიანებდი მეორე ადგილს. ამ ხიმანკლობის წყალობით კონკურენციას გავუძელი და მდგომარეობაც გავიუმჯობესე. ამასობაში მეორე ვაჟიც შემეძინა.

ვცხოვრობდი მშვიდად, ბედს არ ვემდუროდი, რადგან გული საგულეს მქონდა, ხიფათი აღარ მელოდა, მაგრამ კაცმა ნაადრევად არასოდეს არ უნდა იზეიმოს გამარჯვება. მეტოქეობამ ისე გამიტაცა, რომ მეტისმეტად ღრმად შევტოპე, საზღვარს გადავედი და ერთ მშვენიერ დღეს ჩემი

შეკეთებული გაზის კუბი გასკდა აბაზანაში, იქვე მდგარ კარადას ცეცხლი წაეკიდა და მერე მთელ ბინას მოედო. ამ კუბის შესაკეთებლად რომ მივედი და მუშაობა დავიწყე, ერთი ბიჭი სულ თავს დამტრიალებდა, თურმე ტექნიკით გატაცებული იყო და მიხვდა, რაც გავაკეთე. შეუძლებელია იმის აღწერა, რა დღეშიც ჩავვარდი. ხუმრობა

საქმე ხომ არ არის, კინაღამ კატორღაში ამოვყავი თავი. იძულებული გავხდი, ისევ მიმეხურა ჩემი დუქანი და იმ უბნიდანაც ამეკრა გუდა-ნაბადი.

ძალიან ჯიუტი კაცი ვარ, ბედს ქედი არ მოვუხარე და მესამე სახელოსნოს გახსნა გადავწყვიტე. ორი შვილის მამა ვიყავი, უკვე მესამეს ველოდი, აბა რის იმედით დავჯდებოდი გულხელდაკრეფილი. ცოტაოდენი ფული კიდევ მქონდა და ამ ფულით დოშაკების სახელოსნო გავხსენი. ახლა უკვე ქალაქგარეთ, მჭიდროდ დასახლებული უბანი ავარჩიე, სასაკლაოს მახლობლად. ეს უკვე ჩემი ცოლის იდეა იყო, რადგან სიმამრი მედოშაკე მყავს. ვიყიდე საკერავი მანქანა, რკინის ბადეები, დასაკეცი საწოლები, რამდენიმე ნაჭერი სადოშაკე ტილო, მატყლი და ცხენის ძუა. საცოდავ ჩემს ცოლს შრომა გაუორკეცდა, ფეხმძიმედ იყო და მთელი დრო საკერავ მანქანას უჯდა. მე უფრო მძიმე საქმეს ვაკეთებდი, მატყლს ვჩეჩავდი. ღარიბი უბანი იყო, იშვიათად ვღებულობდით შეკვეთას, გაჭირვებით გაგვქონდა თავი, სიღატაკე კარს მოგვდგომოდა და ძნელი იყო გამკლავება. მაგრამ, გაზაფხული რომ მოახლოვდა, საქმეს უკეთესობის პირი დაეტყო. იმ საცოდავ ღატაკებსაც სისუფთავე და ადამიანური ცხოვრება უნდოდათ, ყველაფერს იკლებდნენ ოღონდ ხეირიანად მოეწყოთ ოჯახი.

გაზაფხული რომ დადგა, მუშტარიც გამოჩნდა, რამდენიმე ქალმა მთხოვა დოშაკების შეკეთება. ყოველთვის ასე ხდება: ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, ჩემი სახელოსნოსკენ კაციშვილი არ იხედებოდა, ახლა კი მოზღვავდა შეკვეთა. საქმეს რომ ვეღარ აუვედი, შეგირდის აყვანა გადავწყვიტე. ერთი გაჭირვებული მრეცხავი ქალის ბიჭი ავიყვანე, ასე, ჩვიდმეტი წლის იყო, ნეგუსს ეძახდნენ, რადგან თმახუჭუჭა, შავი ბიჭი იყო, პირწავარდნილი აბისინიელი ნეგუსი. მაგრამ ისეთი თავნება და უსაქციელო მეორე არ მინახავს, საწყალ მრეცხავ ქალს პირდაპირ სისხლს უშრობდა.

ერთხელ ნეგუსს ფული მივეცი და რომელიღაც ანგარიშის გასანაღდებლად გავგზავნე. ის გარეწარი კი ფეხბურთზე წასულა, იქიდან კიდევ ვინ იცის სად იხეტიალა და ანგარიშის გასანაღდებელი ფული ჩაიჯიბა. სახელოსნოში რომ დაბრუნდა ის თავხედი, უტიფრად მითხრა, ფული ამომაცალესო. არ დავერიდე, პირდაპირ მივახალე ქურდი ხარ-მეთქი.

ნეგუსს ეწყინა და რაღაც უხეში სიტყვა მითხრა. ამაზე მაგარი სილა გავაწანი და სახელოსნოდან კინწისკვრით გავაგდე. იმ დღიდან ისევ უკუღმა შემიტრიალდა საქმე. იმ არამზადამ მთელი უბანი შემიყარა, ყველას უყვებოდა: ამას წინათ ხუთი შესაკეთებელი დოჭაკი გვქონდა. ერთ დოშაკში ბაღლინჯოებს დაებუდებიათ. იმის ნაცვლად, რომ დოჭაკი გაეწმინდა, ჩემმა პატრონმა ასწია და წყვილ-წყვილ ბაღლინჯო სხვა დოშაკებში გადასვა. ასე თქვა, ბაღლინჯო რომ შეაწუხებს ხალხს, მომავალ გაზაფხულზე ისევ მომიტანენ დოშაკებს გასაკეთებლადო.

ეს ამავი ნეგუსის მოგონილი როდის იყო, სწორედ ასე მოვიქეცი. აბა, სხვა რა უნდა იღონოს კაცმა, რით უნდა დააღწიოს თავი გაჭირვებას! არა, მაინც სად გაგონილა ასეთი უბედობა, რომ კაცმა ვერაფერი დამალო.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ისეთი ამბავი დატრიალდა ჩვენს უბანში, რომ აჯანყებას არაფერი უკლდა. ქალებმა ალყა შემოარტყეს ჩემს სახელოსნოს, გაგლეჯას მიპირებდნენ, კვესტურიდანაც მესტუმრნენ და პატენტი ჩამომართვეს. ისევ მოვყიდე ჩემი ავლადიდება, არცთუ ისე ბევრი რამ გამაჩნდა, და ღამით ქურდულად გავიპარე უბნიდან.

ერთი მიბრძანეთ, ჩემზე უბედო თუ არის ქვეყანაზე ვინმე? მინდოდა მშვიდად და პატიოსნად მეშრომა, თუ დროდადრო პატარას წავიეშმაკებდი, ვითომ ეს რა დიდი ცოდვაა, სხვები ამაზე უარესს არ შვრებიან?

ერთი სიტყვით, გულით მინდოდა პატიოსანი მუშაკი ვყოფილიყავი, მაგრამ ამის ნაცვლად, უმუშევარი დავდივარ. ცოტაოდენი ფული რომ მომეძევებოდეს, ოსტერიას გავხსნიდი, ქვეყანა ჩალით კი არ არის დახურული, ყველამ კარგად იცის, რომ ღვინოში წყალს ურევენ, ამ გზით იქნებ მეც დამეღწია გაჭირვებას თავი. მაგრამ ფული არ გამაჩნია და მეტი გზა არაა, ისევ რომელიმე ხელოსანს უნდა დავუდგე ქარგლად. თუმცა ჩემთვის საიდუმლო როდია ის ამბავი, რომ ხელფასის ანაბარა მყოფ კაცს შიმშილით სული ძვრება.

დიახ, ბედი არ მწყალობს, ბედი! უთუოდ ვიღაცამ გამთვალა. ცოლმა საფულეში ღვთისმშობლის სურათი ჩამიკერა, დამაქვს სხვადასხვა ავგაროზი და თილისმა, მაგრამ არაფერმა მიშველა. როგორც უბედო დავბადებულვარ, ისე უბედო მოვკვდები.

ასე ერთიმეორეს რომ წაეწყო მარცხი, ავდექი და მკითხავთან წავედი, იქნებ გამაგებინოს, ვინ დამწყევლა, ვინ მთარსავს! მკითხავმა ხელისგულზე რომ დამხედა, ხელები ცად აღაპყრო და შესძახა:

- ოო, ამას რას ვხედავ! ამას რას ვხედავ!

- რა ნახეთ ისეთი? - ვკითხე გულგახეთქილმა.

- შავი, კუპრივით შავი ვარსკვლავი ვნახე, ჩემო შვილო... - მიპასუხა მკითხავმა. - არავის, ქვეყნად არავის უნდა შენთვის კარგი.

- რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

- რა ქნა? სულით ნუ დაეცემი, უფალს მიენდე.

- უფლის წინაშე მუდამ ვიხდიდი ჩემს ვალს, - ვცადე შესიტყვება.

- შვილო ჩემო, - ამოიხვნეშა მკითხავმა, - ძალიან ბევრს სურს შენთვის ცუდი... რას გიშველის ვალის მოხდა, როცა ხალხს შენთვის ცუდი უნდა? ვალის მოხდით სინდისს თუ გაიწმენდ ცოტა, ესაა და ეს!

- სინდისი სუფთა მაქვს, - შევძახე გაგულისებით, და ეს ჩემთვის სრულიად საკმარისია... დანარჩენი ჩემზე არაა დამოკიდებული.

წილის ყრა

რემო, ეტორე, ლუიჯი და მე ხშირად ვიკრიბებოდით კინოთეატრთან, სან-პაოლოს ჭიშკრის იქით. ეს ადგილი ამოჩემებული გვქონდა. იმ კინოთეატრში უკვე ნაჩვენებ ფილმებს უშვებდნენ, მაგრამ ჩვენ ბევრი რამე არ გვქონდა ნანახი, რადგან კინოს ფულს იშვიათად მოვიხელთებდით. თვრამეტი წლის ბიჭები ვიყავით, ოთხივე უმუშევარი, ჯიბეგაფხეკილი. თუ დროდადრო რამდენიმე სოლდის ვიშოვნიდით, სიგარეტებისათვისაც ვზოგავდით, მაინც სიგარეტი გვერჩია კინოს. სიგარეტსაც დიდი ყაირათით ვწევდით, ერთ სიგარეტს ოთხივე რიგრიგობით ვქაჩავდით.

კვირა დღეს ყველა თავის საუკეთესო ტანისამოსს იცვამს, მე და ჩემს მეგობრებს, უფრო ძმების ან მამების გამონაცვალის გარდა, არა გაგვაჩნდა რა. მაგალითად, მე ძმის კოსტიუმი მეცვა, ჩემი ძმა ჩემზე გაცილებით მოსულია, პიჯაკის სახელოები და შარვალი კი დამიმოკლეს, მაგრამ მხრები ისე ფართო აქვს პიჯაკს, რომ შიგ ვფამფალებ. კიდევ კარგი, ფლანელის ლამაზი, წითელი პერანგი მეცვა შიგნით. ცისფერთვალება ვარ, ქერა, და ეს წითელი პერანგი ძალიან მშვენის. ვერც ჩემი ძმაბიჭები მოიწონებდნენ თავს უკეთესი ტანსაცმლით, მოთელილი შარვლები და სპორტული პერანგები ეცვათ.

სიღატაკე და საერთო მიუღწეველი სურვილები გვაერთიანებდა ოთხივეს. ავძვრებოდით სტადიონის ღობეზე და ფეხბურთის თამაშს ვუყურებდით (რადგან ბილეთის ფული არ გვქონდა). ზაფხულობით ლუიჯის ოთახის ფანჯრიდან ვუყურებდით კინოსურათს, რომელსაც გარეთ აჩვენებდნენ, სადმე მყუდრო კუთხეში ვთამაშობდით ბანქოს (ვთამაშობდით ღილებზე ან კენჭებზე).

ჰოდა, ერთ კვირა დღეს ჩვეულებისამებრ შევიყარეთ კინოთეატრთან. უნდა მოგახსენოთ, რომ რემო კინოთეატრის დირექტორს იცნობდა, ახალგაზრდა გათქვირებული კაცი იყო, ალფრედო ერქვა. ხანდახან, როცა დარბაზში თავისუფალი ადგილები იყო, ალფრედო უბილეთოდ გვიშვებდა, მაგრამ იმ დღეს ცივი უარი გვითხრა.

- დღეს უბილეთოდ ვერ შეგიშვებთ, ბიჭებო, - თქვა და სალაროს ზემოთ გაკრულ განცხადებაზე მიგვითითა: „დღეს კონტრამარკებით არ დაიშვებიან“.

- გეხვეწები, ალფრედო, ორი ერთ სეანსზე შეგვიშვი, ორი მეორეზე, - არ მოეშვა რემო.

ალფრედომ უარის ნიშნად თავი გადააქნია. რას ვიზამდით, შინ წასვლა არ გვინდოდა და იქვე დავრჩით. ვისხედით საჩიხქვეშ, ვუყურებდით აფიშებს და კინოში შემსვლელთ. ამ დროს

აფიშას გაუბედავად მიუახლოვდა ორი ქალიშვილი. ერთი შავგვრემანი იყო, მეორე ქერა. შავგვრემანს მოძველებული, შავი ჟილეტი ეცვა, წითელი, დაჭმუჭნული ქვედაკაბა, ბოშასავით, შავი, ცოცხალი, კოხტად ჩამოსხმული გოგონა იყო, შავი ბრდღვიალა თვალები და წითელი ტუჩები ჰქონდა. ერთი დანახვითვე თვალში მომივიდა. მისი ამხანაგი კი არ მომეწონა. ქერა, თეძოგანიერი და მკერდსავსე, ყავისფერ, ბადესავით თხელი კაბით გამოწყობილიყო, სქელ ფეხებზე ამოკემსილი წინდები ეცვა, ფართო, აჭარხლებული, ატამივით ბუსუსიანი სახე ჰქონდა. ქერას არა

ჰქონდა საფულე, შავგვრემანს კი ისეთი ბრტყელი საფულე ეჭირა, ხატზე დავიფიცებ, რომ შიგ ცხვირსახოციც არ ედო. რემოს ნიდაყვი გავკარი, შავგვრემანზე ვანიშნე, რემომ თვალებით გამამხნევა.

- სინიორინა, ნება მიბოძეთ კინოში დაგპატიჟოთ, - მივმართე შავგვრემანს.

- ნუ წუხდებით, ჩვენ სხვას ველით, - მიპასუხა მან.

- საინტერესოა, ვის ელით, საქმროებს ხომ არა? - ვკითხე დაცინვით.

- რა გაგიკვირდათ? ვითომ რა, არ შეიძლება საქმროები გვყავდეს? - ცივად მკითხა მან.

- ეგ არავის არ უთქვამს. ქათამი თუ აკაკანდა, მაშასადამე, კვერცხი დაუდვია.

- თქვენი აზრით ჩვენ ქათმები ვართ?

- დიახ.

- თქვენ კი მამლები ბრძანდებით, არა?

- ნამდვილად, სინიორინა.

- იცით თქვენ ვინა ხართ? ახლად გამოჩეკილი ყვინჩილები.

- დაგვცინით?

- არც გვიფიქრია თქვენი დაცინვა, - მოულოდნელად რაღაც გადაწყვიტა შავგვრემანმა, - პირიქით, თუ გნებავთ, დაგვპატიჟეთ კინოში, თანახმა ვართ. - ხელები კაბის კალთაზე წაივლო და რევერანსი გაგვიკეთა, თითქოს ამით გვეუბნებოდა, მზად ვართ, თუ გნებავთ დაგვპატიჟეთო.

შევცბი, აღარ ვიცოდი რა მექნა. მე მხოლოდ ყინულის გალხობა მწადდა, იმიტომ დავპატიჟე, რომ გამეცნო.

- უნდა გამოგიტყდეთ, რომ ფული არც ერთს არა გვაქვს. ისე გითხარით, ყასიდად.

შავგვრემანმა გაიცინა, ორი წყება თეთრი, ლამაზი კბილები აუკიაფდა.

- თავიდანვე მივხვდი, რომ ჯიბეგაფხეკილები იყავით.

ქერამ რაღაც უჩურჩულა შავგვრემანს, მაგრამ შავგვრემანმა გამომწვევად გადმომხედა და მხრები აიჩეჩა, ბოლოს გვითხრა:

- არა უშავს რა, თქვენ უფულოდაც მოგვწონხართ. რა მოხდა, კინოში თუ არ შევალთ, ქვეყანა არ დაიქცევა. მოდით, გავისეირნოთ.

- დიდი სიამოვნებით.

გავყევით უკაცრიელ ქუჩას, რომელიც კედლის გასწვრივ მიემართება და სან-პაოლოს ჭიშკარში გადის. შავგვრემანი წინ მიდიოდა, მე და ჩემი სამივე მეგობარი მას მივყვებოდით, ვეტმასნებოდით, რადგან ოთხივეს ის მოგვწონდა. ქერა მოღუშული მოჩანჩალებდა უკან. შავგვრემანი კეკლუცობდა, იცინოდა, ხუმრობდა, ისე მიარხევდა

ტანს, რომ ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე წითელი ქვედაკაბა ბაირაღივით უფრიალებდა.

ჩვენ ერთმანეთს ვეჯიბრებოდით არშიყობაში. ქერას სიტყვაც არავინ აღირსა. უკვე მოგახსენეთ, შავგვრემანი ერთი შეხედვით მომეწონა-მეთქი, ის ჩემი სამი მეგობარი კი ხელს მიშლიდა. ხელს გავუყრიდი თუ არა ქალიშვილს, იმ წუთს მეორე მხრიდან ეტორე ან ლუიჯი წაეტანებოდა. თვალებში ჩავაცქერდებოდი, ერთი მათგანი წინ გადაგვიდგებოდა და ისიც ჩააშტერდებოდა შავგვრემანს თვალებში, ქათინაურს ვეტყოდი, ამაშიც ტოლს მიდებდნენ. გული მომივიდა და ლუიჯის ვუთხარი:

- გეყოფა, ლუიჯი, დაეხსენი... ჯობს ელიზა გაართო. ელიზა მოშორებით მოდიოდა, ბალახის ღერო ეჭირა და მდუმარედ კვნეტდა.

- ჰო, ელიზა ყველამ მიატოვეთ, - ჩაიხითხითა შავგვრემანმა.

- არავინ არ მჭირდება, მარტოც კარგად ვგრძნობ თავს, - წამოიძახა გაკაპასებულმა ელიზამ.

- შენ თვითონ რატომ არ გაართობ ელიზას? - მკითხა ლუიჯიმ.

- ჰო, - გადაიკისკისა შავგვრემანმა, - მართლა, რაღა ლუიჯის სთავაზობ, თვითონ რატომ არ გაართობ?

- იცით რას გეტყვით, - წამოვიძახე გაგულისებულმა, - ერთ ძვალზე ამდენი ძაღლი მეტსმეტია... მე ელიზას შევუამხანაგდები. ამ სიტყვებზე მივუბრუნდი ქერას, ხელი გამოვდე და ვუთხარი:

- მაშ ასე, ელიზა, ... შევრიგდით, არა?

- როდის წავიჩხუბეთ? - მიპასუხა თავშეკავებით ელიზამ.

ერთ ხანს ჩუმად მივყვებოდით მტვრიან გზას. ჩემმა ხერხმა მალე გასჭრა, შავგვრემანმა თითქოს მოიწყინა. მართალია, იცინოდა და კეკლუცობდა, მაგრამ დროდადრო მე და ელიზას ეჭვიანად გადმოგვხედავდა ხოლმე.

- რა უნდა თქვენს მეგობარს? - ვკითხე ელიზას.

- ჩემს მეგობარს, უნდა, ყველა მისთვის კარგავდეს ჭკუას და მხოლოდ მას ეარშიყებოდეს.

- მე კი შენ გაგეარშიყები... გინდა?

არაფერი მითხრა, შერცხვა, გაწითლდა და ხელი გამომიწოდა.

ასე მივედით ქუჩის ბოლომდე, მერე უკან გამოვბრუნდით, ხუმარა-ლაზღანდარობით მივედით ისევ კინოთეატრამდე. უცებ შავგვრემანმა გაბედულად გვითხრა:

- ყური მიგდეთ... აგერ ერთი საათია, რაც ამ მტვერში გვატარებთ აქეთ-იქით... თუ ამაზე უკეთესს ვერაფერს შემოგვთავაზებთ, სჯობია დავიშალოთ. ეს ახალგაზრდები გვთავაზობენ, საღამო ერთად გავატაროთო.

შავგვრემანმა ყურადღება არ მიაქცია ელიზას სიტყვებს და განაგრძო:

- ერთი კარგი აზრი დამებადა... ორი ბილეთის ფულს მაინც ვერ მოაგროვებთ ოთხივე? - შეიძლება მოვაგროვოთ. როგორ ფიქრობ, რემო? - ვკითხე რემოს.

- ორი ბილეთის ფული კი გვექნება, - მიპასუხა რემომ.

- ძალიან კარგი... მაშ, ასე მოვიქცეთ: მე თქვენს სახელებს დავწერ ქაღალდზე. ერთერთი

თქვენგანის ქუდში ჩავყაროთ ქაღალდები და წილი ვყაროთ... ვინც მოიგებს, ან ელიზას დაპატიჟებს კინოში ან მე. დანარჩენი სამის ხარჯზე... თანახმა ხართ?

ერთმანეთს გადავხედეთ. ძალიან მაცთუნებელი წინადადება იყო, ოთხივეს შავგვრემანი მოგვწონდა და, რა თქმა უნდა, ყოველი ჩვენგანი მას ირჩევდა. მაგრამ, მეორე მხრივ, სხვისი ბილეთის ყიდვა არავის ეპიტნავებოდა.

- თანახმა ვარ, - წამოვიძახე პირველმა.

მეტი რა გზა ჰქონდათ, სხვებსაც არ უნდოდათ თავის შერცხვენა და შავგვრემანს დაეთანხმნენ.

არც თუ დიდი სიამოვნებით გადმოვიბრუნეთ ჯიბეები და ორი ბილეთის ფული შევაგროვეთ. რაღაც გროშები დაგვრჩა. რემომ თავისი ქუდი მისცა შავგვრემანს, ლუიჯიმ ფანქარი. შავგვრემანმა ძირს დაგდებული გაზეთი აიღო, მოხია ოთხი ნაჭერი, კედლისკენ გაიქცა, ნანგრევების წინ შედგა და დაიძახა:

- აბა, ჩქარა მითხარით თქვენი სახელები.

ყველამ ვუთხარით. შავგვრემანმა დაწერა ჩვენი სახელები გაზეთის ნახევებზე, მერე ქუდში ჩაყარა, მივიდა ელიზასთან და უთხრა, ამოიღეო. ელიზამ ამოიღო ერთი ქაღალდი და ზეიმით გამოაცხადა:

- ჯულიო. ჯულიო მე გახლავართ, წინ დავდექი და ვთქვი:

- მე მერგო კინოში შესვლა, არც კი დავფიქრებულვარ, ისე მივუთითე შავგვრემანს, - აი ამას წავიყვან.

შავგვრემანმა გადაიკისკისა, მოვიდა ჩემთან, ხელი გამომდო.

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა, ახლა შავგვრემანი გვერდით მყავდა, ქერა გოგონა გაშეშებული იდგა, ქუდი ისევ ისე ეჭირა ხელში.

- ეე, არ რაღაც საეჭვო ამბავია, - დაიყვირა რემომ, ამ ქალბატონს უნდოდა ფლავი ჯულიოს რგებოდა წილად და განგებ მოაწყო ეგრე.

- ეს არ ითვლება, - წამოიძახა ეტორემ.

- რატომ! აკი წილი ვყარეთ, - ჩავერიე. რემომ ელიზას ქუდი ჩამოართვა, ამოიღო ქაღალდები, სამივე გაშალა და დაიყვირა:

- აკი ვთქვი, საეჭვოა-მეთქი. არ ითვლება, არ ითვლება... ოთხივე ქაღალდზე მარტო შენი სახელი წერია, ჯულიო.

- საიდან მოიტანე?

- მოდი და შენი თვალით ნახე.

მართლა ასე იყო. შავგვრემანმა უტიფრად გადაიხარხარა.

- სულ ერთია, საქმე გათავებულია, ჩვენ კინოში მივდივართ, ნახვამდის.

- თუ ასეა ფული დაგვიბრუნე, - გზა გადაუჭრა რემომ.

- ხვალ დაგიბრუნებთ.

- არავითარი ხვალ... ჩამოყაჭე ფული.

- არ დანებდე... - მიჩურჩულა შავგვრემანმა. მეც გავთამამდი და ამხანაგებს შევუტიე: - ხვალ დაგიბრუნებთ-მეთქი, ვერ გაიგეთ? დამეხსენით, აბა, ახლავე მოუსვით აქედან.

სიტყვის დამთავრება ვერ მოვასწარი, რომ რემო მეცა, ლუიჯი და ეტორეც მოჰყვნენ, ოთხივე ძირს გავგორდით და გამწარებით ვურტყამდით ერთმანეთს. ღონე არ მაკლია, მაგრამ ისინი სამნი იყვნენ, რა თქმა უნდა, დიდხანს ვერ გავუმკლავდებოდი, მომერეოდნენ. ჩემდა საბედნიეროდ, უცებ პოლიციელი წამოგვადგა თავზე.

- თქვენ, ეი, ყაჩაღებო... რას სჩადიხართ!...

წამოვდექით მტვერში ამოგანგლულები, სულს ძლივს ვიბრუნებდით.

უცებ შავგვრემანი პოლიციელს მიეჭრა და უთხრა:

- ჩვენ დანიშნულები ვართ... აქ ვსეირნობდით... ეს სამი აგვეტორღიალა. საშველი აღარ მოგვცეს... სინიორ პოლიციელო, რა უნდათ ჩვენგან, ვინ არიან უთხარით, თავი დაგვანებონ.

- აბა, ახლავე მოუსვით აქედან! - დაუცაცხანა პოლიციელმა ჩემს მეგობრებს.

გაოცებულები უკან-უკან იხევდნენ, თან თვალს ვერ გვაშორებდნენ.

კინოთეატრი მოპირდაპირე მხარეს იყო. შავგვრემანს მკლავში ხელი გამოვდე და იქით გავეშურეთ.

- ხვალ გაგისწორებთ ანგარიშს, - დამიყვირა რემომ.

იმ წუთში კი ვერც ერთმა ვერ გაბედა ჩვენკენ ფეხის გადმოდგმა, რადგან პოლიციელი იქვე იდგა. სალაროსთან მივედით.

- პარტერის ორი ბილეთი, - ვუთხარი ალფრედოს. შავგვრემანმა მოლარეს წინ დაუყარა ფული.

- აჰა, ესეც მაგათ, ხომ გავაცურეთ, - თქვა შავგვრემანმა დარბაზში შესვლისას.

- რა გქვია? - ვკითხე.

- ასუნტა, - მიპასუხა მან.

„ბულიონი მიირთვი“

მენაყშის ხელობა ძნელი ხელობაა. იმაზე აღარაფერს ვიტყვი, თუ როგორ უნდა იყოს ხელოსანი გაწაფული, რომ ავეჯს ისე ოსტატურად გადააკრას ნაჭერი, ნაოჭი არსად დარჩეს, თუ რა დიდი მოთმინება სჭირდება თუნდაც იმისთვის, რომ ოთხი ან ხუთი ჩითი შეკეროს და როგორი სიფაქიზით უნდა გააკეთოს ეს, რომ ღია ფერის ქსოვილი არ დასვაროს. ახლა სახელოსნოს არ იკითხავთ? ვთქვათ, ხელოსანმა ორ დივანს, ოთხხუთ სავარძელს, რამდენიმე სკამს და პუფს უნდა გადააკრას ნაჭერი, რაც უნდა ფართო სახელოსნო ჰქონდეს, მთელ ადგილს მაინც ავეჯი იკავებს. ამიტომაა, რომ მენაყშე ძნელად შოულობს მოხერხებულ სახელოსნოს. აი, მე ორმოც წელზე მეტია ამ საქმეს მივდევ და სახელოსნოს დღემდე ვერ ვეღირსე (თექვსმეტი წლისამ დავიწყე მუშაობა მამასთან, ისიც მენაყშე იყო) და უნდა მოგახსენოთ, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე სულ შინ ვმუშაობდი.

ბინა რეჯინა ჩელის მახლობლად მაქვს, ვია დელ ლუნგარაზე. ფართომ გრძელი, მაღალჭერიანი ოთახი მიკავია, ოთხი ფანჯარა აქვს, ოთხივე ტიბრს გადაჰყურებს. ვიდრე ჩემი პირველი ცოლი ცოცხალი იყო, ამ ოთახში თითქოს სივიწროვეს არა ვგრძნობდით. ერთ კუთხეში ჩემი ვაჟის, ფერდინანდოს საწოლი იდგა, მის მოპირდაპირე კუთხეში მე და ჩემს მეუღლეს გვედგა

საწოლები, ჩემს საქმესაც იქ ვაკეთებდი, რადგან სხვა გამოსავალი არ იყო. ამ ოთახის გარდა, ორი საკუჭნაოც გვქონდა. ჩემმა მეუღლემ ერთში სამზარეულო მოაწყო, მეორეში საპირფარეშო. ორმოცდაათი წლის იყო ჩემი მეუღლე, როცა გარდაიცვალა, მე კი სამოცს მივაღწიე. ერთ ხანს მტკიცედ მქონდა გადაწვეტილი, ცოლს აღარ შევირთავ, როგორმე თავს გავიტან-მეთქი. მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ გამიჭირდებოდა ცხოვრება და მეორედ დავქორწინდი. დიახ, დავქორწინდი და ყველაფერი შეიცვალა.

ჩემი მეორე მეუღლე, ჯუზიტა, ოცდაათი წლით ჩემზე ახალგაზრდა იყო. კარგი შესახედავი ქალი გახლდათ, ლამაზიც კი ეთქმოდა. თუმცა მამაკაცების უმეტესობა ჯუზიტაზე სულ საწინააღმდეგო აზრისა იყო. ამბობდნენ, რაღაც არასასიამოვნო აქვს ამ ქალსო. მკვდრის ფერი ედო, შავი, გადმოკარკლული თვალები ჰქონდა, შავი თმა, თეთრი და მკვრივი ტანი, მაგრამ არც ტანი ჰქონდა მიმზიდველი. გათხოვებამდე ჯუზიტა უბრალო მუშა ქალი იყო. გათხოვების შემდეგ გამედიდურდა და ქალბატონობა მოინდომა. გათხოვებამდე ანგელოზი იყო, გათხოვების შემდეგ როკაპად იქცა. ვიდრე ჩემი ცოლი გახდებოდა, მეც მოვწონდი, ჩემი ბინაც და ყველაფერი. გათხოვების შემდეგ ჩვენი აღარაფერი მოსდიოდა თვალში. რა გაეწყობა, ჯვრისწერას ამგვარი სიურპრიზები ხშირად მოაქვს ჩვენთვის. მაგრამ სჯობს დალაგებით გიამბოთ: ჯუზიტამ გამომიცხადა, ფერდინანდოსთან ერთად ერთ ოთახში ვერ დავწვებიო. იმდენი მიჩიჩინა, იმდენი იბუზღუნა, რომ აგურით ამომაშენებინა ფერდინანდოს საწოლი

კუთხე. მერე სამზარეულოში ახალი ფილაქურის დადგმა მომთხოვა, ახლა საპირფარეშოში აბაზანის მოწყობა მოისურვა. ბოლოს, იმდენი ქნა, წამაჩხუბა

მეზობლებს, რომლებთანაც ოცი წლის მანძილზე სიამტკბილობა მქონდა და ხშირად მათი ტელეფონით ვსარგებლობდი. ახლა ტელეფონის დადგმაც დამჭირდა.

ჰოდა, ესეც ავუსრულე, დამიდგეს ტელეფონი. კარგად აღარ მახსოვს, რა დღეს დამიდგეს ტელეფონი, ვთქვათ, ორშაბათი იყო, სამშაბათს, შუადღისას, ჩემს უიღბლობაზე მწარედ ჩაფიქრებული, ამპირის სტილის სავარძელს ატლასს რომ ვაკრავდი, ტელეფონმა დარეკა. მივედი, ყურმილი ავიღე:

- პერიკოლი გისმენთ, ვინ ბრძანდებით?

- მენაყშე პერიკოლი? - შემესმა მკვახე, ძლიერი ხმა, ნამდვილი რომაელის მქუხარე ხმა.

- დიახ, რას მიბრძანებთ, სინიორ - ვუპასუხე, რადგან ჩემი მუშტარი მეგონა.

- პერიკოლი, ერთი ამიხსენი, რისთვის შეირთე ცოლი? ნუთუ იმდენი ჭკუა არა გაქვს, არ გესმის, რომ შენი ხნისანი ასე არ იქცევიან? პერიკოლი, ნუთუ გჯერა, რომ ცოლს უყვარხარ? საბრალო სულელო...

სისხლი ამივარდა თავში. ამ სიტყვებით უცნობმა ცეცხლზე ნავთი გადამისხა, რადგან ასეთი ეჭვი კარგა ხანია მტანჯავდა.

- მაინც ვინა ხარ? - როდის-როდის ამოვღრაღნე.

- ვინა ვარ? - სიტყვის გაჭიანურებით განაგრძო უცნობმა. - მეორედ რომ დაიბადო, ამას მაინც ვერ მიხვდები... ამაზე ფიქრს თავი დაანებე და ისე ქენი, რასაც გირჩევ.

- მაინც რა გინდა, ვინა ხარ?

- უბრალო, მეგობრული რჩევა უნდა მოგცე: ბულიონი მიირთვი.

ვიღაც უსაქმურის უშნო ოხუნჯობა მეგონა, მაგრამ მაინც ცეცხლი მომეკიდა, რადგან კარგა ხანია მტანჯავდა დარდი, ვგრძნობდი, რომ შევცდი, მეორედ არ უნდა შემერთო ცოლი.

რასაკვირველია, ჯუზიტას არ გავუმხილე, რაც უცნობმა მითხრა, ისედაც აუტანელი გახდა ბოლო დროს, სულ ქოთქოთებდა, იღრინებოდა და ისე ცუდად მექცეოდა, რომ ძაღლსაც არ მოეპყრობიან ისე.

გავიდა ერთი კვირა და ზუსტად იმავე დროს, როგორც პირველად, ტელეფონმა დარეკა და იგივე ხმა გაისმა:

- გამარჯობა, პერიკოლი. რასა იქ, როგორ ცხოვრობ, რას აკეთებ?

- რაც საჭიროა, იმას ვაკეთებ.

- მაშ, მე თვითონ გეტყვი, რას აკეთებ ახლა: გუშინ საღამოს სკამები რომ მოგიტანეს, იმათ აკრავ პირს... ყოჩაღ, იმუშავე, პერიკოლი, იმუშავე. გინდა გითხრა შენი ცოლი ამ წუთში რას აკეთებს?

- თუ ღმერთი გწამს, მითხარი ვინა ხარ.

- შენი ცოლი ყავახანაში ზის, სეტიმიანას ჭიშკართან და მებუფეტეს ეხუნტრუცება.

- ვინა ხარ?

- თუ არა გჯერა, ახლავე წადი და შენი თვალით ნახავ ყველაფერს. ყური მიგდე, პერიკოლი, შენ უკვე დაბერდი, ქალებს კი ასეთები არ მოსწონთ.

- ერთი ამ არამზადას დამიხედეთ. მაინც ვინა ხარ, არ იტყვი?

- გულის მოსვლის ნაცვლად, გირჩევნია ისა ქნა, რაც გირჩიე. ბულიონი მიირთვი.

ჯუზიტა რომ დაბრუნდა და რაღაცაზე ბაზრის დედაკაცივით აქოთქოთდა, თავი ვეღარ შევიკავე:

- კარგი საქმეა, ქალბატონო, მე აქ წელებზე ფეხს ვიდგამ, შენ კი ამ დროს სეტიმიანას ჭიშკართან ყავახანის მებუფეტესთან არშიყობ.

ნეტავი იქვე მიწა გამსკდომოდა და ჯუზიტასთვის არაფერი მეთქვა. ცოფიანივით მომვარდა, დამიწყო ლანძღვა, მერე ჩამაცივდა, ახლავე მითხარი, სიდან მოიგონეო, და როცა ყველაფერი ვუამბე, სულ თავზე ცეცხლი წამაყარა.

- აჰა, ასეა, არა? ყოველ არამზადას ყურს უგდებ, ვინც დაგირეკავს... ჩემზე უფრო იმათი გჯერა... იცი, შენ ვინა ხარ? ჭკუაგამოხაკურებული ბებერი... მართლაც ღირსი ხარ, რომ რქები დაგადგან... უბრალო რქები კი არა, ისეთი რქები, რომ ამ კარში ვერ შემოეტიო.

მოჰყვა და მოჰყვა. იმ ზომამდე მიმიყვანა, რომ ამ ხნის კაცი ავტირდი, მუხლებზე ვხოხავდი მის წინ და ვემუდარებოდი, მაპატიე-მეთქი. აბა ეს ეკადრებოდა ახლა ჩემს ჭაღარას? ბოლოს, რითიმე რომ მომელბო მისი გული, აბრეშუმის წინდის ფული ვაჩუქე. რაღა სახსარი მექნებოდა მე უბედურს, ჯუზიტა იმდენს მახარჯვინებდა, რომ ჯიბეგაფხეკილი დავდიოდი.

რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ გაისმა ტელეფონის ზარის წკრიალი და იმავე ხმამ მკითხა:

- როგორა ხარ, პერიკოლი?

- კარგად. შენ როგორღა ხარ? - ნაძალადევი გულგრილობით ვკითხე უცნობს.

- მე რა მიჭირს... შენ შენი ცოლი იკითხე.

- რატომ?

- იმიტომ, ჩემო პერიკოლი, რომ მისთვის შენ უმაქნისი ბებრუხანა ხარ.

ხედავთ, სად გადამკრა? დაფიცებული ვიყავი, თუ კიდევ დარეკავდა, მშვიდად ვუპასუხებდი, მაგრამ ამ სიტყვების გაგონებაზე მაინც ავპილპილდი.

- იცოდე, შე არამზადავ, ამას იქით თუ შენი ხმა გავიგონე, ტელეფონს დავახეთქებ.

- ვაჰ, რა ფიცხი ყოფილხარ, პერიკოლი... ნუ ღელავ, შენი ცოლი მალე კარგად მოეწყობა.

- ხმა ჩაიწყვიტე, არამზადავ!

- ასე რატომ გაცხარდი, პერიკოლი. გულის მოსვლის ნაცვლად, გიჯობს ისე მოიქცე, როგორც დაგარიგე: ბულიონი მიირთვი.

-
ამჯერად ჯუზიტასთვის არაფერი მითქვამს. თანდათან დავკარგე მოსვენება, ბრაზი მახრჩობდა, კინაღამ გავგიჟდი. უცნობმა ტელეფონით რეკვას მოუხშირა და სულ ერთ და იმავეს ჩამჩიჩინებდა: ჯუზიტა ახალგაზრდაა, შენ ბებერი ხარ, გღალატობს, ყველამ იცის ეს ამბავიო და მისთანები. ანდა სრულიად უცერემონიოდ მომახლიდა: პერიკოლი, შენი ცოლი... - და მეეტლეების საპურყველო სიტყვებს დაურთავდა.

როგორც ჩანდა ეს კაცი კარგად გვიცნობდა, ერთხელ მირჩია, წვერი ყოველდღე გაიპარსე, ჭაღარა ჯაგრით ჯუზიტას ნუ დაენახვებიო. ბულიონი მიირთვიო, რომ დამიჩემა, ნეტა რა

უნდოდა ამით? ვგრძნობდი, ამ სიტყვებში რაღაც მზაკვრული იმალებოდა, ასე ბებერს და ნაავადმყოფარ კაცს ჩააცივდებიან ხოლმე. „ბულიონი მიირთვი“, - თითქოს ეს სიტყვები ნაცნობი იყო ჩემთვის, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე, სად გავიგონე და როდის.

ჩემი და ჯუზიტას დამოკიდებულება თანდათან გამწვავდა. ამ ქალს მშვიდად ლაპარაკი აღარ შეეძლო, სულ როკაპივით იღრინებოდა, ქოთქოთებდა, სისინებდა. მე კი სიმშვიდე და მყუდროება მიყვარს, ამიტომ ვითმენდი ყველაფერს, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო ნათლად ვხედავდი, რომ ასე აღარ შეიძლებოდა ცხოვრება.

სრულიად მოულოდნელად მოლბა ჯუზიტა, გუნება შეეცვალა, ალერსიანი გახდა, ერთ საღამოს ისიც კი შემომთავაზა, მოდი ტრასტევერზე წავიდეთ სამივე და ოსტერიაში ვივახშმოთო. ჩვენ სწორედ იმ ოსტერიაში გავმართეთ საქორწინო სადილი. ოსტერიაში რომ შევედით და ვახშმის მოლოდინში მაგიდას მივუჯექით, წარსული გამახსენდა და ერთი პატარა წვრილმანიც ამომიტივტივდა ხსოვნაში. მახსოვს, საქორწინო სადილზე, არ ვიცი მღელვარებით მომივიდა, თუ ღვინომ მაწყინა, რომელიც სადილობამდე ბლომად გადავკარი, რაღაც სიმძიმე დამაწვა კუჭზე, ცუდად შევიქენი. სტუმართაგან ზოგმა სპაგეტი შეუკვეთა, ზოგმა რა, მე ვყოყმანობდი, არ ვიცოდი რაზე შევჩერებულიყავი. ჯუზიტამ კი, როგორც ქმრისთვის მზრუნველ კარგ ცოლს შეეფერება, მირჩია:

- ცხელი ბულიონი მიირთვი, დამიჯერე, ცხელი ბულიონი მოგიხდება... ბულიონი მიირთვი.

უცებ გონება გამინათლდა, მივხვდი, უცნობმა რატომ ამოიჩემა ცხელი ბულიონი, მაგრამ ვინ იყო ის უცნობი, ვერას გზით ვერ ვიაზრე, რადგან იმ საღამოს, ჯუზიტამ რომ მირჩია, ბულიონი მიირთვიო, სუფრაზე ოცი კაცი მაინც იჯდა და ოფიციანტებიც ჩვენს მაგიდასთან ტრიალებდნენ.

არც ჯუზიტას და არც ფერდინანდოსთვის არაფერი მითქვამს, ვახშამმა მხიარულად ჩაიარა, ჯუზიტამ ჩემი სადღეგრძელოს შესმა ინება და გადამკოცნა კიდეც. ღვინო ბლომად ვსვი, ალბათ იმიტომ, რომ თავს კარგად ვგრძნობდი, ბედნიერი ვიყავი და ცოლ-შვილთან ერთად იმედებით აღსავსე დავბრუნდი შინ.

-

იმ ღამეს მკვდარივით მეძინა. დილას რომ გავიღვიძე, ჯუზიტა უკვე გასულიყო საყიდლებზე. წამოვდექი, ხელ-პირი დავიბანე და ხალისიანად შევუდექი ჩემს საქმეს. კმაყოფილი ვიყავი, ბოლოს მაინც შემიყვარა ჯუზიტამ. კარგი დარი იდგა, ფანჯრიდან მზის შუქი ოთახში იღვრებოდა, გალიაში იადონი გალობდა, მე კი ისე ბედნიერი ვიყავი იმ დილით, რომ იადონივით ავმღერდი, ოღონდ, რა თქმა უნდა, ხმადაბლა. უცებ ტელეფონის ზარი აწკრიალდა, ავიღე მილი და ნაცნობი ხმა შემომესმა:

- პერიკოლი, უკანასკნელად გირეკავ.

ძალიან სასიამოვნოა... - მხიარულად ვუპასუხე. - ბოლოს და ბოლოს, შეიგნე, რომ წყალს ნაყავდი... მშვიდობით, კარგად იყავი.

- დამაცა, პერიკოლი, არ იკითხავ, რატომ გირეკავ უკანასკნელად?

- მაინც რატომ?

- იმიტომ, პერიკოლი, რომ ცოლმა მიგატოვა... ამ დილით ჯიჯისთან ერთად გაიქცა. აი, იმ ჯიჯისთან, მანქანებს რომ აქირავებს. დილის შვიდი საათი იყო, მწვანე ფიატით რომ მიადგა კარზე და წაიყვანა.

მართლაც უკანასკნელი ზარი იყო. მას შემდეგ უცნობის ხმა აღარ გამიგონია. ჯუზიტაზე ლაპარაკიც აღარ მინდა. ერთმა ღმერთმა იცის, რა ტანჯვა გამოვიარე, ვიდრე დავივიწყებდი. ამიტომაც არ მწადია ამ ამბის გახსენება, ვიცი, დარდი სიევ შემომაწვება გულზე და ძველებურად გამიმწარდება წუთისოფელი. იმ უცნობ კაცზე ფიქრი მაინც არ მასვენებს, ისე კარგად რომ იცოდა ჩემი ასავალ-დასავალი, ახალგაზრდა ქალი რად შეირთე, რად მოგივიდა

ასეთი შეცდომაო, რომ მეუბნებოდა, ისე ამეკვიატა ეს ფიქრი, აღარ ვიცოდი, რა მექნა, რაც მეტს ვფიქრობდი, მით უფრო ვიბნეოდი, მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი გამოაშკარავდა.

მზიანი დღე იყო, შორიახლო შევდექი და ვუყურებდი თამაშს. სხვა ბავშვებს რომ შევადარე ჩემი შვილი, გული მომიკვდა, აქაც მიმტყუნა ბედმა. ხანში შესული დედამამის შვილი რომ იყო, იქნებ იმიტომ გამოვიდა ასეთი შეუხედავი: დაბალია, დიდი ხელ-ფეხი აქვს, სახე ჩაყვითლებული, ცხვირი ტუჩებამდე ჩამოგრძელებია და ყველა ამასთან ელამიცაა. თამაშს რომ ვუყურებდი, შევნიშნე, ჩემი ფერდინანდო ისეთი ძალით ისროდა ბურთს ჰაერში, რომ ირგვლივ გუგუნი იდგა. ეს არაჩვეულებრივი ღონეც არანორმალურად მომეჩვენა. მისი აღნაგობის ბიჭისათვის ამგვარი ღონე ისევე შეუფერებელი იყო, როგორც კუზიანისთვის ან ცეროდენასთვის.

ამ ფიქრებში გართული კედელს მიყრდნობილი ვიდექი და მზეზე ვთბებოდი, უცებ ფერდინანდომ ბრაზით შესძახა:

- ეს არ ჩაითვლება... შენ ბურთს ხელი შეახე.

ამ ხმის გაგონებაზე მიწა გამისკდა. სწორედ ის ხმა იყო. ვიცანი ის მკვახე, მქუხარე ხმა,

-
მართალია კერ კიდევ ბავშვური, მაგრამ კაცურად დაბოხებული, გამყივანი, არასასიამოვნო, მისი ასაკისთვის შეუფერებელი. მერე ფერდინანდომ ბურთს ფეხი დაჰკრა და დაიძახა:

- აჰა, ჭამე

ეს სიტყვები ისე შესძახა, თითქოს შემომესმა: „ბულიონი მიირთვი“.

ჯერ მინდოდა დამეძახა მისთვის, ხელი მეტაცა და კინწისკვრით მიმეყვანა შინ. აბა, სად გაგონილა ასეთი რამ, მამას სულელი ბებერი დაუძახოს შვილმა, ბებრუხანა, დედინაცვალს უწმაწური სიტყვებით შეაგინოს, ისეთი სიტყვებით, რომ გამეორებას ვერც კი გავბედავ. კარგი, დავუშვათ ჯუზიტამ დაიმსახურა ეს, ფერდინანდო ხომ მაინც შვილი იყო, ჩემი სისხლ-ხორცი და პატივი უნდა ეცა მშობლებისათვის.

დამინახა თუ არა, ფერდინანდომ ბურთის თამაში მიატოვა და ყვირილით გამოიქცა ჩემკენ:

- მამა, მამიკო, აქ რა გინდა?.. ვერც კი შეგნიშნე.

ჰოდა, ფარ-ხმალი დავყარე. ისეთი გონჯი იყო ჩემი ფერდინანდო, გრძელი პალტოთი, ვეება

ცხვირით და ელამი თვალებით, რომ ხმა ჩამიწყდა, კრინტი ვერ დავძარი. თან ისიც შევატყვე, რომ ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდა და გული მომილბა.

- ფერდინანდო, თუ თამაში გინდა, დარჩი, მე წავალ, - ჩავიბურტყუნე გულაჩვილებულმა.

- თამაში უკვე დავამთავრე... წავიდეთ, მამი... - ძალიან კმაყოფილი იყო, ხელი ჩამკიდა და ერთად გავყევით გზას ტიბრისკენ. ნელი ნაბიჯით მივდიოდით ქუჩაში და ვდუმდით. ბოლოს და ბოლოს ჩემი შვილი სიმართლეს მეუბნებოდა, - ვფიქრობდი, - დროზე გამაფრთხილა. დიახ, შვილი თუ არ ეტყვის მამას სიმართლეს, სხვა ვინღა ეტყვის?

სოფლად ცხოვრება

სამორინოში მომხდარი უსიამოვნების შემდეგ რომს აღარ დამედგომებოდა და მეგობრებმა მირჩიეს, დროებით ქალაქს გავცლოდი. დედაჩემიც ამ აზრისა იყო... მართალია, თავს ისე მაჩვენებდა, თითქოს ვერაფერს ხვდებაო, მაგრამ მისი შეშფოთებული და მოწყენილი სახე აშკარად ამბობდა, ყველაფერი ვიციო.

- შვილო ატილიო, ძალიან გადაღლილი ხარ... მოდი, ნათლიას ესტუმრე ბრაჩანოში, - მთხოვა ერთხელ დედამ.

ჯერ ცივი უარი ვუთხარი, არ მინდოდა სოფელში წასვლა, მე ხომ ქალაქში დავიბადე და აღვიზარდე, ვერ ვიტან სოფელს, მაგრამ ბოლოს მაინც დავთანხმდი. დედამ ნათლიას დეპეშა გაუგზავნა და, როგორც კი პასუხი მიიღო, ჩემს მოხაზირებას შეუდგა. ძველი ტანსაცმელი წაიღე, სოფელში ამაზე უკეთესი რად გინდაო, მითხრა დედამ, მაგრამ მე ვიუკადრისე. ქალაქში ვიქნები თუ სოფელში, ცუდად თუ მაცვია, ჩემს კალაპოტში ვერა ვარ ხოლმე.

- ნეტა იქ ვის უნდა მოაწონო თავი, ძროხებს თუ ღორებს? - არ მეშვებოდა დედა.

- თუ ღმერთი გწამს, დამეხსენი, ხომ იცი, კარგ ჩაცმა-დახურვას არაფერი მირჩევნია. შენც ხომ გაქვს რაღაც შენებური ახირება.

რაღას იზამდა დედა, სწორედ ის ტანისამოსი ჩამიწყო ჩემოდანში, რომელიც მინდოდა. ალაგებდა და ოხრავდა: ჩადებდა პერანგს - ამოიოხრებდა, ჩადებდა ჰალსტუხს - ამოიოხრებდა, ჩააწყობდა წინდებს - ამოიოხრებდა, თავი ვეღარ შევიკავე:

- აღარ მოათავებ ოხვრას? ისე დამჩხავი, რომ რაღაც ფათერაკს გადავეყრები.

- რას ამბობ, შვილო... დედაშენმა რაც უნდა გითხრას, მისი სიტყვები ვნებას არ მოგიტანს.

- ამდენი ოხვრა-ვიშვიშით ყველაფერი შესაძლებელია.

- ჩემო შვილო, დედას სიკეთის მეტი არა უნდა რა შენთვის. ზოგიერთ უხეირო ნაცნობს რომ მორიდებოდი, ახლა ბრაჩანოში წასასვლელად არ გაგიხდებოდა საქმე.

როგორც იყო მოათავა ჩემოდნის ჩალაგება. მეორე დილას დედას გამოვეთხოვე და შინიდან გავედი. ჯიჯი ქუჩაში მიცდიდა მანქანით, ჩავჯექი და გზას გავუდექი.

კასიოს შარაგზით გავედით რომიდან. მართალია, ჯერ დილის ცხრა საათი იყო, მაგრამ მოტიტვლებულ მინდვრებში გაჭიმული შარაგზა უკვე გახურებულიყო, მზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა და ისე იკბინებოდა, გეგონებოდათ, დილა კი არა, შუადღეაო. კაცმა რომ თქვას, ჩვენ ბრაჩანოში კი არ მივდიოდით - ბრაჩანო მაინც სოფელია, იქ ტბაც არის და ხეხილიც, ჩვენ ნათლიაჩემის ფერმაში მივდიოდით, კასტელბრუჩატოს ხრიოკსა და უკაცრიელ მიდამოებში. მარტო ეს სახელი - კასტელბრუჩატოც - კმარა, რომ მაშინვე მიხვდეს კაცი, რა ხეირს ნახავს იქ. მაგრამ ერთი საათის მგზავრობის შემდეგ, კასტელბრუჩატოში რომ მივედით, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა სურათმა, რომელიც თვალწინ გადამეშალა: ჯერ იყო და,

თვალში მეცა მოშიშვლებულ ბორცვზე აყუდებული, დამტვრეული დიდი, პირქუში ევკალიპტი. მერე კალო გამოჩნდა. კალოს ირგვლივ საჯინიბოდა რაღაც ფარდულები იყო. იქვე მახლობლად იდგა მოღრეცილი, სამსართულიანი ძველი სახლი, თითქოს ბორცვს მიყრდნობიაო. ეს უშნოდ გამოჩორკნილი, კედლებდაფერდებული სახლი ციხეს უფრო ჰგავდა, ირგვლივ კი მომკილი, მზით გადახრუკული მინდვრები ერტყა, არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქი.

- იმედია, აქაურობა მოგეწონება და დროს მხიარულად გაატარებ- გამამხნევა ჯიჯიმ, როცა ჩემოდანი მომაწოდა.

გაშტერებული ვიდექი, ენა წამერთვა, როდის-როდის მივბრუნდი ჯიჯისკენ გამოსამშვიდობებლად, მაგრამ ჯიჯის კვალიც აღარ ჩანდა.

სახლიდან ფეხშიშველი გოგო გამოვიდა, დამტვრეული კალო გადმოიარა და ჩემ წინ შედგა.

- მე ფილომენა ვარ, ნათლიაშენის შვილი.

გოგო ყოველი ხმოვანის ნაცვლად „უ“ -ს გამოთქვამდა. ეს იქაური გლეხების გამოთქმის დამახასიათებელი თავისებურებაა. ნამდვილი სოფლელი გომბიო იყო, ტლანქი, თმახუჭუჭა, შავგვრემანი, ღრმად ჩამჯდარი შავი თვალები ჰქონდა, ჯანსაღი, მკვრივი ტანი, მკერდი კი ისეთი სავსე, რომ კოფთა ზედ ასკდებოდა, თეძოები - ცხენი გავასავით ფართო. ბუმბულივით აიტაცა ჩემი ჩემოდანი და წინ გამიძღვა. ფეხდაფეხ მივდევდი ფელომენას, ფრთხილად ვაბიჯებდი, სულ ძირს ვიხედებოდი, რომ ფეხი არაფერში ჩამეკრა, რადგან გზა უხვად იყო მოფენილი ქათმის სკლინტით და შინაური ცხოველების ფუნით.

ნათლიისშვილმა ერთ ჩაბნელებული ფართო ოთახში შემიყვანა, გრილოდა, მაგრამ რაღაც უცნაური, უსიამოვნო სუნი იდგა. ჭვარტლით გამურული დიდი ბუხარი ჰქონდა ოთახს, რამდენიმე უშნოდ გამოჩორკნილი სკამი იდგა, ჭერიდან ძირს ეშვებოდა წებოიანი ქაღალდის რამდენიმე ფურცელი, რომლებიც მთლად გადაშავებული იყო ზედმიკრული ბუზებით, კედლებზე ეკიდა უნაგირები და ცხენის აკაზმულობა. ასე მეგონა ოთახში კი არა, საჯინიბოში შევედი. იქიდან ქვის კიბით ავედით მეორე სართულზე, დერეფანში სამი კარი გამოდიოდა,

ფილომენამ ერთ-ერთი კარი გამოაღო და ოთახში შემიძღვა. იქ იდგა რკინის დიდი საწოლი, კამოდი და სამფეხი, რომელზეც პირსაბანი ტაშტი იდო. საპირფარეშო სადა გაქვთ? ვკითხე ფილომენას. მანიშნა, გამომყევიო, მეორე ოთახში გამიყვანა. ეს ოთახი პირველ ოთახზე დიდი იყო, მაგრამ შიგ არაფერი იდგა. ოთახის კუთხეში შავ ხვრელს დაეღო პირი, ხვრელის თავზე უამრავი ბუზი ირეოდა. ახლა საჩქარო საქმე მაქვსო, თქვა ფილომენამ და ხვრელთან ფრიად გაჭირვებულ მდგომარეობაში დამტოვა.

ასე დავიწყე სოფლად ცხოვრება. დილა ყველაზე შესანიშნავი დრო იყო ჩემთვის, რადგან სიგრილე ჯერ კიდევ ტრიალებდა ჰაერში, გარდა ამისა, ტანისამოსის ჩაცმაში დროს ვკლავდი, მოვათავებდი ჩაცმას თუ არა, აი, მაშინ იწყებოდა ჩემი ტანჯვა. დავიბანდი ხელ-პირს, ჩავიდოდი ძირს, სასაუზმოდ, მივუჯდებოდი მაგიდას. მაშინ

ნათლიაჩემიც - ფილომენას მამა - ჩვენთან ერთად ჭამდა. დიდი, სქელი კაცი იყო, თავისი ქალიშვილივით ტლანქი; გრძელი, შავი ულვაშები ჰქონდა, მეჯოგის ტანსაცმელი ეცვა. დედა მეუბნებოდა: „აი ნახე, ატილიო, როგორ მოგეწონება სოფელი, ახალ მოწველილ თბილ რძეს რომ მოგართმევენ“. გაგონილა, სად იყო ახლად მოწველილი თბილი რძე, წყალ-წყალა ყავა, მსხვილადდახრეშილი პილპილით შეზავებული ძეხვი, იქაურები „კუატელოს“ რომ ეძახიან, მსხვილად დაღერღილი ხორბლის პური, თან ისეთ ვეებერთელა ნაჭრებად ჭრიდა ფელომენა, ყოველი ნაჭერი გირვანქა მაინც იქნებოდა. ეს იყო და ეს ჩვენი საუზმე. მიუხედავად ადრიანი დილისა, ნათლიაჩემი ღვინოსაც

გადაჰკრავდა ხოლმე. შავი, სქელი, მწკლარტე და თბილი ღვინო უფრო თუთის წვენსა ჰგავდა. ეს გაუთლელი, უხეში კაცი, ვითომ თავაზიანობდა ჩემთან, საშინელ შეურაცხმყოფელ სიტყვებს მეუბნებოდა ხუმრობით. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, მართლა რომ გაელანძღა ვინმე, რა სიტყვებს დახარჯავდა. სულ ჩემი ტანისამოსის დაცინვაში იყო:

- ნუთუ ქალაქელები სამსახურშიც აბრეშუმის პერანგით დაიარებით? ანდა:

- ვისთვის გამოიწკიპე ასე, ატილიო? დღეს მგონი კვირა არ არის... წირვაზე ხომ არ მიდიხარ?

ამ სიტყვებზე ფილომენა სახეზე ხელებს აიფარებდა და გულიანად ხითხითებდა. ხეპრე იყო ის საწყალი, გაუთლელი. საუზმეს რომ მოვრჩებოდით, ნათლია ეზოში ჩავიდოდა, ცხენზე შეჯდებოდა, მზით გადახრუკულ მინდვრებისკენ გაიშვერდა ხელს და მეტყოდა:

- წადი, ატილიო, გაისეირნე... ნუთუ არ მოგწონს აქაურობა? შეხედე, რა მინდვრებია, რა სივრცე... გული არ მოგითმენს კაცს, ამ მინდვრებში რომ არ გაინავარდო.

ერთი სიტყვით, ნათლია დამცინოდა. წავიდა ნათლია და დავრჩებოდით შინ მე და ფილომენა. მეზობელ გლეხებზე ხომ რაღა გითხრათ - ნამდვილი პირუტყვები იყვნენ, ვერავის გამოელაპარაკებოდი. ფილომენას ვგონებ ცოტა გულში ჩავუვარდი, სოფლურად მეკეკლუცებოდა. მაგალითად, თუ მაგიდასთან ვიჯექით, გვერდით ჩამივლიდა და ვითომ უნებურადო- გამკრავდა გვერდს, მაგრამ ისე გამკრავდა, რომ სკამზე თავს ძლივს ვიმაგრებდი. ეზოში რომ ჩავიდოდი და სახლის წინ მოვყვებოდი სიარულს, ფილომენა სამზარეულოს ღია ფანჯარასთან დადგებოდა, თან შესაწვავ ხორცს ჭრიდა, თან ჩემს გასაგონად როომელიმე სოფლურ სატრფიალო სიმღერას მღეროდა. მამაკაცური ხმა ჰქონდა, დაბალი, ჩახლეჩილი.

- საქმრო არა გყავს, ფილომენა? - ვკითხე ერთხელ.

გულიანად გადაიხარხარა და ისე ლაზათიანად ჩამკრა მკერდში მჯიღი, კინაღამ გულის კოვზი ჩამინგრია. იმის თქმა როდი მინდა, თითქოს ფილომენას მიმზიდველობა აკლდა, არა, სოფლის გოგოს კვალობაზე ურიგო როდი იყო, მაგრამ მე სოფლის გოგოებზე გული არ მიმდის, ქალაქელი ქალები მომწონს: თეთრ-ყირმიზები,

კოხტა, სუფთა, პეწენიკები. ფილომენა კი ძროხად მეჩვენებოდა. ეცადე, ეცადე... - ვამბობდი გულში, - შენ კი ხარ ძროხა... მაგრამ მე მოზვერი არ გავხდები“.

ო, რა გრძელი, გულისგამაწვრილებელი იყო ყოველი დღე. როგორმე დრო რომ მომეკლა, ქვედა სართულის ოთახში ჩავიდოდი, დიდ მაგიდას მივუჯდებოდი და ჩემს თავს ვეთამაშებოდი ბანქოს, მაგრამ ამით დიდხანს მაინც ვერ შევიქციე თავი. ერთხელ გადავწყვიტე, ახლომახლო მიდამო მაინც შემომევლო, მაგრამ ესეც ვერ შევძელი, რადგან რამდენიმ კილომეტრ მანძილზე ერთი ხეც არიდგა, ამჩვენი სახლის წინ, ბორცვზე აყუდებულ ევკალიპტის გარდა. აღარ ვიცოდი, რა მექნა, ხან ჩალაში ჩავემხობოდი თავფეხიანად, რომ სიცხის ბუღისათვის თავი დამეღწია, მაგრამ ჩალაში მოფუთფუთე მწერები რომ დამესეოდნენ, წამოვხტებოდი და შინ გავრბოდი. უთვალავი ბუზებისა და ბზიკებისაგან ხომ საშველი არა მქონდა. ღამღამობით დამესეოდნენ დიდ-დიდი კოღოები და ისე მწარედ მკბენდნენ, მეგონა დანით მჩხვლეტდნენ. თამბაქო რომ გამითავდა, ნათლიამ სოფლის მაღაზიაში პაპიროსი მიყიდა. თუთუნი გამხმარიყო, მოვუკიდებდი თუ არა ცეცხლს, პაპიროსი ერთს გაიტკაცუნებდა და ხელში ცარიელი მუშტუკი შემრჩებოდა.

ყველა ამ სიკეთესთან ერთად იქაური საჭმელებიც გულს მირევდა. ნივრით და როზმარინით დაჩურჩული ხორცის დიდი ნაჭრები, შავი, სქელი საწებელი, ცერცვი და ისევ საწებლიანი ლობიო. ეს გახლდათ ჩვენი კერძი. ნასადილევს ჩემს ხმელ საწოლს მივაშურებდი, გავწვებოდი თხელ გაფშეკილ ლეიბზე და ორიოდ საათს წავიძინებდი. რომ გამეღვიძებოდა, ოფლში ვიყავი გაღვრილი, სიცხისაგან ენა გასივებული მქონდა, პირი - გამშრალი.

ერთი სიტყვით, ნათლია დამცინოდა, ფილომენა მეარშიყებოდა, მუჯლუგუნებს მკრავდა, მხარზე ხელს მიტყაპუნებდა, მე კი დღედაღამ რომს დაბრუნებაზე ვოცნებობდი. დილით, როგორც კი ლოგინიდან წამოვდგებოდი, ფანჯარას მივაშურებდი, გავყურებდი უსასრულო, გადაყვითლებულ მინდვრებს, აქა-იქ ძველი რომის ნანგრევებიც მოჩანდა, მერე ეზოში ფილომენას მოვკრავდი თვალს, ბიდონებით საჭმელის ნარჩენი და ნარეცხი რომ მიჰქონდა ღორებისათვის, გული სევდით მეკუმშებოდა და თავბედს ვიწყევლიდი, ის დღე დაიქცეს, აქ რომ ჩამოვედი-მეთქი. საწყალი ფილომენა ცდილობდა როგორმე ესიამოვნებია ჩემთვის. ერთხელ მინდვრის ყვავილები მოიტანა და ფინჯნით კამოდზე დამიდგა. მაგრამ როგორც უკვე იცით, ფილომენას არშიყობა არაფრად მეპიტნავებოდა. ერთიც ვნახოთ, მამამისმა ძალით შემართვევინოს ფილომენა! გავიფიქრებდი შიშით. ქვედა სართულზე, დიდ ოთახში ორლულიანი თოფი ეკიდა კედელზე. სულ უმნიშვნელო საბაბი რომ მიმეცა, იმ თოფით დამადგებოდა ნათლიაჩემი და თავის ქალიშვილზე ძალით დამწერდა ჯვარს. არა, ეშმაკს თვალი არ უხელია, ჯობს თავი შორს დავიჭირო, გადავწყვიტე გუნებაში.

ფილომენა კი არ მასვენებდა. ერთხელ მარტო ვიყავით ოთახში, თუ არ ჩავთვლით ბუზებს, გუნდ-გუნდად რომ ედებოდნენ ჩემს ბანქოს. ფილომენამ მკითხა:

- ატილიო, მოგწონს სოფელი?

- არა, არ მომწონს.

ფილომენა აიმრიზა. ალბათ ელოდა, ზრდილობისთვის მაინც ვეტყოდი, სოფელი კარგია-მეთქი.

- რატომ არ მოგწონს?

- იმიტომ, რომ ეს ცხოვრება არ არის.

- მაშ, რაღაა ცხოვრება?

- ქალაქში ცხოვრება, იქ, სადაც გაჩახჩახებული მაღაზიები და ყავახანებია, კინოთეატრები და თეატრები... ლუდხანაში მეგობრებთან ერთად მაგიდას რომ უზიხარ სანიავოს ქვეშ და აპერიტივს შეექცევი, დროსტარებ, კითხულობ სპორტულ გაზეთებს, მსჯელობ ახალ ამბებზე. ნასადილევს ბილიარდს ითამაშებ, საღამოს კინოში წახვალ, გვიან ღამემდე დახეტიალობ ქუჩებში... კვირა დღეს სტადიონზე ხარ და ფეხბურთის თამაშით ტკბები, ან დოღზე მიდიხარ, თუნდაც ძაღლების დოღი იყოს.

ზაფხულობით კარგ გოგოსთან ერთად ოსტიაში დადიხარ საბანაოდ. აი, რა არის ცხოვრება, - მივაყარე ფილომენას სულმოუთქმელად. - ცხოვრება ავტომანქანით მგზავრობაა და არა ცხენით, ქათმები ფეხებში კი არ უნდა გებლანდებოდნენ,

მაღაზიაში უნდა იყიდებოდეს, ირგვლივ ბუზის ჭაჭანება არ უნდა იყოს. ქალაქში სულ მოსპეს ბუზი. ცხოვრება იმას ჰქვია, ონკანში დღედაღამ ცივი და ცხელი წყალი რომ მოდის, კერძს გაზის ფილაქურზე რომ ამზადებენ და არა მაყალზე, იყიდება ამერიკული სიგარეტები, ხალხი დილით მწკლარტე ღვინოს კი არ სვამს, ნაღებიან ან თურქულ ყავას შეექცევა.

ჩამოვთვალე ყველაფერი და უმალ ვინანე. საბრალოდ ფილომენა, ქალაქის აღწერით ისე იყო დათრგუნული, რომ უსიტყვოდ გავიდა სამზარეულოში, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, დაიჯერებთ კი? სარდაფში ჩავიდეთ ღვინოს ამოსატანადო, შემომთავაზა. ჩავედით, ძალიან ბნელოდა სარდაფში, ნესტის ისეთი სუნი ტრიალებდა, თითქოს გამოქვაბული იყო. ფილომენა ღვინის კასრს მიეყრდნო და მითხრა:

- ნახე, ატილიო, როგორი სუნამო მასხია!

ორივე ხელი თავზე მომკიდა და ცხვირით თავის მკერდს ზედ მიმაჭყლიტა. უთუოდ ბრაჩანოში ნაყიდი სუნამო იყო, მთელი ბოთლი დაესხა. სოფლის სხვადასხვანაირ სურნელებას და ოფლის სუნს შერწყმოდა სუნამოს სუნი. მარტო ვიყავით მიწისქვეშ, სახეზე ვატყობდი ფილომენას, როგორ უნდოდა მეკოცნა მისთვის.

- ძალიან სასიამოვნო სუნი აქვს, - აჩქარებით ჩავილაპარაკე, შევტრიალდი და იმედგაცრუებული ფილომენა სარდაფში დავტოვე.

დროდადრო დედისაგან ღია ბარათი მომდიოდა, ნუ აჩქარდები, ჯერ ადრეა დაბრუნებაო, მაგრამ ვეღარ გავძელი, აბა, რა გამაჩერებდა სოფელში და რომში

დაბრუნება გადავწყვიტე, როცა მასპინძლებს გამოვუცხადე, მივდივარ-მეთქი, ფილომენა ტყვიანაკრავივით წამოიჭრა სკამიდან და სამზარეულოში გავარდა.

- როგორ, უკვე მიდიხარ? - გაუკვირდა ნათლიას. - მე კი მეგონა, ბაზრობამდე მაინც დარჩებოდი ჩვენსა.

- ვერა, ვერ დავრჩები, რომში ერთი გადაუდებელი საქმე მაქვს, - ვუთხარი ნათლიას და ნავახშმევს ბარგის ჩალაგებას შევუდექი.

ფილომენამ ჩემს ოთახში შემოსვლის საბაბი ხელად იპოვნა, დოქით წყალი

შემოიტანა და ჩემს საწოლზე ჩამოჯდა. ერთ ხანს მდუმარედ იჯდა. - იცი, ატილიო,

წუხელ სიზმარში გნახე, - მითხრა ბოლოს. წავუყრუე, ვითომ ბარგის ჩალაგებით

ვიყავი გართული.

- შენ ნეფესავით ბრძანდებოდი გამოწყობილი, მე პატარძალივით და ბრაჩანოს საყდარში ჯვარს ვიწერდით.

- სულ სხვადასხვანაირი სიზმრები გვინახავს, ფილომენა, - მკვახედ ვუთხარი. - მე კი რომის ერთ-ერთ ყავახანაში ვიჯექი და ყავას შევექცეოდი.

- დედაშენი მგონი მკერავია, არა?

- დიახ, მკერავია.

- იქნებ დედას სთხოვო, წამიყვანოს თავისთან, მის ხელობას ვისწავლი და მეც მკერავი გავხდები.

მინდოდა რითიმე მენუგეშებინა ფილომენა, დავპირდი, დედას უსათუოდ მოველაპარაკები-მეთქი. მერე ჩემოდნიდან აბრეშუმის თავსაფარი ამოვიღე და სამახსოვროდ მივეცი.

ფილომენას საჩუქარი გაეხარდა, კამოდთან მივიდა, თავსაფარი მოიხვია და

სარკეში ჩაიხედა. კარგა ხანს ტრიალებდა სარკის წინ, ეტყობოდა წასვლას არ

აპირებდა.

- ფილომენა, ახლა მე ტანთ უნდა გავიხადო და დავწვე. ქალიშვილს არ შეშვენის უყუროს, როგორ იხდის მამაკაცი, თან პერანგი გადავიძრე და წელს ზევით გავშიშვლდი. ფილომენა მომიახლოვდა, შიშველ მხარში თითი მატაკა.

- უჰ, რა თეთრი ხარ, - წამოიძახა, გადაიკისკისა და ოთახიდან გავარდა. მერეო დილას ჩემოდნის წაღებაში მომეხმარა.

- მშვიდოვით, ატილიოს, - მითხრა ფილომენამ.

მკაცრ და ცივ სახეს ნახევრად უფარავდა ჩემი ნაჩუქარი თავსაფარი.

დედაჩემს ელდა ეცა, მოულოდნელად რომ კარს მივადექი. რა გეჩქარებოდაო, მისაყვედურა. მაგრამ ყავახანაში მეგობრებს რომ შევხვდი, დამამშვიდეს, გუშინ საბოლოოდ მოგვარდა სამორინეში ატეხილი უსიამოვნებაო.

საუცხოო დღე იყო, ნამდვილი ზაფხულის დღე, გრილოდა, ბუზი არსად ჭაჭანებდა. ყავა

შევუკვეთე, მაგიდას მივუჯექი და გაზეთი გადავშალე - სწორედ ისე მოხდა ყველაფერი, როგორც მესიზმრა. მეჩვენებოდა, თითქოს მეორედ დავიბადე. არც კი მჯეროდა, თუ კასტელბუჩატოს თავი დავაღწიე და რომში ვიყავი.

რომული და რემი

შიმშილზე უფრო მწვავე და მტანჯველი არაფერი არ არის ქვეყნად. არა, მას სხვა ვერც ერთი გრძნობა ვერ შეედრება. შიშველ-ტიტველი რომ იყო, ფეხზე არ გეცვას, აიტან, მაგრამ თუ გშია, ამ გრძნობას სხვა ვერაფრით დაიოკებ, თუ არა საჭმელით. აბა სცადე და ხმამაღლა თქვი: „ფეხსაცმელი მინდა...“ „პერანგი არ მაცვია...“ ერთი წუთით გაჩუმდი და მერე თქვი „მშია!“ მაშინვე იგრძნობ განსხვავებას. რა საგანიც უნდა ინატრო, შეგიძლია დაფიქრდე, ეძებო, არჩიო, მაგრამ თუ გშია ან გწყურია, აქ ფიქრს, რჩევას და ძებნას ვერ დაიწყებ, კუჭს მოთმენა არ უყვარს, იგი უნდა გაძღეს.

ამა წლის ოქტომბრის ოცდახუთი იყო, შუადღე იქნებოდა, კოლონის მოედანზე რომ გავედი, შადრევანთან, აუზის ნაპირზე ჩამოვჯექი და ჩემს თავს გამოვუტყდი: „მშია, გული მელევა!“ ერთ ხანს ქვაფენილს დავცქეროდი, მერე თავი ავწიე და კორსოს გავხედე. თითქოს ბურუსი ამეფარაო თვალზე, ბუნდოვნად ვხედავდი კორსოზე მიმავალ მანქანებს, ყველაფერი თრთოდა და ქანაობდა. ორი დღის უჭმელი ვიყავი და, როგორც იცით, შიმშილის პირველი ნიშანი სწორედ ეს შეგრძნებაა, როცა ყველაფერი, რასაც ხედავ, ისე თრთის და ქანაობს, თითქოს მასაც შიაო. რამე უნდა მეღონა, თორემ მალე ფიქრის თავიც აღარ მექნებოდა. მაგრამ რას გავაწყობდი, როცა ხელის გამმართავი არავინ მყავდა.

როგორც იცით, აჩქარებით ვერაფერ აზრიანს ვერ მოიფიქრებ კაცი. მეც ასე დამემართა. ისეთი აზრები მიტრიალებდა თავში, ჭკვათმყოფელს რომ არ მოუვა: „ტრამვაიში ავედი, ვიღაცას ჯიბეში ჩავუცოცე ხელი, მერე გადავხტი“. „მაღაზიაში შევედი, პირდაპირ სალაროს მივაშურე, ფული მოვიტაცე და მოვკურცხლე. ისე ცოცხლად წარმომიდგა ყველაფერი ეს, რომ შიშმა ამიტანა, მართლა ღმერთი არ გამიწყრეს და ასეთი რამ არ ჩავიდინო-მეთქი. ბოლოს გადავწყვიტე, მაინც ვიღუპები, მოდი, რომელიმე პოლიციელს შეურაცხყოფას მივაყენებ, მირჩევნია ამისთვის დამიჭირონ, ვინემ ქურდობისა და ყაჩაღობისათვის... ბოლოს და ბოლოს, ერთ ჯამ წვენს ხომ მომცემენ.

ასეთ ფიქრში რომ ვიყავი, ერთმა ბიჭმა ამხანაგს დაუძახა:

- რომულ!

ამ სახელმა სხვა რომული გამახსენა, ოდესღაც სამხედრო სამსახურში ერთად რომ ვიყავით. არ ვიცი, რა მომეპრიანა, ერთხელ რომულს ცხელ-ცხელი ტყუილი ჩავურტყი: თითქოს სოფლად ვცხოვრობ და შეძლებული ოჯახიშვილი ვარ. სინამდვილეში რომის გარეუბანში, პრიმა-პორტში ვარ დაბადებული და გაზრდილი. წინათ ნათქვამი ტყუილი შესაძლოა ახლა გამომდგომოდა. რომულს, ვგონებ, პანთეონის უბანში ჰქონდა ტრატორია. ეს რომ გამახსენდა, გადავწყვიტე,

რომულთან წავსულიყავი და მესადილა. ფულის გადახდაზე რომ მიდგება საქმე, მეგობრობაზე ჩამოვუგდებ სიტყვას, გავახსენებ თავს და ისიც რაღას იზამს, დასაჭერად ხომ არ გამიმეტეს.

უპირველესად ყოვლისა, მაღაზიის ვიტრინასთან მივედი და სარკეში ჩავიხედე. საბედნიეროდ, წვერი იმ დილას გავიპარსე. ჩემი სახლის პატრონის სამართებლით და საპნით ვისარგებლე. სასამართლოს შვეიცართან, კიბის ქვეშ, საკუჭნაოში ვცხოვრობ. პერანგი, მართალია, მთლად ქათქათა არ მეცვა, მაგრამ არც თუ ისე სამარცხვინო, ოთხი დღე ვატარე მხოლოდ. ნაცრისფერი კოსტუმი კი, რომელიც ერთმა კეთილმა სინიორამ მაჩუქა (ომში რომ ვიყავი, მისი ქმარი ჩვენი კაპიტანი იყო), მთლად ახალივით გამოიყურებოდა. აი, ჰალსტუხის საქმე ვერა მქონდა კარგად, ძალიან დაიძენძა. ეს წითელი ჰალსტუხი თითქმის ათი წელი მემსახურა და თვითონაც მოგეხსენებათ, რა ხეირი დაადგებოდა.

პერანგის საყელო ავწიე და ჰალსტუხი ხელახლა გავინასკვე. ჰალსტუხის ერთი ბოლო ძალიან დაგრძელდა. მოკლე ბოლო გრძელის ქვეშ შევმალე და პიჯაკი ყველა ღილზე შევიბნიე. სარკეს თვალი რომ მოვწყვიტე, თავბრუ დამეხვა. ალბათ დაჟინებით რომ ვაკვირდებოდი ჩემს თავს სარკეში, იმიტომ დამეხვა თავბრუ და ქუჩის კუთხეში მდგარ პოლიციელს დავეჯახე.

- წინ იყურე, - დამიტია პოლიციელმა, - რაო, მთვრალი ხარ?

მინდოდა მეთქვა, „დიახ, შიმშილისაგან ვარ მთვრალი“, მაგრამ თავი შევიკავე და არეული ნაბიჯით გავყევი გზას პანთეონისაკენ.

მისამართი მახსოვდა. სახლი რომ დავინახე, შევეჭვდი, ხომ არ შემეშალა! ჩიხის სიღრმეში ერთი პატარა კარის წინ ვიდექი. ჩემგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით პირამდე სავსე ხუთი ნაგვის ყუთი იდგა. კარის სისხლისფერ აბრაზე ეწერა: „ტრატორია. შინაური სადილები“. წითლად შეღებილ ვიტრინაში კი ერთი ვაშლი იდო. არა, არა ვხუმრობ, ერთადერთი ვაშლი.

ცუდმა წინათგრძნობამ გული გამისერა, მაგრამ უკან გაბრუნება არ შემეძლო. რაც იქნება, იქნეს, შევალ, ვთქვი და კარი შევაღე. შიგნით რომ შევედი, ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. უხერხულობა ვიგრძენი, დავიბენი. ერთ ხანს გაშტერებული ვიდექი, ბოლოს გამბედაობა მოვიკრიფე და მაგიდას მივუჯექი. ცარიელ, ჩაბნელებულ ოთახში ოთხი-ხუთი მაგიდა იდგა. დახლს უკან ჩამოკიდებული ჩითის ჭუჭყიანი ფარდა სამზარეულოს კარს ფარავდა:

- ოფიციანტო! - დავიძახე და მაგიდას მუშტი დავკარი.

სამზარეულოში გაიფაჩუნეს, ფარდა გადასწიეს, ვიღაცამ გამოიჭყიტა და ისევ მიიმალა. ჩემი მეგობარი რომული ვიცანი. ერთი წუთის შემდეგ ისევ დავკარი მუშტი მაგიდას. ფარდა აიწია და

რომული გამოვარდა სამზარეულოდან, გზადაგზა იბნევდა თეთრი, მოთელილი და გაქონილი ქურთუკის ღილებს. რომ მომიახლოვდა, ისეთი მოწიწებით თქვა, რას ინებებთო, ისეთმა იმედმა გაიჟღერა მის ხმაში, რომ სიბრალულით გული შემეკუმშა, მაგრამ რას ვიზამდი, მშიოდა. სადილი მინდა, ვუთხარი რომულს. რომულმა ჩვარი აიღო და მაგიდას გადაუსვა. მერე შედგა და წამოიძახა:

- ვაჰ, რემო ხარ?

- მიცანი, ხომ? - ვკითხე ღიმილით.

- გიცანი!... ერთად არ ვმსახურობდით?.. გახსოვს როგორ გვაბრაზებდნენ ამხანაგები: „რომული, რემი და ძუ მგელი“, იმ გოგოს გამო, ორივე რომ ვეარშიყებოდით.

ერთი სიტყვით, მოგონებებმა გაგვიტაცეს. მაგრამ, ეტყობოდა, რომული წარსულს იმიტომ კი არ იხსენებდა, რომ ვუყვარდი, არამედ იმიტომ, რომ მუშტარი ვიყავი, მისი ერთადერთი მუშტარი. ტრატორიაში, ჩემს გარდა, არავინ იყო და საბრალო რომული ცდილობდა, როგორმე გაექარწყლებია მძიმე შთაბეჭდილება, რომელსაც მისი ტრატორია ახდენდა.

- ასე, ძმობილო! - მხარზე ხელი დამკრა რომულმა, მერე სამზარეულოსკენ მიბრუნდა და დაიძახა: - ლორეტა! - ფარდა გადაიწია, წინსაფრიანი, დაბალი, ტლანქი და მოღუშული ქალი გამოჩნდა, ეჭვით შემავლო თვალი. ქმარმა ჩემზე მიუთითა: აი, ეს არის რემო, რომელზედაც ამდენს გელაპარაკებოდიო.

ცოლმა ცალყბად გამიღიმა და თავი დამიქნია. დედის ზურგს ამოფარებულებმა გოგობიჭებმაც გამოიჭყიტეს.

- „ყოჩაღ, ყოჩაღ“, - იმეორებდა თუთიყუშივით, ეტყობოდა ელოდა კერძს როდის შევუკვეთავდი. როგორც იყო, გავბედე.

- რომში გავლითა ვარ... კომივოიაჟერად ვმუშაობ... სულ ერთია, სადმე უნდა მეჭამა პური, შენ გამახსენდი და გავიფიქრე, რაღა სხვაგან წავიდე, მოდი, რომულს ვინახულებ და იქ ვისადილებ-მეთქი.

- ყოჩაღ, - ისევ წამოიძახა რომულმა. - მაშ ასე, რა მოგიმზადოთ, სპაგეტი?

- რა თქმა უნდა, სპაგეტი.

- სპაგეტი ერბოთი და ყველით... მსუბუქი კერძია, მალე მოგიმზადებთ და კუჭისთვისაც კარგია... კიდევ რას ინებებ? ბიფშტექსზე რას იტყვი? თუ ხბოს ხორცი შეგიწვათ. ან იქნებ ძროხის შემწვარი ხორცი გირჩევნია. ანდა კარაქზე მოშუშული ესკალოპი?

სულ უბრალო კერძს მთავაზობდა. ასეთ კერძს მეც ადვილად ვაკეთებდი სპირტის ქურაზე. უცებ ჩემდაუნებურად მკაცრად ვკითხე:

- აბაკიო... აბაკიო გაქვს?

- ძლიერ ვწუხვარ, ჩემო რემ, მაგრამ აბაკიოს ჩვეულებრივ მხოლოდ ვახშმად ვაკეთებთ.

- კარგი, მაშ ბიფშტექსი შემიწვი, კვერცხით, ალა ბისმარკი.

- კარგი და პატიოსანი, კარტოფილით?

- არა, სალათით.

- კეთილი... რა თქმა უნდა, ერთ ბოთლ სუფრის ღვინოსაც დალევ, არა?

- ჰო, სუფრის ღვინოს.

რომული სამზარეულოსკენ წავიდა, გზადაგზა იმეორებდა „სუფრის ღვინო, სუფრის ღვინო“. მარტო დავრჩი. ვგრძნობდი, რომ საზიზღრად ვიქცეოდი, უსინდისოდ, მაგრამ არ ვიცი, რა დამემართა, ჩემი საქციელი სიამოვნებას მგვრიდა. დიახ, ასეა თურმე, შიმშილირას არ ჩაადენინებს ადამიანს. იქნებ რომულს ჩემზე მეტად შიოდა, მაგრამ მე რატომღაც ესეც მსიამოვნებდა.

სამზარეულოში მთელი ოჯახი რაღაცაზე თათბირობდა. მესმოდა, რომული ხმადაბლა, აღელვებით ეუბნებოდა რაღაცას ცოლს. ქალს კილოზე ეტყობოდა, უკმაყოფილო იყო. ბოლოს ფარდა გადასწიეს და სამზარეულოდან ბავშვები გამოცვივდნენ. აჩქარებით გაეშურნენ კარისკენ. მივხვდი, რომულს პურიც არა ჰქონდა ტრატორიაში. ფარდა რომ გადაწიეს, თვალი მოვკარი რომულის ცოლს, ქურასთან იდგა და ჩანავლებულ ცეცხლს აღვივებდა. რომული სამზარეულოდან გამოვიდა, გვერდით მომიჯდა, უნდოდა საუბრით შევეყოლიებიე და დრო მოეგო. ისევ ამევსო გული ღვარძლით და რომულს ვუთხარი:

- კარგი ტრატორია გქონია... როგორ მიდის საქმეები?

- რა უშავს, გვარიანად, - მიპასუხა თავჩაქინდრულმა რომულმა, - საქმე კარგად მიდის... რასაკვირველია, ახლანდელი კრიზისი... თან დღეს ორშაბათია. სხვა დღეს მუშტარი ბევრი მყავს, იმდენი ხალხი შემოდის, რომ ძლივს ავუდივარ საქმეს.

- კარგად მოწყობილხარ!

რომულმა თავი ასწია და შემომხედა. სავსე, მრგვალი სახე ჰქონდა, როგორც ტრატორიის პატრონს შეჰფერის, მაგრამ გაცრეცილი იყო, წვერგაუპარსავი და საცოდავი.

- შენ როგორღა ცხოვრობ? გეტყობა ბედს არ უჩივი! - მითხრა რომულმა.

- ჰო, არ ვუჩივი ბედს... - გულგრილად მივუგე, - თვეში ასორმოცდაათ ათას ლირს ვაკეთებ. თუმცა სამუშაო მძიმეა.

- ისეთ დღეში მაინც არ იქნები, რემო, მე რომ ვარ. დილიდან დაღამებამდე წელებზე ფეხს ვიდგამ.

- მართალი ხარ, თქვენი საქმე სულ სხვაა. კაცი რასაც გინდა მოიკლებ, შიმშილის ატანა კი ძნელია... დარწმუნებული ვარ, შავი დღისთვის ცოტაოდენი რაღაც მაინც გექნება გადანახული.

რომულმა ხმა ვეღარ ამოიღო, მხოლოდ გამიღიმა, მაგრამ იმ ღიმილში

ისეთი სასოწარკვეთილება ჩანდა, რომ შემეცოდა. ბოლოს, თითქოს უნდა

რითიმე მასიამოვნოსო, დაიწყო: - ეჰ, ძმაო, რემ... გახსოვს, როგორ

ვცხოვრობდით გაეტში?

წარსულის გახსენება ერჩივნა, რადგან ტყუილის რცხვენოდა. ან, ვინ იცის, იქნებ ჯარისკაცად ყოფნის დღეები ყველაზე უკეთესი ხანა იყო მის ცხოვრებაში და ამიტომ იხსენებდა სიამოვნებით. ძალიან შემეცოდა და ვუთხარი, რომ ყველაფერი საუცხოოდ მახსოვდა. ხელად გამოცოცხლდა, ენად გაიკრიფა, გაიცინა კიდეც, თან მხარზე ხელი მომითათუნა.

ამ დროს რომულის ბიჭიც დაბრუნდა. ღვინის ბოთლი ორივე ხელით ისე ეჭირა, თითქოს წმინდა შესაწირავი მოაქვსო.

- შენთვისაც დაისხი, - ვუთხარი რომულს.

ღვინო რომ დალია, უფრო გახალისდა, უთუოდ ჩემსავით კუჭი ეწვოდა შიმშილით. ასე ოცი

წუთი ღვინის სმაში და საუბარში გავატარეთ. მერე თითქოს სიზმარში ვიყავი, დავინახე, როგორ დაბრუნდა რომულის გოგონა. საბრალო ბავშვს გამხდარი ხელებით მკერდზე მიეკრა დიდი პარკი, რომელშიც ცოტ-ცოტა ყველაფერი ეწყო: ბიფშტექსი, კვერცხები, პაპიროსის ქაღალდში გახვეული პური, გასანთლულ ქაღალდში გახვეული კარაქი და ყველი, მწვანე სალათა და, როგორც მომეჩვენა, ზეითუნის ზეთის ბოთლიც კი. სერიოზული, კმაყოფილი სახით გაგვიარა და პირდაპირ სამზარეულოსკენ გასწია. რომული ცდილობდა შვილს აფარებოდა, უკან დაიწია, კიდევ დაისხა ღვინო. სამზარეულოში დედა გოგონას ტუქსავდა. გოგონა თავს იმართლებდა.

- რა ჩემი ბრალია, ნაკლები არ მომცა და რა მექნა? - ეუბნებოდა ხმადაბლა დედას.

სიღატაკეს, გამოუვალ სიღატაკეს მოეკალათებია საბრალო რომულთან. ვგონებ ჩემზე უარეს დღეში იყვნენ. მაგრამ შიმშილით კუჭი მეწვოდა და, როცა გოგონამ თეფშით სპაგეტი მომართვა, ყოველგვარი სიბრალული დამავიწყდა, გამგელებული ვეცი, სინდისი აღარ მქენჯნიდა, კიდევ მეტიც, თითქოს იმის შეგნება, რომ სხვა ჩემისთანა ღატაკის ხარჯზე ვძღებოდი, უფრო მიცხოველებდა მადას.

რომული შურით მიყურებდა. ნერწყვს ყლაპავდა, ალბათ სპაგეტს არცთუ ისე ხშირად მიირთმევდა.

- მოდი, გასინჯე, - შევთავაზე რომულს.

თავი გადააქნია, არ მინდაო. მე ჩანგალზე დავახვიე სპაგეტი და პირში ჩავუდე რომულს.

- კარგია, შეგარგოს, - ჩაილაპარაკა რომულმა.

სპაგეტის შემდეგ გოგონამ კვერცხიანი ბიფშტექსი და სალათა მომართვა. რომულს შერცხვა, პირში რომ შემომყურებდა, წამოდგა და სამზარეულოში გავიდა. რა კარგია ჭამა, როცა გშია! ჩავიდებდი ლუკმას პირში, ერთს გავიქნევდი ყბას და ღვინოს დავაყოლებდი, ვღეჭავდი, ვყლაპავდი. დიდი ხანია ასე გემრიელად არ მიჭამია.

ბოლოს გოგონამ ხილი მომართვა.

- ერთი ნაჭერი ყველიც მომიტანე, მსხალს უნდა შევატანო, - ვთხოვე გოგონას.

სადილი რომ მოვათავე, სკამზე გადავითხლიშე და კბილების ჩიჩქნა დავიწყე. მთელი ოჯახი

გამოიფინა სამზარეულოდან, მაგიდას შემოეხვივნენ და ისე მომაჩერდნენ, თითქოს რაღაც ზეკაცი ვიყავი. რომული გამხიარულდა, ალბათ მშიერ კუჭზე რომ დალია ღვინო, მოეკიდა. ერთი სასიყვარულო თავგადასავალი გაიხსენა ჩვენი წარსულიდან. მისი მწუხარე, სევდიანი ცოლი იქვე იდგა, სახე გამურული ჰქონდა. ბავშვებსშევხედე: გაფითრებულები, მიკნავლებულები იყვნენ, სიგამხდრისგან თვალები გაფართოებოდათ. უცებ ისე შემეცოდა ეს დამშეული ბავშვები, რომ სინდისმა ქენჯნა დამიწყო.

- ოთხი-ხუთი თქვენისთანა მუშტარი რომ გვყავდეს სადილად და ვახშმად, ცოტა სულს მოვითქვამდით, - მითხრა რომულის ცოლმა და ამის გაგონებაზე მთლად დავიწვი სირცხვილით.

- როგორ?! - ვკითხე გაოცებულმა, - მუშტარი გაკლიათ?

- იშვიათად თუ შემოიხედავს ვინმე, უფრო საღამო ხანს შემოდიან. მაგრამ შემოდიან სულ წყალწაღებული ღატაკები. თან მოიტანენ ქაღალდში გახვეულ საჭმელს და მხოლოდ ღვინოს მოითხოვენ. დიდი-დიდი მეოთხედი ან ნახევარი ბოთლი დალიონ... დილით ქურას აღარც კი ვანთებ, მაინც არავინ შემოიხედავს.

- ლორეტა გეყოფა წუწუნი!.. - აენთო რომული, - ემაგ შენს გაუთავებელ წუწუნს ჩვენთვის უბედურება მოაქვს!

- უბედურება შენ მოგაქვს. სულ შენი ბრალია ყველაფერი. დილიდან დაღამებამდე წელებზე ფეხს ვიდგამ, წუთი მოსვენება არა მაქვს. შენ კი რას აკეთებ? ერთი რამ იცი მხოლოდ - სამხედრო სამსახურს იხსენებ. ვინაა ჩვენში დამნაშავე, მე თუ შენ?

ვიდრე ცოლ-ქმარი ერთმანეთს ლანძღავდა, სიამოვნებით მოთენთილი, ფულის გადახდაზე ვფიქრობდი. ამ დროს ჩემს ბედად, რომული გაცხარდა და ცოლს მაგარი სილა ტკიცა. ქალი სამზარეულოში გავარდა, იქიდან შაშხის საჭრელი გრძელი დანით შეიარაღებული გამოენთო, და ყვირილით, მოგკლავ, გაგაქრობო, ქმარს ეცა.

დაფეთებული რომული განზე გახტა, სკამი და მაგიდა გადააბრუნა. გოგონა ცხარე ცრემლით ტიროდა, ბიჭი სამზარეულოში შევარდა, სატყეპელა გამოიტანა, გამწარებით იქნევდა, ოღონდ ვერ გავიგე, ვის ექომაგებოდა, მამას თუ დედას.

უცებ თავში გამიელვა, შესაფერისი წუთი დადგა, იჩქარე, თორემ გვიან იქნებაო. წამოვდექი და დავიყვირე:

- დაწყნარდით, რა ამბავში ხართ, ეშმაკმა წაგიღოთ. ეი, თქვენ გეუბნებით!

კარისაკენ დავიხიე, გარეთ გავედი, ჩქარი ნაბიჯით გავიარე ჩიხი, პანთეონის მოედანზე გავედი და იქიდან უკვე ჩვეულებრივი ნაბიჯით გავყევი გზას კორსოსკენ.

თავის ჭკუაზე ვერ არის

რომაელები ამბობენ, სიროკო სულ არ გვაწუხებს, ბავშვობიდან შევეჩვიეთო. მეც რომაელი გახლავართ, კამპიტელის მოედანზე დავიბადე და მოვინათლე, მაგრამ სიროკოს ვერ იქნა და ვერ შევეჩვიე. ისე მიშლის ძარღვებს, ისე მაგიჟებს, რომ თავგზას ვკარგავ. დედამ კარგად იცის ჩემი ამბავი და როცა ცა დილიდანვე მოიქუფრება, შეშფოთებით გადმომხედავს ხოლმე, ტანთ რომ ვიცვამ, სამუშაოზე წასვლის წინ. თუ შემატყო, თვალები ამღვრეული მაქვს და სიტყვა პირში მიწყდება, დამიყვირებს: - დამშვიდდი, შვილო, დამშვიდდი. აბა რად ღელავ... თავი უნდა შეიკავო, ასე არ ვარგა.

საწყალი დედა! იმიტომ მიყურებს შეშფოთებით და ჩემს დაშოშმინებას იმიტომ ცდილობს, რომ კარგად იცის, ამ წყეული სიროკოს წყალობით ერთ მშვენიერ დღეს საავადმყოფოში ან ციხეში ამოვყოფ თავს.

- გული გააწყალა ამ ქარმა, - ეტყვის ხოლმე მეზობლებს დედა, - დღეს ჩემს ჯიჯის ისეთი საშინელი სახე ჰქონდა... სამუშაოზე წავიდა... როგორც კი ეს ოხერი ქარი ამოვარდება, ისე აირევა, ადგილს ვერ პოულობს, თავის ჭკუაზე ვერ არის.

პატარა ვარ, გალეული, ვერც კუნთებს დავიტრაბახებ, მაგრამ დაბერავს თუ არა სიროკო, გული სულ საჩხუბრად მერჩის, ანდა, როგორც რომაელები იტყვიან, „ხელი მექავება“. დავდივარ აქეთ-იქით, ხალხს ვათვალიერებ, შევარჩევ ყველაზე ზორბა, წარმოსადეგ კაცს და გულში ვფიქრობ: „ახლა ამ კაცს ისეთს ვლეწავ, ცხვირიდან სისხლი თქრიალით წასკდეს. აი, ამას კი პანღურით გავუხეთქავ ერთ ადგილს, მერე დაჯდეს და იწრუწუნოს. ამას ორ სილას ვაჭმევ და ყბას განზე მოვუქცევ“. ო, ტკბილო ოცნებავ! სინამდვილეში ყველა ჩემზე ღონიერია, დიდი-დიდი ბავშვს მოვერიო, მაგრამ ისიც საკითხავია, როგორი ბავშვი შეგხვდება. ვაიუთუ ყაჩაღანას გადაეყარე, ერთი ორჯერ ისე დაგაძგერებს თავს მუცელში, ისეთ დღეში ჩაგაგდებს, რომ მშობელმა დედამაც ვერ გიცნოს.

კიდევ იმით ვარ უბედური, რომ შეუფერებელი სამუშაო მაქვს. ყავახანაში ვმუშაობ. ოფიციანტად. როგორც მოგეხსენებათ, ოფიციანტს დიდი თავდაჭერა მართებს, რაც უნდა შეემთხვეს, მშვიდად უნდა ეჭიროს თავი. თავაზიანობა ოფიციანტს ისევე სჭირდება, როგორც ხელსახოცი ან ლანგარი, რომელზეც ჭიქებს დგამს. ერთი

სიტყვით, თავაზიანობა ოფიციანტის სამუშაო იარაღია. ამბობენ, ოფიციანტებს ფეხები დაკოჟრებული აქვთო. მართალია, მე ჯერ არ გამჩენია კოჟრები, მაგრამ ისე მეჩვენებოდა, თითქოს დაკოჟრებული მაქვს ფეხები და ყოველი მუშტარი ამ კოჟრებზე მადგამს ფეხს. ძალიან მგრძნობიარე ვარ, საკმარისია უბრალო შენიშვნა, ან უხეში სიტყვა, რომ ავპილპილდე. მე კი, რაც უნდა მითხრან, მშვიდად უნდა ვუპასუხო.

ბოღმას რომ ვერ გადმოვანთხევ ხოლმე, ღაწვი ნერვულად ამითამაშდება, ეს კი ნაღვლის ჩაქცევის ნიშანია. ჩვენმა ოფიციანტებმა, კარგად იციან ჩემი ხასიათი და, სახე მომექცევა თუ არა, მაშინვე მკითხავენ:

- ეი, ჯიჯი, რა მოგივიდა? რაღაც ვერა ხარ გუნებაზე... ვინ გაწყენია?

საერთოდ, ეჰ, რაღა მეთქმის, მასხარად მიგდებენ.

როცა ასევარ საჩხუბრად აღრენილი, ხანდახან მაინც ვახერხებგულის მოოხებას და იცი, როგორ? ისეთ ადგილს შევარჩევ ხოლმე, სადაც ბევრი ხალხი ტრიალებს, მაგალითად, რომელიმე მოედანს, მერე შესაფერ ტიპს თვალს დავადგამ, შარს მოვდებ და გავლანძღავ. ბუნებრივია, რომ ჩემი შერჩეული მსხვერპლი არ მოითმენს შეურაცხყოფას, მუშტებით მომვარდება, მაგრამ ირგვლივ მყოფთა შორის ყოველთვის გამოჩნდება ოთხი-ხუთი მოხალისე, ისინი ეცემიან იმ კაცს და ხელებს გაუკავებენ, მეც სწორედ ეს მინდა: ვიდრე ის გაკავებული ჰყავთ, იცოცხლე, ისეთ მაგარ-მაგარ სიტყვებს მივახლი, რომ ხელად შვებას ვიგრძნობ. როგორც კი გულს მოვიფხან, შევტრიალდები და იქაურობას გავშორდები. იმ დღეს თავს მშვენივრად ვგრძნობ.

ჰოდა, ერთხელ როცა სიროკო დანასავით სერავდა ყველაფერს, შინიდან გულამღვრეული გამოვედი. რატომღაც ერთი ფრაზა ამეკვიატა და განუწყვეტლივ ჩამბზუოდა ყურში: „ახლავე აქედან მოუსვი, თორემ ცხვირ-პირს დაგინაყავ...“ ნეტა სად გავიგონე ეს სიტყვები? ვერაფრით ვერ მოვიგონე... იქნებ სიროკომ ჩამჩურჩულა ყურში? მთელი გზა, ვიდრე ტრამვაიმდე მივიდოდი, სულ ამ სიტყვებს ვიმეორებდი.

ტრამვაით ფიუმეს მოედანზე უნდა წავსულიყავი, ჩვენი ყავახანა იმ მოედანთან ახლოსაა. რა თქმა უნდა, ტრამვაი ხალხით იყო გაჭედილი და, მიუხედავად ადრიანი დილისა, დახუთული ჰაერი იდგა. აბა რას გავაწყობდი, კრიჭაშეკრული სწორედ გასასვლელში ჩავდექი. აქეთ-იქიდან მეჯახებოდნენ, მუჯლუგუნებს მკრავდნენ, თითქოს მუჯლუგუნის გაუკრავად არ შეიძლება წინ წაიწიოს კაცმა. ტრამვაი ნელა მიჰყვებოდა ტიბრის სანაპიროს, გადაჭრა ფლამინოს მოედანი, ჩაუარა მურა ტორტოს და ფიუმის მოედანს უახლოვდებოდა, მე რომ ადგილიდან დავიძარი და გასასვლელისკენ წავიწიე.

უნდა მოგახსენოთ, რომ ერთი რამე ძალიან მიშლის ძარღვებს, თუნდაც სიროკო არა ჰქროდეს. ეს არის შეკითხვა, რომლითაც ტრამვაიში ხშირად მოგვმართავენ ხოლმე: „ჩადიხართ! უკაცრავად, აქ ჩადიხართ?“ ჩემი აზრით, ეს ძალიან კადნიერი შეკითხვაა. არ ვიცი, რას გავიღებდი, ოღონდ ერთხელ მაინც მეტკიცა საკადრისი პასუხი თავხედებისთვის: „ჩავდივარ

თუ არა, ეგ თქვენი საქმე არ არის“. იმ დილითაც, როგორც ჩვეულებრივად ხდება, გასასვლელისკენ დაძრული ხალხი ერთმანეთს ეჯახებოდა, მუჯლუგუნებით უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს: გაჩერებას რომ მივუახლოვდით, ვიღაც ჩემს უკან მდგომმა მკითხა: „აბა, გოლიათო, ჩადიხარ, თუ არა?

ოფიციანტსაც აქვს თავმოყვარეობა. ისედაც აშლილი ვიყავი და ახლა ჩემს თავმოყვარეობას შეეხნენ, შენობით მომმართეს და გოლიათიც მიწოდეს. ამ სიტყვების მთქმელს ხმაზე ეტყობოდა, წარმოსადეგი კაცი უნდა ყოფილიყო. მთელი ჩემი სიცოცხლე ასეთ კაცთან შებმას ვნატრობდი. გარშემო მიმოვიხედე. ნემსი რომ ჩაგეგდოთ, ძირს არ დავარდებოდა. გავთამამდი, ამდენ ხალხში რას მიზამს-მეთქი და მივახალე:

- რა შენი საქმეა, ჩავდივარ თუ არა.

- მაშ განზე გადექი და ხალხს გზა მიეცი, - მიპასუხა მან.

- როგორ არა, ვერ მოგართვეს.

პასუხის ნაცვლად ისეთი მაგარი პანღური მივიღე, რომ სუნთქვა შემეკრა. ის ვაჟბატონი კი

თვალის დახამხამებაში წინ გაძვრა. არ შევმცდარვარ: მაღალი, ჩასკვნილი კაცი იყო, აჭარხლებული სიფათი, ამერიკულ ყაიდაზე დაყენებული შავი ულვაშები ჰქონდა და კისრის ნაცვლად- ხარის ქედი. უცებ ის სიტყვები ჩამესმა ყურში, დილას რომ ამეკვიატა: „ახლავე აქედან მოუსვი, თორემ ცხვირ-პირს დაგინაყავ...“ უცნობმა ის იყო ტრამვაის საფეხურზე ჩადგა ფეხი, მეც იქვე ვიდექი, რომ ერთბაშად ძალა მოვიკრიბე და დავუყვირე: - ხეპრევ, ტეტიავ!

ჩემი სიტყვების გაგონებაზე უცნობი ამოტრიალდა, ხელი მტაცა და ისე დამქაჩა, რომ კისრისტეხვით ჩავგორდი ძირს.

- აბა, გაიმეორე, რა თქვი, შე არამზადავ, შენა! - ღრიალებდა იგი.

იმედმა არ მიმტყუნა, ხუთი ექვსი კაცი მაშინვე უცნობს მივარდა და ხელები გაუკავეს. სწორედ სულზე მომისწრო იმ ხალხმა, თორემ ცუდი დღე დამადგებოდა. ვიდრე ის გამკავებლებს უძალიანდებოდა და ხარივით ბღაოდა, წინ წავდექი გათამამებული და რისხვით მივახალე:

- ვითომ ვინა გდიხარ, რა დიდი ვინმე გგონია შენი თავი? არამზადავ, ავაზაკო, ყაჩაღო...

ტრამვაით სიარული რა შენი საქმეა, შენ ვირის აბანოში უნდა იჯდე... იცოდე, ახლავე აქედან მოუსვი, თორემ ცხვირ-პირს დაგინაყავ... გესმის? შევძახე გაანჩხლებულმა და უხებ მომეშვა გულზე.

უცნობი გაჩერდ, აღარ უძალიანდებოდა გამკავებლებს, ხელი ტუჩებთან მიიტანა, იკბინა, თვალები ზევით აღაპყრო და წამოიძახა:

- შენი ბედი რომ... ამ სიტყვებზე ისევ ავენთე, მუშტშემოღერებული მივეძალე:

- აბა, სცადე, შე ლაჩარო... ვნახოთ რას იზამ... სცადე-მეთქი, რაღას უყურებ, ყაჩაღო, საზიზღარო!

ბოლოს როგორც იქნა, დაგვაშოშმინეს. ამ ჩხუბით გული დავიამე და მხიარული სტვენით გავუდექი გზას ყავახანისკენ.

ყავახანაში მივედი. სანამ ბაღში მაგიდები გაგვქონდა, ოფიციანტებს ჩემი თავგადასავალი ვუამბე. რასაკვირველია, ჩემებურად გადავაკეთე. ავუწერე ის ტიპი, მოვყევი, როგორ გავთათხე,

როგორ შევახურე, საცემრად რომ მივიწევდი, მაგრამ იმაზე არაფერი მითქვამს, რომ საწყალი ექვს კაცს ჰყავდა გაქაჩული, როცა მე ვლანძღავდი. ამხანაგებმა კარგად იცოდნენ ჩემი ამბავი და არ დამიჯერეს.

- დიდი ბაქია ვინმე ხარ, ძმობილო... - მითხრა მებუფეტე გოფრედომ. - ერთი ეს მითხარი, ნუთუ სარკეში არასოდეს ჩაგიხედავს?

-
თუ არ გინდათ, ნუ დამიჯერებთ. ასე კი მოხდა და. იმ ღორისდრუნჩას პირში მივახალე, რასაც ვფიქრობდი. იმან კი ყველაფერი გადაყლაპა.

ამ ამბის შემდეგ ისე მომეშვა გულზე, ისე გავმხიარულდი, რომ ჩემი სამუშაოც კი მომწონდა იმ დილით და დიდი ხალისით ვტრიალებდი. სხეულში არაჩვეულებრივ სიმჩატეს ვგრძნობდი, შევცქრიალდებოდი ყავახანაში, წკრიალა ხმით გავძახებდი შეკვეთას, მერე ისევ ბაღში გავცქრიალდებოდი.

- რა იყო, ჯიჯი, რა მოგივიდა, გადაკრულში ხომ არა ხარ? - მკითხა გოფრედომ.

პირუეტი გავუკეთე გოფრედოს და ვუპასუხე:

- ისე, ცოტა... ერთი სირჩა ანისეული და ერთი ჭიქა ლუდი.

მთელი დღე გამყვა მხიარული განწყობილება. თერთმეტ საათზე ბუფეტში შევედი, ორი ჭიქა ყავა მომაწოდეს, ბაღში გავედი, არა, კი არ გავედი, ბეღურასავით გავფრთხიალდი. ყავისთვის რომ შევედი ბუფეტში, თითქმის მთელი ჩემი მაგიდები დაკავებული იყო, მხოლოდ ბაღის კუთხეში მდგარი მაგიდა იყო ცარიელი. ყავა რომ გავიტანე, უკვე იმ მაგიდასაც მიჯდომოდა ორი კაცი, მუშტრებს ყავა მივართვი და აჩქარებით გავეშურე ბაღის კუთხეში მდგარი მაგიდისკენ, არც შემიხედავს, ვინ იჯდა იქ, ხელსახოცი ერთიორჯერ გადავუსვი სუფრას. - რას ინებებთ, ბატონებო? - ვკითხე და თავი ავწიე.

თავი ავწიე და სუნთქვა შემეკრა. ის გახლდათ, ქუდი კეფაზე მოეგდო და დაცინვით შემომყურებდა. გვერდით თავისნაირი ტიპი ეჯდა, შავი, ყარაჩი, ჭაღარა შერეული, თვალებჩასისხლიანებული.

- ხედავ, ვის გადავეყარეთ? - უთხრა უცნობმა თავის მეგობარს, - ბატონებს ორი ბოთლი ლუდი ნებავთ.

- ორი ბოთლი ლუდი, - გავიმეორე შიშით გულმილეულმა.

- ოღონდ ცივი იყოს, - თქვა და ისე დამაჭირა ფეხი ფეხზე, რომ სიმწრით შევხტი.

ისე დავიბენი, თავდაცვას არც კი ვცდილვარ. შიშმა ყველა სხვა გრძნობა ჩამიხშო. უცნობმა აქეთ-იქით მიმოიხედა და ისევ დაიწყო:

- ეტყობა, ურიგო ადგილი არა გაქვს... ბევრს მუშაობ, გოლიათო?

- ისე, როგორც შემხვდება.

- რომე საათზე ამთავრებ მუშაობას.

- შუაღამეზე.

- საუცხოოა. ერთი საათი კიდევ გვაქვს... ეს დროც გაივლის, ვიდრე ამ ორ ბოთლ ლუდს გამოვცლით. მერე კი ხელის ქირას მიიღებ.

-
უსიტყვოდ შევტრიალდი. ბუფეტში რომ შევედი, გოფრედო ყავის სადუღარასთან ტრიალებდა, თვალი მომკრა თუ არა, უმალ შემატყო, რომ სახე შეშლილი მქონდა. ორი ბოთლი ლუდი, - ვუთხარი გოფრედოს სულ უცხო, გაწვრილებულ ხმაზედა დახლს დავეყრდნე, რომ არ წავქცეულიყავი.

- რა დაგემართა, ცუდად ხომ არ გახდი? - მკითხა გოფრედომ და ლუდი მომაწოდა.

- არაფერი არ მომსვლია, - ჩავილაპარაკე, ბოთლები ავიღე და ბაღში გავედი.

- ყოჩაღ, ეს ხელობა სწორედ ზედგამოჭრილია შენზე, - მითხრა უცნობმა მტერმა. მერე ლუდის ბოთლს ხელი დაადო. - ეს რასა ჰგავს, ლუდი მთლად თბილია. მეც მოვკიდე ბოთლს ხელი შესამოწმებლად, ყინულივით ცივი იყო.

- მე მგონი, ლუდი საკმაოდ ცივია. ხელზე ისე მომიჭირა ხელი, კინაღამ ძვლები დამიმტვრია.

- ლუდი თბილია... გაიმეორე, რომ ლუდი თბილია, - მიბრძანა მტერმა.

- ლუდი თბილია, - გავიმეორე მორჩილად.

- ასე აჯობებს... ახლა კი წადი და რამე ცივი მოგვართვი.

- ნაყინი? - ვკითხე ხმის კანკალით.

- კარგი, ნაყინი იყოს... ოღონდ არ დაგავიწყდეს: ცივი.

ამ სიტყვებზე ისევ გამკრა ფეხი.

მაგიდა ბუფეტიდან კარგად ჩანდა, როგორც კი შეკვეთის მისაცემად მივედი, გოფრედომ სიცილით მკითხა:

- ის არის, არა?

სხვა ოფიციანტებიც სიცილით იჭაჭებოდნენ. მკვდრის ფერი დამედო, ავკანკალდი.

- კი მაგრამ, - დაიწყო გოფრედომ, თან ორი ულუფა ნაყინი ამოიღო სანაყინედან, - ამ დილას შენ არ იყავი, ანგელოზები რომ დაუფრთხე მაგ კაცს რაღას უცდი, შენებურად რატომ არ შეუტიე. გვაჩვენე ერთი, რა ვაჟკაცი ხარ.

კრინტი ვერ დავძარი, ნაყინი გავიტანე, მუშტრებს წინ დავუდგი. ჩემმა მტერმა კოვზით აიღო ნაყინი, გემო გაუსინჯა და მკითხა:

- მაშ ასე, შუაღამისას ამთავრებ მუშაობას, არა.. შინ რომელი გზით მიდიხარ?

- კლინიკის უბანში ვცხოვრობ, - ვიცრუე. სინამდვილეში კამპიტელის მოედანთან ვცხოვრობ.

- ძალიან კარგი, - მრისხანედ ჩაიბუხუნა მან. - საავადმყოფოსთან ახლოს იქნები და უფრო ჩქარა მიგიყვანენ იქ. ისევ ყავახანაში შევბრუნდი და გოფრედოს ვუჩურჩულე:

-

- ცემას მიპირებენ... ყავახანის დახურვას უცდიან. რა ვქნა, პოლიციას ხომ არ ვაცნობო?

- მერე ეგ რას გიშველის? - მხრები აიჩეჩა გოფრედომ. - ხელად უარს გეტყვიან, არ ვიცნობთ, თვალით არ გვინახავსო. პოლიცია კი უსაფუძვლოდ არავის დააპატიმრებს. გოფრედომ ყავის სადუღრის ონკანი მოაბრუნა და დაუმატა: - იცი, ჯიჯი, რას

გირჩევ? ეცადე გული მოულბო... მიდი, ბოდიში მოიხადე, პატიეა სთხოვე და საქმე ამით დამთავრდება.

დიდი უკუდო ამპარტავანი ვარ, მაგრამ ახლა შიშმა დამძლია. მივედი იმ კაცთან, ორი წუთი ვიდექი მდუმარედ და მერე ჩუმად ჩავილაპარაკე:

- მაპატიეთ.

- რაო? - გამომწვევად წამოიძახა ჩემმა მტერმა და მრისხანედ დამიბრიალა თვალი.

- მაპატიეთ - მეთქი... აი, ის ამბავი, ტრამვაიში.

- რომელ ტრამვაიზე ლაპარაკობ? - თითქოს გაოცდა, ამხე-დამხედა. - არ ვიცი, ვინა ხარ, ჩემს დღეში თვალით არ მინახიხარ... აჰა, მესმის. მესმის, შეგეშინდა, ხელის ქირას არ მომცემენო, არა? არხეინად იყავი, ხელის ქირას უსათუოდ მიიღებ... როგორც საჭიროა, ისე მიიღებ.

შიშით კბილები ამიკაწკაწდა. ეჭვი არ იყო, უკან გამომყვებოდნენ. კამპიტელის მოედანთან კი ისეთი ბნელი და მიყრუებული შესახვევებია, კაცს ისე აუგებდნენ ანდერძს, რომ ძე- ხორციელი ვერას გაიგებს. ისევ გოფრედოს მივვარდი და შევევედრე:

- გოფრედო, რა იქნება, გამომყევი!.. ისეთი ღონიერი ხარ, რომ შენი შეეშინდებათ.

- მე კი ვარ ღონიერი, - გამაწყვეტინა გოფრედომ, - მაგრამ საქმე ის არის, რომ შენ დიდი სულელი ხარ... რა იყო, რა მოხდა ისეთი, ასე რამ წაგახდინა... ერთ-ორს თუ გითაქებენ, შენც ვალში ნუ დარჩები... აკი ამბობდი დილას, დავაშინეო.

გოფრედო ძველებურად დამცინოდა. სხვა ოფიციანტებიც სიცილით იფხრიწებოდნენ, არავის ვეცოდებოდი და იმედგადაწყვეტილს თვალი ცრემლით ამევსო.

დრო კი მიდიოდა, შუაღამე ახლოვდებოდა. ოფიციანტები ერთიმეორის მიყოლებით წავიდნენ. გოფრედომ ყველაფერი აალაგა, უვე დახლსა და ყავის სადუღარს წმენდდა. ბაღში მაგიდები დაცარიელდა, მხოლოდ კუთხეში მდგარ მაგიდას არ ტოვებდნენ ჩემი მუშტრები.

გოფრედო უკვე ბაღში გავიდა და სკამ-მაგიდის შემოტანა დაიწყო. შიშით გულმილეული თვალებს ვაცეცებდი, როგორ, საიდან გავიპარო-მეთქი. მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ყავახანას მხოლოდ ერთი გასასვლელი ჰქონდა და გაპარვაზე ოცნებაც ზედმეტი იყო.

-
ამასობაში იმ ორმა კაცმა ფული გადაიხადა, გავიდნენ ბაღიდან და ქუჩის მეორე მხარეს შედგნენ.

გოფრედომ საქმე რომ მოათავა, უკანა ოთახში გავიდა, ქურთუკი გაიხადა და გვერდით რომ ჩამიარა, ღიმილით მითხრა, მგლის ხახაში გტოვებო.

ძალა არ შემწევდა, ვერ გავიღიმე მის სიტყვებზე. უკვე ყველა წავიდ-წამოვიდა, დავრჩით მე და ყავახანის პატრონი. ის სალაროში იჯდა და დღის ნავაჭრს ანგარიშობდა, მარმარილოს დახლზე დასტა-დასტა აწყობდა ათასლარიან ბილეთებს.

იქვე უფრო წვრილი ფულის დასტებს აწყობდა. მუშტარი არ გვაკლდა, შემოსავალი კარგი გვქონდა, ერთ დასტად დაწყობილი ათასლირიანი ბილეთები ოცდაათი მაინც იქნებოდა. ისევ გარეთ გავიჭვრიტე: ვაჟბატონები იქვე იდგნენ, სახლის ჩრდილს მოფარებულები. მათ შორიახლო კი ორი პოლიციელი წინ და უკან მიმოდიოდა.

უცებ ერთმა აზრმა გამიელვა და ცოტა შვება ვიგრძენი. გავიხადე თეთრი ქურთუკი, ჩავიცვი ჩემი საკუთარი, მივედი დახლთან, ვითომ პატრონთან გამოსამშვიდობებლად, უცებ ათასლირიანებს დავტაცე ხელი და მოვუსვი.

თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი, მესმოდა, ყვირილით რომ მომდევდნენ: დაიჭით, დაიჭითო. არ მიმტყუნა გეგმამ. მივრბოდი და თანდათან განგებ ვანელებდი ფეხს. ფიუმეს მოედანზე ტაქსის შოფრებს გაეგონათ ყვირილი, ქურდი დაიჭითო და მოედანზე გავიჭერი თუ არა,

შემომეხვივნენ. წინააღმდეგობა არ გამიწევია, ისე შევდექი, როგორც ფინიშთან მისული მორბენალი.

პოლიციელებიც კვალდაკვალ მომყვნენ. ყავახანის პატრონი მორბოდა და დასაკლავი ღორივით ჭყიოდა, მას გოფრედო მოსდევდა, ყვირილი რომ გაეგონა, უკან გამობრუნებულიყო. რომ დაინახა, პოლიციელებს ვყავდი გაკავებული, ყველაფერს მიხვდა და დამიყვირა:

- ჯიჯი, ეს რა ჩაიდინე, რა ქენი, ჯიჯი?

უკვე პოლიციის უბანში მიმათრევდნენ, გოფრედოს რომ ვუპასუხე: შემეშინდა, საავადმყოფოში ყოფნას ციხეში ჯდომა მირჩევნია-მეთქი.

ამასობაში ყავახანის პატრონს თავისი ფული დაუბრუნეს. ძალიან კეთილი კაცი იყო და პოლიციელებს სთხოვა: გაუშვით, თავის ჭკუაზე არ იყოო.

- არა, არა, - წამოვიძახე შიშით დაზაფრულმა. - უბანში მიმიყვანეთ... იქ ჯობია ჩემთვის...

მადა

დილით თუ იმ მხრიდან ჩაუვლით საავადმყოფოს, სადაც კედელი მარმარილოს წარწერიანი ფირფიტებით ისეა აჭრელებული, გეგონებათ, კონვერტზე მარკები დაუწებებიათო (ამ წარწერებით განსაკუთრებული ხალხი მადლობას სწირავს ხოლმე მკურნალებს. ანდა, პირიქით, ავადმყოფი ევედრება, განმკურნეთო), მადონას ნიშთან, საყვავილეს დაინახავთ. ნაირ-ნაირი ყვავილების ქოთნებით, ბაფთებით შეკრული კალათებით და შეღებილი ქანდაკებებით სავსე ჯიხური მთელ უბანს ამარაგებს ყვავილებით. უბედური ავადმყოფებისათვის ნათესავ-მეგობრებიც სწორედ ამ ჯიხურში ყიდულობენ ყვავილებს. მაღალი, ქერა ქალი ვაჭრობს იქ. ვაჭრობაში ვაჟიშვილი, ცხრამეტი წლის კარლო ეხმარება, დედასავით სქელი და ზორზოხა. კარლო, ვგონებ, ერთ ცენტნერს იწონის. აბა, კარგად დააკვირდით კარლოს! მსუქანი

სახე ულაპლაპებს, წითური თმა ზღარბის ჯაგარივით აბურძგვნია, ცხვირზე სქელშუშიანი სათვალე დაუკოსებია. გვერდით რომ შებრუნდება, მკერდი ქალივით უთამთამებს, მუცელი უკვე წამოეზარდა, ფეხები კი ბოძებს მიუგავს. ამერიკულ ყაიდაზეა გამოწყობილი- სპორტული ქურთუკი და ზოლიანი შარვალი აცვია. ეს ქურთუკი ტანზე ჟილეტივით მჭიდროდ აქვს შემოტმასნილი და ძირს რომ იხრება, შარვალი ისე გადაეჭიმება ხოლმე ტანზე, ესაა გასკდებაო, იფიქრებთ.

უწინ მე და კარლო დიდი მეგობრები ვიყავით, ახლა კი მემდურის, რითაც ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. ეს ამბავი უფრო იმიტომ მწყინს, რომ კარლოს ერთი შეხედვა ყოველგვარ დარდს ავიწყებს ადამიანს. საკმარისია შეხედოთ, როგორ ჭამს, უმალ გულზე მოგეშვებათ. ისეთი მადა ღმერთმა ყველას მისცეს. მეორე არ შემხვედრია ასეთი მჭამელი. საწებლით შეზავებული ნახევარ კილო სპაგეტს შეჭამდა, პურს ბლომად შეატანდა და მერე გულდაწყვეტით იტყოდა: „იჰ, პირის ქარად არ მეყო. ღმერთო ჩემო, როგორ მშია!“

როცა ჭამდა, მის შეხედვას არაფერი ჯობდა. ამიტომ მეგობრები სპეციალურად პატიჟებდნენ ოსტერიაში. რა თქმა უნდა, კარლოს დიდი ხვეწნა არ ჭირდებოდა. ერთხელ ნახევარ საათში მთელი ბატკანი გადასანსლა, ისე გამოღრღნა და გამოწუწნა, რომ ლანგარზე ძვლების მეტი არა დარჩა რა. შინ საძღომად ვერა ჭამდა, რადგან დედა ძუნწი ჰყავდა, ყვავილების ვაჭრობით კი ვინ გამდიდრებულა, რომ კარლო გამდიდრებულიყო. კარლომ იცოდა, თავს რომ ვიქცევდით მისი ჭამით, ესეც თავისებური სპექტაკლი იყო, ამიტომ თვითონ გვაგულიანებდა:

- აბა, რას აპირეთ, ამ საღამოს დამპატიჟებთ, თუ არა? რაც უნდა შეუკვეთოთ და რამდენიც უნდა შეუკვეთოთ, სირცხვილს არ გაჭმევთ, ყველაფერს შევჭამ.

ერთ კვირა დღეს კარლომ მითხრა, ჩემს საცოლესთან, ფაუსტინასთან სადილად მიგვიწვიესო.

გამიკვირდა. იმ ოჯახს ისე ახლოს არ ვიცნობდი, რომ სადილად დავეპატიჟნე. როცა კარლო დანიშნულ ადგილზე, იტალიის პროსპექტზე შემხვდა, ვიგრძენი, რომ რაღაც კარგი ამბავი არ იყო მის თავს. წარამარა ოხრავდა, დაღვრემილი იყო. გავყევით გზას. კარლო ჯიბეში ხელჩაყოფილი მოაბიჯებდა და ოხრავდა. რა დაგემართა-მეთქი, ვკითხე. პასუხის ნაცვლად ისე ამოიოხრა, თითქოს გული თან ამოაყოლაო. ჩავაცივდი, მითხარი რა მოხდა, რა გაწუხებს? მაგრამ კარლომ ისევ ოხვრით მიპასუხა. გული მომივიდა და შევუწყერი:

- შენი ნებაა, თუ არ გინდა, ნუ მეტყვი... ოღონდ ოხვრა შეწყვიტე. ზღვის ღორსა ჰგავხარ.

- განა ზღვის ღორები ოხრავენ?

- არა... მაგრამ ოხვრა რომ შეეძლოთ ზღვის ღორებს, სწორედ შენსავით ამოიოხრებდნენ. ერთი კიდევ ამოიოხრა კარლომ და მერე დაიწყო:

- შენი დაპატიჯება იმიტომ ვთხოვე, რომ ერთ საქმეში დამეხმარო... დამეხმარები?

- რატომაც არა, დაგეხმარები.

- ჩემს საცოლეს აღარ ვუყვარვარ, - ამოიხვნეშა ისევ კარლომ.

გამოტეხილად გეტყვით, პირველ წუთებში ამის გაგონება გამეხარდა კიდეც. ფაუსტინა მომწონდა, არ მესმოდა, რა ნახა კარლოში. მაგრამ მე კარლოს მეგობარი ვიყავი და არამცთუ არშიყობა, არცკი მიგრძნობინებია ფაუსტინასათვის, რომ მომწონდა.

- სამწუხაროა, კარლო, მაგრამ რით შემიძლია დაგეხმარო?

- ოო, ბევრი რამ შეგიძლია... ფაუსტინა ყურს არ მიგდებს, ჩემი დანახვაც კი არ უნდა. ვიცი, შენ პატივსა გცემს, ჰოდა, დღეს სადილად დაგვპატიჟა, მინდა გავიგო ყველაფერი. ერთი ჰკითხე, რას მერჩის. უთხარი, რომ მიყვარს, ურჩიე, ნუ მიმატოვებს,

- ქალს თუ არ უნდა, ვერავითარი რჩევითა და საბუთებით ვერ დააჯერებ, - ვუთხარი კარლოს. მაგრან ძალიან, რომ ჩამაცივდა, დავპირდი, შევეცდები დავაჯერო ფაუსტინამეთქი. ამასობაში მივედით კიდეც ფაუსტინას სახლთან.

ავედით კიბეზე, დავაკაკუნეთ. პატარა, ჭაღარა ქალმა გაგვიღო კარი. ეს ფაუსტინას დედა გახლდათ, ხელში ნახშირის გასაღვივებელი მარაო ეჭირა.

- მადლობა ღმერთ, თქვენ მაინც მოხვედით, - წამოიძახა ფაუსტინას დედამ და სამზარეულოსკენ გაიქცა.

შევედით სასადილო ოთახში. ფაუსტინას მამა თერძი იყო, ამ ოთახში ღებულობდა და აზომებდა ტანსაცმელს კლიენტებს. სუფრა რვა კაცისთვის იყო გაწყობილი. კედლები მოდელების ჟურნალიდან ამოჭრილი სურათებით აეჭრელებინათ. კუთხეში ქალის მანეკენი იდგა და ზედ დალამბული ჟაკეტი ეკიდა.

მე მომეჩვენა, რომ ოჯახში უსიამოვნება ჰქონდათ. სამზარეულოში ფაუსტინას დედა გაბრაზებული უყვიროდა ვიღაცას, ვიღაც სიტყვას უბრუნებდა. უცებ კარი გაიღო და ოთახში ფაუსტინა შემოვიდა. თვრამეტი წლის იყო, ტანმორჩილი, ნაზი, თმახუჭუჭა, მწვანე თვალები ჰქონდა და დიდი პირი. რა თქმა უნდა, კალმით ნახატი არ გახლდათ, მაგრამ ძალიან მიმზიდველი კი იყო.

-
  გამარჯობა, კარლო... გამარჯობა, მარიო... - მხიარულად შესძახა ფაუსტინამ. - დედა ჯავრობს, მაკარონი რვა სულისთვის გააკეთა, მაგრამ მამამ, ჯინომ და ალფრედომ გამოუცხადეს, ფეხბურთზე მივდივართ და დღეს შინ არ ვისადილებთო. თურმე ვერც ანა-მარია მოვა, რადგან საქმრომ დაპატიჟა. მეც სხვაგან ვარ დაპატიჟებული, წასვლას ვაპირებ... ასე რომ, თქვენ სამნი

რჩებით... დედა ჯავრობს, ხორცი ხვალისთვისაც შეინახება, მაგრამ ყველით შეზავებული მაკარონი კი გაფუჭდებაო.

სულმოუთქმელად წამოისროლა ფაუსტინამ ეს სტყვები, კაბის კალთა აიკრიფა, რომ არ დაჭმუჭნოდა და ძველ, დანჯღრეულ სავარძელში ჩაჯდა.

- იცი, კარლო, - განაგრძო ფაუსტინამ. - დედამ მითხრა შენ და კარლომ უნდა მოილაპარაკოთ და საბოლოოდ გადაწყვიტოთ თქვენი საქმეო. ამიტომ დაგპატიჟეთ შენ და შენი მეგობარი... წინასწარ გეუბნები, კარლო, ტყუილად ირჯები.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ფაუსტინამ თამამად რომ თქვა ეს სიტყვები, მესიამოვნა. უფრო იმიტომ მესიამოვნა, რომ ლაპარაკის დროს ფაუსტინა კარლოს კი არ უყურებდა, მე მიცქეროდა და თვალი რომ გავუსწორეთ ერთმანეთს, მომეჩვენა თითქოს ფაუსტინამ კეკლუცად გამიღიმა.

- მაშ აღარ გიყვარვარ, ფაუსტინა? რაღა ვქნა ახლა? - აზლუქუნდა კარლო. ფაუსტინამ

  გულიანად გადაიკისკისა, მოკლე და მსხვილი კბილები გააელვა.

- სხვას იპოვი... ან ვერ იპოვი... თუმცა ეს მე არ მეხება... აღარ მინდა შენი დანახვა... თავი მომაბეზრე.

- რით მოგაბეზრე თავი?.. რა ვქენი ისეთი... რად მომიძულე?

ფაუსტინა ჯერ აენთო, მერე მწვანე თვალები მომაშტერა და კარლოს მხიარულად უთხრა:

- იმიტომ მძულხარ, რომ... ზორზოხა ხარ, ლეიბსა ჰგავხარ, ღორმუცელა ხარ... ჭამის მეტი არა გახსოვს რა და, რაც მეტს ჭამს, მით უფრო სქელდები... ამხანაგები დამცინიან, ხელმწიფე ფარუკის საცოლე ხარო... შენ გვერდით ისე ვჩანვარ, როგორც რწყილი სპილოსთან... შენი შესაფერი არ გახლავარ!

როდისმე თუ გინახავთ მტირალა ზორზოხა კაცი? გამხდარი როცა ტირის, გჯერათ მისი მწუხარება, მაგრამ სქელი ნამდვილად ეჭვს იწვევს, გგონიათ, რომ თვალთმაქცობს. კარლომ სათვალე მოიხსნა, ცხვირსახოცში ჩარგო სახე და აქვითინდა. ამ დროს ოთახში ფაუსტინას დედა შემოვიდა, ხელში პამიდორის საწებელდასხმული მაკარონით სავსე საწვნე ეჭირა.

- რა მოხდა? რა დაემართა კარლოს? - იკითხა გაკვირვებულმა.

- ტირის, - უპასუხა ფაუსტინამ და მხრები მხიარულად შეათამაშა. - არა უშავს, მოუხდება ტირილი. მაშ ასე, მე მივდივარ, - წამოდგა ფაუსტინა, - გინდოდა

- შეხვედრა და აი, გაგიმეორე ის, რაც უწინ გითხარი... ახლა კი საქმე მაქვს, მშვიდობით.

- არ ისადილებ? - დაუყვირა დედამ.

მერე... რამეშემინახე... მშვიდობით, კარლო... კარგ მადას გისურვებ... მშვიდობით, მარიო...

ამ სიტყვებით გამომიწოდა ხელი, მწვანე თვალები დაჟინებით მომაშტერა და ვიგრძენი თითები როგორ მომისვა ხელზე.

- კარგი ამბავია, - აბუზღუნდა ფაუსტინას დედა, - ორნიღა დარჩით... აბა, დასხედით და ჭამეთ.

- არ მშია, - თქვა კარლომ და თითქოს რაღაც ჯადოქრული ძალით ცრემლი ხელად შეაშრა და საწვნეს მიაშტერდა.

მე მართლა არ მშიოდა, ფაუსტინას საქციელმა ამაღელვა. რას ნიშნავდა ის დაჟინებული მზერა და თითების მოსმა ხელზე?

- სჯობს, წავიდეთ, არა, კარლო? - ვუთხარი კარლოს.

- ამ კერძს რაღა ვუყო, გადავყარო? - დაიყვირა დოინჯშემოყრილმა ფაუსტინას დედამ. - შინ გაკეთებული მაკარონია. დასხედით, დასხედით და ჭამეთ.

- არა, არ მინდა, - მორიდებით თქვა კარლომ. მაგრამ იმ წუთს კარში ისევ გამოჩნდა

ფაუსტინა და დაიძახა: - ვინ დაგიჯერებს, კარლო, რომ ჭამა არ გინდა? ჭამე, ჭამე,

გეთაყვა.

უცებ მიუხტა სავარძელში ღრმად ჩამჯდარ კარლოს, ხელი სტაცა, წამოაყენა, მაგიდასთან დასვა, გულზე ცხვირსახოცი ააფარა და ხელში ჩანგალი შეაჩეჩა. ფაუსტინას დედამ კი მაკარონი გადმოუღო.

- არ მინდა, არ მშია! - იძახდა კარლო, მაგრამ პამიდორის წითელ საწებელგადასხმულ მაკარონს ისეთი მადის აღმძვრელი ოხშივარი ასდიოდა, რომ თავი ვეღარ შეიკავა. არ მშიაო, იმეორებდა ცრემლმორეული, თან ჩანგალზე ახვევდა მაკარონს. - ღმერთმა მადა ნუ მოგაკლოს, - დაუყვირა ფაუსტინამ და მეორე ოთახში გავიდა.

ფაუსტინას დედამ მეც გადმომიღო მაკარონი და ისიც გავიდა ოთახიდან. კარლომ ჩანგალზე სქლად დახვეული მაკარონი პირთან მიიტანა და აცრემლებულმა მითხრა:

- მარიო, გადი ფაუსტინასთან, სანამ წავა, მოელაპარაკე, პირისპირ რომ იქნებით, მარტო...

სიტყვა აღარ დაამთავრა, თავი დახარა და მაკარონი პირში გადაუშვა. ჭამდა, თან ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა ლოყებზე.

-

- მართალი ხარ, - წამოვიძახე სიხარულით... - მარტო რომ ვიქნებით, იქნებ დამიჯეროს... შენ ჭამე... მე მალე დავბრუნდები.

წამოვდექი და ფაუსტინას ოთახისკენ გავწიე. სარკის წინ იდგა, პომადას ისვამდა. კარი მივხურე, მივედი, წელზე ხელი შემოვხვიე და მოურიდებლად ვუთხარი:

- ხვალ შევხვდეთ? ფაუსტინამ ცერად შემომხედა და მოურიდებლად მითხრა: არა, დღეს.

- დღეს? რა დროს?

- ნახევარი საათის შემდეგ. ქვევით დაგელოდები, ყავახანაში.

მეტი არაფერი უთქვამს, ერთი შემოპროწიალდა ჩემ წინ და ოთახიდან გაფრთხიალდა.

სასადილო ოთახში დავბრუნდი. კარლო მადიანად, მაგრამ დინჯად შეექცეოდა მაკარონს, თეფში მოენახევრებია.

- კარლო, ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ფაუსტინამ გამომაგდო... ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, მეგობარო.

ვეებერთელა ლუკმა გადაყლაპა, თავი ჩაქინდრა, აქვითინდა, მაგრამ ჩანგალზე მაინც ახვევდა მაკარონს.

- საზიზღარი... მე კი როგორ მიყვარს!

ახლა მეც მივუჯექი სუფრას. ფაუსტინასთან ლაპარაკის შემდეგ მადა მომეცა. საწებლიანი მაკარონი, ცხვრის ყველით, მართლაც საუცხოო იყო.

- თვალით ნუღარ დამენახვება აწი, - ამბობდა კარლო, - რომ შემეხვეწოს კიდეც, მაინც აღარ მინდა. თეფში მოასუფთავა და კიდევ გადმოიღო მაკარონი.

- მართალი ხარ, კარლო, - დავუმოწმე ხელად.

ერთი სიტყვით, ჩვენ ორმა, რა თქმა უნდა, უმთავრესად კარლომ, საწვნე გავანახევრეთ. შემოვიდა ფაუსტინას დედა და განგებ შემოგვთავაზა, ხორციც მიირთვითო. გმადლობთ, უკვე დავნაყრდით-მეთქი, ვუპასუხე და წამოვდექი. კარლოს კი სახეზე ეტყობოდა, არც ხორცზე იტყოდა უარს. ბოლოს მაინც წამოდგა, ამოიხვნეშა, ხელსახოცით ჯერ პირი მოიწმინდა, მერე თვალები.

გამოვემშვიდობეთ ფაუსტინას დედას და როგორ კი ქუჩაში გავედით, კარლოს ვუთხარი:

- აბა, მე წავედი, პაემანი მაქვს. - გონს მოსვლა არ ვაცალე, მოვუსვი.

-
ერთ ხანს ქუჩაში ვიხეტიალე, დანიშნულ დროს ყავახანაში შევედი. ფაუსტინა უკვე იქ იყო. კოხტად გამოწკეპილიყო, სოსანისფერი მსუბუქი კაბა ეცვა, იის თაიგული ეჭირა. მაშინვე ხელი გამიყარა და მითხრა:

- ჩერჩეტო. აქამდე ის რატომ ვერ მიხვდი, რომ მომწონდი?

პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი. ამ დროს პატარა საშაქარლამოს მივუახლოვდით, სადაც დეაპოლური ცხელ-ცხელი ფუნთუშები იყიდება. საშაქარლამოს კარში კარლო იდგა, ხელში ფუნთუშა ეჭირა, პირი გამოტენილი ჰქონდა, სახე კი- ვანილის შაქრით მოთხუპნული.

ჯერ თბილიპურის სუნი მეცა, კარლო მერეღა დავინახე. რასაკვირველია, კარლომაც დაგვინახა, როგორ მივდიოდით მე და ფაუსტინა ხელიხელგაყრილი, ერთმანეთს მიტყუპებული. მაგრამ ფაუსტინას სულაც არ შერცხვა.

- მშვიდობით, კარლო, - მიაძახა, როცა წინ ჩავუარეთ.

მეძეხვე

იმ ზაფხულს საქმე ისე კარგად წამივიდა, უკეთესს ვერ ვინატრებდი. ჯერ იყო და, სარფიანად გავასაღე ჯართი, მერე აგურის გაყიდვაში გამიღიმა ბედმა, ბოლოს ამერიკულ მედიკამენტებში მოვიგე კარგად ბლომად. ორი კოსტიუმი შევუკვეთე - ერთი ლურჯი, ზოლებიანი, მეორე ნაცრისფერი. ვიყიდე პალტო „ფანტაზია“, ორი წყვილი ფეხსაცმელი - შავი და ყვითელი. თორმეტი ცალი მონოგრამებიანი აბრეშუმის პერანგი და ნაირ-ნაირი წინდები.

დედას საჩუქრები მივართვი: აბრეშუმის შავი საკაბე და ჩინური ფაიფურის, დრაკონებითა და ყვავილებით საუცხოოდ მოხატული სერვიზი ექვსი სულისათვის. ეს სერვიზი შემთხვევით ვიშოვე. ძმას არაფერი ვუყიდე, რადგან უმუშევარი იყო, ჩემი წარმატება შეშურდა და შენი არაფერი მინდაო, გამომიცხადა. არც და დავივიწყე, ფოლადის სახელურიანი, პატარა დასაკეცი ქოლგა მივართვი, მარაოსოდენა იყო, რომ დაკეცავდით. მაგრამ ყველაზე დიდი ბედნიერება მაინც მანქანა იყო ჩემთვის, წითელი ფერის, სპორტული მანქანა, რომელზეც ბავშვობიდან ვოცნებობდი. ერთი სიტყვით, ახლა ყველაფერი მქონდა, ყაირათი აღარ მჭირდებოდა, ვწევდი ამერიკულ სიგარეტებს, ყოველდღე კინოში დავდიოდი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მოწყენილი ვიყავი, რაღაც მაკლდა და მალე მივხვდი, რომ ეს რაღაც მეგობარი ქალი იყო.

მართალია ტანადობას ვერ დავიტრაბახებ, მაგრამ გონჯიც არ მეთქმის. ქერა ვარ, ცისფერთვალება, თეთრი, ლოყაწითელი. პატარაობისას, როგორც დედა მარწმუნებს, იესო მაცხოვარს ვგავდი თურმე. მას შემდეგ, რა თქმა უნდა, გამოვიცვალე: პირი გამიმრუდდა, ცხვირი გამებუშტა, მაგრამ არ ვიცი, ამხანაგებმა მაინც რად შემარქვეს მეტსახელად „მეძეხვე“. რას არ მოიგონებს ხალხი. ისევ ვიმეორებ, გონჯი არა ვარ.

ვაჭრობა იმდენ დროს მართმევდა, რომ ქალებზე ფიქრისთვის არ მეცალა. ქალებს კი, როგორც მოგეხსენებათ, დიდი დრო და ფული უნდა შეალიო. ახლა არც ერთი მაკლდა, არც მეორე, მხოლოდ ლამაზმანი არ მყავდა არჩეული. ჰოდა, ლამაზმანის ძებნას შევუდექი. ჩავჯდებოდი ჩემს მანქანაში და ზემო კვარტალის უბნებში გავწევდი. ბოლომდე გავივლიდი ვია ვენეტას, დავაქროლებდი ბორგეზეს ვილას უბანში, ვია პინჩანოზე და მურო ტორტოზე.

ეს კარგად მოვიფიქრე, რადგან რომაელ ქალიშვილებს ჩვევად ექცათ იმ უბნებში სეირნობა. გამოდიან ქუჩაში, რომ თავისი ახალი კაბა დაანახვონ ხალხს, თვითონ კი სხვისი დაათვალიერონ. გარდა ამისა, იქ ძალიან ფართო ქუჩებია, ხალხი ნაკლებ ირევა, ადვილად შეგიძლიათ, ქუჩაში მიმავალ ქალს მანქანით გაედევნოთ, არც ქალს შეეშინდება, რომ მანქანაში საერთო ყურადღებას მიიპყრობს.

მაშ ასე. ნელა მიმყავდა მანქანა, ხან ერთ ქალიშვილს ავეტორღიალებოდი, ხან მეორეს და როცა, როგორც მეჩვენებოდა, მოხერხებულ წუთს შევარჩევდი, გავაღებდი მანქანის კარს და ქალიშვილს ვეუბნებოდი:

- სინიორინა, ნება მიბოძეთ, მანქანით წაგიყვანოთ... - ან რაღაც ამგვარს ვეტყოდი.

-

მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, არავინ ამყვა, ისე მიდიოდნენ, ვითომც ვერ მამჩნევდნენ და არც ჩემი თხოვნა ესმოდათ. ზოგი ცივად მომახლიდა:

- დიდად გმადლობთ, ფეხით სიარული მირჩევნია.

ზოგი მემუქრებოდა:

- თავი დამანებეთ, თორემ პოლიციელს დავუძახებ!

ერთმა გოგონამ ქუჩის თუთიყუში მიწოდა. ესე იგი, ქუჩის თუთიყუში ისაა, ვინც გამვლელ ქალებს აეკიდება. მეორემ კი პირდაპირ მომახალა: - ერთი ამას დამიხედეთ! ფუი, რასა ჰგავს, ნამდვილი მეძეხვეა!

ამან ძალიან გამაოცა. შეუძლებელი იყო, იმ ქალიშვილს სცოდნოდა, რომ ამხანაგებმა სწორედ ეს მეტსახელი მომაკერეს. შინ რომ დავბრუნდი, დიდხანს ვათვალიერებდი ჩემს სახეს სარკეში. მინდოდა გამეგო, როგორი სახე აქვთ მეძეხვეებს, დედასაც ვკითხე, რა თქმა უნდა, ნამდვილი მიზეზი არ გამიმხელია მისთვის.

- ეჰ, შვილო, - მიპასუხა დედამ, - უწინ რომ იყვნენ, ისეთი მეძეხვეები სადღა არიან. ეს ხომ ძველთაძველი ხელობაა. ზამთარში ძეხვს ყიდდნენ, ზაფხულობით - ჭილის ქუდებს... ჰო უცნაური ხელობაა... ახლა კი ჩვეულებრივ მედუქნეებად იქცნენ.

ამასობაში შემოდგომაც გვეწვია, ნოემბერი მიიწურა, ამინდი ძალიან ცვალებადი იყო: ხან მზე ჩახჩახებდა, ხან კოკისპირულად წვიმდა: ცხადი იყო, კარგ ამინდს აღარ ვეღირსებოდით და გაზაფხულზე ქალიშვილზე ოცნება ზედმეტი იყო. რადგან ავდარსა და თოვლ-ჭყაპში ისინი შინ სხედან. უბედურება ის არის, რომ უმეგობროდ კიდევ ერთი ზამთრის გატარება აღარ შემეძლო, ისე ვიყავი ატეხილი.

ერთ დილას, ჩვეულებრივად რომ გადავსერე თავიდან ბოლომდე ვია ვენტო, უკვე შინ დაბრუნებას ვაპირებდი, პარტიაში (მე მორგეზეს ვილას და პოპოლოს მოედნის შუა ვცხოვრობ), უცებ ფლამინოს მოედნისკენ მიმავალ ქალიშვილს მოვკარი თვალი. რატომღაც მეჩვენა, რომ

სწორედ ჩემი გუნებისა იყო. მარტო მიდიოდა, ცელოფანის გამჭვირვალე ლაბადაში გახვეული. შორიდან ძალიან მიმზიდველი მომეჩვენა, მაგრამ როცა მანქანა გავაჩერე, კარი გამოვაღე, ვუთხარი: - სინიორინა, თუ ინებებთ, მანქანით წაგიყვანთ, ქალიშვილი შემობრუნდა. შემომხედა თუ არა, მაშინვე ვინანე, რომ გამოველაპარაკე.

შეუხედავი კი არ იყო, მაგრამ რაღაც ისეთი თავხედური და ეშმაკური სახე ჰქონდა, კარგ სულს არ ჰგავდა. სქელი, შავი ხუჭუჭი თმა, პირმრგვალი, გადმოკარკლული უაზრო თვალები, ოდნავ ფართო ცხვირი, როგორც ზანგებს აქვთ, სქელი ტუჩები და სულ პაწია ნიკაპი.

- მაინც საით მეპატიჟებით? - მკითხა თამამად ქალიშვილმა.

ხრინწიანი ხმა ჰქონდა, შემპარავი კილო, გამოთქმაზე ეტყობოდა, რომ ნამდვილი რომაელი იყო.

- საითაც ინებებთ, - ვუპასუხე ცოტა შემკრთალმა.

- იცით რა, - გააბრტყელა უეცრად, - შინ წასვლა დამაგვიანდა, ძალიან შორს ვცხოვრობ, დედა უთუოდ აღარ მელის... მოდით, სადმე წავიდეთ და ვისადილოთ!

სანამ სიტყვას მოათავებდა, უკვე დავმშვიდდი, ისევ მომეჩვენა, რომ ქალიშვილი მომწონდა, თავი დაუქნიე, ჩაჯექით-მეთქი. ბევრი არ მახვეწნია, მაშინვე ჩამისკუპდა მანქანაში.

- ალბათ, ცუდად მოვიქეცი, არ უნდა დაგთანხმებულიყავით, - თქვა მანქანაში ჩაჯდომისას. - მაგრამ ისეთი წესიერი ადამიანი ჩანხართ... არ იფიქროთ, რომ სხვასთან ასე მოვიქცეოდი.

მოტორი ჩავრთე და თავი გავაცანი.

- ატილიო პომპეი გახლავართ. მართლა, სერიოზული კაცი ვარ, თქვენ კი იმიტომ გაგიჩერეთ, რომ მარტოობა მომბეზრდა და მინდა ცხოვრების თანამგზავრი ვიპოვო. ფული მაქვს, მანქანა მყავს, ყველაფერი მაქვს, თითქმის ყველაფერი, თქვენისთანა კარგი ქალიშვილი მაკლია მხოლოდ.

თავი იმიტომ გავაცანი, რომ მინდოდა სცოდნოდა ვინა ვარ, რა განზრახვა მაქვს.

- მაშ ასე, საით წავიდეთ? - მკითხა ქალიშვილმა. ერთ-ერთი ოსტერია რომ

  დავუსახელე ქალიშვილმა ტუჩი აიბზუა:

- ქალაქგარეთ არა სჯობს, აი, თუნდაც ფუიმიჩინოში?

- ქალაქგარეთ ასეთ ამინდში?

- სწორედ ასეთ ამინდშია კარგი ქალაქგარეთ გასვლა... გარდა ამისა, ფიუმიჩინო ზღვის პირია და ოსტერიაში ცოცხალი ექნებათ.

ასეთი დიდი მანძილის გავლა უფრო დაგვაახლოებს, - გავიფიქრე, თან იქნებ ტყუილად არ მთავაზობს ფუიმიჩინოს - ვთქვი და უცებ დავეთანხმე:

- კარგი, წავიდეთ ფუიმიჩინოში.

კუვარის მოედანზე რომ გავედით, ერთ ყავახანასთან გამაჩერებინა მანქანა, დედას უნდა დავურეკო და გავაფრთხილო ნუ დამელოდებიო. ძალიან გახალისებული დაბრუნდა უკან და მხიარულად მითხრა:

- საწყალი დედა... მკითხა, სადა ხარ, ვისთან ხარო. მე კი ვუპასუხე, ატილიოსთან ვარ. ახლა ალბათ, დედა თავს იმტვრევს, ვინ არის, რომელი ატილიოაო?

გაეხვია თავის ლაბადაში, ცქვიტად მომისკუპდა გვერდით და წავედით. სარკესავით გაპრიალებული მალინას გზატკეცილით გავედით რომიდან. მზე აცხუნებდა, თვალს მჭრიდა, მაგრამ ორი კილომეტრიც არა გვქონდა გავლილი, რომ ცა მოიქუფრა და კოკისპირული წვიმა დაუშვა. გადავწყვიტე დრო არ დამეკარგა და ჩემი გეგმა გამეცნო ქალიშვილისთვის. რაკი შევატყვე, რომ თანაგრძნობით შეხვდა ჩემს სიტყვებს, გულზე მომეშვა.

-

- კაცი მარტო ვერ იცხოვრებს, ძაღლი ხომ არ არის, - მითხრა ქალიშვილმა, - კაცს ცხოვრების თანამგზავრი უნდა ჰყავდეს, მას ალერსი, სიყვარული უნდა.

- დიახ, სწორედ ასეა.

გარდა ამისა, - განაგრძო ქალიშვილმა, - კაცს თუ საყვარელი ქალი არა ჰყავს გვერდით, მუშაობის ხალისსაც ჰკარგავს. მართლაც, აბა ვისთვის უნდა იშრომოს?

- სწორი ხართ.

- ქალს მამაკაცის ცხოვრებაში იმდენი მომხიბლაობა შეაქვს, იმდენი სინაზე, სიყვარული, რასაც ვერც ერთი მეგობარი ვერ მისცემს.

- დიახ, დიახ, სრული ჭეშმარიტებაა.

- მძიმე დღეებში კაცისთვის ნუგეშისცემა მხოლოდ ქალს შეუძლია. ქალს შეუძლია გაამხნევოს, ახალი ძალა შემატოს.

- მართალი ბრძანდებით.

- თქვენისთანა კაცს, - დაასკვნა ქალიშვილმა, - კეთილი, გულისხმიერი მეგობარი სჭირდება. ისეთი მეგობარი, რომელიც თქვენთვის უფრო იზრუნებს, ვიდრე საკუთარი თავისათვის, კარგად გაგიგებთ და თავსაც არ დაზოგავს თქვენთვის.

ისეთი ჭკვიანი ჩანდა - დაკვირვებული და კეთილგონიერი, რომ საბოლოოდ დავმშვიდდი: სწორედ ასეთ ქალიშვილზე ვოცნებობდი.

- რა გქვიათ? - ვკითხე ქალიშვილს.

- ჯინა.

- ჯინა, ვგრძნობ რომ ჩვენ ერთმანეთისათვის ვართ დაბადებული.

საჭეს ერთი ხელი მოვაშორე, მის ხელს ვეძებდი.

- საჭეს მიხედე, ხელს ფუიმიჩინოშიც მომიჭერ, - მითხრა ჯინამ.

ეს „შენ“, მართალია, ხმამაღლა მითხრა, თითქოს უნებურად წამოცდაო, მაგრამ მაინც მესიამოვნა.

ამასობაში შავ გაძეძგილ ღრუბლებში ისევ გამოიჭყიტა კაშკაშა მზემ. გავიარეთ მალინას სადგური. აქედან გზა მწვანედ აბიბინებულ მინდვრებს შუა მიდიოდა, მინდორი ტბასავით ბრწყინავდა.

გზაზე კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მხოლოდ ერთი ღია ყავისფერი მანქანა შეგვხვდა, მანქანაში ორი კაცი იჯდა. ეს ყავისფერი მანქანა ხან გაგვისწორდებოდა, ხან ჩამოგვრჩებოდა, თითქოს არ უნდა მხედველობიდან დაგვკარგოსო.

- ნეტა ამ ბრიყვებს რა უნდათ? - ვთქვი, მოტორი მთელ სიმძლავრეზე ჩავრთე და ყავისფერ მანქანას გავუსწარი. ჯინამ მანქანიდან გაიხედა და სიცილით მითხრა:

- ორი კაცია, ქალი არ ახლავთ, ჰოდა, როგორც შეუძლიათ ისე ირთობენ თავს, საწყლები.

უკან მივიხედე, რაკი მანქანა ვეღარ დავინაზე, სიჩქარე შევანელე. მალე მოვიტოვეთ წვიმით დანამული მინდორი, აქედან გზა უკვე ტყეზე გადიოდა, შავი ასფალტი წვიმაქარისაგან ჩამოყრილი ნარინჯისფერი და ყავისფერი ფოთლებით იყო მოფენილი და ახლა მზის შუქით აბრჭყვიალებული ფოთლები მოოქროვილს ჰგავდნენ.

- შეხედე, რა სილამაზეა! - უცებ წამოიძახა ჯინამ, - აბა, ერთი გააჩერე მანქანა.

მანქანა რომ გავაჩერე ჯინამ მითხრა:

- იცი, რა მინდა? გადადი მანქანიდან და ტყეში ყოჩივარდას თაიგული შემიკონე.

- ყოჩივარდა?

- ჰო, შეხედე, რამდენი ყოჩივარდაა აქ!

გავიხედე, მართლა ბუჩქების ძირში, ჩამოცვენილ ყვითელ ფოთლებში და ხასხასა ხავსში აუარებელი გაფურჩქნული, ვარდისფერი ყოჩივარდები დავინახე.

- არ გინდა შენი ჯინასათვის მოკრიფო ყვავილები? - მიბნედილი ხმით მიჩურჩულა ქალიშვილმა.

ლოყაზე ხელი მომითათუნა და თითქოს საკოცნელად გამომიწოდა ტუჩები. ამაზე ხელსაყრელი წუთი აღარ მექნება, გავიფიქრე და მოსახვევად მივეტანე, მაგრამ ჯინამ ხელი მკრა.

- არა, ოღონდ აქ არა, ფუიმიჩინომდე დაიცადე. ახლა კი წადი და კარგი თაიგული შემიკონე.

მორჩილად გადმოვედი მანქანიდან, კარი ღია დავტოვე. ტყისკენ რომ წავედი, ჯინამ მომაძახა:

- მოშორებით წადი, იქით უფრო ლამაზი ვარდებია!

გაჭირვებით მივძვრებოდი ბუჩქებში, შარვლით ეკლებს ვედებოდი. თანდათან ღრმად შევედი ტყეში, ვკრეფდი ყოჩივარდებს.

ნაწვიმარზე ტყე სველი იყო, ნესტიანი მიწის, ხავსის და დამპალი ბალახის სუნი იდგა. ყოველ ნაბიჯზე ხეების შტოებიდან, რომელთაც თავით ვეხებოდი, წვიმის წვეთების ღვარი მექცეოდა და მთლად გავილუმპე.

მართლა საუცხოო ყოჩივარდები იყო იმ ტყეში, ვკრეფდი და სიხარულით ვფიქრობდი, რომ ვპოვე ვისაც ვეძებდი. ვპოვე მეგოარი ქალი, და სიამოვნებით ვკრეფდი მისთვის ყვავილებს.

ყველაზე მსხვილ, გრძელღერიან, გაღაღანებულ ვარდებს ვარჩევდი. ჯინდა მანქანიდან მიყვიროდა:

-

- უფრო შორს წადი, იქით უკეთესი ვარდებია!

ბოლოს ყველაზე ხშირ ბუჩქნარში შევძვერი, წელში გავიმართე, რომ იქიდან ჯინასათვის დამენახვებია თაიგული. უცებ დაბალ ბუჩქნარსა და ხეებს შუა გავხედე გზას და რა დავინახე: გზის ნაპირას ღია ყავისფერი მცირელიტრაჟიანი მანქანა შედგა, ლაბადაში გახვეული კაცი გადმოვიდა იმ მანქანიდან და აჩქარებით ჩაჯდა ჩემს მანქანაში.

  გაჩერდი, გაჩერდი! - დავიყვირე ელდანაცემმა და კისრისტეხვით გავიქეცი მანქანისკენ, მაგრამ ფეხი დამისხლტა, დავეცი და სველ ხავსში პირქვე დავემხე. რომში

დაბრუნება ჯობს არ გავიხსენო.

ხუთი კილომეტრი გავიარე ფეხით. ისე ვიყავი გონდაკარგული, რომ ყოჩივარდას თაიგული ფუიმიჩინოს გადასასვლელამდე ხელში მეჭირა.

არც კი მინდა ამ ამბის გახსენება, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, რომის ცენტრში ერთ მაღაზიაში შევედი და იმ ჯადოქარს შევეყარე. მაშინვე პოლიციაში გავისტუმრე.

ახლა ერთი რამ მტანჯავს მხოლოდ (ჩემი მანქანა ორი დღის შემდეგ სოფლის გზაზე იპოვეს, სალტეები ჰქონდა მოხსნილი), ის ჯადოქარი რომ დავინახე და ყვირილით ვეცი:

- ქურდო... ძლივს არ გიპოვე, შე ქურდო! - ისეთი სახე მიიღო, თითქოს პირველად
  მხედავდა და უტიფრად მიპასუხა:

- რა გნებავს, ვინ ბრძანდები? ვინ არის ეს მეძეხვე?!

გესმით? იმანაც მეძეხვე დამიძახა, როგორც ჩემმა ამხანაგებმა და ვია პინჩანოზე მიმავალმა ქალიშვილმა დამიძახა ერთხელ.

მას შემდეგ ულვაში მოვუშვი. ბოლოებდაშვებული გრძელი ულვაში მაქვს, მაგრამ, მიუხედავად ამ მშვენიერი ქერა ულვაშისა, გულისწორი მაინც ვერ ვიპოვე და დღემდე ეულად დავიარები.

მომვლელი ქალი

ყოველ დილით სამუშაოზე რომ მივდივარ ჩიტა-რეჯინოში, როგორც კი ავტობუსი ვია ნომენტანას გაჰყვება, არ შემიძლია არ შევხედო ვილის გალავანს, სანტ-ანეზეს საყდრის მიღმა რომ მოსჩანს. ამ ვილაში რამდენიმე წლის წინათ მებაღედ ვმუშაობდი. გალავნის გასწვრივ ჩამწკრივებული ჟასმინის ბუჩქები ჩემი ხელითაა დარგული, მევე ჩავდგი სადარბაზო შესასვლელთან დიდი ლარნაკებით კამელიები, კედლის ძირში კი გლიცინიები დავრგე. ვინ იცის, იხარეს თუ არა გლიცინიებმა. თუ იხარეს, ახლა ვილის მესამე სართულამდე აღწევენ ალბათ. ვილის პატრონი ავადმყოფობდა და უთუოდ ამიტომ იყო ბაღი ისე გავერანებული. მე კი ვილის პატრონის მომვლელი ქალის სიყვარულით რამდენიმე თვეში ის გავერანებული ბაღი ნამდვილ წალკოტად ვაქციე. მიწა ნაკვეთებად დავყავი, გზები მოვქვიშე, ჩავრგე ყვავილები, ყვავილნარის

ირგვლივ ბზის კოხტად შეკრეჭილი ბუჩქები ჩავამწკრივე, ნელას ფანჯრის წინ კი, ყვავილნარის შუა, გრანდიფლორული ჯიშის დიდი მაგნოლია ჩავრგე, რომ მის ფანჯარაში გაზაფხულზე ყვავილების სურნელი შეჭრილიყო. იქვე, ფანჯრის ძირში, იაპონიის უმშვენიერესი ხვიარა მცენარე ვახარე, შავ ყლორტებზე წითელ ყვავილს რომ იყრის.

ნელა მომვლელად მუშაობდა. მე შემიყვარდა ეს საშუალო ტანის, ჯანიანი ქალიშვილი. ფართო,

ჭორფლით მოჩითული ქორფა სახე და წითური თმა ჰქონდა ნელას. ერთი დანახვით ჩამივარდა გულში, მომეწონა მისი გაფურჩქნული, სავსე მკვრივი ტანი. სათვალე და ჭორფლი მის სახე რაღაც დინჯ და შეუვალ იერს აძლევდა. სწორედ მისი გაფურჩქნული ტანისა და მკაცრი სახის კონტრასტმა მომხიბლა.

იმ გაზაფხულზე ვილის პატრონის ჯანმრთელობა საკუთარ ჯანმრთელობაზე მეტად მაწუხებდა. ვიცოდი, გამოკეთდებოდა ეს სინიორი, თუ გარდაიცვლებოდა, ნელა მაშინვე დატოვებდა ვილას და მერე მშვიდობით, ეგრე იოლად ვეღარ შევხვდებოდი.

ყოველ დილით, ავადმყოფის ოთახში ნელა ფანჯარას რომ გააღებდა და ბაღში გადმოიხედავდა, დაბარებულივით დავერჭობოდი მის წინ და ხმადაბლა ვეკითხებოდი:

- როგორაა საქმე?

- არა უშავს რა, - მიპასუხებდა ნელა და ეშმაკურად გამიღიმებდა, რადგან ხვდებოდა, რისთვის ვიჩენდი ასეთ მზრუნველობას.

დილით სულ ვილის შორიახლოს ვტრიალებდი და ნელას ხშირად ვხედავდი ფანჯარაში. ის ხან

წვეთებს ასხამდა ჭიქაში, ხან შპრიცს სინჯავდა ნემსის გაკეთების წინ. მე ვანიშნებდი, ჩამოდი-მეთქი, მაგრამ ის უარის ნიშნად თავს გადააქნევდა, თითქოს მეუბნებოდა: „ნუთუ ვერა ხედავ რომ ავადმყოფის ოთახში ვარ“.

რა თქმა უნდა, ნელა კეთილსინდისიერი მომვლელი იყო, კაცებზე ასჯერ კეთილსინდისიერი, მაგრამ დიდი ეშმაკიც იყო. სულ საქმეს იმიზეზებდა, უნდოდა მასთან შეხვედრის მოლოდინში დავტანჯულიყავი, როგორც ეს, საერთოდ, ქალების უმეტესობას სჩვევია. თავის დაფასება რომ უნდათ, სულ დედას იმიზეზებენ: დედამ

არ გამომიშვა, დედა ნებას არ მაძლევსო. სინამდვილეში კი, ამას სულ სხვა მოსაზრებით სჩადიან, უნდათ, უფრო მეტი იფიქროთ მათზე, უფრო მოუთმენლად ელოდოთ.

დილით ვილის წინ ვმუშაობდი, იმ მხარეს, საითაც ავადმყოფი სინიორის ოთახის ფანჯარა გამოდიოდა. შუადღეს კი, დაუსრულებელ სივრცეზე გაჭიმული გრძელი ბაღის სიღრმეში გადავდიოდი, რადგან იმ დროს ავადმყოფი სინიორი იძინებდა, ნელა სარგებლობდა ამით და ჩემთან გამოდიოდა. ნორჩი მუხნარის ხეივანს იქით, გალავნის მახლობლად შადრევანი იყო გამართული. დღის ორ-სამ საათზე იქ ვხვდებოდით ერთმანეთს მე და ნელა ნახევარ ან ერთ საათს ვატარებდით ერთად.

მოვწყვეტდი, რომელიმე კარგ ყვავილს, გარდენიას, კამელიას ან ვარდს, მივართმევდი ნელას, ნელა კი, ჩემთვის რომ ესიამოვნებია, ყვავილს ხალათზე მკერდთან მიიბნევდა. ჩამოვსხდებოდით აუზის ნაპირზე და სიყვარულს ვეფიცებოდი. მართლა ძალიან მიყვარდა ნელა. თავიდანვე ვუთხარი, რომ მისი ცოლად შერთვა მინდა. ნელა მდუმარედ მისმენდა. ვერ ვხვდებოდი, რას ფიქრობდა, მისი სახე არაფერს გამოხატავდა.

- ნელა, ჩემი ცოლი უნდა გახდე. მინდა ბევრი, ბევრი შვილი გამიჩინო. ყოველ წელიწადს თითო ბავშვი... იცი, რა შესანიშნავი ბავშვები გვეყოლება! შენ ლამაზი ხარ, ვგონებ გონჯი არც მე ვარ.

- ღმერთო ჩემო, მერედა რით შევინახავთ ამდენ ბავშვებს? - სიცილით მიპასუხებდა ნელა.

- ორჯერ მეტს ვიშრომებ... საკუთარი მეურნეობა მექნება.

- მე კი ჩემი ხელობა მიყვარს და მინდა მომვლელი ვიყო.

- რა ნახე მაგ საქმეში ისეთი, რომ ვერ შეელიო. შენ ჩემი ცოლი უნდა გახდე!

- არა, შვილები არ მინდა, მომვლელად მუშაობა მირჩევნია. ჩემი ავადმყოფები ჩემი შვილები არიან.

ნელა ღიმილით მეუბნებოდა ამ სიტყვებს. მე მისი ხელი ხელში მეჭირა, ნელა წინააღმდეგობას არ მიწევდა, მაგრამ თუ გავთამამდებოდი და საკოცნელად მივეტანებოდი, ხელს მკრავდა და მაშინვე წამოდგებოდა.

- უკვე დროა, ჩემს ავადმყოფთან უნდა წავიდე.

- შენს ავადმყოფს ჯერ კიდევ ძინავს.

- ძინავს, მაგრამ რომ გაიღვიძებს და გვერდით არ დამინახავს, ეწყინება, ადვილი შესაძლებელია მოკვდეს კიდე. ჩემს მეტს არავის იკარებს.

ასეთ წუთებში ავადმყოფი სინიორი მძულდა, მიუხედავად იმისა, რომ ნელა მისი წყალობით გავიცანი. ჰოდა, წავიდოდა ნელა თავის ავადმყოფთან, მე კი გამხეცებული ვეცემოდი ფოცხს და ისე გაშმაგებით ვწმენდდი გზას, რომ კენჭებთან ერთად მიწის გოროხიც ცვიოდა აქეთ-იქით.

ერთხელაც არ მაკოცნია ნელამ, მაგრამ დროდადრო ნებას დამრთავდა ხოლმე მისი თმის მზერით დავმტკბარიყავი. ძალზე ლამაზი თმა და თვალები ჰქონდა.

- ნელა, შენი თმის მზერით მინდა დავტკბე! - ვეტყოდი ნელას.

- უჰ, რა აბეზარი ხარ, - ნაზად მიძალიანდებოდა ნელა, მაგრამ ბოლოს მაინც დამითმობდა, მოვხსნიდი ხილაბანდს მერე სათითაოდ ამოვაცლიდი თმის სარჭეებს. მოწითალო თმის კონა სპილენძის გვირგვინივით ედგა თავზე. ოდნავ შეარხევდა თუ არა თავს, თმა ჩამოეშლებოდა და ტალღებად დაეფინებოდა მხრებზე. ამ ოქროსფერი თმის ტალღებში გახვეული ერთ ხანს უძრავად იდგა და სათვალეში დაჟინებით მაცქერდებოდა. ხელს გავიწვდიდი, ნელა მოვხსნიდი სათვალეს, სათვალეში რაღაც მლიქვნელური იერი ჰქონდა, უსათვალოდ კი, წყლიანი თვალები სულ სხვა გამომეტყველებას აძლევდა მის სახეს, მიბნედილი, გამომწვევი ხდებოდა. ვტკბებოდი მისი მზერით, ვუცქეროდი, სანამ უხერხულობას არ იგრძნობდა და აჩქარებით არ მოიხვევდა ხილაბანდს. ისე მიყვარდა ნელა, რომ ერთხელ გულით ვინატრე:

- ნეტავ ავად გავხდე... შენ მაშინ სულ ჩემთან იქნები.

- ხომ არ გაგიჟდი! - ღიმილით მიპასუხა ნელამ, - ჯანმრთელი ხარ და ავადმყოფობას ნატრობ?

- კი, გულით მინდა ავად გავხდე... შენ შუბლზე ხელს დამადებ, სიცხის შესატყობად... დილით თბილი წყლით პირს დამაბანინებ... ერთი რამ რომ დამჭირდება, ჭურჭელს მომირბენინებ და ჩემ გვერდით იდგები.

- რა ჩერჩეტი ხარ! - გაეცინა ნელას. - ტყუილად ფიქრობ, რომ მომვლელ ქალებს დიდად ესიამოვნებათ ზოგი მოვალეობის შესრულება.

- რა თქმა უნდა, აქ სასიამოვნო არაფერია, არც თქვენთვის, არც ავადმყოფებისთვის, მაგრამ სულ არარაობას ეს მირჩევნია.

კმარა, თორემ ასე ვერასოდეს ვერ მოვათავებ ამბავს. ხომ მოგეხსენებათ, შეყვარებულისთვის ყოველ წვრილმანს აქვს მნიშვნელობა. განსაკუთრებით ჩემს მდგომარეობაში მყოფ კაცს, როცა სიყვარული დასაწყისშივე წყდება, როცა მიზანს ვერ აღწევ. გავიგე თუ არა, რომ ავადმყოფმა სინიორმა მოიკეთა და მალე დადგებოდა ფეხზე, ნელას ჩავაცივდი, გამომყევი ცოლად-მეთქი. მაგრამ ნელა პირდაპირ პასუხს თავს არიდებდა, ხან მაგრძნობინებდა, რომ მთლად გულგრილი არ იყო ჩემდამი, ხან მეტყოდა, საკმაოდ არ მიყვარხარო. ვფიქრობდი, რომ თანხმობის გამოცხადების წინ მერყეობდა, ისევე როგორც გადახერხილი ხე ირხევა წაქცევის წინ. ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ რომ შევხვდით ერთმანეთს, ნელამ მშვიდად მითხრა:

- შუაღამე რომ გადავა, ჩემს ფანჯარასთან მოდი... იქ მოვილაპარაკოთ. ამ სიტყვების

  გაგონებაზე სიხარულით სული შემიგუბდა.

საღამოს ბაღში დავიმალე, მუხის ხეივანს იქით, აუზის ნაპირზე ჩამოვჯექი და გულის ფანცქალით ველოდი შუაღამის დადგომას. დანიშნულ დროს ფანჯარასთან მივედი,

როგორც შეთანხმებული ვიყავით და წყნარად დავუსტვინე. დარაბები გაიღო, ჩაბნელებულ ფანჯარაში მთლად თეთრებში გამოწყობილი ნელა გამოჩნდა და მიჩურჩულა:

- აბა, ჩქარა, ხელი შემაშველე.

დავდექი თუ არა ფანჯრის ძირში, ნელა რაფას მოწყდა და მკლავებში ჩამივარდა. ისეთი მძიმე იყო, კინაღამ ორივემ ზღართანი გავადინეთ მიწაზე. იქ არ შევჩერებულვართ, მაშინვე ვილის გასწვრივ გავყევით მოასფალტებულ გზას.

- მითხარი, ლიანელო, - ჩუმი ხმით დაიწყო ნელამ, - მართლა გიყვარვარ, რომ ჩემი ცოლად შერთვა გინდა?

იმდენად მისი სიტყვების აზრმა კი არ გამაოცა, რამდენადაც კილომ. ისეთი ნაზი ხმით თქვა ეს სიტყვები, როგორითაც არასოდეს მოუმართავს ჩემთვის. მუხლებზე დავეცი, ფეხებზე მოვეხვიე და თავი მის ხელებში ჩავმალე. ვიგრძენი, როგორ მისვამდა თავზე ხელს და, მიუხედავად მთელი ჩემი მღელვარებისა, გულგრილად გავიფიქრე: „ესეც ასე, საქმე უკვე გაჩარხული“.

მაგრამ იმ წუთს გაისმა ზარის წკრიალი. ყველაზე ძვირფას, ყველაზე საყვარელ ადამიანს რომ ეხმო, მაშინაც არ აჩქარდებოდა ნელა ისე, როგორც ახლა აჩქარდა.

- ჩქარა, ჩქარა, - ჩაილაპარაკა და ისე მკრა ხელი, კინაღამ ძირს გავიშხლართე, - ჩქარა, მეძახის... აბა, მიშველე ფანჯარაში ასვლა.

წყეული ზარი გაბმით წკრიალებდა. ნელამ ფანჯარასთან მიირბინა, ვუშველე აძრომა და გაუჩინარდა. ერთ წუთში ავადმყოფის ფანჯარაში შუქი აენთო. მაშასადამე, ნელა უკვე იქ იყო და მე პირველად განვიცადე ეჭვის სიმწვავე.

რა მოხდა იმ ღამეს ავადმყოფ სინიორის ოთახში, არ ვიცი, მაგრამ მეორე დილას ნელა ფანჯარაში აღარ გამოჩნდა, არც საუზმის შემდეგ მოვიდა შადრევანთან.

მხოლოდ სამი-ოთხი დღის შემდეგ მეღირსა მისი ხილვა. ბაღში გამოვიდა, მაგრამ მარტო არ გახლდათ. ავადმყოფ სინიორთან ერთად გამოჩნდა მოედანზე, დიდი სიფრთხილით მოჰყავდა. შუახნის კაცი იყო, ქერა, ფერმკრთალი და ძალიან მაღალი. ნელასთვის ხელი მხარზე გადაეხვია, ნელას კი მზრუნველობით და ნაზად შემოეხვია მისთვის წელზე ხელი, თან ცდილობდა ნაბიჯი აეწყო ავადმყოფისათვის.

ამ სურათით გაოცებული, ერთ ადგილზე გავშეშდი, და როცა ეს წყვილი კუთხეს მიეფარა, კამერდინერს მივუბრუნდი, ისიც ჩემსავით მიშტერებოდა მათ. კამერდინერმა ჩემს მდუმარე შეკითხვას ისეთი მოძრაობით უპასუხა, რაც ნიშნავდა საქმე გაჩარხული აქვთო. გულგრილი სახე მივიღე და კამერდინერს გამოველაპარაკე. კამერდინერმა მითხრა, ვილაში ლაპარაკობენ, სინიორი ნელას ირთავსო. მაშ, ნელაც ისეთივე ყოფილა, როგორიც ბევრი სხვა ქალი, ვისთვისაც მხოლოდ ფულია მთავარი. გულმოსულმა იმ დღესვე გამოვკარი ჩემი ფუთა და ვილიდან წავედი. მტკიცედ გადავწყვიტე, იქ ფეხი აღარ დამედგა.

მას შემდეგ არც მივსულვარ იქ. ჩემს წარმოდგენაში ნელა უკვე ავადმყოფ სინიორის ცოლი იყო, იმავე ვილაში ცხოვრობდა, მაგრამ მომვლელი კი არ იყო, ქალბატონი გახლდათ. სინიორი ისევ რომ გახდეს ავად, ვფიქრობდი ჩემთვის, ნელა ისეთი მონდომებით აღარ მოუვლის. რომ დაქვრივდება, მაშინ მიიღებს იმას, რისთვისაც ცოლად გაჰყვა სინიორს. მაგრამ ხშირად უმართებული ვართ, როცა ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ანგარება ამოძრავებს ადამიანს. არიან ისეთები, ვისთვისაც არც ანგარებას აქვს მნიშვნელობა, არც გრძნობას. მათთვის მთავარი სულ სხვა რამ არის. ისეთი თავისებური, ისეთი განსაკუთრებული რამ, რისი გაგებაც მხოლოდ მათ ძალუძთ. ნელაც სწორედ ამ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა.

დაახლოებით ორი წელი გავიდა მას შემდეგ. ერთხელ ჯანიკოლოს ბორცვზე მდგარ ვილაში

ტროპიკული მცენარეების ორანჟერეის მოსაწესრიგებლად მიმიწვიეს. წინკარში რომ ვიჯექი სახლის პატრონის მოლოდინში, შევიტყვე რომ იმ ოჯახში რაღაც კარგი ამბავი არ ტრიალებდა. ფანჯრები დახურული იყო, ყველა თითის წვერებზე დადიოდა, ჩურჩულებდნენ, ცდილობდნენ არ ეხმაურათ და წამლების სუნიც იდგა.

უცებ, კიბის ზედა მოედანზე ნელა გამოჩნდა. მომვლელი ქალის ტანსაცმლით გამოწყობილი. სულ არ შეცვლილიყო, თავზე ხილაბანდი წაეკრა, სათვალე ეკეთა. ხელში ლანგარი ეჭირა. კიბეზე ჩამოდიოდა და, რა თქმა უნდა, გზას ვერ ამიქცევდა. ჩემ წინ რომ შედგა, სევდანარევი დაცინვით ვკითხე:

- აქ რა გინდა, ნელა, ისევ მომვლელად მუშაობ?.. აკი იმას გაჰყევი ცოლად!

ნელამ გაიღიმა და ისეთივე მშვიდი, შეუვალი გამომეტყველებით, ოდესღაც ჭკუაზე რომ შემშალა, მიპასუხა:

- ვინ მოგიჩმახა ასეთი სისულელე? აკი გითხარი, ჩემი ხელობა მიყვარს და მომვლელი დავრჩები-მეთქი.

- ჰო, კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, არა?

დამიჯერებთ? ჯერ მომაშტერდა, მერე თავი გადააქნია და მითხრა:

- იცი თუ არა, რომ ამ ავადმყოფსაც ვუყვარვარ... მაგრამ ახლა ყველაფერს ვერ გეტყვი... აქ თუ იმუშავებ, სალაპარაკო დროს ყოველთვის ვიპოვით... ოთახი პირველ სართულზე მაქვს და ფანჯარა ბაღში გადის...

ვიდრე წასასვლელად მიბრუნდებოდა, ერთხელ კიდევ ჩამხედა თვალებში, თითქოს მეკითხებოდა, ხომ შევთანხმდითო.

ისეთი ჯანსაღი და ღონიერი რომ არის ნელა, ალბათ ამიტომ მოსწონს ავადმყოფებთან რომანის გაბმა. სამწუხაროდ მეც ჯანსაღი ვარ და ამიტომ იმედი არა მაქვს, რომ ნელას გულს მოვინადირებ. ამ ვილაში მუშაობაზე უარი ვთქვი, არც დავლოდებივარ, როდის დამიძახებდნენ, გავბრუნდი და თითის წვერებზე გავედი სახლიდან.

განძი

სან-პანკრაციოს ჭიშკართან, ოსტერიაში ოფიციანტად ვმუშაობდი. ერთი მოხუცი მებაღე ჩვენი ოსტერიის ხშირი სტუმარი იყო. ამ მოხუცს ყველა მარინეზეს ეძახდა. არ ვიცი, წარმოშობით მარინოდან იყო და ამიტომ შეარქვეს ეს სახელი, თუ მარინული ღვინო რომ უყვარდა იმიტომ. ვერ გეტყვით, რა ხნისა იქნებოდა მარინეზე, რადგან დაბადების წელი არ ახსოვდა, მაგრამ ისეთი ყოჩაღი გახლდათ, ზოგიერთ ახალგაზრდას მაინც სჯობდა სმაში და, როცა სვამდა, ბევრსაც ყბედობდა. თუ ვინმეს მოიხელთებდა სალაპარაკოდ, აღარ მოეშვებოდა. ხანდახან საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ოფიციანტები, როცა საქმე არა გვაქვს, მუშტრის საუბარს ყურს ვუგდებთ ხოლმე. მარინეზე, ათას სხვა მონაგონ ამბავს შორის, ხშირად ჰყვებოდა ერთ ამბავს, რომელიც მართალს ჩამოჰგავდა: თითქოს გერმანელებმა ერთი თავადის ვილიდან, რომელიც იქვე ახლოს ცხოვრობდა, ვერცხლით სავსე ყუთი გაიტაცეს და სადღაც მიწაში ჩაფლეს. ეს ადგილი კი მარინეზემ იცოდა. კარგად რომ შეჭიკჭიკდებოდა, გადაკრულად იტყოდა, ის ვერცხლი ჩემს ბოსტანშია ჩაფლულიო. თან დაუმატებდა, თუ მოვინდომე, ხელად გავმდიდრდებიო ასეთი დღეც დადგებაო. როდის?

- ძალიან რომ მოვტყდები და მუშაობა აღარ შემეძლება, - გამოაცხადა მარინეზემ, როცა ჰკითხეს, მაინც როდის აპირებ გამდიდრებასო.

უცნაური პასუხი თუ გინდათ, სწორედ ეს არის. მარინეზე უკვე ისე იყო მოტეხილი, ოთხმოც წელზე ნაკლებისა არ იქნებოდა.

ბოლო დროს ძალიან გამიტკბა მარინეზეს განძზე ოცნება, ყველაფერი დავიჯერე, რასაც ბერიკაცი ლაპარაკობდა, რადგან ოკუპაციის დროს ის თავადი, მარინეზე რომ ასახელებდა, მართლა გაძარცვეს.

ჰოდა, მოსვენება დავკარგე. დღედაღამ სულ განძი მიტრიალებდა თავში. როდემდე იცოცხლებს ბერიკაცი? - ვფიქრობდი შეშფოთებული. - დღეს თუ არა ხვალ დამბლა დაეცემა და სული გაძვრება. მაშინ კი, მშვიდობით განძო! რამდენჯერმე მოველაქუცე, ეგებ გამოვტყუო-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ. დიდი გაიძვერა ბებერი იყო. ჩემს მირთმეულ ღვინოს ტკბილად შეექცეოდა, ენაზე კი ბოქლომი ედო.

- ჩემი ღვიძლი შვილიც რომ იყო, - დიდი ამბით გამომიცხადა ერთხელ მარინეზემ, - მაინც არ გეტყოდი, სად არის განძი ჩაფლული. ახალგაზრდა კაცი ხარ, უნდა იმუშაო... ფული კი იმას სჭირდება, ვინც დაიღალა და შრომა აღარ შეუძლია...

იმედი რომ გადამიწყდა, ერთ ჩემზე ახალგაზრდა ოფიციანტს, ქერა რემიჯოს გავანდე ჩემი

გადაწყვეტილება. ეს რემიჯო დიდი ჩერჩეტი ვინმე იყო, ხელად აენთო და მოჰყვა ოცნებას: „აი, მე და შენ რომ გავმდიდრდებით, მანქანას ვიყიდი, ერთად გავხსნათ ყავახანა“.

- ჯერ განძი ვიპოვოთ, რემიჯო... გარდა ამისა, მაინცდამაინც მადა ნუ გაგეხსნება... განძს ოთხად გავყოფთ, სამი მეოთხედი მე, ერთი მეოთხედი შენ... ყაბულსა ხარ? არც ამაზე მითხრა უარი. მოვილაპარაკეთ, რომ ღამის თერთმეტ საათზე ვია აურელია ანტიკაზე შევხვდებოდით ერთმანეთს.

მაისის პირველი რიცხვები იყო. ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე მთვარე ჩახჩახებდა და ირგვლივ ყველაფერს ნათელი ეფინა, ჰაერი გაზაფხულის თბილ სურნელებას გაეჟღინთა. თერთმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა, ვია აურელია ანტიკაზე რომ გავედი, არც ვღელავდი, არც სინდისი მქენჯნიდა, საბრალო მოხუცს რომ ვუპირებდი გაძარცვას, არა, თითქოს ბოროტმოქმედებას კი არ ჩავდიოდი, რაღაც თამაშით ვიქცევდი თავს.

მე და რემიჯო ვია აურელიას გავყევით, მივდიოდით ძველ კედლებს შუა, რომელთა მიღმა მონასტრის ბაღ-ბოსტნებია გაჭიმული. ვაითუ მარინეზემ ბარი არ მომცესმეთქი და ჩემი ბარი წავიღე თან. რამიჯოს კი, ხელცარიელი რომ არ ყოფილიყო, წერაქვი მივეცი. ვიტორიოს

მოედანზე ერთ დუქანში წინასწარ ვიყიდე რევოლვერი და ვაზნები. მაგრამ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ნათქვამია, და რევოლვერი დამცველზე დავაყენე.

უნდა გამოგიტყდეთ, უკვე ვნანობდი, რემიჯო რომ ამ საქმეში გავრიე, ის რომ არა, მთელი განძი ხომ მე დამრჩებოდა. გარდა ამისა, ვიცოდი, რა ყბედიც იყო და თუ სადმე წამოაყრანტალებდა რამეს, ციხეს ვერ ავცდებოდი. ამ ფიქრმა ძალიან შემაწუხა, უცებ შევდექი ,რევოლვერი ამოვიღე რომელიც რემიჯოსთვის არ მიჩვენებია, და ვუთხარი:

- იცოდე, ენას კბილი დააჭირე. თუ რამე წამოგიყრანტალებია, მოგკლავ.

- რას ამბობ, ალესანდრო! ვინ გგონივარ? - მიპასუხა შიშით აცახცახებულმა რემიჯომ.

- ცოტა მარინეზესაც უნდა ვუწილადოთ. იმასაც თუ მივცემთ, საიდუმლოს შეგვინახავს, აღარ გაგვამხელს. მაშასადამე, შენი წილიდან უნდა მისცე... გესმის?

- კარგი! - მიპასუხა რემიჯომ.

რევოლვერი ჯიბეში ჩავიდე და გზა განვაგრძეთ. ცოტა კიდევ რომ გავიარეთ, ძველი,

სვეტებიანი ჭიშკარიც გამოჩნდა, ფრონტონზე ლათინური წარწერა ჰქონდა. ოდესღაც ეს ჭიშკარი მწვანედ იყო შეღებილი, ახლა გახუნებულიყო და აქერცლილიყო. ვიცოდი ამ ჭიშკრის იქით იყო მარინეზეს ხუხულა. აქეთ-იქით მიმოვიხედე, ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ხელი ვკარი ჭიშკარს. ჭიშკარი გაიღო და შევედით.

თუმცა მე იქ ბოსტნეულისთვის არ მივსულვარ, მაგრამ თვალი რომ მოვავლე ბოსტანს, კინაღამ აღტაცებით შევყვირე. რა ბოსტანი იყო, ავ თვალს არ ენახებოდა! მთვარის კაშკაშა შუქზე, თვალწინ გადაგვეშალა უმშვენიერესი ბოსტანი, როგორიც კი ოდესმე მინახავს. მთვარის სხივებზე ბრწყინავდა ლარივით სწორი სარწყავი თხრილები, მათ შორის მოქცეულ ნათეს კვლებზე ბოსტნეულს ბაირაღივით გაეშალა ფოთლები, თითქოს საზეიმო პროცესია მთვარის შუქით განათებული მიემართებოდა მარინეზეს სახლისკენ, რომელიც ბოსტნის სიღრმეში მოჩანდა. რა არ იყო იქ, ვეებერთელა

ლატუკები, თითო მათგანი მემწვანილის სასწორის ჯამს გაავსებდა, პომიდორის გაფურჩქნული ბუჩქები, ბამბუკის წვრილი სარებით გამაგრებული. ფოთლებით დაფარული პომიდორი ჯერ მოწეული არ იყო, მაგრამ უკვე ისე გავსილიყო, იფიქრებდით ესაა გასკდებაო. სავოიური კომბოსტოს ბავშვის თავისხელა, ხუჭუჭა თავები, დაშნასავით სწორი და მაღალი ხახვი, არტიშოს ხომ ნუღარ იკითხავთ, თითო ღერზე ოთხ-ოთხი ცალი ესხა. სალათა, მწვანე მუხუდო, ცერცვი, ერთი სიტყვით, ყოველგვარი ბოსტნეული. აქა-იქ, ზედ მიწაზე ეწყო, თითქოს მოწყვეტას უცდიანო, კიტრი და კვახი. ბოსტანს იქით ხეხილის ბაღი

იწყებოდა. დაბალი ხეები, ფართოდ გაშლილი შტოებით: ქლიავი, ატამი, ვაშლი, მსხალი, რა გინდა, სულო და გულო! ხშირ ფოთლებში მწვანე ნაყოფი ბრწყინავდა მთვარის შუქზე. ყველაფერს ეტყობოდა მებაღის მზრუნველი ხელი და აშკარა იყო, რომ ის მშრომელი ხელი მარტო ფულის მოგებისთვის როდი იღწვოდა.

- მარინეზე სადღაა? - მოულოდნელად წამოიძახა რემიჯომ, რომელსაც განძის მეტი არა ახსოვდა რა.

- აი იქ! - ვუთხარი და ბაღის სიღრმეში ქოხზე მივუთითე.

ოხრახუშისა და ნივრის კვლებს შუა გავყევით გზას. რემიჯომ ლატუკს ფეხი დაადგა. საშინლად გავბრაზდი და დავუყვირე: - პირუტყვო, ძირს დაიხედე, სად ადგამ ფეხს!

დავიხარე, მოვწყვიტე ლადუკის ფოთოლი, პირთან მივიტანე. წყლიანი ტკბილი და ქორფა იყო, ცვრით განბანილს ჰგავდა. ბოლოს ქოხსაც მივაღწიეთ. ბერიკაცის ძაღლმა მიცნო და, ყეფის ნაცვლად, კუდის ქიცინით შემეგება. ჩვეულებრივი წითური ძაღლი იყო, როგორიც ყველა

მებაღეს ჰყავს, მაგრამ გონიერი. ქოხის დაკეტილ კარზე დავაკაკუნე, ჯერ ნელა, მერე უფრო ძლიერ. ხმა რომ არავინ გამცა, მუშტით და ფეხით ავტეხე ბრაგუნი. უცებ შევკრთი. მარინეზეს ხმა ქოხიდან კი არ, გაისმა, იქვე ახლოს მდგარ ბუჩქს იქიდან.

- ვინა ხართ, რა გინდათ?

ბერიკაცს ბარი ეჭირა, ეტყობოდა, ღამითაც არ აჩერებდა ხელს და თავის ბოსტანს დასტრიალებდა. მარინეზე ჩვენ წინ შედგა წელში მოხრილი, ხელები ძირს ჰქონდა დაშვებული, სახე გაწითლებული, გრძელი წვერი კი შევერცხლილი - ნამდვილი მებოსტნე, დილიდან დაღამებამდე წელგაუმართავად რომ შრომობს.

- მეგობრები ვართ, - აჩქარებით ვუთხარი.

- მე მეგობრები არ მყავს, - მიპასუხა მარინეზემ, ახლოს მოიწია ჩვენკენ და დაუმატა:- შენ კი გიცნობ... ალესანდრო არა ხარ?

- დიახ, ალესანდრო გახლავარ, - ვუთხარი და ჯიბიდან რევოლვერი ამოვიღე. მისთვის არ დამიმიზნებია. ისე წამოვიწყე: - მარინეზე, მითხარი, სად არის განძი ჩაფლული... გავინაწილოთ... თუ არ მეტყვი, მაინც ვიპოვით.

ამას რომ ვეუბნებოდი, ნელ-ნელა ზევით ვწევდი რევოლვერს. მარინეზემ ხელი ამიქნია, თითქოს ამბობდა, რევოლვერი აქ არ გამოგადგებაო, თავი დახარა და ისე გვკითხა, გეგონებოდათ დროს მოგებას ცდილობს და რაღაცის მოსაზრება უნდაო.

- რა განძი?

- ვერცხლი, რომელიც გერმანელებმა გაიტაცეს.

- რომელმა გერმანელებმა?

- სალდათებმა... ოკუპაციის დროს... აი, იმ თავადს რომ მოსტაცეს...

- რომელ თავადს?

- ერთი სიტყვით, თავადს... აკი ამბობდი, თითქოს შენს ბოსტანში ჩაფლეს განძი?

- რომელ ბოსტანში?

- შენს ბოსტანში, მარინეზე... თავს ნუ იგდებ... კარგად იცი, სადაცაა განძი. გვითხარი და საქმე

მშვიდობით დავამთავროთ.

- აჰა... შენ განძი გინდა? - თავი არ აუწევია, დინჯად მკითხა მარინეზემ.

- ჰო, განძი.

- წამოდით, - უცებ მტკიცედ თქვა ბერიკაცმა, - ხელად ამოთხრით. ბარი გაქვთ? არა, აი ეს ბარი სჯობია. შენს ამხანაგსაც მივცემ ბარს... წამოდით, რაღას უდგეხართ!

ცოტა შემაფიქრიანა მისმა ქცევამ. არ ვიცოდი, ასე ჩქარა თუ დაგვთანხმდებოდა. მაგრამ მაინც გავყევი. სახლის უკან გავიდა ბურტყუნით:

- განძი... ახლავე გიჩვენებ, რა განძიცაა... - ბარი მოიტანა და რემიჯოს შეაჩეჩა. მერე ისევ სახლის უკან გავიდა, თან სულ იმეორებდა: - წამოდით... თქვენ განძი გინდათ... ახლავე მიიღებთ...

ქოხს უკან მიწა არ იყო დაბარული, ნაგავი ეყარა. ცოტა მოშორებით რამდენიმე ხე იდგა და ტოტებში ისეთივე მაღალი კედელი მოჩანდა, როგორიც ამ ბაღს ვია აურელიას მხრიდან ერტყა. მარინეზე ბილიკს გაჰყვა, ხეებს გასცდა და ბაღის ბოლოში გავიდა, იქ, სადაც კედელი სწორ კუთხეს ქმნიდა. მერე მოულოდნელად ჩვენკენ მობრუნდა, მიწას ფეხი დაჰკრა და წამოიძახა:

- აი აქ ამოთხარეთ... აქ არის განძი ჩაფლული.

მოვკიდე ხელი ბარს და შევუდექი თხრას. რემიჯო ბარით ხელში გარინდებული იდგა და მიყურებდა.

- რაღას უყურებ, - უთხრა მარინეზემ, - შენც გაანძრიე ხელი... დავიჯერო, შენ არ გინდა განძი? რემიჯო უცებ გამოცოცხლდა და გაშმაგებით დაიწყო თხრა.

- ნელა, ნელა... დრო ბევრი გაქვთ, - უთხრა მარინეზემ. რემიჯომ შეანელა მუშაობა და

  უცებ ბარი ფეხზე დაიკრა. მარინეზემ ბარი გაუსწორა.

- აი, ასე უნდა გეჭიროს ბარი... მიწაში რომ ასობ, ფეხი დააჭირე, თორემ ვერაფერს ამოთხრი, - მერე დაუმატა: - სიგრძეზეც თხარეთ და სიგანეზეც... ორი მეტრი ფართობი საკმარისია... განძი აქ არის... სიღრმეში... მე კი წავალ, გავივლი.

-

- არა, შენ ჩვენთან დარჩები, - მტკიცედ გამოვუცხადე ბერიკაცს.

  რისა გეშინია? - შემესიტყვა მარინეზე. - აკი გითხარი რომ განძი თქვენია.

მე და რემიჯო თავს არ ვზოგავდით, გამალებული ვთხრიდით, თანდათან ღრმად ჩავდიოდით იმ ოთხკუთხედში, რომელიც ბარის წვერით შემოვხაზე. მაგარი მიწა იყო, სულ ქვებს და ხის ფესვებს ხვდებოდა ბარი. ქვებს და ფესვებს ზევით ვისროდი, მარინეზე იქვე იდგა და ჩემს ამოგდებულ ქვას ფეხის კვრით განზე ყრიდა.

- ნელა, ნელა... აი ეგ ფესვი ამოგლიჯე... აი ეგ ქვა ამოაგდე.

გრძელი, ჩაშავებული ძვალი ამოვაგდე ბარით. მარინეზემ აიღო ძვალი, დააკვირდა ჩაილაპარაკა:

- ეს ძროხის ძვალია... ხომ ხედავ... უკვე რაღაცას ნახულობ.

ვერ მივხვდი სერიოზულად ლაპარაკობდა თუ ხუმრობდა. მიუხედავად ღამის სიგრილისა, ოფლში გავიღვარე. დროდადრო რემიჯოს გადავხედავდი. არც ის იზოგავდა თავს და მალე ქანცი გავარდა. სულ ვთხრიდით. თითქმის ერთი მეტრი სიღრმის სწორკუთხედი ამოვთხარეთ. ორმოს ძირში მიწა ნესტიანი და ფხვიერი იყო, მაგრამ არავითარი ყუთი, კოლოფი, ტომარა ან რაიმე ამის მსგავსი არ ჩანს.

ბრაზი მომერია, რემიჯოს ვუთხარი, გვეყოფა, შეწყვიტე თხრა-მეთქი, ორმოდან ამოვძვერი და მარინეზეს დავუტიე:

- აბა, სად არის განძი? ხომ ხედავ, აქ არაფერია... გვაპამპულებ, ბერიკაცო? მარინეზემ

  პირიდან ყალიონი გამოიღო და მიპასუხა:

- მაშ განძი გინდა? ამ წუთში გიჩვენებ განძს... - თქვა ეს და ფარდულისკენ წავიდა.

აღარ გავაჩერე, ისე ვიყავი არაქათგამოცლილი, რომ გული გამიგრილდა ამ საქმეზე. ფარდული აქამდე არ შემინიშნავს, რადგან კედლის ძირში იყო და ხეები ჰფარავდა.

- ბერიკაცმა მოუსვა, - მითხრა რემიჯომ.

- არ გაიქცევა, - ვუპასუხე რემიჯოს, ბარს დავეყრდნე და ოფლი მოვიწმინდე. მართლაც, ერთი წუთის შემდეგ მარინეზე ფარდულიდან გამოვიდა, ჩვენკენ მოაგორებდა ურიკას. როგორც მომეჩვენა, ურიკა ნეხვით იყო სავსე. ორმოსთან რომ მოაგორა ურიკა, ნეხვი შიგ გადაუშვა, ჩახტა ორმოში და ხელებით ასწორებდა. - განძი სადღაა? - ვკითხე გაუბედავად.

- აი, განძი. შეხედე, რა საუცხოო განძია! - სველი, აყროლებული ნეხვი აიღო და ცხვირწინ მომიფშვნიტა. - არა, მითხარი, განა ოქროს არა ჰგავს? ეს ძროხის ნაქნარია... შეხედე, რა განძია... სად იპოვი სხვას ასეთს აი, ეს გახლავთ, განძი.

მე და რემიჯომ ერთმანეთს გადავხედეთ. გამბედაობა მოვიკრიბე და ისევ რევოლვერი ამოვიღე. მაგრამ ბერიკაცმა ხელი ამიკრა.

-

- თუ ღმერთი გწამს, იქით წაიღე ეგ ხელი... ვერცხლი თუ გინდა, მე გასწავლი სადაა.

- სად? - ვკითხე გულუბრყვილოდ.

  მაღაზიაში გახლავთ... ერთი-ორი ათასმანეთიანი ბილეთი მიეცი და რამდენიც გნებავს, იმდენ ვერცხლს მოგართმევენ.

ერთი სიტყვით, მასხრად აგვიგდო.

- მაშ ეს ორმო რისთვის ამოგვათხრევინე? - როდის-როდის ამოღრაღნა რემიჯომ.

- სასუქის ორმო გახლავთ... ძალიან მჭირდებოდა სასუქის ორმო და თქვენ ზედმეტი საქმე მომაშორეთ.

გაოგნებული ვიდექი, განადგურებული. იქნებ შევცდი, ბერიკაცს რომ არ დავემუქრე, ან არ ვესროლე. მე არ ვიცი, რა მომივიდა. იმდენი ხნის უშედეგო ძებნის შემდეგ, იმედის გაცრუებამ ისე იმოქმედა, რომ ვერც გავბრაზდი.

- მაშასადამე, ამ შენს ბოსტანში არავითარი განძი არ არის ჩაფლული და არც არასოდეს ყოფილა?

თითქოს მინდოდა მარინეზეს მტკიცედ ეთქვა, განძი არ არისო. მაგრამ იმ გაიძვერამ ასე მიპასუხა:

- კიდევაც არის და არც არის.

- ეს რაღას ნიშნავს?

- კეთილი გულით რომ მოსულიყავი, დღისით-მზისით და გეთხოვა, იქნებ გეპოვა განძი... მაგრამ ასე... განძი არ გახლავთ.

- მარინეზე, ღვთის გულისათვის...

- რატომ არ მესვრი? რევოლვერი ხომ გაქვს? - მითხრა ჩემკენ ნახევრად მობრუნებულმა ბერიკაცმა.

- არ მინდა სროლა და ამიტომ არ გესვრი... შუაზე გავიყოთ, მარინეზე.

- გიჯობს სიმართლე თქვა: არაფრის მაქნისი ხარ, გამბედაობა არ გყოფნის და იმიტომ არ მესვრი... სხვა შენს ადგილზე უსათუოდ მესროდა. აი, გერმანელები ისროდნენ.

- მე ხომ გერმანელი არა ვარ.

- თუ გერმანელი არა ხარ, ღამე მშვიდობისა, - თქვა და ქოხში შევიდა, კარი ცხვირწინ მომიჯახუნა.

ასე დამთავრდა განძის ძებნა. მეორე დღეს მარინეზე ჩვეულებრივად მოვიდა ოსტერიაში და, როცა ღვინო მივართვი, წამოიძახა:

- ოჰო, შენ ის არა ხარ, წუხელ რომ მოხვედი განძისთვის?.. რევოლვერი რა უყავი, სად დამალე?

-
საბედნიეროდ, არავინ მიაქცია მის სიტყვებს ყურადღება, რადგან როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბევრი ლაქლაქი უყვარდა და უმეტესად სისულელეებს როშავდა. მაგრამ მაინც სიფრთხილე მმართებდა, კოკა მუდამ წყალს არ მოიტანსო და, გარდა ამისა, დიდად არ მეპიტნავებოდა ის, რომ ბერიკაცმა გამასულელა, რემიჯო კი ამ ამბის მოწმე გახლდათ. ის ბრიყვი, ისე დამცინოდა, თითქოს თვითონ არ დაეჯერებინოს განძის

ამბავი. ამიტომ შემთხვევით ვისარგებლე და სხვა ოსტერიაში გადავედი სამუშაოდ. ახლა ტრასტევერის უბანში, სან კოზიმატოს მოედანზე ვმუშაობ. რემიჯო კი იქვე დარჩა, სადაც მუშაობდა, სან პანკრაციოს ჭიშკართან.

დარაჯი

ხალხს ვერიდები, განმარტოება მიყვარს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ყველა დამცინის: მხედველობა არ მივარგა, სათვალეს ვატარებ, ქალივით წრიპინა ხმა მაქვს და, თუ რამეზე ავღელდი, ენა მებმის. ამიტომაც სიამოვნებით დავეთანხმე, ერთმა ფირმამ საწყობის დარაჯის ადგილი რომ შემომთავაზა, სალარიას გზატკეცილის მეოცე კილომეტრთან.

მეჩხერი ხეებით დაფარულ ორ ბორცვშუა მოქცეულ ხეობაში საწყობი იყო გამართული. წარმოიდგინეთ აგურის გალავანშემოვლებული, მზით გადატრუსული, მტვრიანი ოთხკუთხედი ადგილი. გალავანს ზედ ეკრა ხის რამდენიმე გრძელი და დაბალი ბარაკი, ოთხკუთხედის შუა უშნოდ გამოჩორკნილი კასრი იდგა, კასრზე მილი იყო გადმოღუნული, საიდანაც გამუდმებით წვეთავდა წყალი.

რა არ ელაგა იმ ბარაკებში: ცემენტით გატენილი ტომრები, წყალსადენის მილები, კრამიტი, ფისის კასრები, კოჭები და გროვა-გროვად აგური. ერთი ბარაკი ბინის მაგივრობას მიწევდა, ორი პაწია ცარიელი ოთახი მქონდა, საწოლი, მაგიდა და რამდენიმე სკამი მედგა. თითქოს ბუნების წიაღში ვცხოვრობდი, ქალაქს და ხალხს მოწყვეტილი, მაგრამ საკმარისი იყო ერთერთ ბორცვზე ასვლა, რომ თვალწინ გადაგეშლებოდათ თეთრად შეფეთქილ ჭადრებშუა გაჭიმული, სალარიას

ლარივით სწორი გზატკეცილი. ცოტა ქვემოთ ოსტერიაც მოჩანდა - „ოსტერია სანადირო“. ამ ოსტერიაში ვჭამდი პურს. ფირმამ დამბაჩა, ვაზნები და თოფი მომცა. იმ თოფით დროდადრო ტოროლებზე ვნადირობდი. ერთი სიტყვით, მარტოდმარტო ვიყავი და, თუ ღამის შემოვლას არ ჩავთვლით, სხვა საქმე არ მაწუხებდა.

ოთხი თვე დავყავი საშენ მასალათა საწყობში. ამ ხნის მანძილზე საყურადღებო არაფერი მომხდარა, მაგრამ ერთ საღამოს კარი დააკაკუნეს, ვიფიქრე, ფირმის რომელიმე თანამშრომელი იქნება-მეთქი და კარის გასაღებად გავემართე. მაგრამ ფირმის თანამშრომლის ნაცვლად, ორი კაცი და ერთი ქალი შემრჩა. ერთ მათგანს კარგად ვიცნობდი. ეს შოფერი რინალდი იყო. ვიდრე ამ საწყობში დარაჯად დავდგებოდი, რომში ვმუშაობდი მშენებლობაზე, რინალდი იქ გავიცანი და ძალიან ვუმადლოდი ამ კაცს, რადგან რინალდი ერთადერთი ადამიანი იყო მშენებლობის მთელ თანამშრომლებში, ვინც მასხრად არ მიგდებდა ჩემი წრიპინა ხმისა და სათვალის გამო.

მე და რინალდი ერთმანეთისგან ბევრი რამით განვსხვავდებოდით. მე ნამდვილი ტეტია ვარ, ის კი სინიორი. რინალდი შავგვრემანი, მაღალი, ჯან-ღონით სავსე ლამაზი კაცია, მე კი გონჯი ვარ. რა თქმა უნდა, ქალები ზედაც არ მიყურებენ, რინალდისთვის კი გიჟდებიან. გულით მინდოდა რამით მაინც ვგვანებოდი რინალდის და იქნებ სწორედ ამ დიდი განსხვავების გამო ვიყავი მისდამი ეგზომ მეგობრულად განწყობილი.

ქალს, რომელიც რინალდის ახლდა, ემილია ერქვა. დაბალი, ჩამრგვალებული ქალი იყო, ფერმკრთალი, მოგრძო სახე და დიდრონი მოქანცული თვალები ჰქონდა. ტუჩის კუთხეები ზევით აზიდული, გეგონებოდათ განუწყვეტლივ იღიმებაო.

მეორე კაცი მონტერონტოდან ბრძანდებოდა, თეოდორო ერქვა. წითური, ხუჭუჭა თმა, ყვითელი თვალები კატას მიუგავდა, წაწვეტებული ცხვირი და ისეთი ღაჟღაჟა ლოყები ჰქონდა, თითქოს რაც დაბადებულა, სულ ცივ ქარში უტრიალიაო. რინალდიმ მითხრა, შენთან მოსალაპარაკებელი გვაქვსო. ბარაკში შევიწიე.

- ვიჩენცო, - დაიწყო რინალდიმ და სიგარეტი მომაწოდა, - ხელსაყრელი შემთხვევა გეძლევა, შენი სადარაჯოდან ფეხმოუცვლელად და ყოველგვარი შრომის გაუწევლად ცოტაოდენი ფული იშოვო.

თვალები დავაჭყიტე, მაგრამ კრინტი არ დამიძრავს. ჩემი დუმილით გამხნევებულმა რინალდიმ ამიხსნა, ქალაქის ერთი საწყობიდან საქონლის დიდი პარტია გავიტაცეთო.
უნდა დაგვეხმარო, ეს საქონელი შენს ბარაკში დავმალოთ. მერე უკვე ჩვენი საქმეა, როდის წავიღებთ, შენ შენს წილს მიიღებო.

ეს რომ გავიგე, ავცახცახდი, მაგრამ რინალდი ძმასავით მიყვარდა და უარი ვერ ვუთხარი.

- ყური მიგდე, რინალდი. მე დარაჯი ვარ, ასეა, ხომ? - ვუთხარი ენის ბორძიკით.

- დიახ, ასეა.

- ჰოდა, მე მინდა ჩემს ადგილზე დავრჩე.

- ესე იგი?

- ესე იგი, რაც გენებოთ ის ქენით, დაალაგეთ თქვენი საქონელი ბარაკში, წადით, მოდით... არაფრის გაგონება არ მინდა. მე თქვენ არ მინახავხართ, არც გიცნობთ... თუ ვინიცობაა რამე მოხდეს, დაკითხვის დროს უნდა თქვათ, მაგას არ ვიცნობთ-თქო.
ერთი სიტყვით, მე არ ვიცი, როგორ შემოიტანეთ და როგორ დაალაგეთ აქ ეგ საქონელი. გაკვირვებით გადააქნიეს თავი. თეოდორომ მუქარით წამოიწყო:

- იცოდე, საქონელს ყური უგდე. აქაოდა, არაფერი ვიციო, ისე არ მოხდეს, რომ...

- კარგი, კარგი, თეოდორო, - შეაწყვეტინა რინალდიმ, - შენ ვიჩენცოს არ იცნობ, რა კაცია.

- მე დარაჯი ვარ, ასეა, ხომ? ჰოდა, თქვენს საქონელზეც დავიჭერ თვალს.

- ნუ გეშინია, - ისევ ჩაერია თეოდორო, - გასამრჯელოს მიიღებ.

- შენ თვითონ ნუ გეშინია, მაწანწალავ, - შევუტიე ბრაზმორეულმა თეოდოროს. - მე თქვენი არა მინდა რა, გესმის?

ბოლოს ყველაფერში შევთანხმდით. ისინი წავიდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ რინალდი საბარგო მანქანით მოადგა საწყობს. ერთ-ერთ ბარაკში, ფისის კასრებს უკან დამალა თავისი საქონელი. არც დამიხედია რა იყო იქ. თვითონ მითხრეს, ქსოვილებიაო. წასვლისას ემილიამ ალერსიანად გამიღიმა. სულ ეს იყო, რაც მათგან მივიღე.

მას შემდეგ სამჯერ თუ ოთხჯერ კიდევ მეწვივნენ, ემილია ყოველთვის თან ახლდათ. მანქანის საყვირით ნიშანს მომცემდნენ, ხელად გავუღებდი ჭიშკარს, გადმოტვირთავდნენ საქონელს და მაშინვე უკან ბრუნდებოდნენ, რადგან არ მინდოდა ჩემს საწყობში შეყოვნებულიყვნენ. ვიდრე ისინი თავის საქონელს აბინავებდნენ, მე ჩემი ბარაკიდან ცხვირს არა ვყოფდი. თეოდოროზე

კარგს ვერაფერს ვიტყვი, თავიდანვე თვალში არ მომივიდა, ძალიან თავხედურად იქცეოდა, მე კი ასეთ ხალხს ვერ ვიტან. ემილია სულ სხვა იყო, ალერსიანად მიღიმოდა და ტკბილი სიტყვა არ შურდა ჩემთვის.

- ნეტა ამ მიყრუებულ კუთხეში როგორ ძლებ მარტო? - მკითხა ერთხელ ემილიამ.

- შევეჩვიე მარტოობას.

გავიდა ხანი. ერთხელ გაზეთი გადავშალე და, რა დაინახა ჩემმა თვალებმა: თეოდოროს, რინალდის და კიდევ ერთი უცხო კაცის სურათი. უცნობი თვალებდაჭყეტილი იყო, ნიკაპი ზევით ჰქონდა აშვერილი. გაზეთი „მნგრეველთა ბანდას“ უწოდებდა მათ. თურმე მაღაზიის მეზობელი შენობიდან შეანგრევდნენ კედელს და ისე შევიდოდნენ მაღაზიაში. ხან კი სარდაფიდან ადიოდნენ. სამივე დაეპატიმრებინათ. „საშიშ ბოროტმოქმედთა ჯგუფი მალე წარდგება სასამართლოს წინაშე“, გვამცნობდა წერილის სათაური. რინალდი შოფერი იყო, მხლოდ საქონლის გადაზიდვაში ეხმარებოდა მათ. ამიტომ შედარებით ნაკლები საფრთხე ელოდა. ემილიაზე კი არაფერი იყო ნათქვამი.

დადგა ზამთარი. ერთ ღამეს საშინელი ამინდი იყო, წვიმდა, ქარი ქროდა. ირგვლივ ყველაფერი

წყლით დაიფარა. ჰოდა, ამ ჯოჯოხეთურ ამინდში, ამ წვიმა-ქარაშოტში კარზე დამიკაკუნეს. გავაღე - ემილია იდგა ჩემ წინ. მაგრამ უნდა გენახათ, რას ჰგავდა. ფეხმძიმედ იყო, მუცელი შესამჩნევად წამოზრდოდა და მთელი მისი სილამაზე სადღაც გამქრალიყო. თავიდან ფეხამდე გალუმპული იყო, თმა სახეზე მიწებებოდა, აბრანძული ტანსაცმელი ეცვა. ემილია შემოვიდა და უსიტყვოდ გამომიწოდა რინალდის ბარათი. რინალდი მწერდა, ერთი წლის შემდეგ გამოვალ ციხიდანო. ემილიას შენ გაბარებ და მის შესანახ ფულსაც გიგზავნიო. გარდა ამისა, მთხოვდა, რომ ნაქურდალი საქონელი შემენახა, სხვებმა თავ-თავისი წილი უკვე წაიღეს, რაც მანდ არის დამალული, ჩემი საკუთრებაა. მეტი არაფერი ეწერა იმ ბარათში.

როგორც ჩანს, რინალდი დარწმუნებულია, რაც უნდა იმას გამაკეთებინებს-მეთქი, გავიფიქრე, წერილის კითხვა რომ მოვათავე. მართლა ასე იყო, რინალდი არ ცდებოდა.

ემილიას გულახდილად ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი. იმ ღამეს ემილიას ჩემს საწოლზე ეძინა, მე კი მეორე ოთახში დავწექი იატაკზე. ასე დავიწყეთ ერთად ცხოვრება მე და ემილიამ.

გავიდა რამდენიმე თვე. ამ ხნის განმავლობაში საწყობში ვინმეს რომ შემოეხედა, უთუოდ იფიქრებდა, რომ მე ცოლ-შვილი მყავს და ბედნიერი ქმარი ვარ. ოქტომბრის მზე საწყობს აშუქებს, ემილიას მრგვალ ლამაზ მკლავებზე სახელოები აუკაპიწებია და კასრში ჩემს პერანგებს ავლებს. თოკზე გაფენილია გარეცხილი თეთრეული. ბარაკის წინ ვზივარ, მზეზე ვთბები, თან ემილიას ბავშვს ვარწევ. ბავშვი ჩემი სეხნია გახლავთ, ვიჩენცო ჰქვია.

ჩემი ბარაკის გვერდით, მეორე პატარა ბარაკი დგას, რომელიც მე თვითონ ავაშენე. ამ პატარა ბარაკიდან საწებლის გემრიელი სუნი გამოდის. ტრატორიაში აღარ დავდივარ, კერძს ემილია ამზადებს. აკი მოგახსენეთ, ვინმეს რომ დაენახა, როგორ ვათამაშებდი ემილიას ბავშვს, როგორ ავლებდა ემილია კასრში ჩემს პერანგებს, როგორ ალერსიანად მელაპარაკებოდა, ცოლ-ქმარი ვეგონებოდით. მაგრამ ასე როდი იყო. ეს ბავშვიც, ემილიაც, საწყობში დამალული საქონელიც- ყველაფერი რინალდის საკუთრება გახლდათ.

მე კი, თუ წინათ ფირმის ქონებას ვდარაჯობდი, ახლა ფირმის ქონებასთან ერთად, რინალდის საქონელსაც ვდარაჯობდი, მისი ბავშვისა და ემილიას ჩათვლით. სხვა ყველაფერში ცოლ-ქმარივით ვიყავით. ემილია შესანიშნავი ქალი გამოდგა. ბავშვიც ძალიან კარგი და ლამაზი იყო. მხოლოდ ერთი რამ არ მომწონდა, ემილია გამუდმებით რინალდიზე ლაპარაკობდა, მოუთმენლად ელოდა მასთან შეხვედრის წუთს, ამიტომ მისი სახელი სულ პირზე ეკერა. რინალდიზე ლაპარაკი არ მესიამოვნებოდაო, ვერ ვიტყვი, მაგრამ ემილია მისი შეყვარებული იყო, მე კი - მეგობარი. ჰოდა, სად შეყვარებული და სად მეგობარი? ისე გამოდიოდა, თითქოს ქვეყნად რინალდი იყო მხოლოდ, მე კი არ ვარსებობდი. რა მოხდა, სულ რინალდიზე ხომ არ უნდა ვილაპარაკოთ? - ვუთხარი ერთხელ ემილიას. ემილია შეცბა, თითქოს პირველად შენიშნა, რომ მეც კაცი ვარ და სიყვარულის გამასხარავება დაიწყო. ის ხუმრობდა, მე კი ვიტანჯებოდი. ბოლოს მივხვდი, რომ ემილია მომწონდა.

- შენ რინალდის ეკუთვნი, ამიტომ თავი დამანებე შენი ხუმრობით, - გამოვუცხადე ემილიას.

- დიახ, ასეა. მე რინალდისა ვარ, შენ კი მისი ნამდვილი მეგობარი ხარ და არ უნდა იეჭვიანო.

ერთხელ, ღამით, რაღაც უცნაური ხმა შემესმა. ავდექი, დამბაჩა ავიღე და ბარაკიდან გამოვედი. ნათელი, მთვარიანი ღამე იყო. თითქოს მთვარე კასრში ჩავარდაო, ვერცხლივით ბრწყინავდა წყალი კასრში. ირგვლივ ყოველი კენჭიც კი ჩანდა და ნათელი ცის ფონზე მხოლოდ ბორცვები იყვნენ ჩაშავებულნი. ერთი სიტყვით, დღესავით ნათელი ღამე იყო, მაშინვე დავინახე ის. მიმალვა უნდოდა, მაგრამ დავუყვირე:

- შესდექ! ადგილიდან არ დაიძრე!

- დაუშვი ეგ დამბაჩა! ვერ მიცანი, თუ რა არის? - მიპასუხა მან და წინ წამოდგა.

ეს მონტეროტონდელი თეოდორო გახლდათ, მაგრამ როგორ გამოცვლილიყო! ტანისამოსის ნაცვლად, რაღაც კონკები ეკიდა, ყბები შევარდნოდა და გრძელი წითური ჯაგრით დაფარვოდა. ყვითელი თვალები კი მგლის თვალებივით უელავდა.

- საქონლის წასაღებად მოვედი. ბარაკს უკან საბარგო მანქანა და ამხანაგები მელიან, - მითხრა თეოდორომ.

- ეს საქონელი რინალდის საკუთრებაა, - მოვახსენე თეოდოროს.

ერთი სიტყვით წავლაპარაკდით. ჯერ დაშინება დამიპირა, რომ ვერას გახდა, წილი შემომთავაზა. ემილიას ფანჯარაში შუქი აენთო, იქიდან გვიყურებდა.

- გირჩევნია ახლავე აქედან დაიკარგო, ვიდრე გვიან არაა, - შევყვირე თეოდოროს.

- კარგი, წავალ, - თქვა და ჭიშკრისკენ გაემართა.

უკან მივყვებოდი და თვალს არ ვაშორებდი, რადგან კარგად ვიცოდი, თეოდორო იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც დანის ტრიალსაა ჩვეული. მართლაც, ჭიშკართან არც კი იყო მისული, რომ მოულოდნელად შემობრუნდა და მეცა. მზად დავუხვდი, თვალის დახამხამებაში გადავხტი უკან და ვესროლე. დაიჯერებთ? თავდაღუნული მოდიოდა ჩემკენ, მგლის თვალები გადმოეკარკლა, ერთი ხელი დაჭრილ მკერდზე ეჭირა, მეორეში დანა. ისევ ვესროლე და დაეცა კიდეც.

მეორე დილით პოლიციელები გამოცხადნენ და დაადგინეს, რომ მოკლული ციხიდან გამოქცეული ბოროტმოქმედი იყო. ასე დამთავრდა ეს ამბავი. ფირმამ საჩუქარი გამომიგზავნა, ეგზომ ფრთხილად რომ ვდარაჯობ მათს ქონებას.

- რინალდიმ ჯერ ქურდი გამხადა, ახლა კაცის მკვლელიც ვარ მისი წყალობით, - ვუთხარი ემილიას.

- შენ თავს იცავდი, მორჩა და გათავდა, - მომიგო მან.

- ასეა თუ ისე, მე დარაჯი ვარ და ვალდებული ვიყავი მესროლა მისთვის.

რინალდი ციხიდან გაათავისუფლეს და ემილიას წასაყვანად მოვიდა. სწორედ იმ დღეს მაცნობა ფირმამ, რომ მშენებლობა სხვაგან გადაჰქონდათ. ჰოდა, ყველაფერი უცებ დამთავრდა. ახლა არაფრის დარაჯობა აღარ მჭირდებოდა, არც ფირმის ქონების, არც რინალდის ავლადიდებისა.

შუაღამე გადასული იყო, რინალდი რომ მოვიდა საბარგო მანქანით. მისი მანქანის ქარამრიდ მინაზე თეთრი ასოებით ეწერა: „ემილია!“

- რინალდი! აი, შენი ემილია, რომელიც მე ჩამაბარე... აი, შენი შვილი. იქ კი, ბარაკში შენი საქონელი აწყვია. დარწმუნებული იყავი, რომ ყველაფერი ხელუხლებელია. რინალდი ღიმილით შემომყურებდა. ძალიან გაიხარა ემილიას და ბავშვის ნახვით.

- კარგი, ვიჩენცო... დიდი იმედი მქონდა შენი... კარგი...

განშორების ჟამიც დადგა და გული სევდით შემეკუმშა. თან ბრაზი მახრჩობდა, სულშეგუბებული ვიმეორებდი:

- რინალდი, დარწმუნებული იყავი, რაც ჩამაბარე, ყველაფერს ხელუხლებელს გიბრუნებ.

ფული შემომაძლია, ჩამაცივდა, აიღეო, საჩუქრად მაჯის საათს მაძლევდა. ჩემი საბარგო მანქანით ჩაგიყვან რომშიო, მეხვეწებოდა. მაგრამ ყველაფერზე უარი ვუთხარი.

- არაფერი არ მინდა... მე ხომ დარაჯი ვარ... არაფერი არ მინდა.

აშკარა იყო, ემილია მიყვარდა. თან ვნაღვლობდი, თან მიხაროდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ემილიას თითითაც არ შევხებივარ.

მე თვითონ დავტვირთე მანქანა საქონლით. დარწმუნებული იყავი, რომ ყველაფერი ხელუხლებელია. კაბინაში ჩაჯდა ემილიასთან ერთად. ემილიას საბანში გახვეული ბავშვი ხელში ეჭირა და მიღიმოდა.

- მაშ ასე, დარაჯო, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს! - ვგონებ არც თუ დაცინვით დამიყვირა რინალდიმ.

რამდენიმე დღის შემდეგ ფირმის საბარგო მანქანებიც მოვიდნენ: დატვირთეს აგური, ცემენტის ტომრები, წყალსადენი მილები, ფისის კასრები. მერე აგურის გალავანიც აშალეს და ისიც მანქანაზე დააწყვეს. დაშალეს მეორე ბარაკიც და ფიცრებიც წაიღეს. რამდენიმე დღე გრძელდებოდა საწყობის გადატანა. მოდიოდნენ საბარგო მანქანები, ტვირთავდნენ მათ და მტვრის ბუღში იკარგებოდნენ.

ერთ დილას ჩემი ბარაკის ჯერიც დადგა. დაშალეს და საბარგო მანქანაში ჩატვირთეს. ბოლომდე დავრჩი იქ. საწყობიდან აღარაფერი დარჩა, გარდა დატკეპნილი მიწის ნაკვეთისა, რომელზეც ბალახმა დაიწყო ამოწვერა. აქა-იქ აგურის ნატეხები ეყარა, შავად მოჩანდა ჭუჭყიანი გუბეები, ირგვლივ კი ბორცვები ამართულიყვნენ.

თითქმის ორი წელი გავატარე იქ, და აი, ყველაფერი დამთავრდა. ჩემოდანში ჩავაწყვე ჩემი ავლადიდება, ველოსიპედის საბარგულს დავაკარი, საჭეს ხელი ჩავკიდე და სალარიას გზატკეცილისკენ გავემართე. გზატკეცილზე რომ გავედი, ველოსიპედზე შევჯექი და დინჯად გავწიე რომისკენ.

ტყუილად ირჯებით

ნეტა ვიცოდე, რატომ ხდება ასე: როცა ქალი ძალიან მოგწონს, ბოლოს და ბოლოს, იქამდე მიდიხარ, რომ მისი ნაკლიც კი აღარ გეხამუშება. კარგა ხანია მივხვდი, რომ პინა ჩემი შესაფერისი არ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი ორი თვის შემდეგ მაინც შევირთავ. კაცმა რომ თქვას, რა ძალა მადგია.

მარტო მიმზიდველია და ეგ არის, თორემ სხვა რა ღირსება აქვს პინას! პატარაა, კოხტა, შავგვრემანი, ქორფა ნაყოფივით მკვრივი, თმა ბიჭურად აქვს შეკრეჭილი და სახითაც ბიჭსა ჰგავს. პინა გრძნობს, რომ ძალიან მომწონს. იცის, თვალს მოვკრავ თუ არა, ელეთმელეთი მომდის. წელზე შემოტმასნილ გრძელ კაბაში გამოწყობილი, სწრაფი და მოკლე ნაბიჯით რომ მოდის, თითქოს ცეკვავსო, ბუსავით მრგვალი თვალით რომ გამომხედავს ცერად, ანდა ზურგს მომაშვერს და მეტყვის: „სარინი შემიბნიე“. ვუბნევ სარინს, დავცქერი მის ხორბლისფერ კისერს, ატამივით ოდნავ ბუსუსმოდებულ მხრებში რომ გადადის, და ჩემი მემართება. თითქოს ყველაფერი უმნიშვნელო წვრილმანია, მაგრამ ეს წვილმანი ისე მოქმედებს ჩემზე, რომ პინას ყოველგვარ ნაკლზე თვალს ვხუჭავ. პინამ იცის თავის ფასი და ბოლოს და ბოლოს საქმე იმით დამთავრდება, რომ მალე შევირთავ.

ახლა პინას ნაკლზე უნდა მოგახსენოთ, უფრო სწორად მის მთავარ ნაკლზე, რადგან დიდი ნაკლი აქვს. ეს გახლავთ ტლანქი, უხეში ქცევა. თუმცა პინას საქციელს უფრო ბრიყვული ეთქმის. ზოგი დინჯი ნაბიჯით დადის, ზოგი დაცუხცუხებს, ზოგი დაოთხილი გარბის. ჰოდა, პინაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, გეგონებათ, დაოთხილი გარბისო. თავი ისე უჭირავს, თითქოს ამბობს: „მოკლე სიტყვა, მეტი საქმე. ტყუილუბრალოდ დროს დაკარგვას არ ვაპირებ“. და თავისი მოქმედებით მართლა ადასტურებს ამ შთაბეჭდილებას, თითქოს მართლა გარბის, მუჯლუგუნებით მიარღვევს ხალხს და გზას იკაფავს. სულსწრაფია, ფიცხი და უხეში.

მე კი სულ საწინააღმდეგო ხასიათი მაქვს, ზრდილობით სავსე ვარ. თითქოს უხეშობა და სიბრიყვე მე უფრო შემშვენის, რადგან ხარის ღონე მაქვს, ტანადი და წარმოსადეგი ვარ. ჯერ მხოლოდ ოცდამერვე წელში გადავდექი და უკვე ოთხმოცდათხუთმეტ კილოგრამს ვიწონი. მექანიკურ სახელოსნოში ვმუშაობ, ჩვენი მუშებიდან სიმძიმის აწევაში ტოლს ვერავინ დამიდებს, მცირელიტრაჟიან მანქანას ჩემს ამხანაგებში მარტო მე ვწევ. მაგრამ ასეთი ღონის პატრონი რომ ვარ, სწორედ ამიტომ ყოველ ჩემს სიტყვას და მოქმედებას ვუკვირდები. გასაგებიცაა: რაც უფრო ღონიერია კაცი, მით უფრო წინდახედული და კეთილშობილი უნდა იყოს, ბოროტად როდი უნდა გამოიყენოს თავისი ღონე.

პინა მკერდამდე ძლივს მწვდება, მთელი მისი ძალა ბოხი, ჩახლეჩილი ხმაა. (ჰო, მართლა, მე

ესეც მხიბლავს, დამავიწყდა, ადრე მეთქვა). იქნებ სწორედ ამიტომ ცდილობს თავხედობით გაიტანოს ლელო.

ასეა, მაგრამ რას ვიზამ, მაინც უნდა შევირთო პინა, თუმცა, დროდადრო ისე გამამწარებს ხოლმე, რომ მზად ვარ ჯანდაბაში გავგზავნო. მაგალითად, გუშინწინ, ოსტიაში რომ ვიყავით, გადავწყვიტე, ყველაფერი გათავებულია, დღეის იქით თვალით აღარ დავენახვები-მეთქი.

ისეთი სიცხე იდგა, მხოლოდ რომში რომ იცის, ფერაგოსტოზე. მთელი ორი თვის განმავლობაში ერთი გრილი დღე არ გვღირსებია და იმ დილით პინა ალბათ სიცხისგან იყო როკაპივით გაავებული. როგორც კი შევხვდი მისი სახლის წინ, მაშინვე მომახალა:

- იცოდე, დღეს კვიმატი დღეა... გაფრთხილებ.

- რა მოხდა?

- არაფერი, რა უნდა მომხდარიყო.

- მაშ რატომ არის კვიმატი დღე?

- ასეა და იმიტომ.

თერთმეტის ნახევარი იყო, სან-პაოლოს სადგურზე რომ მივედით. ამ დროს ყოველთვის დიდძალი ხალხი ირევა სადგურზე. ვაგონი, რომელშიც ჩვენ შევედით, ხალხით იყო გაჭედილი. მხოლოდ ერთი თავისუფალი ადგილი შევნიშნეთ და ის იყო, ვიღაც ქერა, ფერმკრთალი, მშვიდი და მოკრძალებული ქალიშვილი დინჯად, როგორც ზრდილ ადამიანს შეჰფერის, დაჯდომას აპირებდა, რომ პინა შურდულივით გაენთო, თითქოს ქვეშ გაუძვრა მას და სკამზე დაეხეთქა. საბრალო ქალიშვილი კინაღამ კალთაში ჩაუჯდა პინას. უმალ გაიმართა და დარცხვენით უთხრა:

- ეს ჩემი ადგილია.

- ვინ მოგახსენათ... ვგონებ, მე ვზივარ ამ ადგილზე.

- ასეა, მაგრამ მე უკვე ვჯდებოდი, როდესაც თქვენ დაჯექით. როგორ გეკადრებათ ასეთი საქციელი?

- როგორც საჭიროა, ისე ვიქცევი.

- სინიორინა, - რბილად, მაგრამ მტკიცე ხმით მიმართა ქალიშვილმა, - ადექით, თორემ კონტროლიორს დავუძახებ.

იმ სივიწროვეში კონტროლიორით დამუქრება მართლა სასაცილო იყო და პინამ გულიანად გადაიხარხარა.

- ადექით სინიორინა!.. - კვლავ გაუმეორა ქალიშვილმა, თან ხელი წაატანა პინას, რომ წამოეყენებია.

- ხელი იქით! - დაიღრიალა პინამ და მწარედ ჩასცხო ქალიშვილს წინ გამოწვდილ ხელში.

ამ დროს მათს ჩხუბში ქალიშვილის მამა ჩაერია, თეთრულვაშა მოხუცი კაცი, პერანგის გახსნილი საყელოდან დანაოჭებული ყელი რომ მოუჩანდა.

- როგორ გეკადრებათ, სინიორინა! თქვენი საქციელი მით უფრო გასაკიცხავია, რომ ჩემი შვილი ცამდე მართალია... ასე რომ, კეთილ ინებეთ და აბრძანდით.

- შენ ვინღა ხარ?

- კაცი, რომელიც მამად შეგფერით.

- ფუი, მამად? ალბათ პაპა უნდა გეთქვათ! რა უნდა ამ ბებრუხანას ჩემგან? –

მიუბრუნდა პინა ხალხს. მაგრამ არავის გაუცინია.

- სინიორინა თქვენ უნდა დაუთმოთ ეგ ადგილი ჩემს შვილს, - ხმა აიმაღლა მოხუცმა.

- მაურიციო! - გაისმა იმ წუთს პინას ყვირილი.

მაურიციო მე გახლავართ. უხალისოდ წავიწიე წინ. კარგად მესმოდა, რომ პინა ტყუოდა. თუმცა, მართალიც რომ ყოფილიყო, ჩემი მხრივ დიდი თავხედობა იქნებოდა, მოხუც ადამიანთან დავა. მაგრამ მაინც მივედი მოხუც კაცთან და უნდილი ხმით ვუთხარი:

- გამიგონეთ, გირჩევნიათ თავი დაანებოთ!

- რა გაეწყობა... ჩანს, ქვეყნად ზრდილობიანი ხალხი გადაშენდა, - ჩაილაპარაკა გაოცებულმა მოხუცმა და თავი გადააქნია. ხალხი აღშფოთებით ადრტვინდა. ვიღაცამ წამოიძახა:

- კარგი საქმეა. ღმერთმანი... მოხუც ადამიანს ედავებიან... სხვა თუ არა, მის ხანს მაინც ეცით პატივი... ამ დროს ერთი ყმაწვილი წამოდგა და ქალიშვილს ადგილი დაუთმო. - სინიორინა, გთხოვთ დაბრძანდეთ... - და გამომწვევად გადმოგვხედა.

ხმა ვერ გავიღე, ბრაზით ვდუღდი. იმდენად იმ ყმაწვილზე კი არ მომივიდა გული, ბოლოს და ბოლოს, ის ზრდილობიანად მოიქცა, რამდენადაც პინაზე. ირგვლივ მყოფი მგზავრები მტრულად გვიმზერდნენ, ხმა აღარავის გაუღია და ასე მდუმარედ, ღვთის წყალობით, როგორც იყო, მივაღწიეთ ოსტიას. სანაპიროზე რომ გავედით. პინას მოვახსენე.

- იცოდე, თავხედობა და უზრდელობა არ მომწონს... ხომ ხედავ, როგორ მტრულად გვიმზერდა ყველა... მართალიც იყვნენ.

- მე კი ყველასთვის მიმიფურთხებია! დაჯდომა მინდოდა და დავჯექი კიდეც.

გავედით ზღვის ნაპირზე. ღმერთო, იესო ქრისტევ! ჭერეხივით ეყარა ხალხი მზეზე. პირაპირ ფეხის დასაბიჯებელი ადგილი არსად იყო, გაჭირვებით მივიკვლევდით გზას. გასახდელი ჯიხურის მსახურმა გამოგვიცხადა, თავისუფალი ჯიხური აღარ არის, სხვას შეეკედლეთო. პინამ წარბი შეჰყარა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ჯიხურთან რომ მივედით, იქ ხანში შესული ქალი და კაცი დაგვხვდა, ორი შვილით. ლერწამივით

წერწეტი, შავგვრემანი, მშვენიერი ქალიშვილი და შავგვრემანი, ასე ოცი წლის ჭაბუკი. ძალიან სიმპათიური ხალხი იყო. დაგვინახეს თუ არა, თავაზიანად შეგვიპატიჟეს. ოთხივე ერთხმად გვეძახდა: მორძანდით, მობრძანდით, მოეწყვეთო. პინას თავიდანვე არ ეპიტნავა საზიარო ჯიხური და მკვახედ მიახალა:

- თქვენი პატიჟი არ გვჭირდება. ისედაც კარგად მოვეწყობით. ოთხივემ გაოცებით

  დააღო პირი.

- ოჰო, პრინცესა მობრძანდა! - გესლიანად ჩაილაპარაკა ქალიშვილმა.

პინამ ერთი ხანი დაჰყო ჯიხურში და როგორც კი იქიდან გამოვიდა, ქალიშვილის ყვირილიც გაისმა.

- ჩემი კაბა!

მე დავინახე, როგორ ჩამოგლიჯა საკიდარიდან პინამ ქალიშვილის კაბა, დაჭმუჭნა და სკამზე მიაგდო, თავისი ტანსაცმელი კი დაკიდა. ქალიშვილმა კაბა აიღო და პინას ტანსაცმელს ზემოთ გადაკიდა. პინამ ისევ ჩამოგლიჯა მისი კაბა და ძირს დაანარცხა:

- არ მინდა, რომ ეს ძონძები ჩემს ტანისამოსზე ეკიდოს.

- ახლავე აიღეთ კაბა, - უთხრა ქალიშვილმა ხმის კანკალით.

- ჩერჩეტი ყოფილხარ, გოგონი... თითსაც არ გავანძრევ.

- არა, თქვენ აიღებთ კაბას.

პირისპირ იყვნენ ყვინჩილებივით წამოქოჩრილები. ორივე მშვენიერი იყო. მშობლები წამოდგნენ.

- შემოსვლა ვერ მოასწრო და აყალმაყალი ატეხა, - თქვა დედამ.

- რასა ჰგავს ეს... ეს რა ქალია... ვის გადავეყარეთ! - ბუზღუნებდა მამა. მივხვდი შორს

  შეტოპა პინამ. ჯიხურში შევედი, ქალიშვილის კაბა ავიღე და ვკითხე:

- სინიორინა, მიბრძანეთ, სად დავკიდო თქვენი კაბა?

ქალიშვილს გული მოულბა, მშვიდი ხმით მითხრა, დედაჩემის ტანსაცმელის ზემოთ დაკიდეთო. ასეც მოვიქეცი. მერე საბანაო კოსტიუმი ჩავიცვი, ჯიხურიდან რომ გამოვედი, დავინახე, რომ პინა იმ ქალიშვილის ძმასთან ერთად მხიარული ლაპარაკით და სიცილით მიდიოდა ზღვისკენ. მივხვდი, პინა გაჯავრებული იყო, ქალიშვილის კაბა რომ ჩამოვკიდე, და ჩემი დასჯა უნდოდა, მაინც მივედი მასთან. - წამო, ვიბანაოთ, პინა, - ვუთხარი მშვიდად.

- მიბრძანდი და რამდენიც გენებოს, იბანავე... მე კი ამასთან ერთად წავალ... სხვათა
  შორის, რა გქვიათ? - ჰკითხა ჭაბუკს.

- ლუჩანო!

- მე ლუჩანოსთან ერთად წავალ.

ხმა აღარ გავეცი, შევტრიალდი და ზღვისკენ გავწიე. ისინი ერთაად გაჰყვნენ ნაპირს და მალე თვალს მიეფარნენ.

კარგა ხანი ვიცურავე, მერე სილაზე ვიწექი, ტანი რომ შემაშრა, ჯიხურში დავბრუნდი. ის ოჯახიც დაბრუნებულიყო და უკვე მაგიდას მოსხდომოდნენ. სუფრა სავსე იყო სხვადასხვანაირი პაკეტებით. პინა ჯიხურის კიბეზე ჩამომჯდარიყო და ჟურნალს ფურცლავდა.

- იქნებ ჩვენც ვისაუზმოთ, - მითხრა მშვიდი ხმით პინამ.

ავიღე საუზმის პაკეტი, გვერდით მივუჯექი, პაკეტი გავხსენი და პინას ბუტერბროდი გავუწოდე.

- ეს რა არის? კარგად იცი, რომ შაშხი არ მიყვარს! - წამოიძახა პინამ

- კი მაგრამ, პინა...

- არა, მე ამას არ შევჭამ.

- სინიორინა, წყალობა მოიღეთ, - უთხრა შავგვრემანმა ჭაბუკმა, რომელსაც მთელმა ოჯახმა წყრომით გადახედა. ჭაბუკმა ხბოს ხორცის ბუტერბროდი მოართვა პინას.

თუ დაკვირვებიხართ, როცა ბუნებით უხეში ადამიანი ცდილობს თავი ზრდილობიანად მოგაჩვენოთ, ძალიან სასაცილოდ გამოიყურება. ასე გახლდათ პინაც. იმ აკვიატებულმა ჭაბუკმა ბუტერბროდი რომ გამოუწოდა, ვითომ ნაზი ღიმილით ჩამოართვა, მაგრამ ეს ღიმილი უფრო ღმეჭას ჰგავდა. ასეთივე ღმეჭით ჩაკბიჩა ბუტერბროდი. მერე, აქ უხერხულად ვგრძნობ თავსო, თქვა და ჯიხურს უკან გავიდა ჩრდილში. მარტო დავრჩი კიბეზე. უცებ გაისმა პინას ხმა:

- დამალევინე რამე! წყურვილით ხომ არ უნდა მომკლა?

ბოთლით ღვინო მივართვი. მოსვა ცოტა და უცებ შადრევანივით გადმოასხა ღვინო სილაზე.

- ფუი, ეს რა საძაგლობაა! ნამდვილი ძმარია!

- კი მაგრამ, პინა...

- იქნებ სინიორინამ ჩვენი ღვინო გასინჯოს?

გაისმა უცებ ლუჩანოს ხმა და ბოთლით ღვინო მიართვა. პინამ ბოთლი ჩამოართვა და ისევ, როგორც, ვითომც კეკლუცად, გაუღიმა. განზე გავიწიე. ჭაბუკმა ამით ისარგებლა და გვერდით მიუჯდა პინას. წამოვდექი გაცეცხლებული, ნაპირთან მივედი, სილაზე დავჯექი და ზღვას მივაშტერდი. „კმარა, მეტის ატანა აღარ შემიძლია. დღეს, რა თქმა უნდა, რომში მარტო დავბრუნდები. ეს უკანასკნელია, დღეის ამას იქით თვალით აღარ ვნახავ!“ - გავიფიქრე გაჯავრებულმა.

ამ გადაწყვეტილებამ დამამშვიდა. ახლა შემეძლო ჯიხურს უკან ერთმანეთის გვერდით გაწოლილ პინას და ლუჩანოს ფეხების მზერა. მაგრამ ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. სილაზე გავიშოტე და მალე ჩამეძინა.

კარგა ხანს მეძინა. გავიღვიძე თუ არა, ისევ ის წყვილი მეცა თვალში. საბანაოდ მიდიოდნენ ზღვისკენ, ნება-ნება, მასლაათით, როგორც ჩანდა, ყველაფერში შეთანხმდნენ. ეჭვით გული შემეკუმშა. ზღვა ღელავდა, როცა ისინი წყალში შევიდნენ, ტალღა თავზე გადაემხოთ და დაფარა. პინამ შეჰკივლა და უკან გადახტა. ლუჩანოს უნდოდა მიშველებოდა, რასაკვირველია, ხელი სტაცა პინას, მაგრამ ცოტა მაღლა მოუვიდა, თითქმის იღლიაში წაავლო ხელი.

- შემთხვევით სარგებლობთ, არა? - გაისმა იმ წუთს პინას ხმა. - დიდად ვწუხვარ, მაგრამ ჩემთან

არ გაგივათ მაგისთანები. აკი თავიდან მოგახსენეთ, ტყუილად ირჯებით-მეთქი. ხელებს მოუარეთ!

- კი, მაგრამ მე...

- მე... მე... ხელი იქით-მეთქი... არ გესმით? ჩინურად ხომ არ გელაპარაკებით!.. და საერთოდ... მარტო დამტოვეთ... მიბრძანდით თქვენს დასთან. ტყუილუბრალოდ რად ჰკარგავთ დროს. ლუჩანოს ეწყინა.

- ბატონი ბრძანდებით... როგორც გენებოთ... მარტო დაგტოვებთ... - თქვა დარცხვენილმა ლუჩანომ.

- ძალიან კარგს იზამთ... თავი დამანებეთ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, გმადლობთ ყველაფრისთვის.

ლუჩანო შეტრიალდა და ჯიხურისკენ წავიდა, თან უკან იხედებოდა, თითქოს იმედი ჰქონდა, პინა დამიძახებსო. თქვენც არ მომიკვდეთ, არხეინად შევიდა პინა წყალში, მაშველ ბაგირს

ხელჩაკიდებული. დიდხანს გავყურებდი, უკვე გული მომილბა და მინდოდა შევრიგებოდი. მაგრამ თავი შევიკავე. „მაურიციო, ვუთხარი ჩემს თავს, - ამაზე ხელსაყრელი შემთხვევა აღარ გექნება“. ცოტა ხნის შემდეგ ჯიხურში დავბრუნდი, ჩავიცვი, ჯიხურის მსახურს ფული გადავუხადე და წავედი.

ერთ ხანს კიდევ ვიყიალე ოსტიაში, მეც არ ვიცი, რად ვითრევდი ფეხს. უთუოდ მაინც მინდოდა პინასთან შეხვედრა. მერე სადგურში მივედი. ზღვა ხალხის ფუსფუსსა და წყვეტებაში მატარებელში ავედი. ვაგონი ხალხით იყო გაჭედილი. კუთხეში დავდექი, უკვე შევურიგდი იმ აზრს, რომ მთელი გზა ფეხზე მომიწევდა დგომა და ამ დროს პინას ხმა გაისმა:

- მე კი მიმიფურთხებია ამისათვის!

- სინიორინა, ეს ადგილი მე დავიკავე, ყველამ დაინახა, აქ ჩემი საფულე იდო.

- ახლა კი ჩემი საჯდომი დევს.

- ბრიყვო!

- ბრიყვის ხმა მესმის!

- ახლავე აბრძანდით აქედან... გესმის?

- მაურიციო!

ხალხით გაჭედილ ვაგონში მაინც დამინახა პინამ და მაშინვე დამიძახა, რომ თავხედობაში მხარი ამება მისთვის.

არ მინდოდა მისვლა, მაგრამ მაგნიტივით მიმიზიდა. გაჭირვებით გავაღწიე ხალხს თავი და პინას წინ შევდექი. ამჯერად პინა დარბაისელ მანდილოსანს ეჩხუბებოდა. ჭაღარა, საკმაოდ ინტელიგენტური გარეგნობის ქალი იყო, ნიკრისის ქარით დაავადებული. რამდენადაც შემეძლო რბილად მივმართე:

- სინიორინა, გირჩევთ თავი დაანებოთ!

- თქვენ ვინღა ბრძანდებით? - სინიორინას საქმრო გახლავართ!

შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო. ვიღაცამ მანდილოსანს ადგილი

დაუთმო, ყველა ალმაცერად გვიყურებდა, პინა კი არხეინად იჯდა სხვის ადგილზე. მაგრამ იცით, რა მითხრა მანდილოსანმა დაჯდომისას?

- მაშ თქვენ სინიორინას საქმრო ბრძანდებით?.. საბრალოვ... მთელი გულით თანაგიგრძნობთ.

ვაგლახ! მანდილოსანი მართალი იყო.

შიმპანზე

რომში ზამთარი იდგა, მაგრამ იანვარში ისეთი საუცხოო დარი დაიჭირა, ჰაერი ისეთი რბილი იყო, ტანაყრილი, ხშირი ბალახი ისე ღაღანებდა, რომ გაზაფხული გეგონებოდათ. ცაზე ყოველი მხრით გაფანტულ ნათელ ღრუბლებში მზე იჭყიტებოდა, თან მსხვილად წვიმა, ხეებქვეშ მოდებული ბალახი ხარბად ისრუტავდა წვიმის წყალსაც და მზის სითბოსაც.

ბორგეზეს ვილის ხეივანს მივყვებოდი მუზეუმისკენ. უცებ რატომღაც გული სიხარულით ამიჩქროლდა და ვიგრძენი, რომ ბედნიერი ვარ, მომეჩვენა, ვითომ უზარმაზარი კუტკალია ვარ, ფეხებში ისეთი ძალა მაქვს, რომ ერთს ვისკუპებ და სახურავზე მოვექცევი მუზეუმს, რომლის ყვითელი ფასადი უკვე გამოჩნდა ხეივნის ბოლოს. მართლა ვისკუპე, თავი უკან გადავიგდე და პირით ვიჭერდი წვიმის წევთებს. ერთმა წვეთმა, პირში რომ ჩამივარდა, ისე დამათრო, თითქოს ლიქიორი გადამეკრას. „ჯერ ოცი წლისა ვარ, ცხოვრება წინ მაქვს, ორმოცი, ორმოცდაათი წელი კიდევ ვიცოცხლებ, ალბათ, და ამ საუცხოო, ამ წარმტაცი ცხოვრებით დავტკბები... გაუმარჯოს სიცოცხლეს!“ ვფიქრობდი ჩემთვის:

ხეივნის მარჯვნივ, სერზე ცხენებს მოვკარი თვალი, ჯიშიანი, კარგად მოვლილი ცხენები იყვნენ და იმ ცხენებზე კოხტად გამოწკეპილი ბიჭები ისხდნენ. დიდი მუხის ქვეშ შეეფარებიათ

წვიმისთვის თავი. ყველაფერი მხიბლავდა, ყველაფერი მომწონდა და ის ცხენებიც ძალიან ლამაზი მეჩვენა. „უჰ, რა ბედნიერი ვარ“, - გავიფიქრე ისევ და უნებურად წამოვიწყე ერთი ახალმოდური სიმღერა. მერე ამ ცოტა ხნის წინათ ნახული ფილმის სახელწოდებაც გამახსენდა: „სიმღერა წვიმაში“.

ალბათ ეგზომ ბედნიერი იმიტომ გახლდით, რომ პირველ პაემანზე მივდიოდი გლორიასთან. გლორია რეჯინოს მოედანზე ლუდხანაში მოლარედ მუშაობს, მეც იმავე მოედანზე გარაჟში ვმუშაობ მექანიკოსად.

გლორიას ლუდხანაში შევხვდი. სიბნელეში რომ ვისხედით და სატელევიზიო გადაცემას ვუყურებდით, ვითომდა უნებურად ნიდაყვი მივადე, მერე უფრო გავთამამდი და ხელზე ხელი მოვუჭირე. გადაცემა რომ დამთავრდა, პაემანიც დავუნიშნე. გლორიას ხუთშაბათობით ჰქონდა თავისუფალი დღე, ლუდხანის დიასახლისი ცვლიდა სალაროში. ჰოდა, დღეს ხუთშაბათი გახლავთ, ბედნიერი ვარ და პაემანზე მივეშურები.

ერთი რამ მაწუხებდა მხოლოდ - უფულობა. რას იზამთ, ასეა, როცა ოცი წლისა ხარ და მექანიკოსად მუშაობ გარაჟში, საიდან მოიგდებ ფულს ხელში? იმ გროშებით, რაც მე გამაჩნია, კინოშიც ვერ შევიყვანდი გლორიას. დიდი-დიდი, ზოოლოგიურ ბაღში შესასვლელი ბილეთი

მეყიდა და ყავახანაში ყავით გავმასპინძლებოდი. კინოზე ოცნებაც ზედმეტი იყო, რადგან ვენეტოს უბნის კინოთეატრებში ბილეთი ძალიან ძვირი ღირს. ვერც

დანსინგში მივიწვევდი საცეკვაოდ, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით კუადრაროს დანსინგშიც კი არ შემეძლო მისი დაპატიჟება.

ცხოველები ძალიან მიყვარს, რატომღაც მეგონა, რომ გლორიაც ჩემი ყაიდისა იქნებოდა და ცხოველები ეყვარებოდა. ერთი სიტყვით, ვიმედოვნებდი, რომ გლორიას გული დავიპყარი, ჰოდა, ასეთ შემთხვევაში რაღა მნიშვნელობა აქვს ფულს? ამ ფიქრით მივედი მუზეუმთან. აქ გვქონდა პაემანი დანიშნული.

საჩიხქვეშ თავი შევაფარე წვიმას და გლორიას ველოდი. მალე ისიც გამოჩნდა, უკაცრიელ ხეივნიდან გამოვიდა, ქოლგა გაეშალა. რომ დავინახე, როგორ გამოწკეპილიყო, რატომღაც გულში გამკრა, შეცდი, ეს საშენო ქალიშვილი არ არის. ახალი წითელი პალტო და აბრეშუმის მწვანე კაბა ეცვა გლორიას, ძლივს ვიცანი. უფრო ის მეუცხოვა, რომ ჩვეულებრივად სწორი, მხრებზე ჩამოშლილი თმა დაეხვია და კეფაზე შეეკრა. ამას ისე შეეცვალა, რომ მისი სახის მსხვილი, უხეში ნაკვთები უფრო მოგხვდებოდათ თვალში. განსაკუთრებით გამაოცა მისმა ცხვირმა, არცთუ უშნო ცხვირი ჰქონდა, მაგრამ არც ლამაზი ეთქმოდა (კარტოფილს მიუგავდა), და ზიზღის გამომხატველმა ტუჩებმა, რომლებზეც ისე სქლად წაეთხიპნა პომადა, რომ ულაპლაპებდა.

მივესალმეთ თუ არა ერთმანეთს, მაშინვე წამოიძახა: უჰ, ეს წვიმაღა გვაკლდა. აბა, საით წავიდეთ? კინოში არ გინდა წასვლა? აქვე შევიდეთ, ვენეტოს ქუჩაზე. ვითომ რა გართობაა კინოში ჯდომა. სურათი დამთავრდება თუ არა, ღამე მშვიდობისა უნდა ვუსურვოთ ერთმანეთს, ვუპასუხე გლორიას.

- მაშ სადმე წავიდეთ და ვიცეკვოთ?

- ცეკვა რომ არ ვიცი!

- არ იცი? დროა ისწავლო! ჰმ, ძალიან არ გამიღიმა ბედმა მე საწყალს! მაშ რას აპირებ?

- ზოოლოგიურ ბაღში... - წამოვიწყე, მაგრამ გლორიამ ხელად შემაწყვეტინა:

- მგონი არც მე ვარ მოახლე და არც შენ ხარ ჯარისკაცი. ისინი ატარებენ ასე დროს. დიდად გმადლობთ, მე შინ მივდივარ.

თქვა ზიზღით და ისე შეტრიალდა, თითქოს მართლა აპირებდა წასვლას. გულის სიღრმეში თითქმის მინდოდა, რომ წასულიყო. ამიტომ ცივად მოვახსენე, მშვიდობით ბრძანდებოდე-მეთქი. გლორიას შეეშინდა, მართლა არ მიმატოვოსო და წამოიძახა:

- კარგი, კარგი, რა გაეწყობა, წავიდეთ ზოოლოგიურ ბაღში.

და აი, გავყევით უკაცრიელ ხეივანს ზოოლოგიურ ბაღისკენ. ისევ წვიმდა. გლორია უხალისოდ მომყვებოდა, სიარულზეც კი ეტყობოდა, უკმაყოფილო რომ იყო, ქედმაღლური გამომეტყველებით, განგებ ნელა მოაბიჯებდა. ბოლოს მივაღწიეთ ზოოლოგიურ ბაღსაც. შესასვლელში ძე-ხორციელი არ ჭაჭანებდა, საჰაერო ბუშტების გამყიდველის გარდა, რომელსაც ხის ქვეშ შეეფარებია წვიმისთვის თავი. ვიყიდე ორი ბილეთი და ორი პაკეტი თხილი. ერთი პაკეტი გლორიას გავუწოდე.

- ეს რაღაა?

- მაიმუნებს აჭამე.

- შენ თვითონ აჭამე, მე მაიმუნებს ვერ ვიტან.

შევედით ზოოლოგიურ ბაღში, გლორიამ სპილოების სადგომისკენ გასწია. ერთი უზარმაზარი

სპილო რკინის გისოსს შუბლით მისწოლოდა, რუხი კანი ისე ეკიდა, თითქოს ხალვათი აქვსო. ისე გამეხარდა სპილოს დანახვა რომ წამოვიძახე:

- გლორია, ხედავ, სპილო!

- დიახ, ვხედავ, მართლა სპილოა. ნეტა რა არის აქ გასაკვირველი? - შემომიღრინა გლორიამ.

სიმპათიური სპილო პაწია, ჭკვიანი თვალებით მოგვაშტერდა მე და გლორიას. ძირს დავიხარე, ბალახი მოვგლიჯე და გლორიას მივეცი, რომ სპილოს გამასპინძლებოდა. არ უნდოდა, მაგრამ მაინც ჩამომართვა ბალახი და უხალისოდ გაუწოდა სპილოს. სპილომ ხორთუმი გამოიშვირა, აიღო ბალახი გლორიას ხელიდან, ნელ-ნელა მოღუნა ხორთუმი და ბალახი პირში გაისტუმრა. „შეხედე, ჭამს, ჭამს“! უნებურად სიხარულით შესძახა გლორიამ. ამის გაგონებაზე გულზე მომეშვა, მეგონა, რომ დაინტერესდა, მაგრამ იმწამსვე გამიცრუვდა იმედი, რადგან გლორიამ ინანა, ბალახს ხელი რად მოვკიდეო. „ხედავ, როგორ დავისვარე ხელები მიწით... აი, დახედე!“ - თქვა ზიზღით და ხელი ჩემს ლაბადაზე შეიწმინდა. სპილოს შემდეგ მარტორქას ვეწვიეთ; ეს კი მართლა საზიზღარი იყო, თვალებშუა ამოზრდილი რქით ქანდაკებასავით უძრავად რომ იდგა, წვიმით გალუმპული, მთლად ალაპლაპებული. „საწყალი, ძალიან ულამაზოა, მაგრამ რა ქნას, თვითონ ხომ არ მიუძღვის ამაში ბრალი. გარეგნულად ასეთი უხეშია, გული კი კეთილი აქვს და

ბალახის მეტს არაფერს ჭამს“, - ვუთხარი გლორიას. „ნეტა რა არის აქ საინტერესო, უჰ, რა საზიზღარია, თითქოს ტყავის ნაჭრებისგან შეუკერავთო“, - მკვახედ მომახალა გლორიამ და ჰიპოპოტამისკენ გასწია. ჰიპოპოტამის სადგომი ჩაბნელებული იყო. ერთ კუთხეში თივა ეყარა. ალღოთი ხვდებოდა ადამიანი, რო გისოსს იქით დიდი აუზი შავი და მდორე წყლით იყო სავსე. ჰიპოპოტამი არ ჩანდა.

- ხომ ხედავ, ჰიპოპოტამი არ არის, წავიდეთ, რაღას უდგახარ აქ! - გაკაპასებით წამოიძახა გლორიამ და შენობიდან გავიდა. მე ჩამოვრჩი და დავინახე, რომ წყლიდან ჰიპოპოტამის ორი, მბრწყინავი თვალი გამოჩნდა, მერე ჭუჭყიანი ზურგი და ბოლოს ჰიპოპოტამის თავი. საწყალი, უზარმაზარია და ასე ზანტად იმიტომ მოძრაობს, კარგა დიდი დრო დასჭირდა წყლიდან ამოსასვლელად. ახლა უკვე შემეძლო მისი დათვალიერება. კეთილი იყო ჰიპოპოტამი, ხორცით გამოტენილი ვეება პირი დააღო, ყვითელი, მოკლე კბილები ჰქონდა, ენა კი ვარდისფერ ბალიშს მიუგავდა.

- გლორია, გლორია, გამოჩნდა ჰიპოპოტამი, - შევძახე სიხარულით.

მაგრამ გლორია უკვე შორს იყო, წაბლისფერი დათვების გალიასთან იდგა.

დათვებს ბანჯგვლიანი, კლანჭებიანი თათები თავქვეშ ამოედოთ, მოკუნტულიყვნენ და მშვიდად ეძინათ. გლორიამ ზედაც არ შეხედა მათ. ჩემი ერთ-ერთი ბებერი დეიდის ოთახში იატაკზე დაგებულ დათვის ტყავს მაგონებენო, თქვა და გასწია. ერთი სიტყვით, გლორია აუტანელი იყო, როგორც ჩანდა, განგებ იქცეოდა ასე. ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი, როცა ჯეირნების სადგომთან მივედით. თვალს ვერ მოწყვეტდით, ისეთი ლამაზი ჯეირნები იყვნენ: წვრილფეხა, მშვენიერი შავი თვალები და უკან გადაყრილი რქები. „თხები! თხების საყურებლად მოვედი აქ?“ იქნებ ლომები, ვეფხვები და ავაზები მაინც მოეწონოს, დავიიმედე თავი და მათი სადგომისკენ წავიყვანე. ერთ გალიაში ორი საუცხოო ვეფხვი შეუჩერებლად მიმოდიოდნენ წინ და უკან და ყვითელი, ავი თვალით გვაცქერდებოდნენ. თვალების ირგვლივ ყვითელი და შავი ზოლები ჰქონდათ. „მართლა ლამაზი ვეფხვებია“, მოწყალედ გამოსცრა კბილებში გლორიამ. ვიდექით ვეფხვების გალიასთან და ვტკბებოდით მათი მზერით. უცებ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა, ყველა მეზობელი გალიისაკენ გაეშურა, სადაც ლომები იყვნენ მოთავსებულნი. ლომებისათვის სადილი მიერთმიათ და ხალხს უნდოდა ენახა, როგორ ჭამდნენ ისინი.

- ჩქარა, გლორია, ჩვენც გავიქცეთ, ვნახოთ, - ვუთხარი გლორიას და ხელი ჩავკიდე.

ამჯერად უარი არ მითხრა, გავიქეცით ლომების გალიისკენ, მაგრამ საუბედუროდ გლორიამ რაღაცას წამოჰკრა ფეხი და სრულიად მოულოდნელად შესაბრალისი ხმით დაიძახა:

- ვაიმე, ეს რა უბედურებაა, ქუსლი მომტყდა.

მართლა ფეხი გადაუბრუნდა და ფეხსაცმლის ქუსლი მოტყდა. „ოჰ, რა ტანჯვით ნაყიდი ფეხსაცმელი გამიფუჭდა. რაღა ვქნა ახლა, ვინ გადამიხდის ამის ფასს?“ - წუწუნებდა გლორია და ფეხსაცმლის ქუსლს სინჯავდა. მე კი ერთი სული მქონდა, ისე მინდოდა მენახა, როგორ ჭამდნენ ლომები. მესმოდა მათი ბუხუნი, ისეთი ამბავი ჰქონდათ, გეგონებოდათ, მეორედ მოსვლააო. მერე უცებ შეწყდა ბუხუნი, ყველაზე საინტერესო წუთები დავკარგეთ. გალიასთან რომ მივედით (გლორია ხელზე დამეყრდნო და კოჭლობით მომდევდა), საყურადღებო აღარაფერი იყო. ლომებს ჭამა მოეთავებიათ, გალიის კუთხეში მიწოლილიყვნენ და ცხენის გამოღრღნილ ნეკნებს დაჰყურებდნენ. „ფუი, როგორ ყარან“, - ზიზღით წამოიძახა გლორიამ. სამივე ლომი ერთიმეორეზე უკეთესი იყო, მთელი საათი განუწყვეტლივ შემეძლო მათი ყურება, გლორიამ კი იმის მეტი ვერაფერი შენიშნა, რომ ისინი ყარდნენ. ისე გამიფუჭდა გუნება, მზად ვიყავი მომეკლა გლორია.

მივედით ჩრდილოეთ პოლუსის დათვების და სელაპების გალიასთან. ამ თეთრ დათვებს ძალიან სულელური იერი აქვთ. ერთი ფეხაშვერილი იწვა და ზურგით ისე ეხახუნებოდა იატაკს, თითქოს ზურგს იფხანსო. მეორე ზემოდან ქვევით ისე აქნევდა თავს, რომ გამეცინა. ძალიან მომეწონა სელაპები. წყვილ-წყვილად ცურავდნენ აუზში, მერე ხელოვნური ყინულის

ლოდზე შეხტებოდნენ და თავის შავ, ლაპლაპა ტანს გვიჩვენებდნენ. ბოლოს ისევ წყალში ჩაყვინთავდნენ. გლორიაზე არც ამან მოახდინა შთაბეჭდილება.

- მე მხოლოდ მათი ტყავის ფეხსაცმელი და საფულე მაინტერესებს, - გამომიცხადა გლორიამ.

ერთი სიტყვით არაფერი არ მოსწონდა. მინდოდა მეგრძნობინებინა, რომ ძალიან მომაბეზრა თავი მისი ატანა აღარ შემეძლო. ამიტომ გასასვლელისკენ წავედი. გლორია მიხვდა, რომ მეტისმეტი მოუვიდა, ხელი ჩამავლო და მკითხა:

- საით?

- შინ.

- მერე, მაიმუნები არ ვნახოთ?

- არა, შემდეგ ვნახავ.

- რაო, ნაწყენი ხარ ჩემზე?

- დიახ, თავი მომაბეზრე.

- კარგი ერთი, ნუ ჯავრობ, - უცებ ალერსით მითხრა გლორიამ, - იცი, გუშინ შენზე ვფიქრობდი.

- რას ფიქრობდი?

- არაფერს. შენზე ვფიქრობდი, მორჩა და გათავდა. წამო, მაიმუნები ვნახოთ.

...აი მაიმუნების გალიებიც. ერთ გალიაში სულ პაწია მაიმუნები ისხდნენ და თავის გრძელ კუდებში რწყილებს გამალებით იჭერდნენ, თან სევდიანი თვალებით შემოგვყურებდნენ. მეორე გალიაში უფრო დიდი მაიმუნები იყვნენ, ძაღლის თავს მიუგავდათ თავი, საჯდომი კი ორ მოლურჯო ბადრიჯანს. გლორია ცდილობდა მოეჩვენებია, რომ მაიმუნები მოსწონდა, მაგრამ ამისათვის ისე ატანდა თავს ძალას, რომ მისი უწინდელი უკმეხობა ასწილ მერჩია.

- კარგი, გლორია, გეყოფა. ერთი კილომეტრიდან შეგატყობს ადამიანი, რომ ცხოველები არ გაინტერესებს.

- რა უცნაური ხარ! ძნელი ყოფილა შენი გულის მოგება. გარწმუნებ, რომ ეს მაიმუნები ძალიან მომწონს, მაგრამ რა ვქნა, ხომ ვერ ვიხტუნავებ? აქ მომეცი ეგ თხილი.

ამასობაში წამოჟინჟლა, წვრილად ცრიდა, ზოოლოგიური ბაღის პალმებს იქით კი მზე ჭახჭახებდა.

შიმპანზეს გალიასთან შევდექით. ერთი შიმპანზე თოთხმეტი წლის ბიჭის სიმაღლე იქნებოდა, წაბლისფერი ბანჯგვლით დაფარული ტანი ჰქონდა, კუთხეში ადამიანივით იდგა ორ ფეხზე და ბანანს შეექცეოდა. გაფცქვნიდა ბანანს და პატარა ლუკმებს კბეჩდა. მეორე შიმპანზე საქანელაზე გამართული იდგა და ქანაობდა. ისეთი სერიოზული, დინჯი სახე ჰქონდა, რომ გაუგებარი იყო, რად ქანაობდა საქანელაზე. ჩვენს გვერდით ორი ახალგაზრდა შედგა, ერთი გამხდარი, აწოწილი, მერე დაბალი, დამრგვალებული. უყურებდნენ შიმპანზეებს და ერთმანეთს უხსნიდნენ მათ ყოველ მოძრაობას და გამომეტყველებას. შიმპანზე საქანელადან ჩამოვიდა, რკინის გისოსს

მოეკრა და გარედან შავი, შიგნით კი ვარდისფერი პირი ისე გადმოგვიშვირა, თითქოს რაღაცას გვეუბნებაო, თან უცნაურად წკმუტუნებდა და თხელი ბანჯგვლით დაფარულ მუცელს იფხანდა. გლორიამ შიმპანზეს თხილი გაუწოდა, შიმპანზემ ყურადღება არ მიაქცია.

- ნეტა რა დაემართა. თხილი დამიწუნა, თუ რაა? - მკითხა გლორიამ.

ამ დროს შიმპანზემ ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს დაუსტვინაო, გალიის სიღრმეში გავიდა, მოიხარა, გეგონებოდათ, ძალიან დაქანცულიაო, მერე უცებ ჩვენკენ შემობრუნდა, იატაკიდან

ახვეტა, ღმერთმა უწყის რა ჭუჭყი იყო, ხელი მოიქნია და ჩვენკენ გამოტყორცნა ჭუჭყი. ერთადერთი დაზარალებული გლორია გახლდათ, რადგან მე მის უკან ვიდექი, იმ ორმა ახლგაზრდამ კი განზე გახტომა მოასწრო. ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. გლორიამ თავის ლამაზ, წითელ პალტოზე დაიხედა. თავიდან ბოლომდე ჩამოთხვრილი იყო. ის ორი ახალგაზრდა კი სიცილით იჭაჭებოდა.

- წყეულიმც იყოს ეს ზოოლოგიური ბაღი, - დაიკივლა გლორიამ, - წყეულო პირუტყვო! - და ქვითინით გაიქცა. უკან გავყევი, მაგრამ გლორიამ დამიკივლა:

- იცოდე, ახლო არ მოხვიდე, თავი დამანებე, თავი დამანებე-მეთქი!

ჯერ ნაბიჯი შევანელე, მერე შევდექი. გლორია გასასვლელთან მივიდა და თვალს მიეფარა.

ისევ ცრიდა, მაგრამ მოქუფრულ ცაზე უცებ დიდი, მრავალფეროვანი ცისარტყელა აციალდა. მეც გამოვედი ზოოლოგიური ბაღიდან. გუნება გამიფუჭდა და ყველაფერს უკვე სხვა თვალით ვხედავდი. აღარაფერი მიხარებდა გულს. ბორგეზეს ვილა ისეთივე იყო, როგორც ყოველთვის

და იგივე წვიმა, ამ ცოტა ხნის წინათ სიხარულით რომ მათრობდა და მზად ვიყავი შემესვა, ახლა სულს მიხუთავდა. ოჰ, რად, რად აქვთ ქალებს ასეთი ძალა: ხან ისე ბედნიერს გაგხდიან, ხან კი სიცოცხლეს მოგიშხამავენ.

საქმრო

ძალიან შეხმატკბილებული ოჯახი იყო. მაგრამ შვილები წამოეზარდათ, ბოლო დროს ძალიან გაუჭირდათ ცხოვრება, ეს კი კარგს არაფერს უქადდა მათ. ოჯახის ყოველმა წევრმა კარგად იცოდა, რომ ამ ოთახებს, სადაც ბავშვობა გაატარეს, თუმც მაშინ ეს ოთახები სხვანაირი იყო, მხიარული, ხალისიანი, ახლა კი პირქუში, ძველი ავეჯით სავსე, მომავალ ზამთარს სამუდამოდ გამოეთხოვებოდნენ. ორი უფროსი ვაჟიშვილი ჩრდილოეთის რომელიმე ქალაქში სამუშაოდ აპირებდა წასვლას, უმცროს ქალიშვილს ინგლისში უნდოდა სწავლა საფერშალო სკოლაში, უფროსი ქალიშვილი კი, ლეონორა, გათხოვებას აპირებდა. როგორც კი ქორწილს გადაუხდიდნენ ლეონორას, მშობლები მხოლოდ ამას ელოდნენ, მაშინვე დაცლიდნენ ბინას და სხვა, უფრო პატარა ბინაში გადავიდოდნენ.

ასეთი გეგმა ჰქონდათ, ჯერჯერობით კი ყველა ერთ ჭერქვეშ იყო და ძველებურად შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ. ძმებს, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად არ ამჟღავნებდნენ, ერთმანეთი უყვარდათ, ბავშვობიდან შეინარჩუნეს ნაზი გრძნობა, მაგრამ იცოდნენ, რომ ეს ნაზი გრძნობა უმალ გაქრებოდა, როგორც კი მშობლიურ კერას დატოვებდნენ.

ჩამოვარდებოდა ოჯახში ლაპარაკი თუ არა ლეონორას გათხოვებაზე, რომელიც მდიდარ

ახალგაზრდას მიჰყვებოდა, ძმები დაცინვით იტყოდნენ ხოლმე, ეს ძროხის გაყიდვაო, რადგან ლეონორას საქმრო არ უყვარდა და, როგორც თვითონ აღიარა გულწრფელად, მხოლოდ იმიტომ თხოვდებოდა, რომ გაჭირვებისთვის თავი დაეღწია. ლეონორას და მის ძმებს ხეირიანად არც კი ესმოდათ, რამდენად არასასიამოვნო იყო მათთვის ეს ქორწინება, სიღარიბე საკმაო გასამართლებელ საბუთად ეჩვენებოდათ, ძალიან ახალგაზრდები იყვნენ და თავის განცდებში ვერ ერკვეოდნენ.

* * *

ლეონორას საქმრო, ვინმე მორონი, მართალია, ლეონორასთან ინტიმურ საუბარში, თავის განზრახვას ამჟღავნებდა, მაგრამ ოფიციალურად ამის გამოცხადება ჯერ ვერ გადაეწყვიტა.

როცა სადილის შემდეგ, სუფრის გარშემო მსხდომ ოჯახის წევრებს მოახლემ მოახსენა, სასტუმრო ოთახში მორონი იცდისო, ლეონორა აფორიაქდა, წამოხტა, ძმებმა კი ჩვეულებისამებრ დაცინვა დაუწყეს:

- აჰა, თევზი ანკესს წამოეგო, არა? აბა, რა გასაკვირველია, ისეთი ანკესი გაქვს, რომ...

- თავი დაღუნე, დროა საკენკი აკენკო...

- ძლივს არ მიხვდა ეს ვაჟბატონი, რომ სარგებლობის მოტანა შეუძლია?

- თუ ახლაც ვერ გაბედა, მე შეგცვლი, ღმერთმანი, არ დავიწუწუნებ ასეთი ქონების პატრონს. ეს უკანასკნელი რეპლიკა წკრიალა ხმით წამოიძახა ლეონორას უმცროსმა დამ.

- ჯანდაბას შენი თავი, - შეუყვირა ლეონორამ დას.

ლეონორას დედა შეჩვეული იყო ამგვარ ყბედობას და გულგრილად უგდებდა ყურს შვილებს. მერე ლეონორას უთხრა:

- შვილო, ლეონორა, მწვანე კაბა ჩაიცვი და ისე გადი.

- რატომ? იქნებ ისიც მიბრძანოთ, რომ მთლად გავშიშვლდე, ოღონდ კი ვათქმევინო, რას საჭიროა?

- კარგი ერთი. მწვანე კაბა გიხდება და ამიტომ გეუბნები.

მამა ყალიონს წევდა, მისი ჭაღარა წვერი მოლურჯო კვამლის ბოლქვებში იყო გახვეული.

- დედაშენი მართალია, - შენიშნა მამამ, - მშობლებს ყოველთვის უნდა დაუჯერო. მით უფრო მაშინ, როცა სწორ რჩევას გაძლევენ.

- არა, არ გამოვიცვლი კაბას, - ცივად მიახალა ლეონორამ მშობლებს და კარისკენ გაემართა, - თქვენ კი, - ახლა ძმებს მიუბრუნდა, რომლებიც ძველებურად დასცინოდნენ, - გეყოფათ სისულელის როშვა.

მაგრამ დერეფანში რომ გავიდა, მაშინვე ინანა, რად ვუპასუხე დედას ასეო, და სასტუმრო ოთახის ნაცვლად, თავის ოთახში შევიდა. ყვავილები, ყველგან ყვავილები, ჩამჭკნარი, ჩაშავებული. ეს ოდესღაც კეკლუცი ოთახი განშორების მოლოდინში უფრო უღიმღამო ეჩვენა, ვიდრე ნამდვილად იყო. კარადიდან მწვანე კაბა გამოიღო და სარკის წინ ჩაიცვა. ქერა გოგონა იყო ლეონორა, ნორჩი, არაჩვეულებრივად მოქნილი ტანი ჰქონდა, თეთრი კანი და დიდრონი ცისფერი თვალები. მწვანე კაბა მართლა ხატავდა, ისეთ შუქს ჰფენდა, თითქოს სინათლისგან არის ნაქსოვიო. ვიწრო თეძოებზე და მუცელზე გაისწორა კაბის ნაოჭი და სწრაფი ნაბიჯით შევიდა სასტუმრო ოთახში.

სასტუმრო ოთახსაც ოჯახის დაკნინების დაღი ესვა. ჭუჭყიანი, გაზინთულ სახელურებიანი სავარძლები და დივანი, დამტვერილი შუქფარები, დაქექილი შალითები და სხვა ხარახურა.

მორონი ერთ ასეთ დანჯღრეულ სავარძელში იჯდა, ლეონორა რომ შევიდა ოთახში, უცებ წამოხტა, დაიხარა, რომ ხელზე ეკოცნა მისთვის, მარამ ლეონორამ ვითომ ვერ შენიშნა, ხელი არ გაუწოდა. თავი რომ დაუკრა მარონიმ, ლეონორამ მისდა შეუმჩნევლად ენა გამოუყო. ალბათ უნდოდა გული გაემხნევებინა.

ორივენი დასხდნენ და მორონიმ დაიწყო მოყოლა, თუ როგორ გაატარა ეს ორი კვირა, მათი უკანასკნელი შეხვედრის დღიდან.

ვიდრე მორონი თავის ამბავს ჰყვებოდა, ლეონორა დაჟინებით აკვირდებოდა. არ მოსწონდა საქმრო და ძალიან უნდოდა, რაიმე კარგი, რაიმე ღირსება შეენიშნა, რითაც ნაწილობრივ მაინც გაიმართლებდა თავს. მორონი მაღალი არ გახლდათ, მაგრამ ჩასკვნილი ჭაბუკი იყო, მოკლე კისერი ჰქონდა, ხშირი შავი თმა, თაფლისფერი არაფრისმეტყველი თვალები, მაგრამ ეს თვალები უაზრო მაინც არ იყო. ჩაშავებული სახე, ცხვირი კი, წინიდან თუ შეხედავდით, მოღრეცილი ჩანდა, პროფილში კი არწივისებური. ყველაზე მეტად მისი ტუჩები არ მოსწონდა ლეონორას, უფორმო ტუჩები ჰქონდა, მაგრად გატენილ საფულეს მიუგავდა. ეს ტუჩები მართლაც გატენილი იყო ერთმანეთზე მიჯრილი კბილებით. გეგონებოდათ ორი-სამი წყება კბილები აქვსო, როგორც ზოგიერთი სახის ზღვის ვეშაპს აქვს.

„არა, - გაიფიქრა ლეონორამ მოულოდნელი სიმტკიცით, - არა, ძალიან შეუხედავია...“

მორონიმ შორიდან დაიწყო. არაჩვეულებრივი, გულწრფელი აღტაცებით აუწერა ლეონორას მშობლიური კუთხე: ზღვა, ფორთოხლის ხეივანი, ვენახი, ცა, კლდეები, მთები, „ეს უკვე დადებითი მხარეა, როცა ბუნებას აღტაცებაში მოჰყავს კაცი... არც ისე ცუდი ადამიანი ჩანს...“ - გაიფიქრა ლეონორამ. ბუნების აღწერას რომ მორჩა მორონი, ახლა თავისი ოჯახის წევრები გაიხსენა. ისეთივე აღტაცებით ლაპარაკობდა, მაგრამ ეს მაინც სხვაგვარი აღტაცება იყო, გულთბილი, სანტიმენტალური. აღარ იცოდა, როგორ შეესხა ხოტბა თავისი მოხუცი მშობლებისა და და-ძმისათვის. „ესეც კარგია“, - გაიფიქრა კვლავ ლეონორამ.

ამის შემდეგ საკუთარ თავზე ჩამოაგდო სიტყვა მორონიმ, რა თქმა უნდა, ისეთივე აღმაფრენით და ენთუზიაზმით. ეს კი აღარ მოეწონა ლეონორას.

- მე სალი კლდე ვარ, გაუტეხელი. ყველგან და ყველაფერში ჩემი უნდა გავიტანო, წინააღმდეგობას არავის ვაპატიებ, არ შევარჩენ. ფორმალისტი ვარ, კონსერვატორი, ძველი იდეების, ძველი პრინციპების მიმდევარი. საერთოდ მრავალგვარი, თითქმის უკლებლივ ყოველნაირი ცრურწმენით ვარ გაჟღენთილი. უხეშიც ვარ, ჩხუბის თავიც, ეჭვიანიც და ფიცხიც.

ისეთი სიამოვნებით აღწერდა თავის ნაკლს, გეგონებოდათ, ღირსებაზე ლაპარაკობსო „ნეტა მაცოდინა, განგებ იმკობს ასე თავს, რომ მომავალში საყვედურისაგან დაიზღვიოს თავი, თუ ეს

ცუდი თვისებანი სანაქებოდ მიაჩნია და მოსწონს“, - ფიქრობდა ლეონორა, მაგრამ დარწმუნებით ვერ გაიგო, ასე იყო თუ ისე.

- რაც უნდა მოვიწადინო, ყველაფერს ვაღწევ. საკმარისია გულში გავივლო რამე, გარწმუნებთ, წინ ვერაფერი დამიდგება. რა სიძნელეც არ უნდა შემხვდეს, მაინც მივაღწევ მიზანს.

„აჰა, თავისი დარბაზობის მიზანს უახლოვდება“, - გაიფიქრა ლეონორამ და ყალბი გულუბრყვილობით ჰკითხა:

- მაგალითად?

- მაგალითად? ათასი შემთხვევის ჩამოთვლა შემიძლია, - მიუგო მორონიმ, - აი, თუნდაც ეს პროცესი, რომლის მიზეზითაც პროვინციაში დავყოვნდი. ერთმა ჩემმა ხელქვეითმა თავს მომახვია ეს საქმე. გულახდილად მოგახსენებთ, რომ ჩემი ხელქვეითი მართალია, მტყუანი მე ვარ, მაგრამ მე გადავწყვიტე საქმის მოგება და კიდეც მოვიგებ.

- როგორ მოახერხებთ ამას?

- სულ უბრალოდ: ცრუ მოწმეებს დავიქირავებ. ეს ერთი შემთხვევა. ბევრი სხვა ამდაგვარის ჩამოთვლა შემიძლია.

მორონიმ ლაპარაკი განაგრძო, მაგრამ ლეონორა აღარ უსმენდა. უნდოდა წამოეძახა, ყველაფერი, რაც ახლა თქვით, საშინელებაა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი, რადგან არავითარი აზრი არ ჰქონდა ამ სასამართლო პროცესის გამო მორონის გაკიცხვას. ლეონორას ესმოდა, ერთ და ორ შეცდომაზე რომ აეხილა მორონისთვის თვალი, საქმეს არ უშველიდა. საქმე ის იყო, რომ მორონი თავიდან ფეხამდე შესაცვლელი გახლდათ. ეს კი შეუძლებელი იყო. რაკი ლეონორაც დარწმუნდა ამაში, შეძრწუნდა, რას ჩავდივარ, ეს კაცი ურჩხულია, ურჩხულზე ვთხოვდებიო.

როგორც მტაცებელი ფრინველი ნელ-ნელა უახლოვდება თავის მსხვერპლს და დასაცემად ემზადება, მორონიც ისე უახლოვდება მიზანს.

- სხვა შემთხვევა თუ გნებავთ, ახლავე მოგახსენებთ. აი, მე მიზნად დავისახე ერთი რამ და უსათუოდ მივაღწევ ამას.

- მაინც რა დაისახეთ მიზნად?

- თქვენი შერთვა. ლეონორას ძალიან ეწყინა მორონის ყოყლოჩინობა და

ანგარიშმიუცემლად ჰკითხა:

- დარწმუნებული კი ხართ, რომ მიზანს მიაღწევთ?

- ამაში ეჭვი არ მეპარება. და თუ ვცდები, ეს იქნება ჩემი პირველი მარცხი.

- რომ გითხრათ, ამჯერად მიზანს ვერ მიაღწევთ-მეთქი, რას იზამთ მაშინ?

- ჩემს პოზიციას შევამოწმებ. გავიგებ სად დავუშვი შეცდომა.

- მაშ იცოდეთ, რომ შეცდომა დაშვებული გაქვთ და მიზანს ვერ მიაღწევთ.

- სერიოზულად მეუბნებით ამას?

- სრულიად სერიოზულად.

ლეონორამ დაინახა, როგორ მოიღუშა მორონი, წარბი შეჰყარა, მაგრამ მაინც დაიჭირა თავი, წამოდგა, ჰალსტუხი შეისწორა და ლეონორას მიმართა:

- ძვირფასო ლეონორა, რა გაეწყობა, როგორც ჩანს, ამჯერად მართლა შევცდი.

საქმრომ ლეონორას გამოსამშვიდობებლად ხელი გაუწოდა. ლეონორამ ხელზე დახედა და ჩაიცინა.

- არა, არა, გეხუმრეთ. არ შემცდარხართ.

მორონის უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, წინადადებაზე უარი მითხრესო, და გაკვირვებულმა ჰკითხა:

- მართალს ამბობთ?

- რა თქმა უნდა, - მიუგო სახეზე წამოჭარხლებულმა ლეონორამ და ტუჩი მოიკვნიტა.

- ესე იგი, მე თქვენგან მივიღებ იმას, რაც მინდა?

- უკვე მიიღეთ.

- მაშ თანახმა ხართ?

- რა თქმა უნდა, - გაიმეორა ლეონორამ და უფრო წამოწითლდა.

ლეონორამ შენიშნა, რომ მორონი უკვე სულ სხვა თვალით უყურებდა, უყურებდა, როგორც ნივთს, რომელიც მისი საკუთრება გახდა და დღეიდან როგორც უნდა, ისე მოექცევა. ლეონორა სწრაფად წამოდგა, დაუდევრად, შენობით მიმართა მორონის:

- აქ დამიცადე, წავალ, ჩვენებს ვეტყვი, მალე დავბრუნდები, მელოდე და ჩემზე იფიქრე.

წინ ჩაუარა მორონის და როცა ის უხერხულად წაეტანა მოსახვევად, ლეონორა დაიხარა და სწრაფად აკოცა, მერე ჩქარი ნაბიჯით წავიდა სასადილო ოთახისკენ. ძმები ჩვეულებრივი ოხუნჯობით შეხვდნენ. ლეონორამ დამცინავი ზეიმურობით გამოუცხადა თავისიანებს:

- ვღებულობ თქვენს მოლოცვას. ამჯერად უკვე გადაწყდა.

მამა გულგრილად შეხვდა ამ ამბავს, ყალიონი საფერფლეში ჩაცალა, წამოდგა და ცოლშვილს გამოუცხადა, ოთხ საათამდე უნდა მოვისვენო, არ იხმაუროთო. დედამ ვერ დაფარა კმაყოფილება. შვილს ორივე ლოყა რომ დაუკოცნა, ლეონორა ამით მიხვდა, რომ დედა ძალიან ღელავდა, ახლა კი დამშვიდდა, კმაყოფილი იყო. ძმები სხვადასხვანაირად განმარტავდნენ მომხდარ ამბავს, გარს შემოეხვივნენ ლეონორას, ქალიშვილი თავის დაღწევას ლამობდა, კიოდა, ურტყამდა ძმებს, აგინებდა. დას მუშტებით მიეჭრა.

- ახლა კი ჯოჯოხეთში წასულხართ ყველა, - ძლივს მოითქვა სული ლეონორამ, - მე საქმროსთან მივდივარ.

ოთახიდან გავარდა და სასტუმრო ოთახის მოხურული კარის წინ შედგა, შიშით გული შეეკუმშა. ლეონორამ იცოდა, რომ უკანასკნელ დღეებს ატარებდა თავის ოჯახში. მიუხედავად იმისა, რომ მორონი არ უყვარდა, იცოდა- მაინც კარგ ცოლობას გაუწევდა, რადგან პატიოსანი იყო. იცოდა, რომ ძალაუნებურად გაიზიარებდა მორონის რწმენას, მისი თანამზრახველი გახდებოდა, გაუჩენდა ვაჟიშვილებს.

ლეონორა გულის კანკალით ფიქრობდა ამაზე, სასტუმრო ოთახის კარის სახელურს ხელჩაკიდებული.
მერე გამბედაობა მოიკრიბა და ოთახში შევიდა...

ნაკბენი ხელი

გიცხოვრიათ როდისმე ქოხში? არა? აბა თქვენ ისევე არაფერი გცოდნიათ ამ უბადრუკი სადგომის შესახებ, როგორც მონტე მარიოელმა სინიორმა, რომლის ამბავიც მინდა მოგითხროთ.

იცით, რა შავი დღე ადგია ქოხის ბინადარს? ავდარში, ვიდრე ლოგინიდან წამოდგება, ძირს უნდა დაიხედოს, ფეხს სად ვადგამო, უნდა შეამოწმოს. ეს იმიტომ სჭირდება, რომ მიწის იატაკზე წვიმის გუბე დგას. კერძი ქოხის წინ, ღია ცისქვეშ უნდა გააკეთოს ბენზინის ცარიელ კასრზე და მერე საწოლზე ჩამომჯდარმა ჭამოს. ღამით ლამპა ან სანთელი ანათებს მის სადგომს. ტანსაცმელს ლურსმანზე ან ქოხში გაბმულ თოკზე ჰკიდებს, ჰოდა სულ დაჭმუჭნული და დასვრილი სამოსი აცვია. თუ რამდენიმე სული ცხოვრობს ქოხში, ზამთარში ერთმანეთს ეხუტებიან გასათბობად და კედლის ხვრელებში შემოჭრილ ქარს ებრძვიან. გარდა ამისა, ასეთ ხუხულაში კაცს ყველაფერი ეკარგება. ეძებ ჩანგალს, საპონს, ტაფას და მათ ნაცვლად ისეთი რამ გხვდება ხელში, რაც იმ წუთში სრულიად არ გჭირდება: ქუდი, ჩექმა ან კატის სიმსხო შავი, გაბურძგნული ვირთაგვა. დიახ, დიახ, ვირთაგვა, როგორც ჟოლოს არ გამოელევა მატლი, ისე ქოხში არ გამოილევა ვირთაგვა. ერთ ღამეს ძველმანებით სავსე ყუთიდან, რომელიც საწოლქვეშ მედგა, საშინელი წრიპინი შემომესმა. გამოვწიე ყუთი, ჩავიხედე შიგ და რა დავინახე!

ვარდისფერი რვა წრუწუნა. პაწია გოჭებს ჰგავდნენ. რა თქმა უნდა, ყველა დავხოცე, მაგრამ მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რა იმ საცოდავების ბრალი იყო, ქოხი ხომ სწორედ ვირთაგვებისთვისაა მოგონილი, აბა ადამიანს რა უნდა ქოხში?

ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, რასაც ქვემოთ მოგითხრობთ, ლუკმაპურს აკორდეონის დაკვრით ვშოულობდი. უნდა მოგახსენოთ, რომ მთელი ჩემი სიმდიდრე ეს აკორდეონი გახლდათ, იგი იმ საუცხოო დროში სამახსოვრო ნივთი იყო, როცა შავ ბაზარზე ჩარჩობას ვეწეოდი. ავიღებდი ჩემს აკორდეონს და ჯოვანასა და კლემენტინასთან ერთად რომის რომელიმე ძველ უბანს მივაშურებდი, სადაც ჯერ მთლად არ გადაშენებულან გულკეთილი ქალები, ოჯახში საქმიანობისას სიამოვნებით რომ უსმენენ სიმღერას. ჯოვანა გლეხის გოგოა, თეთრ-ყირმიზი, კურდღლისტუჩა და თმახუჭუჭა. ნამდვილი ხეპრეა, სანთლით რომ ეძებოთ, მეორე ასეთ ხეპრეს ვერსად იპოვით. ჩემი აკორდეონისა არ იყოს, ჯოვანაც ომის შემდგომი წლების საჩუქარი გახლდათ. თვითონ ამეტორღიალა და აღარ ვიცოდი რა მექნა. ხან გავიფიქრებდი, ცოლად შევირთავ-მეთქი, ხან კი გაგდებას ვუპირებდი. კლემენტინა თორმეტი წლისა იყო, პირმრგვალი, შავგვრემანი და გაჩხიკული. პირი ყურებამდე ჰქონდა გახლეჩილი. ვისი შვილი იყო, სადაური, ან სად ცხოვრობდა, წარმოდგენა არა მქონდა, არასოდეს მისი ვინაობა არ გამომიკითხავს.

ერთხელ ქუჩაში მივდიოდი, ქალაქის ძველი გალავნის ძირას ჯოვანა დავინახე, თავის კბილა

გოგო-ბიჭებში თამაშობდა. რომ მივუახლოვდი ბავშვებს, სიმღერა წამოიწყეს, მომეწონა ჯოვანას სიმღერა და შევიამხანაგე. ჰოდა მას აქეთ სამნი დავდიოდით კარდაკარ. ხან პიაცა ნავონის უბანში გავჩნდებოდით, ხან კამპო მარციოს უბანში, შევარჩევდით მოხერხებულ ადგილს, დავდგებოდი ქვაფენილზე, ერთ ფეხს ტროტუარზე შევდგამდი და დაკვრას დავიწყებდი. ჯოვანაგამვლელებს ბედის ბილეთებს ურიგებდა, კლემენტინა კი მღეროდა. ალბათ ფიქრობთ, რომ კლემენტინას კარგი ხმა ჰქონდა, ნაზი, სასიამოვნო. სცდებით, ასე არ გახლდათ. დააღებდა თუ არა კლემენტინა თავის ვეება პირს, რომელშიც წვრილი და მეჩხერი კბილები გაჰფანტოდა, ისეთ გამჭვალავ, მჭახე ხმას ამოუშვებდა, როგორიც, ალბათ, იშვიათად მოგისმენიათ. მისი ხმის გაგონებაზე კაცს ტანში გაბურძგლავდა, მაგრამ იმ მჭახე ხმით ისე თავხედურად და უტიფრად მღეროდა ეს თითისტოლა გოგო, რომ მსმენელს მაინც იზიდავდა.

ასე იყო თუ ისე, თუკი ორიოდ გროშს ვშოულობდით ჩვენი კონცერტებით, სულ კლემენტინას თავხედობის წყალობით გახლდათ. თავისი მჭახე, არამელოდიური ხმით კლემენტინა სწორედ იმას გამოხატავდა, რაც მე მინდოდა გამომეხატა ჩემი დაკვრით. მის ხმაში გაისმოდა ყოველგვარი ტანჯვა-წამება, სიღატაკე, მხიარულებაც და ამავე დროს სევდაც, მისი ხმის გაგონებაზე თითქოს კაცს თვალწინ უდგებოდა უბადრუკ ქოხში თავშეფარებული ადამიანის ტანჯვა, ბრძ

ოლა ნესტსა და სიცივესთან, ტაფის ძებნა და მოულოდნელად გამომხტარი ვირთაგვა. დაირხეოდა თუ არა მისი ხმა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა, უფრო მჭახე, უფრო გულისგამგმირავი ხდებოდა და სახლის ზედა სართულამდე აღწევდა, მაშინვე დაიღებოდა ყველა ფანჯარა, ხალხი გადმოეყუდებოდა, გვისმენდნენ და მერე ზემოდან გვიყრიდნენ ფულს.

ერთხელ ახალ უბანში გადავწყვიტე წასვლა. ავყევით ვია ფლამინოს და პარიალისკენ გავემართეთ. კვირა დღე იყო, სტადიონს რომ მივუახლოვდით, გულშემატკივართა დიდი ჯგუფი დავინახე, გავიფიქრე, მოდი ამათაც დავატკბობ ჩვენი კონცერტითმეთქი, და იქვე, შორიახლო შევდექი. ავაჟღერე თუ არა ჩემო აკორდეონი, ჯოვანა გულშემატკივრებთან მივიდა, ძალით აჩეჩებდა ბედის ბილეთებს. მაგრამ ამაოდ დავშვერით, ისინი გაცხარებით კამათობდნენ რაღაცაზე, ყურადღებაც არ მოგვაქციეს. ის იყო დაკვრა უნდა შემეწყვიტა, რომ ჩვენ წინ მანქანა შედგა, მას მეორე მანქანაც მოჰყვა. წინა მანქანაში ასე, სამოცი წლის სინიორი უჯდა საჭეს, ფრიად უცნაური კაცი გახლდათ, სახე თითქოს ორ ნაწილად ჰქონდა გაყოფილი. სახის ზემოთა ნაწილი გაჟინჟღილებული ჰქონდა - გადატკეცილი შუბლი და ცოცხალი თვალები, ქვემოთა ნაწილი კი მიცვალებულივით ჩაჰყვითლებოდა, პირი მოღრეცოდა, ტუჩები ჩალურჯებოდა, ღაბაბი ნაკეცებად ეკიდა, ვარხვას ნისკარტქვეშ ჩამოკიდებულ პარკს მიუგავდა. სინიორი მოგვაჩერდა, გვისმენდა. როცა დაკვრა შევწყვიტე, ხელით მანიშნა აქ მოდიო. მივედი. ძალიან მინდა რამდენიმე კარგი სიმღერა თქვენი შესრულებით ჩემს ვილაში მოვისმინო. აქვე ახლოს

ვცხოვრობ, ჩაჯექით მანქანაში, მერე ამავე მანქანით გამოგისტუმრებთ უკანო. მოგეხსენებათ მდიდარი კაცის ამბავი, როდის რა ხუშტური მოუვლის, ეშმაკმა იცის. იქნებ რამეს გამოვრჩეთ, გავიფიქრე და დავეთანხმე. სამივე ჩავსხედით მანქანაში, მანქანა დაიძრა, მეორე მანქანა უკან გამოგვყვა.

გავიარეთ ფლამინოს ხიდი, გავუხვიეთ ვია კასიოზე და კალიმუჩაზე გავედით. უკან სამნი ვისხედით, წინ კი ორნი. სინიორს მეგობარი უჯდა გვერდით, ასე, ორმოცდაათი წლის კაცი იქნებოდა, მელოტი, ჩასუქებული. ძალიან ელაქუცებოდა სინიორს, ის კი უხეშ პასუხებს აძლევდა, მიქარვას თავი დაანებეო, ესეც კი ჰკადრა და მელოტმა ისე გაიღიმა ამ სიტყვებზე, თითქოს ქათინაური უთხრესო.

- სადაცხოვრობ? - გამომელაპარაკა სინიორი.

- ქოხში. ფელიჩეს აკვედუკთან.

- ქოხში? ძალიან არასასიამოვნო ხმა ჰქონდა, ცივი, ფოლადისებური.

- ეგ გოგო შენი დაა?

- არა. ერთმანეთისათვის უცხონი ვართ. ისე, ჩემთან დადის და მღერის.

- ეგა, მეორე ქალი?

- ჩემი საცოლე გახლავთ.

- ოჰო, საცოლე... რატომ არ მუშაობ?

- ოდესღაც ვმუშაობდი, მღებავი ვარ ხელობით... ახლა კი უმუშევარი დავრჩი.

ამასობაში ჩვენი მანქანა გალავანშემორტყმულ ერთ პატარა ბორცვს მიუახლოვდა. ბოცვზე ბაღი იყო გაშენებული, ზედ მის წვერზე ვილა გახლდათ წამოჭიმული. ჭიშკართან არც კი იყო მისული მანქანა, რომ ჭიშკარი რაღაც ჯადოქრული ძალით გაიღო და მანქანამ კვიპაროსების ხეივანში გადაუხვია. ხეივანი ვილისკენ მიემართებოდა. აღმართს რომ ავდიოდით, აქეთ-იქით ვიყურებოდი. ხეივნის ორივე მხარეს შადრევნები და ფანჩატურები იყო გამართული, იდგა მერხები და მარმარილოს ქანდაკებები. ბოლოს მანქანა ხრეშმოყრილ მოედანზე შედგა, ვილის

სადარბაზო კართან. კარი გაიღო, თეთრ ქურთუკში გამოწყობილი ლაქია გამოვარდა და სინიორს მდაბლად თავი დაუკრა. სინიორი და მისი მეგობარი მანქანიდან გადავიდნენ. ამ დროს ჩვენ უკან მომავალი მანქანაც შედგა, იქიდან სამი კაცი გადმოვიდა, თითქმის ერთი ხნის, ასე, ორმოცდაათი წლისანი იქნებოდნენ. ისინიც თვალში შესციცინებდნენ და ელაქუცებოდნენ უცნაურ სინიორს, ის კი არაფრად აგდებდა მათ ლაქუცს. ალბათ, მისი თანამშრომლები ან ხელქვეითები არიან, გავიფიქრე. სინიორი დიდ სასტუმრო დარბაზში შევიდა, ლურჯი ბერეტი მოიხადა და ლაქიას გადაუგდო. ლაქიამ ბერეტი დაიჭირა. ამ დროს, ჩაპუტკუნებული ქერა ქალი კლაკვნა-გრეხით წამოვიდა ჩვენკენ. ისეთი ვიწრო, თეძოებზე შემოსხეპილი წითელი შარვალი ეცვა, რომ იფიქრებდით, ესაა გაუსკდებაო. ქალი სინიორს შემოეგება: - „გამარჯობა, მამა“. მაგრამ ერთი ვერსიდან შეატყობდა კაცი, რომ ეს ქალი სინიორის

შვილი არ იყო. „მამამ“ ერთ ადგილზე შემოჰკრა ხელი და შუაგულ დარბაზში მდგარ პატარა მაგიდას მიაშურა.

- აბა, მეგობრებო, ახლა კი საქმეს შევუდგეთ, - დაიყვირა სინიორმა.

ყველა პატარა მაგიდას შემოუსხდა და პოკერის თამაში დაიწყეს. სულ ეს იყო მათი საქმე. აურიეს ბანქო. ქერა ქალმა ბოთლებით და ჭიქებით სავსე, ბორბლებიანი პატარა მაგიდა მოაგორა მათთან, გველთევზასავით იკლაკნებოდა, თეძოებს არხევდა და კეკლუცობდა. ქალმა ყველას დაუსხა ლიქიორი. ჩვენ კი ლამაზი ავეჯით სავსე, უზარმაზარ სასტუმრო დარბაზში,

სადაცმარმარილოს იატაკი სარკესავით პრიალებდა, ჩვენიაბრანძული ტანსაცმლის გამო, ისე უხერხულად ვგრძნობდით თავს, რომ განძრევა ვერ გავბედეთ, ფეხი ვერ წავდგით წინ. სინიორმა ბანქოს ქაღალდში ჩაიხედა და მერე ჩვენ მოგვიბრუნდა:

- აბა, ცოცხლად. დაუკარით და იმღერეთ. მაშ რა ეშმაკად მოხვედით აქ?

როგორც იყო გავბედე განძრევა, წინ წავდექი და დაკვრა დავიწყე. კლემენტინამ თავისი ვეება პირი დააღო, ჰაერი შეისუნთქა და სიმღერა დაიწყო. დაბალჭერიან დიდ დარბაზში ჩემს აკორდეონს გუგუნი გაჰქონდა, კლემენტინას ხმა კი უფრო მჭახედ, უფრო გულისგამგმირავად ჟღერდა. ჩვენი სტუმარ-მასპინძელი ისე გაიტაცა თამაშმა, ყურს არც კი გვიგდებდნენ. ერთ სიმღერას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, მაგრამ ვერ იქნა, მათი ყურადღება ვერ მოვიპყარით. ჯოვანა სინიორებთან მივიდა და სათითაოდ ჩამოურიგა ბედის ბილეთები. მარტო ერთმა კაცმა დახედა ბილეთს და ჩაილაპარაკა:

- ვიმედოვნებ, რომ ეს ქაღალდი ბედნიერებას მომიტანს.

წამით თუ შევჩერდებოდი, სინიორი ქაღალდიდან თავაუღებლად მიყვირებდა ხოლმე:

- რაო, უკვე დაამთავრე? განაგრძე, განაგრძე.

ქერა ქალი სინიორის სავარძელთან იდგა და მის ქაღალდში იყურებოდა. დროდადრო დაიხრებოდა ხოლმე და ლოყაზე ჰოცნიდა სინიორს, ის კი ისე აიქნევდა ხელს, თითქოს აბეზარ ბუზს იშორებსო. უკვე თავი მომაბეზრა ამ ხალხმა, ნელა დავკეცე ჩემი აკორდეონი, რომელმაც გაბმული, მოქვითინე ბგერა გამოსცა და ბანქოს მოთამაშეებთან მივედი.

- დაკვრა დავამთავრე, კმარა.

სინიორი ერთიმეორის მიყოლებით ხსნიდა ქაღალდს, ყური არ მათხოვა, უცებ აღტაცებით შეჰყვირა: „ოთხი ტუზი, ოთხი ტუზი“, და ბანქოს ქაღალდი მაგიდაზე დაყარა. მისი პარტნიორები ცუდ გუნებაზე დადგნენ, ეტყობოდათ დიდი თანხა წააგეს.

- ჩემ მაგივრად განაგრძე თამაში, ცოტა ხნით ჰაერზე გავალ, - უთხრა ქერა ქალს სინიორმა, წამოდგა და კარისკენ გაემართა. თან ჩვენ გვანიშნა, გამომყევითო. გავედით ხრეშმოყრილ მოედანზე და იქვე, ვილასთან შევდექით.

- მაშ შენ ამბობ, ქოხში ვცხოვრობო? - მკითხა სინიორმა და წინ წავიდა.

- დიახ, ქოხში... სხვა თავშესაფარი არ გამაჩნია... ისეთი ნესტია... განსაკუთრებით ავდარში, - ვიფიქრე, თავს შევაცოდებდი და ავწუწუნდი:

- მიწისიატაკიან, ნამდვილ ქოხში ცხოვრობ? დაჟანგული თუნუქის სახურავი აქვს და ფიცრის კედლები?

- დიახ, სინიორ, ნამდვილ ქოხში ვცხოვრობ. სინიორი დუმდა, მერე დინჯად დაიწყო:

- რომიცოდე, რა სიამოვნებით დავთმობდი ამ ვილას, მთელი მოწყობილობით, შენსავით ვიცხოვრებდი ქოხში, ვივლიდი ქუჩა-ქუჩა, დავუკრავდი აკორდეონს და არც უმუშევრობას შევუშინდებოდი, ოღონდ... მის ნათქვამზე მწარედ გამეღიმა და წამოვაყრანტალე:

- თუ ასე მოგწონთ, გაგიცვლით...

ნეტა ენა გამხმობოდა და არაფერი მეთქვა. უცებ ვეფხვივით მეცა, სვიტერში მტაცა ხელი და კინაღამ შემომახია.

- რაო, გავცვალოთ?... კარგი, მაგრამ ერთი პირობით, შე მუდრეგო, შენა. თუ ამ ვილის გარდა, ჩემს სამოც წელსაც წამოიკიდებ, ამ სიმსივნესაც, ყელზე რომ მაწვება და სულს მიხუთავს და ყველა სხვა სატკივარს!

- აბა, აბა, გეყოფათ. დაუფიქრდით თქვენს სიტყვებს...

- მომეცი შენი ოცი წელი, ჯანმრთელობა, ნათელი იმედები და მათ ნაცვლად წაიღე ვილა და ყველაფერი, რაც შიგ არის... ოხ, შე მუდრეგო, მუდრეგო... გამიცვლი, არა? კიდევ გნებავს გაცვლა? თქვი, გინდა, თუ არა?

გიჟივით მანჯღრევდა, სული შემიგუბდა, ყელზე შემოწოლილი სიმსივნე ისე უხტოდა და უთამთამებდა, როგორც ვარხვს უთამთამებს ხოლმე პარკი, ცოცხალ თევზს რომ გადაყლაპავს.

- ეი, ხელი გამიშვი! - დავიღრიალე შიშით დაზაფრულმა.

- ჰო, კარგი, კარგი... წადი, - უცებ დამშვიდდა სინიორი და ხელი წამკრა.

- თუ გნებავთ კიდევ დავუკრავ რამეს!

- არა, არა, დამეხსენი, - მიპასუხა სინიორმა და ბრაზით ამიქნია ხელი, - პიეტრო, სამივე იქ მიიყვანე, სადაც შევხვდით. აჰა, დაიჭი, - მიუბრუნდა სინიორი კლემენტინას, - ეს ყველასთვისაა... მერე გაიყავით სამივემ, - და ხელში ქაღალდის დაკეცილი ფული ჩასჩარა. ვგონებ ათი ათასლირიანი ქაღალდები იყო.

კრინტი არ დაგვიძრავს, ისე ჩავსხედით მანქანაში. შოფერმა გვკითხა, სად წაგიყვანოთო.

- ვიალე კასტერნეზე, პორტა მაჯორეს იქით, - ვუპასუხე შოფერს.

მთელი გზა მდუმარედ ვისხედით და სამივე იმ ათი ათას ლირიან ქაღალდზე ვფიქრობდით, სინიორმა კლემენტინას რომ მისცა. ერთი კი გამიელვა თავში, სჯობს ახლავე გავიყოთ ფული-მეთქი, მაგრამ მომერიდა, შოფერთან უხერხული იყო ამაზე ლაპარაკი და თავი შევიკავე.

უკვე კარგა ჩამობნელებული იყო, პორტა მაჯორეს რომ მივაღწიეთ. შოფერს ვუთხარი, რომ უკვე მივედით. გადავედით თუ არა, მანქანა მაშინვე დაიძრა და კლემენტინას მივუბრუნდი:

- აბა, მოიტა ფული, გავიყოთ, - მივმართე მკაცრად.

- ფული მე მომცეს, - თავხედურად მომახალა იმ უტიფარმა.

- შენ კი მოგცეს, მაგრამ ისიც გითხრეს, რომ ეს სამივეს წილია, ყველამ გაიყავითო.

- ეგეთი არაფერი გამიგონია.

- კარგი, გეყოფა მიქარვა, მოიტა ფული, - უფრო მკაცრად დავუტიე კლემენტინას და ის იყო ხელი უნდა მეტაცნა მისთვის, რომ მოულოდნელად კლემენტინა დაიხარა და მთელი თავისი ბასრი კბილებით ხელში ჩამაფრინდა. ისე მწარედ ჩამასო კბილები, რომ ტკივილისაგან შევბღავლე. კლემენტინამ კი მოკურცხლა და ვიდრე გონს მოვიდოდი, სიბნელეში გაუჩინარდა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, დაქანცული და ბოღმით გულზე გამსკდარი, ძლივს მივჩანჩალდი ჩემს ქოხში. აკორდეონი არც კი ჩამომიხსნია, ისე მივეგდე ლოგინზე. ჯოვანა ჩემს პირდაპირ შედგა, ქოხის მეორე კუთხეში და მდუმარედ მომაჩერდა. სანთლის შუქი სახეზე სცემდა, ვხედავდი მის ცისფერ, გადმოკარკლულ თვალებსა და კურდღლის ტუჩს.

- ნეტა რამდენი იყო? - დაარღვია ბოლოს დუმილი ჯოვანამ. - სულ ცოტა, ოცდაათი ათასი ლირი მაინც იქნებოდა.

მწარედ ჩამეცინა. მარტო ოცდაათ ათას ლირში რომ ყოფილიყო საქმე, ამ დარდს კიდევ გადავიტანდი. უბედურება ის იყო, რომ ამ ფულის გამო კლემენტინა დავკარგე. სინიორმა დამღუპა. ცხადი იყო, კლემენტინა ჩემთან გამოჩენას ვეღარ გაბედავდა, დამემალებოდა და რაღა ფასი ექნებოდა ჩვენს კონცერტებს. მართალია, ჯოვანა ურიგოდ არა მღერის, ნაზი, მელოდიური ხმა აქვს, მაგრამ არაფრის გამომხატველი, გულში ვერა სწვდება ადამიანს. კლემენტინა მჭახე, ყალბი ხმით ბევრ რამეს ამბობდა. მდიდარმა სინიორმა სწორედ იმიტომ მისცა ფული, რომ კლემენტინა თავისი ხმით გულში ჩასწვდა, ააფორიაქა, დაკარგული ახალგაზრდობის დაბრუნება მოეწადინა და მზად იყო ამისათვის მთელი თავისი სიმდიდრე შეეწირა, არაფერს, არაფერს არ შეუშინდებოდა, არც უმუშევრობას, არც შიმშილს, არც ქოხში ცხოვრებას, ოღონდ კი სიჭაბუკე დაებრუნებია.

პაპარი

საჭვო საქმეში ხელგაწაფულმა ვინმე მაჩელონიმ, ანდა, როგორც დღეს ამბობენ „შავმა მებირჟემ“, თაღლითობით კარგა დიდ თანხას მოუყარა თავი. მაგრამ ლირის კურსი დღითი დღე ეცემოდა და მაჩელონიმ მოსვენება დაკარგა. ჯერ გადაწყვიტა, ძვირფასი ნივთები ეყიდა, მერე დოლარების და სტერლინგების შეძენა მოიწადინა. ერთმა მისმა მეგობარმა, ეუჯენიომ, ისიც „შავი მებირჟე“ ბრძანდებოდა, არ ურჩია დოლარებში ფულის დაბანდება. შენ უკვე ხელიდან გაუშვი ხელსაყრელი დრო, ახლა დოლარი სამ იმდენს ფასობს, მყიდველი ბევრია და ამ საქმით ვერაფერს მოიგებ. ჯობს, ისეთი რა იყიდო, რისიც ჯერჯერობით მცირე მოთხოვნილებაა, მაგრამ მომავალში დიდ მოგებას მოგცემს. აი, მაგალითად, პაპარი რომ იყიდო, არ წააგებ, დარწმუნებული ვარ, მომავალში მადლობას მეტყვიო. ეს პაპარი რაღა ოხრობაა? ჰკითხა მაჩელონიმ მეგობარს. ეუჯენიომ აუხსნა, პაპარი ახალი სურსათია, ჯერჯერობით ხალხი არ ეტანება, მაგრამ ნადმვილად პერსპექტიულია. ერთ ჩემს ნაცნობს საწყობში პაპარის დიდი მარაგი აქვს, იჩქარე, ვიდრე ჩარჩები მიაგნებენ, და შეისყიდე პაპარიო.

მაჩელონიმ კარგად აწონ-დაწონა ყველაფერი, მეგობრის რჩევა ჭკუაში დაუჯდა. რა კი დარწმუნდა, საქმე სარფიანიაო, აღარ დააყოვნა, მაშინვე საწყობში დარეკა. საწყობიდან

უპასუხეს, პაპარი ჯერ კიდევ გვაქვსო. მაჩელონი მაშინვე ჩაჯდა თავის საბარგო მანქანაში და საწყობისკენ გასწია. ნახა, რომ პაპარი კარგად იყო შენახული, მორიგდნენ და დიდი რაოდენობით შეისყიდა.

მაჩელონიმ გული საგულეს ვერ დაიდო, ვიდრე შესყიდული პაპარი თავის ბინაში არ გადმოზიდა. როგორც ყველა „შავ მებირჟეს“, არც მაჩელონის ჰქონდა დუქანი და საქონელს შინ ინახავდა, კარადებში, სკივრებში და ტურბოებში. პაპარიც ამ საცავებში დააბინავა, ნაწილი კი, რაც სკივრებსა და კარადებში არ ჩაეტია, თავის საწოლქვეშ დააწყო.

გავიდა რამდენიმე კვირა. მაჩელონი სიხარულით აღარ იყო, ეს რა კარგი ვქენი, ეუჯენიოს რჩევას რომ ავყევი და პაპარი შევიძინეო. პაპარის ფასი დღითიდღე იწევდა. ამ საქმეში ხუთას პროცენტს ნამდვილად მოვიგებო, არწმუნებდა ცოლს მაჩელონი.

მაგრამ ჩამოცხა თუ არა, პაპარიმ, ცოტა არ იყოს, შეაწუხა მაჩელინოს ოჯახი. ჯერ იყო და ოთახებში ისეთი საშინელი სუნი დააყენა, ლაყე კვერცხის და გოგირდის მყრალ სუნს მოგაგონებდათ. როგორც ჩანდა, პაპარის შემადგენლობაში გოგირდიც შედიოდა. პირდაპირ გული უწუხდათ, ჭამის მადა დაკარგეს ამ სუნის გამო. კიდევ კარგი, რომ ზაფხული იდგა და მიუხედავად მეზობლების პროტესტისა, კარ-ფანჯრებს აღებდნენ, თუმცა ეს საქმეს ვერ

შველოდა. მაჩელონიმ პაპარის გაზეთები და ბაიკის საბანი გადააფარა. სუნს კიდევ გაუძლებდა ადამიანი, უფრო დიდი გასაჭირი რომ არ დადგომოდათ. ძალიან რომ ჩამოცხა, პაპარი აფუთფუთდა, ამოძრავდა და მთელ ბინას მოედო. მტევნებივით აიხუნძლებოდნენ ჭერზე, ოთახის კუთხეებში მიქუჩდებოდნენ, მაგრამ თვალი

ყველაფერს ეჩვევა, გარდა ამისა, მოგების სურვილით დაბრმავებულები, რას არ აიტანდნენ.

საწოლზეც დაღოღავდნენ და ისე მწარედ იკბინებოდნენ ისწყეულები, რომ მართლა დიდი მოთმინება უნდა ჰქონოდა ადამიანს, ამ სატანჯველისათვის რომ გაეძლო. ახალ ჩაწოლილებს თითქოს კიდეც სიამოვნებდათ ხშირბეწვიანი პაპარის მიკარება, მაგრამ ძილი თავს რომ წაართმევდათ, ისე მწარედ უკბენდნენ ხოლმე, ეგონათ კიბორჩხალა ჩაგვაფრინდა მარწუხებითო, ფეთიანებივით წამოფრინდებოდნენ და დილით ძილგატეხილებს, გამოუძინარებს თავი უბუბუნებდათ, ტანი კი უამრავი ნაკბენისაგან წითლად ჰქონდათ აჭრელებული. რაც იქნება იქნეს, თავიდან მოვიშოროთ ეს წყეული პაპარი, უთხრა ერთხელ ცოლმა მაჩელონის. მაგრამ მაინც მოთმენა ამჯობინეს, არავის ჰქონდა პაპარის ისეთი მარაგი, როგოროც მაჩელონის, შემოდგომამდე ფასი კიდევ აიწევდა და დიდ მოგებას ნახავდნენ. ამის იმედით იტანდნენ ყველაფერს, დაე, ააქოთონ იქაურობა, დაგვკბინონ, ძილი გაგვიფრთხონ, სამაგიეროდ შემოდგომაზე მილიონერები გავხდებითო.

კიდევ ერთი ცუდი თვისება აღმოაჩნდა პაპარის. ის ადგილი, სადაც პაპარი ეწყო, ხელად დალპა, სველი, წებოვანი ობი მოედო ავეჯსაც და იატაკსაც. ხე გამოფუტურდა და თითი რომ გეტაკებინათ, გახვრეტდით. მაჩელონებმა გვიან შენიშნეს ეს უბედურება. სკივრები, კარადები და ტუმბოები სულ ერთიანად დამპალიყო. დიდი ზარალი ნახეს, მოგეხსენებათ ჩვენს დროში რა ძვირია ავეჯი! მაჩელონიმ მაინც არ გაიტეხა გული, პაპარის უფრო დიდი ფასი დაედება და ამ ზარალსაც დავფარავო.

სად არ მიძვრებოდა ის ოხერი პაპარი, ქვაბებში, ქილებში, ყვავილების ვაზაშიი. ერთი პაპარი გრამაფონის მილში შემძვრალიყო, მეორე კი, პატარა პაპარი, ზედ ჭიპზე მიწებებოდა მაჩელონის, რამდენიმე დღე ატარა და მერეღა ნახა.

ყველა ამ სიკეთის გარდა, სამაგელი სტვენაც იცოდნენ. თითქოს გველის სტვენას ჰგავდა, წვრილი, ძლივს გასაგონი და სევდის მომგვრელი. თუმცა მაჩელონის ქალიშვილი, ანა-მარია კი ამბობდა, პაპარის სტვენა დედის ნანასავით მაძინებსო.

დიდი ღორმუცელებიც იყვნენ, ყველაზე მეტად ხილს ეტანებოდნენ. მიეწებებოდნენ და ისე ამოსრუტავდნენ, კანი რჩებოდა მხოლოდ. ჰოდა, ერთ მშვენიერ ღამეს, პაპარი მაჩელონის ცოლს მიესია ფეხზე და ისე გამოწოვეს სისხლ-ხორცი, რომ ცარიელი კანღი დარჩა. დილით,

ქალბატონმა მაჩელონიმ რომ გაიღვიძა, ფეხის ნაცვლად, ფრჩხილებიანი, გამჭვირვალე, მოყვითალო კანი ეკიდა, წინდასავით შეეძლო მისი დახვევა. მაჩელონის ელდა ეცა ამის დანახვაზე, მაგრამ ისევ ცოლმა ანუგეშა. რა ვუყოთ. ფეხმართალი ვიქნები თუ კოჭლი რა მნიშვნელობა აქვს, ოღონდ მილიონერები გავხდეთო.

პაპარი მაისში იყიდეს. სექტემბრის მიწურულში, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უბედურებას ახალი, სრულიად გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი უბედურება დაემატა. ერთ დღეს, სადილობის დროს, მაჩელონის პირმშომ, ანა-მარიამ, თეფშს ხელი გაჰკრა, პირსახოცი ძირს დაანარცხა და აქვითინდა. დედ-მამა კარგა ხანია

ამჩნევდა, რომ მის თავს ფარსაგი არ იყო, ხან გაფითრდებოდა, ხან გაწითლდებოდა, რამდენჯერმე გულიც წაუვიდა. მაგრამ ცოლ-ქმარმა ყურადღება არ მიაქცია ამ ამბავს, რა ვუყოთ ცოტა უგუნებოდ თუ არის, საერთოდ სუსტი ბავშვიაო. ახლა კი ცხადი იყო, რომ ანა-მარიას რაღაც დიდი უბედურება დაატყდა თავს. მაჩელონი და მისი ცოლი ჩააცივდნენ, გვითხარი რა დაგემართა, რას ნიშნავს შენი უცნაური ქცევაო და ყველაფერი ათქმევინეს. თურმე ერთს პაპარის, არავინ უწყის სახელდობრ რომელი პაპარი გახლდათ, ქალიშვილი ქალად ექცია და ანა-მარია ფეხმძიმედ იყო. ენა ვერ აღწერს რა ამბავი დაატრიალა მაჩელონიმ, როგორ ღრიალებდა, შენ თუ არ გინდოდა, პაპარი ვერასოდეს ვერ გაბედავდა ამის ჩადენასო, უყვიროდა შვილს. ანა-მარია ქვითინებდა, ცთუნებას ვერ გავუძელიო. მარტო მაჩელონის ცოლი იყო მშვიდად. ქალიშვილი ოთახიდან გაისტუმრა და

ქმარს უთხრა: რაღა აზრი აქვს ყვირილს. გოგო ფეხმძიმედაა, რამდენიც უნდა იყვირო, ამით საქმეს ვერ გამოასწორებ. აი, პაპარის რომ გავყიდით და გავმდიდრდებით, კარგი მზითევი გამოვუწყოთ. მზითევი რომ ექნება, ისეთი კაციც გამოჩნდება, ვინც უკანონო ბავშვს იკისრებსო. მაჩელონი რამდენიმე დღე არ ელაპარაკებოდა შვილს, მერე კი ბედს დაემორჩილა.

დადგა ნანატრი ოქტომბერიც და მაჩელონი ვაჭრობის თადარიგს შეუდგა. როგორც ეუჯენიომ უწინასწარმეტყველა, პაპარიზე საოცრად გაიზარდა მოთხოვნილება და ძნელი საშოვარი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მაჩელონიმ თავისი პაპარი მამასისხლად დააფასა, მუშტარი მაინც ხელად იშოვა და თქვა პაპარი გაგიფუჭებიათო. თავზარდაცემული მაჩელონი სხვა მუშტარის საძებრად გაიქცა, აქეთ ეცა, იქით ეცა, თითქოს პირი შეკრესო, ყველა ერთხმად აცხადებდა, პაპარი გაგიფუჭებიათო.

ეს უკანასკნელი უბედურება მეხივით დაეცა მაჩელონის, მთელი დანაზოგი და ავეჯი პაპარის შესწირა, ბოლოს კი ხელცარიელი რჩებოდა. პაპარი ყოველდღე თვალსა და ხელს შუა ქრებოდა, მათ ადგილზე საზიზღარი ვარდისფერი სითხე რჩებოდა მხოლოდ. მაჩელონიმ დარჩენილი პაპარი გროშის ფასად გადაყარა და ეუჯენიოსკენ გაეშურა. ეს რა მიქენი, ყელი რად გამომჭერიო, უსაყვედურა მეგობარს. ეუჯენიომ შეიცხადა, აკი გითხარი, პაპარი სპეციალურ რკინის გერმეტულ ყუთებში ჩადე და მაცივარში შეინახე-მეთქი. მაჩელონის გაახსენდა რომ

ეუჯენიომ მართლა ურჩია ეს, მაგრამ ყუთებში ფულის მიცემა არ ინდომა, იძუნწა და პაპარი კარადებსა და სკივრებში ჩააწყო. ბოღმით გულზე გამსკდარ მაჩელონის არაფერი არ ესმოდა, მაინც მაჩელონის სდებდა ბრალს, ორივე გაცხარდა, შეჰყვნენ ერთმანეთს და ბოლოს გონდაკარგულმა მაჩელონიმ მეგობარს დანა გაუყარა. მაჩელონი მაშინვე ვირის აბანოში მიაბრძანეს. დღესაც იქა ზის და სასამართლოს განაჩენს ელის. ანა-მარია მეშვიდე თვეშია. ოჯახი გაღატაკდა, მაჩელონის ცოლი ხის ფეხით დაჩლახუნობს, ქუჩის კუთხეებში სიგარეტებს ჰყიდის და ამით გააქვთ თავი.